ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის ინსტიტუტი

დიმიტრი ნარიმანიშვილი

მითო-რელიგიური მსოფლმხედველობა შუა ბრინჯაოს ხანის ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში

არქეოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,

პროფესორი **მარინე ფუთურიძე**

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2015

შინაარსი

შესავალი ---------- 1

თავი I. საკულტო არქიტექტურა და კულტმსახურება ---------- 33

§ 1. ყორღანთა არქიტექტურა ---------- 34

§ 2. საკულტო ადგილები და ნაგებობები ---------- 55

§ 3. მენჰირი ---------- 66

§ 4. კულტმსახურება ---------- 77

თავი II. სიკვდილი და რწმენა-წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე ---------- 91

§ 1. დაკრძალვის წესი და რიტუალი ---------- 91

§ 2. ბორბლიანი ტრანსპორტი და ურემზე დაკრძალვის რიტუალი ---------- 100

§ 3. მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის (სამსხვერპლო ცხოველები) ------ 106

თავი III. სიუჟეტური გამოსახულებები ---------- 112

§ 1. თრიალეთისა და ყარაშამბის თასები ---------- 112

§ 2. ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვები და ლორი-ბერდის ყორღანის მოხატულობა ---------- 138

§ 3. სიუჟეტური გამოსახულებები თიხის ჭურჭელზე ---------- 143

თავი IV. კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული არტეფაქტები ---------- 147

§ 1. ამულეტები და მაგია ---------- 148

§ 2. ობსიდიანი და მისი მნიშვნელობა დაკრძალვის რიტუალში ---------- 157

§ 3. ქვის ჭურჭელი ---------- 159

§ 4. ტორევტიკა ---------- 163

§ 5. შტანდარტები და ინსიგნიები ---------- 168

თავი V. შუა ბრინჯაოს ხანის ორნამენტის სიმბოლიკა ---------- 171

§ 1. სოლარული ნიშან-სიმბოლოები ---------- 172

§ 2. მთვარის სიმბოლიკა ---------- 181

§ 3. გეომეტრიული ორნამენტი ---------- 184

§ 4. წყლის სიმბოლიკა ---------- 190

§ 5. მცენარეული ორნამენტი ---------- 193

§ 6. ზოომორფული გამოსახულებების სიმბოლიკა ---------- 195

თავი VI. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის
მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის ასპექტები ---------- 213
დასკვნა ---------- 245
ლიტერატურის სია (დანართი I) ---------- 248
ტაბულების აღწერილობა (დანართი II) ---------- 273
ტაბულები (დანართი III) ---------- 287

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური საკითხების საგანგებო კვლევას, რომელიც ეფუძნება მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაცემებს. განსახილველი საკითხი მეტად რთულია და ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერ მხარეს, რომლის სრულად წარმოჩენა და შესწავლა მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე რთულია. უძველესი საისტორიო წერილობითი წყაროები კი იმდენად მწირ ინფორმაციას შეიცავენ, რომ მათზე დაყრდნობა ნაკლებად ხერხდება. ამიტომ ერთადერთ საყრდენად ისევ არქეოლოგიური მონაცემები გვაქვს.

უძველესი წეს-ჩვეულებების შესასწავლად დიდძალი არქეოლოგიური მასალაა დაგროვილი, რომელთა გაანალიზება მრავალ კითხვაზე მოგვცემს პასუხს და ახალი საკითხების წარმოშობასაც შეუწყობს ხელს. იმის გამო, რომ არქეოლოგიური მასალა იმდროინდელი სამხრეთკავკასიის საზოგადოების მსოფლმხედველობის, მითო-რელიგიური წარმოდგენების ყველა მხარეს ვერ ასახავს, თემასთან დაკავშირებული საკითხების მეტ-ნაკლებად სრულყოფილად წარმოჩენისთვის, ვიყენებთ როგორც კავკასიის ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ასევე ახლო აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციების წერილობით წყაროებს, მითო-რელიგიურ შეხედულებებს და უპირველესად, რასაკვრველია არქეოლოგიურ მონაცემებს. ეთნოგრაფიული მონაცემების გამოყენებისას ვითვალისწინებთ, რომ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურები დიდ გეოგრაფიულ არეალს მოიცავს და ამ ტერიტორიაზე დღეს მრავალი ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფი ცხოვრობს. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიულ მონაცემებს და მასაც შეზღუდულად ვიყენებთ.

სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის რელიგიის საკითხები და რწმენა-წარმოდგენები მეცნიერთა მიერ არაერთხელ იყო განხილული. თუმცა, შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური საკითხები დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა. ბ. კუფტინის, შ. ამირანაშვილის, ო. ჯაფარიძის, ნ. ჯაფარიძის, ი. კიკვიძის, ვ. ბარდაველიძის, ირ. სურგულაძის, შ. დედაბრიშვილის, გ. გობეჯიშვილის, ა. სიხარულიძის, მ. ჩხაიძის, მ. ბერიაშვილის, კ. კუშნარევას, ვ. ოგანესიანის, გ. არეშიანის, ა. სიმონიანის, ბ. პიოტროვსკის, ვ. როსტუნოვის

კვლევები ერთი, რომელიმე კონკრეტული არტექფაქტის თუ არქეოლოგიური მონაცემის შესწავლას ეხებოდა და ამდენად, სრულად ვერ ასახავდა სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რელიგიურ შეხედულებებს, რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებს. ამ ეპოქის რწმენა-წარმოდგენების კომპლექსური კვლევის პირველ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენდა ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი „კულტი და რიტუალი თრიალეთის კულტურაში," რომელიც სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მხოლოდ ერთი არქეოლოგიური კულტურის მონაცემებს ეყრდნობოდა და სრულად ვერ ასახავდა შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებსა და კულტმსახურების ყველა ასპექტს.

წინამდებარე ნაშრომი შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის მსოფლმხედველობის ერთიან კონტექსტში წარმოჩენის პირველი მცდელობაა, რომელიც ბედენის, თრიალეთის, სევან-უზერლიკის, კარმირ-ბერდის, ყიზილ-ვანქის კულტურებისათვის მიკუთვნებული არქეოლოგიური მასალის ანალიზს ეყრდნობა. ამიტომ, ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირებული ამ ეპოქის არქეოლოგიური კულტურები და ის შეხედულებები, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიურ საკითხებს ეხება.

მითოლოგიური წარმოდგენები ჩამოყალიბდა გონიერი ადამიანის (Homo sapiens) არსებობის დროიდან. მითოლოგიური მსოფლმხედველობა არის შეხედულებათა სისტემა სამყაროსა და ადამიანის ადგილის შესახებ ამ სამყაროში. უძველესი შეხედულებები სამყაროს აგებულებაზე, კოსმოსზე, ღმერთებისა და ადმიანების ურთიერთობათა შესახებ აღწერილია მითებში.

მითოლოგია ბერძნული სიტყვაა (მითოს – თქმულება, ლოგოს – შესწავლა). ის წარმოადგენს მითების და ლეგენდების ერთობლიობას, რომლებშიც აღწერილია სამყაროს, ღვთაებების, ადამიანის, ბუნების მოვლენების და ზეციური სხეულების შექმნა. მითოლოგიებში გადმოცემულია ათასწლეულების განმავლობაში დაგროვებული ინფორმაცია სამყაროს და ადამიანის შესახებ.

ტერმინი მსოფლმხედველობა გერმანულია (Weltanschauung) და ასახავს შეხედულებების, პრინციპების და ადამიანთა მოქმედების ცხოვრებისეული პოზიციის ერთობლობას. მსოფლმხედველობა ადამიანის მოქმედებას სძენს

მიზანმიმართულ, ორგანიზებულ ხასიათს. პირველად ეს ტერმინი გამოიყენა კანტმა (I. Kant, 2009: 114-123)

უძველესი ხალხები ადამიანს განიხილავდნენ როგორც საზოგადოების ნაწილს, ხოლო საზოგადოებას კი ბუნებრივ გარემოსთან ერთიანს და დამოკიდებულს ბუნებრივ ძალებზე. მათთვის ბუნება და ადამიანი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ არის. უძველესი ადამიანი ყველა ცალკეულ შემთხვევას განიხილავდა როგორც ინდივიდუალურ მოვლენას. ტრადიციულ საზოგადოებაში ამა თუ იმ მოვლენის თუ ქმედების ანალიზის და შესაბამისი დასკვნის გამოტანის მაგივრად, მითებს ყვებოდნენ. მაგ. თანამედროვე ადამიანი იტყოდა, რომ ატმოსფერული ცვლილებების გამო შეწყდა გვალვა და გაწვიმდა. ძველი ბაბილონელი კი იგივეს აღიქვამდა როგორც გიგანტური ლომისთავიანი არწივის, იმდუგუდის გამოჩენას მათ დასახმარებლად, რომელმაც თავისი ფრთების შავი ღრუბლებით დაფარა ცა და ჩაყლაპა ზეციური ხარი, რომლის მწველმა სუნთქვამ დაწვა მოსავალი (Франкфорт и др., 2001: 12).

ტრადიციული კულტურის და მითოლოგიური მსოფლმხედველობის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს ის, რომ მითები არსებობენ თავის განსაკუთრებულ დროში – „თავდაპირველ დროში". მ. ელიადეს მიხედვით, მითოსი არის კულტურის ძალზე რთული რეალობა. ის გადმოგვცემს საკრალურ ისტორიას, მოგვითხრობს მოვლენაზე, რომელიც უძველეს დროს მოხდა – „საწყისის საწყისში" (Элиаде, 2000: 11).

ძველი აღმოსავლეთის ყველა რელიგიას თავისი მითოლოგია აქვს. თუმცა მ. ელიადეს აზრით, ახლო აღმოსავლეთის და ინდოეთის მითოლოგიური გადმოცემები თეოლოგების და ისტორიკოსების მიერ იყო გადამუშავებული და ინტერპრეტირებული. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ დაუკარგავთ თავისი „მითოლოგიური სუბსტანცია" და არ „გადაიქცნენ ლიტერატურად", საუკუნეების მანძილზე მათ მაინც განიცადეს ტრანსფორმაცია. მ. ელიადეს აზრით, უმჯობესია არქაული და ტრადიციული საზოგადოებების მითოლოგიების კვლევა საერთო სურათის მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ დროის განმავლობაში მათაც განიცადეს ცვლილება, ისინი მაინც ასახავენ თავის პირვანდელ ბუნებას (Элиаде, 2000: 10-11). საკმაოდ ბევრი ინფორმაცია დაგროვდა ძველი ცივილიზაციების

შემქმნელთა მითოლოგიაზე, რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებზე. XX საუკუნის 50-60 წლებში ერაყსა და პალესტინაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, აგრეთვე ჯ. მელაარტის მიერ ანატოლიაში, ჩათალ-ჰუიუქში აღმოჩენილმა უძველესმა სამლოცველოებმა (Mellaart, 1962; Mellaart, 1963; Mellaart, 1964) მანამადე უცნობი, წარმოუდგენლად რთული და განვითარებული „ნეოლითური რელიგიები" წარმოაჩინა. ხოლო XX საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ანატოლიაში და სირიაში გამოვლენილმა წინაკერამიკული ხანის ისეთმა გრანდიოზულმა და მონუმენტურმა სამლოცველოებმა, როგორიცაა გობეკლი, ნევალი ჩორი, ჩაიონიუ თეფესი და ჯერფ ალ აჰმარ (Özdoğan, Başgelen, 1999) სრულიად ახლებურად გააშუქა ძველი სამყაროს უძველესი მოსახლეობის მითო-რელიგიური მსოფლმხედველობა.

უძველესი ადამიანის სულიერი სამყაროს კვლევა არქეოლოგიური მეცნიერების განუყოფელი ნაწილია. მასალის სპეციფიურობა და არასრულყოფილი ხასიათი აუცილებელს ხდის ტერიტორიულად მახლობელი კულტურების მონაცემთა გამოყენებს. კავკასია ახლო აღმოსავლეთის ნაწილია. ძეგლების თავისებური ხასიათის მიუხედავად მათ მრავალი საერთო აქვთ და სავარაუდოდ ბევრი რამ საერთო იყო სამყაროს აღქმასა და მითოლოგიურ მსოფლმხედველობაშიც. ამდენად, კვლევისას ყოველთვის ვითვალისწინებთ ამ რეალობას.

როგორც აღვნიშნეთ, დისერტაციის ქრონოლოგიური ჩარჩო შუა ბრინჯაოს ხანით შემოიფარგლება. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების დათარიღების, წარმომავლობის და ეთნიკური კუთვნილების საკითხებს არაერთი მეცნიერი შეეხო (Куфтин, 1941; Куфтин, 1944; Куфтин, 1948; ჯაფარიძე, 1969; ჯაფარიძე, 1976; ჯაფარიძე, 1991; ჯაფარიძე, 1998; ჯაფარიძე, 2003; ჯაფარიძე, 2006; ჯაფარიძე, 2013; გოგაძე, 1972; ქავთარაძე, 1981; Кавтарадзе, 1981; Кавтарадзе, 1987; Меликишвили, 1959; Дедабришвили, 1979; Пицхелаури, 1987; Abramishvili, 2010; Puturidze, 2005; Кушнарева, 1993; Кушнарева, Рысин, 2001; Rubinson, 1977; Rubinson, 2013; Badalyan, Avetisyan, Smith, 2009 და სხვ.).

დისერტაციაში ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი მკვეთრად გამიჯნული არ არის. განხილული არქეოლოგიური ძეგლები და უძველესი არტეფაქტები ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ და შუაბრინჯაოს

ხანის საწყის ეტაპს განეკუთვნება. ეს დროის ის მონაკვეთია, როდესაც მტკვარ-არაქსის და ბედენის კულტურები თანაარსებობენ. მეცნიერთა ნაწილი ამ ეპოქას ადრებრინჯაო IV ეტაპს ან შუაბრინჯაო I ეტაპს უწოდებენ (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009: 55). ზედა ქრონოლოგიური ზღვარი თრიალეთის კულტურის ფინალური ეტაპია, თუმცა ზოგ შემთხვევაში, საკითხის სრულყოფილად განხილვის მიზნით, ოდნავ მოგვიანო ხანასაც ვეხებით.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს კულტურების მატარებელი ტომების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ არაერთი განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული. გ. მელიქიშვილის აზრით, თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები ხურიტულ კულტურულ-ეთნიკურ სამყაროს ეკუთვნოდა (მელიქიშვილი, 1999: 195). ის თრიალეთის კულტურის გამოჩენას სამხრეთ კავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან ხურიტული ტომების ექსპანსიას უკავშირებს, აღნიშნავს რომ, „თრიალეთის კულტურის არეში გამოჩენა იწყო აშკარად მითანიურმა ძეგლებმა" (მელიქიშვილი, 1999: 196-199). გ. მელიქიშვილის აზრით, მთელი ის ტერიტორია, რომელზეც სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს კულტურები არსებობდნენ, ვანის ტბის სამხრეთ ოლქების და ურმიისპირეთის ჩათვლით, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ხურიტული ტომებით იყო დასახლებული (Меликишвили, 1954: 93; Меликишвили, 1959: 71; მელიქიშვილი, 1999: 199] ო. ჯაფარიძის აზრით, „თრიალეთის კულტურის ჩამოყალიბებაში ძირითადად ქართველი ტომები მონაწილეობდნენ" (ჯაფარიძე, 2007: 340). ე. გოგაძე თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების წარმომავლობას ინდოევროპელებს უკავშირებს (გოგაძე, 1972: 94). ინდოევროპული მითოლოგიით ხსნიან თრიალეთის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილ სიუჟეტურ გამოსახულებებს გ. არეშიანი და ვ. ოგანესიანი (Арешян, 1988; Оганесян, 1988) ჩ. ბერნის აზრით, თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები იყვნენ ანატოლიაში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსული ინდოევროპელების პირველი ტალღა, რომელთა შორისაც იყვნენ ხეთები (Burney, 1958: 175-178). ინდოევროპელებად მიიჩნევს მათ აგრეთვე ჯ. მელაარტი (Mellaart, 1958: 9-13, 26). გ. ვილჰელმის აზრით, ხურიტების და ინდოარიელების კონტაქტები სამხრეთ კავკასიაში უნდა მომხდარიყო, სადაც ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ხურიტების მონათესავე პროტოურარტულ ენაზე მონათესავე ხალხი ცხოვრობდა

(Вильхельм, 1992: 44). თუმცა, არ აკონკრეტებს, რომელი არქეოლოგიური კულტურის მატარებელია პროტოურარტულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი და რომელია - ინდოარიული. ჟ. იაკარის აზრით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ერზერუმის, ყარსის და ერზინჯანის რეგიონებში, რომლებიც ხეთურ წერილობით წყაროებში აზზის და ჰაიასას ქვეყნების სახელითაა ცნობილი, თრიალეთის ყორღანების ამგებ ხალხს ეკუთვნოდა (Yakar, 1992: 513-514). თუმცა გაურკვეველია, აზზის და ჰაიასას ხალხს ის ხურიტულენოვნად მიიჩნევს, თუ ინდოევროპელებად.

მეცნიერთა ნაწილი თვლიდა, რომ წინამორბედი ხანის მტკვარ-არაქსის და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის მემკვიდრეობითობა არ ჩანს. თუმცა დღეისათვის გარკვეულია, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მრავალფენიან ნამოსახლარებზე, განსაკუთრებით შიდა ქართლში (ხაშურის ნაცარგორა, ციხიაგორა, ქვაცხელები B), გამოვლინდა კულტურული ფენები, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებალი კერამიკის გარდა, დადასტურდა განსხვავებული კერამიკული ფორმები, რომლებიც განსხვავებული ტექნოლოგიით იყო დამზადებული (Рамишвили, 1991: 136; მახარაძე, 1994: 66-74; ორჯონიკიძე, 1996; ორჯონიკიძე, 2004; შანშაშვილი, რამიშვილი, 2010: 115-125; Puturidze, Rova, 2011; Puturidze, Rova, 2012). ასეთი კერამიკა ცნობილი იყო ე.წ. ადრეული ხანის ყორღანებიდან, რომლებიც პირველად თრიალეთში აღმოჩნდა და თრიალეთის „ბრწყინვალე ხანის“ ყორღანებისაგან განსხვავების მიზნით, ბ. კუფტინმა მათ ძველი ბრინჯაოს ხანის ყორღანები უწოდა. შემდგომში ამ ტიპის ძეგლები აღმოჩნდა სამგორში, ბედენის პლატოზე და მარტყოფში (უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ადრეყორღანული კულტურა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებთან მიმართებაში მოძველებულია და გადახედვას საჭიროებს, რადგან სამხრეთ კავკასიაში ადრეული ყორღანები ძვ.წ. IV ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება და მიეკუთვნება ე.წ. ლეილათეფეს კულტურას (Махарадзе, Орджоникидзе, 2007: 83-84). დღეისათვის მეცნიერები ე.წ. ადრეყორღანული კულტურის ძეგლებში ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს გამოყოფენ: მარტყოფულსა და ალაზან-ბედენურს, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ თრიალეთის „ბრწყინვალე ყორღანების“ კულტურას. ამ მონაცემების საფუძველზე მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შუა ბრინჯაოს ხანის კულტურები ადგილობრივი კავკასიური კულტურების

ევოლუციური განვითარების შედეგად წარმოიქმნა, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს არის უცხო ეთნიკური ელემენტის ადგილობრივ, კავკასიურ გარემოში შემოღწევის შედეგი. ადგილობრივი კულტურების განვითარების შედეგად წარმოქმნილად თვლიდა მას ბ. კუფტინი. შემდგომ, ახალი არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენისას ბ. კუფტინის შეხედულება გაიზიარეს სხვა მეცნიერებმაც (სრული ბიბლიოგრაფია იხ. Кушнарёва, 1993: 93). თუმცა იგივე ავტორები არ გამორიცხავდნენ ადგილობრივ სუბსტრატზე უცხო კულტურების ზეგავლენას.

სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისისა და დასასრულის შესახებ მეცნიერებს შორის ერთი აზრი არ არსებობს. თუმცა მეცნიერთა უმეტესი ნაწილის აზრით, სამხრეთ კავკასაში შუა ბრინჯაოს ხანა, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში იწყება და ძვ.წ. XVI საუკუნემდე გრძელდება. ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული იყო ბედენის, თრიალეთის, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის, ყიზილ-ვანქის და პროტოკოლხური არქეოლოგიური კულტურები. ამ კულტურების დათარიღების, წარმომავლობის და გავრცელების არეალის საკითხებიც არ არის დღეისათვის საბოლოოდ გადაწყვეტილი, არ არის გარკვეული მათი ურთიერთმიმართების საკითხებიც (ნარიმანიშვილი, 2009: 59).

გეოგრაფიულად ჩვენი ნაშრომი ცენტრალური სამხრეთ კავკასიით, მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის ორმდინარეთით იფარგლება (ტაბ. I). ეს გამოწვეულია იმით, რომ კავკასიის ამ ნაწილში ყველაზე კარგად არის წარმოდგენილი შუა ბრინჯაოს ხანაში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესის ამსახველი მასალები და მათ შორის მითო-რელიგიურ საკითხების კვლევასთან დაკავშირებული მონაცემები.

კ. კუშნარევა შუა ბრინჯაოს ხანაში მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ოთხი კულტურის: თრიალეთის, კარმირ-ბერდის, სევან-უზერლიკის და ყიზილ-ვანქის არსებობას ვარაუდობს (Кушнарёва, 1993: 163-170). მისი აზრით, თრიალეთის, კარმირ-ბერდის და ყიზილ-ვანქის კულტურების არქეოლოგიური ძეგლები სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ოლქებშია გავრცელებული. კ. კუშნარევა მათ კულტურათა ბლოკად განიხილავს (Кушнарёва, 1993: 95-96). ო. ბელი და ვ. ბაჰშალიევი შუა ბრინჯაოს ხანაში მონათესავე ექვს კულტურას გამოყოფენ:

თრიალეთის, თაზაკენტის, სევან-უზერლიკის, ყიზილ-ვანქის, ნახჭევანის და ვანი-ურმიის (Belli, Bahshaliyev, 2001: 63). სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და ვანი-ურმიის ტბების მიდამოებში შუა ბრინჯაოს ხანაში გავრცელებული კულტურების ურთიერთმიმართების თაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. თუმცა ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს თრიალეთის კულტურის ახლო კავშირს ყველა ამ კულტურასთან.

შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები ბ. კუფტინმა პირველად თრიალეთში შეისწავლა. თრიალეთის პლატოზე მან გათხარა ყორღანები, რომლებიც ერთ კულტურას მიაკუთვნა და მათში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოყო. პირველი ჯგუფის ყორღანები ძველი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა (Куфтин, 1941: 101-105), მეორე კი („თრიალეთის ყორღანების აყვავების ხანა“) – შუა ბრინჯაოს ხანით, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანით დაათარიღა (Куфтин, 1941: 79-100). ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი თრიალეთის ადრეული ჯგუფის ყორღანებს ზოგიერთი მეცნიერი ადრე ბრინჯაოს ხანით ათარიღებს (გოგაძე, 1972: 15-16, 95; Дедабришвили, 1979: 59), ნაწილი კი მათ შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს (Джавахишвили, 1973: 266-267; ჯაფარიძე, 2003: 136). 1957-1971 წლებში ბედენის პლატოზე გაითხარა დიდი ყორღანები, რომლებშიც თრიალეთის ადრეულ ყორღანებში აღმოჩენილი მასალების გვერდით სრულიად განსხვავებული არტეფაქტები აღმოჩნდა. ახალი მონაცემების საფუძველზე ამ კულტურას ბედენის კულტურა ეწოდა (გ. გობეჯიშვილი 1981), რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს (ჯაფარიძე, 2003: 136).

ბედენის კულტურის ძეგლები სამხრეთ კავკასიის ბევრ რეგიონშია გამოველნილი. ამ კულტურას მიეკუთვნა ადრე გათხრილი ზოგიერთი ძეგლიც (მაგ. ბეშთაშენი, შენგავითი). ალაზნის ველზე, წნორთან 1973-1975 წლებში გაითხარა ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის შემცველი ორი დიდი ყორღანი (Дедабришвили, 1979). ამ ტიპის ძეგლების სიმრავლის გამო, შ. დედაბრიშვილმა ადრებრინჯაოს ხანაში გამოყო ალაზან-ბედენური ქრონოლოგიური ჯგუფი (Дедабришвили, 1979: 59). 1978-1982 წლებში კახეთში, მარტყოფთან გაითხარა რამდენიმე ყორღანი, რომელთაგან ხუთი ბედენური ტიპის კერამიკის შემცველი იყო, ხოლო დანარჩენი - ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში ადრეულ ყორღანებში

გამოვლენილი მასალის მსგავსი (ჯაფარიძე, 1998). გამომდინარე აქედან, კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების ადრეულ ჯგუფში ორი ეტაპი - მარტყოფული (ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები) და ალაზან-ბედენური (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანები) გამოყო (Пицхелаури, 1987: 21-24). პარალელურად აღმოჩნდა ბედენური კულტურის ნამოსახლარები და სამლოცველოები (ილტო, ხაშურის ნაცარგორა, ბერიკლდეები, ჟინვალი, ციხიაგორა, შენგავითი).

ბედენის კულტურა ძირითადად მოიცავს ცენტრალურ კავკასიას. ჩრდილო-დასავლეთით აღწევს შავ ზღვამდე (ჯალაბაძე, 1998), ხოლო ჩრდილო აღმოსავლეთით - დაღესტნამდე (ჯაფარიძე, 1998: 133-134). სამხრეთით ეს კულტურა მდ. არაქსამდე ვრცელდება (Орджоникидзе, 2014: 206).

თრიალეთის კულტურა. მე-20 საუკუნის 30-40-ან წლებში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე, თრიალეთში გამოვლინდა ახალი კულტურული კერა, რომელსაც თრიალეთის კულტურა ეწოდა (Куфтин, 1948: 3). თრიალეთში, წალკის წყალსაცავისა და ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ბორის კუფტინმა არაერთი ძეგლი შეისწავლა (Куфтин, 1941; Куфтин, 1948). ამ მონაცემების საფუძველზე მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, გამოვლინდა ახალი არქეოლოგიური კულტურები (ნარიმანიშვილი, 2009: 23). თრიალეთის „ბრწყინვალე“ ყორღანები ე. გოგაძემ სამ ჯგუფად დაყო და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა (გოგაძე, 1972: 95). ეს თარიღი გაზიარებულ იქნა სხვა მკვლევარების მიერ და ყველაზე მიღებულ თარიღად ითვლებოდა დიდი ხნის მანძილზე. შემდეგში, გ. ქავთარაძემ, კალიბრირებული C14 თარიღების გათვალისწინებით, თრიალეთის ადრეული ყორღანები ძვ.წ. III ათასწლ. I ნახევრითა და შუა ხანებით დაათარიღა. „ბრწყინვალე“ ყორღანები მან სამ ჯგუფად დაყო და მათი თარიღი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნეებით განსაზღვრა (ქავთარაძე, 1981: 102-103; Кавтарадзе, 1983: 116-136; Кавтарадзе, 1987: 16). უკანასკნელ ხანებში მეცნიერთა ნაწილმა გაიზიარა გ. ქავთარაძის დათარიღება (Кушнарёва, 1997: 106; Кушнарёва,

Рысин, 2001: 109). ო. ჯაფარიძე თვლის, რომ თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ უშუალოდ მოყვება ადრეყორღანული კულტურის ბედენურ საფეხურს, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის წყვეტს თავის არსებობას, ხოლო თრიალეთის კულტურას მთლიანად ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში ათავსებს (ჯაფარიძე, 1991: 190; ჯაფარიძე, 2003: 156).

ვ. სადრაძე შუა ბრინჯაოს ხანის I ეტაპს ძვ.წ. XX-XVIII სს-ით, II ეტაპს – ძვ.წ. XVIII-XVII სს-ით, III ეტაპს კი ძვ.წ. XVI-XV სს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს (სადრაძე, 2002: 41). გ. ნარიმანიშვილი ბედენურ კულტურას ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებს (ძვ.წ. XXVI-XXIV სს) მიაკუთვნებს, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის I ეტაპს ძვ.წ. XXIII-XXII სს., შუა ბრინჯაოს II ეტაპს XXI-XX სს., ხოლო შუა ბრინჯაოს III ეტაპს ძვ.წ. XIX-XVIII სს ათარიღებს (ნარიმანიშვილი 2009: 63).

ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოყოფილია ადრე ბრინჯაოს ხანის IV - შუა ბრინჯაოს ხანის I საფეხური (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009: 55), ანუ ადრედან შუა ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი, რომელშიც შედის ამირანის გორა III, ილტო, ციხიაგორა და ადრეული ყორღანები (თრიალეთი, მატყოფი, ბედენი). ამ პერიოდში გავრცელებულია სამი სახის ნამოსახლარი: ა). ნამოსახლარები, რომლებიც მხოლოდ მტკვარ-არაქსულ კერამიკას შეიცავენ (კარნუტი, შენგავითი IV, ციხიაგორა B3); ბ). ნამოსახლერები, სადაც გვხვდება შერეული - მტკვარ-არაქსული და ადრე ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა (დვინი, ამირანის გორა III, ციხიაგორა B2, B1, A, ილტო); გ). ნამოსახლარები, სადაც მხოლოდ ადრეყორღანული მასალაა დადასტურებული (შენგავითის კრიპტები, ილტო, ამირანის გორა, სოს ჰუიუქი). ეს პერიოდი ძვ.წ. 2400-2000 წლებით თარიღდება (მახარაძე, 1991; ნარიმანიშვილი, 2009). შუა ბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის საკითხებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მ. ფუთურიძემ (Путуридзе, 1991: 208-223).

ა. სმითის, რ. ბადალიანის და პ. ავეტისიანის მიერ შემუშავებული ქრონოლოგიური პერიოდიზაციის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს II ეტაპი თარიღდება ძვ.წ. 2000-1800 წწ. და მოიცავს თრიალეთი-ვანაძორის I და II ტიპის ძეგლებს (აქ შედის ე. გოგაძის მიერ გამოყოფილი თრიალეთის კულტურის

II და III ეტაპი), ასევე სევან-უზერლიკის კულტურის I საფეხურს. შუა ბრინჯაოს ხანის II ეტაპი თარიღდება არუჩიდან, ლორი ბერდიდან, ნერკინ ნავერიდან, ირგანჩაიდან და გეღაკარიდან მიღებული რადიოკარბონული თარიღების მიხედვით (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009: 56-66). შუა ბრინჯაო III თარიღდება ძვ.წ. 1800/1700-1550 წწ. ოშაკანიდან, ჰორომიდან და გეღაკარიდან მიღებული რადიოკარბონული თარიღების მიხედვით (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009: 68). ეს ეტაპი მოიცავს კარმირბერდის, კარმირვანქის, სევან უზერლიკ II და თრიალეთ-ვანაძორის გვიანი ჯგუფის ძეგლებს.

შუა ბრინჯაო IV - გვიან ბრინჯაო I, ანუ შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპი თარიღდება ძვ.წ. 1500-1450 წწ. და მოიცავს ლჭაშენ-მეწამორ I-ს, შირაკავანს, ნერკინ გეთაშენს, ჰორომს და ირგანჩაი №5 სამარხის ტიპის ძეგლებს (Badalyan, Avetisyan, Smith, 2009: 68, 77).

შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ზედა ქრონოლოგიურ ზღვართან დაკავშირებით გამოთქმული მ. ფუთურიძის პოზიციის მიხედვით, აღნიშნული კულტურა არსებობას განაგრძობს ძვ.წ. XVII საუკუნის პირველ მეოთხედამდე, რომლის შემდეგაც მას უშუალოდ მოსდევს შუა ბრინჯაოს ხანის გვიანდელი, III ფაზის ძეგლები. ისინი, მართალია, გენეტიკურად უკავშირდებიან მას, მაგრამ მთელი რიგი არსებითი ნიშნების დაკარგვის გამო, უკვე აღარ წარმოადგენენ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურას, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის II ეტაპად მიაჩნია მკვლევარს (Puturidze, 2014: 278-285).

გ. არეშიანი ძვ.წ. XXV-XXIV საუკუნეებს სამხრეთ კავკასიაში ადრედან შუა ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპად მიიჩნევს. მისი აზრით შუა ბრინჯაოს ხანა მოიცავს ძვ.წ. XXIII-XVI საუკუნეებს და იყოფა სამ ეტაპად: შუაბრინჯაო I გავრცელებულია ძვ.წ. XXIII-XII საუკუნეებში, შუაბრინჯაო II - ძვ.წ. XXI-XVIII სს. ხოლო შუაბრინჯაო III - ძვ.წ. XVIII-XVI სს. თრიალეთის კულტურა, მისი აზრით, შუაბრინჯაო II ეტაპს ეკუთვნის და შესაბამისად ძვ.წ. XXI-XVIII სს თარიღდება (Areshian, 2008: 54). ამგვარი დათარიღება გ. არეშიანმა მიიღო თრიალეთის კულტურის ყორღანებში ნაპოვნი ლითონის არტეფაქტების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც მისი აზრით ყველაზე ახლო პარალელებს მცირე აზიაში და ეგეოსურ სამყაროში პოულობენ (Areshian, 2008: 54).

თრიალეთის კულტურა გავრცელებულია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე აღწევს, სამხრეთით კი მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზე გადადის და არტაანის მტკვრის აუზშიც ვრცელდება (ჯაფარიძე, 1991: 177-182; Кушнарёва, 1993: 100-101; Пицхелаури, 1987: 24). თრიალეთის კულტურა განსაკუთრებით მძლავრადაა წარმოდგენილი სამხრეთ საქართველოში – თრიალეთში, ზურტაკეტში, ტაბაწყურთან, მესხეთში. დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე ტაშირ-ძორაგეტის მხარეში (ლორი-ბერდი, კიროვაკანი, ყარაშამბი) და არარატის ველზე (ეჩმიაძინი, ახჩაყალა, ვოსკევაზი, არუჩი) გვხვდება (ჯაფარიძე, 1991: 181-182).

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ თრიალეთის კულტურა გაცილებით დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული და მოიცავს ყველა დანარჩენი თანადროული კულტურების არეალსაც, რაც მის გამორჩეულობაზე და სიძლიერეზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ თრიალეთის კულტურის კერამიკაში გამოირჩევა ჭურჭლის ტიპები და ორნამენტული მოტივები, რომლებიც სამხრეთკავკასიური შუა ბრინჯაოს სხვა კულტურებისათვისაც არის დამახასიათებელი.

კერამიკული ნაწარმი, ორნამენტი, იარაღი და სხვა სამხრეთკავკასიური შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების ერთ კულტურად წარმოჩენის საშუალებასაც იძლევა თითქოს. სიახლოვე იმდენად აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურებს კულტურათა ბლოკადაც განიხილავენ (Кушнарева, 1993; ფუთურიძე, 1984: 64-76).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სხვა კულტურებისაგან განსხვავებით, თრიალეთის კულტურის საზოგადოება გამოირჩევა რთული სოციალური სტრუქტურით და მძლავრი მატერიალური წარმოებით, რაც გამოიხატა გრანდიოზული დასაკრძალავი ყორღანების მშენებლობაში. ასევე, ხელოსნობის ცალკეულ დარგებად დიფერენცირებაში (Puturidze, 2003: 111-128). სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არც ერთ სხვა კულტურას, ბედენის კულტურის გარდა, არ ახასიათებს უზარმაზარი დასაკრძალავი ყორღანების მშენებლობა. თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილი მასალა უნიკალურია თავისი სიმდიდრით. ოქრომჭედლობის ნიმუშები და ტორევტიკა არ ჩამოუვარდება ურის სამეფო სამარხებში აღმოჩენილ ნიმუშებს.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანია ამ ეპოქის დასახლების ტიპის და ხასიათის გათვალისწინება, რადგან დასახლება - სამოსახლო არე თავისთავად დახურულ, დაცულ სივრცეს წარმოადგენდა, რომელიც კოსმიური წესრიგის შემადგენელი ნაწილი იყო. ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული არქიტექტურული ნაგებობებისა და საცხოვრებლის ინტერიერის მოწყობაზე ყურადღების მიქცევა, რამდენაც საცხოვრებლის ერთი ნაწილი ან ინტერიერის ისეთ ძირითად ელემენტს, როგორიცაა კერა და ღუმელი მაღალი სარიტუალო დატვირთავა ჰქონდა არა მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანაში, არამედ შემდგომშიც, ათასწლეულების მანძილზე. თუმცა, მონაცემების სიმცირის გამო შუა ბრინჯაოს ხანის დასახლების ტიპსა და საცხოვრებელ არეზე ჩვენი ცოდნა შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, დღეისათვის თრიალეთის კულტურის მატარებელ ტომთა ცხოვრების წესის, საზოგადოებრივი განვითარების დონის, ეკონომიკური და სოციალური ატრიბუციის საკითხების კვლევისას მეცნიერებს განსხვავებული აზრი აქვთ. ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ეპოქის საზოგადოებისათვის მომთაბარე ცხოვრების წესი იყო განმსაზღვრელი, ნაწილის აზრით ამ ეპოქაში წამყვანი დარგი მიწათმოქმედება და ხელოსნობა იყო, დამჯდარი ცხოვრების წესი განსაზღრავდა სოციალურ მდგომარეობასაც.

თუ ბედენის კულტურის ნამოსახლარები სამხრეთ კავკასიაში დღეისათვის საკმაოდაა გათხრილი და ეს კულტურული ფენები სხვადასხვა ეპოქის მრავალფენიან ნამოსახლარებზე გვხდება, შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ნამოსახლები ნაკლებადაა შესწავლილი. ეს განსაკუთრებით ეხება ამ კულტურის ადრეულ საფეხურებს, რომელთა მრავალფენიანი ნამოსახლარები ჯერ მიკვლეული და გათხრილი არ არის. თრიალეთის კულტურის სუსტი ფენები კახეთში არაერთ ხელოვნურ ბორცვზე დაფიქსირდა (ფიცხელაური, 2013: 409-433). შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულის მძლავრი დასახლება კი თრიალეთში, ჯინისის ნამოსახლრზეა მიკვლეული (ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, 2010: 207-253).

თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალი თითქმის ფარავს იმ ტერიტორიას რომელზეც მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებია დადასტურებული, თუმცა, არაა ისე შორს სამხრეთ-დასავლეთით გავრცელებული, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა.

კარმირ-ბერდის (თაზაკენტის) კულტურა. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურებიდან შედარებით უკეთაა შესწავლილი კარმირ-ბერდის კულტურა. ამ კულტურის ყველა ცნობილი ძეგლი ლოკალიზებულია სომხეთის ზეგანის ჩრდილოეთ ნაწილში (მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში). დასავლეთიდან შემოსაზღვრულია მდ. ახურიანით, აღმოსავლეთიდან - მდ. აქსტაფით. უდიდესი კონცენტრაცია შეინიშნება არარატის ველზე. გავრცელებულია შირაქის პლატოზე, სევანის ტბის ნაპირებზე და არაგაწის ფერდობებზე.

კარმირ-ბერდის კულტურის კერამიკას ახასიათებს წითლად ანგობირებული ზედაპირი, რომელიც შავი საღებავითაა მოხატული. ორნამენტულ მოტივებში სჭარბობს ფართო ფრიზები მეტოპებით, ე.წ. „ორმაგი ცულები“, „ჭადრაკისებრი“ ორნამენტი, სამკუთხედები და სპირალები. კ. კუშნარიოვას აზრით, ამ კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს ვერინ-ნავერის სამაროვანი წარმოადგენს, რომლის მასალის საფუძველზე გამოვლენილია კარმირ-ბერდის კულტურის ძირითადი ნიშნები (Кушнарева, 1993: 134-135). კარმირ-ბერდის კულტურისათვის დამახასიათებელია ქვა-მიწაყრილიანი ყორღანები, მართკუთხა ორმოსამარხებით, რომლებიც კრომლეხებითაა შემოზღუდული. სამარხებში ძირითადად ერთი მიცვალებულია დასვენებული. ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ორი კერამიკული ჭურჭელი საქართველოს ტერიტორიაზეცაა აღმოჩენილი (რუსთავი და ნარეკვავი). კუშნარიოვა მათ კარმირ-ბერდის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალიდან შემოტანილად თვლის (Кушнарева, 1993: 136). კ. კუშნარიოვა მიიჩნევს, რომ კარმირ-ბერდის კულტურისათვის დამახასიათებელია ციკლოპური სიმაგრეები (კარმირ-ბერდი, ლჭაშენი). ამის გარდა, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზოგიერთ ნამოსახლარზე (აიგევანი, ჯრაოვიტი) მტკვარ-არაქსის და კარმირ-ბერდის კულტურების კერამიკა ერთ ფენაში გვხვდება და შესაბამისად მტკვარ-არაქსის კულტურა საფუძვლად დაედო არა მარტო თრიალეთის კულტურას, არამედ კარმირ-ბერდის კულტურასაც (Кушнарева, 1993: 149-150). კარმირ-ბერდის კულტურის ქვედა ზღვარი ძვ.წ. 23-21 საუკუნეებით, ხოლო ზედა - ძვ.წ. 19-18 სს. განისაზღვრა (Кушнарева, 1993: 151). ამ კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები გათხარა ა. სიმონიანმა და საყურადღებო გამოკვლევებიც გამოაქვეყნა (Симонян, 1983**:** 90-96; Симонян, 1984**:** 122-135; Симонян, 2011: 218-226).

სევან-უზერლიკის კულტურა მოიცავს კარმირ-ბერდის კულტურის გავრცელების ტერიტორიას მთლიანად. მრავლადაა გამოვლენილი არარატის ველზე (მუხანათ-თაფა, მეწამორი, ჯრაოვიტი, ეჩმიაძინი, გარნი, აღჯაყალა-გრამპა, ციცერნაკა-ბერდი), ვრცელდება უფრო აღმოსავლეთითაც, მოიცავს მილის სტეპს და მათ მომიჯნავე მთისწინა ზოლს სამხრეთით. სისტემატური გათხრები ჩატარებულია არიჭის სამაროვანზე და უზერლიკ-თეფეს ნამოსახლარზე (მილის სტეპი). უზერლიკ-თეფე ამ კულტურის ეტალონური ძეგლია. ნამოსახლარი განლაგებულია 10 მ სიმაღლის ბორცვზე. გათხრები ჩატარდა აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც გამოვლინდა 3 მ სისქის კულტურული ფენა. ფენა სამ ჰორიზონტადაა დაყოფილი (Кушнарева, 1993: 152). ქვედა ჰორიზონტში დადასტურდა თიხით მოლესილი ხის სახლების ნაშთები. სახლები ხის ბოძებზე იდგა. გადახურვაც ხისა ჰქონდა. თიხატკეპნილი იატაკი ჭილოფით იყო დაფარული. ერთ-ერთი სახლის კერაში თიხის ტიგელი აღმოჩნდა. არქეოლოგებმა ამ შენობას ”მელითონის სახლი” უწოდეს. იქვე მრავლად აღმოჩნდა სანაყები, ხელსაფქვავები, სასრესები, ქვის ხუფები და სხვა (Кушнарева, 1993: 154). შუა ჰორიზონტი ანალოგიური ხის არქიტექტურითაა წარმოდგენილი. ამ ეპოქის ნამოსახლარს ალიზის აგურით ნაგები დამცავი კედელი აქვს გარშემორტყმული. დიდი ზომის წითლადანგობირებული და მოხატული კერამიკა მხოლოდ მესამე ჰორიზონტში ჩნდება. ის დიდი ზომის ჭურჭლებითაა წარმოდგენილი. მოხატულობა ძირითადად სწორი, ტალღოვანი და ირიბად დაშტრიხული რომბებისაგან შედგება. ზოგ შემთხვევაში ფონად კრემისფერი საღებავი გამოიყენებოდა. არქიტექტურა ქვედა ფენების ანალოგიურია. მესამე ჰორიზონტში ასევე მრავლად აღმოჩნდა ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები. აღსანიშნავია ადამიანის ხელის ფორმის ძვლის „სავარცხელი“ საქსოვი დაზგისათვის და ქალის აბსტრაქტული ქანდაკება აშკარად გამოხატული სტეატოპიგიით. უზერლიკ-თეფეს ზედა ფენების თანადროული უნდა იყოს მილის სტეპებში დადასტურებული მრავალფენიანი ნამოსახლარები (გეოი-თეფე, რასულ თეფე, ნარგიზ-თეფე, ხან-თეფე, უზუნ-თეფე), რომლებიც ჯერ არაა გამოკვლეული (Кушнарева, 1993: 155-156).

სრულიად განსხვავებულია სევან-უზერლიკის კულტურის მეორე ნამოსახლარი - ლორი-ბერდი, რომელიც ჩრდილოეთ სომხეთის მაღალმთიან რეგიონში

მდებარეობს. აქ მიკვლეულია ვრცელი სამაროვანი და დიდი ნამოსახლარი მონუმენტური ქვის ნაგებობებით. ნამოსახლარი ციკლოპური კედლებითაა გამაგრებული, რომელთა სისქე ზოგან 7 მ-ს აღწევდა. ნამოსახლარი ძვ.წ. 18 საუკუნის მეორე ნახევრით - 16 საუკუნით თარიღდება. აქ წარმოდგენილია კარმირ-ბერდის და სევან-უზერლიკის/სევან-არწახის კულტურების კერამიკა. შენობები შედგებოდა მართკუთხა და კვადრატული გეგმის რამდენიმე ოთახისაგან. კედლები ქვითაა ნაგები მშრალი წყობით. ს. დევეჯიანი მიიჩნევს, რომ ლორი ბერდის ნამოსახლარი წარმოადგენდა ქალაქური ტიპის გამაგრებულ ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს (Devedjian, 2006: 413). ნამოსახლარზე აღმოჩნდა განვითარებული მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელი ყოფითი ინვენტარი: ხელსაფქვავები, სანაყები, სასრესები, ნამგლის ჩასართები, სატეხი, სადგისი, საფხეკები და სხვა იარაღი. კ. კუშნარევა აღნიშნავს, რომ თითოეული ნამოსახლარის იერი ეკოლოგიური პირობებითაა განპირობებული, აგრეთვე სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსებით. ამასთანავე ორივე ნამოსახლარს დამცავი კედლები აქვს, რაც მსგავს სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციაზე მიუთითებს (Кушнарева, 1993: 158). ამ კულტურის ძეგლებზე თანაარსებობს ”სამზარეულო”, შავპრიალა და მოხატული კერამიკა. მოხატულობა შესრულებულია წითელი და შავი ფერებით. ორნამენტულ მოტივებში სჭარბობს ჰორიზონტალური სარტყლები, ირიბი დაშტრიხული რომბების რიგი და პარალელური ტალღოვანი ხაზები. ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში გავრცელებულია შავპრიალა კერამიკის თეთრი პასტით ინკრუსტირება. ამ კულტურისათვის ასევე დამახასიათებელია ქვა-მიწაყრილიანი ყორღანები. ლჭაშენის № 6 ყორღანში, სწორკუთხა ფორმის ორმოსამარხის ორ კუთხეში აღმოჩნდა შეწირული ხარის თავის ქალა და კიდურები. კ. კუშნარევა სევან-უზერლიკის კულტურას ძვ.წ. 18-17 საუკუნეებით ათარიღებს (Кушнарева, 1993: 163).

ყიზილ-ვანქის კულტურა ძირითადად ნახჭევანის ტერიტორიაზეა გამოვლენილი. ამ ტიპის ძეგლები სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებში თითქმის არაა გავრცელებული. აღმოჩენილია მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ნახჭევანის მომიჯნავე ტერიტორიაზე. ყიზილ-ვანქის კულტურას ეკუთვნის მრავალფენიანი ნამოსახლარის - ქიულ-თეფე I-ის მესამე ფენა, რომელიც 2-3 მ

სისქისაა. აქ დადასტურდა სწორკუთხა სახლები ქვის იატაკებით და ალიზის კედლებით. სახლებში აღმოჩნდა „სამზარეულო” და მოხატული ჭურჭელი, ხელსაფქვავები, ნამგლის პირები, ობსიდიანის დანები და სხვა ყოფითი ნივთები (Кушнарева, 1993: 164). ამავე ფენაში ნაპოვნია ღია ფერის ანგობით დაფარული ორხელა მათარა, რომლის წინა მხარე წითელი და შავი საღებავითაა მოხატული: ცენტრში გამოსახულია დიდი ექვსქიმიანი ვარსკვლავი, რომლის სხივებს შორის ფრინველის მსგავსი ფიგურებია მოცემული. ამ ტიპის ჭურჭელი კავკასიისათვის უნიკალურია, საკმაოდ კარგადაა ცნობილი ირანში, კერძოდ მოხატული მათარები ნაპოვნია ლურისტანში. კ. კუშნარევას აზრით, ნახჭევანში აღმოჩენილი მოხატული მათარა ირანულ კერამიკასთან იჩენს მსგავსებას და საერთოდაც, ყიზილ-ვანქის კულტურის განმსაზღვრელი კერამიკის პოლიქრომულ მოხატულობას ანალოგები მხოლოდ ჩრდილო ირანის ძეგლებზე მოეპოვება (Кушнарева, 1993: 170).

ქიულ-თეფე II გამაგრებული ნამოსახლარია. შუა ბრინჯაოს ფენა 4-4,5 მ სისქისაა და ოთხ სამშენებლო ჰორიზონტად იყოფა. ნამოსახლარს მძლავრი კედელი იცავს, რომელიც ძვ.წ. 3-2 ათასწლეულების მიჯნაზე აშენდა. კედლის ქვედა ნაწილი ქვითაა ნაგები, ზედა კი - ალიზის აგურით. კედლების სიმაღლე 10 მ-ს აღწევდა. ნამოსახლარის შიდა ტერიტორიაზე ციტადელი იდგა, რომლის ფართობი 3 ჰა-ს უდრის. ციტადელი წარმოადგენს მძლავრ ხუთკუთხა სიმაგრეს მართკუთხა კოშკებით. შესასვლელი ფლანკირებული იყო კონტრფორსებით. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან ღრმა არხი იყო გათხრილი. საცხოვრებელი სახლები მართკუთხა გეგმარებისაა. ისინი დასახლების ქუჩების ორივე მხარეს იყვნენ განლაგებულნი. ქუჩა ქვით იყო მოკირწყლული. ნამოსახლარზე დადასტურებულია საწარმოო და საკულტო ხასიათის ნაგებობები, „ხელოსანთა კვარტალი”, ქვის და ლითონის იარაღები, ყიზილ-ვანქის კერამიკის ანალოგიური მონო და პოლიქრომული კერამიკა (Кушнарева, 1993: 164-165).

ქიულ-თეფე II-ს ნამოსახლართან დაკავშირებულია უნიკალური საწარმოო კომპლექსი, უძველესი მარილის მაღარო - დუზდაღის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ ნამოსახლარის მოსახლეობა ამ ძვირფასი პროდუქციის მოპოვებით და რეალიზაციით იყო დასაქმებული. მაღაროში აღმოჩენილია ჰორიზონტალური შახტა, რომელიც დერეფნის და ათი კამერისაგან შედგებოდა. მაღაროში

აღმოჩენილია ბაზალტის და დიორიტო-პორფირის ურიები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ქიულ-თეფე I და ქიულ-თეფე II ნამოსახლარებზე. ამ იარაღის კვალი უძველესი შახტის კედლებზეა შემორჩენილი (Кушнарева, 1993: 165).

ყიზილ-ვანქის კულტურის მატარებელი საზოგადოება თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ ქვებით გარშემოვლებულ კამერებში. გავრცელებულია ქვაყუთები და ორმოსამარხები, რომლებიც იშვიათად კრომლეხებითაა გარშემორტყმული. ამ კულტურის მახასიათებელს მოხატული კერამიკა წარმოადგენს. ის ხელითაა ნაძერწი. დაფარულია წითელი ანგობით, რომლის ზემოდან, ღია ფონზე შავი და წითელი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია დატანილი: შევსებული სამკუთხედები, ბადეები, რომბები და მართკუთხედები. ანალოგიური კერამიკა ჩრდილო-დასავლეთ ირანში - ჰაფთავან-თეფესა და გეოი-თეფეზეა გავრცელებული. კ. კუშნარევას აზრით, სამხრეთკავკასიურ კერამიკასთან ერთად ის ერთიან კულტურას წარმოადგენს (Кушнарева, 1993: 165-167).

მრავალფენიანი ნამოსახლარი ჰაფთავან-თეფე ირანში, ურმიის ტბის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ყიზილ-ვანქის ტიპის კერამიკა დადასტურდა VI ფენაში, რომელიც ძვ.წ. 1900-1700 წწ. თარიღდება. ტერასული დასახლება ორი სამშენებლო პერიოდითაა წარმოდგენილი. საცხოვრებელი სახლები სწორკუთხა ფორმისაა, აშენებულია ალიზის აგურით. კერამიკა დაფრულია წითელი ანგობით, ოდნავ გაპრიალებული. ზედა ნაწილი შემკულია ღია ფონზე წითელი, ნარინჯისფერი, ყავისფერი და შავი საღებავით დატანილი ორნამენტით. ფართო ფრიზები ჰორიზონტალურ სარტყლებშია ჩასმული. ორნამენტი წარმოდგენილია ირიბად დაშტრიხული მართკუთხედებით, წაგრძელებული სამკუთხედებით, ჭადრაკული მოტივით, ფრინველების გამოსახულებებით (Edwards, 1981:სურ. 10-21).

მსგავსი კერამიკა დადასტურებულია როგორც ირანის სხვა თანადროულ ძეგლებზე (გეოი-თეფე, თეფე-გიანი, ჯამშიდი), აგრეთვე თურქეთში, ვანის ტბის აღმოსავლეთითაა ნაპოვნი (Çilingiroğlu, 1984: 9, სურ. 1-4). ჩრდილო ირანის ძეგლების დათარიღებიდან გამომდინარე, ყიზილ-ვანქის კულტურას კ. კუშნარევა სავარაუდოდ ძვ.წ. 1900-1600 წწ. ათარიღებს (Кушнарева, 1993: 170). მოხატულ კერამიკას, რომელსაც კ. კუშნარევა „ყიზილ ვანქის“ კულტურაში აერთიანებს, ა.

ჩილინგიროღლუ „ვან-ურმიის კულტურას“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ ვანის და ურმიის ტბების მიდამოებში ამ ტიპის მონო და პოლიქრომული კერამიკა ადრე რკინის ხანამდე უწყვეტად არსებობს (Çilingiroğlu, 1984: 130). ზოგიერთი აზერბაიჯანელი არქეოლოგი გამოყოფს ცალკე ნახჭევანის კულტურასაც (Belli, Bashaliev, 2001: 63), თუმცა მეცნიერთა ნაწილი მათ არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მონო და პოლიქრომული კერამიკა, რომელიც ნახჭევანის რეგიონისთვისაა დამახასიათებელი და გავრცელებულია ურმიისტბისპირეთში, მილის სტეპებში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში და თანამედროვე საქართველოს და სომხეთის ტერიტორიაზე ოთხ კულტურად შეიძლება გაიყოს: სევან-უზერლიკის, თაზაკენტის (კარმირ-ბერდის), თრიალეთის და ვან-ურმიის კულტურებად (Belli, Bakhshaliev, 2001: 63-70). შუა ბრინჯაოს ხანის მონოქრომულ კერამიკას ო. აბიბულაევი ძვ.წ. XVIII-XVI სს. ათარიღებს, ხოლო პოლიქრომულს - ძვ.წ. XVI-XIV სს. გვიანი ბრინჯაოს ხანის მოხატულ კერამიკას კი - ძვ.წ. XIV-XI სს. (Belli, Bakhshaliev, 2001: 70). ვ. ალიევი შუა ბრინჯაოს ხანის მოხატულ კერამიკას ძვ.წ. XX-XV სს. შორის აქცევს (Belli, Bakhshaliev, 2001:71).

აღსანიშნავია, რომ თრიალეთის კულტურის ძეგლები აზერბაიჯანში ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე ნახჭევანშია (იაიჩი, კერკი, აზნებიურთი, კარაჩუკი, შორთეფე, შახტახტი, ნეჰესირი, აზნე) დაფიქსირებული (Belli, Bahshaliev, 2001: ტაბ. 9,13-18).

ამდენად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების მატარებელი საზოგადოების მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის შესწავლა იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ზემოთ განხილული კულტურების ძეგლებზეა წამოდგენილი.

სამხრეთ კავკასიის უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს და არაერთი გამოკვლევაა გამოქვეყნებული.

ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვლევისას ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა „წარმართობის შესახებ საქართველოში ძველს ქართულსა და მეზობელ ერთა მწერლობაში სხვადასხვა ცნობები მოგვეპოვება. ამასთანავე მრავალი წარმართობის დროინდელი ზნე-ჩვეულებანი და თქმულებებიც არის ხალხში დარჩენილი, რომელთა შესწავლას შეუძლია ძვირფასი მასალა

მოგვცეს ძველ ქართველთა წარმართ ღვთაებათა საფუძვლის წარმოსადგენად. მაგრამ თვით საგანი მეტად რთულია და დიდი სიფრთხილე და კრიტიკული წინდახედულებაა საჭირო, რომ უცხო ქართულად არ ვცნათ, ახალი ძველად არ გვეჩვენოს. ამიტომ, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც შემდეგს, ისტორიულად კარგად ცნობილს, დროში, ისევე წინათაც, უუძველს ხანაშიაც, ქართველებს სხვადასხვა უცხო ერთან, მაგ. ასურელებთან სპარსელებთან, ბერძნებთან, სომხებთან და მრავალ სხვასთან მეგობრული ან მტრული მეზობლობა ჰქონდათ და, რომ, მაშასადამე, ქართულ წარმართობას, ზნე-ჩვეულებას და თქმულებას ამ მეზობლობის კვალი უნდა ემჩნეოდეს" (ჯავახიშვილი, 1979: 78).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიურ საკითხებს პირველად ბ. კუფტინი შეეხო, რომელმაც მის მიერ თრიალეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალების განიხილვის დროს ამ საკითხებსაც მიაპყრო ყურადღება და სამხრეთ კავკასიის და ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ კი მესოპოტამიური კულტურული ტრადიციების სიახლოვეს გაუსვა ხაზი.

ახლოაღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან კავშირზე ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა - „ქართული წარმართობის ზემომოყვანილი მიმოხილვა ცხად-ჰყოფს, როგორც ამ სარწმუნოების ძველის-ძველ თვისებებსა და მახლობელი ძველი აღმოსავლეთის სხვა დიდ ერთა სარწმუნოებასთან უცილობელ კავშირს, ისევე იმ უპირატესობასაც, რომელიც ქართულ წარმართობაში მნათობთა თაყვანისცემას მიკუთვნებული ჰქონია" (ჯავახიშვილი, 1979: 187).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის რელიგიისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ მსჯელობა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით გვიხდება, რადგან ამ საკითხების შესახებ წერილობითი მონაცემები არ გაგვაჩნია. ქართული, სომხური და ალბანური წერილობითი წყაროები ძირითადად ქრისტიანობის გავრცელებას და დამკვიდრებას ეხება და მათში მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ მწირ მონაცემებს ვხვდებით. მწირი ცნობებია დაცული ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებშიც, უფრო ადრეული წყაროები კი ასეთ მონაცემებს პრაქტიკულად არ შეიცავენ. ქართველთა წარმართობის შესახებ ცნობები შემონახულია მოქცევა ქართლისა, ლეონტი მროველსა და ვახუშტი ბაგრატიონთან.

მონაცემთა სიმცირემ განაპირობა ის, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიის განხილვის დროს მკვლევართა აქცენტი მხოლოდ მაზდეანობის გავლენასა და კერპთაყვანისმცელობაზე იყო გადატანილი.

პირველი, ვინც სცადა უძველესი სარწმუნოების სხვაგვარად წარმოჩენა, ივ. ჯავახიშვილი იყო, რომელმაც მანამდე არსებული ყველა შეხედულება გააანალიზა და უძველესი ღვთაებათა უფროს უმცროსობის გარკვევის საფუძვლად ხალხური თქულებები აიღო (ჯავახიშვილი, 1979: 78-204). ჯავახიშვილის მიხედვით „თქმულებათა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ღვთაებათა უმთავრესი ადგილი წმინდა გიორგის უკავია; ... მეორე ადგილი შემოქმედს ღმერთს უკავია; იგი სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელია, შურის მაძიებელი; ..... მესამე ადგილი ელიას უკავია; წვიმა-სეტყვისა, მეხისა, ტაროსისა და ავდრის პატრონი, იგი შემოქმედს ექვემდებარება და მის სურვილს ასრულებს" (ჯავახიშვილი, 1979: 85). ივ. ჯავახიშვილის აზრით წმ. გიორგის ქართველების რწმენაში წარმართობის დროინდელი უზენაესი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია (ჯავახიშვილი, 1979: 88-101).

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ წარმართული პანთეონის სათავეში მდგარი ამ სამი ღვთაების გარდა პანთეონში შედიოდნენ მეორე რიგის ღვთაებები - გავრცელებული იყო მნათობთა თაყვანისცემა (ჯავახიშვილი, 1979: 102-122). მათ რიგში შედიოდნენ: ნადირობისა და მონადირეობის ღვთაებები - ანატორი, ოჩოპინტრე, ბოჩი (ჯავახიშვილი, 1979: 122-126), ადგილის დედოფალი/დედა (ჯავახიშვილი, 1979: 126-133) და კოპალა (ჯავახიშვილი, 1979: 137-138). გავრცელებული იყო ხეთა მსახურება, ხალხის რწმენით საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავს მცენარეულობას, ტყეში და მინდორში მყოფ ნადირსაც (ტყაში მაფა, მესეფი, ნადირთ პატრონი, დალი) (ჯავახიშვილი, 1979: 133-136); „ხალხს ავი სულების მეუფის არსებობაც სწამს. მას ხევსურეთში „კარატის ხატი" ჰქვია, ხოლო მისი სალოცავი სოფ. ლიქოკშია. მას „ექვემდებარებიან" ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები და სხვა მავნე სულები" (ჯავახიშვილი, 1979: 136-137).

ივ. ჯავახიშვილი დიდ ადგილს უთმობს კერპების (არმაზი, ზადენი და სხვ.) შესწავლის საკითხს, რომლის დროსაც მიმოხილული აქვს საისტორიო წყაროები და მეცნიერთა მოსაზრებები (ჯავახიშვილი, 1979: 138-151). საქართველოში

რელიგიური შეხედულებებისა და რწმენა წარმოდგენების ისტორიის შფასებისას ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა „ქართულ წარმართობასაც, რასაკვირველია, თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა და დროთა განმავლობაში განვითარებულიყო, ახალ-ახალი ელემენტებიც შერთვოდა. ქართული წარმართობის თანდათანი ზრდისა და ძველის გარდა ახალი ღვთაებების გაჩენის შესახებ ცნობა უძველეს ქართულ მატიანესაც მოეპოვება. მის ავტორსაც (მოქცევაჲ ქართლისაჲ დ.ნ.) ამ პრობლემის შეგნება ჰქონდა“ (ჯავახიშვილი, 1979: 138).

სამხრეთ კავკასიაში რელიგიური შეხეულებების დროში ცვალებადობის შესახებ ცნობებს სხვადასხვა ენაზე შედგენილ წერილობით წყაროებში ვხვდებით. თუმცა, პირველი სრული სქემა ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული. ვახუშტის თხრობა ძირითადად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველის (ქართლის ცხოვრება, 1955: 8-11, 18-26; 85-90) მონაცემებს ეყრდნობა. თუმცა, მათგან განსხვავებით ვახუშტის ეს საკითხები ცალკე აქვს განხილული და ნაშრომის ამ ნაწილის სათაურია „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ (ქართლის ცხოვრება, 1973: 13-38)

ვახუშტის თხზულებაში გარკვეული ქრონოლოგიური თანამიმდევრობაა ასახული და ამ ცვლილებების დროც შეიძლება ზოგადად იყოს განსაზღვრული. ქართველთა უძველეს ზნე-ჩვეულებათა აღწერისას ვახუშტი ბიბლიურ ქარგას მიყვება და ადამიანის ცნობიერებაში ერთ-ერთ დიდ ცვლილებას კაენის მიერ აბელის მოკვლას უკავშირებს, შემდეგი ცვლილება ნოეს შთამომავლებს უკავშირდება, როდესაც „... ძეთა ნოესთა , ... შესძინეს დატევება დამბადებლისა ღვთისა მისისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნი: კერპნი უსულონი, უტყუნი და ყრუნი, და თაყვანისცემდნენ მას. .... ხოლო ესე ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩუენი, იყვნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უუღთოესნი“ (ქართლის ცხოვრება, 1973: 14).

ვახუშტი ნოეს ძის იაფეტის შთამომავლებზე და კერძოდ ქართლოსიანთა ნათესავებზე საუბრისას მიუთითებს „... სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა”. ამასთან, ქართლოსიანნი მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისს. წეს-ჩვეულებებში მომხდარ დიდ ცვლილებას ვახუშტი ასე აღწერს „და იყნენ მრავალთა წელთა

წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თჳისი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი, და ბერძენნი, და შემდგომად ურიანი. .... დაივიწყეს დამბადებელი თჳისი და წესნი და ჩვეულებანი თჳისნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწარმართესნი და უუსჯულოესნი" (ქართლის ცხოვრება, 1973: 15).

ვახუშტის მიხედვით რწმენა-წარმოდგენებში ეს ცვლილება ქართლოსის ძის, მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. ქვეყანა შინააშლილობამ მოიცვა „და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი (ქართლის ცხოვრება, 1955: 11). ვახუშტიც აღნიშნავს, რომ მცხეთოსის შვილებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და „განძლიერდა მათ შორის ესევითარი შური და ჴდომა, ვიდრე ღმერთიცა დამბადებელი თჳსი დაუტევეს და მსახურებდენ მზესა, მთოვარესა და ვარსკულავთა და უმეტეს იყო მათდა საფიცველად საფლავი ქართლოსისა (ქართლის ცხოვრება, 1973: 50).

ქართლოსიანთა ზნე-ჩვეულებებში მომხდარ შემდგომ ცვლილებას მემატიანეები ალექსანდრე მაკედონელის მოქმედებას უკავშირებენ. ლეონტი მროველი ასე აღწერს ამ მოვლენებს ალექსანდრემ „... მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, ... და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ. ... და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და მსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა (ქართლის ცხოვრება, 1955: 18). ვახუშტი იმეორებს ლეონტის აზრს „ალექსანდრემ დაუდვა რჯული საქართველოთა ერთისა დამბადებლისა ღვთისა თაყვანისცემა, და მზისა, და მთოვარისა, და ვარსკულავთა პატივი" (ქართლის ცხოვრება, 1973: 16, 54).

ვახუშტის ცნობების მიხედვით წარმართი ქართლოსიანნი თავდაპირველად თაყვანს სცემდნენ დამბადებელ ღმერთს და ქართლოსის საფლავს; მომდევნო ეტაპზე თაყვანისცემის ობიექტები ხდება მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ნივთები და პირუტყვები. თუმცა უპირატესი სალოცავი ქართლოსის საფლავი იყო; ალექსანდრე მაკედონელმა „... მოსრნა ... წარმართნი სრულიად, თვინიერ ქართლოსიანთა და

ურიათა გუართა, არამედ ურჩნი თჳსნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნაოზის მამა, ბიძა და სხუანიცა...” (ქართლის ცხოვრება, 1973: 16) და ქართველებს აღუდგინა „დამბადებელი ღვთის” თაყვანისცემა, თუმცა პანთეონში დატოვა მზე, მთვარე და ვარკვლავები.

ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სიტუაცია ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილისთანავე შეიცვალა, აზომ „დაუტევა რჯული” და აღმართა კერპები. „ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: გაცი და გაიმ“ (ქართლის ცხოვრება. 1955: 20). აზოსა და ფარნავაზს შორის ატეხილი ბრძოლა ფარნავაზის გამარჯვებით და აზოს სიკვდილით დასრულდა. სამეფო ტახტზე ასულ ფარნავაზს აზოს მიერ დაწყებული რეფორმა არ შეუჩერებია. პირიქით „საშუალსა გაც და გაიმისა ამართა სახელისა თჳსისა კერპი არმაზ მთასა ზედა და ჴევსა შინა, ქართლოსისა საფლავსა ზედა ...” (ქართლის ცხოვრება, 1973: 16).

საისტორიო ტრადიციის მიხედვით კარგად ჩანს რომ, აზომ, კერპების ქართლოსის საფლავთან გამართვით, ქართველთა მიერ წინაპრის კულტსაც მიაგო პატივი და კულტმსახურების ახალი ეტაპიც დაიწყო. ფარნავაზმა კი არმაზის ქანდაკების გაცი და გაიმ კერპის შორის (ქართლის ცხოვრება, 1973: 58), ქართლოსის საფლავზე აღმართვით უზენაესი ღვთაების ინსტიტუტსაც დაუდო სათავე, წინაპართა კულტსაც მიაგო პატივი და აზოს მიერ აღმართული კერპებიც აღიარა. კერპებს დღესასწაულებზე სწირავდნენ ძროხას, ხარს, ცხვარსა და ნადირს (ქართლის ცხოვრება, 1973: 25). ამდენად, არმაზის კერპის აღმართვით დასრულდა ქართველთა რწმენა-წარმოდგენების ერთ რელიგიურ სისტემაში გაერთიანება და ქართველთა წარმართული პანთეონი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. არმაზი ზეცის, ჭექა-ქუხილის, წვიმის და მცენარეულის მბრძანებელი გახდა.

ქართულ საისტორიო წყაროებში ამგვარად არის წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიის უძველეს რწმენა-წარმოდგენებში და მითო-რელიგიურ აზროვნებაში მიმდინარე ცვლილებები. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვირებულ აზრს კი კარგად გამოხატავს ა. აფაქიძის შეხედულება „... ხალხური გადმოცემები და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართველებს ჰყავდათ საერთო დიდი (უფროსი) ღმერთებიც და სატომო ან სატომთაშორისო ღვთაებებიც.

... ქართველთა წინაპრები ყველაზე დიდ პატივსა და თაყვანს ცის მნათობებს სცემდნენ - მთვარეს, მზესა და ვარსკვლავებს - ვითარცა საერთო ღვთაებებს. ახლა შეიძლება ითქვას, კარგად არის გარკვეული, რომ იმ დროს ქართულ ასტრალურ პანთეონს სამეული მეთაურობდა. პირველი მათგანი უფროსად მიჩნეული უზენაესი ღმერთი იყო, მეორე - ქალღმერთი მზე ან მზექალი, ხოლო მესამე კვირია. უზენაესი ღმერთი ან მორიგე ღმერთი პანთეონსაც ედგა სათავეში და ცხადია - სამეულსაც. ... ამათანავე ირკვევა, რომ უზენაესი ღმერთი - მთვარე-ღმერთია, ე.ი. მამა-ღმერთია“ (აფაქიძე, 1970: 661-662). არმაზის კულტის შემოსვლასთან დაკავშირებით ა. აფაქიძე აღნიშნავს „საკუთრივ ანტიკური ხანისათვის, როდესაც ქართველთა კონსოლიდაციის შემდგომი გაძლიერება შეინიშნება, არ არსებობს საფუძველი რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ვიგულისხმოთ ქართულ წარმართულ პანთეონში“. შემდეგ აღნიშნავს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის მომხდარ ცვლილებებს „... ბუნებრივია უნდა გამოეწვია ზოგიერთი სიახლე რწმენის სფეროში, საზოგადოდ, და ქართული წარმართული პანთეონის მეთავე სამეულში, კერძოდ. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ეს სიახლე უმთავრესად უზენაესი ღმერთის - მთვარე-ღმერთის (მორიგე ღმერთის) ახალი სახელის არმა-არმაზის ქართლში შემოჭრაში გამოიხატა“ (აფაქიძე, 1970: 662). მიჩნეულია, რომ არმაზი მცირეაზიული მთვარის ღვთაებასთან არის დაკავშირებული და ხეთურ-მცირეაზიულ ღვთაება არმას სახელიდან მომდინარეობს. ქართლში წარმართობა წმ. ნინოს მიერ კერპების შემუსვრით დასრულდა.

ძველი სომხური მითოლოგიის მიხედვით სომეხთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებში დიდი ადგილი უკავია ასტრალურ ღვთაებებს. ძველად მათი რელიგია მზისა და მთვარის კულტს შეიცავდა, რომელთა ქანდაკებები არმავირის ტაძარში იდგა. ასევე, დიდ პატივს მიაგებდნენ წინაპართა კულტს, რომელიც ვარსკვლავებთან იყო დაკავშირებული. მაგ. ჰაიკი, სომეხთა ეპონიმი, ასტრალური მშვილდოსანია და ორიონის თანავარსკვლავედთან არის დაკავშირებული. წერილობითი წყაროების მიხედვით არქაული ღმერთებები და გმირები არიან სომეხთა მამამთავარი ჰაიკი, არამი (ჰაიკის შვილი), არა მშვენიერსა (მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაება) და ვახაგნს წარმოგვიდგენს. მითებში ასახულია ბუნების მოვლენების თაყვანისცემა. რისი გამოხატულებაც არის ჭექა-ქუხილის ღმერთი

ვახაგნი, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაში წმ. ილიას სახით არის წარმოდგენილი.

ძველ სომხურ მითოლოგიაში ასახულია ბრძოლა ქაოსსა და კოსმოსს შორის; წარმოდგენა ბოროტი ქტონიური და კოსმიური სულების და დემონების შესახებ; მაგ. აჟდაჰაკი - ვეშაპი/დრაკონი, დაკავშირებულია ირანულ აჟი-დახაკასთან, რომელიც უცხოელი მეფე - უზურპატორია, ავესტაში წარმოდგენილია სამთავიანი დრაკონის სახით. ვეშაპები - მრავალთავა ურჩხულები აღმოსავლეთ საქართველოსა და კოლხეთში დიდი თევზის თუ გველეშაპის სახით არის წარმოდგენილი და ახლოს დგას სომხურ ვიშაპთან და აფხაზურ აგულშაპუსთან. ვეშაპების-დემონების წინააღმდეგ იბრძვის ჭექა-ქუხილის ღმერთი - ვახაგნი/ვააგნი, რომელიც ელინისტურ ხანაში ჰერაკლესთან იქნა ასოცირებული. ქართველთა გმირი ამირანიც ვეშაპებთან მებრძოლია.

ძველ მითებში ტოტემიზმის ელემენტებიც შეინიშნება. მითების უმრავლესობაში ცხოველებს და მცენარეებს ანთროპომორფული იერი აქვთ. წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ ხარი, ირემი, დათვი, კატა, ძაღლი, თევზი. წმინდა ფრინველები იყო ყარყატი, ყვავი, წერო, მერცხალი, მამალი. ერვანდიდების მამამთავარი ერვანდი დაიბადა ქალის და ხარის კავშირის შედეგად. ამდენად მამა-ხარი ერვანდიდების ტოტემია. არწრუნთა გვარის მფარველია არწივი, რომლის სახელიდანაც (არწივ - სომხ.) მოდის მათი გვარი.

სომხური საისტორიო მწერლობა ღმერთების პანთეონის ჩამოყალიბების ფორმირებას პროტოსომხური ტომების გაერთიანებების შექმნას უკავშირებს. პირველი სომხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ჩამოყალიბებამ კი ღმერთების ახალი პანთეონის შექმნა გამოიწვია. ახალი პანთეონი ჩამოყალიბდა ძველი ღვთაებების, ირანული და სემიტური რწმენა-წარმოდგენების გავლენით. პანთეონის სათავეში მოექცა ღმერთების მამა არამაზდი. იგი ხდება უზენაესი ღვთაება, რომელიც არის ცისა და მიწის შემოქმედი, ნაყოფიერების ღმერთი. პანთეონში შევიდნენ ანაჰიტი, მითრა, ნანე, ვახაგნი, ასდღიკი და სხვა ღმერთები. არამაზდის კულტი აქემენიდურ ეპოქაში ჩანს შემოსული (მოვსეს ხორენაცი, 1984; Анания Ширакаци, 1962; Абегян, 1975; Арутунян, 1980).

კავკასიის უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესწავლისას გამორჩეული ადგილი კავკასიურ-იბერიულ მითოლოგიას უკავია. კავკასიური ენების ოჯახში,

რომელშიც შედის ქართული, ადიღეური (შედიან ყაბარდოელები, ადიღეველები, ჩერქეზები), აბხაზური, აბაზგური, ჩეჩნური და ინგუშური (თვითდასახელება ვაინახები), დაღესტნის ხალხების (ავარელები, ლაკები, დარგოელები, ლეკები-ლეზგინი, ტაბასარანები და სხვ) ენები, შემორჩენილი მითოლოგია ძველ კავკასიელთა რწმენა წარმოდგენების აღდგენის საშუალებას იძლევა.

რწმენა წარმოდგენების უძველესი პლასტი არქეოლოგიურ მონაცემებში შეინიშნება. სხვადასხვა ნივთებზე გვხვდება ასტრალური ნიშნები, ჯვრები, კვადრატები, ადამიანების და ცხოველების გამოსახულებები. სხვადასხვა ტიპის დასაკრძალავების არსებობა კი საიქიო სამყაროს შესახებ წარმოდგენების არსებობას ადასტურებს.

კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული მონაცემებისა და მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით დედამიწა წრიულია, გარშემორტყმულია წყლით ან მთებით. ქვეყნიერების დასასრულს დგას სიცოცხლის ხე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცას, მიწას და მიწისქვესა სამყაროს (ჩეჩნებისა და ინგუშების მიხედვით ქვესკნელი კიდევ შვიდი სხვა სამყაროსაგან შედგება).

კოსმოგონიური წარმოდგენების განვითარება კარგად ჩანს ქართულ მითოლოგიაში, რომლის მიხედვითაც კოსმოსი (მოწესრიგებული სამყარო) შედგება სხვადასხვა სამყაროსაგან (სკნელი). სკნელები არის როგორც ვერტიკალური - ზესკნელი, (შუა) სკნელი და ქვესკნელი, ასევე ჰორიზონტალური. ჰორიზონტალური სკნელები ცენტრალური სამყაროს/შუა სკნელის წინ (წინასკნელი) და უკან (უკანასკნელი) მდებარეობენ. ზესკნელში არიან ღმერთები, ფრინველები და ფანტასტიკური არსებები. შუასკნელში - ადამიანები, ცხოველები და მცენარეები. ქვესკნელი ეს არის მიცვალებულთა და ქტონიურ არსებებათა (დევები, დრაკონები) სამყარო, ასევე მიწისქვესა წყლების საუფლო. სამ ვერტიკალურ სკნელს შეესაბამება თეთრი, წითელი და შავი ფერები. წინა სკნელი (სამყარო) ნათელი და კეთილგანწყობილია, რომელიც შეესაბამება ცნებას „აქ“. მასთან დაპირისპირებული უკანა სკნელი (სამყარო) კი მუქია და საიდუმლოებებით არის მოცული. ის სავსეა ხიფათით და მოულოდნელობებით და შეესაბამება ცნებას „იქ“. უკანა სკნელის ავბედითი ხასიათის გამო ბევრი ცერემონიალის დროს აკრძალული იყო უკან გახედვა. ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგებული სკნელების (სამყაროების) მთელი ეს სისტემა გარშემორტყმული იყო გარესამყაროთი

(გარესკნელი), რომლის იქითაც არფერი არსებითი არ არის და რომელიც გააზრებულია როგორც გაყინული უკუნეთი სიბნელე და უცვლელი მარადისობა.

ვერტიკალურად განლაგებული სამყაროები ერთმანერთისაგან გამოყოფილია ჰაერით და დედამიწით, ჰორიზონტალურები კი შვიდი ქედით (მთით, კარით) ან ზღვით. ერთი სკნელიდან მეორეში გადასვლა მხოლოდ ღმერთებს ან გმირ-ნახევრადღმერთებს შეუძლიათ. ადამიანს სკნელის გადალახვა შეუძლია მხოლოდ ღმერთის ნებართვით, ისიც „იერის შეცვლის“ შემთხვევაში, ე.ი. გარდაცვალების - სიკვდილის შემთხვევაში.

ყველა სამყაროს (სკნელებს) ერთმანეთთან აკავშირებს მსოფლიო (სიცოცხლის) ხე, რომელიც დედამიწის დასალიერში დგას (სიცოცხლის ხის ვარიანტებია - ბოძი, რომელსაც ეყრდნობა ზეცა; კოშკი; ციდან ჩამოშვებული ჯაჭვი; ირემი, რომლის რქების საშუალებითაც შეიძლება ზესკნელში ასვლა) და მასზე ცხოველია მიბმული. სკნელებს შორის კავშირს ასევე ახორციელებენ სასწაულმოქმედი ცხოველები, ფრინველები, ფანტასტიკური არსებები (გმირის ცხენი, თეთრი ან შავი ცხვარი, დევი, ქაჯი და სხვ.).

კავკასიის ხალხების მითოლოგიაში დიდი ადგილი ეთმობა მზეს და მთვარეს, ვარსკვლავებს, მრავლადაა დაფიქსირებული ცნობები ბუნების მოვლენების პატრონებსა და მფარველი ღვთაებების შესახებ. კავკასიელი ხალხების მითოლოგიაში ჩანს ტოტემიზმის გადმონაშთებიც. სამონადირეო ეპოსში და მონადირეების შესახებ არსებულ მითოლოგიურ სიუჟეტებში კი მოთხრობილია ნადირთპატრონის და ღვთაებების შესახებ. სიუჟეტებში ასევე ხშირად გვხვდება ჭექა-ქუხილის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ღვთაებები. კავკასიელთა მითოლოგიასა და რწმენა-წარმოდგენებში შემორჩენილია შეხედულებები კეთილ და ავ სულებზე (Очиаури, Сургуладзе, 1980: 603-606).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის რწმენა-წარმოდგენების შესახებ მონოგრაფიული კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. ამ საკითხებს მეცნიერები ძირითადად თრიალეთის და ყარაშამბის ვერცხლის თასების იკონოგრაფიის შესაწლისას განიხილავენ, გარკვეული ყურადღება მიექცა ურემზე დაკრძალვის წესს (Куфтин, 1941; გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1969; ჯაფარიძე, 1998; ჯაფარიძე, 2003).

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აღმოჩენილი თრიალეთის ვერცხლის თასის განხილვისას ბ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ თასზე მოცემული სიუჟეტი წარმოადგენს ნადირობის ღვთაებასთან დაკავშირებულ საკულტო სცენას. სავარაუდოდ გამოსახულია რიტუალური ნადიმი სასმელის მიღებით ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე (Куфтин, 1941: 89-91). XX საუკუნის 80-იან წლებში, სომხეთში, შუა ბრინჯაოს ხანის ყარაშამბის ყორღანში აღმოჩნდა თრიალეთის ვერცხლის თასის ანალოგიური ვერცხლის თასი, თუმცა, მასზე გამოსახული სიუჟეტი გაცილებით რთულია და მრავალფეროვანი (Оганесян, 1988: 156). თასებზე გამოსახული სიჟიუტები არაერთელ იქცა განხილვის საგნად (ამირანაშვილი, 1971: 35; გოგაძე, 1972: 77-78; კიკვიძე, 1976: 85-86; ჯაფარიძე, 1969: 73-174; ჯაფარიძე, 2003: 177-180; ჯაფარიძე, 1981; სადრაძე, 2002; Куфтин, 1941; Бардавелидзе, 1957: 104; Меликишвили, 1959: 159-160; Арешян, 1988: 93-94; Кушнарёва, 1993: 251; Оганесян, 1988; Bohemer, Kosak, 2000: 9-71 და სხვ.).

მოტანილი მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის რწმენა-წარმოდგენები მკვლევართა მიერ კარგადაა შესწავლილი, თუმცა მათ ნაშრომებში განხილულია მხოლოდ გამორჩეული მასალები და არ არის მოხმობილი ბევრი ისეთი არქეოლოგიური მონაცემი ან არტეფაქტი, რომლებიც უფრო სრულყოფილად წარმოაჩენდა ამ ეპოქის მითო-რელიგიურ ასპექტებს. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად შეგვევსო ეს ხარვეზი. გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების მატარებელმა ტომებმა ვერ შექმნეს დამწერლობა და შესაბამისად, წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის თანადროული ხალხების წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, რომლებშიც ასახულია მათი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და მითოლოგიები, შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის მითოლოგიური აზროვნება.

სამხრეთ კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთის უძველესი კულტურების ნაწილს. არქაული საზოგადოების მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის რეკონსტრუქციისათვის უმნიშვნელოვანეს წყაროს ძველი ცივილიზაციების წერილობითი წყაროები წარმოადგენენ. მართალია ისინი ხშირად

ნაკლული და რთულად აღსაქმელია, მაგრამ ერთიანობაში მაინც გვიქმნიან წარმოდგენას მესოპოტამიის, პალესტინის, ანატოლიის და ირანის უძველესი მოსახლეობის მითოლოგიურ მსოფლმხედველობაზე. ე. ანტონოვას სიტყვებით: „წერილობითი წყაროების მეშვეობით უძველესი ცივილიზაციები ამეტყველდნენ ცოცხალი ადამიანების ხმებით, რაც ასე მნიშვნელოვანია მკვლევარისთვის, რომელიც შორეული წინაპრების სულიერ სამყაროს იკვლევს, იმ წინაპრებისაც კი, რომლებსაც უძველესი დამწერლობითი ტრადიციები არ გააჩნდათ" (Антонова, 1984: 8).

თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილი მასალა, როგორიცაა ეგვიპტური ამულეტები, კონუსის ტიპის ნიჟარები, ოქრომჭედლობის ნიმუშები და ნახევრადძვირფასი ქვები (ფირუზი, ლაზურიტი) მიუთითებს, რომ შუა ბრინჯაოს სამხრეთ კავკასიის მოსახლეობას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მესოპოტამიის და ირანის, ეგვიპტის და ინდოსტანის ნახევარკუნძულის თანადროულ კულტურებთან. ახლო აღმოსავლეთის ძვ.წ. III-II ათასწლეულის ხელოვნებაში მეცნიერების მიერ გამოყოფილია ე.წ. ინტერკულტურული (Aruz, 2003: 244) სტილი. ამ ეპოქაში შორეული სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობის, დიპლომატიის და სამხედრო კომპანიების შედეგად ხდებოდა ძველი სამყაროს მოსახლეობის ურთიერთგაცნობა, კულტურული მიღწევების გაცვლა, რასაც თან სდევდა გარკვეული რელიგიური და იდეოლოგიური შეხედულებების გავრცელება. სწორედ ძვ.წ. III ათასწლეულში იქმნება ხელოვნების ე.წ. „ინტერკულტურული სტილი" – მესოპოტამიიდან დასავლეთ ანატოლიამდე და ეგვიპტიდან ირანსა და ინდოეთამდე ვრცელდება მსგავსი ხელოვნიების ნიმუშები. იქმნება ხელოვნების საერთო სტილი, რომელიც შემდგომ პერიოდში, ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში მ. ფელდმანის აზრით ჩამოყალიბდა როგორც ე.წ. „ინტერნაციონალური სტილი". ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ძველ აღმოსავლეთში კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაცია და გლობალიზაცის გაღრმავება მიმდინარეობს, რის გამოც ამ ეპოქას „ინტერნაციონალიზმის ხანას" უწოდებენ (Feldman, 2002: 6). ხელოვნების ნიმუშებთან ერთად ვრცელდებოდა იდეოლოგია და მითოლოგია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის ძირითად წყაროთმცოდნეობით ბაზას არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს, თუმცა ვიყენებთ ფოლკლორულ

მასალას და მესოპოტამიურ რელიგიურ-რიტუალურ ტექსტებს, რაც ძვ.წ. III-II ათასწლეულების სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების უკეთესად წარმოჩენის საშუალებას იძლევა, რადგან ჯერ კიდევ ბ. კუფტინი მიუთითებდა საქართველოში აღმოჩენილი უძველესი კულტურული კერის და სამხრეთ მესოპოტამიის ხელოვნების საერთო ტრადიციებზე (Куфтин, 1941: 94-96).

ჩვენი ნაშრომი სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს კულტურების მატარებელი საზოგადოების მსოფლმხედველობრივი საკითხის ამ მიმართულებით გააზრების ფაქტიურად პირველი მცდელობაა.

თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელმა მხატვრულმა სახეებმა და მისმა იკონოგრაფიამ ამ კულტურის აღმოჩენისთანავე მიიქცია ყურადღება, თუმცა ის ცალკე განხილვის საგანი არ ყოფილა. ტრადიციული საზოგადოების ცხოვრებაში სიმბოლურ სახეებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არქაული საზოგადოების ცხოვრება მითოლოგიურ მსოფლმხედველობაზე იყო აგებული. მითოლოგიურ სისტემებში ადამიანი და სოციუმი, როგორც წესი არ გამოიყოფა გარემო სამყაროსაგან. კოსმოსი, საზოგადოება, ადამიანი და ბუნება ღვთაებრივი კანონის სხვადასხვა გამოვლინებაა, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობებით. ბუნება, საზოგადოება და ადამიანი ერთიანი განუყოფელი ნაწილია. მითოლოგიური აზროვნება მათ სხვადასხვა სიმბოლოების მეშვეობით გამოხატავს. თითოეული სახე, ღვთაება, კულტურული გმირი, ამ მითოსის მოქმედი პირი რაღაც გარკვეულ ცნებას გამოხატავს. ამ სისტემის თითოეული კომპონენტის ახსნა და რეკონსტრუქცია რთული საქმეა, მით უფრო თუ ეს პრეისტორიულ ეპოქას ეხება. მიუხედავად ამისა, ამ საკითხებში წვდომის და გაანალიზების გარეშე შეუძლებელია სწორად იქნეს გაანალიზებული კონკრეტული საზოგადოების ყოფა და მის მიერ შექმნილი მატერიალური კულტურა. ამიტომაც შევეცადეთ სწორედ მითო-რელიგიური ასპექტის გააზრების საფუძველზე დაგვენახა და მოგვეცა შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების მატარებელ ტომთა მსოფლმხედველობა. ვფიქრობთ, რომ ამ თვალთახედვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების არსებითი მახასიათებელი ასპექტების რეკონსტრუქცია ბევრად უკეთ დაგვანახებს იმ პროცესებსა და მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუწყო თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის ჩამოყალიბებას.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შესაძლებელი გახდა ბედენის და თრიალეთის კულტურების საზოგადოებაში გავრცელებული ზოგიერთი კულტის და რიტუალის რეკონსტრუქცია. თემის აქტუალობაც სწორედ იმითაა განპირობებული, რომ აქეოლოგიური მასალის საფუძველზე პირველად იქნა შესწავლილი შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ორნამენტაციის სიმბოლიკა, სოლარული და წინაპრის კულტი, საკრალური არქიტექტურა, რამაც შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების მატარებელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების და მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის რეკონსტრუქციის საშუალება მოგვცა.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების მატარებლი საზოგადოების მითო-რელიგიური საკითხები კომპლექსურად ჯერ არავის შეუსწავლია. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში პირველად იქნება მონოგრაფიულად განხილული სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის უძველესი მოსახლეობის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი.

ნაშრომის ამოცანებს საკულტო არქიტექტურის, საკულტო არტეფაქტების (კერამიკა, ტორევტიკა, ინსიგნიები და სხვ.), მიცვალებულის დაკრძალვის წესისა და რიტუალის შესწავლა წარმოადგენს. კვლევის კიდევ ერთი ამოცანა ის არის, რომ მარტყოფის, ბედენის და თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებში აღმოჩენილი არტეფაქტები წარმოდგენილი იყოს არა როგორც მხოლოდ ხელოვნების ნიმუშები, არამედ როგორც გარკვეული სარიტუალო მნიშვნელობის საგნები.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ისიც, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების არტეფაქტები განხილული ყოფილიყო კულტის და კულტმსახურების კუთხით. ამდენად, ისინი ასევე წამოჩენილია მითოლოგიურ ასპექტში და განხილულია მესოპოტამიურ პარალელებსა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით.

ნაშრომში სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების საზოგადოების მსოფლმხედველობის საკითხები განხილულია ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან მიმართებასა და ისტორიულ კონტექსტში, რითაც ნაჩვენებია სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოების ადგილი მსოფლიო კულტურულ – ისტორიულ პროცესში.

თავი I

საკულტო არქიტექტურა და კულტმსახურება

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების მატარებელი საზოგადოების კოსმოგონიური და მითოლოგიური მსოფლმხედველობის რეკონსტრუქცია რთულია, რადგან ამ კულტურების მატარებელმა ტომებმა ვერ შექმნეს დამწერლობა და შესაბამისად, წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. ამიტომ, ერთადერთ საინფორმაციო წყაროს არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს.

არქაულ საზოგადოებაში ნებისმიერი არქიტექტურული ნაგებობა, საცხოვრებელი შენობის ჩათვლით, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კუთხით არის აღსაქმელი. მ. ელიადეს მიხედვით, ტრადიციულ საზოგადოებებში არქიტექტურულ ნაგებობებს გარკვეულ საკრალურ დატვირთვას ანიჭებდნენ, უძებნიდნენ რა მათ ციურ პროტოტიპებს. ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა უძველეს ქალაქს ციური პროტოტიპი აქვს (Элиаде, 1994: 44). მაგრამ, ვიდრე ტრადიციული საზოგადოების ადამიანი სივრცის ათვისებას და მშენებლობას შეუდგებოდა, მას უნდა მიეღო ღვთაებრივი ნიშანი, თუ სად შეიძლებოდა ამა, თუ იმ ნაგებობის აღმართვა. ეს ნიშანი შეიძლება სიზმრის სახით გამოცხადებულიყო, როგორც ამაზე მოგვითხრობს გუდეას წარწერა ლაგაშში ტაძრის აღმართვის შესახებ. წარწერის მიხედვით, მეფემ სიზმარში ნახა ქალღმერთი ნიდაბა, რომელმაც მას ამცნო ვარსკვლავების კეთილგანწყობა (Элиаде, 1994: 44). გამოცხადება შესაძლოა ყოფილიყო რაღაც ბუნებრივი მოვლენის (ელვა, წყარო) სახითაც. გამოცხადების შემდეგ აუცილებელი იყო ადგილის კურთხევა, ე.ი. უნდა შესრულებულიყო გარკვეული რიტუალები, მსხვერპლსეწირვა, რომლებიც შესაქმეს ტოლფასი იქნებოდა. რიტუალების საშუალებით ნებისმიერი ტერიტორია, რომელიც საცხოვრებელ სივრცედ მოიაზრებოდა, ქაოსიდან კოსმოსში უნდა მოქცეულიყო (Элиаде, 1994: 25-27). არქაული ადამიანისათვის ნებისმიერი მშენებლობა ახალი სიცოცხლის დასაწყისს წარმოადგენდა. „ნებისმიერი დასაწყისი კი იმეორებს პირველად საწყისს, როდესაც შეიქმნა სამყარო" (Элиаде, 1994: 43). ამდენად, მ. ელიადეს აზრით, ტრადიციულ საზოგადოებაში ნებისმიერი არქიტექტურული

ნაგებობა წარმოადგენს imago mundis, იმიტომ, რომ სიმბოლურად ის „სამყაროს ცენტრშია". „სამყაროს ცენტრების" უსაზღვროდ დიდი რაოდენობა კი სავსებით მისაღები იყო, რადგან ლაპარაკია არა გეომეტრიულ, არამედ არსებობის საკრალურ სივრცეზე, რომელსაც აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურა აქვს. საკულტო არქიტექტურამ კი მხოლოდ ისესხა და განავითარა კოსმოლოგიური სიმბოლიზმი, რომელიც უკვე არსებობდა პრიმიტიული საცხოვრებლების სტრუქტურაში.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური საკითხების განხილვისას გასათვალისწინებელია საცხოვრებელის მოწყობასა და საერთოდ ადამიანის მიერ სივრცის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკულტო არქიტექტურა, რომელიც წარმოდგენილია სამლოცველოებით და დასაკრძალავებით. საკულტო არქიტექტურა ეფუძნება საკრალური გეომეტრიის პრინციპებს, რომელიც თავის მხრივ მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის ნაწილს წარმოადგენს. საკრალური გეომეტრია გამოიყენებოდა ყველა დროის და ყველა მსოფლიო რელიგიის არქიტექტურაში, როგორც კოსმოსის გეომეტრიული ინტერპრეტაცია.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის საკულტო არქიტექტურის შესახებ, სამწუხაროდ მწირი მონაცემები გაგვაჩნია. კულტთან, განსაკუთრებით მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების აღდგენა ძირითადად მაინც დასაკრძალავი ნაგებობების, მიცვალებულთა დაკრძალვის წესის და სამარხ ნაგებობებში აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით არის შესაძლებელი. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქაში მიცვალებულებს სხვადასხვა სახის და კონსტრუქციის სამარხებში კრძალავდნენ. თუმცა, მათ შორის გამორჩეული ადგილი ყორღანებს უკავია.

§ 1. ყორღანთა არქიტექტურა

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის დასაკრძალავი ნაგებობები ძირითადად ყორღანების სახითაა წარმოდგენილი. ყორღანი, ანუ გორასამარხი წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს (ტაბ. II), მთას, რომლის ქვეშ გამართულია დასაკრძალავი ნაგებობა ან სამარხი კამერა. ამ ტიპის სამარხები ქვამიწაყრილანი, ქვაყრილიანი ან მიწაყრილიანი ყორღანია, რომლის ცენტრში გამართულია

დასაკრძალავი კამერა. იმის მიხედვით თუ რომელი ტიპის სამარხ კამერაშია დაკრძალული მიცვალებული, ორი ტიპის ყორღანებს გამოყოფენ - ესენია ორმოიანი და უორმოო ყორღანები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ყორღანები დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდნენ საკულტო არეს, სადაც რიტუალი არა მხოლოდ მიცვალებულის დაკრძალვის დროს, არამედ შემდგომშიც პერიოდულად იმართებოდა (ნარიმანიშვილი, 2009: 89-90).

ჩვენი აზრით, მითო-რელიგიური საკითხების კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ყორღანის არქიტექტურულ ფორმას, ისე მშენებლობის ტექნიკას, რამდენადაც რელიგიური ადამიანის ყოველი ქმედება რიტუალთან, გარკვეულ მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული.

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები წარმოადგენს წრიული ან კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის გეგმარების და 1.5 – 12.0 მ სიმაღლის ბორცვებს, რომელთა არქიტექტურული სახე წაკვეთილი კონუსის ან პირამიდის მსგავსია (ტაბ. II, III, VI, XI). ყორღანის ბორცვი წარმოადგენს ხელოვნურ ზვინულს, რომელიც ქვის, მიწის ან ქვამიწაყრილისაგან შედგება. ყრილის ქვეშ გამართულია დასაკრძალავი კამერა, რომელთა ფართობი 6 კვ. მეტრიდან - 200 კვ. მეტრამდე მერყეობს. დიდი ზომის დასაკრძალავები წარმოადგენენ დარბაზებს, რომელთა კედლები უმეტეს შემთხვევაში ქვითაა ნაგები. კედლების სიმაღლე 5-8 მ-ს უდრის. ასეთი დარბაზები გადახურულია ხის ძელების კონსტუქციებით და ქვამიწაყრილით. სამარხი კამერის გადახურვის რთული კონსტრუქცია დარბაზში მდგარ ხის ბოძებსა და ქვით ნაგებ კედლებზეა დაყრდნობილი (ტაბ. V, XLIV). ასეთი ტიპის ყორღანებს აღმოსავლეთის მხრიდან გრძელი (10-50 მეტრამდე) დრომოსები აქვთ, რომელთა სიგანე 4-7 მეტრს შორის მერყეობს. დრომოსიც გადახურულია და დასაკძალავ დარბაზთან ერთად ერთიან სივრცეს ქმნის. ხშირ შემთხვევაში დრომოსის გაგრძელება წარმოდგენილია ქვით მოგებული სარიტუალო გზის სახით. ასეთი გზების სიგრძე ყორღანის ზომაზეა დამოკიდებული და 50 დან 800 მეტრამდე მერყეობს (ტაბ. XIX – XXII).

ყორღანი გარეგნულად მთას გავდა და როგორც ჩანს, ძველი საზოგადოების წარმოდგენაში ის გაიგივებული იყო (ისევე როგორც პირამიდა, ზიკურატი) სამყაროს ღერძის, ცენტრის ცნებასთან (დაწრილებით იხ. ქვევით). ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნახევარმთვარის (ტაბ.

LXXXV-1,2) ფორმის (გობეჯიშვილი, 1981: 13, სურ. 1; Ахундов, 2001: 94-95, ტაბ. XXII-2) და წრიული ქვაყრილები (ტაბ. LXXXV-3,4). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყორღანების (კუდურლუ) კრომლეხების შიგნით გამართული სხივები, რომლებიც სამარხი კამერის თავზე მოწყობილი ქვაყრილიდან სხვადასხვა მიმართულებით მიემართება (Ахундов, 2001: 99, ტაბ. XXX-1). სხივები ჰქონდა კახეთში, სოფ. იორმუღანლოსთან, ადგილ ჭინჭრიანში გათხრილ ყორღანსაც. ჭინჭრიანის ყორღანს ერთ ათეულამდე სხივი აქვს, რომლებიც ქვაყრილს გარშემო შემოუყვება (ცნობა მოგვაწოდა ბ-მა ზურაბ მახარაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

მნიშვნელოვანია ყორღანების ყრილებზე და დასაკრძალავი დარბაზების დრომოსებზე მიდგმული სარიტუალო-საპროცესიო გზები (ტაბ. XIX – XXII). გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ყორღანის ყრილში დაფიქსირებული სხვადასხვა ფერის მიწის შრეები, მიწაყრილის ქვედა ნაწილის ქვის ჯავშნით დაფარვა, სხვადასხვა მასალისაგან (ქვა, მიწა, ფერადი თიხა) ყრილის გამართვა და ყრილის ქვეშ მოწყობილი სხვადასხვა ტიპის დასაკრძალავი კამერები და ქვით თუ ძელებით ნაგები სხვადასხვა სტრუქტურები, რომელთა ნაწილი სამლოცველოდ ან მიცვალებულის დროებით განსასვენებელ ნაგებობად არის მიჩნეული (Дедабришвили, Ш. 1979: 24). თუმცა, ამგვარი სტრუქტურების რაობის შესახებ მსჯელობა ძნელია და ყველას ახსნაც ვერ ხერხდება დღევანდელი მონაცემების ნაკლულობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თანამედროვე ეტაპზე ძნელია ყორღანის არქეტიპული სახის ყველა ასპექტის წარმოჩენა, ან გაანალიზება, მაინც აუცილებლად მიგვაჩნია ამ კატეგორიის ძეგლების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური თავისებურებების წარმოჩენა, რადგან შემდგომში ეს მონაცემები, შეიძლება, მითო-რელიგიური საკითხების უფრო სრულყოფილ კვლევას დაედოს საფუძვლად.

სამხრეთ კავკასიის **შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები** ხელოვნურ ბორცვებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთმანეთისაგან ყრილის აგებულებით, სამარხი კამერის გამართვის ტექნიკით და არქიტექტურით განსხვავდებიან. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულებს სხვადასხვა სახისა და კონსტრუქციის სამარხ ნაგებობებში კრძალავდნენ. ძირითად სახეობას ყორღანი წარმოადგენდა,

რომლებიც ყრილის შედგენილობის მიხედვით სამ ტიპად იყოფა: 1. მიწაყრილიანი; 2. ქვაყრილიანი; 3. ქვამიწაყრილიანი.

მიწაყრილიანი ყორღანები იშვიათია და ისინი ძირითადად შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისათვის (ბედენის კულტურა) არის დამახასიათებელი. ბედენის კულტურის დიდი ყორღანების სიმაღლე 10 მეტრს აღემატება, ყრილის დიამეტრი კი 140 მეტრს აღწევს. მიწაყრილიან ყორღანებს მიეკუთვნება წნორის №№ 1, 2 (Дедабришвили, Ш. 1979: 19, 37, 38), ბედენის №№ 2, 5 (გობეჯიშვილი, 1981: 34, 118, ტაბ. II-1-4, XIII). ანანაურის № 1 და ბაკურციხის (ფიცხელაური, 2013: 103-112) და ანანაურის №3 (Makharadze, 2014: 227) ყორღანები (ტაბ. III-V). საინტერესოა, რომ მიწაყრილანი ყორღანები ზურტაკეტში არ გვხდება (ჯაფარიძე, 1969: 14). მიწაყრილიან ყორღანებში ყრილის აგებულების მიხედვით სამი ქვეტიპი უნდა გამოიყოს: 1. მიწაყრილში არცერთ დონეზე არ შეინიშნება ქვები; 2. მიწაყრილის ქვედა ნაწილის ზედაპირი დაფარულია ქვის ჯავშნით; 3. მიწაყრილის ქვეშ, ცენტრში ფიქსირდება მცირე ქვაყრილი. 4. მიწაყრილს, ჰუმუსის დონეზე შემოუყვება წრე (კრომლეხი).

პირველი ქვეტიპის ყოღანების შესახებ ჯერ კიდევ გ. გობეჯიშვილი აღნიშნავდა - „ბედენის № 5 ყორღანი ერთადერთი ძეგლია რაიონში დღემდე გათხრილ გორასამარხთა შორის, რომელიც „სუფთა“ მიწისაგან შედგება, ქვაყრილის ან ჯავშნის გამოუყენებლად“ (გობეჯიშვილი გ. 1981: 34). ამ ტიპის ყორღანებია ანანაურის № 3 (Makharadze, 2014: 227), თრიალეთის XXXII და ტაბაწყურის XLII ყორღანები (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 24, 27). პირველი ქვეტიპის ყორღანებს უნდა მიეკუთვნოს ბედენის № 2 ყორღანიც, რომლის მიწის ყრილის (დმ. 70 მ.) ქვეშ, ჰუმუსის დონზე დაფიქსირდა წრიული ქვაყრილი (დმ. 12-13 მ.), რომელიც სამარხ კამერას ფარავდა (გობეჯიშვილი გ. 1981: 15, 16, 118). ანანაურის ყორღანის სამარხ კამერას კი ხის ძელები ფარავდა (Makharadze, 2014: 227, სურ. 1,2).

მეორე ქვეტიპის, ქვის ჯავშნით ნაწილობრივ დაფარული მიწაყრილები, აქვს წნორის № 1 და № 2 ყორღანებს (Дедабришвили, 1979: 19,38). ფიქრობენ, რომ მიწაყრილის ქვის ჯავშნით დაფარვა მძარცველების შესაკავებლად იყო შექმნილი (Дедабришвили, 1979: 20). ჩვენი აზრით, ყრილის აგებულების ეს დეტალი, ისევე

როგორც ყრილის შევსებაში მონაწილე სხვადასხვა ფერის მიწა (ბედენის ყორღანები), განხვავებული ჯიშის ქვები (წნორის ყორღანები), ყრილის ქვეშ არსებული სხვადასვა ფორმის კონსტურქციები დაკრძალვის რიტუალის შემადგებელი ნაწილი იყო და გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებს შეესაბამებოდა.

მესამე ქვეტიპის ყორღანებში მიწაყრილის ქვეშ გამართულია ქვაყრილი, რომელიც ძირითადად მიწისზედა სამარხ ნაგებობას ფარავს. სამგორში „კოხრა გორაზე“, მიწაყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირებული ქვაყრილი მიწის პირზე მდგარ ხის ოთხკუთხა ფორმის ძელურ შენობას ფარავდა (საქართველოს არქეოლოგია 1959: 92-93; საქართველოს არქეოლოგია 1992: 126; ჯაფარიძე ო. 2003: 137). „კოხრა გორას“ მსგავსია უჩ-თეფეს ყორღანი, რომელიც სამგორის ყორღანზე დიდია. უჩ-თეფეს ყორღანის მიწაყრილის ქვეშ, ცენტრში ქვაყრილია, რომელიც სამარხ ორმოზეა გამართული (Иессен, 1965: 156). ანალოგიური ყრილი აქვს ანანაურის ყორღანს (ფიცხელაური, 2013: 112).

ორმაგი ყრილი ჰქონია მარტყოფის №№ 1, 4 ყორღანებს (ტაბ. VI, VII), სადაც ქვაყრილი ასევე მიწისზედა ნაგებობას ფარავდა. ორივე ყორღანის ყრილი იმდენად ძლიერ იყო დაზიანებული, რომ ძნელია დანამდვილებით რამის თქმა. თუმცა, 0.3 მ-ის სისქის მიწის ფენა, ყრილის ზედა დონეზე მაინც ფიქსირდება (ჯაფარიძე, 1998: 46). ქვაყრილი დაფიქსირდა წნორის № 1 ყორღანის მიწაყრილის ქვეშ, სადაც ის ფარავდა ქვით ნაგებ წრიულ ნაგებობას (ტაბ. III, VIII), რომელიც ყორღანის ყრილის წვერიდან 9,0 მ. სიღრმეზე გამოვლინდა. ის წარმოადგენდა წრიული ფორმის ნაგებობას, რომლის რიყის ქვის მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების სიმაღლე დაახლოებით 2.0 მ-ს აღწევდა. მის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ოდნავ მოშორებით, კიდევ ორი, გაურკვეველი დანიშნულების ქვაყრილი იყო. ყორღანის ყრილის ქვეშ სხვა სტრუქტურაც დაფიქსირდა, რომელიც ლოდებისა და ხის ნაშთებისაგან შედგებოდა. სავარაუდოდ აქაც იდგა წრიული ნაგებობის მსგავსი, ასევე მშრალი წყობით ნაგები, გაურკვეველი სტრუქტურა. სამარხი ნაგებობა კი მათ სიახლოვეს მიწაში იყო ჩადგმული (Дедабришвили, 1979: 19-21, ტაბ. IV, VI, XI). ქვით ნაგები წრიული კოშკისებური ნაგებობა დაფიქსირდა ლორი-ბერდის № 79 სამარხის თავზე (Devedjian, 2006: 412, ტაბ. 36, 40, 41). ყრილის ქვეშ, ჰუმუსის

დონეზე ქვაყრილები დაფიქსირდა თრიალეთის IV და XI ყორღანებშიც (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 10,11).

მეოთხე ქვეტიპს მიეკუთვნება ბაკურციხის ყორღანი (ტაბ. IV), რომლის 3.5 მ სიმაღლის მიწაყრილს (დმ. 60 მ) დიდი ქვებით შედგენილი წრე ზღუდავდა (ფიცხელაური, 2013: 112). ქვის ასეთივე წრე აქვს თრიალეთის № 50 ყორღანს, რომელიც თავის დროზე მიწაყრილით იყო დაფარული (ნარიმანიშვილი, 2009: 31-37, ტაბ. XVI-XVII). კრომლეხები აქვს სომხეთში, ლორეს მხარეში გათხრილ ლორი ბერდის № 61, 71-75 სამარხებს (Devedjian, 2006: 299-300. ტაბ. 5, 15, 21, 27, 33, 36, 38). ასევე ვერინ-ნავერის ექვს (№№ 21-26) ყორღანს (Симонян, 1983: 90-92) და ნერკინ ნავერის №№ 2-4, 5A, 7 ყორღანებს (Симонян, 2011: 218). ვერინ ნავერის სამაროვანიც სომხეთში, აშტარაკის რაიონში, არარატის ველისა და არაგაწის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობის საზღვარზე მდებარეობს. სამაროვანი 100 ჰა ფართობს მოიცავს და ფუნქციონირებდა ძვ.წ. III ათასწლ. ძვ.წ. X საუკუნემდე. შუა ბრინჯაოს ყორღანები ქვამიწაყრილია, სამარხი კამერები კრომლეხების ცენტრშია განთავსებული (Симонян, 1983: 90-92).

ქვაყრილიანი ყორღანებიც მცირე რაოდენობითაა გათხრილი. შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე მხოლოდ ბედენის № 1 და № 3 ყორღანებს აქვს ასეთი ყრილი. ამ ყორღანების ყრილის ფუძე ამოყვანილი იყო ქვების და მიწის ნარევით (გობეჯიშვილი, გ. 1981: 10-13, 118, სურ. 2). მხოლოდ ქვებისაგან იყო შედგენილი ადგილ საბიდახჩას XXVIII – XXXI (ტაბ. X) და ტაბაწყურის XLI – XLIII, XLIV ყორღანების ყრილები (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 22-23, 27). ქვაყრილი ფარავდა ზურტაკეტის ყორღანებსაც, რომელთა ფუძე, ბედენის ყორღანების მსგავსად, ქვამიწაყრილით იყო ამოყვანილი (ჯაფარიძე, 1969: 15, 24, 39, 48, 56, 59; ჯაფარიძე, 2003: 158). ქვაყრილიანია XXXVI და XLV (თოფ-კარი 1 და 2) ყორღანები (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 25, 27). ტაბაწყურის ყორღანების უმეტესობას მხოლოდ ქვაყრილი აქვს (Куфтин, 1941: 80, ტაბ. LIX-3) აღსანიშნავია, რომ ზურტაკეტის ყველა დიდი ყორღანი ქვაყრილიანია (ტაბ. XV), მხოლოდ ერთ, № 9 ყორღანში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი“ ქვამიწაყრილის ქვეშ (ჯაფარიძე, 1969: 14, 56), ქვაყრილიანია ვერინ ნავერის ექვსივე ყორღანი (Симонян, 1983: 90-92).

ქვაყრილიანი ჰქონდა ყარაშამბის მდიდრულ სამარხსაც (Оганесян, 1990; Оганесян, 1993).

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების უმეტესობა **ქვამიწაყრილანია** (Куфтин, 1941: 80, ტაბ. LIX-1,2; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 10-28; ჯაფარიძე ო. 1969: 56; ჯაფარიძე ო. 2003: 158; გობეჯიშვილი გ. 1981: 30, 92, 99, 106, 118). მცირე ზომის ქვამიწაყრილიანი ყორღანები გაითხარა ქვემო ქართლში – შულავერთან (ჯაფარიძე, 1975: 137; Кушнарева, 1993: 103). ყორღანები ყრილის ქვეშ გამართული სამარხი კამერების გამართვის ტექნიკით და კონსტრუქციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეცნიერთა აზრით, ძირითად განმასხვავებელ ნიშანს სამარხი კამერის მდებარეობა წარმოადგენს. ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული დასაკრძალავი კამერა მიწისზედა ნაგებობას წარმოადგენს ან მიწაშია ღრმად ჩაჭრილი. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფილია ორი ძირითადი ტიპი – უორმოო და ორმოიანი ყორღანები.

უორმოო ყორღანები შუა ბრინჯაოს ხანის ყველა ეტაპზე გვხდება. ასეთი ყორღანების დამახასიათებელი ნიშანია დასაკრძალავი კამერის მიწის ზედაპირზე გამართავა, რომლის თავზე სხვადასხვა ინერტული მასალით ბორცვია აღმართული. ბედენის კულტურის ყორღანებში მიწის ზევით გამართული დასაკრძალავები ოთხკუთხა ფორმის ძელურ ან ქვის ნაგებობას, აკლდამას წარმოადგენს. ძელებით შეკრული აკლდამები ჰორიზონტალურად დაწყობილი მორებით არის შეკრული. აკლდამას ძელების ერთმაგი ან ორმაგი კედლები აქვს (ჯაფარიძე, 1998: 19-22, სურ. 10, 11; ჯაფარიძე, 2003: 137-140, სურ. 103, 108). ქვით ნაგები აკლდამა შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მარტყოფის № 1 (ჯაფარიძე, 1998: 12, სურ. 2, ტაბ. 1, 2) და კავთისხევთან, ადგილ „კატრიანში“ გათხრილ (Makharadze, 2008: 67, სურ. 35) ყორღანში დაფიქსირდა (ტაბ. VI-2; XIII). ქვით ნაგები მიწისზედა დასაკრძალავები თრიალეთის კულტურაში უფრო მრავლადაა გამოვლენილი და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. (Куфтин, 1941: 100; Куфтин, 1948: 14-15; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 15, ტაბ. 9-3). როგორც ჩანს, ქვის ფილებით იყო შემოზღუდული თრიალეთის III ყორღანის (ტაბ. XIV-1, XX-1) დასაკრძალავი მოედანი. XVIII ყორღანის (ტაბ. XIV-2) მიწისზედა სამარხ მოედანს ქვის ფილებითა და ფლეთილი ქვით ნაგები დაბალი კედლები ჰქონდა (Куфтин, 1941: 83, ტაბ. LXIII-

2). ხის ძელებით გადახურული ქვის ზღუდე ჰქონდა ყარაშამბის მდიდრულ ყორღანსაც (Оганесян, 1990; Оганесян, 1993; Кушнарева, 1993: 116). შეიძლება ასეთივე იყო XIV ყორღანის დასაკრძალავიც, სადაც შეიძლება ხეც გამოიყენებოდა. ჩვენი აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ თრიალეთის ზოგიერთი ყორღანის (მაგ. V, VI, VIII, IX) მიწისზედა დასაკრძალავი მოედანი ხის ძელებით იყო შემოზღუდული (Куфтин, 1941: 83; Куфтин, 1948: 23-24, ტაბ. XXIII; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 20-21, ტაბ. 8-2, 13-2, 14-3, 15-3).

ქვით ნაგები კედლები აქვთ თრიალეთსა და ზურტაკეტში გათხრილი ყორღანების გრანდიოზულ დასაკრძალავ დარბაზებს (ტაბ. XXI, XXIV). ზურტაკეტის № 4 ყორღანის დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 100 კვ-მია, თრიალეთის XLV, ზურტაკეტის № 3 და № 6 ყორღანების დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 150 კვ.მ-ს, თრიალეთის XXXVI ყორღანისა კი 175 კვ.მ-ს უდრის (ტაბ. XI, XV-2). ყორღანთა ყრილის სიმაღლე 4.0 – 12.0 მ-ია (Куфтин, 1941: 83, სურ. 90, ტაბ. LXII-2, LXIII-1; Куфтин, 1948: 13, ტაბ. XI ; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 25, 27, ტაბ. 8-2, 3, 9-3, 9, 17-1, 3; ჯაფარიძე, 1969: 25, 47, სურ. 6, 8, 41; ტაბ. IX). „დასაკრძალავი დარბაზი“ ჰქონდა საბიდახჩას № 1 ყორღანს (ჯაფარიძე, 1961: 7; ჯაფარიძე, 1969: 58). ქვით ამოყვანილი კედლები აქვს მესხეთში გათხრილ ყორღანებს. ეს ყორღანები იმითაც გამოირჩევა, რომ ქვის დიდი ფილებითაა გადახურული (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 21, 24, 32 და სხვ., სურ. 1, 4, 7 და სხვ). ასეთივე კონსტრუქციისაა ლორი ბერდის ექვსი სამარხი, რომელთა კედლები დიდი ქვებით იყო ამოყვანილი და ქვის ფილებით გადახურული (Деведжян, 1981: 20; Кушнарева, 1993: 116).

ორმოიანი ყორღანების დასაკრძალავი კამერები სხვადასხვა ტიპისაა და მათი კედლები განსხვავებულადაა გაფორმებული. უმეტეს შემთხვევაში დასაკრძალავი კამერის კედლები მიწისაა, ზოგ შემთხვევაში კედლები ხის ძელებითაა მოპირკეთებილი, ზოგჯერ ორმოში ჩადგმულია ხის მორებით შეკრული აკლდამა (Пицхелаури и др., 1995: 75-77, ტაბ. 126-128), ან ორმოში დგას ქვით ამოშენებული და გადახურული აკლდამები (ტაბ. V-2,IX,XLIV-2). იშვითად გვხვდება ორმოში ჩადგმული ქვის ფილებით შეკრული ქვაყუთი (ჯაფარიძე, 1998: 30, 39; Makharadze,

2014: 226-227, ტაბ. I). ბედენის №№ 1 და 2 ყორღანებში სამარხი კამერა კლდეში იყო ამოკვეთილი (გობეჯიშვილი, 1981: 13, 119).

შუა ბრინჯაოს ხანაში მიცვალებულებს **ქვაყუთებსა და ორმოსამარხებშიც** კრძალავდნენ. სამაროვნები და მომცრო ზომის ყორღანული სამარხები გათხრილია მეტეხთან (მცირე ყორღანი), გრაკალთან (ქვაყრილიანი სამარხი) კორინთოში. ამ ეპოქის ორმოსამარხები გათხრილია ნულში, ქვასათალსა და წაღვლში, ქვაყუთები კი თრიალეთში გაითხარა (ჯაფარიძე, 1991: 177, – 178, 179; გობეჯიშვილი, 1981: 119; ნარიმანიშვილი, 2009: 32-33,36, ტაბ. XVII–XXVIII, XXXIV-XXXV). თრიალეთში გაითხარა ბედენის კულტურის ქვაყუთი, რომელშიც ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული (ნარიმანიშვილი, 2009: 36, ტაბ. XXXIV, XXXV). ბედენის კულტურის რიგითი სამარხები გაითხარა ქვემო ქედსა და ილტოში (Дедабришвили, 1969, 60; Кушнарева, 1993: 106). თრიალეთის კულტურის ორმოსამარხები გაითხარა ნახჭევანში, რომლების ქვის ფილებით იყო გადახურული (Алиев, 1967: 40; Кушнарева, 1993: 123). ნულისა და ქვასათალის სამაროვნების კოლექტიური სამარხები თითქმის ყველა ერთნაირი ხასიათის იყო. სამარხი-ორმო, როგორც ჩანს ხის მორებით იყო გადახურული, ზემოდან კი ქვაყრილით იფარებოდა. მიცვალებულები, ალბათ, სხვადასხვა დროს იკრძალებოდნენ. როგორც ნულის, ისე ქვასათალის სამაროვანზე კოლექტიური სამარხების გარდა, რამდენიმე თანადროული ინდივიდუალური სამარხიც აღმოჩნდა. სავარაუდოდ, ყველა ინდივიდუალური სამარხი ქალებს ეკუთვნოდა. შესაძლოა, ეს გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული (ჯაფარიძე, 2009: 59-60).

განსხვავებული ტიპის ყორღანები და სხვადასხვაგვარად მოწყობილი დასაკრძალავი კამერები მიცვალებულთა განსხავებულ სოციალურ სტატუსზე უნდა მიუთითებდეს. როგორც ჩანს, სხვადასხვა სოციალურ ფენას განსხვავებული დაკრძალვის წესი შეესაბამებოდა და საზოგადოების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე იყო დაფუძნებული (Куфтин, 1941: 100, 148; გოგაძე, 1972: 93; ჯაფარიძე და სხვ., 1981: 161-164; Дедабришвили, 1979: 69-70; მინდიაშვილი, 1980: 175-186; მინდიაშვილი, 1981: 27-28; მინდიაშვილი, 1983: 185-198; მინდიაშვილი, 2002: 15-21; მინდიაშვილი, 2003: 5-8).

ახლა ძნელია შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში არსებული დაკრძალვის რიტუალის და შესაბამისად რწმენა-წარმოდგენების სრულად აღდგენა. თუმცა, ნათელია, რომ ამ ეპოქის დაკრძალვის რიტუალში კარგად აისახა მიცვალებულთა სოციალური იერარქია.

ბ. კუფტინი მიუთითებდა, რომ „აღმოჩენილი დასაკრძალავი მოწყობილებისა და მეტნაკლებად მრავალფეროვანი ინვენტარის მიხედვით კულტურული ავლა-დიდება იმ ტიპისაა, რომ უეჭველად წინაკლასობრივ საზოგადოებასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ ეს საზოგადოება პროგრესული და უკვე საკმაოდ დაწინაურებული უნდა იყოს“ (Куфтин, 1941: 100, 148).

ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ზურტაკეტისა და საერთოდ თრიალეთის დიდი ყორღანები ეკუთვნოდათ ტომთა ბელადებს, რომლებსაც უკვე საკმაოდ დიდი ძალაუფლება უნდა ჰქონოდათ. ..... რაც შეეხება მომცრო ყორღანებს ისინი ცალკეული გვარის ბელადების ან დაწინაურებულ წევრთა სამარხებს წარმოადგედნენ (ჯაფარიძე, 1969: 66-67; ჯაფარიძე, 2003: 158-159).

გ. გობეჯიშვილის აზრით, „ბედენის გორასამარხების ხანაში, თრიალეთში პირველად ჩნდებიან გვარის რიგით წევრთა შორის გამორჩეული ბელადები, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ იკრძალებოდნენ გამორჩეული პატივით” (გობეჯიშვილი, 1981: 134).

ე. გოგაძის აზრით, თრიალეთის ინდივიდუალური ხასიათის მდიდრული სამარხები უთუოდ გვარის და ტომის ბელადებს ეკუთვნოდათ (გოგაძე, 1972: 93).

მესხეთის ყორღანების მაგალითზე თითქოს შესაძლებელია თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალური ურთიერთობის სურათის მეტ-ნაკლებად აღდგენა. ო. ჯაფარიძის, ი. კიკვიძის, გ. ავალიშვილის და ა. წერეთლის აზრით, სხვადასხვა ტერასაზე განლაგებული ყორღანები ერთი ძლიერი ტომის და მასში შემავალი გვარების დაწინაურებულ პირთა სამარხები იყო (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 161). ცალკეულ ჯგუფში გამოიყოფა ცენტრალური, დიდი ქვაყრილიანი ყორღანი, რომელშიც შესაძლოა ტომის წინამძღვარი იყო დაკრძალული. აღსანიშნავია, რომ ამ ყორღანებში ჩვეულებრივ ერთი მიცვალებულია დაკრძალული და თანაც ხანშიშესული. ცენტრალურ ყორღანთან ქვამიწაყრილიანი საშუალო ზომის ყორღანებია განთავსებული, რომლებიც სავარაუდოდ ცალკეული გვარის, თუ თემის წინამძღვართა სამარხებია.

ამ ყორღანებში ზოგჯერ ერთზე მეტი მიცვალებული იყო, მათთან ერთად ხშირად გვხვდება ბავშვის ჩონჩხიც. ეტყობა, ოჯახის წევრები ერთად იმარხებოდნენ. ყორღანების თითოეულ ჯგუფში შედიოდა მომცრო, დაბალი, თითქმის უყრილო ყორღანები ქვის სარტყელით, რომლებშიც ზოგჯერ სამზე მეტი მიცვალებული იყო დაკრძალული. სავარაუდოდ, ეს ყორღანები პატარა ოჯახების კოლექტიურ დასაკრძალავებს წარმოადგენდნენ (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 161-164).

შ. დედაბრიშვილის გამოთვლით, წნორის I ყორღანის მშენებლობაზე ძალზე ბევრი ადამიანის შრომა იყო გამოყენებული: მიწის თხრას 15 ათასი კაც-დღე დასჭირდებოდა, მიწის გადაზიდვას - 7 500 კაცდღე, ხოლო სამარხი კამერის ამოთხრას – 200 კაც-დღე. არანაკლები შრომა იქნებოდა დახარჯული წნორის II ყორღანის მშენებლობისას. გამომდინარე იქიდან, რომ წნორის I ყორღანისათვის ქვა ჩამოტანილი იყო 40 კმ რადიუსის მიდამოებიდან, შ. დედაბრიშვილი ვარაუდობდა, რომ თითოეული დასახლებული პუნქტი, თუ თემი გარკვეულ ხარკს უხდიდა გარდაცვლილს. ამის გარდა, სამარხში ჩატანებული ურემი მეტყველებს მიცვალებულის მაღალ წოდებაზე (Дедабришвили, 1979: 69). შ. დედაბრიშვილის აზრით, წნორის № 2 ყორღანში აღმოჩენილი ლომის ქანდაკება ყორღანში დაკრძალულის ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ქვის წრეები, ასეთივე წრეების გამოსახულებები ლომის ფიგურაზე და კერამიკაზე განასახიერებენ ასტრალურ სიმბოლოებს. ყველა ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ წნორის ყორღანში, „თავისი სიდიადით ნამდვილად სამეფო ყორღანში დაკრძალული იყო ტომთა გაერთიანების ბელადი, რომელიც ერთდროულად მთავარი ასტრალური ღვთაების, თუ ღვთაებების ქურუმიც იყო" (Дедабришвили, 1979: 69-70). შესაძლოა, ყორღანებში გამართულ ხის ნაგებობებში დაკრძალული მიცვალებულები მაღალი რანგის პირები იყვნენ და მათი დასაკრძალავი წარმოადგენდა სასახლის ასლს. ყორღანთა ყრილის ქვეშ გამართული სხვადასხვა კონსტრუქციების თანაარსებობა კი აქ დაკრძალულის უფრო მაღალ სტატუსზე მიუთითებს. მაგ. წნორის №1 ყორღანში, ერთი ყრილის ქვეშ დაფიქსირებულ სამარხ კამერაში (166 კვ. მ.) აღმოჩენილი ხის დასაკრძალავი კონსტრუქცია (დაახლ. 60 კვ.მ.) და სამარხი კამერის სიახლოვეს გათხრილი ქვის წრიული ნაგებობა (Дедабришвили, 1979: 19-23, ტაბ. XI) შეიძლება შესაბამისად „მეფის", ან „უმაღლესი ქურუმის" სამუდამო

სასუფეველს და მის მოსახსენიებელ ტაძარს წარმოადგენდა. შუა ბრინჯაოს სამხრეთ კავკასიის სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირებს უნდა მიეკუთვნებოდეს თრიალეთისა და ზურტაკეტის დასაკრძალავდარბაზიანი ყორღანებიც.

ჩვენი აზრით, შესაძლოა, ქვის წრიული (წნორი, ლორი ბერდი) ნაგებობები განასახიერებდა არქეტიპულ შენობას - წინაპრების სახლს, რადგან წრიული გეგმარების საცხოვრებლებითაა წარმოდგენილი სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ნეოლითური ხანის არქიტექტურა. ამ ტიპის ნაგებობები მტკვარ-არაქსის კულტურისთვისაცაა დამახასიათებელი მისი განვითარების ადრეულ საფეხურზე (ხიზანაანთ გორა E), ხოლო გვიან საფეხურზე წრიული გეგმარების ნაგებობები სამლოცველოების სახით გვხვდება შენგავითში. შესაძლოა ამ არქეტიპის გამოვლენას წარმოადგენს ხიზანაანთ გორას D ფენაში აღმოჩენილი წრიული ფორმის სახლის მოდელი (ტაბ. XVII-1, XXV-1), რომელიც ამავე დროს წინაპრის კულტთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული (შანშაშვილი, 2011: 214). შესაძლოა იგივე იდეის მატარებელი იყო ქვის წრიული გეგმარების ნაგებობა წნორის ყორღანიდან – სამლოცველო (ტაბ. VIII), რომელიც წინაპრების სახლს განასახიერებდა. წრიული გეგმარების ქვის ნაგებობი დამახასიათებელია აბულისა და შაორის „ციკლოპური“ კომპლექსებისათვის (ტაბ. XVII-3,4). წრიული სახლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა აბულის „ციკლოპური“ სიმაგრესთან გამართული დასახლება.

ე. გოგაძე ინჰუმაციიური და კრემაციული წესით დაკრძალვის რიტუალის განხილვის დროს წრიულ ნაგებობებსაც ეხება და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ აქ დამარხვის წესის მიხედვით განსხვავებული ორი ჯგუფი რომელიღაც მნიშვნელოვანი რიტუალით უკავშირდება ერთმანეთს, რასაც მოწმობს მათთან აღმოჩენილი მრგვალ ნაგებობათა კვალი (ერთ შემთხვევაში ელიფსური). ე. გოგაძე ამ ტიპის ნაგებობებსა და ხეთურ ტექსტებში დაკრძალვის რიტუალთან აღწერილ „კარავს“, „ქვის სახლს“ შორის მსგავებას ხედავს (გოგაძე, 1972: 93).

წრიული გეგმარების არქიტექტურულმა ნიმუშებმა, როგორც არქეტიპებმა ახლო აღმოსავლეთშიც იჩინა თავი, მაგ. ერაყში, ძვ.წ. V ათასწლეულით დათარიღებულ ხალაფური პერიოდის ნამოსახლარზე (იარიმ-თეფე III) გაითხარა

უცნაური გეგმარების შენობა. ის წარმოადგენს 5,5 - 5,8 მ დმ-ის თოლოსს, რომლის შიდა სივრცეს იკავებს ოთხკუთხა კონსტრუქციის სიმეტრიულად განლაგებული თითქმის ერთნაირი ოთხი სათავსო. ისინი შიდა ოთხკუთხა ნაგებობის კუთხეების გაგრძელებას წარმოადგენენ. რ. მუნჩაევის აზრით, ეს ნაგებობა საკულტო ხასიათის მრავალფუნქციურ შენობად შეიძლება ჩაითვალოს (Мунчаев, 1997: 14, სურ. 7). რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ მსგავსი შენობები მანამდე არ ყოფილა აღმოჩენილი ხალაფის კულტურის ძეგლებზე, თუმცა დამასკოს მუზეუმში ინახება მრგვალი სახლის თიხის მოდელი, რომელსაც ასეთივე კონსტრუქცია აქვს. ეს მოდელი აღმოჩნდა სირიაში, უძველეს ქალაქ მარიში (ტაბ. XVII-1) და თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევრით (Fortin, 1999: სურ. 282). რ. მუნჩაევის აზრით, მარიში აღმოჩენილი მოდელის ფორმა შეესაბამება იარიმ-თეფეს თოლოსის გეგმარებას და უძველეს დროს ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ ტრადიციას (Мунчаев, 1997: 16). ძვ.წ. V ათასწლეულის ჩრდილოეთ მესოპოტამიაში დომინირებს წრიული გეგმარების საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ხასიათის ნაგებობები. რ. მუნჩაევი აღნიშნავს, რომ არც მანამდე და არც შემდგომ პერიოდებში წრიული გეგმარების არქიტექტურა არ ყოფილა ასე ფართოდ გავრცელებული ახლო აღმოსავლეთში (Мунчаев, 1997: 16).

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე, ხანგრძლივი წყვეტილის შემდეგ ჩრდილოეთ მესოპოტამიაში (თეფე გავრა, გუბა, თელ რაზუკი, აბადა, მადჰური, მაშნაკა) მართკუთხა გეგმარების შენობების გვერდით კვლავ ჩნდება წრიული გეგმარების არქიტექტურა (Margueron, 1999: 19-20). თეფე გავრას შენობის კედლები ქმნიან კონცენტრული წრეების სერიას, რომელთა შუაში „ცილინდრული პლატფორმის" ფორმის მასიური ქვის ნაგებობაა (Margueron, 1983: 21-23). მისი დიამეტრი 5 მ-ია, ხოლო სიმაღლე 3.5 მ. პლატფორმის ცენტრში 0.8 მ-ის დიამეტრის კერაა განთავსებული ნაცრის შემცველობით. „პლატფორმა" გარშემორტყმულია ხუთი წრიული კედლით, რომლებიც ერთმანეთს ხუთი დერეფნით ემიჯნებიან. დერეფნებში იდგა დიდი ჭურჭლები. იქვე აღმოჩნდა ძვლის ნივთები, კვირისტავები, ცული, დანა, სპილენძის წვეტანა და სხვა ნივთები. ერთ-ერთი კედლის შიდა მხარეს პატარა სათავსოებია მიდგმული ერთმანეთის მიყოლებით. ჟ.-კ. მარგერონის

აზრით, წრიული გეგმარების ნაგებობებს დამცავი ფუნქცია ჰქონდათ, რადგან იქ სავარაუდოდ სანოვაგე ინახებოდა (Margueron, 1999: 53-55).

წრიული გეგმარების მარცვალსანახი ნაგებობები მტკვარ-არაქსის კულტურის მიწურულს იყო გავრცელებული. ამ მხრივ საინტერესოა თეღუთძორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი არქიტექტურული მაკეტი (მასალის გაცნობის და სარგებლობისათვის პროფ. რ. ბადალიანს მადლობას მოვახსენებთ). ის ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული სამი წრიული გეგმის სახლის მოდელს წარმოადგენს (ტაბ. XXV-6), რომლებსაც კონუსური, ცრუთაღოვანი გადახურვა აქვთ. მაკეტი დიდ მსგავსებას იჩენს ისრაელის ტერიტორიაზე, ადრე ბრინჯაო III პერიოდის ბეთ-იერახის ნამოსახლარზე გამოვლენილ დიდ მარცვალსანახთან, რომელიც კულტმსახურების ადგილსაც წარმოადგენდა (Mazar, 2001: 449-452). რუთ ამირანი აღნიშნავდა მსგავსებას ბეთ იერახის მარცვალსანახსა და მტკვარ-არაქსულ წრიული გეგმარების ნაგებობებს შორის იანიკ-თეფეზე და შენგავითში (Amiran, 1965: 165-167), რომლებიც, სავარაუდოდ, სანოვაგის შესანახ და ამავე დროს საკულტო ნაგებობებს წარმოადგენდნენ.

ჩვენი აზრით, წრიული ფორმის არქიტექტურული ნაგებობები, რომლებიც პერიოდულად თავს იჩენს ახლო აღმოსავლეთში, წარმოადგენს საკრალური ნაგებობის არქეტიპს, რომელიც სიმბოლურად ასახავს დოვლათით სავსე „ჩვენს სამყაროს", „კოსმოსს", „მოწესრიგებულ სივრცეს". ქვით ნაგებ არქიტექტურულ ნაგებობებს წარმოადგენენ თრიალეთსა და გომარეთის პლატოზე გათხრილი შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზები" (ტაბ. XI, XXIV), რომელთა სამშენებლო ტექნიკა ჯავახეთის ზეგანზე არსებული „ციკლოპური" არქიტექტურული კომპლექსების მსგავსია. მაგ. ფარავნის ტბის პირას მდებარე შაორის „ციკლოპური" სასიმაგრო კომპლექსი ორი ნაწილისგან შედგება და მთის ორ, მაღალ და დაბალ წვერზეა გაშენებული (ტაბ. XVIII-1). კომპლექსის ძირითადი ნაწილი მთის ყველაზე მაღალ წერტილზეა განლაგებული. ის კუთხეებმომრგვალებული ფორმის ნაგებობას წარმოადგენს. წრიული გალავნის კედლები ნაგებია ადგილობრივი ბაზალტის ფიქალისაგან, მშრალად. გალავნის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 5 მ-ს აღწევს. კედელის მთელ პერიმეტრზე, შიდა მხრიდან, მიდგმულია მცირე ზომის სენაკები, რომლებიც ერთ, ან ორ

სართულად ყოფილა განლაგებული. პირველი სართულის სენაკები ბაზალტის ბრტყელი ფილებითაა გადახურული, რაც თავისთავად მეორე სართულის სენაკების იატაკი იყო (ნარიმანიშვილი, 2009: 46-47).

გ. ნარიმანიშვილის აზრით, შაორის კომპლექსის მდებარეობა, აგებულება, არსებული სათავსების იმდენად მცირე ზომები, რომ მათი საცხოვრებლად და სამეურნეოდ გამოყენება ეჭვს იწვევს, ასევე "საკულტო" მოედნების და მენჰირების არსებობა შეიძლება ამ ძეგლის საკულტო ხასიათზე მიუთითებდეს. ქვის ფილებით ნაგები გზაც (ტაბ. XVIII-2) სარიტუალო პროცესიისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (ნარიმანიშვილი, 2009: 51-52). ჩვენ ვიზიარებთ გ. ნარიმანიშვილის ვარაუდს, რომ შაორის კომპლექსის სამშენებლო ტექნიკა და არქიტექტურა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს თრიალეთში გათხრილ ყორღანებთან (თოფ-კარი 1 და 2, ზურტაკეტის ყორღანები), რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. რამდენადაც შაორის კომპლექსს დღეისათვის სხვა უფრო ახლო პარალელი არ მოეპოვება, შეიძლება სამუშაო ჰიპოთეზის სახით დავუშვათ, რომ შაორის კომპლექსიც აღნიშნულ ხანას განეკუთვნება.

შაორის კომპლექსს შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებთან ქვის ფილებით ნაგები გზაც აახლოვებს, რომელიც სარიტუალო პროცესიისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შაორის მთის წვერზე დაფიქსირებული გზა ქვედა სიმაგრიდან ზედასაკენ სერპანტინისებურად მიემართება აღმოსავლეთისაკენ და ცენტრალური კომპლექსის კარიბჭესთან მთავრდება. გზის სიგრძე 310-315 მმ-ია, სიგანე კი 2.0-4.5 მ-ს შორის მერყეობს (ნარიმანიშვილი, 2009: 51). შაორის გზა დიდი მსგავსებას იჩენს შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებთან დაფიქსირებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან.

ყორღანებისკენ მიმავალი სარიტუალო-საცერემონიო გზები XX ს-ის ბოლოს აღმოჩნდა. 1999-2000 წლებში წალკის წყალსაცავის ფსკერზე ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორღანები გამოჩნდა. ზოგიერთ ყორღანთან მკაცრად აღმოსავლეთის მხრიდან მიდგმული, დიდი ზომის ბაზალტის ქვებით მოკირწყლული გზა დაფიქსირდა (ტაბ. XIX - XXI). XLVII ყორღანთან გზის დაფიქსირებული სიგრძე 356 მეტრია, სიგანე – 6 მ. (ტაბ. XIX) ასეთივე გზები აქვთ ბ. კუფტინის მიერ გათხრილ III, VI, VIII, XV, XVII ყორღანებს. ქვით მოკირწყლული გზები დაფიქსირდა ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილ ზურტაკეტის ყორღანებთანაც

(ნარიმანიშვილი, 2009: 44). სარიტუალო გზა ასევე დადასტურდა ყარაშამბის სამაროვანზე (ტაბ. XXII-1) გათხრილ შუა ბრინჯაოს ხანის დიდ ყორღანთან (მასალის გაცნობისა და ილუსტრაციების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ პროფ. პაველ ავეტისიანს).

ყველა ყორღანთან ქვით მოკირწყლული გზა უშუალოდ ყორღანის ყრილს აღმოსავლეთიდან ებჯინება. მის უშუალო გაგრძელებას, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს გრძელი დრომოსი, რომელიც გზის დასასრულში, ყორღანის ყრილიდან იწყება და სამარხ ნაგებობაში შედის (ნარიმანიშვილი, 2009: 44-45). ქვით მოკირწყლული გზები ყორღანთა ორგანული ნაწილია. ისინი, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული და საპროცესიო მსვლელობისათვის იგებოდა (ნარიმანიშვილი, 2009: 65). გამოთქმულია მოსაზრება, რომ "თრიალეთის როგორც ორმოიან, ისე „დასაკრძალავ დარბაზიან" დიდ ყორღანებში მიცვალებული, ან მისი ფერფლი, ალბათ დრომოსით, უკვე გადახურულ „დასაკრძალავ დარბაზში", ეტლში შებმული ხარებით შეჰქონდათ" (ჯაფარიძე, 1969: 68). ალბათ, ეტლი სარიტუალო გზაზე პროცესიასთან ერთად მიემართებოდა (ნარიმანიშვილი, 2009: 65).

თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებულ სარიტუალო გზებს სამხრეთ კავკასიის გარდა ყორღანული კულტურების არეალში ანალოგები არ მოეძებნება. ისინი დიდ მსგავსებას იჩენენ ძველ სამყაროში დადასტურებულ სარიტუალო-საპროცესიო გზებთან (ტაბ. XXIII), რომელთაგან განსაკუთრებულ სიახლოვეს ეგვიპტის პირამიდებთან არსებულ „აღმავალ გზებთან" ამჟღავნებენ (Stadelmann, 1991: 123-126, 136-138, 150-178, 189-214, სურ. 42-43, ნახ. 29, 52-68; Замаровский, 1986: 111, 285-296, 313-325). ძველი სამეფოს თითქმის ყველა დინასტიის ფარაონი თავის პირამიდასთან აგებდა „აღმავალ გზებს". ეგვიპტოლოგები თვლიან, რომ ძველი ეგვიპტელების მისწრაფება პირამიდების სწორი ორიენტაციისაკენ დაფუძნებული იყო რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, რომელთა მიხედვით, გარდაცვლილი მეფე (შესაძლოა მისი „კა") ადის ვარსკვლავებთან, სადაც იკავებს ადგილს ჩრდილოეთ პოლუსის თავზე. ამ წარმოდგენების შესაბამისად, ძველი სამეფოს ყველა პირამიდის შესასვლელი დერეფანი უშუალოდ ჩრდილოეთზეა ორიენტირებული, რათა შეემსუბუქებინა გარდაცვლილი მეფის აღმავალი გზა პოლარული

ვარსკვლავისაკენ (Замаровский, 1986: 300). „აღმავალი” გზები საკმაოდ შთამბეჭდავია. მაგალითად, ფარაონ უნისის პირამიდისკენ მიმავალი 670 მეტრის სიგრძის და 6,7 მეტრის სიგანის გზა ქვის კედლებითაა შემოზღუდული (Замаровский, 1986: 305, 325). საპროცესიო გზა არსებობდა ლარსას დინასტიის ეპოქის ურში (Дьяконов, 1990: 23, სურ. 1). გრანდიოზული საპროცესიო გზა ააგო ნაბუქოდონოსორ II-მ ბაბილონში, რომელიც იშთარის ტაძრიდან მარდუქის ტაძრამდე მიდიოდა (Кленгель-Брандт, 1991: 132-133). სარიტუალო გზები ხეთურ სამლოცველოებთან და დასაკრძალავებთანაც არის დადასტურებული (Маккуин, 1983: 132-136). წმინდა გზა მიემართებოდა ტაძრისკენ ბოღაზ-ქოიში (Neve, 1993: 17-18). გრანდიოზული სარიტუალო გზები დადასტურებულია მაიას ცივილიზაციის სამლოცველოებთანაც (Стингл, 1982: 136).

ამდენად, თრიალეთის ყორღანების სარიტუალო-საპროცესიო გზები შეიძლება ყორღანის, როგორც ხანგრძლივმოქმედი საკულტო არქიტექტურული ნაგებობის ერთ-ერთ დამადასტურებლად ჩაითვალოს. როგორც ჩანს, ყორღანი გაღმერთებული მეფე-წინაპრის დასაკრძალვი იყო. დღესდღეობით ძალზე ძნელია ყორღანთან შესრულებული ყველა რიტუალის შესახებ საუბარი. თუმცა, ძველი აღმოსავლეთის ხალხების წერილობით ძეგლებში, რომელიც საკულტო პრაქტიკას ეხება, ეს სიტუაცია კარგად აისახა. მ. ბერიაშვილის აზრით „ეს ნათლად ჩანს მეფე-დედოფლის გარდაცვალების ხეთურ გამოთქმაში – ღმერთი გახდა, და ეს უკვე არ იყო ერთი ცალკე ოჯახის კულტის საგანი, არამედ მთელი ქვეყნის, მოცემული საზოგადოების კულტის საგანი, ხეთი მეფე-დედოფლის მავზოლეუმი, ქვის სახლი, ხომ იგივე ტაძარი იყო” (ბერიაშვილი, 1988: 189).

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების არქიტექტურა და მათთან დაკავშირებული თუ გარშემო არსებული სხვადასხვა სტრუქტურები (სარიტუალო-საპროცესიო გზები, ყორღანის ყრილზე მიდგმული თუ გზასთან განლაგებული ოთხკუთხა და წრიული სტრუქტურები) საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ყორღანი იყო საკულტო ადგილი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირებდა.

შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები აგებულია იმ უძველესი არქიტექტურული ტრადიციების საფუძველზე, რომელსაც დღეს რელიგიის ისტორიასა და ფსიქოლოგიაში უწოდებენ „მანდალა” (სანსკრიტულ სიტყვაა). ბუდისტურ

მითოლოგიაში მანდალა გამოისახება როგორც წრეში ჩახაზული კვადრატი სამყაროს ოთხ მხარეს მიმართული ოთხი „დერეფნით". ბუდისტური შეხედულებების მიხედვით, ეს არის სამყაროს მოდელი, რომლის ცენტრია ღვთაებრივი მთა – სუმერუ. ის სამყაროს ღერძს წარმოადგენს. აქ იყო „უკვდავი ღმერთების საცხოვრებელი". სხვა შეხედულებებით, ცენტრში განთავსებული იყო კვადრატული სამარხი თაღოვანი გადახურვით, რომლის იატაკის ქვეშ ინახება საკრალური ნაწილები (Юнг, 2004: 18). ბუდისტური მანდალა თავის თავში მოიცავს უძველეს მითოლოგიას სამყაროს შექმნასა და აგებულებაზე.

მანდალა უნივერსალური სიმბოლოა. ის გავრცელებულია მსოფლიოს ყველა რელიგიაში. კომპოზიციის ცენტრში გამოისახება ღვთისმშობელი, ან მაცხოვარი, ქააბას ქვა, ან ბუდა. მანდალა არქეტიპია. ეს ცნება მოდის არქაული დროის მითებიდან და ზღაპრებიდან და თანამედროვე ადამიანის ქვეცნობიერებიდან სპონტანურად აისახება სიზმრებში, ფანტაზიებში, ნახატებში. ეს სიმბოლო ძალზე პოპულარული გახდა თანამედროვე ფსიქოთერაპიაში. მას იყენებენ მედიტაციაში. სულიერად არამდგრად ადამიანებს ურჩევენ მანდალას გამოსახვას ნებისმიერი საშუალებით, რათა მათ გარე სამყაროსთან დაამყარონ ჰარმონიული დამოკიდებულება. მანდალას საფუძველზე იგებოდა ქალაქები და სამლოცველოები. ნებისმიერი ახალი მშენებლობა, იქნებოდა ეს ქალაქი, საცხოვრებელი სახლი, თუ მიცვალებულის სახლი, წარმოადგენდა მინიატურულ მაკროკოსმოსს. ეს მინისამყაროები შეესაბამებოდა იმ უნივერსალურ გეგმარებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი ქმნიდა თავის სამყაროს. წრიულ გალავანში ჩაშენებული მართკუთხა გეგმარების დასახლება თავის მხრივ მოიცავს წრიული ღობეებით შემოზღუდულ ოთხკუთხა სახლებს, რომელთა ცენტრს წარმოადგენს მრგვალი კერა. ეს არის ნაკურთხი სამყაროს უნივერსალური მოდელი, რომელსაც ეწოდება quadratura circuli – წრის კვადრატურა, ან მანდალა. მანდალა კი, როგორც არაერთხელ აღნიშნულა წესრიგის სიმბოლოა (Юнг, 2004: 19).

პლუტარქეს „რომულუსის ბიოგრაფიაში" დეტალურადაა აღწერილი რომის აღმშენებლობა: გუთნით შემოიხაზებოდა წრე, რომლის ცენტრში მრგვალი ღრმული იყო მოთავსებული. მას რომაელები მუნდუსს (mundus) ეძახდნენ. ოვიდიუსი ამ ცენტრს უწოდებს ფოსსას (fossa) და ხაზს უსვამს, რომ ყოველი მსხვერპლშეწირვის

შემდეგ, რომელიც აქ ტარდებოდა, ის იხურებოდა. სხვა წყაროების მიხედვით, მუნდუსი წარმოადგენდა ნაგებობას, რომლის ქვედა ნაწილი ეძღვნებოდა წინაპართა სულებს. ვინც ნამყოფი იყო შიგნით, ამ ნაგებობას აღწერს როგორც ცის კამარის გამოხატულებას. ამავე დროს მასში აისახება წინაპრების უძველესი შეხედულებები სამყაროზე – ის წარმოადგენდა მიწისქვეშა შესანახს ყველაფრისა, რაც ისხამდა ნაყოფს და იბადებოდა (Юнг, 2004: 16).

ჩვენი აზრით, ყორღანის ფორმა და კონსტრუქცია სწორედ სამყაროს აგებულების ამ არქეტიპულ მოდელს ეფუძნება და ასახავს უძველეს დროში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს სამყაროს შექმნასა და მოწესრიგებაზე.

არქიტექტურული ფორმით და იდეური დატვირთვით ყორღანი მსგავსებას იჩენს ეგვიპტურ პირამიდებთან და მესოპოტამიურ ზიკურატებთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზურტაკეტის № 6 ყორღანი, რომლის დასაკრძალავ დარბაზზე საფეხურებიანი ნაგებობაა დადგმული. ნაგებობა წრიულია. მისი ქვედა, პირველი საფეხურის სიმაღლე 3,0 მ-ს აღწევს. ზედა საფეხურების სიმაღლე კი 1,0 -1,5 მ-ს შორის მერყეობს. კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ბაზალტის დაუმუშავებელი ქვებით. კედლები ოდნავაა დახრილი ყორღანის ცენტრისკენ. დასაკრძალავი დარბაზის და დრომოსის კედლები კი ქვის ფილებითაა ამოყვანილი. წყობა მშრალია. ზურტაკეტის № 6 ყორღანი შუაბრინჯაოს ხანის უნიკალურ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. ის ერთადერთია და მას სამხრეთ კავკასიაში ანალოგი არ მოეპოვება (ნარიმანიშვილი, 2009: 67). გარეგნული იერით ის მოგვაგონებს ჯოსერის საფეხურებიან პირამიდას საკარიდან.

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური ყორღანების გარეგნული სახე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთას ემსგავსება, მთა მითო-რელიგიური წარმოდგენების მიხედვით კოსმიურ წესრიგთან არის დაკავშირებული. ძველი მითოლოგიების მიხედვით სამყაროს შექმნა მოიაზრება ცისა და მიწის განყოფით. მითოსური კულტურის დამკვიდრებას წინ უძღვის ქაოსის არსებობა. წესრიგის გაჩენასთან ერთად წამოიმართება მთა, როგორც მისი საყრდენი. მთა ამავე დროს არის მაკავშირებელი ცისა და მიწისა. წესრიგი რეალურად მოიაზრება როგორც ადამიანთა (დედამიწა) და ღმერთთა სამყოფელის (ზეცა) კავშირი. შუმერულ მითოლოგიაში ცისა და მიწის შემქმნელი ენლილია, რომელსაც ამის გამო ეწოდა

ქურ-გალ - „დიდი მთა”. ჩინურ მითოლოგიაში ცისა და მიწის მაკავშირებელია მთა კუნლუნი, ცისა და მიწის განყოფა მიეწერება გმირ პან-გუს, რომლის სხეული ენლილის მსგავსად მთასაა შედარებული. ინდურ მითოლოგიაში კულტურის, წესრიგის საყრდენია მთა მესუ, რომელიც აღმართულია ქვეყნის ცენტრში და გარშემორტყმულია ოკეანის წყლებით, ხოლო მის მწვერვალზე ცხოვრობენ ინდური პანთეონის მთავარი ღმერთები: ბრამა, ვიშნუ და შივა (ბერიაშვილი, 1988: 166-167). ბერძნული პანთეონის ღმერთებიც მთაზე – ოლიმპოზე ბინადრობენ.

ამდენად, მთა კოსმიური ღერძის, ქვეყნის წესრიგის მცველის განსახიერებაა, მისი ფესვები ღრმად მიწაშია გადგმული, ხოლო წვერი – ღრუბლებშია. კოსმიური ღერძის განსახიერებად მთის გარდა ითვლებოდა ხე, ქვა – ყველაფერი ის, რისი მატერიალური გამოცხადებაც იყო ტაძარი. კოსმიურ მთას განასახიერებდნენ მესოპოტამიური ზიკურატებიც. ამას მოწმობს შუამდინარეთის ძლიერი საკულტო ცენტრის ქალაქ ნიპურის ტაძრების სახელები: „მთა სახლი“, „ჭექა-ქუხილის მთა“, „ყველა ქვეყნების მთის სახლი“. ზიკურატის შუმერული სახელი იყო „მთა” - U-Nir (Элиаде, 1998: 88). მესოპოტამიურ კულტურაში მთას „მიწისქვეშა სამყაროს ზღურბლის“ მნიშვნელობაც აქვს. შუმერების რწმენით, ამ ზღურბლის გადალახვით და მთის გავლით სულები საიქიოში ხვდებოდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ყორღანები, ანუ ხელოვნური მთები – გორა-სამარხები წარმოადგენენ კოსმიურ მთას, ღერძს (ბერიაშვილი, 2001: 32; Ростунов, 2007: 14). უძველესი ყორღანული სამარხები პირველად ჩნდება დასავლეთ ევროპაში, საფრანგეთსა და ბრიტანეთში, სადაც ძვ.წ. V ათასწლეულით თარიღდებიან (Ростунов, 2007: 20). ვერტიკალურ სივრცეში ის კოსმიურ მთას განასახიერებდნენ, რომლის ძირი ქვესკნელშია, ხოლო წვერი – ზეცაში. ჰორიზონტალურ სივრცეში კი ყორღანი სამყაროს სტრუქტურის უნივერსალურ სიმბოლოს – მანდალას განასახიერებდა, რომელიც გამოისახებოდა უმარტივესი გეომეტრიული ფიგურების – წრის და მართკუთხედის კომბინაციით. ყველა უძველეს კულტურაში მიწას მართკუთხედი აღნიშნავდა, ხოლო წრე – ზეცას. ამდენად, ჰორიზონტალურ სივრცეში ყორღანი საკრალურ სივრცეს, „ჩვენს სამყაროს” განასახიერებდა (Ростунов, 2007: 15-16).

დიდი ყორღანები იგებოდა მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე და შეიძლება გარკვეული კულტმსახურების ობიექტიც იყო. როგორც ჩანს, ის საკულტო ნაგებობად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც რჩებოდა. საკულტო ცერემონიების გამართვის პერიოდულობაზე სარიტუალო გზები, გზებზე და მათი კრომლეხთან, თუ დრომოსთან მიერთების ადგილზე აღმოჩენილი ნივთები მიუთითებენ (ნარიმანიშვილი, 2009: 89-90). ყორღანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკულტო ცერემონიების ადგილი რომ იყო, ამაზე სარიტუალო-საპროცესიო გზების გარდა ყორღანებთან და ყორღანების თავზე, ან მათ სიახლოვეს აღმართული ქვის სტელა-მენჰირებიც მიუთითებენ.

ამდენად, შუა ბრინჯაოს ყორღანები გამოირჩევა ხის და ქვის რთული კონსტრუქციებით და არქიტექტორული ფორმებით. ყორღანში დაკრძალვის რთული და ხანგრძლივი რიტუალის ხასიათზე მიუთითებს მარტყოფის № 1 ყორღანის დასაკრძალავ კამერასთან მოწყობილი ქვით მოგებული მოედანი (ჯაფარიძე, 1998: 12, ტაბ. II), ქვით ნაგები სამლოცველო წნორში (Дедабришвили, 1979: 24), სარტუალო გზები და მათ დასასრულს გამართული სტრუქტურები (ნარიმანიშვილი, 2009: 30), სხვადასხვა ფერის მიწით შედგენილი ყრილები (გობეჯიშვილი, 1981: 16, 17, 34). დღეს რთულია ყველა ამ ფაქტის ახსნა, თუმცა მათი კავშირი დაკრძალვის რიტუალთან და მითო-რელიგიურ წარმოდგენებთან ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არ არის გამორიცხული, რომ ყრილის ქვეშ გამართული ხისა და ქვის მიწისზედა აკლდამები რიტუალისათვის იყო გამართული, ამაზე მიუთითებს მარტყოფის №1 ყორღანის წინ დაფიქსირებული ქვის ფილებით მოგებული იატაკი (ტაბ. VI-2), რომელზეც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მიმოფანტული სხვადასხვა ფორმის სადაფის მძივები (ჯაფარიძე, 1998: 12, სურ. 3, ტაბ. 2,3). ეს ფაქტი ალბათ დაკრძალვის რიტუალის დასრულების დროს შესრულებული წეს-ჩვეულების ანარეკლი უნდა იყოს.

დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთ ბოლო აქტს უნდა წარმოადგენდეს და მიცვალებულის პატივსაცემად გამართული რიტუალის ამსახველი უნდა იყოს თრიალეთის 50-ე ყორღანის ქვით ნაგები სარიტუალო გზის და კრომლეხის შეერთების ადგილზე დაფიქსირებული ოქროს არტეფაქტები, ისრისწვერები და ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთი, რომლებიც კრომლეხის ყრილის ქვეშ იყო დაფიქსირებული (ნარიმანიშვილი, 2009: 31-36).

ჩვენს მიერ მოტანილი მასალები არა მხოლოდ მიცვალებულის დაკრძალვამდე შესრულებული გარკვეული რიტუალის, არამედ დაკრძალვის პროცესში და შემდეგში განხორციელებულ რიტუალურ ქმედებებზეც მიუთითებს. როგორც ჩანს, დაკრძალვის რიტუალის ჩატარებამდე, სამარხი ნაგებობის მომზადებაში და დასაკრძალავი ნაგებობის ხანგრძლივი მშენებლობის პროცესში ხალხის დიდი მასა იღებდა მონაწილეობას. ჩანს, რომ საკმაოდ მოშორებული ადგილებიდან ხდება სამშენებლო მასალის მოზიდვა. მაგ. ბედენის, მარტყოფის, ზურტაკეტის და თრიალეთის დიდი ყორღანების ყრილის შესაქმნელად შორიდანაა მოზიდული ქვა და ზოგ შემთხვევაში წითელი თიხა, ისევე როგორც, ალაზნის ველის ყორღანებში გამოყენებული სამშენებლო ქვა. ყორღანის ასაგებად გამოყენებული მასალის სხვადასხვაგვარობა და შესრულებული სამუშაოს მასშტაბები მიუთითებს, რომ საზოგადოების ყველა ფენას თუ ტერიტორიულ ერთეულს თავისი წვლილი შეაქვს მაღალი რანგის მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალში, რომელიც, როგორც ჩანს, ხშირად საკმაოდ დიდ ხანს გრძელდებოდა და რთულ პროცედურებსაც გადიოდა.

§ 2. საკულტო ადგილები და ნაგებობები

სამხრეთ კავკასიაში საკულტო არქიტექტურა ადრებრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბდა და უცვლელი სახით შემორჩა შუა ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე (მარტყოფის და ბედენის ეტაპები). სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ მტკვარ-არაქსის და ბედენის კულტურების მატარებელი საზოგადოება კულტთან დაკავშირებულ რიტუალებს საცხოვრებელ ნაგებობებში, დასახლების ტერიტორიაზე და დასახლების გარეთ არსებულ სამლოცველოებში ატარებდა. საკულტო ნიშნები მკვეთრადაა გამოხატული მოხრაბლურის, მეცსეპასარის, ამირანის გორის, თალინის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე. დღევანდელი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ადრებრინჯაოს ხანაში საოჯახო საკულტო რიტუალები სრულდებოდა საცხოვრებელ შენობებში, კერასთან. კერაში, ან კერასთან ზოგჯერ დადასტურებულია პატარა ქანდაკება, ზოო, ან ანთროპომორფული სადგარი. საოჯახო კერპების მნიშვნელოვან ნაწილს თიხის ანთროპომორფული სადგრები წარმოადგენენ (Кушнарёва, Чубинишвили, 1970: 164). ოჯახის მფარველ ღმერთებთან, თუ გაღმერთებულ წინაპრებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სახლების

მაკეტები (ტაბ. XXV), რომლებიც აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (შანშაშვილი, 2011).

მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრებელ სახლებში არსებული სამლოცველოების გვერდით, ჩნდება საზოგადოებრივი, სათემო მნიშვნელობის კულტმსახურების ადგილები. ამ ეპოქის სამლოცველოები მდებარეობდნენ როგორც ნამოსახლარების ტერიტორიაზე (მოხრაბლური, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ართიკი), ისე მის ფარგლებს (თალინი, ბაბადერვიში II, ამირანის გორა) გარეთ (Кушнарёва, Чубинишвили, 1970: 165; Areshian, 2005: 71-88; ნადიმაშვილი, 1963: 48-52; მინდიაშვილი, 2010: 103; Badalyan, Avetisyan, 2007: 243; Avetisyan, Muradyan, Sargsyan, 2010: 161-163). ოზნის ნამოსახლარზე გამოვლინდა სამსხვერპლო მოედნები, სადაც ბ. კუფტინის ვარაუდით, საოჯახო-საგვარეულო რიტუალები სრულდებოდა (Куфтин, 1948: 42). მტკვარ-არაქსის კულტურის სამლოცველოები, რომლებიც ნამოსახლარის გარეთ, ცალკე დგანან, სამხრეთ კავკასიის არაერთ ძეგლზე (ამირანის გორა, თალინი, მეც სეპასარი, ბაბა-დერვიში) დაფიქსირდა (ჩუბინიშვილი, 1963: 43,45 ტაბ. I-3, IX; Кушнарёва, Чубинишвили, 1970: 62; Еганян, 2012: 278-290). სამხრეთ კავკასიაში გაითხარა ნამოსახლარები, სადაც მტკვარ-არაქსის და ბედენის კულტურების თანაარსებობა დადასტურდა. არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ ამ ფენებში გამოვლენილი სახლები მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრებლისაგან დიდად არ განსხვავდება. ინტერიერში წამყვანი ადგილი ისევ კერას უკავია (ციხიაგორა). ბედენის კულტურის (მარტყოფის და ბედენის ეტაპები) სამლოცველოები აღმოჩნდა ბერიკლდეებში, სოფ. ზველის „რაბათზე", ხაშურის ნაცარგორაზე, ჟინვალში.

ციხიაგორას № 1 სახლი (ტაბ. XXVI, XXVII) შესაძლებელია სამლოცველო იყო. ამაზე მიუთითებს კერასთან დაფიქსირებული მზის გამოსახულება. კედლის გასწვრივ თაროები და მათზე დაწყობილი გამორჩეული ინვენტარი და გამოსახულებები. №1 სახლი (66 კვ.მ) მიეკუთვნება ციხიაგორა B2 ფენას და წარმოადგენს ოროთახიან, სარ-ლასტზე თიხით მოლესილ ნაგებობას (მახარაძე, 1994: 14-15). დედაბოძის ორმოდან სამხრეთით, 15 სმ-ის დაშორებით, იატაკში ჩალესილი იყო თიხის მრგვალშვერილებიანი კერა (მახარაძე, 1994: 15-16). შიდა მხარეს კერას მიძერწილი აქვს ოთხი დიდი და ერთი პატარა შვერილი. პატარა

შვერილზე ორივე მხარეს ჩაღრმავებაა, რომლებიც თვალებს უნდა გამოხატავდეს. კერასა და საბოძე ორმოს შორის იატაკზე ამოტვიფრულია გასხვოსნებული წრე, რაც მზის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს (მახარაძე, 1994: 16). შენობის ცენტრალური სათავსოს უკანა, ე.ი. ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გამართულია შემაღლება, რომელზეც შემორჩენილი იყო გაკრიალებამდე მოლესილი ზედაპირი. შემაღლების ერთ-ერთ მონაკვეთზე დაფიქსირდა ნაცარგროვა, რომელსაც 40 სმ დიამეტრის წაკვეთილი კონუსის მოყვანილობა ჰქონდა. ზემოდან წრიულად ის მოლესილი იყო თიხის თხელი ფენით, რომელიც ინტენსიური წითელი ფერით იყო შეღებილი. ნაცარგროვის შუაგული მოლესილი არ იყო (მახარაძე, 1994: ტაბ. IV-2, XI). № 1 შენობის ცენტრალურ სათავსოს სამხრეთიდან მიშენებული აქვს ტრაპეციის ფორმის, 6X5 მ ფართობის სათავსო. მას ორი შემაღლება აქვს, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლების გასწვრივ. აღმოსავლეთ შემაღლებაზე ორი ნაცარგროვა დადასტურდა, თითოეულ მათგანთან ერთმანეთის გვერდით დაპირქვავებული იყო ორ-ორი პატარა სასმისი. შემაღლებაზე მრავლად აღმოჩნდა დანახშირებული მარცვლეული (ხორბალი და ქერი), კაჟის ნამგლის 3 ჩასართი, რომელთაგან ერთი ნამგალი იკვრება. შემაღლების ახლოს, იატაკზე კერამიკის დიდი გროვა დადასტურდა. მათ შორის აღსანიშნავია სიმბოლური ნიშნებით შემკული ერთი ჭურჭელი (მახარაძე, 1994: ტაბ. XXVI), რომელშიც ისრისპირი, ნამგლის ჩასართი, რქის ნატეხი და პატარა, მრგვალი შავი რიყის ქვა იდო თეთრი თვალით.

დასავლეთ შემაღლებაზე აღმოჩნდა ლარნაკის ტიპის ხუთი ჭურჭელი, რომლის ქუსლი შემაღლებაზეა დაძერწილი. ჭურჭელში დაფიქსირდა მარცვლეული - ხორბალი და ქერი. შემაღლებაზე უხვად მიმობნეული მარცვლეული, როგორც ჩანს, ამ ჭურჭლიდან იყო გადმოყრილი. ჭურჭელი შეღებილია წითლად, განსაკუთრებით ინტენსიური ფერით კი ქუსლებია შეღებილი. მათთან იყო დაპირქვავებული პატარა სასმისები (მახარაძე, 1994: ტაბ. XXVIII-1). ამ შემაღლებაზეც აღმოჩნდა კაჟის ნამგლის ჩასართები, სამი ცალი, რაც ერთ ნამგალს კრავს. სათავსოს იატაკზე, დასავლეთი შემაღლების სამხრეთ ნაწილთან ჭურჭლის ჩასადგმელი სამი ფოსოა გაკეთებული. ორ მათგანში ჭურჭელი იყო ჩადგმული. ამ სათავსოში სულ აღმოჩნდა ორმოცამდე დიდი და მომცრო თიხის ჭურჭელი. იატაკზე, ისევე როგორც

ძირითად სათავსოში ამოტვიფრული იყო გამოსახულებები. დასავლეთ თაროსთან არსებული ერთ-ერთი გამოსახულება სვასტიკას მოგვაგონებს (მახარაძე, 1994: 18).

№1 შენობა აგებულია თიხის მოედანზე, რომელიც საგანგებოდაა მომზადებული (მახარაძე, 1994: 19). ამავე შენობის სიახლოვეს გაითხარა სამეურნეო ნაგებობის ნაშთი (მახარაძე, 1994: ტაბ. III, VII). ეს ნაგებობა ან წრიული ფორმის უნდა ყოფილიყო, ან მართკუთხა ძლიერ მომრგვალებული კუთხეებით (მახარაძე, 1994: 19). არ არის გამორიცხული, რომ ის მარცვალსანახს წარმოადგენდა. № 1 შენობის შესასვლელისაკენ თითქოს მიემართება დიდი ბრტყელი ქვებისგან დაწყობილი ბილიკი (ტაბ. XXVII). ბილიკი 7.5 მ სიგრძეზე დაფიქსირდა. მისი სიგანე - 1.2 მეტრი იყო. ბილიკი თიხის 3-4 სმ სისქის ფენით იყო გადალესილი. თიხის ზედაპირი გამურული იყო, როგორც ჩანს იმ ხანძრის შედეგად, რომელმაც ამ ფენის შენობები გაანადგურა. ბილიკი 10-15 სმ-ით მაღალია საერთო დონეზე. №2 და №3 შენობების შესასვლელები ამ ბილიკისკენ არის მიმართული (მახარაძე, 1994: 21, ტაბ. VII).

ზ. მახარაძის აზრით ციხიაგორას B2 და B3 ფენები სამგორის ყორღანის, ქვაცხელების B ფენის და თრიალეთის ადრეული ყორღანების (IV, X, XIII, XIX, XXIV ყორღანები) და მარტყოფის I, II და IV ყორღანების თანადროულია (მახარაძე, 1994: 22,76). ციხიაგორას B2 ფენა, რომელსაც სამლოცველო (№ 1 სახლი) ეკუთვნის, მტკვარ-არაქსის კულტურის მესამე ეტაპით თარიღდება, მას მოსდევს მტკვარ-არაქსი IV ანუ ბედენის კულტურის პირველი ეტაპი (მახარაძე, 1994: 76). საკულტო დანიშნულების უნდა იყოს ციხიაგორაზე დაფიქსირებული A დონის ორმოებიც. ზ. მახარაძის აზრით, ისინი მიეკუთვნება არა სამეურნეო, არამედ სარიტუალო ორმოებს (მახარაძე, 1994: 12). ერთ-ერთ მათგანში, №77 აღმოჩნდა ანთროპომორფული (ტაბ. XXVIII-1) ფიგურა (მახარაძე, 1994: 43, ტაბ. XIII-1, XXI-2, XXXIV). ციხიაგორას ფიგურებიდან ასევე აღსანიშნავია №2 შენობაში აღმოჩენილი ხარის (ტაბ. XXVIII-2) პატარა თიხის ქანდაკება (მახარაძე, 1994: 20, ტაბ. XXXVI-2). მიუხედავად იმისა, რომ გეგმარებითა და კონსტრუქციით №1 შენობა ციხიაგორას სხვა სახლების მსგავსია, ის მაინც გამოირჩევა სხვებისაგან მდიდრული ინვენტარით (მახარაძე, 1994: 21). და მხოლოდ ამ სახლში დაფიქსირებული ატრიბუტებით.

ციხიაგორას № 1 სახლის გამორჩეულია იმით, რომ: 1. იატაკზე ამოტვიფრულია გასხივოსნებული წრე, რომელიც ზ. მახარაძის აზრით გამოსახულება მზის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს; 2. სამლოცველოს ცენტრალური სათავსოს ბაქანზე დადასტურდა ნაცარგროვა, რომელსაც 40 სმ დიამეტრის წაკვეთილი კონუსის მოყვანილობა ჰქონდა. ზემოდან წრიულად ის მოლესილი იყო თიხის თხელი ფენით, რომელიც ინტენსიური წითელი ფერით იყო შეღებილი. ნაცარგროვას შუაგული მოლესილი არ იყო. შელესილობასთან დაწყობილი იყო დაპირქვავებული სამი პატარა სასმისი; 3. ნაცარგროვები დაფიქსირდა გვერდით სათავსოშიც, რომელსაც ორი შემაღლება აქვს, დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების გასწვრივ. აღმოსავლეთ შემაღლებაზე ორი ნაცარგროვა დადასტურდა, თითოეულ მათგანთან ერთმანეთის გვერდით დაპირქვავებული იყო ორ-ორი პატარა სასმისი; 4. შემაღლების ახლოს, იატაკზე კერამიკის დიდი გროვა დადასტურდა. მათ შორის აღსანიშნავია სიმბოლური ნიშნებით შემკული ერთი ჭურჭელი; 5. დასავლეთ შემაღლებაზე აღმოჩნდა ლარნაკის ტიპის ხუთი ჭურჭელი, რომლის ქუსლი შემაღლებაზეა მოლესილი. ჭურჭელი, როგორც ჩანს, გამოუწვავი იყო და საგანგებოდაა გამოძერწილი რაღაც რიტუალის ჩასატარებლად. ხანძარის დროს ისინი ოდნავ გამოიწვა, რამაც მათი დაფიქსირების საშუალება მოგვცა. ჭურჭელში დაფიქსირდა მარცვლეული - ხორბალი და ქერი. შემაღლებაზე უხვად მიმობნეული მარცვლეული, როგორც ჩანს, ამ ჭურჭლიდან იყო გადმოყრილი. ჭურჭელი შეღებილია წითლად. განსაკუთრებით ინტენსიური ფერით კი ქუსლებია შეღებილი. მათთან იყო დაპირქვავებული პატარა სასმისები (მახარაძე, 1994: ტაბ. XXVIII-1). ამ შემაღლებაზეც აღმოჩნდა კაჟის ნამგლის ჩასართები, სამი ცალი, რაც ერთ ნამგალს კრავს; 6. მინაშენის იატაკზე, ისევე როგორც ძირითად სათავსოში ამოტვიფრული იყო გამოსახულებები. დასავლეთ თაროსთან არსებული ერთ-ერთი გამოსახულება სვასტიკას მოგვაგონებს.

ამდენად, შუა ბრინჯაოს ხანის საწყის ეტაპზე, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის მარტყოფის ეტაპს ეკუთვნის, აშკარად შეიმჩნევა ძველი, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციები – გარკვეული რიტუალები სრულდება ნამოსახლარებზე, შენობებში, რომლებიც გეგმარებით დიდად არ

განსხვავდება სხვა საცხოვრებელი სახლებისაგან. მათში გამოიყოფა საკულტო ნაგებობები, სადაც სოლარული კულტის წინ წამოწევა შეინიშნება.

კულტმსახურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული **ხაშურის ნაცარგორაზე** აღმოჩენილი ანთროპომორფული ჰორელიეფი (ტაბ. XXVIII-4). არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაცარგორას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. ფლეურას ნაპირზე. ნაცარგორაზე ადრებრინჯაოს ხანის ექვსი სამშენებლო ჰორიზონტი დაფიქსირდა. ზედა, I ფენაში, სადაც აღმოჩნდა ჰორელიეფი, უმეტესწილად ბედენური კულტურის მასალებს შეიცავს (Рамишвили, 1991: 23-24, ტაბ. 46). ჰორელიეფი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზოგიერთ ფრაგმენტს ცეცხლის კვალი ეტყობა. ჰორელიეფის სიმაღლე 45 სმ., სიგანე 31 სმ-ია. ჰორელიეფის ზედა ნაწილი მომრგვალებულია და შემკულია შვიდი შვერილით. ცენტრალური შვერილიდან დაშვებული ქედის ორივე მხარეს ფოსოებია განლაგებული, მარცხენა ფოსოში ობსიდიანის „თვალია“ ჩადგმული. მას სამხრეთ კავკასიაში ანალოგები არ მოეპოვება. თუმცა შორეული ანალოგის სახით შეიძლება მოვიყვანოთ თიხის კერპი არაგვის ხეობიდან (ტაბ. XXVIII-3), რომელსაც სპირალური თვალები და ცხოველის დინგისებური ცხვირი აქვს (Рамишвили, 1981: ტაბ. XXII). ჰორელიეფი და თანმხლები კერამიკული მასალა, რომლის ერთი ნაწილი მტკვარ-არაქსის კულტურას, ხოლო მეორე ნაწილი – ბედენურ კულტურას ეკუთვნის, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედით ან შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. ანთროპომორფული გამოსახულებები, რომლებსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები გააჩნიათ სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ეპოქის ბოლოს ჩნდება. ერთი (ტაბ. XXVIII-6) აღმოჩენილია სოფ. ზველში (Чубинишвили, 1976: 20; ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 17_8), მეორე კი - ბერიკლდეების ნამოსახლარზე, ბედენის კულტურის ფენაში (ჯალაბაძე, 2003: 45). ნაცარგორაზე აღმოჩენილი ჰორელიეფის ფუნქციის დადგენა ძალზე ძნელია. ტიპოლოგიურად ის უახლოვდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე მესოპოტამიაში გავრცელებულ ტერაკოტულ და ქვის ვოტივურ ფირფიტებს (ე.წ. პლაკეტები), ან ნიღბებს (Woolley, Mallowan, 1976: ტაბ. 85, 86). ეს ფირფიტები (ტაბ. XXVIII-5) განთავსებული იყვნენ სახლების ან საკურთხევლების კედლებზე და სახლს ავი სულებისაგან იცავდნენ (Дьяконов, 1990: 335). მსგავსი ფირფიტა სამხრეთ

ანატოლიაში, ჰირბემერდონ თეფეზეც აღმოჩნდა, შუა ბრინჯაოს ეპოქით დათარიღებულ ფენაში (Laneri et all., 2006: სურ. 6). შესაძლოა, ნაცარგორას ჰორელიეფი ასევე კედელზე იყო ჩამოკიდებული, ანდა ბაქანზე იდგა. არ არის გამორიცხული, რომ იგი გარკვეულ რიტუალებში გამოიყენებოდა და მას ხმარობდნენ როგორც ნიღაბს (შანშაშვილი, რამიშვილი, 2010: 115-125; შანშაშვილი 2012: 24-50; Шаншашвили, Рамишвили, 2010). ჩვენი აზრით, ხაშურის ნაცარგორას ის ნაგებობა, რომელშიც ჰორელიეფი აღმოჩნდა სამლოცველოს წარმოადგენდა.

ხაშურის ნაცარგორაზე მოპოვებული თიხის ჰორელიეფი იკონოგრაფიულად ჟინვალის კერპის მსგავსია. ჟინვალის სამლოცველო (ტაბ. XXIX) მდებარეობს სოფ. ჟინვალში, მთის დამრეც ფერდობზე, XVI უბანზე. კულტურული ფენის ქვედა დონეზე გამოვლინდა მცირე ზომის ნაგებობის ფრაგმენტები, რომლებიც ორ ვიწრო ტერასაზეა განლაგებული. ღვთაების ქანდაკება აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში გამოკვეთილ მოედანზე აგებულ სამლოცველოში. ნაგებობის უკანა (აღმოსავლეთი) კედელი აშენებულია კლდის ლოდებისაგან თიხის ხსნარზე. კედლის წინ (დასავლეთის მხრიდან) დადასტურდა მცირე მოედანი, რომელიც ბრტყელი ქვებითაა მოგებული. აქ აღმოჩნდა უხეში თიხისგან დამზადებული ქანდაკება. ძლიერ სტილიზებული გამოსახულება სავარაუდოდ ნაგებობის უკანა კედელზე იყო მიძერწილი და საკურთხევლის ფუნქცია ჰქონდა (Рамишвили и др., 1981: 132). ოდნავ ქვემოთ, მეორე ტერასაზე გამოვლინდა მოედანი თიხის ბაქნით, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი ნახევარწრეს წარმოადგენდა. ბაქანის ორივე მხარეს ცეცხლის ძლიერი კვალი დადასტურდა. გვერდითი კედლები (სამხრეთის და აღმოსავლეთის) ალიზით იყო ნაგები და შესაძლოა გადახურვა მათ არ სწვდებოდა. დასავლეთი ნაწილი სავარაუდოდ თავიდანვე ღია იყო და საკურთხევლის წინ მდებარე მოედანთან მისვლა თავისუფალი იყო (Рамишвили и др., 1981: 132). სამლოცველოში აღმოჩენილი ქანდაკების (ტაბ. XXVIII-3) სიმაღლე 0.55 მ-ია, სიგანე ზედა, ფართო ნაწილში – 0.5 მ. ორი დიდი რელიეფური სპირალის დიამეტრი, რომლებიც სავარაუდოდ თვალებს გამოსახავენ, 0.18-0.2 მ-ია. ზედა სიბრტყეზე, რომელიც ხარის შუბლს მოგვაგონებს, თითქოს რქების საფუძველი შეიმჩნევა. თავად რქები ალბათ ქანდაკების დავარდნისას მოტყდა. ზედა სიბრტყე, ქანდაკების „შუბლი", შესაძლოა გამოიყენებოდა როგორც საკურთხეველი, სადაც რიტუალური

საგნები იდგმებოდა (Рамишвили и др., 1981: 133). გამოსახულებას ანალოგები არ მოეპოვება. სამლოცველო ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით, ან მეორე ნახევრით თარიღდება (Рамишвили и др., 1981: 133; Gogochuri, 2008: 41, სურ. 2-6, 11-12). გ. გოგოჭურის აზრით ჟინვალის ქანდაკება მზის სიმბოლოა და უზენაესი ღვთაების გამოსახულებას წარმოადგენს (გოგოჭური, 1999: 26).

ბედენური კულტურას მიეკუთვნება **ბერიკლდეების** ნამოსახლარი (ტაბ. XXX), მდებარეობს ქარელის რაიონში, მდ. მტკვრისა და მდ. ფრონეს შესართავთან, ბუნებრივ კონცხზე. ძეგლი მრავალფენიანია. აქ დადასტურდა ხუთი კულტურული ფენა. III ფენა ბედენურ მასალას შეიცავს, მასში 8 სამშენებლო და კულტურული დონე გამოიყო. გაითხარა 14 შენობა, 233 საკულტო ორმო და 20 სამსხვერპლო ბაქნიანი კონსტრუქცია (ჯალაბაძე, 1998: 11). საკულტო დანიშნულების ერთ-ერთი ბაქანის სიმაღლე 30 სმ-ს აღწევდა, ფართობი კი დაახლოებით 1.0 X 1.0 მ-ს უდრის. ბაქანი (ტაბ. XXXI-1) მოლესილი იყო 5.0 სმ სისქის მკვრივი ხსნარით, თიხის ხსნარზევე დაწყობილი რიყის ქვებსა და ქვიშაქვის მოზრდილ ნატეხებზე. ალ. ჯავახიშვილის აზრით, ბაქანი ან მრავალფენიანი იყო, ან რამდენჯერმე ყოფილა განახლებული. ჩანს, რომ თავის დროზე ნალესობა მოგლუვებულ-მოპრიალებული ყოფილა. ძელისა და წნელის ანაბეჭდიანი თიხის გადამდნარი ბათქაშის ნატეხების არსებობა მოწმობს, რომ ბაქანი გადახურული იყო, ე.ი. იდგა რაღაც ნაგებობაში (ღლონტი და სხვ., 1986: 42). ქვისა და ალიზის ზღუდის მახლობლად კიდევ ერთი საკულტო ნაგებობის ნაშთი გაითხარა. ძელებისა და წნელების ანაბეჭდიანი თიხის ნალესობის ქვეშ აღმოჩნდა 25-30 სმ სიმაღლის ბაქნის ნაშთი, რომლის გარშემო მიმოფანტული იყო მკვრივი თიხისაგან მოლესილი, ხანძარში გამომწვარი, მოგრძო, ოდნავ მორკალული ლილვების ნატეხები. ბაქნის ნაშთი წარმოადგენს თიხის ხსნარზე დაწყობილი რიყის ქვისა და საგანგებოდ შერჩეული მრგვალ-ბრტყელი კენჭისაგან შექმნილ მომაღლო მოედანს, დაახლოებით 100 X 130 სმ, რომელიც თიხისავე ხსნარით უნდა ყოფილიყო შელესილი. მის წინ ეყარა თიხის ლილვების ფრაგმენტები, რომლებიც რაღაცის ნაპირის გადამრგვალებული ბორტის ფრაგმენტებია. სავარაუდოდ ბორტით შემოფარგლული იქნებოდა საკულტო მოედნები, ან ბაქნები (ღლონტი და სხვ., 1986: 43). ბერიკლდეების № 8 შენობის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა წრიული ბორტიანი კერა (ტაბ. XXXI-2). კერას

ამშვენებს წყვილი მომრგვალებულთავიანი ანთროპომორფული გამოსახულება, რომლებიც სახით შესასვლელი კარისკენ არიან მიმართულნი. გამოსახულებების თვალები ობსიდიანითაა ინკრუსტირებული. თვალების გარშემო რელიეფური რგოლები შემოსდევს. სუსტად გამოსახული რელიეფური ზოლით ხაზგასმულია გამოსახულების ცხვირი. აღსანიშნავია, რომ ამავე სამშენებლო ჰორიზონტშია №7 და №12 ბედენური ეპოქის შენობები, რომელთა ცენტრალური კერებიც ანალოგიური გამოსახულებებითაა შემკული (ჯალაბაძე, 1998: 62). გამთხრელები მიიჩნევენ, რომ ძეგლი თავისი ხასიათით სამლოცველო უნდა იყოს (ჯალაბაძე, 1998: 11). აღსანშნავია, რომ ძეგლის ერთ-ერთ შენობაში კონუსური ფორმის, მოწითალო ქვისგან გამოთლილი საბეჭდავი აღმოჩნდა, რომლის გვერდები კონცენტრული წრეებით არის შემკული (ჯალაბაძე, 1998: ტაბ. X-20; შანშაშვილი, შერაზადიშვილი 2013: 11, ტაბ. 7). შემორჩენილი თიხის ბორტების, რქისებური შვერილების, რელიეფური სპირალების და დისკების ფრაგმენტებით ბაქნები უკავშირდებიან რქისებურ საკურთხევლებს, კერებს და კულტის სხვა ატრიბუტებს, რომლებიც ასე დამახასიათებელია კავკასიის, წინა აზიის და ეგეოსური სამყაროს ადრე ლითონების ეპოქისათვის (Глонти, Джавахишвили, 1987: 81).

მესხეთში, სოფ. **ზველის** მიდამოებში, ადგილ „რაბათში" თითქმის ბერიკლდეების ანალოგიური ანთროპომორფული გამოსახულებით შემკული თიხის კერის სადგარი აღმოჩნდა. ნამოსახლარზე გამოვლინდა სამი მეტრის სისქის კულტურული ფენა. ქვედა ჰორიზონტის ალიზის შენობაში ნაპოვნი იყო თიხის სადგარი (ტაბ. XXVIII-6). სადგარს ორი მომრგვალებულთავიანი შვერილი ამკობს, რომლებსაც ანთროპომორფული იერი აქვთ. მათი თვალები ობსიდიანითაა ინკრუსტირებული (Чубинишвили, 1976: 20).

ბედენის კულტურის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს **შენგავითის** მრავალფენიანი ნამოსახლარი (ტაბ. XXII). შენგავითი მდებარეობს სომხეთში, ქ. ერევნის ტერიტორიაზე, მდ. რაზდანის ნაპირზე (Джавахишвили, 1973: 163-183; Кушнарёва, 1993: 57-59), სადაც მტკვარ-არაქსის მიწურულისა და ბედენური კულტურის ფენები მძლავრადაა წარმოდგენილი. ამ ფენებში აშკარად შეინიშნება ბედენური კულტურის წამყვანი ელემენტების დომინირება, ისეთივე, როგორც ციხიაგორასა და ხაშურის ნაცარგორაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს

2012 წელს გათხრილი „ცეცხლის ტაძარი“. ნაგებობაში დგას სამსხერპლო-საკურთხეველი, რომელზეც სავარაუდოდ დამაგრებული იყო ღვთაების ხის ფიგურა. საკურთხეველი შემკულია რელიეფური ორნამენტით. საკურთხევლის წინ გამართულია ნიშა, სადაც მუდმივი ცეცხლი ენთო. მოპირდაპირე მხარეს დასაჯდომი მერხია განართული. შესასვლელთან სამსხვერპო ცხოველების ცხიმის შესაგროვებელი ჭურჭელი და წმინდა ნაცრის შესანახი მონაკვეთი მდებარეობს (Симонян, 2013: 50-51).

როგორც ვხედავთ არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ბედენური ეპოქის რამდენიმე საკულტო ადგილი, თუ სამლოცველო გამოვლინდა (ბერიკლდეები, ზველის „რაბათი”, ჟინვალი, ხაშურის ნაცარგორა, ციხია-გორა). მიუხედავად იმისა, რომ მათი არქიტექტურა ძალზე ცუდადაა შემორჩენილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამშენებლო ტექნიკა არ განსხვავდება ჩვეულებრივი სახლებისაგან.

ჩვენი აზრით, შენგავითი და ბერიკლდეები დიდ რეგიონალურ სამლოცველოებს წარმოადგენდნენ. შენგავითში კვლავ გვხვდება წრიული გეგმარების სახლები, რომლებთანაც დიდ მსგავსებას იჩენს წნორის ყორდანში დადასტურებული წრიული ფორმის ქვის ნაგებობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წრიული გეგმარების სახლები ბედენის ეპოქაში იშვიათია. შეიძლება ისინი ტრადიციის შესაბამისად, მხოლოდ საკულტო არქიტექტურაში შემორჩა. ბედენური საკულტო ადგილები თავისი ხასიათით წინარე ეპოქის, მტკვარ-არაქსულ სამლოცველოებს უკავშირდება, სადაც ანთროპომორფულ კერებს და კერის სადგრებს წამყვანი როლი ეკისრებათ. ნიშანდობლივია, რომ ჟინვალის სამლოცველოს „კერპისა” და ხაშურის ნაცარგორას ჰორელიეფის თვალების აღმნიშვნელი სპირალები მტკვარ-არაქსული კერამიკისათვის დამახასიათებელ ე.წ. „სათვალისებრი სპირალის” ორნამენტის მსგავსია. არ არის გამორიცხული, რომ მათ იდენტური იდეოლოგიური დატვირთვაც ჰქონდეთ.

მიგვაჩნია, რომ ბედენური კულტურის საკულტო არქიტექტურა და კულტმსახურება მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღშია წარმოქმნილი და მის გაგრძელებას წარმოადგენს. ასევე უნდა ითქვა, რომ ბედენური კულტურის სამლოცველოები შუა ბრინჯაოს ეპოქის საწყისი ეტაპის მდგომარეობას ასახავენ. შუა ბრინჯაოს ეპოქის მომდევნო ეტაპზე სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად გამოხატული სამლოცველოები დღეისათვის მიკვლეული არ არის. არც თრიალეთის

და არც სევან-უზერლიკის, კამირ-ბერდის და ყიზილ-ვანქის კულტურის ნამოსახლარებზე გამოვლენილი არცერთი ნაგებობა უშუალოდ არ არის დაკავშირებული საკულტო არქიტექტურასთან. უკანასკნელი წლების გამოკვლევების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის საკულტო ადგილებს, როგორც ჩანს, წარმოადგენდა მენჰირების განთავსების არეები. ყორღანებზე აღმართული ქვის სტელა-მენჰირებისა და ცალკე მდგომი მენჰირების საკულტო ხასიათზე ადრეც არაერთხელ იყო აღნიშნილი, თუმცა მათი დათარიღების საკითხი უკანასკნელ ხანებამდე დაუდგენელი იყო. მეც სეპასარის (Еганян, 2012: 278-290) და მოხრაბლურის (Areshian, 2005: 79-80) არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიაში უძველესი მენჰირები ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე დასტურდება. უკანასკნელმა კვლევებმა (Narimanishvili, Shanshashvili, Narimanishvili, 2012) და არაგაწისა და გეღამის მთებში ა. ბობოხიანის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა (Gilbert, Bobokhyan, 2012) დაადასტურა, რომ მენჰირები კულტის ობიექტს შუა ბრინჯაოს ხანაშიც წარმოადგენდნენ და ეს ადგილები საწესო ცერემონიების ადგილი იყო დიდი ხნის განმავლობაში.

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ბედენურ ეპოქაშივე ყალიბდება სხვა სახის საკულტო ადგილები - ყორღანების კონცენტრაციის ადგილები, რომლებიც ნამოსახლარებისაგან მოშორებით მდებარეობს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ყორღანული ველები (ალაზნის ველი, ბედენის პლატო, მარტყოფის ველი, მარნეულის ველი). ბედენის კულტურის ყორღანებთან (თრიალეთის № 50,51) დადასტურებული სარიტუალო გზები მიუთითებს, რომ აქ კულტმსახურება სრულდებოდა არა მხოლოდ დაკრძალვის რიტუალის დროს, არამედ გარკვეული პერიოდულობით და ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ამავე ველებზე დასტურდება შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები, რომლებსაც სარიტუალო გზა ახლავთ (მაგ. თრიალეთის № 3,5,8,15-17 ყორღანები). უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ შაორის „ციკლოპური“ კომპლექსი შეიძლება შუა ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი სამლოცველო ცენტრი იყო. ეს მოსაზრება ძირითადად ზურტაკეტისა და თრიალეთის „დასაკრძალავდარბაზიან“ ყორღანებთან მშენებლობის ტექნიკის მსგავსების გამო გამოითქვა. ამ მოსაზრების

ერთ-ერთ არგუმენტს, სარიტუალო-საპროცესიო გზასთან ერთად, შაორის კომლექსის გზის გასწვრივ და მთის ძირში არსებული მენჰირები წარმოადგენდნენ.

ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის და სამხრეთ კავკასიის ამ პერიოდის სხვა არქეოლოგიურ კულტურების გავრცელების ხანაში სამლოცველოები დასახლების გარეთ მდებარეობდა. თუმცა, მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა შეიძლება სხვაგვარი სურათი მოგვცეს. დღევანდელი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ თრიალეთის და მისი თანადროული კულტურების ხანაში საკულტო ადგილები მენჰირებთან და დასაკრძალავ ნაგებობებთან – წინაპრის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

§ 3. მენჰირი

სიტყვა "მენჰირი" კელტური წარმომავლობისაა და აღმართულ, აზიდულ ქვას ნიშნავს: men – ქვა, hir – მაღალს, გრძელს, აზიდულს ნიშნავს და წარმოადგენენ დაუმუშავებელ, ან ოდნავ დამუშავებულ მონოლითებს (მელიქსეთ-ბეგი 1938: 86). საკრალური ქვის სტელები ახლო აღმოსავლეთში ცნობილია უძველესი დროიდან. უძველესი მენჰირები ცნობილია თურქეთიდან, ნევალი ჩორის და გობეკლის საკულტო ნაგებობების კომპლექსიდან, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. IX-VIII ათასწლ. (Hauptmann, 1993: 37; Schmidt, 2010: 242, სურ. 5-8). ქვის სქემატური ანთროპომორფული გამოსახულებები გავრცელებულია ჩრდილო მესოპოტამიასა და სირიაში. ყველა ეს გამოსახულება ძალზე არქაული იერისაა. თუმცა ფრანგი მეცნიერის ა. პუადებარის აზრით, ქვის ქანდაკებები ტელ ბრაკიდან და ტელ ნები მენდიდან ხეთური სკულპტურის ადგილობრივ მინაბაძებს წარმოადგენენ (Poidebard, 1930: 364). ბიბლოსში, ძვ.წ. II ათასწლ. დათარიღებულ ტაძარში იდგა მრავალი მენჰირი, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ეგვიპტურ ობელისკებთან იჩენენ (Carter, Dunstov, Humphreys, 2004: 283). ეს უკანასკნელებიც, თავის მხრივ საკულტო ადგილებში იდგნენ და თავადაც კულტის ობიექტებს წარმოადგენდნენ. მრავალი ცალკე მდგომი, თუ კომპლექსში არსებული მენჰირია ცნობილი ევროპაში.

ყველგან, სადაც კი დადასტურებულია მენჰირები, ადგილობრივ მოსახლეობას ბოლო დრომდე სჯეროდა, რომ ეს არის წმინდა ქვები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ადამიანების ჯანმრთელობასა და გამრავლებაზე, რაც

დაფიქსირებულია ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში. ამის ნათელი მაგალითია გერმანიაში დაფიქსირებული ერთი შემთხვევა. გერმანიაში, საარბრიუკენის მახლობლად იდგა მენჰირი, მეორე მსოფლიო ომის დროს ამ ტერიტორიაზე აშენდა აეროდრომი. ოთხმეტრიანი მენჰირი დაჭრეს სამად და სანიშნეებად დააყენეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, მენჰირის ნაწილები შეაწებეს და დადგეს თავის ადგილას.

საქართველოში მენჰირებს, როგორც საკრალურ ქვებს ძირითადად შვილიერებას და ბავშვების ჯანმრთელობას სთხოვდნენ. განსაკუთრებული ძალის ქვებად მიიჩნევდნენ სოფ. მურჯახეთში, განძაში, სანთაში, დიდ აბულში, ავრანლოში, თეჯისში, სანომერში არსებულ მენჰირებს (მელიქსეთ-ბეგი, 1938: 89-117). აბსოლუტურად ანალოგიური რწმენა-წარმოდგენებია დამოწმებული ევროპის და აზიის სხვადასხვა ხალხების (ინგლისელების, ფრანგების, ინდოელების) ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში. ყველგან ვერტიკალურად მდგარი ქვა – მენჰირი ითვლებოდა წინაპრის სულის სათავსოდ. იმ სოფლების მაცხოვრებლები, სადაც დგას მენჰირი, თვლიან, რომ ქვა, რომელშიც ცხოვრობს წინაპრის სული, უზრუნველყოფს მათ შვილიერებით, უხვი მოსავლით და საერთოდ ნაყოფიერებით (Элиаде, 2000: 10).

მენჰირი წარმოადგენს ოდნავ დამუშავებულ, ვერტიკალურად მდგომ, გრძელი ქვას. როგორც წესი, თხემი მომრგვალებული ჰქონდა, რაც ქვას ზოგჯერ ანთროპომორფულ იერს აძლევდა. ზოგჯერ ის ზოომორფული, ან აბსტრაქტული გამოსახულებებით იყო დამშვენებული.

სამხრეთ კავკასიის მეგალითური კულტურის ძეგლების შესწავლის ინტერესი XIX საუკუნეში გაჩნდა. საქართველოს მეგალითური ძეგლების შესახებ ინფორმაციები XIX ს-ის მიწურულიდან გავრცელდა, ინტენსიური შესწავლა კი XX ს-ის 20-30 – იან წლებში მიმდინარეობდა. კვლევის შედეგები შეჯამდა ლ. მელიქსეთ-ბეგის მონოგრაფიაში, რომელიც 1938 წელს გამოიცა (ლ. მელიქსეთ-ბეგი 1938). სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ მეგალითებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა (Марр, Смирнов, 1931; Мещанинов, 1926; Мещанинов, 1932; Пиотровский, 1939). მოგვიანებით მენჰირები ეთნოგრაფების კვლევის საგანიც გახდა (დაწვრილებიით იხ. სიხარულიძე ა. 1970; ჩხაიძე 1997). უკანასკნელ ხანებში მენჰირები წინაპართა

კულტთან იქნა დაკავშირებული (Нариманишвили, Шаншашвили, 2007: 164-165). მენჰირები დღემდე ერთ-ერთ შეუსწავლელ ძეგლებს წარმოადგენენ და მათ მიმართ ინტერესი არ განელებულა (Narimanishvili, Shanshashvili, Narimanishvili, 2012: 131; Gilbert, Bobokhyan, 2012: 60).

სამხრეთ კავკასიაში მენჰირები დიდ მონუმენტებს წარმოადგენდნენ (ტაბ. XXXV) და მათ გამორჩეული მდებარეობა ჰქონდათ, ისინი დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდნენ მყარი აღნიშვნის წერტილად. საყურადღებოა, რომ სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში ვერტიკალურად მდგომი ქვები კულტის ობიექტად რჩებოდა დიდი ხნის განმავლობაში. მენჰირებს გამორჩეულ, განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალას და სასწაულთმოქმედ ბუნებას მიაწერდნენ როგორც დიოფიზიტები და მონოფიზიტები, ასევე ისლამის მიმდევრები. მენჰირები დღესაც რჩებიან კულტის ობიექტებად. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი თავდაპირველი ბუნების შესახებ არაფერია ცნობილი.

სამხრეთ კავკასიის მენჰირებს 1909 წელს ნ. მარმა და ი. სმირნოვმა გეღამის მთებში მიაკვლიეს (Марр, Смирнов, 1931). მენჰირების ნაწილს თევზის ფორმა ჰქონდა. თითქმის ყველა მათგანი შემკული იყო რელიეფური გამოსახულებებით რომელთა უმეტესობა რქოსანი ცხოველის, ხარის ან ცხვრის გამოსახულებას წარმოადგენდა (Пиотровский, 1939: 3, 12-13). რელიეფური და ამოკვეთილი გამოსახულებებით შემკული მენჰირები სამხრეთ საქართველოშიც აღმოჩნდა. სოფ. მურჯახეთის (ტაბ. XXXV-2) ქვის ობელისკმა და სოფ. განძის (ტაბ. XXXV-1). მენჰირმა ჯერ კიდევ XIX ს-ში მიიქციეს მკვლევართა ყურადღება (ლ. მელიქსეთ-ბეგი 1938: 98-104, ტაბ. XLIV-XLVIII). განძის მენჰირი პირველად ი. როსტომაშვილმა აღწერა 1898 წელს. მურჯახეთის მენჰირის სიმაღლე 2,9 მ-ია. ი. როსტომაშვილი და ე. თაყაიშვილი მენჰირს ფალოსის გამოსახულებად მიიჩნევენ. ქვის ზედაპირზე დატანილი რელიეფურ გამოსახულებასაც მეცნიერები სხვადასხვაგვარად ხსნიან - ი. სმირნოვი ხარის თავისა და ფეხების გამოსახულებას ამსგავსებს, ნ. მარი და ი. მეშჩანინოვი თევზის თვალებსა და ლაყუჩებს ხედავენ. ა. სიხარულიძე თვლის რომ ქვაზე გამოსახულია ხარის თავ-ფეხი, რომლის ორივე მხარეს ფრინველები დგანან (Сихарулидзе, 1970: 13-14; სიხარულიძე, 1970: 45-48).

თანამედროვე წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე, სამი მენჰირი (ტაბ. XXXV-7,8) დგას (ნარიმანიშვილი, 2009: 37). ყველა მათგანს სიგარის ფორმა აქვს. მეორე მენჰირს მიკვლეულია სოფ. სანთას სიახლოვეს, სადაც მრავალი მცირე წრიული ქვაყრილი გამოვლინდა. ერთ-ერთი კრომლეხის ცენტრში მენჰირი დევს. ბაზალტის მონოლითის კარგად გაპრიალებულ ზედაპირზე ამოკვეთილია საფეხურებიანი ნაგებობის გამოსახულება, რომლის თავზე სპირალებია დატანილი. მენჰირი მდგარა თრიალეთის V ყორღანზე (Куфтин, 1936: 21; ნარიმანიშვილი 2009: 37).

თრიალეთიდან ჯავახეთისაკენ მიმავალი გზის პირას, უღელტეხილზე დგას მენჰირი (ტაბ. XXXV-4), რომელსაც მოსახლეობა თიქმა-დაშის სახელით იცნობს. 3.5 მეტრის სიმაღლის მენჰირი ჭიქიანის ობსიდიანის საბადოს ცენტრში დგას და მის გარშემო ყორღანებია გამართული. ბ. კუფტინმა აქ 1940 წელს შუა ბრინჯაოს ხანის, ბედენის და თრიალეთის კულტურების ოთხი ყორღანი გათხარა (გოგაძე, 1972: 16, 38; Жоржикашвили, Гогадзе, 1972: 26). თიქმა-დაშის მენჰირზე არსებულ გამოსახულებას ზოგიერთი მეცნიერი გველს ამსგავსებს. ა. სიხარულიძემ ქვის ზედაპირის გასუფთავების შედეგად დაადგინა, რომ მონოლითზე გამოსახულია რქოსანი პირუტყვის თავი (სიხარულიძე, 1969: 42-43, სურ. 3; Сихарулидзе, 1970: 12). ჩვენ ვფიქრობთ, რომ მენჰირზე ხარის თავთან ერთად, ტყავი და ფეხები უნდა იყოს გამოსახული. თრიალეთში, სოფ. ავრანლოსა და სოფ. ყიზილ-ქილისას შორის, მინდორში დგას მენჰირი, რომლსაც ოდნავ შესამჩნევი ანთროპომორფული იერი აქვს, რაც გვიანდელი ნამოქმედარი უნდა იყოს.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მენჰირი წაგრძელებული ცილინდრის ფორმისაა, რომელსაც თავი მომრგვალებული აქვს, ძირთან ყველა მათგანი ოდნავ დაკუთხულია, ზევით კი თანდათან ვიწროვდება. სამხრეთ კავკასიაში სხვა ტიპის, მართკუთხა ფორმის მენჰირებიც გვხვდება. ქვის ამ მონოლითებს აქვთ ბრტყელი ზედაპირი, რომელზეც ფანტასტიკური ცხოველია გამოსახული. ერთი ასეთი მენჰირი არც თუ ისე დიდი ხნის წინ თრიალეთში აღმოჩნდა. ის სოფ. რეხას სამხრეთით, ეკლესიის ეზოში დევს (ვაჩეიშვილი, 2003: 30-33, სურ. 1,2). ქვის სიმაღლე 3,2 მ-ია, სიგანე 1,55 მ-ს, სისქე კი 0,42 მ-ს უდრის. ზედა ნაწილში ფანტასტიკური ცხოველის თავი და ფეხებია გამოსახული (ტაბ. XXXV-5), რომელიც გეღამის მთების ვეშაპებზე გამოსახულ ხარის თუ ცხვრის გამოსახულებებს

მოგვაგონებს. მსგავსი გამოსახულებაა მოცემული ქ. თეთრიწყაროს დასავლეთით მდგარ ოთხკუთხა მენჰირზეც (ტაბ. XXXV-3). საავტომობილო გზის პირას აღმართული მონოლითი ოდნავ არის გადახრილი, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა „მთვრალ ყორღანს“ ეძახდა. ქვა პირველად ვ. ტეპცოვმა აღწერა 1890 წელს (Тепцов, 1890). თეთრიწყაროს მენჰირს თავის მონოგრაფიაში იხსენიებს (მელიქსეთ-ბეგი 1938: 87-88). მენჰირი, როგორც ჩანს, ყორღანზე დგას, რომლის ქვაყრილის ფორმა საფუძვლიანადაა შეცვლილი. თეთრიწყაროს მენჰირზე არსებული გამოსახულება მსგავსია იმირზეკის, აჯდაჰა-იურტის, ტოკმაგან-გელის, ჯანგირ-ოღას, არაგაწის (Пиотровский, 1939: рис. 4,9) და რეხას მონოლითებზე არსებულ გამოსახულებებთან ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას.

სამხრეთ კავკასიის მენჰირების ერთ ნაწილს თევზის ფორმა აქვს. ამ ტიპის მონოლითები დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სომხეთში (Пиотровский, 1939: 3). შიპიაკ-სანომერის საზღვარეზე აღმოჩენილ მენჰირსაც (ტაბ. XXXV-8) თევზად მიიჩნევს ლ. მელიქსეთ-ბეგიც (მელიქსეთ-ბეგი, 1938: 104-105, ტაბ. XLI). თუმცა, ის ფორმით ნამდვილად არ გავს თევზს. თევზის ქანდაკებებთან თითქოს უფრო ახლოს უნდა იყოს, ჩვენს მიერ სოფ. ბეშთაშენის სამხრეთით დაახლოებით 2.0 კმ-ის დაცილებით, რკინიგზის ხიდთან დაფიქსირებული მენჰირი.

მენჰირების ზოგადი აღწერა გვიჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში დადასტურებული ვერტიკალურად მდგარი ქვის დიდი მონოლითები პირობითად სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: 1. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის მენჰირები, რომელთა სიმაღლე ორჯერ ან მეტჯერ აღემატება სიგანეს, სისქე კი სიგანის ნახევარი ან ერთი მესამედია. ქვის განივკვეთი ყველა მონაკვეთში ოთხკუთხაა ან კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს; 2. წაგრძელებული ცილინდრის ფორმის მენჰირები, რომლებსაც წვერი ტანთან შედარებით უფრო შევიწროვებული აქვთ. ამ ტიპის მენჰირების სიმაღლე რამდენჯერმე აღემატება დიამეტრს. ასეთი ფორმის გამო ამ ტიპის მეგალითებს, „სიგარისებურ“ მენჰირებსაც უწოდებენ; 3. მენჰირები, რომლებიც თევზის ქანდაკებას წარმოადგენენ. ისინი თითქოს მეორე ტიპის მენჰირებს გვანან, მაგრამ მესამე ტიპის მენჰირებს თავი და ძირი, ტანთან შედარებით უფრო შევიწროვებული აქვთ.

სამხრეთ კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში გამოვლენილი მენჰირები არაერთხელ გახდა კვლევის ობიექტი. მენჰირებზე ამოკვეთილი თუ რელიეფური ორნამენტების შესწავლას ეთნოლოგებიც ახორციელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა გედამის მთის ვეშაპების (Пиотровский, 1939) და წალკის მენჰირის (მელიქსეთ-ბეგი, 1938: 105) გარშემო, მათი რომელიმე არქეოლოგიური კულტურისადმი მიკუთვნება, ან რომელიმე კონკრეტული ისტორიული ეპოქისადმი დაკავშირება მაინც ძნელია.

სამხრეთ თურქეთში (ნევალი ჩორი, გობეკლი თეფე და ჩაიონუ თეფესი) ნეოლითური სამლოცველოების PPNB (Prepottery Neolitic B) აღმოჩენის შემდეგ გაჩნდა შესაძლებლობა სამხრეთკავკასიური მენჰირები მათთან მიმართებაში განვიხილოთ. რეხას და თეთრიწყაროს მართკუთხა მონოლითები ყველაზე მეტად გობეკლი-თეფეს კარგად დამუშავებულ ბრტყელ მონოლითებს ემსგავსება (ტაბ. XXXIV). სამხრეთ კავკასიის მენჰირების და ანატოლიის ნეოლითური სამლოცველოების სტელებს შორის მსგავსება ცხოველთა გამოსახულებებშიც შეინიშნება.

სამხრეთკავკასიურ ქვებზე მოცემულია ხარის ტყავი და თავ-ფეხი, ცხვარი, გველი და წერო. ეს ცხოველები გვხდება ანატოლიის PPNB სამლოცველოების ქვებზეც, რომლებიც ძვ.წ. X-VIII ათასწლ. თარიღდება. გობეკლის სტელებზე ფრინველები (Schmidt, 2011: 64,68,78, 82, სურ. 8,14,29,34), გველები (Schmidt, 2011: 65,67, სურ. 9,12), ბუკრანიები (Schmidt, 2011: 82,83, სურ. 34,36), ასევე ცხოველის ტყავებია გამოსახული (Schmidt, 2011: 82, სურ. 34). არაერთხელ იყო აღნიშნული მსგავება გობეკლის ქვის რელიეფებისა და ჩათალ-ჰუიუქის კედლის მხატვრობას შორის (Sagona, Zimansky, 2010: 92; Erdogu, 2009: 133).

ვერტიკალურად მდგარი მონოლითები (სტელა, მენჰირი და ვეშაპი) სამხრეთ კავკასიაში ძირითადად კონკრეტულ დასაკრძალავ ნაგებობას ეკუთვნის და მის ყრილზე დგას ან სამარხთა გარემოცვაშია აღმართული. ჩვენ მხოლოდ ორი შემთხვევა ვიცით თრიალეთიდან (XIV და XVIII ყორღანი - ტაბ. XXXVI), როდესაც სამარხ კამერაში სტელა//მენჰირები იდგა (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 19-22). XIV ყორღანის სამარხ კამერაში დაახლ. 1.5 მ-ის სიმაღლის ოთხი (ექვსი) მენჰირი დგას (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 14-3) XVIII ყორღანის სამარხი კამერის სამხრეთ-

დასავლეთ ნაწილში ორი, დაახლ. 1,0 მ-ის სიმაღლის მონოლითი დგას (Куфтин, 1941: ტაბ. XIII-2; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 8-2, 15-3). დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის მენჰირი იდგა ნერკინ ნავერის № 5 ყორღანში, რომლის ერთი მხარე სიმბოლური გამოსახულებითაა შემკული (Симонян, 2011: 224, სურ. 6-2).

მენჰირები აღმართულია არა მხოლოდ კონკრეტულ დასაკრძალავზე, არამედ გვხვდება როგორც ზოგადად დასაკრძალავ სივრცეში (სამაროვანი), ასევე მის ფარგლებს გარეთ. დასაკრძალავი სივრცის შიგნით, ყორღანების კონცენტრაციის ადგილებშიც (მაგ. თიქმა-დაში) აღმართული მენჰირები როგორც ჩანს, საერთო კულტმსახურების ობიექტს წარმოადგენდნენ. დასაკრძალავი სივრცის გარეთ აღმართული მენჰირები გვხდება როგორც არქიტექტურულ კომპლექსებში (მაგ. შაორის ციკლოპური კომპლექსი), ასევე ადგილებში სადაც არც დასაკრძალავები და არც დასახლება არ შეინიშნება (ვლადიმიროვკა, ყიზილ-ქილისა). აღსანიშნავია შაორის ციკლოპური კომპლექსის ცენტრალური სიმაგრისაკენ მიმავალ გზაზე და მოედნებზე დაფიქსირებული მენჰირები (ტაბ. XXXIII-1,2). სამი მათგანი დღესაც თავის თავდაპირველ ადგილზეა (ნარიმანიშვილი 2009: 103). ერთი მენჰირი შაორის მთის ძირშიც მდგარა. შაორის კომპლექსის დათარიღებისა და ფუნქციის შესახებ მსჯელობა ახლა ძნელია, მაგრამ მენჰირების არსებობა და ქვით ნაგები გზა ამ კომპლექსის საკულტო დანიშნულებზე უდავოდ მიუთითებს.

დასაკრძალავი სივრცის გარეთ უნდა იყოს აღმართული ვლადიმიროვკასთან ყიზილ-ქილისასთან და თეჯისთან არსებული მენჰირები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თეჯისის მენჰირი, სადაც ქრისტიანობის შემოსვლასთან დაკავშირებით ახალი და ძველი რელიგიების ურთიერთდამიკიდებულება ჩანს. თეჯისი არის იმის ილუტრაცია, თუ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ძველი საკულტო ადგილი (ამ შემთხვევაში მენჰირი) როგორ გადაიქცა ახალი რელიგიის სამლოცველოდ (ჩხაიძე, 1997: 19). თეჯისის მენჰირი (სიმაღლე 3,85 მ) დგას წმ. კონსტანტინეს ეკლესიაში (ტაბ. XXXV-6). მენჰირზე ამჟამად ჯვარია გამოსახული, ზურგზე კი რქოსანი ცხოველის თავი, გვერდზე თითქოს თევზის თვალია გამოსახული (სიხარულიძე, 1969: 42, სურ. 2; Сихарулидзе, 1970: 11-12; ჩხაიძე, 1997: 17-18). ადრე შუა საუკუნეებში ჩანს აგებული. ეკლესიას ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი, მშრალი წყობის „ციკლოპური“ გალავანი შემოუყვება, რომელსაც ორი

შესასვლელი აქვს. ახლა ძნელია მენჰირისა და გალავნის ურთიერთმიმართებაზე საუბარი, თუმცა მაინც რჩება მათი სინქრონულობის შთაბეჭდილება. ეკლესიის გარშემო, საკმაოდ მოშორებით, ყორღანებია გამართული. ვიზუალურად თეჯისის მენჰირი და მის გარშემო გამართული ყორღანები თიქმა-დაშის ყორღანების ჯგუფთან პოულობს მსგავსებას.

ასევე საინტერესოა მდ. არაგვის ხეობის სოფ. გველეთში დაფიქსირებული სიტუაცია. სოფლის განაპირას მდგარ, მთავარანგელოზის სამლოცველოში (ტაბ. XXXIII-3) ექვსი მენჰირი დგას (ბარდაველიძე, 1982: 30, ტაბ. 17). მენჰირები საკულტო კომპლექსის (სამლოცველოს გეგმა და ფოტოები არქეოლოგმა გ. გოგოჭურმა მოგვაწოდა) წინაა განთავსებული და მათი შემადგენელი ნაწილია. არაერთი მონოლითი იდგა ლაშარის ჯვრის სამლოცველოშიც, სადაც უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ორი მონოლითი შემორჩა (ბარდაველიძე, 1974: 36, ტაბ. 13). როგორც ჩანს მენჰირები დიდი ხნის მანძილზე გარკვეულ როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებში და ისინი დღემდე შემორჩა ადგილობრივ სამლოცველოებში.

სამხრეთ კავკასიის მენჰირებზე მოცემული გამოსახულებები სემანტიკურად ახლოს დგას ანატოლიის ნეოლითური ხანის ზოომორფულ სახეებთან. ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის ძველი მოსახლეობა ერთ სიმბოლურ ენას იყენებდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მენჰირები იმავე დროს გაჩნდა, როდესაც წარმოიშვა სამხრეთ თურქეთის წინაკერამიკული ნეოლითის პერიოდის სამლოცველოები.

იმის გამო, რომ თრიალეთში მენჰირები ყორღანებზე, მათ სიახლოვეს ან დასაკრძალავი კომპლექსების მახლობლად იდგა, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისინი წინაპართა კულტთან უნდა იყვნენ დაკავშირებული (Шаншашвили, Нариманишвили, 2007). უკანასკნელ წლებში სომხეთში ჩატარეუბლმა კვლევებმა აჩვენა, რომ გეღამის მთების და არაგაწის მენჰირებიც ყორღანების ყრილებზე იყო აღმართული (Gilbert, Bobokhyan, 2012: 61). აღსანიშნავია, რომ დღემდე გათხრილი ყველა ყორღანი, რომლებთანაც მენჰირებია დაკავშირებული, შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. არ არის გამორიცხული, რომ შუა ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ძველ მენჰირებს იყენებდა დაკრძალვის რიტუალში. შეიძლება დავუშვათ, რომ

სამარხები ადრე აღმართული მენჰირის გარშემო იმართებოდა (მაგ. თიქმა-დაში), უშუალოდ ყორღანის ყრილზე მენჰირის აღმართვის შემთხვევაში კი გამორჩეული რიტუალის შესრულებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ვფიქრობთ, რომ ძველი მენჰირების საშუალებით მოსახლეობა ცდილობდა დაემყარებინა კავშირი თავის წინაპრებსა და ძველ ქტონიურ ღვთაებებთს შორის. ამავე დროს ხდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე თავისი კანონიერი უფლებების ხაზგასმა.

კავკასიის მთიელები დღემდე აღმართავენ წაგრძელებული ფორმის, ე.წ. სამანის ქვებს მიცვალებულის საფლავზე ან იმ ადგილზე სადაც გარდაიცვალა ესა თუ ის პიროვნება. სამხრეთ კავკასიაში მენჰირები დღემდე კულტის ობიექტებს წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ ეს მონოლითები წმინდა ქვებს წარმოადგენენ და მათ ნაყოფიერების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მოტანა შეუძლიათ. როგორც ჩანს წმინდა ქვების საკრალური ძალისადმი რწმენა ათასწლეულების წინ იღებს სათავეს.

სამხრეთ კავკასიის მენჰირებზე ყველაზე ხშირად ხარის თავი, ფეხები და ტყავია გამოსახული. ეთნოლოგების აზრით, ხარის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც ის ჯერ არ იყო მოშინაურებული. მეცნიერთა ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საკულტო ცერემონიებში, სადაც ხარის მსხვერპლად შეწირვა ხდება, არასოდეს ფიგურირებს კასტრატი, ხარი-მიწათმოქმედი. ყველა რიტუალში მონაწილეობს მხოლოდ ხარი-მწარმოებელი. როგორც ჩანს, ასეთი საკრალური მნიშვნელობისა და საკულტო ღირებულების ჩამოყალიბება წინ უსწრებს მიწათმოქმედების განვითარებას, სადაც ხარი გამწევ ძალად გამოიყენება (სურგულაძე, 1993: 35-44). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხარი დღემდე საკულტო ცხოველს წარმოადგენს. საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილია საკულტო პრაქტიკა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები. სამლოცველოებისათვის შეწირული გარეული ცხოველებიდან დომინირებს ჯიხვი და ირემი, ხოლო შინაური ცხოველებიდან ცხვარი და ხარი. მსხველპრშეწირვის ძირითად ობიექტს მაინც ხარი წარმოადგენს, რადგან სამლოცველოების მთავარ ღვთაებას მხოლოდ ხარს წირავენ (ბარდაველიძე, 1982: 156). შეწირული ცხოველების თავს, ტყავს და ფეხებს სამლოცველოებში ან მათ ეზოში ტოვებდნენ. ხშირად კი ხეებზე კიდებდნენ (ბარდაველიძე, 1974: 222, ტაბ. 89). „საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში

სამსხვერპლო ცხოველთა ტყავები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამსხვერპლო ტყავების ან ცხოველთა ფიტულების ხეზე ჩამოკიდება დამოწმებულია მთელ დასავლეთ საქართველოში და სალოცავებისადმი ერთ-ერთ აუცილებელ შესაწირს წარმოადგენდა“ (ჩხაიძე, 1997: 31-33). კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე შინაური ხარის უძველესი ნაშთები ნეოლითური ეპოქის ნამოსახლარებზე გვხვდება. არუხლოს ნამოსახლარის ფაუნისტური მასალის კვლევამ აჩვენა, რომ სჭარბობს შინაური ცხოველების ძვლები, რომელთა შორის არის ხარის ნაშთები (საქართველოს არქეოლოგია, 1992: 34). ხარის უძველესი თიხის ქანდაკებები კი არუხლოსა და წოფშია აღმოჩენილი (Кушнарёва, Чубинишвили, 1970: 163; საქართველოს არქეოლოგია: 1992: 55, ტაბ. XLI-6). ხარის კულტი დაფიქსირებულია სამხრეთ კავკასიის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზეც. თიხის ფიგურები (საქართველოს არქეოლოგია, 1992: ტაბ. XIX, XCIV, CIII; Хачатрян, 1975: სურ. 41) და კერამიკაზე გამოსახული ხარები (Gogochuri, Orjonikidze, 2010: ტაბ. IV-9,10), ასევე ხარის სკულპტურული გამოსახულებით შემკული კერები (Badalyan, Avetisyan, 2007: 149) აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის არაერთ ნამოსახლარზე. სამხრეთ კავკასიის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში ხშირად არის ჩატანებული ხარის თავ-ფეხი (Куфтин, 1941: 83; ჩუბინიშვილი, 1963: 40; საქართველოს არქეოლოგია, 1992: 176; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 56-62). ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ თრიალეთის ყორღანებში დაფიქსირდა მთელი ხარის ჩატანების ფაქტები. ისინი ძირითადად დრომოსებში იყო დასვენებული. XV ყორღანის იატაკზე დაფენილი იყო ორი ხარის ტყავი, რომლებიც ისე იყო მოცილებული სხეულს, რომ თავი და ფეხები ტყავში დარჩა (Куфтин, 1941: 83).

მეცნიერებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება, რომ მონოლოთებზე გამოსახულია არა ცოცხალი ხარი, არამედ მისი თავი და ტყავი. ა. სიხარულიძე თრიალეთის კულტურის ყორღანების დაკრძალვის წესსა და მონოლითებზე დატანილ უსიცოცხლო ხარის გამოსახულებებს შორის უშუალო კავშირს ხედავს და თვლის, რომ „ვეშაპ-ვეშაპოიდთა“ კულტი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის დასაწყისში უნდა წარმოშობილიყო (სიხარულიძე, 1970: 28). მ. ჩხაიძე იზიარებს ამ აზრს და მიიჩნევს, რომ გვიანდელი (ძვ.წ. I ათასწ.) ვეშაპების აღმართვა შესაძლებელია აღნიშნულ პერიოდში მოხდა, მაგრამ ეს არ ამტკიცებს,

იმას რომ საერთოდ ვეშაპთა კულტის წარმოშობაც ამავე პერიოდში მოხდა. პირიქით, მსგავსი მონოლითების მიზანსწრაფული, მასიური აღმართვა მანიშნებელია იმისა, რომ ეს კულტი ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა (ჩხაიძე, 1997: 24-25). მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავის ჩამოკიდება ხეზე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც დასტურდება (ჩხაიძე, 1997: 33). მ. ჩხაიძე მენჰირებზე გამოსახულ უსიცოცხლო ცხოველებსა და საწმისის კულტს შორის, სრულიად სამართლიანად, გარკვეულ მსგავსებას ხედავს და აღნიშნავს „მონოლითებზე გამოსახული ტყავები შეიძლება დავუკავშიროთ ვეშაპ-ღვთაებას, რომელიც საწმისს – როგორც ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოს – იცავდა, ან განაგებდა“ (ჩხაიძე, 1997: 35). მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ სამხრეთ კავკასიის მენჰირებზე სამი სამყაროს სემანტიკური ზონაა გამოსახული (ჩხაიძე, 1997: 27-30). ნ. მარი ქვის მენჰირებზე გამოსახულ ხარის ტყავებს, ქართულ „შოლტთან“ აიგივებდა. „შოლტი“ ეს იყო ხარის ტყავის სპეციალური, საკულტო ნაწილები, რომლებსაც მსხვერპლშეწირვის რიტუალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ (Пиотровский, 1939: 4). ჯ. მელაარტის აზრით, ხარი ძველ ანატოლიაში სიცოცხლისა და მამაკაცური ნაყოფიერების სიმბოლო იყო (Mellaart, 1963: 52). მ. გიმბუტასი თვლდა, რომ ხარი ან ბიზონი იყო განსახიერება მამაკაცური ნაყოფიერების და ვეგეტაციის ღვთაებისა, რომელიც უნდა მომკვდარიყო, რათა გაზაფხულზე ისევ აღორძინებულიყო (Gimbutas, 1996: 230). შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიის მენჰირებზეც გამოსახულია სამსხვერპლო ხარი, რომელიც ნაყოფიერებისა და აღორძინების მამაკაცურ ღვთაებას განსახიერებს. სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ხარის კულტის საკრალური ძალის რწმენა ადგილობრივი მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მენჰირი იყო ღვთაებრივი წინაპრის მატერიალური გამოხატულება. ხშირ შემთხვევაში ქვა იდგა ღვთაებრივი წინაპრის სამარხზე, ან მიმდებარე ტერიტორიაზე. ათასწლეულების განმავლობაში მენჰირების სიახლოვეს ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რიტუალები იმართებოდა. მენჰირის აღმართვა ყორღანზე, ან მის სიახლოვეს დაკავშირებული იყო მეფე-წინაპრის

კულტთან. მეფე სიცოცხლეში თავისი ხალხის კეთილდღეობის გარანტი იყო, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ღვთაების რანგში გადადიოდა და აგრძელებდა თავის ხალხზე ზრუნვას.

სამხრეთკავკასიურ მენჰირებისა და ანატოლიური გამოსახულებათა ერთგვაროვნება, შესრულების ტექნიკის მსგავსება, გარკვეული ნორმებისა და პრინციპების დაცვა, ალბათ ერთგვაროვანი ტრადიციების არსებობაზე მიგვითითებს, რაც ერთიანი მსოფლმხედველობის ასახვასაც უნდა წარმოადგენდეს.

§ 4. კულტმსახურება

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტმსახურების შესწავლისათვის ფაქტობრივი მონაცემები არცთუ ბევრია. თუმცა, ისიც არის აღსანიშნავი, რომ ეს საკითხი სპეციალურად არავის უკვლევია. ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოვლენილი ყველა ის არქეოლოგიური ობიექტი თუ არტეფაქტი, რომლებიც შესაძლებელია კულტმსახურებასთან იყოს დაკავშირებული ან კულტის ობიექტს წარმოადგენდეს. მიუხედავად ამისა დღეს არსებული მონაცემები გარკვეული მოსაზრებების გამოთქის საშუალებას იძლევა. ახლა ძნელია ზუსტად იქნეს აღდგენილი შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტმსახურების ყველა ძირითადი ასპექტი, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა მაინც არის შესაძლებელი.

ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ქვემოთ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია სრულად ვერ ასახავენ რეალურ სიტუაციას და არ არის გამორიცხული, რომ შემდგომმა აღმოჩენებმა და სამეცნიერო კვლევებმა სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინოს საკვლევი საკითხი, მაგრამ მაინც გვინდა სამსჯავროზე გამოვიტანოთ ზოგიერთი მოსაზრება და ჩვენი დამოკიდებულება ადამიანის გარესამყაროსთან დამოკიდებულების და აღქმის ამ უმნიშვნელოვანეს მხარესთან დაკავშირებით.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის საკულტო-სარიტუალო რწმენა-წარმოდგენები ბედენის კულტურასთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლოვია, რომ ამ ეპოქაშიც კვლავ ძლიერია კერასთან დაკავშირებული რიტუალები, ადრებრინჯაოს ხანის ანთროპომორფული იერი აქვს კერებსა და კერის სადგრებსაც. ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება ანთროპომორფული კერამიკა

ბადაანში (მირცხულავა, 2005: 100-118, ტაბ. IV-1,2), პულურში (Koşey, 1976: 24, ტაბ. 83, 85).

სამხრეთ კავკასიაში ანთროპომორფული სახის ღვთაებები ისეთ ძეგლებზეც არის დაფიქსირებული, სადაც მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურის მასალები ერთად გვხვდება. ჟინვალის სამლოცველოს ღვთაება და ხაშურის ნაცარგორაზე აღმოჩენილი ანთროპომორფული ჰორელიეფი ამის ნათელი დადასტურებაა (ტაბ. XXXVIII–3,4). ანთროპომორფული იერი აქვთ შუა ბრინჯაოს ხანის ბედენის კულტურის ბერიკლდეების ნამოსახლარებზე და სამლოცველოებში დაფიქსირებულ კერებს (ჯალაბაძე, 2003: 45). ანანაურის ყორღანში აღმოჩენილ ჭურჭელს (მასალის გაცნობისთვის მადლობას მოვახსენებთ ზ. მახარაძეს). ადამიანის ფიგურა აღმოჩნდა ციხიაგორას ნამოსახლარზე (მახარაძე, 1994: 20, ტაბ. LXXI – 2, XXXIV).

შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო, მეორე ეტაპზე, ამგვარი გამოსახულებების შესრულების და გამოსახვის მანერა უკვე მკაფიოდ იცვლება. ის არც დამოუკიდებელ არტეფაქტად და არც მრგვალი ფიგურის სახით უკვე საერთოდ აღარ არის წარმოდგენილი, არამედ, ამა თუ იმ ნივთის ორნამენტის ნაწილი ხდება და მხოლოდ რომელიმე პრესტიჟულ ნივთზე ძირითადად დაბალი ბარელიეფის ფორმით მოგვეპოვება. ამის მაგალითია შუა ბრინჯაოს ხანის შემდგომი ეტაპის, თრიალეთის კულტურაში ანთროპომრფული ღვთებების გამოსახულებები, რომლებიც თრიალეთის და ყარაშამბის თასებზეა მოცემული. კულტმსახურების ძირითადი ელემენტებიც (სარიტუალო პროცესიები) ამ თაზებზეა გამოსახული (დაწვრილებით იხ. ქვევით). კულტმსახურებასთან არის დაკავშირებული ყორღანების სარიტუალო-საპროცესიო გზები, ფრინველის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის და სხვა ცხოველების მსხვერპლად შეწირვა. ნიშანდობლივია, რომ ბედენისა, თრიალეთის (მესხეთის) კულტურების დიდ ყორღანებში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ელემენტებიც ჩანს.

სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ხშირად გვხვდება არქიტექტურული კომპლექსები, სამარხები და ცალკეული არტეფატები, რომლებსაც უმეტესად საკულტო დანიშნულების ობიექტებად თუ რიტუალთან დაკავშირებულ ნივთებად მიიჩნევენ. უძველესი კულტისა და რიტუალის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ადგილი გამორჩეულ სამარხ ნაგებობას – ყორღანს უკავია. ასეთი

სამარხი ნაგებობის სარიტუალო დანიშნულებაზე მათი გარეგნული ფორმა, არქიტექტურა, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალი და ინვენტარი მიუთითებს. ამ ტიპის სამარხებში დაკრძალვის გამორჩეული და რთული რიტუალი სრულდებოდა. ხშირად გვხვდება მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვის ფაქტები. უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა აჩვენა, რომ გამორჩეული სოციალური სტატუსის მქონე მიცვალებულს ხარებშებმული ეტლით ქვებით ნაგებ სარიტუალო-საპროცესიო გზებზე მიასვენებდნენ (ნარიმანიშვილი, 2009: 29-44).

აშკარაა, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული არტეფაქტების ნაწილი უცილობლად გამოიყენებოდა კულტმსახურებაში. მაგ. ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საბრძოლო იარაღები, სათლი (თრიალეთის XV ყორღანი), ვერცხლის და ოქროს თასები (თრიალეთის და ყარაშამბის), ბედენის № 2 და მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი „ჟეტონები“, ცხვრის კოჭები, შტანდარტები, თიხის ჭურჭლების ერთი ნაწილი და სხვა.

სავარაუდოა, რომ ამ ეპოქაში (ალბათ მის ადრეულ ეტაპზევე) ჩნდება კულტის მსახურთა სოციალური ფენა. შეიძლება ისინი ჯერ კიდევ არ არიან სხვა ვალდებულებებისაგან განთავისუფლებული, მაგრამ აშკარად იკვეთება ის ელემენტები, რომლებიც მათი კულთან და კულტმსახურებასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი ყორღანი აშკარად შეიცავს ისეთ გამორჩეულ ნივთებს რომლებიც კულტმსახურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს ბედენის № 2 ყორღანი. ბედენის პლატოზე XX საუკუნის 60-70-იან წლებში გათხლ ყორღანებში აღმოჩენილი მანამდე უცნობი, მრავალფეროვანი და მდიდრული მასალის საფუძველზე გამოყოფილი იქნა ახალი არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც ბედენის კულტურა ეწოდა (გობეჯიშვილი, 1981: 134). ბედენის ყორღანები ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება (ნარიმანიშვილი, 2009: 63). სამარხებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ინვენტარი ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე და ეკონომიკურ დაწინაურებაზე მეტყველებს.

ბედენის სამარხებს შორის გამოირჩევა № 2 ყორღანი, რომელიც 1957-1959 წწ-ში გაითხარა. ის მდებარეობს ქ. თეთრიწყაროს ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ

ნადარბაზევში. ყორღანის ქვაყრილის სიმაღლე 4.0 მეტრი იყო, ფუძის დიამეტრი 70 კი მეტრს აღწევდა. სამარხი კამერა კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხა ორმოს წარმოადგენდა. სამარხის იატაკი ყავისფერი თიხით იყო გადალესილი, რომელზეც ჭილოფის ფრაგმენტები დაფიქსირდა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამარხის იატაკი ჭილოფით იყო მოფარდაგებული. სამარხში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა, რომელიც მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილ მდგომარეობაში იყო დასვენებული. აღსანიშნავია, რომ ჩონჩხს არც კისრის მალები ჰქონდა და არც თავის ქალა. ტანის ზედა ნაწილით სამხრეთ-დასავლეთისაკენ იყო მიმართული. სამარხის იატაკსა და მიცვალებულის ძვლებს მუქი წითელი საღებავის კვალი ემჩნეოდა.

ჩონჩხის ახლოს არავითარი ინვენტარი არ აღმოჩნდა. სამარხის დასავლეთ ნაწილში კი თიხის სამი ჭურჭელი იდგა. მიცვალებულის ჩონჩხიდან 1,5 მ დაცილებით აღმოსავლეთით, 0,9 მ-ის სიგრძისა და 0,6 მ-ის სიგანის ფართობზე, არაკერამიკული ინვენტარი დადასტურდა, რომლებიც ორ ზოლად და რამდენიმე ჯგუფად იყო განლაგებული. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს უკანასკნელები თავის დროზე ერთად იყო ჩაწყობილი პარკებში. აქვე აღმოჩნდა კაპარჭი და მასში ჩაწყობილი ობსიდიანის 14 და მოთეთრო კაჟის 4 ისრიპირი (ტაბ. XXXVII-1,2). ისრისწვერებთან ახლოს, აღმოსავლეთისკენ გამოვლინდა 2-3 სმ დიამეტრის, 12 ცალი მრგვალი მოთეთრო კენჭი (ტაბ. XXXVIII-8), რომლებიც გ. გობეჯიშვილის აზრით, ალბათ შურდულის ჭურვებად იყო გამოყენებული (გ. გობეჯიშვილი 1981: 24). მრგვალი ქვებისა და ისრისწვერების ქვეშ შავ მიწაში გამოვლინდა რქის, ძვლისა და თეთრი პასტისებური მასალისგან ნაკეთები 36 მინიატურული ნივთი (ტაბ. XXXVIII-1): 24 ცალი რომბისებურია, ზოგი – ოვალური, ზოგი – ბოლო წვეტიანი, 32 – ორმხრივ ამობურცულია, ოთხს ცალი გვერდი დაბრტყელებული აქვს. სპილენძის მთლიან ჟანგად ქცეული საგნების მცირე ჯგუფი აღმოჩნდა მრგვალი ქვების თავზე. სპილენძის ეს ნივთები შეხებისთანავე იშლებოდა. შენარჩუნებული იყო მხოლოდ „დისკოსებურთავიანი და ჩოგნისებურთავიანი ქინძისთავები“, როგორც მათ გ. გობეჯიშვილი უწოდებს და 10 სმ სიგრძის დანა, თუ სამართებელი (გობეჯიშვილი, 1981: 24). ამ ჯგუფთან ახლოს გამოვლინდა ქვის, ხის და ძვლის 7 საგანი (ტაბ. XXXVII-3,5). ძვლის ცილინდრების აღმოსავლეთით ობსიდიანის 12, მოწითალო ყავისფერი კაჟის 2 ისრისწვერი, ძვლის 3 ისრისწვერი

(ტაბ. XXXVII-3) იდო (გობეჯიშვილი, 1981: 24). სამარხისეული ინვენტარის მეორე ზოლი შეიცავდა გაურკვეველ გრძელ და წვრილ ნივთს და ჰემატიტის ბირთვს, რომლებიც რკინის ჟანგისფერი მიწის გუნდაში დაფიქსირდა. შესაძლოა ეს საგნები ხის ყუთში, ან ტყავის ჩანთაში ელაგა. ამ ზოლის აღმოსავლეთით ლითონის, ძვლის და ხის ნაკეთობათა კომპლექსი გამოვლინდა. ლითონის ნივთებიდან ამ ზოლში აღმოჩენილია: ყუამილიანი ცული, ეჩო, ან ბრტყელი ცული, სატეხი, სადგისი, თუ ისრისწვერი, სატევრისპირი, ორი გაურკვეველი დანიშნულების ნივთი და ვერცხლის სატევრისპირი. ლითონის ამ ნივთებთან ერთად იდო ხის რომელიღაც ნაკეთობის, შესაძლოა მშვილდის ნაშთი. აქვე იდო ძვლის ცხრა ისრისწვერი.

ნადარბაზევის № 2 ყორღანში ძარცვის ნიშნები შეინიშნება (გობეჯიშვილი, 1981: 17). სამარხში არც მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა. თუმცა, სავარაუდოა, რომ შესაძლოა მტერმა ის ნადავლის სახით წაიღო თან, როგორც წარჩინებულ პირზე გამარჯვების ნიშანი. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ აღმოსავლეთში მტრის მოკვეთილი თავი და განსაკუთრებით მეფის, ან წარჩინებული პირის, უმნიშვნელოვანეს ნადავლს წარმოადგენდა. ამას სირია-მესოპოტამიაში აღმოჩენილი ხელოვნების ნიმუშები მოწმობენ. მტრის თავის მოკვეთის სცენის უძველესი გამოსახულება ურუქის პერიოდში დასტურდება. ებლას და მარის სასახლეებში ნაპოვნია ინკრუსტირებული პანოები, რომლებზეც გამოსახული არიან გამარჯვებული მეომრები მტრის მოკვეთილი თავებით ხელში (Dolce, 2004: 124). შედარებით გვიანდელ ეპოქაში, ასურეთის სამეფოში, მტრის მეფის თავის მოკვეთის გამოსახვაც კი მტრის ჯარზე გამარჯვების მაგიურ საშუალებას წარმოადგენდა, რადგან მეფისთვის თავის მოკვეთა მისი სამეფოს განადგურების ტოლფასად ითვლებოდა (Bahrani, 2004: 117-118])

სამარხი მრავალრიცხოვან ინვენტარს შეიცავდა. ყორღანში კერამიკული ნაწარმის მრავალი ნატეხი აღმოჩნდა, რომელთაგან მხოლოდ ორი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა: 1. დერგი (ტაბ. XL-1). ვარდისფერსარჩულიანი, ხელით ნაძერწი, შავპრიალა (გობეჯიშვილი, 1981: სურ. 4, ტაბ. III), რომლის გვერდი შემკულია ბერძნული „ომეგას“ მაგვარი რელიეფური ორნამენტი და სამი დიდი კოპით. ყური სამი ლილვით არის შემკული. ყურის ძირზე რელიეფური მედალიონია

გამოსახული; 2. დერგი (ტაბ. XL-2). შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი. (გობეჯიშვილი, 1981: 19).

ნადარბაზევის № 2 ყორღანში აღმოჩენილი დერგები ახლო მსგავსებას იჩენს წნორის II (Дедабришвили, 1979: ტაბ. VIII), თრიალეთის ყორღანში (ნარიმანიშვილი, 2009: ტაბ. XX, XXII, XXIII) და ბედენური კულტურის ნამოსახლარებზე (ხაშურის ნაცარგორა (Рамишвили, 1991: ტაბ. 44,46) და ბერიკლდეები (ჯალაბაძე, 1998: ტაბ. I-8,12,15, III-10) აღმოჩენილ ჭურჭელთან. კერამიკის ეს ტიპი საკმაოდ იშვიათია სამხრეთ კავკასიაში. ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში ის დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაშია გავრცელებული. გვხვდება დემირჩიჰუიუქის D, E, F ფენებში (Seeher, 1987: ტაბ. 31-9; 42-4,9; 48-3,4), ტროა I და II ფენებში და იორთან-თეფეზე (Seeher, 1987: 158-159), აგრეთვე კარატაშში (Mellink, Angel, 1968: ტაბ. 83-24) და ბეიჩესულთანში. ბეიჩესულტანის IX ფენაში (ძვ.წ. 2200-2100 წწ.) გათხრილ მეგარონში დადასტურებულია ორყურა ჭურჭელი, რომლის ყურები ლილვებით, ხოლო ყურის ძირები ნახევარწრიული რელიეფური დანაძერწებით არის შემკული (Lloyd, Mellaart, 1958: ტაბ. XXVI-c). J. Seeher-ის აზრით, ეს კერამიკა დასავლეთ ანატოლიური ტრადიციების მაჩვენებელია, რომელიც შემდგომში გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში (Seeher, 1987: 160). ს. ლოიდის და ჯ. მელაარტის აზრით, ამ კერამიკის გავრცელება ანატოლიური ჯგუფის ენების მატარებელი ინდოევროპული ტომების შემოსვლასთან არის დაკავშირებული (Lloyd, Mellaart, 1958: 101).

რელიეფური მედალიონებით შემკული ჭურჭელი საკმაოდ იშვიათია სამხრეთ კავკასიაში. ასეთი გვხვდება წნორის I ყორღანში (Дедабришвили, 1979: ტაბ. XX-1, XXVIII-1) და თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე (ნარიმანიშვილი, 2009: 32, ტაბ. XXII). რელიეფური მედალიონებით შემკული კერამიკა გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში, კარატაშის სამაროვანზე, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ ტიპის კერამიკისათვის სპეციალური ტერმინიცაა შემოღებული „Medallion jar“ (Mellink, Angel, 1966: 253-254).

ბერძნული „ომეგას“ მსგავსი სიმბოლო ახლო აღმოსავლეთში ადრედინასტიური ეპოქიდანაა გავრცელებული. განსაკუთრებით პოპულარულია

ძველი ბაბილონური პერიოდიდან ახალ ბაბილონურ ხანამდე. ეს სიმბოლო შუმერულ დედა ქალღმერთ ნინხურსაგს უკავშირდება, რომელიც შობადობის მფარველად ითვლებოდა. ზოგჯერ „ომეგას“ ფორმის სიმბოლო ინანა-იშთარსაც უკავშირდებოდა (Black, Green, 1992: 146).

ნადარბაზევის ყორღანში აღმოჩენილი ლითონის ნივთები მრავალფეროვნებით გამოირჩევა (ტაბ. XXXIX - 1-11). სამარხ კამერაში აღმოჩნდა: **1. ყუამილიანი ცული** (გობეჯიშვილი, 1981: 25, ტაბ. X-1, სურ. 7-1). ამ ტიპის ცულები ნაპოვნია მარტყოფის №3 და №5 ყორღანებში. მსგავსი ცულები შემთხვევითაა მოპოვებული შიდა ქართლში, სოფ. კარალეთსა და ზნაურის რაიონის სოფ. მეტეხში. ისინი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით არის დათარიღებული (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 151, ტაბ. 03); **2. ბრტყელი ცული** (გობეჯიშვილი, 1981: 25, ტაბ. X-2, სურ. 7-4); **3. სატეხი** (გობეჯიშვილი, 1981: 25, ტაბ. X-3, სურ. 7-2). მსგავსი სატეხები ცნობილია მარტყოფის №3 და №5 ყორღანებიდან. ახალი ჟინვალიდან და თრიალეთის 50-ე ყორღანის მიდამოებში, ისინი შემთხვევითაა მოპოვებული (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 441, ტაბ. 013); **4. ისრისპირი**, სპილენძის (გობეჯიშვილი, 1981: 25-26, ტაბ. X-7). ჩამოსხმულია და ნაჭედი. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ისრისპირები აღმოჩენილია ჟინვალის სამლოცველოში და ორჭოსანის ნამოსახლარზე. ასევე, აზერბაიჯანის (სერქერთეფე, ასტარა, კუდურლის № 14 ყორღანი) და სომხეთის (გარნი, არიჭი) არქეოლოგიურ ძეგლებზე (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 177, ტაბ. 032, 034); **5. სატევარი**, სპილენძის (გობეჯიშვილი, 1981: 26, ტაბ. X-4). მსგავსი სატევარი ცნობილია სოიუღ-ბულაღის № 1 ყორღანიდან და ელარიდან (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 159, ტაბ. 033, 034); **6. ვერცხლის სატევარი**, ჩამოსხმულია და ნაჭედი (გობეჯიშვილი, 1981: 26, ტაბ. X-5, სურ. 7-3). უახლოესი პარალელები ეძებნება ბაკურციხის № 1, კაჭრეთის № 1, ტყემლარას № 4 და ბერიკლდეების № 1 ყორღანებში (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 158, ტაბ. 08); **7. შტანდარტი** სპილენძის, 2 ცალი (,გობეჯიშვილი, 1981: 24, ტაბ. X-10, 12). ჩამოსხმულია და ნაჭედი. მსგავსი არტეფაქტები მდიდრული ყორღანებიდან მომდინარეობენ: წნორის № 2 (Дедабришвили, 1979: 43, ტაბ. XIV-3), მარტყოფის № 5 (ჯაფარიძე, 1998: 40-41, ტაბ. XXVI), ბედენის № 5 (გობეჯიშვილი, 1981: 44, სურ. 11). თრიალეთის (ნარიმანიშვილი, 2009: 33, ტაბ. XIX-1), თეთრი ქვების და ხრამების ყორღანებიდან.

ორი ცალი ცნობილია აზერბაიჯანში გათხრილი შამკირჩაის №2 და კუდურლის № 14 ყორღანებიდან (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 183, ტაბ. 017, 033-17,18). ამ ტიპის საგნებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, ზოგჯერ სარკედ, საკინძად, ან ურმის ღერძის სამკაულად მიიჩნევენ. ბედენის № 10 ყორღანში ეს ნივთი ბორბლის ხის ღერძში იყო ჩარჭობილი, რის საფუძველზეც გ. გობეჯიშვილი მათ ეტლის სამკაულად მიიჩნევდა. ის აგრეთვე შესაძლებლად თვლიდა, რომ დისკოსებურთავიანი „საკინძები“ მზის, ან მთვარის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდნენ (გობეჯიშვილი, 1981: 42). ო. ჯაფარიძის აზრით, დისკოსმაგვარი მოკლეყუნწიანი ბრინჯაოს ნივთები „შტანდარტებს“ წარმოადგენენ, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ ნივთების დანიშნულების შესახებ რაიმის გარკვევით თქმა ძნელია (ჯაფარიძე, 1998: 115]. ი. ღამბაშიძის, გ. მინდიაშვილის, გ. გოგოჭურის და სხვების მოსაზრებით, დისკოსებურთავიანი საგანი „მზის სიმბოლოდ უნდა იყოს მიჩნეული, რაც მის შესაძლო სარკეობის პარალელურად, და მის შტანდარტობასაც დასაშვებს ხდის“ (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 183). მოკლეღეროიანი დისკოსებურთავიანი საგნები განსხვავდებიან შუა ბრინჯაოს ეპოქაში ფართოდ გავრცელებულ დისკოსებურთავიანი საკინძებისაგან, რომლებიც გრძელი ღეროთი და მცირე ზომის თავით გამოირჩევიან და აშკარაა რომ მათ „მოკლეღეროიანი დისკებისაგან“ განსხვავებით საკინძის ფუნქცია ჰქონდათ (Дедабришвили, 1979: 60); **8. სამართებელი** (ტაბ. XXXIX-1, 2). ბრინჯაოს თავწაკვეთილი გაურკვეველი საგანი სამარხში დისკოსებურთავიანი ნივთის გვერდით იდო. გ. გობეჯიშვილის ვარაუდით ის დანას, ან სამართებელს წარმოადგენდა (გობეჯიშვილი გ. 1981: 24, ტაბ. X-11). მსგავსი ნივთი (ტაბ. XXXIX-17) აღმოჩნდა მარტყოფის № 3 ყორღანში (ჯაფარიძე 1969: სურ. 25)

ჩვენი აზრით, ბასრპირიანი დისკოსებურთავიანი საგნები სამართებლად შეიძლება ჩაითვალოს. ბრინჯაოს და იშვიათად ოქროს სამართებლები გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში, სადაც პირადი მოხმარების ეს ნივთი გვხვდება როგორც მამაკაცების, ისე ქალების სამარხებში. ოქროს სამართებლები, რომლებიც ფორმით და ზომით ბედენურს ჰგავს აღმოჩნდა ფარაონ ხეოფსის დედის, დედოფალ ჰეთეფ-ჰერესის სამარხში (ტაბ. XXXIX-12). ოთხი ოქროს სამართებელი და სპილენძის და კაჟის დანები იდო საიუველირო ყუთის ქვეშ და

წარმოადგენდა დედოფალის პირად ნივთებს [Reisner, 1929: 89, სურ. 10-12]. ძველ ეგვიპტეში ლითონის სამართებლებს ხშირად ატანდნენ მიცვალებულებს I და II დინასტიის ეპოქებიდან მოყოლებული. მსგავსი ფორმის სამართებლები ნაპოვნი იყო სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში, კარატაშ-სემაიუკის სამაროვანზე (ტაბ. XXXIX-13-16), ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ სამარხებში. ერთ-ერთი მათგანი წარჩინებული პირის, ბელადის სამარხად არის მიჩნეული (Mellink, 1969: 326, სურ. 15,17). ძვ.წ. III ათასწლეულის მესოპოტამიური ხელოვნების ნიმუშებზე გამოისახებოდა თავგადაპარსული და პირგაპარსული ფიგურები – მეფეები და ქურუმები, რომლებიც სხვადასხვა რიტუალს ასრულებენ. მეცნიერთა აზრით, თმის მოპარსვა შესაძლოა საკულტო ცერემონიის შემადგენელ ელემენტს ან კულტმსახურის მიერ შესასრულებელ, აუცილებელ რიტუალს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ უბეიდის ეპოქის საკულტო ქანდაკებები თავგადაპარსულ და პირგაპარსულ მამაკაცის ფიგურებს გამოსახავენ (ИДВ, 1983: 121). შესაძლოა, სამართებელი მეფის, ან ქურუმის ერთ-ერთ ატრიბუტს წარმოადგენდა.

9. ჟეტონი/ტოკენი. საყურადღებოა სხვადასხვა მასალის და სხვადასხვა ფორმის მცირე ზომის 36 ნივთი (ტაბ. XXXVIII-1). მათი სიგრძე 1, 3-1, 9 სმ, სიგანე 1,0-1,3, სისქე კი 0,6-1,0 სმ ტოლია. დამზადებულია რქის, ძვლის და თეთრი მინისებური პასტისაგან. 26 მათგანი ბიკონუსური ფორმისაა, 5 – ოვალური, 4 – სფერული. ბიკონუსური ფორმის 12 ცალ ჟეტონზე ჯვარია ამოღარული, ორ ეგზემპლარზე – ჯვარი და ბადისებური ორნამენტი, ორ ცალზე კი ირიბი ბადისებური მოტივია მოცემული, ორზე – წითელი საღებავით ჯვარია დახატული. სამ ცალს გამჭოლი ნახვრეტი აქვს. სამი გამჭოლი ნახვრეტი კიდევ ორ ცალს აქვს, რომლებშიც მანჭვლებია ჩასმული. ოთხ ცალს დაბრტყელებული და თითქოს გადახეხილი ზედაპირი აქვს, ორ ასეთ ეგზემპლარს წიწვოვანი ორნამენტი ეტყობა, ორს კი – ჯვრის მოტივი. მინისებური პასტისგან დამზადებული ოვალური ფორმის ორ „კოჭზე“ ჰორიზონტალური ღარებია დატანილი, სამ ეგზემპლარზე კი – ჯვარია გამოსახული. მსგავსი 8 ჟეტონი/ტოკენი (ტაბ. XXXVIII-2) აღმოჩნდა მარტყოფის № 4 ყორღანშიც (ჯაფარიძე, 1998: 25, სურ. 16, ტაბ. XIX). რა დანიშნულება ჰქონდათ ამ საგნებს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. გ. გობეჯიშვილი არ გამორიცხავდა

შესაძლებლობას „რომ ეს ნივთები ყოფილიყო სათამაშო ქვები“ (გობეჯიშვილი, 1981: 23).

ბედენის და მარტყოფის ყორღანებში აღმოჩენილი ეს ნივთები დიდ მსგავსებას იჩენენ ძვ.წ. IX-III ათასწლეულების ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ სათვალავ საგნებთან (ტაბ. XXXVIII-4-7), რომლებიც დ. შმანდტ-ბესერატის აზრით საფუძვლად დაედო არქაულ შუმერულ დამწერლობას (Schmandt-Besserat, 1977: 50-58, სურ. 8; Schmandt-Besserat, 1992: 142-150). ძვ.წ. IV ათასწლეულის ირანის, ერაყის და სირიის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული 661 თიხის ე.წ. „ჟეტონი“, თუ „კოჭი“ დ. შმანდტ-ბესერატამა დაყო 15 ტიპად, რომელთა შორის გამოიყო კიდევ 200 ქვეტიპი (Schmandt-Besserat, 1979: 19) ბედენის და მარტყოფის „კოჭები“ ახლო მსგავსებას იჩენენ დ. შმანდტ-ბესერატის მიერ გამოყოფილ ბიკონუსურ ტიპთან (V ტიპი). აღსანიშნავია, რომ ბედენის „კოჭებზე“ გამოსახული სიმბოლოები: ჯვარი, ბადისებური და წიწვოვანი მოტივი, ჰორიზონტალური ღარები, გამჭოლი ნახვრეტი და ირიბი ხაზი გამოისახებოდა ახლო-აღმოსავლურ ეგზემპლარებზეც. შუმერულ არქაულ დამწერლობაში მათ ვერბალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯვარი ცხვრის აღმნიშვნელი იყო, სფეროს შუაში დიდი წერტილს რიცხვითი მნიშვნელობა - 36 000 ჰქონდა, წიწვოვანი ორნამენტი მარცვლეულს, ხოლო ბადისებური მოტივი ან კულტივირებულ მიწას, ამ მატყლს აღნიშნავდა (Schmandt-Besserat, 1977: სურ. 8; Schmandt-Besserat, 1992: 143-149).

სააღრიცხვოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული თეთრიწყაროს ყორღანში აღმოჩენილი თორმეტი სფეროსებური კენჭი (ტაბ. XXXVIII-8). ეს ქვები გ. გობეჯიშვილის აზრით შურდულის ქვებს წარმოადგენს. ჩვენი აზრით თეთრიწყაროს სფერული კენჭები მცირე ზომის გამო შურდულის ქვებად არ გამოდგება. ამასთან, ეს მრგვალი ქვები დიდ მსგავსებას იჩენს მესოპოტამიასა და ირანში მრავლად აღმოჩენილ სფეროსებრ „ჟეტონებთან“, რომლებსაც დ. შმანდტ-ბესერატი სააღრიცხვო, თუ სათვალავ სიმბოლოებად, ე.წ. token-ებად მიიჩნევს (D. Schmandt-Besserat, 1992: 25, სურ. 25.1, 30, 31.4, 36.2, 62,64, 101). მსგავსი პატარა ზომის სფეროსებური ქვები ნაპოვნია ლორი ბერდის №№ 65, 77 და 79 სამარხებშიც (Devedjian, 2006:162, 172,178, ტაბ. 83, 95, 101).

ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული იყო თიხის „ჟეტონების“ ჩატანების ტრადიცია სამარხებში. ეს წესი საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა და რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მოქმედებდა, თუმცა მთლიანობაში ათზე ოდნავ მეტი „ჟეტონია“ ნაპოვნი სამარხებში. მათ შორის ერთი ჰაჯი ფირუზში, ერთი – არპაჩიაში, ოთხი – ტელ ეს-სავანში და ექვსი – თეფე გავრაში. ყველა სამარხი, სადაც „ჟეტონი“ იყო ნაპოვნი, სიმდიდრით და განსაკუთრებული არქიტექტურით გამოირჩეოდა, რაც მასში დაკრძალულის მაღალ სტატუსზე მიუთითებდა. ასე მაგალითად, თეფე გავრას № 107 სამარხის თავზე საკურთხეველია გამართული. დ. შმანდტ-ბესერატის აზრით, „ჟეტონები“ სამარხებში მიცვალებულის სიმდიდრის და ძალაუფლების მაჩვენებელია. „ჟეტონის“ მფლობელი ელიტის და პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი იყო. ადმინისტრაციულ სისტემაში მას „აღმრიცხველის“ ფუნქცია ჰქონდა და განსხვავებული სტატუსი გააჩნდა. ნიპურში აღმოჩენილ სხვადასხვა მოხელეთა პროფესიების ჩამონათვალში მოხსენიებული არის „ქვების კაცი“ და „თიხის ქვების კაცი“, რაც შესაძლოა „ჟეტონების“ მფლობელ ადმინისტრატორს აღნიშნავდა (Schmandt-Besserat, 1992: 171). მცირე ზომის მსგავსი თიხის საგნები ნაპოვნი იყო ჩრდილოეთ სირიაში, ტელ-ბრაკში, აქადური ეპოქის ცერემონიალურ კომპლექსში. ტელ-ბრაკში აღმოჩენილი 70-80 მთელი და ფრაგმენტული ბულა ჯ. ოატსმა ორ ჯგუფში გააერთიანა. ერთი ჯგუფის ბულები საბეჭდავების ანაბეჭდებით არის დაფარული. მსგავსი თიხის ბულები კარგადაა ცნობილი ახლო აღმოსავლეთში ძვ.წ. V ათასწლეულიდან. ისინი არსებობას განაგრძობენ ძვ.წ. II ათასწლეულამდე (Oats, 1993: 289-291). მეორე ჯგუფის „ბულები” ძალზე იშვიათია. ისინი წარმოადგენენ ოვალური ფორმის თიხის საგნებს, რომელთა სიგრძე 2-3 სმ-ია. მათზე გამოსახულია წრეების რიგი, პარალელური ხაზები და ჯვრები (Oats, 1993: 289-291, სურ. 3). ჯ. ოატსის აზრით, თიხის ნივთებზე გამოსახული ნიშან-სიმბოლოები რიცხვების აღმნიშვნელი იყო (Oats, 1993: 298). სწორედ ამ საგნებთან იჩენს მსგავსებას ნადარბაზევის № 2 ყორღანში დადასტურებული 36 ნივთი. ეს ნივთები ჩვენც საკულტო დანიშნულების „ჟეტონებად“ მიგაჩნია და შესაბამისად, მის მფლობელს რიტუალთან დაკავშირებულ პირად წარმოგვიდგენს.

ადრედინასტიური II და აქადური ეპოქისთვის სააღრიცხვო მცირე ზომის საგნები საკმაოდ იშვიათია და შემოიფარგლება ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიის, ძირითადად ხაბურის რეგიონით (Oats, 1993: 302). ზოგიერთი მეცნიერი ამ ფაქტს რეგიონის „ჩამორჩენილობით" ხსნის. მაგრამ ჯ. ოატსი თვლის, რომ ეს აზრი მცდარია, რადგან არქაული ხასიათის ნიშნებიანი „ბულები" ნაპოვნია შესანიშნავ აქადურ ლურსმნულ წარწერებთან ერთად როგორც ტელ-ბრაკში, ისე ჩაგარ-ბაზარში. მსგავსი „ბულები" თითქმის არ გვხვდება ძვ.წ. III ათასწლეულის ფენებში, განსაკუთრებით სამხრეთ მესოპოტამიაში. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ სირიის ადმინისტრაციულ სისტემაში შემორჩენილი იყო უძველესი სააღრიცხვო სისტემა, რომელსაც საკმაო მყარი საფუძველი ჰქონდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეფექტური იყო. ამას უნდა მოწმობდეს ტელ-ბრაკზე გვიანი ურუქის პერიოდით დათარიღებულ ფენებში აღმოჩენილი მცირე ზომის ნივთები (tallies/dockets) პიქტოგრაფიული ნიშნებით (Oats, 1993: 302). გვიანდელ ხანაშიც, ნარამ-სინის სასახლის საცავში ნაპოვნი იყო „ბულები" არქაული ნიშნებით: ერთზე წრიული ნიშანი იყო გამოსახული, რომელიც ჯ. ოატსის ვარაუდით რიცხვი „ათის" აღმნიშვნელი იყო, ხოლო მეორეზე – „ზეთის" აღმნიშვნელი ნიშანი (Oats, 1993: 298). ჯ. ოატსის აზრით, „ბულების" ერთი ჯგუფი საცავში შენახული პროდუქციის იდენტიფიკატორი, ხოლო მეორე ჯგუფის ნივთები მათი რაოდენობის დამადასტურებელი იყო. თითოეული ამ ჯგუფთაგანი ეკუთვნოდა იმ ოფიციალურ პირებს, რომელთა პასუხისმგებლობაში იყო ცერემონიალურ კომპლექსში შენახული პროდუქციის გატანა, შემოტანა და აღრიცხვა (Oats, 1993: 295).

სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ფორმის ოციოდე ე.წ. „სააღრიცხვო ჟეტონი" აღმოჩენდა აზერბაიჯანშიც მტკვარ-არაქსული ხანის ნამოსახლარ მახთაზე, (Ашуров, 2012: 106-107). ს. აშუროვის აზრით, ამ საგნების აღმოჩენა მოწმობს, რომ მტკვარ-არაქსის ეპოქაში სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობდა სოციალური იერარქია. გ. გობეჯიშვილის ვარაუდით, ყორღანი წარჩინებულ პირს ეკუთვნის, „რომელიც სიცოცხლეში ანსახიერებდა მეურნეს და მებრძოლს. მასზე, როგორც მეურნესა და ხელოსანზე, ან ამ დარგის მფარველზე მიუთითებს სპილენძის ცული, ეჩო, სატეხი და ქვის 4 ხელსაწყო იარაღი, ხოლო, როგორც მეომარს და ეგებ მონადირეს წარმოგვიდგენს 47 ისრისწვერი, შურდულის ჭურვები

და სატევრები, აგრეთვე თავმოკვეთილი ჩონჩხი, თუ ეს უკანასკნელი სხვა საბუთით არ აიხსნა. მიცვალებულის მაღალ სოციალურ ადგილს მის თვისტომთა შორის, ჩვენი აზრით, მიუთიეთებს ვერცხლის სატევარი, რომელსაც ალბათ საზეიმო-საპარადო ინსიგნიის მნიშვნელობა ჰქონდა.... ნადარბაზევის ამ გორასამარხში დაკრძალურლი იყო ლითონის ხანის ადრეული საფეხურის გვარ-ტომური საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელი, გვარის ან ტომის მეთაური, ბელადი“ (გობეჯიშვილი, 1981: 27). ბედენის ყორღანები და მათ შორის ნადარბაზევის № 2 ყორღანი, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანების საზოგადოების რთულ სოციალურ სისტემაზე მიუთითებს. სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გათხრილი ბედენის კულტურის გრანდიოზული და მდიდრული სამარხები და მძლავრი ნამოსახლარები კი მაღალი დონის პოლიტიკური ორგანიზაციის მაჩვენებელია. ჩანს, რომ ბედენის კულტურის მატარებელი საზოგადოება ძლიერ სტრუქტურირებული და დიფერენცირებულია. სამარხების აგებულებისა და ინვენტარის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბედენის კულტურის მატარებელთა საზოგადოებაში არსებობდა სხვადასხვა იერარქიული საფეხური. ყოველ საფეხურზე მდგომ პირს განსხვავებული უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ეკისრა. საქმიანობის მიხედვით განსხვავდება მათი პირადი ნივთები და ატრიბუტები, რაც შეესაბამებოდა ამ პირთა კონკრეტულ ფუნქციას.

როგორც ჩანს, ბედენის (ნადარბაზევის) № 2 ყორღანში დაკრძალული პირი კულტმსახური, ქურუმი იყო. ამას უნდა მოწმობდეს სამარხ კამერაში დაფიქსირებული ბერძნული ომეგას მსგავსი რელიეფური ნიშნით შემკული ჭურჭელიც. ეს სიმბოლო ახლო აღმოსავლეთში ნაყოფიერების ქალღმერთის ნიშანი იყო. ასევე ყურადსაღებია, რომ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი დისკოსებურთავიანი ნივთი და ერთი სამართებელი, რომლებიც ერთად ელაგა. ეს ნივთები, როგორც ჩანს, მიცვალებულის პირადი მოხმარების საგნებს წარმოადგენდნენ. პირის და თავის გაპარსვა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ აღმოსავლეთში კულტმსახურის პრეროგატივა იყო. ნადარბაზევის ყორღანში დაკრძალული მიცვალებულის მაღალ წოდებაზე უნდა მიუთითებდეს ვერცხლის სატევარი, რომელიც უეჭველია ინსიგნიას წარმოადგენდა; ჰემატიტის ბირთვი; საბრძოლო იარაღები - სატევრები, ცული, მშვილდი და ისრები. ყორღანში დაკრძალული, შესაძლოა, სიცოცხლეში სატაძრო ადმინისტრაციის მაღალი

ოფიციალური პირი იყო, რომლის ვალდებულებაში შედიოდა სატაძრო საგანძურის აღრიცხვა და შენობის დროული რესტავრაცია. ამას უნდა მოწმობდეს სამარხში აღმოჩენილი ხის ხუროობასთან დაკავშირებული ისეთი საგნები, როგორიცაა სატეხი, ეჩო, ქვის 4 სამეურნეო იარაღი.

ჩვენი აზრით, ნადარბაზევის №2 ყორღანში დაკრძალული პირი წარჩინებული საგვარეულის წარმომადგენელი და ნაყოფიერების ქალღმერთის ტაძრის ქურუმი, ან სატაძრო ადმინისტრაციის ოფიციალური პირია, რომელსაც სხვადასხვა უფლებამოსილება ეკისრა. სატაძრო საგანძურის აღრიცხვასთან უნდა იყოს დაკავშირებული ნადარბაზევის ყორღანში აღმოჩენილი 36 „ჟეტონი“. ეს საგნები დიდ მსგავსებას იჩენენ ძვ.წ. VIII-IV ათასწლეულებში ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ საარღიცხვო ნივთებთან, რომლებიც დ. შმანდტ-ბესერატის აზრით, საფუძვლად დაედო შუმერულ არქაულ დამწერლობას. ამ ნიშნებიანმა საგნებმა თავი შემოინახა აქადურ ეპოქამდე და ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა ჩრდილოეთ სირიაში, ხაბურის რეგიონში. ეს არქაული სისტემა სირიაში თანაარსებობდა ლურსმულ დამწერლობასთან ერთად, მაშინ როდესაც სამხრეთ მესოპოტამიაში დიდი ხნის წინ შეწყვიტა არსებობა.

შესაძლოა, ეს არქაული საარღიცხვო სისტემა სწორედ ჩრდილო სირიიდან მოხვდა სამხრეთ კავკასიაში. ბედენის ყორღანში ნაპოვნ საგნებზე გამოსახულია ნიშნები, რომლებიც შუმერულ არქაულ დამწერლობაში იკითხება როგორც რიცხვითი სახელები, ან როგორც „ცხვარი”, „ხორბალი”, „მატყლი” და სხვა. ნადარბაზევის ყორღანში აღმოჩენილი არტეფაქტები ნათლად მიუთითებს, რომ მასში დაკრძალულ მიცვალებულს სიცოცხლეში როგორც რელიგიური (ქურუმი), ისე საერო (სამხედრო ლიდერი) ძალაუფლება ჰქონდა.

თავი II

სიკვდილი და რწმენა - წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე

§ 1. დაკრძავლის წესი და რიტუალი

ნებისმიერი დაკრძალვის რიტუალის საფუძველი უაღრესად სიმბოლურია. მის თავისებურებებში და დეტალებში ასახულია უძველესი წარმოდგენები სიკვდილსა და საიქიო ცხოვრებაზე. ამის გარდა, კონკრეტული სამარხის სპეციფიკა მეტყველებს დაკრძალულის სტატუსზე უძველეს საზოგადოებაში (Ростунов, 2007: 11) შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულებს სხვადასხვა ტიპის სამარხში კრძალავდნენ. წესად იყო ყორღანში, ქვაყუთებში და ორმოსამარხებში დაკრძალვის ფაქტები. თუმცა, მიცვალებულებს ძირათადად მაინც სხვადასხვა ზომის ყორღანული ყრილების ქვეშ კრძალავდნენ. დაკრძალვის რიტუალის აღდგენის საშუალებას ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები იძლევა. ფაქტობრივი მასალები მიუთითებენ, რომ ამ ეპოქაში ხდებოდა როგორც მიცვალებულთა ინჰუმაცია, ისე მათი კრემაცია.

კრემაცია. თრიალეთის და ზურტაკეტის დიდ ყორღანში ადამიანის ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა. ამავე დროს იგივე ყორღანებში კარგად იყო შემორჩენილი საქონლის ძვლები. ამ ფაქტმა ბ. კუფტინს ავარაუდებინა, რომ მიცვალებულის კრემაციასთან ჰქონდა საქმე (Куфтин, 1941: 81-83).. მაგრამ არც დამწვარი ძვლები დაფიქსირდა და არც ფერფლი თიხის ურნებში. თრიალეთის ზოგიერთ ყორღანში დადასტურებული იყო ადამიანის კბილების ფრაგმენტები (V,VI,VIII,XI,XV,XXII, XXIV,XXVIII,XXX,XXXVI ყორღანები), რაც შესაძლოა ინჰუმაციის შემთხვევებზე მეტყველებს (Куфтин, 1941: 81; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 11-13, 22).

ბ. კუფტინის აზრით, მიცვალებულს კრემაცია უტარდებოდა ყორღანის გარეთ, სამარხში კი მოთავსებული იყო მისი დამწვარი ნეშტი, რადგან ნახშირის მცირე ზომის ფრაგმენტები დაფიქსირებული იყო სამარხის ფსკერზე. ბ. კუფტინის ვარაუდით, მიცვალებულის ფერფლი იდო პირდაპირ სარეცელზე, ისევე როგორც ეს აღწერილი იყო ხათუსაში აღმოჩენილ ხეთური რიტუალის აღწერაში მეფეთა კრემაციის შესახებ (Куфтин, 1941: 81). ო. ჯაფარიძე აღნიშნავს: „თრიალეთისა და

ზურტაკეტის არც ერთ დიდ ყორღანში ადამიანის ძვლები თითქმის არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, დიდებულთა სამარხებში წესად იყო მიღებული მიცვალებულის დაწვა და შემდეგ ეტლთან ან ხის სარეცელთან ერთად დაკრძალვა“ (ჯაფარიძე, 2003: 159). მიცვალებულის კრემაცია თრიალეთის გარდა შეინიშნება სამთავროს ყორღანულ სამარხში. ადამიანის ძვლები არ დადასტურდა შიდა ქართლში, მეტეხთან და გრაკალთან გათხრილ ყორღანებშიც. „კრემაცია“ დადასტურებულია კიროვაკანის და ლჭაშენის მეორე ჯგუფის ყორღანებში (ჯაფარიძე, 1969: 71).

ინჰუმაცია. პროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ ბედენის კულტურის პერიოდის დასაკრძალავებში ძირითადად ინჰუმაცია დასტურდება, გვხვდება კრემაციის ერთეული ფაქტები სამგორის და მარტყოფის ყორღანებში. შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო არქეოლოგიური კულტურებისათვისაც ძირითადად ინჰუმაციაა დამახასიათებელი (სომხეთში, აზერბაიჯანში, ქართლში, კახეთში, მესხეთში). გვხდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები (ჯაფარიძე, 1969; ჯაფარიძე, 1998; ჯაფარიძე, 2009).

განსხვავებით თრიალეთის ყორღანებისაგან, მესხეთის თითქმის ყველა ყორღანში ადამიანის ჩონჩხის ნაწილებია დამოწმებული. დიდ ქვაყრილიან ყორღანებში, როგორცა ჩანს, ერთი მიცვალებული იყო დასაფლავებული, ხოლო მომცრო ყორღანები თითქმის ყოველთვის კოლექტიურია. ზოგ ყორღანში მიცვალებულის პოზის დადგენაც გახდა შესაძლებელი: № 10 ყორღანში სამივე მიცვალებული მოკრუნჩხულ პოზაში იწვა, თავით სამხრეთით, ხოლო №9 ყორღანში ორ ფეხმოკეცილ მიცვალებულს თავი ჩრდილოეთით ჰქონდა. მცხეთასთან წიწამურში გათხრილ ყორღანშიც ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხი დადასტურდა. ინჰუმაცია დაფიქსირდა წინწყაროს № 1 სამარხშიც (ნარიმანიშვილი და სხვ., 2013: 16).

დაკრძალვის წესის და რიტუალის აღსადგენად მნიშვნელოვანია დასაკრძალავი ნაგებობების, მოედნების თუ სამარხი კამერების მსგავსება-განსხვავების დადგენა და შესაბამისი დიფერენცირება, გარკვეული კანონზომიერების დადგენა, თუ ამ დადგენილი წესიდან გადახვევის ფაქტების აღნიშვნა. ყოველი ახალი და განსხვავებული შტიხის გამოვლენა, თუნდაც ძნელად ასახსნელი, ან დღეს აუხსნელი, მნიშვნელოვანია და შუა ბრინჯაოს ხანის

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული, ინფორმაციის შევსებას უწყობს ხელს.

რიტუალის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს, როგორც ჩანს, დასაკრძალავის მოწყობა წარმოადგენდა. შუა ბრინჯაოს ხანაში დასაკრძალავის მომზადება ხანგრძლივ და შრომატევად სამუშაოებს მოითხოვდა, რადგან სწორედ ამ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი გრანდიოზული ყორღანები, რომელთა ყრილის სიმაღლე ზოგიერთ შემთხვევაში 12 მეტრს აღწევს, დიამეტრი კი 100 მეტრს აღემატება. მიხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანის არაერთი ყორღანი თუ სამარხი გაითხარა, ეპოქის წერილობითი წყაროების არქონის გამო, ახლა მაინც ძნელია სრულად აღვადგინოთ რიტუალის ყველა ის დეტალი, რაც მიცვალებულის დაკრძალვასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, არქეოლოგიური მონაცემები დაკრძალვის წესსა და რიტუალზე გარკვეულწილად მაინც გვიქმნიან წარმოდგენას.

პიროვნების გარდაცვალების შემდეგ ჩატარებული რიტუალის და წესის აგების ყველა დეტალის აღდგენა დღეს შეუძლებელია. თუმცა, გათხრების შედეგად მიღებული გარკვეული ინფორმაციით შესაძლებელია ამ რიტუალის რეკონსტრუქცია. როგორც ჩანს, სოციალური მდგომარეობის და შესაძლებელია, რელიგიური წარმოდგენების მიხედვით ხდებოდა სამარხის ტიპის შერჩევა და დაკრძალვის რიტუალის განსაზღვრა. ასევე განისაზღვრებოდა დაკრძალვის ადგილი. როგორ და რა ნიშნით ხდებოდა ადგილის შერჩევა ახლა ძნელი დასადგენია, თუმცა შეინიშნება სამარხებისა და ყორღანების კონცენტრაციის ადგილები – გარკვეული სივრცე, სადაც ამა თუ იმ წესის მიხედვით ხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვა.

სამხრეთ კავკასიის დიდი ყორღანები აშკარად მიუთითებენ, რომ ხდებოდა დაკრძალვის ცერემონიის ორგანიზება, ისევე როგორც მეფისა და დედოფლის დაკრძალვის ხეთურ რიტუალშია აღწერილი (ბერიაშვილი, 1982: 40-45). ჩანს, რომ რაც უფრო მაღალი სტატუსის მატარებელი იყო მიცვალებული, მით უფრო დიდი საორგანიზაციო საქმიანობა მიმდინარეობდა და ბევრი ადამიანიც მონაწილეობდა მასში. მეცნიერები სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ დიდი ყორღანების აგებას მაღალი სოციალური სტატუსის პირები სიცოცხლეშივე იწყებდნენ. თუ ამ ვარაუდს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულს უკვე

აგებულ დასაკრძალავში ასვენებდნენ და გარკვეული რიტუალების შესრულების შემდეგ ხდებოდა შესასვლელის (დრომოსის) ჩაკეტვა და ვიზუალური მხარის მოწესრიგება. თუმცა, ასეთი ვარაუდი მხოლოდ იმ დასაკრძალავების მიმართ არის გამართლებული, რომლებსაც დრომოსი აქვს.

როგორც ჩანს, დაკრძალვასთან დაკავშიდებული ყველა რიტუალი, ალბათ, მაინც პიროვნების გარდაცვალებისთანავე იწყებოდა. ჩვენთვის სამწუხაროდ უცნობია, თუ რა რიტუალი სრულდებოდა გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე. არც კრემაციის შესახებ გვაქვს რეალური მონაცემები. ასევე უცნობია სად იყო დასვენებული მიცვალებული დაკრძალვამდე და რა რიტუალი სრულდებოდა ამ დროს. შ. დედაბრიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, თითქოს – წნორის № 2 ყორღანის ყრილის ქვეშ, დასაკრძალავი კამერის გვერდით აგებულ წრიულ ნაგებობაში იყო დასვენებული მიცვალებული ძირითად დასაკრძალავში ჩასვენებამდე (Дедабришвили, 1979: 24). მიცვალებულის კრემაციის შემთხვევაში, კიდევ შეიძლება ამ შუალედური რგოლის ნაწილობრივ შევსება. თუმცა, სად და რა ვითარებაში ხდებოდა კრემაცია ან ვინ და როგორ ატარებდა ამ რიტუალს მთლად ნათელი არ არის.

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში გამორჩეულ დასაკრძალავს მაინც ყორღანი წარმოადგენს. როგორც ჩანს, ასეთი დასაკრძალავის ასაგებად წინაწარ შერჩეული ადგილის მოსწორება ხდებოდა. მიწისზედა დასაკრძალავის მოწყობის შემთხვევაში ყორღანის ცენტრში იდგმებოდა ხის ან ქვის აკლდამა (მატყოფი, კახეთი), ზოგ შემთხვევაში მიწისზედა დასაკრძალავი მოედანი ქვის კედლებით იყო შემოზღუდული (თრიალეთი). მიწისზედა სამარხ ნაგებობებს შორის გამორჩეული ადგილი მაინც თრიალეთისა და ზურტაკეტის ყორღანების დასაკრძალავ დარბაზებს უკავია, რომელთა კედლები ქვითაა ნაგები და მათი სიმაღლე 4.0 მ-ს აღწევს. ორმოიანი ყორღანების დასაკრძალავი კამარების კედლები ხშირ შემთხვევაში მოუპირკეთებელია, გვხდება ხის ძელებით შეკრული კედლები. ზოგ შემთხვევაში ძელები ვერტიკალურადაა ჩადგმული (ბედენი, ანანაური) ზოგჯერ კი ჰორიზონტულად აწყვია (მარტყოფი, სამგორი, კახეთი).

კერძოდ, ვფიქრობთ, რომ გარკვეული სოციალური სტატუსის მაქონე პირს განსაზღვრული დასაკრძალავი, რიტუალი და არტეფაქტები შეესაბამებოდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ის მრავალფეროვნება, რაც სამხრეთ

კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის დასაკრძალავების ფორმაში, რიტუალში და არტეფაქტების ჩატანებაში გამოიხატა.

ყორღანები ყრილის ქვეშ გამართული სამარხი კამერების გამართვის ტექნიკით და კონსტრუქციითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეცნიერთა აზრით, ძირითად განმასხვავებელ ნიშანს სამარხი კამერის მდებარეობა წარმოადგენს. დასაკრძალავი კამერა მიწისზედა ნაგებობას წარმოადგენს ან მიწაშია ღრმად ჩაჭრილი. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფილია ორი ძირითადი ტიპი – უორმოო და ორმოიანი ყორღანები.

უორმოო ყორღანები შუა ბრინჯაოს ხანის ყველა ეტაპზე გვხდება. ასეთი ყორღანების დამახასიათებელი ნიშანია დასაკრძალავი კამერის მიწის ზედაპირზე გამართავა, რომლის თავზე სხვადასხვა ინერტული მასალით ბორცვია აღმართული.

ბედენის კულტურის ყორღანებში მიწის ზევით გამართული დასაკრძალავები ოთხკუთხა ფორმის ძელურ ან ქვის ნაგებობას, აკლდამას წარმოადგენს. ძელებით შეკრული აკლდამები ჰორიზონტალურად დაწყობილი მორებით არის შეკრული. აკლდამას ძელების ერთმაგი ან ორმაგი კედლები აქვს. მარტყოფის № 2 და № 4 ყორღანების აკლდამებს ხის ძელების ორმაგი კედელი ჰქონდა, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე ქვით იყო შევსებული (ჯაფარიძე, 1998: 14,22, სურ. 4,10,11, ტაბ. 11-13). სამგორის „კოხრა გორა“ ყორღანის ცენტრში მიწის პირზე სწორკუთხა მოყვანილობის ხის ძელური შენობა იდგა (ჯაფარიძე, 2003: 37). ხის ძელებით ნაგები დასაკრძალავი კამერა იდგა მაღაროს ყორღანის (ტაბ. XII) ცენტრში (ჯაფარიძე, 2003: 139, სურ. 108, ტაბ. XXVI). ჰორიზონტალურად დაწყობილი ძელების ერთმაგი კედელი ჰქონდა ბაკურციხის (ფიცხელაური, 2013: 112, ტაბ. 4) და ანანაურის (ფიცხელაური, 2013: 32, ტაბ. 4) ყორღანებში დაფიქსირებულ აკლდამებს (ტაბ. IV). გ. გობეჯიშვილის ვარაუდით ხის მიწისზედა ნაგებობა ყოფილა ბედენის № 7 ყორღანში, სადაც მიცვალებული უშუალოდ ყრილის ქვეშ იყო დასვენებული (გობეჯიშვილი, 1981: 92-93, 119). არ არის გამორიცხული, რომ ხის მიწისზედა დასაკრძალავი ნაგებობები იდგა ბ. კუფტინის მიერ გათხრილ შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის თრიალეთის XXVII და თაფარავანის XL ყორღანებშიც, ასევე თრიალეთის კულტურის V, VI, VII, IX, XIV, XXXII, XXXIII, XXXIX და XLI ყორღანებში, სადაც სამარხეული ინვენტარი უშუალოდ მიწის ზედაპირზე

აღმოჩნდა (Куфтин, 1941: 83-84; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 15-16, 19, 20-21, 23-24, 26-27, ტაბ. 6-4, 7-1,2, 9-4,7, 13-2,3, 14-1,2). ბედენის და თრიალეთის ამ ყორღანებში თუ მართლაც იდგა ხის დასაკრძალავები, ისინი ალბათ ჰორიზონტალურად დაწყობილი მორებისაგან შეკრული აკლდამები უნდა ყოფილიყო.

ქვით ნაგები უძველესი მიწისზედა აკლდამა მარტყოფის № 1 ყორღანში დაფიქსირდა (ტაბ. VI-1). დასაკრძალავი კამერის კედლები თხელი ფილებით არის ამოყვანილი, კედლის წინ კი ქვით მოგებული მოედანია მოწყობილი (ჯაფარიძე 1998: 12, სურ. 2, ტაბ. 1,2). კავთისხევში, ადგილ კატრიანში გათხრილ ბედენური კულტურის ყორღანსაც (ტაბ. XIII) ქვით ნაგები კამერა აქვს (Makharadze, 2008: სურ. 33). ქვით ნაგები მიწისზედა დასაკრძალავები თრიალეთის კულტურაში უფრო მრავლადაა და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. III ყორღანის დასაკრძალავი კამერა ცერზე დაყენებული დიდი ზომის ქვის ფილებით იყო შეკრული (ტაბ. XIV-1). როგორც ჩანს, ქვის ფილებით ამოყვანილი კედლები (ტაბ. XIV-2) ჰქონდა თრიალეთის XVIII ყორღანსაც (Куфтин, 1941: LXIII-2; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 20-21, ტაბ. 8-2, 15-3).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია თრიალეთის კულტურის ყორღანებში დაფიქსირებული ქვით ნაგები გრანდიოზული მიწისზედა დასაკრძალავი დარბაზები. სოფ. კუშჩისთან და ზურტაკეტში დაფიქსირებული დიდი დასაკრძალავი დარბაზების ფართობი 150 - 175 კვ.მ-ს შორის მერყეობს და მათი კედლების სიმაღლე 4 მ-ს აღწევდა (ტაბ. XV, XXIV). კედლები ქვის მშრალი წყობითაა ამოყვანილი (Куфтин, 1941: LXII-2, LXIII-1; Куфтин, 1948: 11-16, ტაბ. X-2, XI,; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 25-26, 27-28, ტაბ. 8-3,4, 9-9, 17-1,2,3).

ორმოიანი ყორღანების დასაკრძალავი კამერები სხვადასხვა ტიპისაა და მათი კედლები განსხვავებულადაა გაფორმებული: 1. დასაკრძალავი კამერის კედლები მიწისაა და ასეთია ყორღანების უმეტესობა; 2. კედლები ხის ძელებითაა მოპირკეთებილი; 3. ორმოში ჩადგმულია ხის მორებით შეკრული აკლდამა; 4. ორმოში დგას ქვით ამოშენებული და გადახურული აკლდამები; 5. ორმოში ჩადგმულია ქვის ფილებით შეკრული ქვაყუთი.

უმეტესად სამარხი კამერების კედლები მიწაში ჩაჭრილ ბუნებრივ დედაქანს წარმოადგენს. წნორის №2 ყორღანის დასაკრძალავი კამერის (10 X 10 მ) სიღრმე

2,5 მ იყო, რომელსაც ჭილოფით და მომწვანო-ცისფერი თიხით დაფარული ხის გადახურვა ჰქონდა. სახურავი სამარხ კამერაში მდგარ ცხრა ბოძს ეყრდნობოდა (Дедабришвили, 1979: 38). ბედენის № 2 ყორღანის სამარხი კამერა კლდეში იყო ჩაკვეთილი (გობეჯიშვილი, 1981: 17, ტაბ. XLII-1, 2). ბედენის № 10 ყორღანის სამარხი ორმოს (5 X 4 მ) იატაკი და კედლები აყალოთი იყო შელესილი. იატაკზე ჭილოფი და ქეჩა ეფინა. სამარხი ხის ძელებით იყო გადახურული (ტაბ. XLIV-2), რომელიც ექვს ხის ბოძს ეყრდნობოდა (გობეჯიშვილი, 1981: 99, ტაბ. XLIV-1, 2).

ორმოიანი ყორღანების დასაკრძალავი კამერების კედლების ხის ძელებით მოპირკეთების ორი ხერხი გვხვდება: 1. ვერტკალურად ჩადგმული ძელები; 2. ჰორიზონტულად დაწყობილი მორები.

ვერტკალურად ჩადგმული ძელების შემთხვევებში დასაკრძალავი კამერის კედლები ვერტიკალურად დაყენებული მუხის კანგაუცლელი ხეებით არის აგებული (ბედენი) ან ჰორიზოტალურად დაწყობილი კარგად დამუშავებული მუხის ძელებითაა ნაგები (ანანაური). ხის ძელები ასეთ შემთხვევებში უშუალოდ მიწაზეა მიყრდნობილი. მაგ. ბედენის № 5 ყორღანის სამარხი ორმოში ჩადგმულია მუხის კანგაუცლელი ხეებისაგან აგებული „სახლი საკრძალავი“ (6 X 4,5 მ. სინაღლე 3 მ). ვერტიკალურად მდგარი ხის კედლები აქვს № 8 ყორღანსაც (გ. გობეჯიშვილი 1981: 119). ბედენის № 5 ყორღანის კამერაში ჩადგმული „სახლი დასაკრძალავის“ სიგრძე 6 მ-ია, სიგანე 4,5 მ., სიმაღლე 3.0 მ. ასეთი დასაკრძალავების იატაკიც ძელურია და გადახურვაც მსხვილი მორებით არის შედგენილი (ბედენის № 5, 8, 10 ყორღანები). ამგვარად გაწყობილ კამერაში მიცვალებული ურემზე (ბედენის № 4, 5, 10 და წნორის №1 და 2 ყორღანები), ან ხის სარეცელზეა (თრიალეთის XXXVI, ბედენის № 5 ყორღანები) დასვენებული (Куфтин, 1941: 100, ტაბ. CIV; გობეჯიშვილი, 1981: 32, 34, 39, 47, 93, 99, ტაბ. XXIII-6, XXVII-4, 5, XLII-5, 6, XLIV; Дедабришвили, 1979: 22, 40).

ქვით ამოშენებული აკლდამები ძირითადად მესხეთის ყორღანებშია (ტაბ. XVI) დაფიქსირებული (ჯაფარიძე და სხვ. 1981).

დაკრძალვის ცერემონიის მხოლოდ ნაწილობრივ აღდგენის საშუალება გვაქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარჩინებული პირის დაკრძალვა ხარებშებმული ურმით ხდებოდა. როგორც ჩანს, პროცესია სარიტუალო გზაზე მიემართებოდა

სამარხი კამერისაკენ (ტაბ. XLV). ცერემონიის დიდი ნაწილი უშუალოდ დასაკრძალავთან და სამარხ კამერაში იმართებოდა.

სამარხში არტეფაქტების განლაგება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარებოდა - დიდი ჭურჭლები ძირითადად კედლების გასწრივ იდგა, ცენტრში განლაგებული იყო დასაკრძალავი ურემი, სარეცელი ან სხვა ორგანული ნივთიერებისაგან (ჭილობი, ტყავი) დამზადებული საფენი, სამკაული და იარაღი ძირითადად მიცვალებულთან იყო განთავსებული (ტაბ. XLIII).

სამარხების უმეტესობაში კარგადაა წარმოდგენილი აღაპის ნაშთები. თიხის და ლითონის ჭურჭლების ერთ ნაწილში საკვები პროდუქტების ნაშთები (ძირითადად ძვლები) დაფიქსირდა. როგორც ჩანს, მიცვალებულს ატანდნენ უკვე მომზადებულ საკვებს. ტრაპეზის ნაშთები სამსხვერპლო ცხოველების დიდი ნაჭრების ან ცხოველის სრულად ჩატანებაშიც გამოიხატება (ტაბ. XLI, XLII, XLVI, XLVII).

ცხოველის (ძირითადად ხარი და ცხვარი) შეწირვის პარალელურად გვხვდება მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ფაქტები რამდენიმე ადგილზე დაფიქსირდა. მაგ. ბედენის № 5 ყორღანში ძირითადი მიცვალებულისათვის ორი ადამიანი - ახაგაზრდა ქალი და 15-16 წლის ბიჭი შეუწირავთ. გ. გობეჯიშვილის აზრით, ისინი „შეიძლება ყოფილიყვნენ მონად ქცეული ტყვეები ანდა სახლის არასრულუფლებიანი წევრებიც კი. განვითარებული პატრიარქალური საზოგადოების წრეში მოულოდნელი არ იყო არც ცოლის თვითმკვლელობა ქმრის გარდაცვალების გამო და მის მსახურად გამგზავრება საიქიო ქვეყანაში“ (გობეჯიშვილი, 1981: 38-39). ბედენის № 10 ყორღანში ძირითადი მიცვალებულის გარდა, რომელიც ურემზე ესვენა, მეორე მიცვალებულის ჩონჩხიც აღმოჩნდა. იგი იწვა ურმის თვალთან, სამარხის იატაკზე. გ. გობეჯიშვილის აზრით ახალგაზრდა კაცი მეეტლედ ან მეხრედ გაუყოლებიათ მთავარი მიცვალებულისათვის (გობეჯიშვილი, 1981: 99, 120). მეეტლე მოგვიანო ხანის ბერიკლდეების ყორღანშიც დაფიქსირდა (Mansfeld, 2001**:** 49-52). შ. დედაბრიშვილის აზრით წნორის № 1 ყორღანში ძირითადი მიცვალებული სარეცელზე იწვა და მას ოქროს სამკაული ჰქონდა. რაც შეეხება სხვა მიცვალებულებს ისინი უსათუოდ მსხვერპლად იყვნენ შეწირული. შ. დედაბრიშვილი მიიჩნევს, რომ დაკრძალვის

შემდეგ, დასაკრძალავი ორმოს თავზე რაღაც რიტუალი შესრულდა, სადაც ადამიანის მსხერპლშეწირვას ჰქონდა ადგილი. იგი აღნიშნავს, რომ ძნელია რაიმეს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, თუ რა აზრი იყო ჩადებული ამგვარ რიტუალში. ეს გამოწვეული იყო შეწირულთა რამენაირ დამოკიდებულებაზე ბელადთან, რომელსაც მათი სიცოცხლის განკარგვის უფლება ჰქონდა, თუ, რაც ყველაზე უფრო სავარუდია, რიტუალი დაკავშირებულია ცის მნათობების, მზის ან მთვარის თაყვანისცემასთან (Дедабришвили, 1979: 23). ადამიანია შეწირული თრელის სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის № 43 სამარხშიც (აბრამიშვილი, 1978: 50, 61). რ. აბრამიშვილი აღნიშნავს - გადახურვის ძელების ზემოთ მსხილფეხა საქონლის ნეკნები, ლულოვანი ძვალი და ადამიანის დამწვარი ჩონჩხია დადასტურებული. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის მეტ-ნაკლებად უძრავად შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის წინასწარ იყო შეკოჭილი. თვით დასაკრძალავ ორმოში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს დიდი ზომის დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სამი სადგარი. მიცვალებულს თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი. საფიქრებელია, რომ წვრილფეხა საქონელი დაკლული იყო ერთ-ერთი მათგანის კისრის მალებში აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეცით. მიცვალებულისათვის იმ ქვეყნად გატანებულ ნივთებსა და საგზალს განზრახ აყრიან მიწას იმისათვის, რომ ისინი დაიცვან დაკრძალვის რიტუალში გათვალისწინებული ხანძრისაგან. დასაკრძალავი ორმოს ხის ძელებით გადახურვის შემდეგ სამარხის თავზე იმართება ქელეხი, რომლის დროსაც, ზოგ შემთხვევაში, სრულდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. საინტერესო რიტუალი დადასტურდა მესხეთში, ახჩიის ზოგიერთ ყორღანში (№№ 7, 14) მიცვალებულების თავები იდო თიხის ჭურჭლში, ხოლო ერთი თავის ქალა ახჩიის № 14 ყორღანიდან, კედელთან, ქვაზე იდო (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 50, 68). კ. ფიცხელაურის აზრით „მდიდრულინვენტარიანი მიცვალებულის გვერდზე სრულიად უინვენტარო ჩომჩხების აღმოჩენა, რომლებიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ მისთვის შეწირულ ადამიანებს (მცველებს, მსახურებს) უნდა ეკუთვნოდეს.

ადამიანის მსხვერპლშეწირვა კი უფრო კლასობრივი საზოგადოების არსებობას უნდა გულისხმობდეს“ (ფიცხელაური, 1980: 7-8).

§ 2. ბორბლიანი ტრანსპორტი და ურემზე დაკრძალვის რიტუალი

სამხრეთ კავკასიაში ბორბლიანი ტრანსპორტი ადრე ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. ორბორბლიანი საზიდის მოდელები ცნობილია ბადაანიდან (ტაბ. XLIV-4), ართიკიდან და არიჭიდან (მირცხულავა, 2000: 37-38, ტაბ. II-1; Хачатрян, 1975: 73), ხოლო საჩხერეში აღმოჩენილი იყო საკინძი ბორბლების და ხარის თავის გამოსახულებით (Куфтин, 1974: ტაბ. XII-3). მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (ბაბა-დერვიში, არიჭი, ქვაცხელები, ილტო) მრავლადაა აღმოჩენილი აგრეთვე ბორბლების მოდელები (Кушнарёва, Чубинишвили, 1970: 111). ადრებრინჯაოს ხანის ბორბლიანი საზიდების სამი სახეობის მოდელები არიჭის სამაროვანზე დაფიქსირდა: ერთი საზიდი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ზესადგარს, რომელიც ცენტრალურ ნაწილში შესამჩნევად ჩაზნექილია, გვერდები კი აწეული აქვს. ხელნას დასამაგრებლად წინა ნაწილში ნახვრეტი აქვს გაკეთებული, ხოლო ბორბლებისათვის კი – გვერდებზე; მეორე საზიდის ზესადგარი პირველთან შედარებით ვიწროა, ჩაზნექილია ცენტრალურ ნაწილში, წინა ნაწილი კი აწეულია; მესამის ზესადგარი შესამჩნევად მომრგვალებული, გვერდები აწეული აქვს. წინა და გვერდით ნაწილებში ნახვრეტები აქვს გაკეთებული ხელნასა და ბორბლებისათვის (Хачатрян, 1975: 73-74).

ურემი სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩნდება. ნამოსახლარებზე აღმოჩენილი თიხის მოდელები ორბორბლიან ურმებს გამოსახავენ. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიაში ფართოდ ვრცელდება მიცვალებულის ურემზე დაკრძალვის რიტუალი. უძველესი დასაკრძალავი ურემი ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ბედენის ყორღანებშია დაფიქსირებული.

სამხრეთ საქართველოში, ბედენის მაღალმთიან პლატოზე ძვ.წ. III ათასწლეულის ყორღანებში აღმოჩნდა ხის მთლიანი ეტლი და ეტლების დეტალები, რომლებიც მიცვალებულისთვის ჩაუტანებინათ. № 10 ყორღანში მიცვალებული დაკრძალული იყო ხის ოთხთვალა ეტლზე (ტაბ. XLIV-2), რომელიც სპილენძის

ფირფიტებით ყოფილა შემკობილი (გ. გობეჯიშვილი 1981: 99). ხის ურმის ნაწილები აღმოჩნდა ბედენის №№ 4, 5 და 8 ყორღანებშიც. ორი ურემი (ტაბ. V-2) აღმოჩნდა ანანაურის № 3 დიდ, მიწაყრილიანი ყორღანის დასაკრძალავ კამერაში (Makharadze, 2014: 227-228)

ბედენის ყორღანებში აღმოჩენილი ურმის თვლები გაცვეთილი არ არის, ამოტომ გ. გობეჯიშვილი ფიქრობს, რომ ამ ურმებს მოსახლეობა არ ხმარობდა, არამედ ისინი საგანგებოდ დასაკრძალავი რიტუალისთვის იყო განკუთვნილი (გობეჯიშვილი 1981: 94). ურმების ზოგიერთი ფიცარი სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული: კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედების რიგი, ან ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედებია გამოსახული (გობეჯიშვილი, 1981: 44-47).

კ. მელითაურის აზრით, ბედენური ურემი № 10 ყორღანიდან საბრძოლო ეტლი იყო (მელითაური, 1970: 9). სამართლიანად მიუთითებენ, რომ საქართველოს მთიანი რელიეფის თავისებურებების გამო, ოთხბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენება არაა დადასტურებული არა თუ საბრძოლველად, არამედ ყოფაშიაც კი (გეგეშიძე, 1956: 34).

ურემზე დაკრძალვის რიტუალი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება შუა ბრინჯას ხანაში და თრიალეთის კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

ორი ოთხბორბლიანი ურემი აღმოჩნდა თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში (ტაბ. XLIV-1): ერთი საბიდახჩას XXIX, ხოლო მეორე - №5 ყორღანში (Куфтин, 1941: 81; ჯაფარიძე, 1969: 75). საბიდახჩას ურმების ზედა ნაწილი არ იყო შემორჩენილი. ბორბლების დიამეტრი 1,02-1,18 მ-ია. ისინი სამი ნაწილისაგან შედგება. აგრეთვე შემორჩენილია ღერძი და სხვა მცირე ფრაგმენტები. ღერძი უძრავია (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 101). გაურკვეველია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურმების ზედადგარი ნაწილი. მთავარ ხელნაზე შერჩენილი ჭალების შიგნით გადახრა ო. ჯაფარიძეს აფიქრებინებს, რომ მათ რკალისებრი მოყვანილობა უნდა ჰქონოდათ (ჯაფარიძე, 1969: 75). ურმების ცალკეული ნაწილები დაფიქსირებულია თრიალეთის სხვა ყორღანებშიც. ბედენური და თრიალეთური ურმები აგებულებით მსგავსებას იჩენენ ურის და ქიშის სამეფო სამარხებში (ტაბ. XLIV-6) აღმოჩენილ ხარებით შებმულ ურმებთან, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლ. I

ნახევრით თარიღდება (Вулли, 1961: 62-63) და რომელთა დამახასიათებელი ნიშანია სამი ნაწილისაგან შემდგარი მასიური ბორბლები. ურემზე დაკრძალვის რიტუალი გავრცელებული იყო ელამშიც ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევარში (Мартиросян, 1964: 97).

ბედენური და თრიალეთური ბორბლიანი ტრანსპორტი კონსტრუქციულად ემსგავსება ერთმანეთს. ისინი აგებულებით მსგავსებას იჩენენ ძვ.წ. III ათასწლეულში მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებულ ოთხბორბლიან ურმებთან (ტაბ. XLIV-5), რომელთა დამახასიათებელი ნიშანია სამი ნაწილისაგან შემდგარი მასიური ბორბლები.

ყორღანებში აღმოჩენილ ამ ურმებისაგან საგრძნობლად განსხვავდება მტკვარ-არაქსული ორბორბლიანი ურმების მოდელები, რომლებსაც ახასიათებთ ცენტრალურ ნაწილში ჩაღუნული პატარა ოთხკუთხა ზესადგარი. ზოგი მოდელის ზესადგრის გვერდები ამაღლებულია, ერთი ეგზემპლარის ზესადგარი კი მომრგვალებულია და წინა ნაწილში ხვრელი აქვს გაკეთებული ხელნას დასამაგრებლად. მსგავსი ურმები დღესაც მრავლად გვხვდება კავკასიის რეგიონში. შესაძლოა შუა ბრინჯაოს ხანის ოთხბორბლიანი ურმები გამოიყენებოდა მხოლოდ დასაკრძალავად, ხოლო ყოფაში ხმარობდნენ ორბორბლიან მსუბუქ ურმებს.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული დასაკრძალავი ურმები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რამდენიმე ურემი აღმოჩენილია სომხეთში, სევანის ტბის ნაპირზე გათხრილ ლჭაშენის ყორღანებში (ტაბ. XLIV-3). ამ ეგზემპლარებსაც სამნაწილიანი ბორბალი აქვთ (Мартиросян, 1964: 96-98). ლჭაშენის ოთხბორბლიანი ურმები ორი ტიპისაა: ა) ღია ზესადგარიანი ურმები (ყორღანები №№ 1, 2, 11) და ბ) გადახურული ჩარდახიანი ურმები (ყორღანები №№ 2, 3, 9, 10). ლჭაშენის № 2 ყორღანში აღმოჩენილი იყო აგრეთვე ორბორბლიანი ურემი (Мартиросян, 1964: 96-98), რომლის ზუსტი აღწერა გამოქვეყნებული არ არის. ურმების უღელებზე დამაგრებულია ფრინველების, ლომების, ირმების და სხვა ცხოველების ბრინჯაოსგან დამზადებული ქანდაკებები (Shahnazarian, Mkrtchian, 2003: სურ. 22-26).

ლჭაშენის №1 ყორღანში ხის დასაკრძალავი ურმების გარდა აღმოჩნდა ეტლის ბრინჯაოს მოდელი სოლებიანი თვლებით, რომელიც ცხენებითაა შებმული, მის

ზესადგარზე დგას ორი შეიარაღებული მხედარი (Мартиросян, 1964: 98). შესაძლოა, ეს ფაქტი მიუთითებდეს იმაზე, რომ ოთხბორბლიანი ურემი ტრადიციულად ჯერ კიდევ გამოიყენება დასაკრძალავ რიტუალში, მაგრამ უკვე შემოდის ცხენებით შებმული ორბორბლიანი, მცირე ზომის საბრძოლო ეტლები სოლებიანი თვლებით, რითიც განთქმულები იყვნენ ხურიტები მთელ მახლობელ აღმოსავლეთში (გავიხსენოთ ხურიტული ჰიპოლოგიური ტრაქტატები, რომლებიც აღმოჩენილია ბოღაზქოიში და უგარითში, ერთ-ერთი მათგანის ავტორი იყო ცნობილი კიკული მითანელი).

ლჭაშენის ჩარდახიანი ურმების მსგავსი თიხის მოდელები აღმოჩენილია სირიაში, ტელ-ხუერაში, ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ფენებში. ერთ-ერთი ურმის ჩარდახი ორნამენტირებულია ირმების და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურების ამოკაწრული სახეებით (Fortin, 1999: 216, სურ. 215). საინტერესოა, რომ ლჭაშენის ერთ-ერთი ურმის ჩარდახის ხის ფიცრები შემკულია სპირალური სახეებით შედგენილი ჩუქურთმით (Grigorian, 2007: 20). გეომეტრიული ფიგურებით მოჩუქურთმებული იყო ბედენის ურმებიც (გობეჯიშვილი, 1981: 44-47).

ძვ.წ. XIV ს-ის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულის ურემზე დაკრძალვის შემთხვევები დღეისათვის დაფიქსირებული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ურემზე დაკრძალვის რიტუალმა ამ დროისათვის ამოწურა როგორც სოციალური, ისე რიტუალური მნიშვნელობა. ასევე აღსანიშნავია, რომ თუ საწყის ეტაპზე სამარხებში ძირითადად სრულად დაკომპლექტებულ ურმებს ატანდნენ, მოგვიანებით უფრო ხშირდება ურმის ნაწილების ჩატანების ფაქტები.

ურემზე დაკრძალვის რიტუალის შედარებით სრულყოფილად აღდგენის შესაძლებლობა თრიალეთის ყორღანებთან დაკავშირებული სარიტუალო-საპროცესიო გზების აღმოჩენის (დაწვრილებით იხ. ზემოთ) შემდეგ მოგვეცა. სარიტუალო გზები ყორღანის ყრილს აღმოსავლეთიდან ებჯინება. მის უშუალო გაგრძელებას, უმეტეს შემთხვევაში გრძელი დრომოსი წარმოადგენს. როგორც ჩანს, ხარებშებმულ ოთხთვალა ურემს სხვადასხვა ატრიბუტებით მდიდრულად რთავდნენ. ზედ მიცვალებულს ასვენებდნენ. პროცესია (ტაბ. XLV) იწყებოდა აღმოსავლეთიდან და ყორღანისაკენ, დასავლეთით მიემართებოდა (ნარიმანიშვილი, 2009: 45, 65). ბ.

კუფტინის აზრით, თრიალეთის დიდ ყორღანებში მიცვალებული დრომოსით, ეტლში შებმული ხარებით შეჰქონდათ (Куфтин, 1941: 81).

სამხრეთ კავკასიაში ურემზე დაკრძალვის რიტუალი, ისევე როგორც ურემი სამნაწილიანი ბორბლებით, ახლო აღმოსავლეთის კულტურული გავლენის შედეგია. ოთხბორბლიან ურემზე დაკრძალვის რიტუალი გავრცელებული იყო შუმერში და ელამში ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან. ურის და ქიშის სამეფო სამარხებში აღმოჩენილი იყო ხარებით შებმული ხის დასაკრძალავი ურმები (Куфтин, 1941: 95, სურ. 102), რომლებთანაც დიდ მსგავსებას იჩენენ თრიალეთში აღმოჩენილი ურმები.

ცნობილი შვეიცარიელი ფსიქოანალიტიკოსის კ. გ. იუნგის აზრით, ეტლი/ურემი არის მიწიერი ცხოვრების სიმბოლური გამოხატულება. ამის საილუსტრაციოდ მას მოაქვს ქართული ხალხური ლექსი:

“ მთას ურემი ავიტანე,

ამოვიდა გორებითა,

აქ ცხოვრებით გამიძეხით,

საიქიოს - ცხონებითა”

რომელიც, მისი აზრით, საუკეთესოდ ასახავს ეტლის/ურმის არქეტიპულ სახეს (Юнг, 2003: 205-206).

ეს ლექსი, ჩვენი აზრით, ყორღანში ურმით დაკრძალვის რიტუალის ახსნის გასაღებს წარმოადგენს: მთაში (ყორღანში) შეგორებულ ურემს, მასზე დასვენებული ადამიანი გადაჰყავს სხვა სამყაროში, ცხონებულ საიქიოში.

ყორღანი, ანუ ხელოვნური მთა კოსმიურ ღერძს, სამყაროს ღერძს – ახის მუნდი-ს წარმოადგენს. მრავალ ძველ მითოსურ კულტურაში ტომის ბელადის, მეფის სამარხი წარმოგვიდგება როგორც ტაძარი, რადგან გარდაცვლილი მეფე წინაპარ ღვთაებად იქცევა (ბერიაშვილი, თორთლაძე, 2001: 32). ამის ნათელი დასტურია ეგვიპტური პირამიდები, ან ხეთური მეფე-დედოფლის მავზოლეუმები, რომლებიც ფაქტობრივად იგივე ტაძრები იყო. ხოლო მეფე-დედოფლის გარდაცვალების აღმნიშვნელი ხეთური გამოთქმა „ღმერთი გახდა“ თავად გვიჩვენებს ამ მითოლოგიური თვალსაზრისის არსებობას.

ასევე კოსმიურ მთას განასახიერებდნენ ზიკურატებიც. ამას მოწმობს შუამდინარეთის საკულტო ცენტრის ქალაქ ნიპურის ტაძრების სახელები: „მთა სახლი", „ჭექა-ქუხილის მთა", „ყველა ქვეყნების მთის სახლი". ზიკურატის შუმერული სახელი იყო U-Nir ანუ მთა (Элиаде, 1998: 88).

ყორღანში დაკრძალვა, მითოლოგიურ აზროვნების მიხედვით, გაიგივებული იყო გამოქვაბულში დაკრძალვასთან. გამოქვაბულში დაკრძალვა კი აღორძინების ტოლფასი იყო. სხვადასხვა ეპოქებში ხშირია მიცვალებულის გამოქვაბულში დაკრძალვის ფაქტები. ამ კატეგორიის საკრალურ ადგილებს, ჩვენი აზრით, ეგვიპტის პირამიდები და ურის სამეფო აკლდამები ეკუთვნის. საიდუმლო გამოქვაბულებში გარკვეულ დრომდე დაფარულები არიან სხვადასხვა ხალხების მისტიური გმირი მეფეები, რომელთა გამოსვლას დღესაც ელიან: მეფე არტური, ფრიდრიხ ბარბაროსა და სხვა.

ყორღანის და საპროცესიო-რიტუალური გზის კონსტრუქციის და ცალკეული საკრალური ქმედებების გარდა (ყორღანის ზედაპირის ობსიდიანის ნატეხებით დაფარვა), მიცვალებულის აღორძინების რიტუალთან დაკავშირებული უნდა იყოს სამარხის მთელი ინვენტარი, ჭურჭლის შიგთავსით და კერამიკაზე, თუ ხეზე ან ლითონზე დატანილი ორნამენტის ჩათვლით, რადგან სამარხში ნივთი იძენს ძალზე მაღალ სემიოტიკურ მნიშვნელობას. ამავე კუთხით უნდა განვიხილოთ დასაკრძალავ ურემზე დამაგრებული ბრინჯაოს ზოომორფული ქანდაკება – შტანდარტები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. XVII-XIV საუკუნეებში, ხოლო ანატოლიასა და მესოპოტამიაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებიდან გვხვდება.

მიცვალებულის ურემზე დაკრძალვა დაკავშირებული იყო ძველ აღმოსავლეთში გავრცელებულ წარმოდგენებთან, რომ ეტლი (ურემი) ხელისუფლების ატრიბუტია. ხეთურ რიტუალურ ტექსტში "ახალი სასახლის მშენებლობის შესახებ" მოცემულია მეფისა და ტახტის დიალოგი, რომელიც ეხება მეფის ხელისუფლების აღდგენას, მეფის ხელახალ დაბადებას: "მე, მეფეს ტახტმა ზღვის გაღმა მხრიდან მომიტანა ძალაუფლება და სამეფო ეტლი. მე მეფე – ლაბარნა მიწოდეს". ამ რიტუალურ ტექსტში ეტლი წარმოდგენილია როგორც სამეფო ხელისუფლების უცილობელი ატრიბუტი (ი. ტატიშვილი 2001: 77; მ. ბერიაშვილი 1988: 190-191).

ჩვენი აზრით, მიცვალებულის ყორღანში ურემზე დაკრძალვა – ეს არის უაღრესად მისტიური რიტუალი, რომელიც დაკავშირებული იყო კავკასიელი ხალხების რწმენა-წარმოდგენებთან და გარდაცვლილი მეფის, თუ დიდებულის აღორძინებას უნდა ემსახურებოდეს.

§ 3. მსხვერპლშეწირვის რიტუალისათვის (სამსხვერპლო ცხოველები)

მსხვერპლშეწირვა რელიგიური კულტის ფორმაა, რომელიც თითქმის ყველა რელიგიაში არსებობს. მსხვერპლშეწირვის მიზანია ადამიანის, ან თემის მიერ საკრალური კავშირის დამყარება ღვთაებებთან, ან გარკვეულ ზებუნებრივ ძალებთან. მ. ელიადეს აზრით, ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა სამყაროს შექმნას აღნიშნავს (Элиаде, 2000c: 72). „ისევე როგორც ღმერთები ებრძოდნენ და დაანაწევრეს ზღვის ურჩხული, თუ დრაკონი, რათა გაენთავისუფლებინათ სამყარო, ასევე ადამიანმაც, თავისი სამყაროს, თავისი საცხოვრებლის, თავისი დასახლების ასაშენებლად უნდა გაიმეოროს მათი ქმედება" (Элиаде, 2000c: 275). გარკვეული ნაგებობა დიდხანს რომ იყოს შენარჩუნებული, მან უნდა მიიღოს სიცოცხლე და სული. სულის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ სისხლიანი მსხვერპლშეწირვისას. რელიგიის ისტორიაში, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში დადასტურებულია სისხლიანი, თუ სიმბოლური მსხვერპლშეწირვების სხვადსხვა ფორმები (Элиаде, 2000c: 278**).** ქართულ ფოლკლორში შეიძლება გავიხსენოთ სურამის ციხის მშენებლობის ამბავი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყორღანი საკულტო არქიტექტურას ეკუთვნის, არ არის გასაკვირი, რომ თითქმის ყველა მათგანში დადასტურებულია ცხოველების (ტაბ. XLI-XLIII, XLVI, XLVII) და ზოგჯერ ადამიანების მსხვერპლშეწირვის ფაქტები.

თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ყორღანში (I, V, VI, VII, VIII) აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული შინაური ცხოველების ძვლები. V ყორღანში ცხოველის ძვლები იდო შავპრიალა დიდ ორყურა ჭურჭელში, აგრეთვე სპილენძის ქვაბში, რომლის მახლობლადაც დამწვარი ხის ნაშთები დადასტურდა. VII ყორღანში, სამარხი ორმოს სხვადასხვა ადგილებში აღმოჩნდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ხორციანი ნაწილების გროვები, აგრეთვე ღორის ყბა. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შინაური ცხოველების ნაწილები დაფარული იყო

მსხვილფეხა საქონლის ტყავით. VIII ყორღანშიც დაფიქსირებულია ხარის, ცხვრის და ღორის ძვლები, რომლებიც ელაგა გროვებად. XV ყორღანში დაფიქსირდა ორი ხარის ჩონჩხის ფრაგმენტები, რომელთა თავის ქალები და ჩლიქებიანი კიდურები პარალელურად იდო, თუმცა დანარჩენი ძვლები არ ჰქონდათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სამარხი ორმოს იატაკზე დაფენილი იყო ორი ხარის ტყავი, რომელიც ისე იყო დამუშავებული, რომ თავი და კიდურები ტყავში იყო დატოვებული. მსგავსი შემთხვევა დადასტურდა VII ყორღანშიც (Куфтин, 1941: 83). ბ. კუფტინის აზრით, ხარის ტყავი იყო მიცვალებულის საიქიოსკენ შორეული მოგზაურობის გამცილებლის იმიტაცია, მას შემდეგ, რაც ხარები დაკლულ იყვნენ და მათი ხორცი დაკრძალვის ტრაპეზს მოხმარდა. ხორცის ნაწილი მიცვალებულსაც გაატანეს, რასაც მოწმობს სპილენძის ქვაბსა და დიდ თიხის ჭურჭელში აღმოჩენილი ნეკნების ძვლები (Куфтин, 1941: 83).

თრიალეთის XV, XVII, XXXIV ყორღანებში გარდა ხარის თავ-ფეხისა, რომლებიც სამარხი კამერის აღმოსავლეთ ნაწილში ეწყო, დადასტურდა ხარის მთლიანი ჩონჩხები. ხარების დაუნაწილებელი ჩონჩხები დრომოსის იატაკზე იდო. ისინი თავით აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული (Куфтин, 1941: 83). ზურტაკეტის ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზების“ სხვადასხვა ადგილას ხშირად ჩნდებოდა საქონლის ძვლები, უპირატესად მსხვილფეხა საქონლისა. მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უფრო კი კიდურები გვხვდება აგრეთვე დრომოსებში, დარბაზში შესასვლელი კარის მახლობლად. ო. ჯაფარიძის აზრით, „შესაძლოა ეს მართლაც ეტლში შებმული ხარების ნაშთები იყოს, რომლებიც მიცვალებულის დარბაზში შეტანის შემდეგ დაუკლავთ და მათი ხორცი, რიტუალის დროს, სათანადოდ გამოუყენებიათ” (ჯაფარიძე, 1969: 68-69). ზურტაკეტის ყორღანებში აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონელი, ეტყობა, მიეკუთვნება თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნ მსხვილფეხა ჯიშს. პროფ. ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის განსაზღვრით, თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში უფრო ხშირად გვხვდება ტანდიდი ჯიში (Bos taurus primigenius). დიდ ყორღანებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება წვრილფეხა საქონელის ძვლებიც (ჯაფარიძე, 1969: 69).

მესხეთის ყველა ყორღანში დადასტურებულია შინაური ცხოველების ძვლები. განსაკუთრებით ბევრია ცხოველის ნაშთები დიდ ყორღანებში, უპირატესად

მსხვილფეხა საქონლისა. ახჩიის ველის № 9 და № 11 ყორღანებში და ნაკალოების დიდ ქვაყრილიან №2 ყორღანში წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის თავის ქალები. კოჟრების № 2 ყორღანში საქონლის ძვლებთან ერთად ძაღლის თავის ქალა აღმოჩნდა. ჩვეულებრივ კი ყორღანში სჭარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უპირატესად კიდურებისა. საფიქრებელია, რომ ეს ძვლები დაკრძალვის რიტუალისთვის გამოყენებული ცხოველების ნაშთები იყო (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 160).

ცხოველთა მთელი და დანაწილებული ძვლები მიუთითებს, რომ რიტუალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც გრძელდება. როგორც ჩანს, საფლავთან მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი რიტუალი იმართებოდა, რომელიც სააღაპე ცერემონიალს და სამგლოვიარო სუფრის მოწყობას ითვალისწინებდა.

ცხვრის შეწირვის საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა მცხეთაში, წიწამურთან გათხრილ № 13 ყორღანში, სადაც ხელ-ფეხ მოკეცილი მიცვალებული დასვენებული იყო ცხვარზე (ტაბ. XLVI). მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. შეწირული ცხვარი ბრინჯაოს სატევრით იყო დაკლული, რაზეც მიუთითებს ცხვრის კისრის მალებში ჩატოვებული სატევარი. ჯერ ცხვარი დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე, ყელთან და ცხვირთან ობსიდიანის ანატკეცები დაუწყვიათ, შემდეგ ზედ დაუკრძალავთ მდიდრულად მორთული მიცვალებული. ცხვრის კეფასთან დაწყობილია მსხვილფეხა საქონლის, ხოლო მიცვალებულის ზურგს უკან წვრილფეხა საქონლის ძვლები. მიცვალებულის ფეხების არეში, სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დადასტურდა ცეცხლის კვალი.

საინტერესოა სამარხის აღნაგობაც: სამარხ კამერას შემოუყვება ორ რიგად დაწყობილი რიყის დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი, რომლის დიამეტრიც 16 მეტრს უდრიდა. წრის სიგანე 0,7 მეტრია. უშუალოდ კამერის თავზე 6 მეტრი დიამეტრის წრიული ქვაყრილია გამართული. დასაკრძალავი კამერა (ტაბ. XLVI) წარმოადგენს ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს, რომლის ზომებია 2,4X2,5 მ. კამერის სიმაღლე 3,0 მ. კამერა მთლიანად შევსებული იყო რიყის მოზრდილი ქვებით. კამერის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში შეჭრილია 0,5X0,7 მ. ფართობის ორი ნიშა, რომლებშიც შეწყობილი იყო ხარის თავ-ფეხი. ძირითადი კამერის სამხრეთ-დასავლეთ კედელში გამოჭრილია 2,1

მ. სიგრძის, 0,6 მ. სიგანის და 1,0 მ სიმაღლის თახჩა, სადაც დაწყობილი იყო თიხის ჭურჭელი და მსხვილფეხა საქონლის ნეკნების და ფეხის ძვლები. სამარხი კამერის კედლებში აშკარად შეიმჩნევა ფოსოები ძელებისათვის, რომლებიც ალბათ გადახურვის კონსტრუქციასთანაა დაკავშირებული (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 56).

წიწამურის № 13 სამარხის გვერდით გაითხარა კატაკომბური სამარხი № 16, რომელშიც ცხვარი იყო დაკრძალული (ტაბ. XLVII-2). როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სამარხს არც კი წარმოადგენდა და დაკავშირებული იყო № 13 სამარხში დაკრძალული მიცვალებულისათვის ჩატარებულ რიტუალთან.

ცხვრის შეწირვის ფაქტები დადასტურდა კახეთშიც. მაგ. აკაკიანთხევის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანში, რომელშიც მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა, სამარხის შესასვლელის ორივე მხარეს მსხვილფეხა საქონლის თავები და კიდურები ეწყო. სამარხის იატაკზე აღმოჩნდა ცხვრის ჩონჩხი, რომლის ყელთან ობსიდიანის ანატკეცი-დანა იდო. ასეთივე ფაქტები დადასტურდა ბოდბის №1 და № 2 სამარხებში (ფიცხელაური, 1973: 83). სადუღას № 2 ყორღანში ბატკნის მთლიანი ჩონჩხი გამოვლინდა. „ცხვრის ჩონჩხის ერთგვარად „გაბატონებული“ მდგომარეობა“ ასევე დადასტურდა აშურიანის ველზე, მეტეხში და გრაკალთან გათხრილ შუა ბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ყორღანში და მარნეულში, სოფ სიონთან გათხრილ № 4 სამარხში (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 56, 60).

როგორც ჩანს, მსხვერპლშეწირვის რიტუალში აუცილებლად გამოიყენებოდა ობსიდიანი, რომელსაც შუა ბრინჯაოს ხანაში პრაქტიკული დანიშნულება აღარც კი ჰქონდა და ის მხოლოდ ტრადიციული ცერემონიის განხორციელების აღმნიშვნელი იყო. შუა ბრინჯაოს ხანაში ობსიდიანის გამოყენებას მსხვერპლშეწირვის რიტუალში მხოლოდ სიმბოლური ხასიათი შემორჩა. ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს წიწამურის № 13 ყორღანში დადასტურებული ცხვარი რომელიც ბრინჯაოს სატევრითაა შეწირული (სატევარი ყელში აქვს ისე გაყრილი, რომ თავის ქალაა გაპობილი) და ყელის წინ ობსიდიანის ორი ანატკეცი უდევს (ტაბ. XLVI-2).

სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ცხვარი/ვერძი ჯადოსნური გადაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი: ოქროს ვერძზე

შემჯდარი ფრიქსე და ჰელე ჩაფრინდნენ კოლხეთში; ირანული მითოლოგიის მიხედვით, ცხვარს გადაჰყავს მიცვალებულის სული იმ ხიდზე, რომელიც აკავშირებს საიქიოს და სააქაოს. ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვითაც, ცხვარს გადაჰყავს ზღაპრის გმირი ერთი სკნელიდან მეორეში (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 57-60). ცხვრების დაკრძალვა სამარხებში დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის შუა აზიასა და ავღანეთში. ისინი დაკრძალული იყვნენ იმ წესით, როგორითაც იკრძალებოდნენ მამაკაცები – მარჯვენა მხარეს თავით ჩრდილოეთით. ყველა შემთხვევაში სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მდიდარი იყო. მეცნიერთა აზრით, ამგვარად დაკრძალული ცხვრები წარმოადგენდნენ ე.წ. გამოსასყიდ სამსხვერპლოს. გამოსყიდვის რიტუალი მდგომარეობდა შემდეგში: ავადმყოფი ადამიანის მაგიერ ღვთაებას სწირავდნენ ცხვარს, ადამიანს კი კისერზე დანას გაუსვამდნენ. რიტუალის შესრულების შემდეგ ცხვარი იკრძალებოდა ისე, როგორც ადამიანი. ამგვარი რიტუალური პრაქტიკა დადასტურებულია ქართულ ეთნოგრაფიაშიც – ხევსურეთში და სამეგრელოში. შესაძლოა, ამგვარ გამოსასყიდ სამსხვერპლოს წარმოადგენდა წინწყაროს № 16 სამარხში დაკრძალული ცხვარი (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 57-60), ხოლო ცხვარზე დაკრძალვის რიტუალი დაკავშირებული იყო წარმოდგენებთან მიცვალებულის სულის მოგზაურობაზე საიქიოში, სადაც ცხვარი იყო გამცილებელი, მეგზური, საიქიოს და სააქაოს დამაკავშირებელი.

მსხვერპლშეწირვის საინტერესო რიტუალი დადასტურდა ყარაშამბის დიდ ყორღანში. დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩნდა შინაური და გარეული ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი მასალა. შინაური ცხოველებიდან სამარხში დაფიქსირდა ძროხების, ხარის (?), ცხვრების, ღორების, თხების, ძაღლის და ცხენის ჩონჩხების ფრაგმენტები. ხოლო გარეული ცხოველებიდან – დათვის, მელიის, კურდღლების, არჩვის და ირმის ძვლები (Оганесян, 1993: 27-28).

ანალოგიური რიტუალი დაფიქსირებულია კარმირ ბერდის კულტურის ძეგლებზე. ნერკინ ნავერის №1 ყორღანი, რომელიც ძვ.წ. XXIII-XXII სს. თარიღდება სამი იარუსისაგან შედგება. 2.5 მ სიღრმეზე გაითხარა მესამე, ძირითადი სამარხი. აქ მდიდარი ინვენტარის გარდა, რომელიც შეიცავდა მოოქროვილ ბრინჯაოს სატევარს, ქვის იარაღს, სერდოლიკის, მთის ბროილს და გიშრის მძივებს, ოქროს ორ გოფრირებულ ფირფიტას, ოქროს ცხრა ფუყე მძივს, ოქროსთავიან ბრინჯაოს

საკინძს და მდიდრულად ორნამენტირებულ კერამიკას, აღმოჩნდა ორი ხარის და ცხენის ჩონჩხების ფრაგმენტები, აგრეთვე ცხვრის მთელი ჩონჩხი და ღორის, თხის, ირმის, კურდღლის, ციყვის, მგელის ძაღლის, თევზის, კიბორჩხალას, კუს და ბაყაყების ძვლები. ამავე ყორღანში ნაპოვნი იყო ხანდაზმული მამაკაცის ხუთი კბილი, ჩვილის და 10-11 წლის ბავშვის ცალკეული ძვლები. ა. სიმონიანის აზრით, ამ ყორღანში ჩატარებული რიტუალი ნაწილობრივ იდენტურია გათებში – ზოროასტრიული რელიგიის უძველეს ჰიმნებში მოხსენიებული დაკრძალვის რიტუალების (Симонян, 1984: 126). ოშაკანის №30 სამარხში, რომელიც ძვ.წ. XVII-XVI სს თარიღდება, დადასტურდა ორი ხარის ჩონჩხი. ჩრდილოეთ კედელთან, ჭურჭლებს შორის აღმოჩნდა მელიის ჩონჩხი და ორი, 2-3 თვის ასაკის ჩვილის თავის ქალების და ჩონჩხების ფრაგმენტები. სამარხი კამერის იატაკზე და სპილენძის ქვაბში დიდი რაოდენობით დადასტურდა სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ძვლები: ორი ხარის, ძროხის, ხბოს, ცხენის, ორი ღორის, თხის, ექვსი ცხვრის, ორი ძაღლის, მელიის, კურდღლის და ორი კვერნის, აგრეთვე წეროს, თუ ყარყატის და ბეღურას ძვლები. სამარხი ორმოს მთელი იატაკი დაფარული იყო 0.5-1.0 სმ სისქის ნაცრის ფენით, დამწვარი ჭილოფის და ხის წნელების ნაშთით, რაც არქეოლოგებს ავარაუდებინებს კრემაციის აქტს დაკრძალვის რიტუალის დროს (Калантарян и др., 2004: 69).

როგორც მოტანილი მასალები გვიჩვენებს შუა ბრინჯაოს სამხრეთ კავკასიაში მსხვერპლშეწირვისათვის ძირითადად მსხვილფეხა საქონელი გამოიყენებოდა. მას მოსდევს ცხვარი, რომელიც პროცენტულად მეორე ადგილი უკავია, თუმცა მკვეთრად ჩამოუვარდება მსხვილფეხა საქონელს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ სამარხებში სადაც წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ძვლები დაფიქსირდა, გვხვდება მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც. ძაღლის, და ღორის სამარხში ჩატანების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია ცნობილი.

თავი III.

სიუჟეტური გამოსახულებები თრიალეთის კულტურაში

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს არქეოლოგიურ ნიმუშებზე სიუჟეტური გამოსახულებები იშვიათია. ისინი გვხვდება როგორც ლითონის, ასევე თიხის ჭურჭლებზე და ქვებზე.

რთული სიუჟეტური კომპოზიციებითაა შემკული თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასები და სარწყული, რომლებიც შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური საკითხების კვლევისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. თასების მითო-რელიგიურ ასპექტებს არაერთი მეცნიერი შეეხო და განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ადამიანებთან და ცხოველებთან ერთად სარიტუალო სცენებში წარმოდგენილია სხვადასხვა ინვენტარი და ავეჯეულობა. თასები ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ იმ ეპოქის ჩაცმულობის შესახებ. მიგვაჩნია, რომ თასებზე გამოსახული ყველა საგანი რიტუალური დანიშნულებისაა და ისინი მითო-რელიგიურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

სიუჟეტური გამოსახულებაა დატანილი თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩენილ სათლის ზედაპირზე. მნიშვნელოვანია ო. ჯაფარიძის მიერ ზურტაკეტის №№ 3, 4 და 6 ყორღანებში დაფიქსირებული ნიშან-სიმბოლოები. № 3 ყორღანის კედლებში ჩატანებული იყო 70 ასეთი ქვა, № 4 ყორღანში 117, ხოლო № 6 ყორღანში 78 ნიშნიანი ქვა. ლორი ბერდის № 79 სამარხის კედლები სხვადასხვა ფერის საღებავით იყო მოხატული. ზურტაკეტისა და ლორი-ბერდის მსგავსი ყორღანები დღეისათვის სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებდან ცნობილი არ არის.

§ 1. თრიალეთისა და ყარაშამბის თასები

თრიალეთის V (ტაბ. XLVIII) და ყარაშამბის (ტაბ. XLIX) ყორღანებში აღმოჩენილ ვერცხლის თასებზე უაღრესად საყურადღებო მითოლოგიურ-რელიგიური ხასიათის სიუჟეტებია გამოსახული.

თრიალეთის ვერცხლის თასი აღმოჩნდა 1937 წელს ბ. კუფტინის მიერ V ყორღანში (ყორუღ-დაში), რომელიც მდებარეობდა წალკის რაიონის სოფ. სანომერიდან ჩრდილოეთით, 1.0 კმ. დაშორებით. 1949 წელს ეს ტერიტორია

დაიტბორა წალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამჟამად ყორღანი წყალსაცავის ფსკერზეა მოქცეული. ყორღანის დიამეტრი 61 მეტრს უდრიდა, სიმაღლე – 1,5 მ. ვერცხლის თასი აღმოჩნდა ყორღანის ცენტრალურ ნაწილში ოქროს და ვერცხლის სამკაულსა და კერამიკასთან ერთად. თასის სიმაღლე 11,3 სმ., პირის დმ. – 9,8. თასი ცილინდრული ფორმისაა, ღრუ ფეხით, დამზადებულია ერთიანი ვერცხლის ფურცლისაგან. მომრგვალებული ძირი შემკულია გრავირებული ვარდულით. ორი ცენტრალური ფრიზი მთავარ სიუჟეტურ კომპოზიციას წარმოადგენს. ფიგურები შესრულებულია ჭედური რელიეფით და დამატებით დეტალიზირებულია გრავირებით. დანარჩენი სივრცე გრავირებულია გეომეტრიული ორნამენტით. ზედა ფრიზზე გამოსახულია თითქმის ერთნაირ ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცის 22 ფიგურა, რომლებსაც ხელში ცილინდრული მოყვანილობის სასმისები უკავიათ. ისინი დგანან მჯდომარე ფიგურის წინ. თრიალეთის ვერცხლის თასზე ოთხი ფრიზია მოცემული. მეორე ფრიზზე სარიტუალო პროცესია, ავეჯი და ჭურჭელია გამოსახული. რიტუალურ მსვლელობაში მონაწილეობას თითქმის ერთნაირ ტანისამოსში გამოწყობილი 22 ადამიანი იღებს. ამ ფრიზზეა გამოსახულია უზურგო სკამზე მჯდომი ღვთაება, „სარიტუალო მაგიდა” და „სასაკმევლე” (Куфтин, 1941: 87-88).

თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სიუჟეტის აზსნას პირველად პ. უშაკოვი შეეცადა. მისი აზრით, თასზე გამოსახული არიან ანთროპომორფული ფიგურები მელიის კუდებით და თხუნელის სტილიზებული ნიღბებით, რომლებიც ძღვენით მიემართებიან სავარძელზე მჯდომარე ღვთაებისაკენ, რომელიც გაზაფხულის და ბუნების აღორძინების მცირეაზიულ ღვთაება ტელეფინუსს წარმოადგენს. პ. უშაკოვის აზრით თხუნელას ლათინური სახელწოდება ტალპა წარმოდგება პროტოხეთური ღვთაების ტელეფინუსის სახელწოდებისაგან და რადგან სცენის მონაწილეებს მისი აზრით, თხუნელის ნიღბები აქვთ, ამიტომ ”საქართველოს პროტოხეთური ტომების” უძველესი ღვთაება უნდა ყოფილიყოს მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი (Ушаков, 1941: 101).

პ. უშაკოვის მოსაზრება თხუნელას ლათინური და პროტოხეთური ღვთაების სახელის ერთი წარმომავლობის შესახებ ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა გააკრიტიკა (Куфтин, 1941: 87-89). მისი აზრით, თასზე მოცემული სიუჟეტი წარმოადგენს

ნადირობის ღვთაებასთან დაკავშირებულ საკულტო სცენას. სავარაუდოდ გამოსახულია რიტუალური ნადიმი სასმელის მიღებით ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, რომელიც ტყის ბატონის ატრიბუტებითაა შემკული (ხე, ირმები, ჩლიქებიანი ცხოველის ფეხებიანი ფართო ჭურჭელი). რიტუალის კავშირს გარეული ცხოველებისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ გარემოსთან უნდა მიანიშნებდეს 22 პერსონაჟის კაბაზე ჩამოკიდებული მგლის კუდები. მაგრამ თრიალეთის კულტურას ახასიათებს განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაზეც მიუთითებს სამარხებში ნაპოვნი ისეთი შინაური ცხოველების ძვლები, როგორებიცაა ხარი, ღორი, წვრილფეხა საქონელი, აგრეთვე კერამიკული წარმოების მაღალი დონე. სამონადირეო მეურნეობა წამყვანი არ ჩანს, რაც ბ. კუფტინს ავარაუდებინებდა, რომ ნადირობის ღვთაება ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი და ძირითადად ბუნების აღორძინების და ნაყოფიერების ღვთაებად არის წარმოჩენილი. სწორედ ამიტომ მთავარი პერსონაჟის უკან წმინდა ხის, თუ სიცოცხლის ხის გამოსახულებაა მოცემული, რომლის ძირთან წყლის ორი ნაკადი მოედინება. ეს მოტივი, ბ. კუფტინის აზრით უახლოვდება ატისის ფიჭვის, ან ოსირისის კედარის გამოსახულებას, რომლის მითოლოგიურ სახეს უკავშირდება ტურის სახიანი ანუბისი (Куфтин, 1941: 89-91). ყველა პერსონაჟის სახე ერთი შეხედვით ნადირთ ნიღბებს ჰგავს, თუმცა შესაძლოა ისინი უხეშად გამოსახავენ ე.წ. „ხეთურ" პროფილს, დიდი ცხვირით და მოკლე წვერით უკან დაქანებულ ნიკაპზე (Куфтин, 1941: 90). პირის და ყურის მოყვანილობა მოწმობს, რომ სახეები ადამიანებს ეკუთვნით, ხოლო კუდები ამ შემთხვევაში, შესაძლოა გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი ტანისამოსში, ისევე როგორც ეგვიპტის ფარაონების სამოსელში. თუმცა, ბ. კუფტინი თვლის, რომ ეჭვს არ იწვევს მგლის თავდაპირველი ტოტემისტური საფუძველი, რომელიც გავრცელებული იყო ანატოლიის და სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ უძველეს ხალხში (Куфтин, 1941: 90-91).

თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სიუჟეტს შეეხო შ. ამირანაშვილი. მისი აზრით, თასზე გამოსახულია საზეიმო მისტერია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ქურუმები ტოტემური

ცხოველების ატრიბუტებით და მათ ხელში უპყრიათ „სიცოცხლისა” და „უკვდავების” წყლით სავსე თასები (ამირანაშვილი, 1971: 35).

ვ. ბარდაველიძე მიიჩნევდა, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული კომპოზიცია წარმოადგენს სათემო ღვთაებების შეკრებას ტომის პატრონის კარზე და მისი თაოსნობით ასრულებენ „სადიდებელ” წესს ტომის უმთავრეს დღესასწაულზე. სათემო ღვთაებების ცხოველურ ხასიათზე მიუთითებს ფიგურების სტილიზებული, ნახევრად ცხოველური სახეები, მგლის ტყავით გაწყობილი სამოსელის კიდეები და ჩამოშვებული მგლის ფაფუკი კუდი. ვ. ბარდაველიძე მიიჩნევს, რომ თასზე გამოსახული ფიგურები მგლის ატრიბუტებით წარმოადგენენ მგლის კულტის გადმონაშთს, რომელიც არსებობდა ქართველურ ტომებში შორეულ წარსულში. მისი აზრით, ამასვე ადასტურებს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი წარმოდგენები მგელსა და ძაღლ-მწევართა შესახებ (Бардавелидзе, 1957: 104). ვ. ბარდაველიძე თვლიდა, რომ ერთ რიგში ჩამდგარი ფიგურები ერთი რანგის ღვთაებებს გამოსახავენ, ე.ი. ერთნაირი მნიშვნელობის ღვთაებები არიან ტახტზე მჯდომი ღვთაებისაგან განსხვავებით და ამდენად წარმოადგენს იმდროინდელი საზოგადოებრივი სტრუქტურის გარკვეულ ელემენტებს (Бардавелидзе, 1957: 94-101). მოცემული ფიგურების ერთგვაროვნება და სიმრავლე მეტყველებს იმაზე, რომ ფრიზის 22 ფიგურა თემების ღვთაებების გამოსახულებაა (Бардавелидзе, 1957: 101).

ი. კიკვიძის აზრით, თასის ზედა ფრიზის გამოსახულებაზე წყლის სიმბოლიკაა აქცენტირებული, რის საფუძველზეც ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ პროცესია, შესაძლებელია საქართველოს ეთნოგრაფიაში დაცულ ლაზარობის მაგვარ რიტუალს გამოსახავს. ი. კიკვიძე მიიჩნევს, რომ ეს ვარაუდი გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური მჯდომარე ფიგურა წარმოადგენს ნაყოფიერების ღვთაებას, ან ისეთ ღვთაებას, რომელთანაც ფუნქციონალურ კავშირში არის ატმოსფერული ნალექები. ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, როგორ იქნება გაგებული დანარჩენი 22 ფიგურა, მივიღებთ მათ სათემო ღვთაებებად, ქურუმებად, თუ სხვა (კიკვიძე, 1976: 185). თრიალეთის თასზე გამოსახული ღვთაება აგრარული ხასიათისა რომ არის ამას, ი. კიკვიძის აზრით, ადასტურებს თასის ქვედა ფრიზზე გამოსახული ირმები (კიკვიძე, 1976: 186). ის

თვლის, რომ შუა ბრინჯაოს ეპოქის გარკვეული საფეხურიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირიგაცია იყო განვითარებული. სარწყავი წყალი, თავდაპირველად სათიბის მოსარწყავად უნდა გამოეყენებინათ. ამას მოითხოვდა მესაქონლეობის განვითარება და ტექნიკურადაც უფრო იოლი იყო (კიკვიძე, 1976: 72-73). ი. კიკვიძე მიიჩნევს, რომ, თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის ტანიდან გადმოდის წყლის ორი ნაკადი, რომელიც, შეიძლება წყლის სამეურნეო დანიშნულებაზე მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ თრიალეთის კულტურის ლითონისა, თუ თიხის ჭურჭლების შემკულობაში დიდი ადგილი წყლის მოტივს უკავია (კიკვიძე, 1976: 70). ი. კიკვიძე მიიჩნევს, რომ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის მოტივი ჩვენში შუაბრინჯაოს ხანიდან ვრცელდება და იგი გვევლინება სათემო და სატომო ნაყოფიერების ღვთაებად (კიკვიძე, 1976: 196).

ნ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სცენა საკულტო რიტუალს გადმოსცემს და არა საყოფაცხოვრებო სიუჟეტს. ცენტრალური ფიგურის აქცენტირება ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის დიფერენციაციის პროცესზე უნდა მიუთითებდეს. მისი აზრით, თასის ფრიზზე გამოსახული სიუჟეტი როგორც ჩანს, ისეთი საზოგადოების ნაყოფი უნდა იყოს, რომელშიც უკვე შეიმჩნევა უფლებრივ-ეკონომიკური დიფერენციაციის ელემენტები (ჯაფარიძე, 1981: 20-21).

მ. ბერიაშვილი და ზ. სხირტლაძე მიიჩნევენ, რომ თრიალეთის ვერცხლის თასთან იკონოგრაფიული, თუ სტილისტური ნიშნებით ახლო მდგომ ძეგლთა შორის ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენს ურუქში აღმოჩენილი ალებასტრის ჭურჭელი (ძვ.წ. XXIII ს.). მხატვრული ხელოსნობის ამ ორ ნიმუშს შორის არსებულ გარკვეულ კავშირს უნდა მოწმობდეს თვით ურუქის ჭურჭლის ფორმა, რომელიც ემსგავსება იმ ჭურჭელს, რომელიც ზედა ფრიზზე გამოსახულ ფიგურებს უჭირავთ (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 136). თემატურად და კომპოზიციურად ურუქის ჭურჭლის და თრიალეთის თასის სიუჟეტები მსგავსია. სტილისტურად კი საერთო ნიშნები ნაკლებად მოეძებნებათ. მ. ბერიაშვილის და ზ. სხირტლაძის აზრით, სადაო აღარაა, რომ თასის რიტუალური სცენის პერსონაჟთა ტიპი ახლოს დგას შუმერულ და ხეთურ გამოსახულებებთან. თუმცა იკონოგრაფიული მსგავსება ბრინჯაოს ხანაში მცირე აზიასა და კავკასიაში მოსახლე ტომთა მხატვრული ხელოსნობის ძეგლებისათვის ნიშანდობლივ საერთო მხატვრულ კანონზე უნდა

მიგვანიშნებდეს (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 137). მათი აზრით, თასზე გამოსახულია რიტუალის ნაწილი, რომელიც ხეთურ-ხურიტული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. ხეთურ-ხურიტულ სამყაროში სხვადასხვა რიტუალებში მონაწილეობენ ადამიანები, რომელთაც ცხოველური ასპექტი გააჩნიათ. ასეთებია „ძაღლის", „მგლის", „ლომის" ხალხი. ხეთური სეზონური დღესასწაულების (ვურულია, კილამი და სხვა) დროს რიტუალებში მონაწილეებთან ერთად მოიხსენიებენ „მგლის" და „ძაღლის" ადამიანები. ეს დღესასწაულები სიცოცხლის განახლების რიტუალებია. მისი შესრულების დროს მეფის წინ ძღვენით გაივლიდნენ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები, მათ შორის „მგლის" ადამიანებიც. თასზე გამოსახული ფიგურები სწორედ ეს „მგლის" ადამიანები არიან და არა ღვთაებები, როგორც ამას მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს. ფიგურებს არ გააჩნიათ არავითარი განმასხვავებელი ატრიბუტი, რომლებიც უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა ღვთაებებს. მჯდომარე ადამიანის გამოსახულება უნდა იყოს რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა - მეფე, დედოფალი, ან ქურუმი, რომლის წინაშე უნდა გაევლო რიტუალის მონაწილეებს. ამ შემთხვევაში კი, ავტორთა აზრით, ეს ფიგურა დედოფალი (ყოველ შემთხვევაში ქალი) უნდა იყოს, რადგან ის უზურგო სკამზე ზის, უზურგო სკამზე კი ხეთურ საზოგადოებაში ქალი ჯდებოდა (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 136-138). მჯდომარე ფიგურის წინ ტაბლა დგას, ხოლო ყველა ფიგურას რომელიღაც სასმელის ჭურჭელი უჭირავს ხელში. თრიალეთის თასზე გამოსახული ხე მ. ბერიაშვილის და ზ. სხირტლაძის აზრით, სიუხვის და სიძლიერის სიმბოლოა და არა სიცოცხლის და ნაყოფიერების ხე. ეს უკანასკნელი ბიბლიამდე სხვა წყაროებში რომ არ გვხვდება, შუამდინარული ლურსმული წყაროების ანალიზის საფუძველზე გერმანელმა მეცნიერმა ჰ. გენგემ აჩვენა (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 140-141). მ. ბერიაშვილის და ზ. სხირტლაძის აზრით, თრიალეთის ვერცხლის თასის ქვედა ფრიზზე გამოსახული ფურ-ირმების რიგიც ხეთურ რიტუალებთანაა კავშირში. ხეთურ ტექსტში, რომელშიც აღწერილია რიტუალი ნუნტარიასხა, საუბარია რიტუალში ირმების მონაწილეობაზე. რიტუალის ეს ნაწილი ტარდება ქ. არინას მზის ღვთაების ტაძართან: „მეფე ჩამოდის ეტლიდან ... შემდეგ ის ირმების წინ გაივლის. მერიქიფეს უჭირავს ჭურჭელი და ირმების წინ სითხის სამსხვევრპლო შესხურების ცერომონიას ასრულებს. ირმების კავშირი მზის ღვთაებასთან პროტოხეთურ საწყისებამდე მიდის. მკვლევარები ასკვნიან, რომ

თრიალეთის თასის ორ ფრიზზე გამოსახული სცენა ერთმანეთთან ერთი და იმავე მითიური ციკლითაა დაკავშირებული და წარმოადგენს ხეთურ-ხურიტულ სამყაროსათვის დამახასიათებელ სიცოცხლის აღორძინების რიტუალის ერთ ნაწილს (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 141).

თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სცენას შეეხო გ. არეშიანიც, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ მოცემულია უძველესი ინდოევროპული მითოლოგიური სიუჟეტი. მისი შემქმნელი კი თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოება იყო, რომელიც შესაბამისად ინდოევროპული წარმომავლობის უნდა ყოფილიყო (Арешян, 1988: 93-94). გ. არეშიანის აზრით, თრიალეთის თასზე გამოსახული სცენა საოცარ მსგავსებას იჩენს ვიკინგების წარმართობის დროინდელ რწმენა-წარმოდგენებთან, რომლებიც „უფროს ედაშია" გადმოცემული. განსაკუთრებით კი „გრიმნირის სიტყვასთან", სადაც მოთხრობილია ოდინი როგორ ნადიმობს ვალჰალაში, წმინდა ხე, იგდრასილის ქვეშ. მასთან ერთად წმინდა სასმელს მიირთმევენ ვალჰალაში მყოფი გმირები. ოდინთან სხედან მისი ორი მგელი, ხოლო წმინდა ხეს ირმები კორტნიან. ყველა ეს პერსონაჟი მოცემულია, გ. არეშიანის აზრით, თრიალეთის ვერცხლის თასზე და სავარაუდოდ ანალოგიურ თქმულებას გამოსახავს (Арешян, 1988: 93-94). კ. კუშნარევაც მიიჩნევს, რომ ინდოევროპული მითოლოგემები თრიალეთის კულტურის სხვა მხატვრული ხელოსნობის ნიმუშებზეც იკითხება. ეს არის თრიალეთის ყორღანის შტანდარტებზე, ვანაძორის (კიროვაკანი) ოქროს თასზე (ტაბ. XC-6) გამოსახული ლომები და წნორის ყორღანში აღმოჩენილი ლომის (ტაბ. XC-1) ფიგურა. ამავე წრეს ეკუთვნის კომპოზიციები არუჩიდან, გეთაშენიდან, ახჩიიდან და ხანლარიდან (Кушнарёва, 1993: 251).

თრიალეთის ვერცხლის თასის თითქმის ანალოგიური ვერცხლის თასი XX საუკუნის 80-იან წლებში, სომხეთში, ყარაშამბის ყორღანში აღმოჩნდა. თასზე გამოსახულია ექვსი ფრიზი (Bohemer, Kossack, 2000: 17-21). პირველ ფრიზზე ნადირობის სცენაა გამოსახული. მეორე ფრიზზე სარიტუალო პროცესია არის წარმოდგენილი, გამოსახული არიან შეიარაღებული პირები, არფაზე დამკვრელი და მჯდომარე ფიგურისაკენ ძღვენით მიმავალი ადამიანები. მესამე ფრიზზე

გამოსახულია ბრძოლის სცენა და მითოლოგიური პერსონაჟები (ფრინველი იმდუგუდი).

ყარაშამბის თასზე გამოსახული სიუჟეტი თრიალეთის ვერცხლის თასის სცენებთან შედარებით გაცილებით რთულია და მრავალფეროვანი. ყორდანის გამთხრელი ვ. ოჰანესიანი მიიჩნევს, რომ ყარაშამბის ვერცხლის თასზე გამოსახული სიუჟეტის ახსნის ერთ-ერთი ვარიანტი შემდეგნაირად შეიძლება იყოს წაკითხული: გმირი ძაღლების დახმარებით ნადირობს ტახზე (ლომები და ლეოპარდები ზებუნებრივ ძალებს განასახიერებენ, რომლებიც შესაძლოა წინაპრების სულებსაც წარმოადგენენ). ტახის მოკვლით სხვადასხვა მოვლენა იწყება, რომელიც ცენტრალურ ფრიზებზეა გამოსახული. მათ შორის ომი და ომის შემდგომი ნადიმი.

ვ. ოჰანესიანის აზრით, ტახზე ნადირობა წარმოადგენს ძირითად მომენტს, რომელიც ყარაშამბის თასზე გამოსახულ სიუჟეტს მთელ რიგ უძველეს ინდოევროპულ ეპიკურ სიუჟეტს უკავშირებს (Оганесян, 1988: 157-160). მრავალი ნიშნით (მორფოლოგიური, ორნამენტული და სხვა) ყარაშამბის თასი მცირეაზიურ-კავკასიურ კულტურულ წრეს ეკუთვნის, მნიშვნელოვანი სამხრეთ მესოპოტამიური გავლენით. ეს პირველ რიგში ეხება შუმერულ-აქადური მითოლოგიური პერსონაჟის ლომისთავიანი არწივის - ანზუ/იმდუგუდის გამოსახულებას თასზე. ანზუ/იმდუგუდი ომის ღვთაებასთან და საიქიო სამყაროსთანაა დაკავშირებული. სავარაუდოდ ის არის სააქაოს და საიქიოს შორის საზღვარზე.

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც თრიალეთის თასზე, აქაც არის გამოსახული ფიგურები მგლის კუდით. თუმცა ყარაშამბის თასზე მგლისკუდიანი ფიგურები მოკლულ მეომრებს განასახიერებენ. ვ. ოჰანესიანის აზრით, ეს ფაქტი თითქოს ადასტურებს შეხედულებას, რომ ისევე როგორც თრიალეთის ვერცხლის თასზე, მგლისკუდიანთა პროცესია გადმოგვცემს საიქიო სამყაროს გამოსახულებას, რაც ინდოევროპულ მითოლოგიურ წარმოდგენებს შეესაბამება (Оганесян, 1988: 156).

თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასები სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში გავრცელებულ ყოფით საგნებზე (ანუ სულხან-საბას მიხედვით ავეჯეულობაზე) და ჩაცმულობაზე (ტაბ. L-LIII) მდიდარ ინფორმაციას იძლევა (Нариманишвили, 2007: 41-48;

ნარიმანიშვილი, 2009: 119-128). ავეჯი იმ არქეოლოგიურ არტეფაქტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მასალის თავისებურების გამო (ხე, ტყავი, ქსოვილი) პრაქტიკულად არ ინახება, ამდენად მათ გამოსახულებების შესწავლას ხელოვნების ნიმუშებზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების სტილის გამოკვლევაში.

თრიალეთის თასზე გამოსახულია უზურგო სკამი (ტაბ. L-8, LII-2), რომელზეც სიუჟეტის ცენტრალური ფიგურა ზის, რომლის წინ სამფეხა „სარიტუალო მაგიდა" (ტაბ. L-1) დგას. „სარიტუალო მაგიდა" მაღალია და თავი შესქელებული აქვს. მისი კიდის ქვედა ნახევარი ბადისებური ორნამენტითაა შემკული, რომლის თავზეც ორმაგი ხაზებით შედგენილი სამკუთხედების რიგია გამოსახული. როგორც ჩანს, მაგიდის თავი წრიული იყო. მას სამი ფეხი უნდა ჰქონოდა. ფეხები შეწყვილებულია და მაგიდის თავის ცენტრიდან ვერტიკალურად ეშვება, ქვედა ნაწილში გატოტვილია, ჰორიზონტალურად გაშვერილი ნაწილი ფეხების სიგრძის ერთი მესამედს უდრის, შემდეგ ფეხი ისევ ქვევით ეშვება და ცხოველის ჩლიქის გამოსახულებით ბოლოვდება.

ყარაშამბის თასზე გამოსახული მაგიდები (ტაბ. L-2, 3) განსხვავდება თრიალეთურისგან. მათი ზედა ნაწილი უფრო ვიწროა, ერთ-ერთ მაგიდას თითქოს სამი ფეხი აქვს, რომლებიც ვერტიკალურად ჩამოდის ქვევით. სამივე ფეხი ერთმანეთისგან განსხვავებულია, თითქოს სხვადასხვა ცხოველის ფეხებს წარმოადგენენ. მეორე მაგიდის ფეხები თავისი სიგრძის ნახევარზე ორად იყოფა. ორივე მაგიდაზე სხვადასხვა საგნებია გამოსახული.

თრიალეთისა და ყარაშამბის თასებზე გამოსახული მაგიდების მსგავსი მაგიდები გამოსახულია სირიის ცილინდრულ საბეჭდავებზე და ქვის ჭურჭლებზე (ტაბ. L-6, 7), რომლებიც ძვ. წ. XXIII-XX საუკუნეებით თარიღდება (Porada 1966: 248; Bahnassi 1987: 41, სურ. 45). სირიული მაგიდების ფეხები, თრიალეთის თასზე გამოსახული ანალოგიური ნივთის ფეხების მსგავსად, შეწყვილებულია და ზედაპირის ცენტრიდან ვერტიკალურად ეშვება, ქვედა ნაწილში მკვეთრად გატოტვილია და ცხოველის ჩლიქის გამოსახულებით სრულდება. თუმცა თრიალეთურისაგან განსხვავებით სირიული მაგიდების ზედა ნაწილის კიდიდან ვერტიკალურად ეშვება საყრდენი, რომელიც მაგიდის ჩლიქით დაბოლოებულ ფეხს

უერთდება. უმეტეს სირიულ მაგიდაზე გამოსახულია სამკუთხედის ფორმის საგნები. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს შეიძლება იყოს პური. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ასე გამოისახებოდა ცეცხლი. არის ასევე მოსაზრება, რომ საბეჭდავებზე გამოსახული სამკუთხედები მხოლოდ დეკორს წარმოადგენს (Porada, 1966: 248). შესაძლოა თრიალეთის მაგიდაზე გამოსახული სამკუთხედებიც დეკორს წარმოადგენს.

ანატოლიურ საბეჭდავებზე დამოსახული მაგიდების (ტაბ. L-4, 5) ფეხები პარალელურად მიემართება თავისი სიმაღლის ნახევრამდე, შემდეგ კი რკალისებურად იტოტება და ცხოველის ჩლიქების გამოსახულებით ბოლოვდება. ქიულ-თეფე II - ქანეშში, აღმოჩენილ საბეჭდავზე გამოსახულია საკულტო სცენა, რომელშიც ასევე სამსხვერპლო მაგიდა ფიგურირებს. საბეჭდავი ასირიული სავაჭრო კოლონიის ეპოქის დროინდელია და ძვ.წ. XXI-XIX საუკუნეებით თარიღდება (Özgüc et all., (Eds) 2002: 234-239). ქიულ-თეფე II - ქანეშის მაგიდა ძალზე ჰგავს ყარაშამბის თასზე გამოსახულ მაგიდას, გარკვეული სიახლოვე შეინიშნება თრიალეთის მაგიდასთანაც. თუმცა, თრიალეთის მაგიდა ყველაზე მეტ მსგავსებას სირიულ მაგიდებთან პოულობს. მოხრილფეხებიანი და ჩლიქებით შემკული მაგიდები გამოსახულია მესოპოტამიურ ცილინდრულ საბეჭდავებზეც, რომლებიც, პოსტაქადური და ურის III დინასტიის ეპოქით, ძვ.წ. XXII-XXI საუკუნეებით თარიღდება (Porada, 1966: 249).

როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთის თასზე გამოსახულია სკამი (ტაბ. L-8), რომელზეც საკულტო სცენის მთავარი პერსონაჟი ზის. სკამი უზურგოა. ფეხები გადაჯვარედინებული აქვს, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ის სამფეხაა. ყარაშამბის თასზეც სამი უზურგო სკამია გამოსახული (ტაბ. L – 9-11). მათი ფეხებიც გადაჯვარედინებულია. თუმცა ამ შემთხვევაში, სკამები თითქოს ოთხფეხაა. ორი მათგანი ჩარჩოშია ჩასმული. ასეთი სკამი გამოსახულია როგორც ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშებზე, ასევე შუა საუკუნეების ფრესკებზე და მინიატურებზე. მისი ძველი ქართული სახელია „სელი“. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, სელი სკამია, „რომელიც შეიკურის და გაიხსნების“, ესე იგი გასაშლელი სკამი იყო. სელი ბიზანტიაშიც არსებობდა და მას „სელიო“ ეწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1965: 27).

თრიალეთის და ყარაშამბის თასებზე გამოსახული უზურგო სკამებისაგან დანსხვავებული, ზურგიანი სკამი აღმოჩნდა (ტაბ. L-14) ანანურის № 3 დიდ ყორღანში (Makharadze, 2014: ტაბ. II-1), რაც იმის მაუწყებელია, რომ ხის ავეჯი ყოფაში არსებობდა და რიტუალშიც გამოიყენებოდა.

მესოპოტამიურ, სირიულ და ანატოლიურ ცილინდრულ საბეჭდავებზე ხშირად არის გამოსახული სხვადასხვა სკამები (ტაბ. L-12,13) და სავარძლები (Boehmer, Kossack, 2000: სურ. 21-a; Özgüc et all, (Eds) 2002: 235; Пилипосян, 1998: ტაბ. 29-7), თუმცა არც ერთი მათგანი თრიალეთის სკამთან ახლო მსგავსებას ვერ პოულობს. უფრო ხშირად გვხვდება ყარაშამბის სკამის მსგავსი ეგზემპლიარები.

მოტანილი პარალელები მიუთითებს, რომ თრიალეთის და ყარაშამბის თასებზე გამოსახული ნივთები ახლოს დგას მახლობელი აღმოსავლეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან. შეიძლება ითქვას, რომ თრიალეთის თასზე გამოსახული მაგიდა უფრო ახლოსაა სირიულ ეგზემპლარებთან, ყარაშამბისა კი - ანატოლიურთან.

თრიალეთის კულტურისა და ახლოაღმოსავლური ცივილიზაციების ურთიერთკავშირის თაობაზე ადრეც არაერთხელ იყო აღნიშნული. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება თრიალეთის ვერცხლის თასის მსგავსებას ანატოლიისა და მესოპოტამიის ხელოვნების ნიმუშებთან (Куфтин, 1941: 87). კ. რუბინსონი თრიალეთის კულტურის გამოსახულებებსა და ანატოლიის ცილინდრულ საბეჭდავებს, კერძოდ კი, ასირიული სავაჭრო კოლონიის დროინდელ ცილინდრულ საბეჭდავებს შორის მსგავსებაზე მიუთითებს. ის პარალელებს ანატოლიის II ათასწ. ძეგლებთან ავლებს (Rubinson, 2003: 128-143). თრიალეთის და ყარაშამბის თასების გამოსახულებების შესწავლისას რ. ბოემერმა მათ პარალელები მესოპოტამიურ ხელოვნებაში მოუძებნა (Boehmer, Kossack, 2000: 29-33).

ჩვენი აზრით, თრიალეთის ვერცხლის თასის დათარიღება არა მხოლოდ ყორღანში აღმოჩენილი სხვა მასალების მიხედვით, არამედ თასზე გამოსახული მაგიდის მიხედვითაც შეიძლება. მსგავსი მაგიდები ახლო აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშებზე ძვ.წ. XXI ს-ში ჩნდება და ძვ.წ. XIX ს-ის შემდეგ აღარ გვხდება. პარალელური მასალები მესოპოტამიიდან, სირიიდან და ანატოლიიდან

მიუთითებენ, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული ნივთების არსებობა სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელი იყო მხოლოდ ძვ.წ. XXI - XIX სს. ფარგლებში.

ამრიგად, თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული ნივთები, კერძოდ ავეჯი, დიდ მსგავსებას იჩენს ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშებთან და მათზე გამოსახულ საგნებთან, ე.ი. გამოსახავენ რეალურად არსებულ ნივთებს, თუმცა ლოკალური თავისებურებებიც შეინიშნება. როგორც ჩანს, თრიალეთისა და ყარაშამბის თასებზე გამოსახული ნივთები სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის, თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხის რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებოდა. ამდენად, სახეზე გვაქვს ცხოვრების გარკვეული სტილი, რომელიც გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთსა და კავკასიაში.

ძველ აღმოსავლეთში საგნები, რომლებიც თრიალეთის და ყარაშამბის თასებზეა გამოსახული (მაგიდა, სასაკმევლე, ცილინდრული ფორმის სასმისები) ძირითადად კულტმსახურებაში გამოიყენებოდა. ჩვენი აზრით, თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოება ნაზიარები იყო ძველ აღმოსავლურ კულტურას და საკულტო პრაქტიკაც იმგვარად ტარდებოდა, როგორც მესოპოტამიურ რელიგიურ ცენტრებში, ხოლო ყორღანი ხანგრძლივმოქმედ სარიტუალო ადგილს წარმოადგენდა. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ყველა ყორღანში მიცვალებული არც ყოფილა დასვენებული და ის აგებული იყო მხოლოდ საკულტო ცერემონიებისათვის (მაგ. თრიალეთის XIV, ზურტაკეტის საფეხურებიანი, და შესაძლოს კუშჩის დარბაზებიანი ყორღანები).

სასმისები თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ 22 ფიგურას უჭირავს ხელში (Куфтин, 1941: 87-88). სასმისები ერთნაირია და წელში გამოყვანილი ცილინდრის ფორმისაა (ტაბ. LII-1,2). თასზე მოცემული გამოსახულების მიხედვით მათი სიმაღლე 20-30 სმ უდრის. ასეთი ფორმის თიხის სასმისები სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ჩნდება მტკვარ-არაქსის კულტურის ეპოქიდან, კიკეთიდან (Kiguradze, Sagona, 2003:73, სურ. 3.28) და ხიზანაანთ გორადან (კიკვიძე, 1972: 16, ტაბ. IX-1). კერამიკული ცალები (ტაბ. L0-19) ნაპოვნია ბეშთაშენში (Куфтин, 1941: 341, ტაბ. LIII) და ლორი ბერდში (Деведжян, 1981: ტაბ. X-4). ლითონისგან დამზადებული კი მხოლოდ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან

დადასტურებულია წითელგორების (ტაბ. LI-1) ყორღანში (ფიცხელაური, 2005: ტაბ. XLV-1).

ახლო აღმოსავლეთში სწორგვერდებიანი, ცილინდრული ფორმის ან ოდნავ წელში გამოყვანილი სასმისები პირველად აქადური ეპოქის სამხრეთ მესოპოტამიაში ჩნდება ძვ.წ. XXIV-XXIII საუკუნეებში და არსებობას ძველ ბაბილონურ ხანამდე ძვ.წ. XIX-XVIII საუკუნეებშიც განაგრძობს. ეს ჭურჭელი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. XXI-XVIII საუკუნეებში ისინ-ლარსას ეპოქაში. ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს ამ ტიპის ჭურჭელი ჯერ სამხრეთ მესოპოტამიაში – დიალას რეგიონში (ტელ-ასმარი, ხაფაჯე), შემდეგ კი ჩრდილო მესოპოტამიასა და ჩრდილო სირიაში ვრცელდება (Stein, 1984: 12, ტაბ. V - 14-16, 20-22, VII - 1-3, 14). უძველეს ხურიტულ ქალაქ გასურში – ნუზიში (იორგან-თეფეში) მსგავსი სასმისები (ტაბ. LI-5) აღმოჩენილია ტაძარში, მისი არსებობის მთელ მანძილზე, ე.ი. ურის III დინასტიიდან (ძვ.წ. XXII-XXსს), მითანის მეფე შაუშათარამდე, ე.ი. ძვ.წ. XV საუკუნემდე. ის ფაქტი, რომ ეს სასმისები ტაძარში 500 წელზე მეტ ხანს არსებობენ, მათ მაღალ რიტუალურ დანიშნულებაზე მიუთითებს.

ცილინდრული ფორმის, ან ოდნავ წელში გამოყვანილი, ლითონისგან დამზადებული სასმისები დადასტურებულია ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის და II ათასწლეულის პირველი საუკუნეების მესოპოტამიაში: აშურის 18-ე და 23-ე სამარხებში (ტაბ. LI-2), ურის სამეფო სამარხებში (ტაბ. LI-4), ტელოს, ტელ იელჰის, ტელ სულეიმას, ტელ სიფტის და ლარსას (ტაბ. LI-3) სამაროვნებზე (Müller-Karpe, 1995: 264, ტაბ. 6, 7). აქადური ეპოქიდან ძველბაბილონურ ხანამდე მსგავსი სასმისები დასავლეთ ირანშიც არის გავრცელებული (კალე ნისარი, თეფე გურანი, კამტარლანი, სუზა, თეფე გიანი). ცალკეული ეგზემპლარები ბაქტრიაში და ინდოსტანშიც ჩნდება. დასავლეთ ირანულ სასმისებს ვერტიკალური ყურიც უჩნდება (ტაბ. LI-10,11,12). ერთ-ერთ მსგავსს სასმისს ძვ.წ. XIX საუკუნის მფლობელის – ატაჰუშუს წარწერა ამკობს (ტაბ. LI-10), საიდანაც ვიგებთ ამ სასმისის შუმერულ დასახელებას - „გუნაგი“ (Müller-Karpe 1995: 264, ტაბ. 6, 7). ზოგჯერ ამ ტიპის ჭურჭელს ჰორიზონტალური რელიეფური ორმაგი სარტყელი ამკობს (ტაბ. LI-13, 14, 15). ამობურცული სარტყელი ასეთ ლითონის ჭურჭელზე მხოლოდ ისინ-ლარსას ეპოქაში დასტურდება (Müller-Karpe 1995: 301, სურ. 39).

მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია როგორც მესოპოტამიაში (ასურის №20 სამარხი, ტელ სულეიმას სამაროვანი), ასევე დასავლეთ ირანში (კალე ნისარი, თეფე გიანი, ჩიგა საბზი). სასმისების დიდი უმრავლესობა სპილენძისაა, მხოლოდ ასურის ჭურჭელია კალიანი ბრინჯაოსგან დამზადებული (Müller-Karpe, 1995: 264, ტაბ. 6, 7).

ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დასაწყისში თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული ცილინდრული სასმისების მსგავსი მოხატული კერამიკული ეგზემპლარები ვრცელდება ჩრდილო მესოპოტამიის და ჩრდილო სირიის (ბილა, ტელ-ბრაკი, ნუზი) ძეგლებზე (Stein, 1984: ტაბ. IV, IX, XI). აქადური პერიოდიდან ეს კერამიკა მოიცავდა აქადის იმპერიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს და გავრცელებული იყო ზაგროსის მთიანეთიდან ლიბანის მთებამდე. M. Mallowan-მა გეოგრაფიული მაჩვენებლის მიხედვით, ამ კერამიკის ერთი ჯგუფისათვის შემოიღო ტერმინი „სუბართუს კერამიკა.“ თუმცა შემდგომ მიზანშეწონილად იყო მიჩნეული დასახელება „ხაბურის კერამიკა“ და „ნუზის კერამიკა“ (Stein, 1984: 1-5). ტიპოლოგიურად მსგავსი ქვის ჭურჭელი უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ირანში, ჯიროფტის ნაქალაქარზე (ტაბ. LI-6), რომელსაც მისი გამთხრელი იუსუფ მაჯიზადე აიგივებს შუმერულ ეპოსში მოხსენიებულ არატას სახელმწიფოსთან.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით თრიალეთის ვერცხლის ქუსლიანი თასი, რომელზედაც გამოსახულია ჩვენთვის საინტერესო სასმისები, იშვიათობას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე. მისი კერამიკული ანალოგები ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან ასევე ჩრდილოეთ სირიასა და ზემო მესოპოტამიაშია გავრცელებული. ტიპოლოგიურად მსგავსი მოხატული ჭურჭელი (ტაბ. LI-7, 8) განსაკუთრებით პოპულარული ხდება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სირია-მესოპოტამიაში (Stein, 1984: გვ. X). ქვისგან დამზადებული ქუსლიანი თასები (ტაბ. LI-9) კი ასევე ირანში, ჯიროფტის კულტურის ძეგლებზე გვხვდება.

ჩვენი აზრით, კულტურული ნოვაციები სამხრეთ კავკასიაში თრიალეთის კულტურის ეპოქაში მოდის იმ ტერიტორიიდან, რომელზედაც ძველი აღმოსავლური წყაროებით სუბართუს ქვეყანა იგულისხმებოდა. დისკუსიები შუმერული და აქადური ტოპონიმის „სუბარ/სუბირ“-ის თაობაზე თითქმის საუკუნეა გრძელდება

სამეცნიერო წრეებში. მიუხედავად ამისა, ეს მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიული პრობლემა დღემდე არ არის გადაწყვეტილი. მეცნიერთა ნაწილი (Michalowski, 1999: 305-316) მას მითოსურ, ელდორადოს ტიპის ქვეყნად მიიჩნევს. მეორე ნაწილი კი, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად, ძველ აღმოსავლურ წყაროებზე დაყრდნობით, ამ ქვეყანას ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ჩრდილოეთ სირიასა და ნაწილობრივ ზაგროსის მთიანეთის ტერიტორიაზე ათავსებს. ესე იგი ისეთ ვრცელ ტერიტორიაზე, როგორიცაა ზაგროსის მთიანეთიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთამდე. ზოგიერთი მეცნიერი სუბართუს ჩრდილოეთ საზღვარს ვანის და ურმიის ტბების სანაპიროებთან ათავსებს. ამ შემთხვევაში ის თრიალეთის კულტურის ძეგლების საზღვრებს გადაკვეთს.

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ვერცხლის თასები მსგავსებას იჩენენ სირიაში (ტელ ბრაკი, ებლა) აღმოჩენილ თასებთან. „ნუზის კერამიკის“ მოხატული თასები (ტაბ. LI-7,8) უფრო წაგრძელებული და მინიატურულია (Cecchini, 1965: სურ. 128, 245). თრიალეთის და ყარაშამბის თასების მსგავსი კერამიკული ქუსლიანი თასები სამხრეთ კავკასიაში საერთოდ არ აღმოჩენილა.

ჯიროფტის კულტურის გავრცელების არეალში ხვდება ბემპურის მოხატული კერამიკა, რომელთანაც გასაოცარ მსგავსებას იჩენს თრიალეთის ღია ფერის მოხატული კერამიკა. ამავე კულტურისთვისაა დამახასიათებელი ქვის ცილინდრული ჭურჭლები, რომლებიც ტიპოლოგიურად თრიალეთის თასზე გამოსახულ სასმისებთან დგანან ახლოს.

ჩვენი აზრით, თრიალეთის ვერცხლის თასი შექმნილია მესოპოტამიური კულტურის ძლიერი ზეგავლენით იმ ეპოქაში, როდესაც ზემო მესოპოტამია და ჩრდილოეთი სირია გაერთიანებული იყო ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, რომელსაც ამავე დროს გარკვეული ინტერესები გააჩნდა ჩრდილოეთით მდებარე ისეთი გაერთიანებების მიმართ, როგორიც იყო მაგალითად სუბართუ. ასეთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩვენ მიგვაჩნია ნარამ-სინის დროინდელი აქადის სახელმწიფო (ძვ.წ. 2236 - 2200 წწ.), ან ურის III დინასტიის დროინდელი შუმერი. ნარამ-სინის მმართველობის წლებში აქადურმა სახელმწიფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია. მან დაიპყრო ებლა და მარი. მისი ძალაუფლება ანატოლიაში ტავროსის მთებამდე ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, დროის გარკვეულ მონაკვეთში

კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა სუბართუს ქვეყნის მმართველებთან, რომლებიც ნარამ-სინის ჯარს ამარაგებდნენ პროვიანტით ზემო მესოპოტამიაში სამხედრო ლაშქრობების დროს (Дьяконов (Ред.), 1983: 250). სუბართუს ქვეყანაში სავარაუდოდ ვანის და ურმიის ტბების სამხრეთი სანაპიროებიც შედიოდა, სადაც დადასტურებულია თრიალეთური მოხატული კერამიკა (ფუთურიძე, 1984; Özfirat, 2001). ტრანსკავკასიური შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტები დადასტურებულია ნარამ-სინის დროინდელ ტელ-ბრაკში (ნავარი) და ტელ-მოცანში (ურქეში). ფრაგმენტები იმდენად მცირეა, ძნელია თქმა, მტკვარ-არაქსის კულტურას ეკუთვნის ეს კერამიკა, თუ თრიალეთის კულტურას. აშკარაა, რომ კერამიკა სამხრეთ კავკასიურია და ძვ.წ. XXIII - XXII სს დროისაა. ამ პერიოდში კი ეს ქალაქები სუბართუს ქვეყანაში შედიოდა, რაც წერილობითი წყაროებით დასტურდება (Дьяконов (Ред.), 1983: 258).

ძვ.წ. XXI - XX საუკუნეებში განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდათ ურის III დინასტიის მეფეებს. სახელმწიფო მოხელეები მხოლოდ მეფის ბრძანებით ინიშნებოდნენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წოდება იყო „დიდი გზავნილი“ - სუკალ-მახი. ცნობილია სუკალ-მახების მთელი დინასტია, რომლებიც მეფე შულგის და მისი მემკვიდრეების დროს იყვნენ გარკვეული ტერიტორიის მმართველები. სუკალ-მახი ვარად-ნანა განაგებდა ქალაქ ლაგაშს, ზაგროსის ზოგიერთ ქალაქს, ქალაქ ურბილუმს (თანამედროვე ქ. ერბილი) და სუბართუს ქვეყანას (Дьяконов (Ред.), 1983: 268).

მეფე შულგის დროს ურის სამეფოს მთელი მიწები დაყოფილი იყო ოლქებად, რომელთა საზღვრები ზუსტად იყო განსაზღვრული. ცალკეულ ოლქებს ერთმანეთთან მჭიდრო სავაჭრო-სამეურნეო კავშირი ჰქონდათ, რომელიც ურიდან იყო კონტროლირებული. ხელოსნობასაც სახელმწიფო აკონტროლებდა, განსაკუთრებით კი – სპეციალიზირებულ ხელოსნობას (Дьяконов (Ред.), 1983: 275) ე.ი. ოქრომჭედლობა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო.

ძვ.წ. 2003 წელს ამორეველებმა დაანგრიეს ქ. ური. რამდენიმე წელი ური ნანგრევებად იყო ქცეული. მხოლოდ ძვ.წ. 1996 წლიდან ურში ისინის I დინასტია გადადის და იწყება შუმერის აღორძინება. ისინის I დინასტიის მეფეები (ძვ.წ. 2017-1935 წწ) შეეცადნენ სახელმწიფო აეყვავებინათ. მათ სტეპებში დააბრუნეს

ამორეველები. სამხედრო კამპანიები მოაწყვეს ელამსა და სუბართუში (Дьяконов (Ред.), 1983: 341). მეფე ხამურაპის დროს (ძვ.წ. 1793-1750 წწ) ბაბილონის სამეფოსა და სუბართუს შორის გარკვეულ პერიოდში კეთილმეზობლური ურთიერთობა იყო. ძვ.წ. 1764 წელს სუბართუს და კუთიელების სამხედრო რაზმების დახმარებით ხამურაპიმ დაამარცხა ელამის, ეშნუნას და მალგიუმის გაერთიანებული ჯარი (Бонгард-Левин Г. (Ред.) 1988: 362).

როგორც ჩანს, მესოპოტამიაში ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობისას სუბართუს სამეფო მოკავშირეა, ხოლო არეულობის წლებში სუბართუ თავად აწყობს ლაშქრობებს მესოპოტამიაში. ჩვენი აზრით, მესოპოტამიური კულტურული ინოვაციები სამხრეთ კავკასიაში სწორედ ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობის დროს უნდა შემოსულიყო. ამდენად, შეიძლება ვივაუდოთ, რომ სამხრეთკავასიელი „მეფეების“ ვერცხლის თასები (თრიალეთის V ყორღანიდან და ყარაშამბის ყორღანიდან) სამხრეთ კავკასიისა და მესოპოტამიის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ასახვას წარმოადგენს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველი იმდუგუდის (ყარაშამბის), ისევე როგორც “სირიული“ მაგიდების გამოსახულება (თრიალეთი, ყარაშამბი) ძველი ბაბილონური ეპოქიდან აღარ ჩნდება, ე.ი. თასების სიუჟეტები ძვ.წ. XXII-XX საუკუნეებში უნდა ყოფილიყო შექმნილი.

ცილინდრული სასმისების გავრცელება მესოპოტამიის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ რეგიონში, მაშინ როდესაც ასურში „ხაბურის კერამიკის“ წარმოებაა დამოწმებული, მოწმობს რომ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის დასაწყისში მდ. ზაბის სამხრეთი და მდ. ბალიხის დასავლეთი რეგიონები შუმერის გავლენის სფეროშია. შუმერული გავლენის გაფართოვებას და გაძლიერებას მოწმობს წერილობითი წყაროებიც. თიხის ფირფიტების მიხედვეთ ჩრდილოეთ და სამხრეთ მესოპოტამიას შორის გაცხოველებული ვაჭრობა იყო. ქალაქები ლარსა, ეშნუნა და მარი ვაჭრობენ ხე-ტყით, ღვინით, საკმევლით, ტკბილი ლერწმით, ქსოვილებით და სხვა ნივთებით. სავაჭრო გზა გადიოდა მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე არაპხას ხურიტულ სამეფოზე. ჩვენთვის საინტერესო სასმისების დადასტურება ჩრდილო და სამხრეთ მესოპოტამიაში ამ კავშირების

არსებობას ადასტურებს. ამ კატეგორიის კერამიკის დადასტურება სხვადასხვა რეგიონში მოწმობს არა ეთნიკურ გადაადგილებას, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და ურთიერთკავშირებს.

აღსანიშნავია, რომ თრიალეთის და ყარაშამბის ვერცხლის თასებზე გამოსახული ნივთების მთელი რიგი: მაგიდა, სკამი, სასაკმევლე, სასმისები ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში არქეოლოგიურად დადასტურებულია ან ხელოვნების ნიმუშებზეა გამოსახული ჩრდილოეთ სირიისა და ზემო მესოპოტამიის ქალაქურ ცენტრებშია, ე.ი. სავარაუდოდ სუბართუს ქვეყნის ტერიტორიაზე, თუმცა ჯერ არაა დადასტურებული სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე.

წერილობითი წყაროების მიხედვეთ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ მესოპოტამიას, მესოპოტამიასა და ინდის დაბლობის ქალაქებს, ირანსა და სპარსეთის ყურის კუნძულებს, ირანსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის. ვაჭრობდნენ ხე-ტყით, ღვინით, საკმევლით, ტკბილი ლერწმით, ქსოვილებით და სხვა ნივთებით. სავაჭრო ქსელში შესაძლოა თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხიც იქნებოდა ჩართული (Puturidze, 2005: 11, 20). თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სასმისების დადასტურება ჩრდილო და სამხრეთ მესოპოტამიაში ამ კავშირების არსებობაზე მიუთითებს. ჩვენი აზრით, ამ კატეგორიის კერამიკის დადასტურება სხვადასხვა რეგიონში მოწმობს არა ეთნიკურ გადაადგილებას, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და ურთიერთკავშირებს.

თრიალეთის თასზე სამსხვერპლო მაგიდის გვერდით გამოსახულია დიდი ზომის ჭურჭელი (ტაბ. LI-17), რომელსაც გარკვეული მსგავსება აქვს „საკულტო ვაზას"-თან ან მაღალფეხიან სასაკმევლესთან, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მესოპოტამიაში (Moon, 1982: 64-66), აღმოსავლეთ ანატოლიასა (ტაბ. LI-18) (Frangipane, Palumbi, 2005: 237, სურ. 4, 5) და ირანში (7000 Jahre persische Kunst 2001: 133, სურ. 57) ძვ.წ. IV ათასწლეულიდან მოყოლებული ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლომდე. ასეთი ჭურჭელი აღმოჩენილია როგორც სამარხებში, ისევე ტაძრებში, რაც მის მაღალ საკულტო დანიშნულებაზე მეტყველებს. ამიტომ, ჩვენი აზრით,

თრიალეთის თასზე გამოსახული მაღალფეხიანი ჭურჭელიც ასევე რიტუალური კერამიკის კატეგორიას მიეკუთვნება.

ყარაშამბის თასზე გამოსახულ ორ პერსონაჟს ხელში თასები უჭირავთ (ტაბ. LII-4, 5). სხვადასხვა სახის ჭურჭელი სამსხვერპლო მაგიდებზეც ალაგია (ტაბ. LII-11-17). ამ ჭურჭელს უახლოესი ანალოგები მესოპოტამიაში მოეპოვება. მაგიდის გვერდით მდგომ ფიგურას ხელში ფართოპირიან სასმისი უჭირავს, რომლის მსგავსი მაგიდაზეც დგას. ანალოგიური სასმისები გამოსახულია ცნობილ შტანდარტზე ურის სამეფო ნეკროპოლიდან (ტაბ. LII-7). აქ მსგავსი ჭურჭელი სკამებზე მჯდომარე პერსონაჟებს უჭირავთ ხელში (Woolley, 1934: ტაბ. 92). ურის სამეფო სამარხში, რომელიც ადრედინასტიური III პერიოდით თარიღდება, აღმოჩნდა ოქროსგან დამზადებული (ტაბ. LII-8) ანალოგიური ეგზემპლარი (Woolley, 1934: ტაბ. 162; Boehmer, Kossack, 2000: 3). ურ-ნანშეს სტელაზე (ტაბ. LII-10), რომელიც ტელოშია ნაპოვნი და ასევე ადრედინასტიური III პერიოდით თარიღდება (Frankfort, 1977: სურ. 73), ამავე ტიპის სასმისი ღვთაებას უჭირავს.

ყარაშამბის თასზე, მაგიდის გვერდით მჯდომ ფიგურას თასი უჭირავს (ტაბ. LII-5), რომლის მსგავსი ცალიც მეორე მაგიდაზე დევს (ტაბ. LII-11,13), ხოლო მესამე ანალოგიური თასი გამოსახულია სადგარზე, რომელიც მეორე, სამფეხიანი მაგიდის გვერდით დგას (ტაბ. LI-16). ამავე ტიპის პირგადაშლილი ოქროს თასი (ტაბ. LII-9) ასევე ურის სამეფო ნეკროპოლზეა აღმოჩენილი, მეს-ქალამ-დუგის სამარხში (Woolley, 1934: ტაბ. 163; Boehmer, Kossack, 2000: 30). სამფეხა მაგიდაზე ფართოპირიანი თასის გარდა დგას ორი ჭურჭელი; ყურიანი დოქი და დაბალყელიანი ქოთანი (ტაბ. LII-11, 12, 14). ამ უკანასკნელის მსგავსი ქოთნები ხშირად გამოისახება შუმერულ გლიპტიკასა და სკულპტურაზე. მსგავსი ქოთანი, საიდანაც ორ ნაკადად იღვრება წყალი, ხელში უჭირავს ლაგაშის მეფის, გუდეას ქანდაკებას (ტაბ. LII-6). ანალოგიური ჭურჭელი უჭირავს იშთარის ქანდაკებას მარიდან (ტაბ. LII-3). საინტერესოა, რომ ქანდაკების შიგნით მილი იყო გაყვანილი და გარკვეული ცერემონიების დროს ქურუმები მილში წყალს უშვებდნენ, რომელიც სწორედ ქოთნიდან იღვრებოდა (Frankfort, 1977: სურ. 131, 132). მსგავსი ეგზემპლარი – ვერცხლის „ვაზა", აღმოჩნდა ლაგაშში, რომელიც ადრედინასტიური III პერიოდით თარიღდება და ეკუთვნოდა ლაგაშის მეფეს ენთემენას (Frankfort, 1977: სურ. 70).

ჭურჭელი სამ ცხოველის თათისებურ ფეხზე დგას. „ვაზის” ზედაპირზე გამოსახულია მითოლოგიური ლომის თავიანი არწივი – ანზუდი.

ყარაშამბის თასზე, სამფეხიანი მაგიდის გვერდით გამოსახულია სადგარი, რომელზეც თასი დგას (ტაბ. LI-16). ამ სადგრის მსგავსი ნივთები ხშირად გამოისახებოდა ადრედინასტიური ხანის შუმერულ ცილინდრულ საბეჭდავებზე (Boehmer, Kossack, 2000: 30).

საყურადღებო მასალას იძლევა თასებზე გამოსახული ტანსაცმელი. ტანსაცმელი კულტურის ერთ-ერთი ელემენტია. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „რა მასალა მოგვეპოვება ჩვენ უძველესი ხანის ტანისამოსის აღსადგენად? ამის შესახებ არავითარი ცნობები არ არის შემონახული; ხოლო მომავალში, თუ დამტკიცდება ქართველთა ნათესაობა წინა აზიის ხალხებთან... მაშინ შესაძლებელი გახდება ასურეთსა და ეგვიპტეში დაცული ბარელიეფებისა და მხატვრობის მიხედვით, თეორიულად მაინც აღდგენილ იქნეს ამ ტანისამოსთა სახე“ (ჯავახიშვილი, 1962: 3).

სამხრეთ კავკასიაში ქსოვილი პირველად ადრე ბრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დადასტურდა. ადრე ბრინჯაოს ხანის ქსოვილის ნაშთები დღეისათვის მხოლოდ კერამიკის სარჩულის ან ჭურჭლის ძირზე შემორჩენილი ანაბეჭდების სახით არის შემორჩენილი (ქორიძე, 1955: 33). შუა ბრინჯაოს ხანაში ასეთი კერამიკა აღარ გვხვდება, სამაგიეროდ, სამარხებში უკვე დასტურდება ქსოვილის და ნართის ფრაგმენტები (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 23, 98). გვიანბრინჯაოს ხანის ქსოვილის ფრაგმენტები აღმოჩენილია ართიკის და საფარ-ხარაბას სამაროვნებზე (Хачатрян, 1963: 134, ნახ. 19,20; ნარიმანიშვილი, 2006).

მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილები სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე არქეოლოგიურად დასტურდება, ფაქტურისა და ტანსაცმლის სტილის შესახებ ისინი ინფორმაციას ნაკლებად შეიცავენ. ამ ნაკლის ნაწილობრივ შევსება სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ადამიანის ფიგურების ჩაცმულობით, ან ორნამენტული გამოსახულებების შესწავლით არის შესაძლებელი. ეს მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამოსის სტილზე, რაობასა და დამზადების წესებზე.

ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში არსებული ტანსაცმლის სტილი კვლევის საგანი დღემდე არ გამხდარა. ამდენად, ჩვენი ნაშრომით გვსურს

წარმოვაჩინოთ ის პერსპექტივა, რომელიც, ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებას შეიძლება მოჰყვეს. ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. II ათასწლეულის ჩაცმულობაზე მდიდარ ინფორმაციას იძლევა თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასები.

თრიალეთის ვერცხლის თასზე ოთხი ფრიზია მოცემული. მეორე ფრიზზე გამოსახულია სარიტუალო პროცესია (Куфтин, 1941: 89-91; ჯაფარიძე, 1982: 12). თითქმის ერთნაირ ტანისამოსში გამოწყობილი 22 ადამიანი ძღვენით ხელში მიემართება უზურგო სკამზე მჯდომი ცენტრალური ფიგურისაკენ (ტაბ. XLVIII). პროცესიის მონაწილეებს აცვიათ მოკლე სამოსი, რომლის გულისპირი სამკუთხად ამოჭრილია (ტაბ. LIII-1, 2). სამოსის გულისპირს, კალთასა და ქობას შემოსდევს დაშტრიხული ზოლები, რომელიც თითქოს ცხოველის კუდით ბოლოვდება. განსხვავებული ტანსაცმელი აცვია ცენტრალურ ფიგურას, რომლის სამოსის ორნამენტული ზოლი მკვეთრად გამოხატულ მართკუდხედს ქმნის. სხვებისაგან განსხვავებით, მის სამოსს „კუდი“ არ ემჩნევა (ტაბ. LIII-2). ყველა არსებას გააჩნია ირიბი ხაზებით გადმოცემული წვერი და თმა. თუმცა შესაძლოა ეს თმა კი არა თავზე მჭიდროდ დაფარებული ტყავის ან ქსოილის ქუდი იყოს. ყველა ფიგურას ფეხზე ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია (ტაბ. XLVIII), რომელიც წვივთან ან კოჭთან თასმებითაა შეკრული. თასზე რელიეფურად არის მოცემული ფეხსაცმელი, მაღალი წინდები და შარვალი.

ყარაშამბში აღმოჩენილ თასზე გამოსახული სიუჟეტი გაცილებით რთულია, ვიდრე თრიალეთისა და ჩაცმულობაც უფრო მრავალფეროვანია (ტაბ. XLIX). თასზე ექვსი ფრიზია მოცემული (Boehmer, Kossack, 2000: 17-21). პირველ ფრიზზე ნადირობის სცენაა გამოსახული, თუმცა მონადირის ტანსაცმელი გარკვევით არ ჩანს. მეორე ფრიზზე მოცემულია შეიარაღებული პირების, არფაზე დამკვრელის და მჯდომარე ფიგურისაკენ ძღვენით მიმავალი ადამიანების გამოსახულებები. მესამე ფრიზზე გამოსახულია მითოლოგიური პერსონაჟები: ლომისთავიანი არწივი – შუმერული მითოლოგიაში ცნობილია, როგორც ფრინველი ანზუდი, ხოლო აქადურად მას იმდუგუდი ეწოდებოდა. ის ომის ღვთაება ნინურთას სიმბოლო იყო. ამავე ფრიზზე გამოსახული არიან ფანტასტიკური პერსონაჟები, რომლებსაც შეიარაღებული მეომრები ებრძვიან და მჯდომარე ფიგურა ცულით ხელში, რომლის

თავზე რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული, რომელიც შუმერული პანთეონის მზის და სამართალის ღვთაების – უთუ-შამაშის სიმბოლო იყო.

ყარაშამბის თასზე გამოსახულ ადამიანებს თრიალეთის თასისაგან განსხვავებული ტანსაცმელი აცვიათ. შეიარაღებულ ადამიანებს დიდი ფარები უჭირავთ, რომლებიც ტანსაცმელსა და მოსასხამს ნაწილობრივ ფარავენ. ყველა მათგანს ჭვინტიანი, დაბალყელიანი ფეხსაცმელი აცვია, რომლებიც კოჭებთან თასმითაა შეკრული. ყარაშამბის თასზე გამოსახულ ადამიანებს სამი სახის ტანსაცმელი აცვიათ: ძღვენის მიმტანები გულმკერდდახურული მოკლე ტუნიკით არიან შემოსილი (ტაბ. LIII - 3-26). წელზე სარტყელი აკრავთ, საიდანაც დეკორირებული ზოლი ეშვება და თრიალეთის ტანსაცმლის მსგავსად ქობაზე დატანილ, ასევე დეკორირებულ არშიას უერთდება. სამ მჯდომარე ფიგურას კი სარტყელი არ აქვს. მათ აცვიათ მოკლესახელოებიანი ტუნიკები, რომელთა მომრგვალებული გულისპირი და ქვედა ქობა დეკორირებულია. მეომრების ჩაცმულობა განსხვავებულია. მათ ტუნიკები არ აცვიათ. ცოცხალ მეომრებს გულდახურული, სამი სამკუთხედით შემკული ზედატანი აცვიათ. დამარცხებული მეომრების ზედა სამოსი გრძელსახელოებიანია. მათ მკერდზე ჯვარედინად გადაკრული თასმები და წელზე შემორტყმული სარტყელი გააჩნიათ.

ძვ.წ. XV-XIV სს. დათარიღებულ საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილ საბეჭდავზე გამოსახულ ფიგურას მოკლე ტუნიკა აცვია (ტაბ. LIV-7), წელზე სარტყელი აქვს შემორტყმული, თავზე წაწვეტებული, „ანატოლიური" ქუდი ახურავს. ფეხზე კი ოდნავ წვერაწეული ფეხსაცმელი აცვია (Нариманишвили, 2004: 106). გვიანი ბრინჯაოს ხანის ართიკის სამაროვანზე აღმოჩენილ საბეჭდავზეც, მოკლე ტუნიკებით შემოსილი ფიგურებია გამოსახული (Хачатрян, 1963: 137, ნახ. 21).

ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი დათარიღებულ დვინის სამლოცველოში აღმოჩენილ თიხის თასზე (ტაბ. LIV-1) ნადირობის სცენაა გამოსახული (Кушнарёва 1977: 12, ნახ. 13). მონადირის ჩაცმულობა მსგავსია ყარაშამბის და თრიალეთის თასებზე გამოსახული არსებების ტანსაცმლისა. მონადირის ქუდი, თუ მუზარადი გადმოცემულია ირიბი შტრიხებით. მოკლე სახელოებიანი, გულზე სამკუთხად ამოჭრილი ზედა სამოსი წელზე სარტყლით არის შეკრული. ფეხსაცმელი ჭვინტიანია, მაგრამ არა ისე, როგორც შუა ბრინჯაოს ხანის თასებზე.

რელიეფურად არის გამოყოფილი ფეხსაცმელი, შარვალი და შესაძლოა, მაღალი წინდა.

თრიალეთისა და ყარაშამბის თასებზე გამოსახული ჩაცმულობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ერთი ნაწილი ორგვარ შარვალს ატარებდა: ერთი ვიწროა, რომელზედაც ზევიდან წინდა, ან წუღა აქვთ ამოცმული, მეორე კი ფართოა და კოჭებთან თასმებით შეკრული.

ძვ.წ. II ათასწ. I ნახევარში ყველას ჭვინტიანი ფეხსაცმელი აცვია, თუმცა მოგვიანებით მათი ცხვირი ძალიან აწეული აღარ არის. თავსაბურავებიც განსხვავებული აქვთ. თრიალეთის და დვინის ფიგურებს თავზე მჭიდროდ მოცმული, ყურებთან ამოღებული ქუდები, თუ მუზარადები ახურავთ, საფარ-ხარაბას საბეჭდავზე გამოსახულ ადამიანს კი - წაწვეტებული, ანატოლიური ქუდი. ყარაშამბის ერთ-ერთ ფიგურას კი მაღალი წაწვეტებული ქუდი თუ მუზარადი ახურავს.

ძვ.წ. II ათასწლეულის სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ქსოვილების რაგვარობისა და მათი ფერის შესახებ ძალზე მწირი მონაცემები მოგვეპოვება. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლებიდან ასეთი მონაცემები პრაქტიკულად არ გაგვაჩნია. მეორე ნახევრით დათარიღებულ ორ ძეგლზე კი მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოპოვებული.

თრიალეთში, ძვ.წ. XV-XIV სს. დათარიღებულ საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებული პალინოლოგიური გამოკვლევებით სამი სახის ქსოვილი: სელი, შალი და ბამბა დადასტურდა (Kvavadze, Narimanishvili, 2006: 34). ზოგიერთ სამარხში ერთად გვხვდება შალის და ბამბის ნაშთები. არ არის გამორიცხული, რომ შალისგან იკერებოდა ზედა სამოსელი - კაბა, პერანგი კი ბამბისა იყო. ამ სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების სამოსი ყავისფერი, ლურჯი, ალისფერ-წითელი, ფირუზისფერი, ყვითელი და შავი ფერებით ყოფილა შეღებილი (ნარიმანიშვილი 2006: 103).

ართიკის სამაროვანზე აღმოჩენილი შავი ფერის შალის ქსოვილი წითელი ძაფითაა ამოქარგული (ტაბ. LIV-2). ტანსაცმელი ვერტიკალური ზიგზაგებითა და სვასტიკების კომპოზიციით არის მორთული. ქსოვილის ქვედა ნაწილზე

თანამიმდევრობით ბრინჯაოს ოთხი პატარა ღილი აკერია (Хачатрян, 1963: 134). ქსოვილის ეს ფრაგმენტი უნიკალურია კავკასიის ბრინჯაოს ხანისათვის

სხვადასხვა გეოკლიმატურ პირობებში მცხოვრები ადამიანები განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდნენ. განსხვავებული ტანსაცმელი ეცვათ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს. განსხვავებული იყო მასალა, რისგანაც მზადდებოდა ტანსაცმელი. ჩასაცმელის სტილი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელ გეოკლიმატურ ზონაში ცხოვრობდა ადამიანი.

ძვ.წ. II ათასწლეულის მახლობელ აღმოსავლეთში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჩასაცმელი (ტაბ. LIV-3) იყო ტუნიკა და ქვედაბოლო (Дьяконов, 1990: 36). ტუნიკა წარმოადგენდა უსახელო, ანდა ძალიან მოკლე სახელოებიან ტანსაცმელს, რომელიც მზადდებოდა შალისაგან, საყელოს კანტი ამოქარგული იყო. ტუნიკის დამზადება მოითხოვდა გარკვეულ სამკერვალო ხელოვნებას, ამიტომ ძველ მესოპოტამიაში უფრო გამოიყენებოდა წინსაფრები.

მეფეები და დიდებული ქურუმები ატარებდნენ გრძელი ქსოვილისაგან შეკერილ ტუნიკას. ლურსმული ტექსტებიდან ჩვენ ვიცით, რომ განსხვავებული ტანსაცმელი ეცვა ქურუმ კაცებს და ქურუმ ქალებს, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. განსხვავებული ტანსაცმელი ეცვათ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც: გლოვის დროს ატარებდნენ უხეში ქსოვილისაგან, ან ჭილოფისაგან დამზადებულ ტანსაცმელს. განსხვავებული ტანსაცმელი ეცვათ ფეხმძიმობის დროს (Дьяконов, 1990: 39). ორიგინალური და მრავალფეროვანი იყო თავსაბურავები. მამაკაცები ატარებდნენ თექის, მომრგვალებულ ქუდებს ან მაღალ ჩაჩებს. მეფეებს ეხურათ მრგვალი კიდეებაკეცილი ქუდები. მესოპოტამიელები ძირითადად ფეხშიშველები დადიოდნენ, იშვიათად ატარებდნენ სანდლებს ან ჩექმებს (Дьяконов, 1990: 42).

მესოპოტამიაში ტანსაცმელს ძირითადად ცხვრის მატყლისაგან ამზადებდნენ. ცნობილი იყო სელის და ბამბის ქსოვილები, სელის ქსოვილისაგან მზადდებოდა სამეფო და უმაღლესი ქურუმი ქალის ტანსაცმელი. ქსოვილი ძირითადად თეთრი ფერის იყო, რადგან საღებავი ძვირი ღირდა, ფერადი ტანსაცმლის შესახებ ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით. ძირითადი წყარო უძველეს ქალაქ მარიში აღმოჩენილი

ფრესკებია (ტაბ. LIV-5,6), რომელზეც ადამიანები გამოსახული არიან ფერად სამოსელში (Дьяконов, 1990: 40).

მესოპოტამიურ და ხეთურ საბეჭდავებზე გამოსახული პროცესიების მონაწილეების სამოსი, განსხვავდება თრიალეთის და ყარაშამბის თასზე გამოსახული ჩაცმულობისაგან. მესოპოტამიურ საბეჭდავებზე გამოსახულ პირებს აცვიათ კოჭებამდე გრძელი ტანსაცმელი და რქებით შემკული ქუდები ახურავთ.

ხეთების ქანდაკებებზე, რელიეფებსა (ტაბ. LIV-3) და საბეჭდავებზე გამოსახულ ადამიანებს მრავალფეროვანი სამოსი აცვიათ (Özgüc et all. (Eds), 2002: 68, 114, 164, 275). მათი ჩაცმულობა განსხვავდება მესოპოტამიურისაგან. სამაგიეროდ მეტი საერთო აქვთ სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილ თასებზე დაფიქსირებულ ტანსაცმელთან.

ხურიტების ტანსაცმელი შედგებოდა მოკლე, ფერადი წინსაფრისაგან, რომელიც ზოგჯერ ფოჩებიანი არშიით იყო მორთული. ამ სამოსს ზოგჯერ იცვამდნენ მოკლესახელოებიანი პერანგის ზევით. ფეხსაცმელი წარმოადგენდა დაბალყელიან ჩექმას. თავზე ეხურათ მაღალი ჩაჩისებური ქუდი, ანდა შემოხვეული ჰქონდათ თავსაფარი. ტანზე ზოგჯერ გრძელი მოსასხამი ჰქონდათ მოხურული. ხურიტები გარკვეულ რიტუალებს შუმერულ-აქადურ ტანისამოსში ატარებდნენ (ИДВ, 1988: 90).

სრულიად განსხვავებულ სამოსელს ატარებდა ირანის უძველესი მოსახლეობა. ბრინჯაოს ნივთებზე გამოსახულ ადამიანებს, გრძელი, კოჭებამდე, ან მუხლამდე კაბა აცვიათ (Godard, 1964: სურ. 24, 64; ტაბ. 21). ქვედა ბოლო ტრაპეციისებურია და მორთულია ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად განლაგებული დეკორით. კაბა წელში გამოყვანილია და სარტყელითაა შეკრული. ზედატანი მოკლე, ან გრძელსახელოებიანია, გულზე ჯვარედინად ორი თასმითაა გადაკრული (ტაბ. LIV-4). ფართო შარვალი და ქალამნისებური ფეხსაცმელი აცვიათ. თავზე მრგვალი ქუდი ახურავთ.

ტანსაცმლის მიხედვით მესოპოტამიელი შეიძლება განვასხვავოთ ირანელისაგან, ანატოლიელი კი ეგვიპტელისაგან. ეროვნული სამოსი - ეს არის ნივთიერი კულტურის ძეგლი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ხალხის ისტორიულ

წარსულს, მათი ყოფის თავისებურებას, რომლის განვითარება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და ყველა კუთხეში თავისებურადაა ფორმირებული.

შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე გამოსახულ ადამიანებს აცვიათ კავკასიისათვის დამახასიათებელი სამოსი, რომელსაც განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია ათასწლეულების განმავლობაში და მსგავსი ჩაცმულობის ელემენტები დღესაცაა შემორჩენილი მთიელთა ყოფაში.

ამდენად, თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სიუჟეტი დამახასიათებელია ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნის შუამდინარული ხელოვნებისათვის, ე.ი. ტრადიციული ხდება იმ პერიოდში, როდესაც მესოპოტამიაში ჩამოყალიბდა პირველი დესპოტიები. არც მანმადე და არც შემდგომში ეს სიუჟეტი არ სარგებლობდა მსგავსი პოპულარობით. თუმცა თასზე გამოსახული ფიგურები მესოპოტამიური ნიმუშებისაგან განსხვავებით შემოსილები არიან ადგილობრივი, კავკასიელებისათვის ჩვეულ ტანისამოსში, რაც გვავარაუდებინებს, რომ თასი დამზადებული იყო მესოპოტამიურ ხელოვნებაში გაბატონებული სტილის დაცვით, მაგრამ ის მზადდებოდა კავკასიელი ხელისუფლისათვის.

მსგავსი სიუჟეტური კომპოზიციები, რომლებიც გამოსახავენ ღვთაების, ან გაღმერთებული მეფის თაყვანისცემას, ღმეთების პროცესიას ტახტზე მჯდომი მთავარი ღმერთის წინ სარიტუალო საგნებით ხელში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა ურის III დინასტიის ხანაში და ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებისათვის, ხური-მითანის სამეფოს ჩამოყალიბების დროისათვის თითქმის სწყვეტს არსებობას. ურის III დინასტიის ხელოვნების ნინუშებზე, განსაკუთრებით რელიეფსა და გლიპტიკაში სჭარბობს ერთადერთი სიუჟეტი – თაყვანისცემის სცენა. ეს სიუჟეტი ისეთი მდგრადობით მეორდება, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საბეჭდავები შტამპურად კეთდება, რომ არა წარწერები სხვადასხვა სახელებით (Бонгард-Левин (Ред.), 1988: 300).

ამდენად, თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული თაყვანისცემის სცენა თითქმის იდენტურია ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულს მესოპოტამიაში დამკვიდრებული ხელოვნების სტილისა.

§. 2. ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვები და ლორი-ბერდის ყორღანის მოხატულობა

ზურტაკეტის №№ 3, 4 და 6 ყორღანების დასაკრძალავი დარბაზების და დრომოსის კედლებში ჩაშენებული იყო ქვები, რომლებზეც სხვადასხვა გამოსახულებები იყო ამოკაწრული (ტაბ. LV). № 3 ყორღანში 70 ნიშნიანი ქვა აღმოჩნდა. № 4 ყორღანში – 117, ხოლო № 6-ში – 78 (ჯაფარიძე, 1969: 178-182). ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „დასაკრძალავი დარბაზების" კედლებში ამ ქვების განლაგების არავითარი კანონზომიერება არ შეინიშნება. ქვები სხვადასხვა ზომისაა, განლაგებული არიან სხვადასხვა დონეზე და ერთმანეთისაგან სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებულნი (ჯაფარიძე, 1969: 178). გამოსახულებები ძირითადად ფილაქვებზეა მოცემული, რიყის ქვებზე კი შედარებით იშვიათია. ო. ჯაფარიძის აზრით, ნიშნები ქვებზე კედლის წყობის ამოყვანამდე უნდა ყოფილიყო შესრულებული (ჯაფარიძე, 1969: 183).

გამოსახულებები ძალზე აბსტრაქტული და სქემატურია. ხშირად ერთ ქვაზე სხვადასხვა რთული გეომეტრიული მოტივია გამოსახული. ყველაზე ხშირად ურთიერთგადამკვეთი ხაზებია გამოსახული (ჯაფარიძე, 1969: ტაბ. XXVIII, სურ. 66-68). ურთიერთგადამკვეთი ხაზები ზოგჯერ ოთხკუთხედებს, სამკუთხედებს ან რომბებს ქმნიან. ხშირია ბადის მოტივი (ჯაფარიძე, 1969: 183, ტაბ. XXVIII), ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად განლაგებული ტეხილი ხაზები, რომბები და სამკუთხედები (ჯაფარიძე, 1969: 183, 184, ტაბ. XXX, სურ. 69, 70). გავრცელებულია წიწვოვანი ორნამენტიც (ჯაფარიძე, 1969: 184, სურ. 67, 70). ერთ-ერთ ქვაზე ჭადრაკული მოტივიც არის (ჯაფარიძე, 1969: 184, სურ. 68). ორ ქვაზე სხვადასხვა ტიპის ნაგებობაა დატანილი (ჯაფარიძე, 1969: 184, ტაბ. XXX-1, სურ. 70). ოთხ ქვაზე აშკარად ცხოველია გამოსახული (ტაბ. LVI). ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამოსახულება მივამსგავსოთ ფრინველს ან რაიმე ცხოველს, მაგრამ ნაკაწრი ძალზე აბსტრაქტულია და გარკვევით რაიმის თქმა ჭირს. ზურტაკეტის № 3 ყორღანში ერთ ქვაზე ხარის გამოსახულება უნდა იყოს მოცემული (ჯაფარიძე, 1969: 184, ტაბ. XXXI-2, სურ. 72). ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომელზეც ჩარჩოში ჩასმული პატარა ზომის ცხოველია გამოსახული (ტაბ. LVI-3). აქვე ვერტიკალურ ხაზებს შორის შეიმჩნევა ცხოველის გამოსახულება (ტაბ. LVI-2),

რომლის ტანი ორი შეერთებული სამკუთხედითაა გადმოცემული (ჯაფარიძე, 1969: სურ. 72). № 6 ყორღანში აღმოჩენილ ორფერდა ქვაზე გამოსახულება ორივე ფერდზეა მოცემული. ერთი ფერდი ურთიერთგადამკვეთი ხაზებითაა დაფარული. მეორეზე გამოსახულია ირემი (ტაბ. LVI-1,5). მისი სხეული მართკუთხედითაა შემოხაზული. ირმის გამოსახულების ქვევით სამად გაყოფილი დეკორატიული არეა. უშუალოდ ირმის გამოსახულების ქვევით დაშტრიხული სამკუთხედების რიგია, რომლებიც ბადისებური მოტივით შემკულ ზოლზეა განლაგებული. მის ქვემოთ მცირე ზომის ცარიელი არეა, რომლის ქვემოთ მართკუთხედში ჩასმული დაშტრიხული რომბები, წიწვოვანი მოტივი და ბადისებური ორნამენტით შემკული გეომეტრიული ფიგურებია მოცემული (ტაბ. LVI-1). სულ ქვედა, ყველაზე ფართო ნაწილში კი ფართო ბადისებური ორნამენტია გამოსახული (ჯაფარიძე, 1969: 186-187, სურ. 73).

ქ. ქევანიშვილის აზრით, ირმის გამოსახულებების აღმოჩენა ნამოსახლარზე, კერამიკულ ჭურჭელზე, კერასთან დამცავი ღვთაების ზოომორფული სახით არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, სამარხებში კი იგივე გამოსახულებას სხვა დანიშნულება ეკისრებოდა დაკრძალვის რიტუალიდან გამომდინარე (ქევანიშვილი, 2013: 149). ზურტაკეტის ირმის გამოსახულებაზე აქცენტირებულია რქები – მაღალი, მორკალური, თითქოს ცას აწვდენილი. ქ. ქევანიშვილი მიიჩნევს, რომ ზურტაკეტის ყორღანში დაფიქსირებულია უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან და დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ირმის სქემატური გამოსახულება, რომელიც ზეცისა და მიწის მაკავშირებელ წმინდა ცხოველის უნივერსალურ სიმბოლოს წარმოადგენს (ქევანიშვილი, 2013: 154).

№ 6 ყორღანში აღმოჩენილ მეორე ქვაზე ცხოველის (ჯიხვი) სქემატური გამოსახულებაა (ტაბ. LVI-4). ცხოველის წინ ვერტიკალური ტეხილი ხაზები, ხოლო უკან – ბადისებური ორნამენტით შევსებული გეომეტრიული ფიგურაა მოცემული. გაურკვეველი გამოსახულებებია მოცემული ცხოველის თავთან და გავასთან. ო. ჯაფარიძის აზრით, ცალკეული გამოსახულებები ერთმანეთს შინაარსობრივად უკავშირდებიან (ჯაფარიძე, 1969: 187-188, ტაბ. XXXI-1, სურ. 73). ამოკაწრული ნიშნები ჩრდილოეთ კავკასიის დოლმენების კედლებზეც არის აღმოჩენილი (ჯაფარიძე, 1969: 189). სამარხების კედლებზე ამოკაწრული ნიშნები

დადასტურებულია აზერბაიჯანსა (ჯაფარიძე, 1969: 189) და სომხეთშიც (Мурадян, 1993: ტაბ. CIII-CXV). თუმცა ეს სამარხები გვიანი ბრინჯაოს ხანისაა. სხვადასხვა სახის სიმბოლური გამოსახულებებით შემკულია ნეოლით-ბრინჯაოს ეპოქის ყორღანების სამარხი კამერები საფრანგეთიდან და ბრიტანეთიდან. განსაკუთრებულად მდიდრული შემკულობა ახასიათებს ყორღანებს ლოქმარიაკში, მორბიჰანში, ნიუ გრეინჯსა და კნოქმანში (Reden, von, 1989: 225, 282, 286).

ო. ჯაფარიძის აზრით, ზურტაკეტის ყორღანების გამოსახულებები მსგავსია უკრაინაში, სოფ. ვერბოვკასთან გათხრილ №1 ყორღანის ქვებზე ამოკაწრული ნიშნების. აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ზურტაკეტის ნიშნებიანი ქვები, ვერბოვკის ნიშნებიანი ქვების განლაგებაში არანაირი სისტემა არ შეინიშნება. ვერბოვკის ყორღანის გამთხრელი, ა. ბობრინსკი ვარაუდობდა, რომ ნიშნებიანი ქვები თავდაპირველად საცხოვრებელი სახლის კედლების ქვებს წარმოადგენდნენ, სადაც ისინი ალბათ გარკვეული სისტემით იყვნენ განლაგებულნი, ხოლო სამარხის აგების დროს, ქვების განლაგება დაირღვა (ჯაფარიძე, 1969: 191). ო. ჯაფარიძე ასევე ფიქრობს, რომ ზოგიერთ ნიშანს, შესაძლოა აღრიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. შესაძლოა, ზოგიერთი ნიშანი მშენებლობაში მონაწილე გარკვეულ ჯგუფს აღნიშნავდა, ზოგი კი – ცალკეულ პიროვნებას (ჯაფარიძე, 1969: 193). ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ზურტაკეტის ზოგიერთ ქვაზე ამოკვეთილი ნიშანი ძალზე ახლის დგას ურის სამეფო სამაროვნის თხრილებში აღმოჩენილ თიხის ნატეხებთან, რომლებზეც სხვადასხვა გამოსახულება გვხვდება; „არ არის გამორიცხული, რომ ჩვენში, უკვე ძვ.წ. III ათასწლეულიდან მოკიდებული, დამწერლობის სისტემის შექმნის გარკვეულ ცდებს ჰქონდა ადგილი; არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ ზურტაკეტის ნიშნებიდან ზოგიერთს რაღაც რიტუალური, მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა" (ჯაფარიძე, 1969: 193-196).

ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ზურტაკეტის ყორღანებზე ცხოველების გამოსახულება სქემატურია, სტილიზებული და ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან თრიალეთის კულტურის არტეფაქტებზე გამოსახულ ცხოველებისაგან. ცხოველების და ფრინველების სტილიზებული გამოსახულებები მტკვარ-არაქსის კულტურაში შეინიშნება (ჯაფარიძე, 1969: 194). ზურტაკეტის №6 ყორღანში აღმოჩენილ ქვაზე არსებული ირმის გამოსახულება (ჯაფარიძე, 1969:

ტაბ. XXXII, სურ. 73) შინაარსობრივად მსგავსია გუდაბერტყას მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე აღმოჩენილ საბეჭდავთან (ტაბ XC-4), რომლის ზედა ნაწილში ასევე ირემია გამოსახული, ხოლო ქვედა ფრიზებზე, ოდნავ განსხვავებული თანამიმდევრობით, მოცემულია ბადისებური ორნამენტი და სამკუთხედების რიგი (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: ტაბ. V). ზურტაკეტის №3 ყორღანში აღმოჩენილ ერთ ქვაზე მოცემულია ცხოველის სქემატური გამოსახულება, რომლის ტანი გადმოცემულია ორი შეერთებული სამკუთხედით (ტაბ. LVI-2). უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველების ამ ტიპის გამოსახულებები დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. ორი შეერთებული სამკუთხედით რქოსანი ცხოველები (ჯიხვი, თხა, თუ ხარი) გამოსახულნი არიან მტკვარ-არაქსულ კერამიკაზე სხვადასხვა ტექნიკით: გვხვდება როგორც ამოკაწრული (გოგოჭური, ორჯონიკიძე, 2010: ტაბ. IV, 9-11), ასევე მოხატული ცალები (შანშაშვილი, 2010: ტაბ. IV-3, ტაბ. VIII-1, 5, 10, 12). მტკვარ-არაქსის კერამიკაზე სამკუთხედებით გამოსახული ცხოველები, ისევე როგორც ზურტაკეტის ყორღანების ცხოველები მოცემული არიან დაშტრიხული სამკუთხედების და რომბების და მართკუთხედების თანხლებით, რაც შესაძლოა საერთო მითო-რელიგიურ მსოფლმხედველობაზე მეტყველებს.

ზოგიერთი გამოსახულება თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი კერამიკის ორნამენტული მოტივების იდენტურია (ჯაფარიძე, 1969: 193). ზურტაკეტის ქვებზე, ისევე როგორც თრიალეთის კერამიკაზე გვხვდება ჭადრაკული მოტივი, ერთმანეთში ჩახაზული რომბები, სამკუთხედები, ბადისებური ორნამენტი, წერტილებით შევსებული მართკუთხედები, წიწვოვანი ორნამენტი, ვერტიკალური კლაკნილი ხაზები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს პრიმიტიული ფიგურა არქაულ დამწერლობებში (შუმერული, პროტოელამური, ეგვიპტური, ხეთურ-ლუვიური) დაახლოებით ერთსა და იგივე ცნებას გამოხატავდა. მაგალითად, კლაკნილი ხაზი წყლის აღმნიშვნელი იყო, წიწვოვანი მოტივი – მარცვლეულს, ჭადრაკული და ბადისებური ორნამენტი – დამუშავებულ მიწას აღნიშნავდა. იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ნიშნებს თრიალეთის კულტურის მატარებელი საზოგადოებისათვის. ო. ჯაფარიძის აზრით, „შესაძლოა, რომ ზურტაკეტის ყორღანების ზოგიერთ ნიშნიან ქვაზე უკვე აზრის გადმოცემის, დამწერლობის

ცდასთან გვქონდეს საქმე” (ჯაფარიძე, 1969: 195). ო. ჯაფარიძე არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ ზურტაკეტის ნიშნებიდან ზოგიერთს რიტუალური, მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა (ჯაფარიძე, 1969: 196).

სამარხი კამერების მხატვრობით შემკობა დამახასიათებელია ეგვიპტის ძველი სამეფოსათვის (ძვ.წ. 2686-2181 წწ.) კედლების მოხატულობაში გადმოცემული იყო თითქოს რეალური სამყარო, ეგვიპტელებისათვის ნაცნობი და მშობლიური: ცხოველები და ფრინველები, მცენარეები, ბუნებრვი გარემო, ადამიანთა საქმიანობა, ნადირობა და სხვა. მაგრამ ამ გამოსახულებებს სხვა დანიშნულება ჰქონდათ. მათ უნდა უზრუნველეყოთ გარდაცვლილისათვის მოწესრიგებული არსებობა, სიცოცხლე სიკვდილის შემდგომ. ძველი სამეფოს მეოთხე დინასტიიდან სამარხებში ჩნდება ცალკეული ამონაწერები „მკვდართა წიგნიდან”, ხოლო უკვე მეხუთე დინასტიიდან სამარხი-პირამიდები უზარმაზარი სივრცეები, შიდა ოთახების და დერეფნების ჩათვლით, იფარებოდა ტექსტებით „მკვდართა წიგნიდან” (Бадж, 2002: 31).

ჩვენი აზრით, თრიალეთის კულტურის მატარებელ საზოგადოებას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდა ეგვიპტის ძველ სამეფოსთან (Нариманишвили, 2010). შესაძლოა, ისევე როგორც თანადროულ ეგვიპტეში, თრიალეთის მმართველებისთვის, რომლებიც ზურტაკეტის ყორღანებში იყვნენ დაკრძალულნი სამარხების კედლებზე გამოსახავდნენ მათი სიმდიდრის სიმბოლოებს: ვრცელ დამუშავებულ მინდვრებს, მდინარეებს, მთებს, ცხოველების ჯოგებს და რაც მთავარი იყო – მოწესრიგებულ სამყაროს, კოსმიურ ღერძს, რომელიც ირმის სახით იყო წარმოდგენილი.

ზურტაკეტის ყორღანებში გამოსახული ნიშნები საკრალური ხასიათის იყო. შესაძლოა ეს ნიშნები მაგიურ-აპოთროპეული ხასიათის იყო და მიცვალებულს საიქიოში მიმავალ გზაზე წინაღობების გადალახვას უადვილებდა.

უნიკალურია ლორი ბერდის ყორღანის მოხატულობა (ტაბ. LVII). სამაროვანზე გათხრილი შუა ბრინჯაოს ხანის № 79 სამარხი გამოირჩევა თავისებური კონსტრუქციით. სამარხის კამერა ხის ძელებით იყო გადახურული. ზევიდან ქვაყრილით იყო გადაფარული, რომლის შუაში ქვის განსხვავებული კონსტრუქცია - „კოშკი” იდგა. სამარხი კამერის ქვის კედლები მოხატული იყო მოყვითალო-მწვანე

საღებავებით. კედლებზე გამოსახულია ცხოველების - ირმების, ხარების, გველების, ფრინველების ფიგურები. ს. დევეჯიანის აზრით გამოსახულებები სამი სკნელის ცხოველებს გამოსახავენ. სამარხი კამერის ამგვარი შემკობა უნიკალური მოვლენაა სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანისთვის (Devedjian, 2006: 288, 412) და სხვაგან არ გვხდება, სამარხი კამერის მოხატულობა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაშია დადასტურებული.

მაიკოპის კულტურის ერთ-ერთ ძეგლზე – ნოვოსვობოდნაიასთან გათხრილ სამაროვან „კლადის" № 28 ყორღანში, რომლის სამარხი კამერა წარმოადგენს ორკამერიან მეგალითურ აკლდამას, კედლები მოხატულია წითელი და შავი საღებავებით. ერთ-ერთ ქვის ფილაზე გამოსახულია მჯდომარე ადამიანის ფიგურა, რომლის ზევით და გვერდებზე მოცემულია ცხოველების, სავარაუდოდ ცხენების გამოსახულებები. მეორე ქვის ფილაზე სტილიზებული ადამიანის ფიგურაა მოცემული, რომლის სიმაღლე 82 სმ-ია. აქვე მოცემულია მოსასხამის, მშვილდის და კაპარჭის გამოსახულებები (Резепкин, 1987: 26-29, სურ. 1). ა. რეზეპკინის აზრით, ყველაზე ახლო პარალელები „კლადის" № 28 ყორღანის მოხატულობას მოეპოვება დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი გერმანიაში, ქ. ჰალესთან აღმოჩენილი აკლდამის მოხატულობასთან (Резепкин, 1987: 29). მოხატულობის ინტერპრეტაციისათვის, ა. რეზეპკინს ყველაზე რეალურად ეჩვენება უძველესი ინდოევროპული რწმენა-წარმოდგენების და მითოლოგიის გამოყენება (Резепкин, 1987: 30-32).

§ 3. სიუჟეტური გამოსახულებები თიხის ჭურჭელზე

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე ზოგჯერ სიუჟეტური გამოსახულებებია მოცემული. სიუჟეტური გამოსახულებები მოცემულია მოხატულ ჭურჭლებზე ნერკინ გეთაშენიდან (ტაბ. LVIII-5), არუჩის (ტაბ. LVIII-4) №3 ყორღანიდან (Арешян, 1988: 84-86, ტაბ. I-1, 3), ნახჭევანიდან (Кушнарёва, 1993: 124, სურ. 48-4) შახტახტის (ტაბ. LVIII-10) და ყიზილ ვანქის (ტაბ. LVIII-13) ნეკროპოლებიდან, სარიველის ნამოსახლარიდან (ტაბ. LVIII-6, 8) და სამაროვნიდან, ერზერუმის, ადანას და გაზიანთეფეს მუზეუმების (ტაბ. LVIII-2, 7, 9, 11) ექსპონატებზე (Özfirat, 2001: ტაბ. 22, 27, 37, 38, 85, 99), აგრეთვე შავპრიალა დერგზე (ტაბ. LVIII-1) ახჩიის №4 ყორღანიდან (ჯაფარიძე და სხვ., 1981: სურ. 14). სიუჟეტური

გამოსახულება მოცემულია მოხატულ ჭურჭელზე ხანლარის №13 სამარხიდან (ტაბ. LVIII-3), რომელიც გვიანი ბრინჯაოს დასაწყის პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ გ. არეშიანს და კ. კუშნარიოვას განხილული აქვთ შუა ბრინჯაოს კერამიკის სიუჟეტურ გამოსახულებებთან ერთად, რადგან თემატურად და სტრუქტურულად უახლოვდება შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე გამოსახულ სიუჟეტებს. ყველა ზემოთმოტანილი კერამიკა ეკუთვნის სხვადასხვა კულტურებს, გეოგრაფიულადაც ერთმანეთისგან დაშორებულ ადგილებშია მოპოვებული, თუმცა ქრონოლოგიურად ყველა შუა ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის. ძირითადი სიუჟეტი ერთ კომპოზიციას წარმოადგენს. ჭურჭლის ცენტრალურ ნაწილში მოცემულია ირმების, ჯიხვების, მგლების/ძაღლების და ფრინველების გამოსახულება. ძალზე იშვიათად ანთროპომორფული ფიგურებიც გვხვდება (Özfirat, 2001: ტაბ. 27; Кушнарёва, 1993: 124, სურ. 48-4).

მოხატულ ჭურჭელზე ნერკინ გეთაშენიდან მოცემულია ირმების წყვილი გამოსახულება, რომლებსაც მისდევს ორი ჯიხვი, მათ ეწევა წყვილი მგელი/ძაღლი. ცხოველების ზემოთ, საწინააღმდეგო მიმართულებით წყლის ფრინველები მოძრაობენ (Арешян, 1988: 84-86, ტაბ. I-1).

ახჩიის №4 ყორღანში აღმოჩენილ შავპრიალა ჭურჭლის მხარსა და მუცლის ზედა ნაწილზე სარტყელი შემოუყვება (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 47, სურ. 14). სარტყელის ცენტრალური ნაწილი პირობითად ოთხ სექტორადაა გაყოფილი განსაკუთრებული, ტრაპეციისებური ფორმის სიმბოლოს საშუალებით, რომელიც დამახასიათებელია თრიალეთის კულტურისათვის. ერთ-ერთ სექტორში ირმების წყვილი გამოსახულებაა მოცემული, მეორეში – ცხოველების, გ. არეშიანის აზრით – მგლების/ძაღლების (Арешян, 1988: 86, ტაბ. I-3). მესამე სექტორის გამოსახულება დაზიანებულია, ხოლო მეოთხეში – ორი ფრინველის. გ. არეშიანის აზრით, ტრაპეციისებური ფიგურა დედამიწის სიმბოლურ გამოსახულებად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო თითოეული სექტორი შეესაბამება სამყაროს მხარეს, რომელიც ზოომორფული მითოლოგიური პერსონაჟის გამოსახულებითაა გადმოცემული (Арешян, 1988: 86, ტაბ. I-3).

ხანლარის №13 სამარხში აღმოჩენილ მოხატულ ჭურჭელზე მოცემული კომპოზიცია სამ ნაწილადაა გაყოფილი, თითოეულში ერთი ცხოველია

გამოსახული: მგელი/ძაღლი, ჯიხვი/არჩვი, შველი/ირემი. თითოეულ ცხოველს შეესაბამება ერთი ორნამენტული მოტივი. დაშტრიხული სამკუთხედები, როგორც მთების სიმბოლო, ჯიხვის/არჩვის გამოსახულებას შეესაბამება, ერთმანეთში ჩახაზული კუთხეები, ანუ ხის, მცენარის სიმბოლო – ირმის/შვლის გამოსახულებას, ხოლო მგლის/ძაღლის გამოსახულებას – მეანდრები. გ. არეშიანის აზრით, ზოომორფული გამოსახულებები შეესაბამებიან ინდოევროპულ მითოლოგიურ ციკლს, რომელიც გამოხატავს სიცოცხლეს, სიკვდილს და აღორძინებას (Арешян, 1988: 91-92).

სიუჟეტურ გამოსახულებებს შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე შეეხო გ. არეშიანი, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ მოცემულია უძველესი ინდოევროპული მითოლოგიური სიუჟეტი. (Арешян, 1988: 93-94). კ. კუშნარევაც მიიჩნევს, რომ ინდოევროპული მითოლოგემებია ასახული კომპოზიციებში არუჩიდან, გეთაშენიდან, ახჩიიდან და ხანლარიდან (Кушнарёва, 1993: 251). თუმცა, გ. არეშიანი მიიჩნევს, რომ რეკონსტრუირებული მითოლოგემის უნივერსალურობა და არქაულობა არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მისი შემქმნელები ინდოევროპელები იყვნენ. არ გამოირიცხება, რომ ინდოევროპელებმა ეს უძველესი მითოლოგემა ისესხეს რომელიმე არაინდოევროპული წყაროდან, თუმცა გ. არეშიანის აზრით, თუკი ასეთ ნასესხობას ჰქონდა ადგილი, ეს უნდა მომხდარიყო საერთოინდოევროპული ერთობის დაშლამდე (Арешян, 1988: 101-102).

ყველა ზემოთ განხილულ სიუჟეტურ გამოსახულებებს ერთი იდეა აკავშირებს: ცხოველების (ირმების, ჯიხვების, მგლების) ერთ რიგად წრეზე მოძრაობა. მათ ზემოთ ფრინველების გამოსახულება, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს არქაულ საზოგადოებებში ფართოდ გავრცელებულ ზოოლოგიურ კოდთან, რომელიც სამყაროს აღწერისათვის გამოიყენებოდა. სამყაროს მოდელის ტრიადების მაგალითია: ზედა სამყარო – შუა სამყარო – ქვედა სამყარო; ზეცა – მთა – წყალი. თითოეულ მათგანს შეესაბამება სხვადასხვა ცხოველი, ან ფრინველი, როგორც ზეციური არსება, თევზი, ან ქვეწარმავალი, როგორც ქვედა სამყაროს წარმომადგენელი და ჩლიქოსნები – შუა სამყაროს არსებები (Раевский, 1985: 108-111).

მითოპოეტურ აზროვნებაში ცხოველები მითოლოგიური კოდის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენენ (ისევე როგორც მცენარეები, საკვები, ფერები და სხვა), რომლის საფუძველზე შესაძლოა სხვადასხვა ინფორმაციული შეტყობინებები იყოს გამოსახული. ზოომორფული კოდის ცალკეულ ელემენტებს ხშირად მუდმივი მნიშვნელობა აქვს. ეს მნიშვნელობა შეიძლება სხვა კოდური სისტემების საშუალებითაც გადმოიცეს და შესაბამისად სხვადასხვა კოდური სისტემების ელემენტებს შორის შესაბამისობა იქმნება. მაგალითად, გარკვეული ცხოველი, რომელსაც მცენარეულ კოდურ სისტემაში გარკვეული მცენარე შეესაბამება, რომელსაც თავის მხრივ სამყაროს მხარე, ფერი, წელიწადის დრო, ღვთაება შეესაბამება. ასეთი კლასიფიკაციური ჯაჭვი ცნობილია სხვადასხვა ხალხების არქაულ მითოპოეტურ ტრადიციებში. ასე, ძველ ეგვიპტეში შევარდენს შეესაბამებოდა ტურა და ადამიანი, ჩინეთში – ლურჯ დრაკონს შეესაბამებოდა აღმოსავლეთი, გაზაფხული და წყალი და ა.შ. (Топоров, 1980: 440-441)

სხვადასხვა მითოლოგიური ტრადიციების ფართო გამოკვლევამ ცხადყო სამყაროს მოდელების მსგავსება სხვადასხვა სრულიად განსხვავებულ კულტურებში. ასეთი უნივერსალიების ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება სამწილადი ვერტიკალური ხაზი და ოთხწილად ჰორიზონტალურ ჭრილში გამოხატული სამყაროს ღერძის კონცეპცია (Раевский, 1985: 30).

ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე მოცემული ცხოველები წარმოადგენენ არა ინდოევროპულ მითოლოგემას, არამედ უნივერსალური ზოოლოგიური კოდის ადგილობრივ გამოხატულებას.

თავი IV

კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული არტეფაქტები

ყველა არქაულ საზოგადოებაში ნებისმიერი საგანი მრავალფუნქციურია. მათი ბუნება დუალისტურია. პრაქტიკულ, უტილიტარულ დანიშნულებასთან ერთად ისინი გარკვეულ კონტექსტში მაგიურ თუ საკულტო მნიშვნელობასაც იძენენ. მაგ. ტანსაცმელი პრაქტიკული გამოყენების გარდა, ესთეტიკურ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს. ის ასევე რეგიონალურ თუ „ნაციონალურ“ კუთვნილებასაც აღნიშნავს. სამოსის სტილი და შემკულობა გარკვეულ საკულტო დატვირთვასაც ატარებს (http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/65145.html).

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ნამოსახლარზე აღმოჩენილ საგნებს მრავალფუნქციური გამოყენება აქვთ, სამარხებში დაფიქსირებულ ნივთებს ყოველთვის მაღალი სემიოტიკური სტატუსი გააჩნიათ. მიცვალებულისათვის ჩატანებული ნივთები საიქიო ცხოვრებისათვის იყო განსაზრვრული და ისინი ყოფაში (სააქაოში) აღარასოდეს არ უნდა გამოყენებულიყო. როგორც ჩანს, ამითაა გამოწვეული ის, რომ ნივთების დიდი ნაწილი ან ჭურჭლების ის შემკულობა რომლებიც სამარხებში გვდება ყოფაში არ დასტურდება. ისინი გარკვეულ რიტუალთან ან მიცვალებულის კულტთან არიან დაკავშირებული (http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/ 65145. html).

ძველი ეგვიპტური ტექსტებიდან ცნობილია, რომ მიცვალებულისათვის განკუთვნილ ყველა სამკაულს აპოტროფული, დამცავი მნიშვნელობა ჰქონდა. თითოეული სამკაული გარდაცვლილის სულს საიქიოში წინაღმდეგობების გადალახვაში ეხმარებიდა. ყველა ღვთაებას გარვეული სამკაული, ქვა ან ლითონი შეესაბამებოდა, რაც ამ არტეფაქტებსა და მასალას მაგიურ-საკრალურ დანიშნულებას ანიჭებდა (Бадж, 2003: 86).

ჩვენი აზრით, თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილი ყველა ნივთი, გარდა იმისა, რომ გარდაცვლილის სოციალური სტატუსის მაჩვენებელია, მაღალი საკრალურობითაც ხასიათდებიან. ისინი დაკრძალვის რიტუალის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და გარკვეულ კულტმსახურებასთან არიან დაკავშირებული.

§ 1. ამულეტები და მაგია

არაქული საზოგადოების ადამიანისათვის გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა მაგიაა. მაგია წარმოადგენს სიმბოლურ მოქმედებების სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანი ზებუნებრივ ძალების დახმარებით ცდილობს გარკვეული მიზნების მიღწევას. მაგიურ პრაქტიკას მიეკუთვნება შელოცვა, ჯადოსნობა, მკითხაობა. ძველ აღმოსავლეთში მაგიას ძირითადად იყენებდნენ როგორც დამცავ, აპოთროპულ საშუალებას. ის გამოიყენებოდა რაიმე უბედურების აშორების მიზნით (Фосce, 2001: 19).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი სამკაულების ერთი ნაწილი (ტაბ. LIX) უეჭველია აპოთროპული ხასიათისა იყო, ე.ი. ადამიანს იცავდა როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც.

ამულეტი წარმოადგენს ნივთს, რომელსაც მიეწერებოდა მაგიური თვისებები. ის მზადდებოდა სხვადასხვა მასალისგან (ძვალი, ხე, თიხა, ქვა, ლითონი და სხვ), მას ატარებდნენ, როგორც სამკაულს. ზოგი ერთი ამულეტი ნაგებობებში იყო ჩამოკიდებული, უძველესი რწმენა წარმოდგენების მიხედვით ამულეტი ადამიანს, ცხოველებს, სახლს, იარაღს და სხვ. იცავდა დემონებისაგან და ავი თვალისაგან. განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ამულეტი სამარხებში, რადგან ითვლებოდა, რომ ისინი მიცვალებულს იცავდნენ საიქიოსკენ მიმავალ გზაზე. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი ამულეტები მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ადამიანის ფეხის ფორმის ამულეტი აღმოჩნდა თრიალეთის XIV ყორღანში (ტაბ. LX-5). დამზადებულია წითელზოლებიანი მოყვითალო ფერის ნახევრადძვირფასი ქვისაგან, სავარაუდოდ სარდიონისგან. ამულეტის სიმაღლე 2,2 სმ. ის დაზიანებულია. ზედა ნაწილში კრატერის ფორმის ორმხრივი ნახვრეტი აქვს (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 84, ტაბ. 74). ე.გოგაძის აზრით, ნივთი ანალოგიურია ეგვიპტის ძველ სამეფოში გავრცელებული ამულეტებისა (ტაბ. LX-6,7), ხოლო ყორღანი თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულით (გოგაძე, 1972: 44, 95).

ფეხის ფორმის ამულეტები ეგვიპტეში გავრცელებული იყო ძველი სამეფოსა და „პირველი გარდამავალი პერიოდის" ეპოქებში, ე.ი. 5-8 დინასტიების ხანაში (ძვ.წ. 2465 - 2100 წწ.). მომდევნო ეპოქაში ის თითქმის აღარ გვხვდება. ფეხის ფორმის

ამულეტი-საკიდები ჩვეულებრივ მზადდებოდა მოყვითალო-წითელი ფერის სერდოლიკისაგან, რომელიც ფერით სისხლს ჰგავდა. ძველი ეგვიპტელების აზრით, სწორედ ამგვარი ქვა აძლევდა ამულეტს ძალას და ენერგიას. ჩვეულებრივ მას ატარებდნენ ფეხზე, რადგან ითვლებოდა, რომ ფეხის ფორმის ამულეტი იცავდა ქვედა კიდურებს, აძლევდა ფიზიკურ ძალას და სისწრაფეს თავის პატრონს. თრიალეთის ამულეტი აბსოლუტურად იდენტურია ეგვიპტურისა (ÓNeill, 1999: 485, სურ. 207, რომელიც 1910 წელს მეტროპოლიტენ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ჰელენ მილერ გულდმა (http://www.metmuseum.org). აგრეთვე დიდ მსგავსებას იჩენს ფეხის ფორმის საკიდთან, რომელიც ფ. პიტრის გათხრებიდან მომდინარეობს (http://www.digitalegypt.ucl.ac.uk).

გულის ფორმის ამულეტი. თრიალეთის XIV ყორღანში აგრეთვე აღმოჩნდა გულის ფორმის საკიდი (სიმაღლე 1,8 სმ.), დამზადებული ვარდისფერი ქვისაგან (ტაბ. LX-2), ორმხრივი კრატერისებრი ნახვრეტით ზედა ნაწილში (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: таб. 74). ეს საკიდი მსგავსებას იჩენს ძველ ეგვიპტურ გულის ფორმის ამულეტებთან, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველი სამეფოს ეპოქიდან რომაულ ხანამდე. ძველი ეგვიპტელების რწმენა-წარმოდგენებით, გული იყო სიცოცხლის და აზროვნების წყარო. ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ გული თავის თავში მოიცავდა ღმერთ ხეპრის სულს, და ამიტომ უკვდავი იყო. ჩვეულებრივ ეს ამულეტი მზადდებოდა წითელი ფერის სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან. ზედა ნაწილს ზოგჯერ ადამიანის თავის ფორმა ჰქონდა. გულის ფორმის ამულეტი ცნობილია მეორე დინასტიიდან დროიდან (Бадж, 2001: 121-122). „მიცვალებულთა წიგნში" არის შვიდი შელოცვა გულის შენარჩუნების თაობაზე. ერთ-ერთი შელოცვა ეძღვნება ლაზურიტისგან დამზადებულ გულის ფორმის ამულეტს, მეორე – სერდოლიკისგან დამზადებულს (ტაბ. LX-3,4). ნახევრად გამჭვირვალე ქვისგან დამზადებული ამულეტის პატრონი ოსირისის მფარველობით იყო უზრუნველყოფილი (Бадж, 2003: 166-168).

გოჭის ფორმის ამულეტი-საკიდი აღმოჩნდა წიწამურის (მცხეთა) № 13 ყორღანში, მიცვალებულის მკერდთან (ტაბ. LX-1). ის დამზადებულია მომწვანო-ცისფერი ფაიანსისაგან, სიგრძე – 1, 2 სმ-ია (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი, 1995:

72, ნახ. 572). ვ. სადრაძემ ყორღანი შუა ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს მიაკუთვნა და ძვ.წ. 2000 - 1800 წწ. დაათარიღა (სადრაძე, 2002: 333-334).

სხვადასხვა ცხოველის ფორმის საკიდი-ამულეტები გავრცელებული იყო უძველესი დროიდან მთელ ახლო აღმოსავლეთში. საკიდები მზადდებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან და თიხისგან, მაგრამ ქანდაკებები ცისფერი ფაიანსისაგან, როგორც ჩანს, მზადდებოდა მხოლოდ ეგვიპტეში. ღორის ფორმის ამულეტები ეგვიპტეში გავრცელებული იყო ძველი სამეფოს დროიდან ელინისტურ ეპოქამდე. ღორი ნაყოფიერების განსახიერება იყო. საკიდი წიწამურიდან დიდ მსგავსებას იჩენს გოჭის ქანდაკებასთან ჰიერაკონპოლისიდან, რომელიც თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით (http://www.petrie.ucl.ac.uk).

ნიჟარა. ზღვის მოლუსკებისაგან დამზადებული სამკაული სამხრეთ კავკასიაში უძველესი დროიდან ჩნდება. განსაკუთრებით მრავლადაა სხვადასხვა სახეობის არტეფაქტები ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე: 4 ცალი საკიდი ნიჟარა აღმოჩნდა ადრე ბრინჯაოს ხანით დათარიღებულ სამარხში ცარცის გორაზე (ჯაფარიძე, 1961: 89), გახვრეტილი ნიჟარისგან დამზადებული რგოლები დადასტურებულია ქორეთში, № 3 სამარხში (ჯაფარიძე, 1961: 135). მრავლადაა ზღვის მოლუსკებისაგან დამზადებული სხვადასხვა სახის სამკაული მარტყოფის ყორღანებში: № 1 (ულევარის) ყორღანში, დასაკრძალავი კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის წინ, მოედანზე მრავლად აღმოჩნდა მიმოფანტული სხვადასხვა ფორმის სადაფის საკიდი. სადაფის საკიდები აღმოჩნდა სამარხ კამერაში (ჯაფარიძე, 1998: 12-13). საკიდების ზომა 0,85 - 1,5 სმ-ია.

სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხში აღმოჩნდა ნიჟარებისაგან დამზადებული მძივსაკიდები: თრელის სამაროვანზე № 53 სამარხში – 1 საკიდი (აბრამიშვილი, 1978: 55), სამთავროს სამაროვანზე, № 194 სამარხში – 5 საკიდი (Садрадзе, 1993: 17), ზღვის მოლუსკების ნიჟარებისაგან დამზადებული მძივები აღმოჩნდა სომხეთში, ვერინ-ნავერის სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის № 23 ყორღანში. ერთი ნიჟარა-საკიდი აღმოჩნდა მესხეთში (ტაბ. LX-8), ჭაჭკრების № 2 ყორღანში (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 17, სურ. 39, ტაბ. XI). ამავე სახეობის, Conus sp. ტიპის ნიჟარებისგან დამზადებული ოთხი სამკაული აღმოჩნდა სომხეთში, ლორი-ბერდის №№ 77, 78 და 94 სამარხებში (ტაბ. LX-8-12).

ამ უკანასკნელში ორი ნიჟარა დადასტურდა (Devedjian, 2006: 344, სურ. 94-9, 96-4, 112-8, ტაბ. IX-6,7,8). ამ ტიპის ნიჟარა აღმოჩნდა ყარაშამბის მდიდრულ ყორღანში, აგრეთვე აზერბაიჯანში, კუდურლუს №№ 3,4 და 7 ყორღანებში (ტაბ. LX-15,16). აქ ნიჟარები საკინძის ღეროებზეა წამოცმული. ერთ-ერთი კი ოქროს ფირფიტისგან დამზადებულ ნახევარსფერულ გარსაკრავშია ჩასმული (Ахундов, 2001: 160, სურ. XLIV-7, 15).

ვერინ-ნავერში აღმოჩენილი ნიჟარები გამოიკვლია სანკტ-პეტერბურგის ზოოლოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ი. სტარობოგატოვმა, რომელმაც განსაზღვრა ზღვის მოლუსკების ნიჟარები როგორც Arcularia sp. და Conus sp. მოლუსკების ქვეტიპის დადგენა ვერ მოხერხდა დამუშავების შედეგად მიღებული დეფორმაციის გამო, მაგრამ ორივე ტიპის ერთ დახურულ კომპლექსში მოხვედრამ მეცნიერებს საშუალება მისცა ზუსტად განესაზღვრათ მათი არსებობის ადგილი – ესაა სპარსეთის ყურის შესართავი, ან ირანის სამხრეთი სანაპირო (Симонян, 1984: 130).

რწმენა-წარმოდგენები ნიჟარების მაგიური თვისებების შესახებ გავრცელებულია მთელ მსოფლიოში უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. ნიჟარები გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება აგრარული, საქორწინო და დაკრძალვის რიტუალებში სამკაულის, ან ორნამენტული მოტივის სახით, მიუხედავად იმისა, ახსოვთ თუ არა მისი რელიგიურ-მაგიური თვისებები. მ. ელიადეს აზრით, ნიჟარის სიმბოლიკა დაკავშირებულია წყალთან, მთვარესთან და ქალურ ბუნებასთან (Элиаде, 2000: 209). ძველ საბერძნეთში ნიჟარა დიდი ღმერთებისა და ქალღმერთების ატრიბუტი იყო. ნიჟარიდან იშვა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე. ზღვის ნიჟარები დაბადების და აღორძინების სიმბოლიკის მატარებლები არიან. მ. ელიადეს აზრით, ზღვის ნიჟარა, რომლის სიღრმეში ჩაფლული იყო მარგალიტი, ემსგავსებოდა სიცოცხლის კოსმიურ წყაროს (Элиаде, 2000: 215-216). ნიჟარა, როგორც ამულეტი, რომელსაც გააჩნია ძლიერი მაგიური და აპოთროპული ძალა, გამოიყენებოდა პალეოლითის ეპოქიდან თანამედროვეობამდე. პალესტინის და სირიის ქრისტიანები დღესაც ატარებენ ნიჟარა-ამულეტებს, ან სადაფისაგან დამზადებულ ფირფიტებს ქრისტიანული იკონოგრაფიით (Бадж, 2001: 76, 80).

ნიჟარის დამცავი ფუნქცია ასახულია ათჰარვავედას ერთ-ერთ ჰიმნში: „ქარისაგან ჰაერის მიერ, ელვის ნაპერწკლისაგან ნაშობი ნიჟარა და მარგალიტი გადაგვარჩენს ჩვენ უბედურებისაგან. ნიჟარით დავამარცხებთ ჩვენ ავადმყოფობას, სიღარიბეს, ... ზეცაში, ოკეანეში დაბადებული ჩვენთვის თილისმაა, რომელიც ახანგრძლივებს სიცოცხლეს“ (Элиаде 2000: 212-213). ნიჟარების ჩატანება მიცვალებულისთვის დადასტურებულია ძველ ეგვიპტეში, ჩინეთში. ნიჟარის სიმბოლიკა კარგადაა ასახული მინოსურ ცივილიზაციაში. ინდოეთში გავრცელებულ დაკრძალვის რიტუალში გზა გარდაცვლილის სახლიდან სასაფლაომდე იფარებოდა ნიჟარებით. დაკრძალვის რიტუალში ნიჟარა აღორძინების სიმბოლო იყო (Элиаде 2000: 218).

სამხრეთ კავკასიაში ნიჟარები აღმოჩენილია საკმაოდ მდიდარ სამარხებში. ს. დევეჯიანის აზრით, ძვ.წ. III-II ათასწლეულის სამარხებში დადასტურებული ნიჟარები სოციალური სტატუსის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. ისინი აღმოჩენილი არიან მხოლოდ ელიტის წარმომადგენელთა სამარხებში (Devedjian 2006: 344). როგორც ჩანს, ეს ნიჟარები ჩამოტანილია სპარსეთის ყურის სანაპიროდან და უეჭველია, რომ მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ მათი შეძენა და ტარება.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულის მესოპოტამიაში გვხვდება როგორც დაუმუშავებელი, ასევე მაღალმხატვრულად დამუშავებული სხვადასხვა სახის ნიჟარები, რომლებისგანაც დამზადებული საკიდები და მძივები მრავლადაა აღმოჩენილი ტელოში, ხაფაჯში, ურში (Gensheimer, 1984: 67) ზღვის მოლუსკებისაგან მიღებული სადაფით არის ინკრუსტირებული შუმერული ხელოვნების ისეთი მაღალმხატვრული ნიმუშები, როგორიცაა ცნობილი შტანდარტი, ლირები, სირაქლემას კვერცხის ფორმის თასი და სხვა, რომლებიც ურის სამეფო სამარხებში აღმოჩნდა (Aynard, 1966: 24).

ნიჟარებს რელიგიური და საკულტო მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან მათ ხშირად პოულობენ ტაძრების საძირკველში და სამარხებში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ნიჟარების მრავალრიცხოვნებისა, მესოპოტამიაში ისინი ფულის მნიშვნელობით არასოდეს არ გამოიყენებოდა. შუმერული მაგიური ხასიათის ტექსტებში ისინი იხსენიებიან როგორც პროფილაქტიკური და დამცავი ძალა (Aynard, 1966: 33). სირიაში, მარიში, ქურუმების უბანში აღმოჩნდა დაუმუშავებელი

ნიჟარებისაგან დამზადებული სამაჯურები, რგოლები და მძივსაკიდები, ასევე სადაფით ინკრუსტირებული ჭურჭელი, რაც მოწმობს ნიჟარებისგან დამზადებული ნივთების რიტუალურ ფასეულობას (Gensheimer, 1984: 67).

ზღვის ნიჟარები ფართოდ იყო გავრცელებული სამარხეულ ინვენტარში, როგორც დამცავი ამულეტი, ან როგორც სიმდიდრის მაჩვენებელი. ურის სამეფო სამარხებში პირისფარეშ ქალებს ცერემონიალურ კაბებს უმშვენებდა ნიჟარის რგოლებისგან დამზადებული სარტყლები. მსგავსი ტრადიცია შეინიშნება ხაფაჯის ადრედინასტიური ხანის სამარხებშიც (Gensheimer, 1984: 67).

ზოგიერთი ნიჟარა ურის სამარხებიდან სავსე იყო კოსმეტიკური საღებავით და სავარუდოდ ასეთები ქალთა სამარხებში იდო (Gensheimer, 1984: 69). დედოფალ პუაბის სამარხში აღმოჩნდა ორი წყვილი Cockle shells ტიპის ნიჟარის იმიტაცია - ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლის. მეფე მესკალამდუგის სამარხში ნაპოვნი იყო ოქროსგან დამზადებული ჭრაქი (სანათურა), რომელიც ნიჟარა Lambis truncata sebae-ს იმიტაციას წარმოადგენდა.

ძვ.წ. III ათასწლეულის შუმერულ ქალაქებში პოპულარული იყო სხვადასხვა ფუფუნების საგნები, რომლებიც ნიჟარების იმიტაციით მზადდებოდა. ცნობილია ნიჟარის ფორმის ლამპები ქიშიდან და ტელ-ასმარიდან. ზოგჯერ მძივებსაც ნიჟარის ფორმას აძლევდნენ – მაგ. ლაზურიტის მძივები ქიშიდან, ქვისა – ხაფაჯიდან, მარმარილოსი – მათარადან. ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ნიჟარის ფორმის ოქროს თასი მეგიდოდან (Aynard, 1966: 34). ურის სამეფო სამარხები შეიცავენ მესოპოტამიური ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშებს, რომლებმაც განავითარეს და სრულყვეს პრე- და ადრე დინასტიური ეპოქების ნიჟარების დამუშავების ხელოვნება. ამას მოწმობს ქანდაკებების, ურის ცნობილი შტანდარტის ურთულესი ინკრუსტაცია, აგრეთვე მუსიკალური ინსტრუმენტების დეკორაცია და მრავალრიცხოვანი სამკაული. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ნივთი შეზღუდული იყო ელიტური კონტექსტით ტაძრებსა და სამარხეულ შეწირულობაში (Gensheimer, 1984: 69). შუმერებისაგან განსხვავებით, ელამელები ატარებდნენ დაუმუშავებელ, ბუნებრივი ფორმის ნიჟარებს. მაგალითად, შუშინაკის განძში სუზადან, ბრინჯაოს მდიდრულ გულსაკიდში ნიჟარა იყო ჩართული (Aynard, 1966: 34). უნდა აღინიშნოს,

რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებშიც ძირითადად Conus-ის ტიპის დაუმუშავებელი, ბუნებრივი ფორმის ნიჟარები გვხვდება.

ძველი სამყაროს მნიშვნელოვანი სავაჭრო ქსელი, საიდანაც ნიჟარები შორეულ მანძილზე, უცხოურ ქალაქებში ნაწილდებოდა, მდებარეობდა ინდის დაბლობში. შუმერულ ქალაქებში აღმოჩენილი Conus-ის ტიპის ნიჟარები ინდოეთის და წყნარი ოკეანის სანაპიროებიდან შემოჰქონდათ (Aynard, 1966: 31). სხვადასხვა ტიპის ნიჟარებით მარაგდებოდა ქალაქები ინდის დაბლობის მოსაზღვრე რაიონებში, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა შახრ-ი-სოხტე სისტანში. ძვ.წ. III ათასწლეულისათვის ნიჟარების მანუფაქტურამ მოიცვა ჩრდილოეთით მდებარე ისეთი ქალაქები, როგორიცაა ხარაპა და კალიბანგანი. ხარაპას პერიოდში ნიჟარების დამუშავებამ მაღალ სპეციალიზაციას მიაღწია, როგორც ტექნოლოგიის, ისე მაღალმხატვრული ნამუშევრების დამზადების მხრივაც. აქ მზადდებოდა ისეთი სახის ნაწარმი, როგორიცაა სამაჯურები, რგოლები, საკიდები, მძივები, სხვადასხვა სახის ინკრუსტაცია, სათამაშო ფიგურები, ცხოველების ქანდაკებები და სხვა. ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა მანუფაქტურულ ცენტრში ერთგვაროვანი იყო და ნიჟარებისგან დამზადებული ნივთები, დაუმთავრებელი არტეფაქტები და მანუფაქტურული ნაშთი მიუთითებს ნიჟარების სპეციფიკური ჯიშების ოპტიმალურ ექსპლოატაციას (Gensheimer, 1984: 70).

1976 წელს ფრანგულმა ექსპედიციამ ძველ შუმერულ ქალაქ ლარსაში მიაკვლია ოქრომჭედლის სახელოსნოს. ერთ-ერთ ჭურჭელში გადამალული იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და ქვის ნაწარმი. აქვე აღმოჩნდა დაუმთავრებელი ნაწარმის და საწარმოო ნაშთის დიდი რაოდენობა (Arnaud, Calvet, Huot, 1979: 1-8) ერთ-ერთ ცილინდრულ საბეჭდავზე სახელოსნოს მფლობელი ოქრომჭედლის სახელი – Ilšu-Ibnišu - იყო ამოკვეთილი (Arnaud, Calvet, Huot, 1979: 17). სამალავში შენახული იყო მრავალი იმ ნივთთაგანი, რომლებსაც ახლო პარალელები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს კულტურების ძეგლებზეც მოეძებნებათ. ასეთებია სხვადასხვა სახის ლითონის საკიდები, აქატის მძივები, ბაყაყის გამოსახულებები, რომლებსაც მესოპოტამიელი ოქრომჭედლები სასწორად გამოიყენებდნენ. აქვე შენახული იყო Conus-ის ტიპის ნიჟარებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ სწორედ ამ სახელოსნოდან, ან მსგავსი სახელოსნოებიდან იმპორტირებული იყო საიუველირო ნაწარმი სამხრეთ კავკასიაში (Симонян, 1984: 133). ილშუ-იბნიშუს სამალავი ძვ.წ. XVIII ს. პირველი ნახევრით თარიღდება (Arnaud, Calvet, Huot, 1979: 54). აღნიშნული იყო, რომ მთელი ეს ნაწარმი რელიგიური ხასიათისაა – ნივთები შემკულია იშთარის, შამაშის, სინის სიმბოლოებით. სავარაუდოდ ისინი ტაძრის კუთვნილება იყო და გარკვეულ საკულტო ცერემონიებში გამოიყენებოდა (Arnaud, Calvet, Huot, 1979: 62-64). ეს ვარაუდი ამყარებს ჩვენს მოსაზრებას თრიალეთის ყორღანების ინვენტარის საკულტო მნიშვნელობის შესახებ. ამასვე უნდა ადასტურებდეს ნიჟარების აღმოჩენის ფაქტი სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში. ეს იშვიათი, პრესტიჟული ნივთი ელიტის წარმომადგენლებისათვის ჩამოჰქონდათ ისეთი შორეული ქვეყნებიდან, როგორიცაა სპარსეთის ყურის, ინდოეთის, ან წყნარი ოკეანის სანაპირო. წერილობითი წყაროების უქონლობის გამო, ძნელია დღესდღეობით ლაპარაკი მათ ფუნქციაზე. იყო ეს ძალზე პრესტიჟული, უცხო სამკაული, თუ მას აპოთროპული დანიშნულებაც ჰქონდათ. ფაქტია, რომ სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც მესოპოტამიაში, მათ მხოლოდ მდიდრულ სამარხებში პოულობენ. პრესტიჟული ხასიათის ამულეტების გარდა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში დადასტურებულია სხვადასხვა ცხოველის კბილებისგან დამზადებული გულსაკიდი-ამულეტები (ტაბ. LIX-1,3,4).

ცხვრის კოჭები და „დომინოს“ ტიპის მძივები. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ზოგიერთ ყორღანში (ბედენის №2, წნორის №2) ნაპოვნია წვრილფეხა საქონლის კოჭის ძვლები (ტაბ. LIX-2,5-7). კოჭებით თამაში როგორც ძველ მსოფლიოში, ისე ტრადიციულ საზოდაგოებებში საკულტო ხასიათის იყო. თამაში მკითხაობის ტოლფასი იყო, რომლის დროსაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. ეს იყო საკრალური მოქმედება, რომელიც ღვთაების ნებას გამოხატავდა. კოჭების გაგორებით იგებდნენ ბედისწერას, შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყო იმ მასალასთან, რისგანაც მზადდებოდა სათამაშო კოჭები, ანუ მსხვერპლად შეწირული ცხოველების ძვლებისაგან. სხვადასხვა ხალხების რწმენით კოჭებით თამაში სიკვდილის მეტაფორა იყო, რომელიც ელოდა მოთამაშეს წაგების შემთხვევაში (Фрэзер, 1998: 599-602. Фрейденберг, 1996: 163-172). ძველ ეგვიპტეში

სათამაშო კოჭების გატანებას მიცვალებულისათვის მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მოთამაშე ღვთაება იყო. წაგება-მოგებაზე დამოკიდებული იყო გარდაცვლილის გზა საიქიოში (Луркер, 1998: 55).

შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში (ქვასათალის №6, პასიეთის ყორღანი, ზურტაკეტის №3 ყორღანი და სხვა) და სამლოცველოში (ბერიკლდეები) ზოგჯერ გვხვდება ე.წ. დომინოს ტიპის (ტაბ. LXXXVI-1) მძივები (ჯაფარიძე, 1969: 32; ჯაფარიძე, 2009: 48, 104; Jalabadze, 2014: სურ. 28). ეს მძივები მსგავსებას იჩენენ შუმერში და ძველ ეგვიპტეში გავრცელებულ სამაგიდო თამაშების „კოჭებთან", თუმცა უფრო დიდ მსგავსებას იჩენენ თანამედროვე დომინოსთან. ისევე როგორც დომინოს „კოჭებს" მათაც ერთ სიბრტყეზე გამოსახული აქვთ წრეები. სამარხებში ნაპოვნ „მძივ-კოჭებს" ერთი, ორი, სამი და მეტი (რვა) წრე აქვთ.

ძველ ეგვიპტესა და შუმერში სამაგიდო თამაშები ცნობილია ძვ.წ. IV-III ათასწლეულიდან. შესანიშნავი სათამაშო მოწყობილობები (ტაბ. LXXXVI-2,3) აღმოჩნდა ურის სამეფო სამარხებში (Wooley 1934: ტაბ. 95-98). ძველ ეგვიპტურ „მკვდართა წიგნის" XVII თავში მოხსენიებულია სამაგიდო თამაში. გამოსახულებაზე ჩანს გარდაცვლილი, რომელიც ეთამაშება უხილავ მოწინააღმდეგეს (Бадж, 2002: 158).

ჩვენი აზრით, დომინოს ტიპის მძივები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანაში აპოტროპეული ხასიათის იყო. მათ იღბალი, გამარჯვება და ბედი უნდა მოეტანათ მფლობელისათვის. გარდაცვლილს კი საუკუნო განსასვენებელში ატანდნენ, რათა მას ადვილად გადაელახა წინაღობები საიქიოს გზაზე.

კვირისტავებია ნაპოვნი ქვასათალის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში (ჯაფარიძე, 2009: 105). კვირისტავის ჩატანება დადასტურებულია მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხებში. ნ. შანშაშვილის აზრით, მიცვალებულს სამარხში კვირისტავს ატანდნენ როგორც ნიშანს ბედისმწერელ ქალღმერთებთან მოსახვედრად (შანშაშვილი ნ. 1998: 26). აღსანიშნავია, რომ კვირისტავები აღმოჩნდა ალაჯა ჰუიუქის K და S (Arik, 1937: 168, 171) „სამეფო" სამარხებში.

გამომდინარე იქიდან, რომ კვირისტავი მიწისქვეშა ბედისმწერელი ქალღმერთების ატრიბუტია, ხოლო კვირისტავი ნაპოვნია საკმაოდ გამორჩეულ სამარხებში (ამირანის გორა, ალაჯა ჰუიუქი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

კვირისტავი მიცვალებულს ჩაატანეს არა როგორც მისი პროფესიული მაჩვენებელი, არამედ როგორც ბედისმწერელი ქალღმერთების, როგორც რეგენერაციის, აღორძინების სიმბოლო, როლითაც „სიცოცხლის ძაფი" ირთვება.

§ 2. ობსიდიანი და მისი მნიშვნელობა დაკრძალვის რიტუალში

სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურებში შეინიშნება ობსიდიანის დაუმუშავებელი, ანდა დამუშავებული ნატეხების გამოყენება დაკრძალვის რიტუალში. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება, რომ ჯავახეთში, ფარავნის ტბის ნაპირებზე მდებარე ყორღანების ზედაპირი დაფარული იყო ობსიდიანის დიდი ნამტვრევებით (Куфтин, 1941: 101). ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში იშვიათად გვხვდება მტვარ-არაქსის კულტურაში.

ობსიდიანი სამარხებში მასობრივად ჩნდება ადრეული ყორღანების ეპოქიდან. თრიალეთში ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანებში ფიქსირდება ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები – IV, X, X1X ყორღანში (Жоржикашвили, Гогадзе 1974: 52, 53, 56). ობსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა ბედენის IV, V, IX (გობეჯიშვილი 1981: 33, 91, 98) და წნორის II ყორღანში (Дедабришвили 1979: 51). ობსიდიანის ანატკეცი აღმოჩნდა თრელის შუა ბრინჯაოს ხანის № 51 სამარხში (რ. აბრამიშვილი 1978: 174) და მარნეულის ველზე, სოფ. სარალთან, შუა ბრინჯაოს ხანის VII ყორღანში (ჯაფარიძე, 1975: 146). მრავლადაა აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეცები სამთავროს სამაროვანზე: № 243 სამარხის მთელ ფართობზე ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები იყო მიმობნეული (კალანდაძე, 1980: 33). ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა №№ 74, 112, 156, 178, 263 სამარხებში (Садрадзе, 1993: 11,13,16,18), ნატახტარის I და III სამაროვნების №№ 1, 2, 3, 8, 7, 28 სამარხებში (Садрадзе, 1993: 31, 33, 36, 38, 41). ობსიდიანის ანატკეცები მუხათგვერდის № 75 სამარხშიც დადასტურდა (Садрадзе, 1993: 59, 63). წიწამურთან გათხრილ ყორღანში (სამარხი № 13) მიცვალებულისათვის შეწირულ ცხვარის (ტაბ. XLVI) ყელთან ობსიდიანის ანატკეცები იდო (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 56). როგორც ვ. სადრაძე აღნიშნავს, ობსიდიანის ანატკეცები, ისევე როგორც ობსიდიანის ისრისწვერები და მსხვილფეხა რქოსანის ნაწილები დაკრძალვის რიტუალის შემადგენელი ნაწილია შუა ბრინჯაოს ხანის „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე (Садрадзе, 1993: 60).

ობსიდიანის დამუშავებული და დაუმუშავებელი ნატეხები მრავლადაა აღმოჩენილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებისკენ მიმავალ სარიტუალო გზებზე. ობსიდიანის გამოყენება დაკრძალვის რიტუალში დადასტურებულია სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებშიც. აზერბაიჯანში, ხაჩბულადის I ყორღანის (ძვ.წ. XXVI - XXV სს.) ზედაპირი დაფარული იყო ობსიდიანის ლამელებით, საფხეკებით, საჭრისებით, ისრისპირებით (314 ერთეული), რაც გამთხრელების აზრით გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული (Джафарзаде, 1976: 15-45). ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა აგრეთვე დაშიუზის № 5 და ხანკენდის № 119 და № 125 ყორღანებში (Ахундов, 1999: 9, 26-27). დაუმუშავებელი ობსიდიანების ჩატანება სამარხებში დადასტურებულია სომხეთში, ტალინის სამაროვანზე და ჯერვეჟის, აშტარაკის II, ლჭაშენის III (Бадалян, 2002: 29) და ვერინ ნავერის №23 (Симонян, 1984**:** 125, სურ. 6-4) ყორღანებში

ობსიდიანს, როგორც დაკრძალვის რიტუალის ატრიბუტს ყურადღება მიაქციეს გ. ნიორაძემ (ნიორაძე, 1947: 25), დ. ხახუტაიშვილმა (ხახუტაიშვილი, 1964: 20) და გ. გობეჯიშვილმა (გობეჯიშვილი, 1980: 34). ამ თემას საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ა. სიმონიანმა. იგი ძირითადად სომხეთის ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას ეყრდნობოდა. მისი აზრით, ობსიდიანი, ისევე როგორც კაჟი, ელვის სიმბოლოდ გაიაზრებოდა და მისი მოთავსება სამარხში აპოთროპულ ხასიათს ატარებდა (Симонян, 1988: 79-81).

სულხან-საბას მიხედვით, ობსიდიანის ქართული სახელი არის ცის ნატეხა, ხოლო ცის ნატეხასაგან დამზადებულ პატარა დანასაც თავისი სახელი აქვს – ქასრი (ორბელიანი, 1993: 338-339). წალკელი ბერძნები ობსიდიანს ეძახიან ქურთდაშს, ე.ი. მგლის ქვას; აგრეთვე ყარღადაშს, ე.ი. ყვავის ქვა; დევე გოზი, ე.ი. აქლემის თვალს; ჩახმახ-დაშს და უახლოეს წარსულშიც სამედიცინო მიზნით იყენებდნენ (Куфтин, 1936: 5, 15, 18). სომხურად მას, ისევე როგორც კაჟს, გაყლახაზ უწოდებენ, რაც მგლის დამწველს, გამგლეჯელს ნიშნავს (Симонян, 1988: 80).

როგორც ჩანს, ანატოლიის და კავკასიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებით, ეს ქვა დაკავშირებული იყო ზეცასთან, ელვასთან, ზეციურ ცეცხლთან და ამდენად დამუხტული იყო ზეციური საკრალურობით. ეთნოგრაფიული მონაცემებით განსაკუთრებული საკრალური ძალა ენიჭებოდა

კაჟის, ობსიდიანის ან სხვა მინერალებისაგან დამზადებულ უძველეს იარაღს, რომელსაც გვიან შუასაუკუნეების ევროპაში „ჭექა-ქუხილის ქვებს“, „დრაკონის კბილებს“ და „ღმერთის ცეცხლს“ უწოდებდნენ. ითვლებოდა, რომ მათი მოძებნა შეიძლებოდა იქ, სადაც მეხი ჩამოვარდა. ელვა და მეხი კი ცის ღმერთის იარაღად ითვლებოდა (Элиаде, 1998: 147). ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში დღემდეა გავრცელებული წარმოდგენა, რომ ცის კამარა მთის ბროლისგან, ხოლო ზეციური ღმერთის ტახტი კი კვარცისგან არის გაკეთებული (Элиаде, 1998: 146). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყორღანების და სარიტუალო გზების ზედაპირის დაფარვა ობსიდიანით, აგრეთვე ობსიდიანის ჩატანება მიცვალებულისათვის სამარხში, ამ ტერიტორიას ავსებდა ზეციური საკრალურობით, რადგან შესაძლოა ობსიდიანი - „ცის ნატეხა“ ცის ღმერთის ატრიბუტად იყო წარმოდგენილი.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ობსიდიანი დაკრძალვის რიტუალში გამოიყენება შუა ბრინჯაოს ხანიდან ადრე შუა საუკუნეებამდე. ამასთანავე ისეთ რეგიონებშიც, საიდანაც ობსიდიანის მოპოვების წყარო საკმაოდ შორს მდებარეობდა (დასავლეთ საქართველო, არაგვის ხეობა, კახეთი), რაც მის საგანგებო და საკრალურ მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ ხანგრძლივ პერიოდში ობსიდიანი საიუველირო ხელოვნებაში თითქმის არ გამოიყენებოდა. იგი მხოლოდ დაკრძალვის რიტუალში ფიგურირებს. შესაძლოა, ობსიდიანს არა მხოლოდ აპოთროპეული დანიშნულება ჰქონდა, ისეთი როგორც გიშერს, აქატს, ანდა სხვა ნახევრადძვირფას ქვებს, არამედ მას აღორძინების ძალაც ენიჭებოდა.

§ 3. ქვის ჭურჭელი.

ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურებში ქვის ჭურჭელს უმეტესწილად რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. ამ კატეგორიის არტეფაქტები თრიალეთის კულტურის ზოგიერთ ყორღანშიც იყო ნაპოვნი (ტაბ. LXI). ყველაზე მრავლად ქვის მრგვალი, ოდნავ ჩაღრმავებული ჯამები აღმოჩნდა მესხეთში: ახჩიის №№ 2, 4, 5, 9; ჭაჭკრების № 1, დუმეილას № 2 და კოჟრების № 2 (ო. ჯაფარიძე და სხვ., 1981: 25, 39, 47, 55, 103, 126, 135, სურ. 5-19, 11-99, 16-150, 151; ტაბ. XVI ,XXII) ყორღანებში. მსგავსი ჯამები ცნობილია წაღვლის სამარხებიდან, ფრინევის გორადან. ერთი ჯამი აღმოჩნდა თრიალეთის VI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 75, ტაბ. 62-539),

ნერკინ ნავერის №7 (Симонян, 2011: 224, სურ. 6-3) ყორღანიდან, სამი ცალი კი ლორი ბერდის №№ 60, 61 და 65 სამარხებიდან (Devedjian, 2006: ტაბ. 75-4, 79-7, 83-6). ყველა ქვის ჭურჭელი მსგავსი ფორმისაა: სიმაღლე 2-4 სმ., და პირის დმ. 9-14 სმ-ია. დამზადებული არიან ვულკანური ტუფისგან ან ბაზალტისაგან. ორი ჭურჭლის ფრაგმენტი, ერთი ტუფის და მეორე ობსიდიანის, აღმოჩნდა ზურტაკეტის № 3 ყორღანში (ჯაფარიძე, 1969: 150, სურ. 10, 12, ტაბ. XVII). ზურტაკეტში აღმოჩენილი ტუფის ჭურჭელი მესხური ჯამებისაგან ფორმით განსხვავდება. ის პირმოყრილია და პირთან ორი ღარი შემოუყვება.

ქვის ჭურჭელი ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე გვიან მეზოლით-ადრე ნეოლითიდან გვხვდება. ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეინიშნება სხვადასხვა ჯიშის ქვისგან დამზადებული ჭურჭელი ჩატანება სამარხებში. ბაზალტისგან დამზადებული სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი განსაკუთრებით პოპულარული იყო წინარე დინასტიური და ადრე დინასტიური ხანის ეგვიპტეში. უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთის ყორღანებში აღმოჩენილი ქვის ჯამებს უახლოესი პარალელი სწორედ ეგვიპტურ ბაზალტის ჭურჭელთან ეძებნებათ. მესხური ჯამების ანალოგიურია ფ. პიტრის და ელ-ხულის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური კლასიფიკაციის 8-ა ტიპის ჭურჭელი. ეგვიპტოლოგების შენიშვნით, სამარხები, რომლებშიც ბაზალტის ჭურჭელია დადასტურებული, როგორც წესი ეკუთვნის მმართველ წრეს, მათ ნათესავებს და საერთოდ მაღალი წოდების პირებს. ამ ტიპის ჭურჭელი ძირითადად გვხვდება ელიტარულ სამაროვნებზე აბიდოსიდან, ნაკადადან და საკარადან (Mallory-Greenough, 2002: 88). პრედინასტიული ხანის ეგვიპტეში ქვის ჭურჭელი განსაკუთრებით მრავლადაა ნაკადასა და ჰიერაკონპოლისის სამაროვნებზე. შესაძლოა ვაჭრები თავიანთი მოგზაურობის დროს ჩრდილოეთ ეგვიპტიდან სამხრეთში სწორედ ამ ქალაქებში ჩერდებოდნენ და სიმდიდრე ამ ქალაქების მმართველების ხელში გროვდებოდა (Mallory-Greenough, 2002: 81). როგორც ჩანს, ძველ ეგვიპტეში ქვის ჭურჭელს აფასებდნენ იმისდამიხედვით, თუ რამდენი დრო იხარჯებოდა მის დასამზადებლად. ბაზალტი კი მაგარი და ძალზე მყარი მასალაა და უფრო ძნელადაა დასამუშავებელი, ვიდრე კირქვა, ან სხვა ქვა. შესაძლოა,

სწორედ ამიტომ ბაზალტისაგან დამზადებულ ჭურჭელს მხოლოდ მაღალი წოდების პირებს ატანდნენ (Mallory-Greenough, 2002: 6)].

ქვის ჭურჭელი აღმოჩენილია აგრეთვე ურის სამეფო სამარხებში. ზოგიერთ სამარხში საერთოდ არაა ნაპოვნი, ზოგში კი დიდი რაოდენობით იდო. დედოფალ პუაბის სამარხში მაგალითად სამოცდათხუთმეტი ცალი იყო აღმოჩენილი. დიდი ნაწილი კალციტისგან იყო დამზადებული, მცირე რაოდენობით – ქლორიტის და სტეატიტისაგან. ძალზე ცოტა იყო ისეთი ეგზოტიკური მასალისა, როგორიცაა ლაზურიტი და ობსიდიანი. ლ. ვული ვარაუდობდა, რომ შუმერული ქვის ჭურჭელი მზადდებოდა ეგვიპტური გავლენით. მაგრამ ეს თეორია მცდარი აღმოჩნდა. ბოლო დროის არქეოლოგიურმა გათხრებმა, განსაკუთრებით ირანსა და სპარსეთის ყურის სანაპიროზე, გვიჩვენა, რომ მესოპოტამიური ქვის ჭურჭელის დიდი რაოდენობა ირანიდან იყო. მათ უახლოესი პარალელი მოეძებნებათ აღმოსავლეთ ირანში, ჩრდილო ავღანეთში და სამხრეთ თურქმენეთში. ქლორიტის და სტეატიტის ჭურჭელი წარმომავლობით შესაძლოა იყო თეფე იაჰიადან, სამხრეთ ირანიდან, რომელიც უახლესი მონაცემებით ჯიროფტის კულტურის არეალში შედის. სამხრეთ მესოპოტამიისათვის ქვა იშვიათი და ძვირი მასალაა. ის, როგორც ჩანს, იმპორტირებული იყო მზა პროდუქციის, ან მოპოვებული ნედლეულის სახით. ლაზურიტის უძველესი და უდიდესი საბადო ავღანეთში, ბადახშანში მდებარეობდა, ობსიდიანი კი ან ცენტრალური ანატოლიიდან, ან ვანის ტბის რეგიონიდან შემოჰქონდათ (Zettler, Horne, 1998: 149-150).

ობსიდიანისგან დამზადებული უძველესი ჭურჭელი აღმოჩნდა ტელ-არპაჩიაში, ხალაფურ ფენაში. მ. მელოუნის აზრით, ობსიდიანი ვანის რეგიონიდან შემოჰქონდათ (Mallowan, Cruikshank Rose, 1935: 76). არქეოლოგიური მონაცემებით, ობსიდიანის ლარნაკების დამამზადებელი სახელოსნოები ძვ.წ. II ათასწლეულის დასწყისში დადასტურებულია ალალახში (ტელ აჩანა), VII ფენაში (1780-1750 წ.წ. ძვ. წ.) აქ სასახლის ერთ-ერთი შენობა ობსიდიანის ლარნაკების დამამზადებელ სახელოსნოს წარმოადგენდა. ნედლეული მართკუთხა ბლოკების სახით (30 X 20 X 20 სმ) შემოდიოდა (Вулли, 1982: 96; Бадалян, 2002: 24). ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ანატოლიაში, ქიულ-თეფესა და აჩემ-ჰუიუქშიც დადასტურებულია ობსიდიანის ჭურჭლეულის სახელოსნო (Temizsoy, 1997: 114, ნახ. 177).

ქარუმ ქანეშ I-b ფენაში (II ათასწელეულის დასაწყისი), ერთ-ერთი შენობის ოთახში ობსიდიანის საწყობი დადასტურდა. აქ აღმოჩენილი ობსიდიანის დიდი და პატარა დაუმუშავებელი ნატეხების საერთო წონა სამ ტონას შეადგენდა (Бадалян, 2002: 20). შესაძლოა ხეთურ რიტუალურ ტექსტებში მოხსენიებული შუშის ჭურჭელი, რომელიც ძირითადად რიტუალში გამოიყენებოდა (ტატიშვილი, 2001: 77, 80), სწორედ ობსიდიანისაგან დამზადებული ლარნაკებია.

ქვის ჭურჭელი ძირითადად წარჩინებულთა სამარხებშია დადასტურებული, როგორც ეგვიპტეში, ისე მესოპოტამიაში. თუ ქვით ღარიბ მესოპოტამიაში, ქვის ნაწარმი და თავად ქვაც უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, ეგვიპტეში ამ ტიპის ჭურჭელი ადგილობრივი რესურსებიდან მზადდებოდა ადგილობრივი კერამიკის მინაბაძით (Mallory-Greenough, 2002: 68). სამხრეთ კავკასიაში ქვის ჭურჭელიც ძირითადად მდიდრულ სამარხებშია აღმოჩენილი. მზადდებოდა ალბათ ადგილობრივი მასალით. როგორც მთელ ძველ აღმოსავლეთში, თრიალეთის კულტურის საზოგადოებისთვისაც ქვის ჭურჭელი პრესტიჟულ ნივთს წარმოადგენდა. რა ინახებოდა ქვის ჭურჭელში? შესაძლოა ამ კითხვაზე პასუხი შუმერულმა და ეგვიპტურმა წერილობითმა წყაროებმა გაგვცენ. ბაზალტის ჭურჭელს ეგვიპტელები ყოველთვის მიცვალებულის თავთან დებდნენ. ორ შემთხვევაში მათში შავი ორგანული მასალა აღმოჩნდა. მ. მელოუნის აზრით ტელ-არპაჩიაში აღმოჩენილ ქვის ჭურჭელში, შესაძლოა კოსმეტიკურ საშუალებებს, ნელსაცხებელს ინახავდნენ, როგორც ამას ძველ საბერძნეთში აკეთებდნენ (Mallowan, Cruikshank Rose, 1935: 76). ეგვიპტეში მომუშავე ზოგიერთი არქეოლოგის აზრით, ქვის ჭურჭლის შემცველი სამარხები ქალებს ეკუთვნით, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია (Mallory-Greenough, 2002: 88).

ჩვენი აზრით, ქვის ჭურჭელის შემცველი სამარხები სამხრეთ კავკასიაში ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკუთვნის და ერთგვარ პრესტიჟულ ნივთს წარმოადგენს, რადგან მზადდებოდა ისეთი მყარი მასალისაგან, როგორიც ქვაა. ყველა ამ ტიპის ჯამი ერთი ფორმის და ზომისაა, მასში ალბათ ერთი შიგთავსი იყო, რომელიც მხოლოდ წარჩინებულს შეიძლება ჰქონოდა, ისეთი როგორიცაა ნელსაცხებელი, ან სხვა კოსმეტიკური სურნელოვანი საშუალება.

§ 4. ტორევტიკა.

სამხრეთ კავკასიაში ტორევტიკა შუა ბრინჯაოს ხანის გარკვეული ეტაპიდან, კერძოდ თრიალეთის კულტურაში იჩენს თავს და ჯერჯერობით მხოლოდ ამ კულტურისათვის ჩანს დამახასიათებელი (ფუთურიძე, 2006: 72).

თრიალეთის კულტურის სამარხებში საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ლითონისგან დამზადებული ჭურჭელი - თასები, სასმისები, ქვაბები, სარწყული და სხვა (ტაბ. LXII). ძვირფასი ლითონებისგან დამზადებულმა ჭურჭელმა აღმოჩენისთანავე მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება. ჯერ კიდევ ბ.კუფტინი აღნიშნავდა, რომ ყორღანებიდან წარმოდგენილი ძვირფასი ლითონის ნაკეთობები სრულიად ახალია და მრავალფეროვანი. თუმცა, კუფტინი გარკვეულ მსგავსებას მაინც ხედავდა ურის, ურუქის, ტელ-ხალაფის და ალაჯა ჰუიუქის სამეფო სამარხების ტორევტიკულ ნაწარმთან (Куфтин, 1941: 87). ე. გოგაძე ხაზს უსვამს თრიალეთის ლითონის ჭურჭლის მსგავსებას ტროასა და მიკენში აღმოჩენილ ტორევტიკის ნიმუშებთან (გოგაძე, 1972: 75).

თრიალეთის კულტურის ტორევტიკული ნაწარმი მეცნიერთა დიდ ინტერესს დღესაც იწვევს. ნ. ჯაფარიძემ კ. რუბინსონმა, დ. კოლონმა, რ. ბოემერმა და გ. კოსაკმა ამ თემას სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს (ჯაფარიძე, 1982; Rubinson, 2001; Rubinson, 2003; Rubinson, 2009; Boehmer, Kossack, 2000; Collon, 1982). თრიალეთის კულტურის ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის საკითხებზე ნაყოფიერად მუშაობს მ. ფუთურიძე (ფუთურიძე, 2001; ფუთურიძე, 2002; Puturidze, 2005; ფუთურიძე, 2006; Путуридзе, 2010), რომელიც თვლის, რომ ლითონის ჭურჭლის წარმოება თრიალეთის კულტურის მხატვრულ ლითონწარმოებაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა. მ. ფუთურიძის აზრით, თრიალეთურ ლითონის ჭურჭელში აუცილებლად უნდა გაირჩეს ორი კატეგორია. ერთი ესაა – ბრინჯაოს, ხოლო მეორე კი ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ნაწარმი (ფუთურიძე, 2006: 69). თრიალეთურ ტორევტიკაში მ. ფუთურიძე გამოყოფს კიდევ რამდენიმე კატეგორიას: 1. განსაკუთრებით ძვირფასი და პრესტიჟული ნივთები, რომელშიც ის აერთიანებს ნახევრად ძვირფასი ქვებით ინკრუსტირებულ ოქროს თასს თრიალეთის XVII ყორღანიდან და ვერცხლის სარწყულს, რომლის დეტალები ოქროთია ორნამენტირებული; 2. საკულტო დანიშნულების ლითონის ჭურჭელი, შემკული

დახვეწილი და მაღალ-მხატვრული სტილით; 3. ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, რომელიც დახვეწილია, მაგრამ არა გამორჩეულად მდიდრული და მაღალმხატვრული დონისა; 4. ბრინჯაოს პროდუქცია, რომელიც ასევე მდიდრულ მხატვრულ სტილს ქმნის ლითონის ჭურჭლის საერთო ნაწარმში (ფუთურიძე, 2006: 72).

უნდა აღინიშნოს, რომ ლითონის ჭურჭელი სამხრეთ კავკასიაში სწორედ თრიალეთის კულტურის ძეგლებზე ჩნდება პირველად. მ. ფუთურიძის აზრით ამ ნაწარმის ლოკალურ გარემოში არავითარი წანამძღვრები და საფუძველი არ გააჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიაში ეს ნაწარმი შესაძლებელია სამხრეთული კულტურების ზეგავლენით გაჩენილიყო, რადგანაც ანატოლიაში, შუმერში და სხვა რეგიონებში ძვირფასი ლითონის ჭურჭლის დამზადების ტრადიცია საკმაოდ წინ უსწრებს სამხრეთ კავკასიურს (ფუთურიძე, 2006: 72).

ჩვენი აზრით, თრიალეთური ტორევტიკა, ისევე როგორც შუმერული, ანატოლიური და ირანული ლითონის ჭურჭელი ძირითადად საკულტო დანიშნულებისაა. თითქმის ყველგან ის აღმოჩენილია ან მდიდრულ სამარხებში, ან ტაძრებში.

თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული მინიატურული სასმისები და თასები უახლოეს პარალელებს პოულობენ ძვ.წ. III-II ათასწლ. მიჯნით დათარიღებულ ტორევტიკულ ნაწარმთან მესოპოტამიიდან და ირანიდან. ვერცხლის სასმისი ვიწრო სახელურით თრიალეთის XVI ყორღანიდან მსგავსებას იჩენს ბრინჯაოს ეგზემპლარებთან კალე-ნისარიდან და თეფე გურანიდან (Müller-Karpe, 1995: სურ. 7-13,14). ოქროს თასებს ვანაძორიდან (კიროვაკანი) (ტაბ. LXII-10) და თრიალეთის VII ყორღანიდან (ტაბ. LXII-8) პარალელები ეძებნებათ ტელ სულეიმაში (Müller-Karpe, 1995: სურ. 9-6, 7, 9). ხოლო ვერცხლის თასები (ტაბ. LXII-9) თრიალეთის XV ყორღანიდან ძალზე დიდ მსგავსებას იჩენენ მესოპოტამიურ (Müller-Karpe, 1995: სურ. 6-1,4,-6), ირანულ (Müller-Karpe, 1995: სურ. 7-18) და ინდოსტანურ (Müller-Karpe, 1995: სურ. 7-22, 23) ბრინჯაოს ნაწარმთან.

ტორევტიკის ყველა ეს ნიმუში, როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე მესოპოტამიაში, ირანსა და ინდოსტანში ძალზე მცირე ზომისაა (სასმისი XVI

ყორღანიდან 7,2 სმ სიმაღლისაა, კალე-ნისარიდან - 6,5 სმ.-ია, ხოლო თეფე გურანიდან - 11,4 სმ.; ოქროს თასი VII ყორღანიდან - 4,5 სმ. სიმაღლისაა, ხოლო მსგავსი თასები ტელ-სულე იმადან - 4,5 სმ., 3,8 სმ., 3,8 სმ და 4,0 სმ.-ია; ვერცხლის თასები თრიალეთის XV ყორღანიდან 5,1 და 4,9 სმ. სიმაღლისაა, ხოლო პარალელური ნიმუშები ასურიდან - 7,8 სმ., ტელ ად-დერიდან - 7,7 სმ., ხოლო ტელოდან - 6,2 სმ.-ია), რითაც ასევე ემსგავსებიან ერთმანეთს და რის გამოც, ჩვენი ვარაუდით, ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ კულტმსახურებაში, სავარაუდოდ წინაპრის კულტისადმი მიძღვნილ რიტუალებში, რადგან მესოპოტამიური და ირანული ლითონის ჭურჭელი, ისევე როგორც თრიალეთური, აღმოჩენილია მხოლოდ სამარხებში.

სპილენძის ქვაბები თრიალეთის V და XV ყორღანებიდან უეჭველია გამოიყენებოდა სარიტუალო ტრაპეზში. ორივე მათგანში დადასტურებული იყო საქონლის ძვლები (Куфтин, 1941: 83). ქვაბი V ყორღანიდან სამარხი კამერის ცენტრში იდგა, მის ირგვლივ კი დამწვარი ხის ნაშთი შეინიშნებოდა (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 16). ქვაბი XV ყორღანიდან კი თიხის სამ ღრუ და ნახვრეტიან სადგარზე იდგა (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 77). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სამი სადგარი, რომელზეც თიხის ჭურჭელი იდგა აღმოჩნდა აბუ-სალაბიხში, რომელიც ადრე დინასტიური III ეპოქის დროისაა, ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა საუკუნეებით თარიღდება (Postgate, Moorey, 1976: 146, ტაბ. XXII, სურ. 8-18). მსგავსი ორყურიანი ქვაბები აღმოჩნდა ლორი ბერდის №№ 6 და 79 სამარხებში, აგრეთვე კიროვაკანის/ვანაძორის დიდ ყორღანში და არუჯის №1 ყორღანში (Devedjian, 2006: 331, სურ. 72-5, 100-4).

ბრინჯაოს ორყურიანი ქვაბი აღმოჩნდა კახეთში, ყორღან „თეთრ ქვებში I" (Pizchelauri, Orthmann, 1992:115, სურ. 6-2).

ვერცხლის სარწყული (თრიალეთის XVII ყორღანი) საკულტო დანიშნულებისაა (ტაბ. LXII-12). ასეთივე დანიშნელების უნდა იყოს ბრინჯაოს ქუსლიანი ჭურჭელი (ტაბ. LXII-11) თრიალეთის XV ყორღანიდან. დ. კოლონი მათ ერთ ტიპოლოგიურ რიგში აერთიანებს, რომელსაც Bucket handles უწოდებს (Collon, 1982: 96-100]. ამ ტიპის ტორევტიკულ ნიმუშებს, მისი აზრით პარალელები ეძებნებათ მესოპოტამიაში, ანატოლიასა და სირიაში, თრიალეთის ქუსლიანი ჭურჭლის

მსგავსი ეგზემპლარი აღმოჩნდა მიკენში (Puturidze, 2005: 10-13, სურ. 4). აღსანიშნავია, რომ თრიალეთური ნიმუშების მსგავსი ჭურჭელი ურიდან, ქიულ-თეფედან და მიკენიდან სამარხეული ინვენტარია, ხოლო ტელ-ასმარის, ტროას და ბიბლოსის „სარწყულები" ტაძრებთან დაკავშირებული განძებიდან მომდინარეობენ (Collon, 1982: 98). ანალოგიური კალათა, თუ სარწყული ხელში უჭირავს ქალის ფიგურას აქადური ეპოქის საბეჭდავზე ტელ-ასმარიდან (Collon, 1982: 101, სურ. 3). საინტერესოა, რომ მდიდრულად ორნამენტირებული ქვისგან დამზადებული მსგავსი ნივთები მრავლადაა ნაპოვნი ირანში, ჟიროფტში.

„სარწყულები" ხელში უჭირავთ ფრთოსან გენიებს ასურულ რელიეფებზე. რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეს საგნები, დღესდღეობით გარკვეული არ არის, თუმცა ეჭვს არ იწვევს მათი საკულტო მნიშვნელობა. ასირიული ხელოვნების ნიმუშებზე ამგვარი სარწყული ხელში უჭირავთ სხვადასხვა სახის ზოო-ანთროპომორფულ ჰიბრიდებს, ან ანთროპომორფულ ფიგურებს – გენიებს. ასურული წერილობითი წყაროების მიხედვით ამ ნივთს ეწოდება banduddu და ის განწმენდის რიტუალში გამოიყენებოდა. ტექსტების მიხედვით, ეს ნივთი აუცილებლად ლითონისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული და მასში წყალი უნდა ესხას (Black, Green, 1992: 46; Wiggermann, 1992: 66). რიტუალის შემსრულებელი ასახიერებდა მარდუქს, რომელიც „იღებდა წყალს ორი მდინარის სათავიდან, თავის წმინდა ჯადოს მდინარეებს გადაავლებდა, განწმენდდა მათ თავისი წმინდა შელოცვით და შეასხურებდა ამ წყალს ადამიანს, თავისი ღმერთის შვილს". ადამიანს, რომელსაც რაღაც საშიშროება ემუქრებოდა, წმინდა წყლის შესხურება ათავისუფლებდა მისგან (Wiggermann, 1992: 66). ასურულ ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული სარწყულები ხშირად მცენარეული დეკორატიული ელემენტებით არის შემკული, ზოგჯერ დაწნული კალათის იმიტაციას წარმოადგენს, თუმცა რიტუალის მიხედვით აუცილებლად ლითონისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. ზოგჯერ ფანტასტიური არსებები არიან გამოსახული მის ზედაპირზე, ზოგჯერ კი საკრალური ხე, ან ღია კარი (Black, Green, 1992: 46; Wiggermann, 1992: 66).

თრიალეთური სარწყული შეესაბამება მესოპოტამიური რიტუალის მოთხოვნებს: ის დამზადებულია ლითონისგან და შემკულია ქაოტურად

განლაგებული ცხოველებით და მცენარეებით, რაც ჩვენი აზრით ამორფულ, მოუწესრიგებელ სამყაროს განასახიერებს, ისევე როგორც ასურულ ნიმუშებზე.

რელიგიურ ადამიანს სურს მოწესრიგებულ სამყაროში ცხოვრება, რომელიც ერთდროულად რეალური, მყარი და ნაყოფიერია. ამისთვის ის მიმართავს სხვადასხვა საშუალებას სივრცის კურთხევისათვის. შემუშავებული იყო ორიენტირის მოძებნის საშუალებები, რომელიც საბოლოო ჯამში საკრალური სივრცის შესაქმნელად იყო საჭირო (Элиаде, 1994: 26). ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საცხოვრებელი, ნაკურთხი ტერიტორიის და უცნობი, მის გარშემო არსებული, გაუთვითცნობიერებელი სივრცის დაპირისპირება. პირველი ეს „ჩვენი სამყაროა", კოსმოსი, ყველაფერი დანარჩენი კი „სხვა სამყარო", უცხო და ქაოტური სივრცეა, დემონებით და „სხვებით" დასახლებული. სხვადასხვა რიტუალების საშუალებით, არქაული ადამიანი ცდილობს ტერიტორიის დაუფლებას, რომელიც საკურთხევლის აგებით კანონიერი, ნაკურთხი, ხდება (Элиаде, 1994: 27). უცხო, „სხვების" ტერიტორია ქაოტურია. მისი დაკავებით და მასზე განსახლებით ადამიანი მას სიმბოლურად კოსმოს ად აქცევს. არქაული ადამიანის წარმოდგენით, ის, რაც „ჩვენ სამყაროს" არ წარმოადგენს, საერთოდ არაა სამყარო. „ჩვენს" ტერიტორიად ის გადაიქცევა მისი ხელახალი შექმნით, ე.ი. კურთხევით. ეს რელიგიური ქცევა უცნობი ტერიტორიების მიმართ თანამედროვე ისტორიაშიც შემოინახა. ესპანელი და პორტუგალიელი კონკისტადორები ახლად აღმოჩენილ ამერიკის მიწაზე ჯვრის აღმართვით აკურთხებდნენ ტერიტორიას და ახლად დაბადების აქტის მნიშვნელობას ანიჭებდნენ (Элиаде, 1994: 28).

არქაულ წარმოდგენებში ცისა და მიწის სიმბოლური კავშირის გამომხატველია მთა, ე.ი. იგულისხმება, რომ მთები „სამყაროს ცენტრში" მდებარეობენ. სხვადასხვა კულტურაში მითოსური, თუ რეალური მთები „სამყაროს ცენტრში" იგულისხმებიან: მერუ ინდოეთში, ხარაბერეციტი ირანში, „ქვეყნიერების მთა" მესოპოტამიაში, გერიზიმი – პალესტინაში. მთასთან მიმდებარე ტერიტორია „ჩვენს სამყაროს" წარმოადგენს. ყველა ეს რწმენა ერთ რელიგიურ გრძნობას ასახავს: „ჩვენი სამყარო" წმინდა მიწაა, იმიტომ რომ ყველაზე ახლოსაა ზეცასთან, ე.ი. „ჩვენი სამყარო" ამაღლებული ადგილია. „ჩვენი სამყარო" კოსმოსია და

გარედან თავდასხმა ქმნის მის ქაოსად გარდაქმნის საშიშროებას (Элиаде, 1994: 31-37).

სარწყულიანი ფიგურები ასურული ხელოვნების ნიმუშებზე ხშირად საკრალური ხის გვერდით გამოისახებოდნენ (Black, Green, 1992: 46). საკრალური ხე კი სიცოცხლის ხეს, ან სამყაროს ღერძს განასახიერებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნივთების უძველესი გამოსახულება გვხვდება ძვ.წ. IX ათასწლ. დათარიღებულ სვეტზე ანატოლიაში, გობეკლი თეფეზე აღმოჩენილი სამლოცველოდან (http:www.archaeology.org/0811/abstracts/turkey.html).

§ 5. შტანდარტები და ინსიგნიები

შტანდარტი წარმოადგენენ დროშის ნაირსახეობას, ხელისუფალის, მხედართმთავრის, ან სამხედრო ნაწილის სიმბოლოს, საპატიო განმასხვავებელ ნიშანს (ინსიგნია). ძვ.წ. III ათასწლეულის ყველაზე ცნობილი შტანდარტი აღმოჩნდა ურის სამეფო სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში. ნარამ-სინის გამარჯვების სტელაზე ორ მედროშეს შტანდარტი უჭირავს ხელში. ალაჯა-ჰუიუქის სამეფო სამარხებში აღმოჩენილი სხვადასხვა ცხოველის (ირემი, ხარი) სკულპტურული გამოსახულებები სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც შტანდარტები.

შტანდარტები აღმოჩნდა თრიალეთის VI, XV და XVI ყორღანებში. თუმცა ბ. კუფტინის აზრით ისინი ინსიგნიები კი არ იყო, არამედ სამარხის შესამკობად გამოიყენებოდა (Куфтин, 1941: 98). ორი მათგანი (VI და XVI ყორღანიდან) გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. LXIV - 6, 16). XV ყორღანის შტანდარტის ზედაპირზე კი – ლომები და მეანდრებია გამოსახული (ტაბ. LXIV - 1, 2). ამ უკანასკნელის სიმაღლე – 6,8 სმ.-ია. ლომებიანი შტანდარტი ყველაზე უკეთ არის შემონახული. მისი დეტალებია 6 ოქროს ცილინდრული მილაკი, 15,5 სმ.-ის სიგრძის და სამი საკიდი, წაკვეთილი კონუსის ფორმის. მათი სიგრძე 2,7-2,8 სმ.-ია (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 89, ტაბ. 79).

შტანდარტები აღმოჩნდა კახეთში, სადუღას № 2 ყორღანში, სადაც „სამარხის ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ოთხი შტანდარტის (ტაბ. LXIII) შემადგენელი ნივთები: ტყავის დროშები, სარდიონის მძივები, ერთი ვერცხლის და სამი ოქროს დოლური, ოქროს მილაკები, ზანზალაკები და სალტეები“ (დედაბრიშვილი,

რუსიშვილი, 1984: 56, ტაბ. XXXI). ოქროს შტანდარტების სახურავი შემკულია წერტილების სარტყელში მოთავსებული, ერთმანეთში ჩასმული წრეებით, ასეთი წრეები შემოსდევს კორპუსსაც. ორ დოლურაზე რელიეფური ხაზების სამი სარტყელია და ყოველ სარტყელში ასეთი წრეების რიგია ჩასმული (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 56, ტაბ. XXXI - 1, 2), ერთზე – კი ერთი სარტყელია (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 56, ტაბ. XXXI - 3). ვერცხლის შტანდარტი ძლიერ იყო დაზიანებული და არ შემორჩა. შტანდარტებს ჰქონია სწორკუთხა დროშები, რომლებიც ასევე ერთმანეთში ჩასმული წრეების ორნამენტი ამკობდა (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 60). სადუღას „შტანდარტები შემდეგნაირად იყო აგებული: მრგვალგანივკვეთიან ხის ტარზე, რომელზედაც შემოკრული იყო სალტეები, დამაგრებული იყო ტყავის სწორკუთხა დროშა. მასზე წამოცმული იყო ჭიქისებური ნივთი, რომელსაც შიგნით სარდიონის მძივი ჰქონდა დროშის თავზე ამოშვერილი სამი მავთულის დასამაგრებლად. ამ მავთულებზე იყო დამაგრებული ზანზალაკები. მათ ნახვრეტში იყრებოდა სპილენძის მავთულები, რომლებზედაც წამოცმული იყო მილაკები (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 60).

შტანდარტებს თუ ინსიგნიებს წამოადგენს შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონისაგან დამზადებილი საბრძოლო იარაღი (ტაბ. LXVI). თრიალეთის ყორღანებში საბრძოლო იარაღი იშვიათად გვხვდება. როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავდა „საბრძოლო იარაღის სიმცირე თრიალეთის ყორღანების ინვენტარის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს" (Куфтин, 1941: 79). თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში ნაპოვნი იყო სულ სამი სატევარი: ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოსი, ვერცხლის სალტიანი ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი და რამდენიმე ობსიდიანის და ერთი კაჟის ისრისპირი (Куфтин, 1941: 80). საბრძოლო იარაღი მესხეთის ყორღანებშიც ძალზე მცირე რაოდენობითაა. მათში ექვსი ბრინჯაოს სატევრის პირი და ერთი ოქროს სალტიანი მასრაგახსნილი შუბისპირი (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 154). მხოლოდ ზურტაკეტის № 3 ყორღანში იყო აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრისპირი, ობსიდიანის ისრისპირები და ორი სადგისი – ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოსი (ჯაფარიძე, 1969: 31, სურ. 9).

ბ. კუფტინი ამ ფაქტს კონკრეტულ ახსნას ვერ უძებნიდა (Куфтин, 1941: 100). დღესაც ძნელი ასახსნელია თუ რატომაა ასე მცირე რაოდენობით საბრძოლო იარაღი მდიდრულ ყორღანებში. უდავოა, რომ ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული და შემკული იარაღი მის არაპირდაპირ დანიშნულებაზე მეტყველებს. გ. გობეჯიშვილის აზრით ძვირფასი ლითონის იარაღი „მიცვალებულის მაღალ სოციალურ ადგილს მის თვისტომთა შორის“. ნადარბაზევის № 2 ყორღანთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სამარხში „დაკრძალული იყო ლითონის ხანის ადრეული საფეხურის გვარ-ტომური საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენელი, გვარის ან ტომის მეთაური, ბელადი“ (გობეჯიშვილი 1981: 27). ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ნადარბაზევის № 2 ყორღანში შეიძლება ქურუმი იყო დაკრძალული. თუ ეს მოსაზრება სწორია, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ვერცხლის სატევარი მსხერპლშეწირვის რიტუალში გამოიყენებოდა.

იარაღი-ინსიგნიები აღმოჩენილი იყო ურის სამეფო სამარხებში. ურის ლაზურიტის სახელურიანი ოქროს სატევრის, ვერცხლის შუბისპირისა და ოქროს სადგისის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება აღმოჩენისთანავე საეჭვოდ იყო მიჩნეული. ლ. ვულის აზრით, ეს იარაღები სიმბოლური, ან ცერემონიალური უნდა ყოფილიყო (Zettler, Horne, 1998: 163).

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული შუა ბრინჯაოს ხანის საბრძოლო იარაღების მინაბაძებიც სიმბოლური, ცერემონიალური იყო. არ არის გამორიცხული, რომ ისინი მსხვერპლშეწირვის რიტუალში გამოიყენებოდა.

ინსიგნიას წამოადგენდა შუა ბრინჯაოს ხანის სარკე-შტანდარტები (ტაბ. LXV). ბედენურ ყორღანებში ზოგჯერ გვხვდება სპილენძისგან დამზადებული დისკოსებურთავიანი ბრტყელი ნივთები, რომლებიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით ”მზის სიმბოლოდ უნდა იყოს მიჩნეული” (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 183). ინსიგნიებს წარმოადგენს, ჩვენი აზრით, სამარხებში აღმოჩენილი კვერთხისთავები (ტაბ. LXVII) და ღუზისებური ცულები (ტაბ. LXVI).

თავი V
ნიშნებისა და ორნამენტის სიმბოლიკა

არქაულ საზოგადოებაში ნებისმიერი საგნის გარკვეული ნიშნებითა და ორნამენტით შემკობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ახლო აღმოსავლეთის უძველესი არქეოლოგიური კულტურების კერამიკის ორნამენტს მეცნიერები განიხილავენ როგორც პირობით გამოსახულებებს, რომლებსაც აზრობრივი დატვირთვა ენიჭებოდათ. ორნამენტული სიმბოლოებით გამოიხატებოდა ის წარმოდგენები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ ამა თუ იმ საზოგადოებაში. „ორნამენტში გამოხატულებას პოულობდნენ ძველი მიწათმოქმედების იდეები, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მათი სულიერი კულტურის კვინტესენცია“ (Антонова, 1972: 7). პრეისტორიულ ხანაში ნახატი, ორნამენტი, ან სიმბოლური ნიშანი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენდა. ცნობილი ამერიკელი ლინგვისტის და ასირიოლოგის ი. გელბის აზრით „იმისათვის, რომ ადამიანს სხვა ადამიანისათვის თავისი აზრი და გრძნობები გაეგებინებინა, თავისი საზოგადოებისათვის გასაგები პირობითი ნისნების სისტემა, ან სიმბოლოები უნდა ეხმარა“ (Гельб, 1982: 13).

ტრადიციულ საზოგადოებაში ორნამენტი წარმოადგენდა ერთგვარ ტექსტს სემიოტიკური გაგებით. „უძველესი მიწათმოქმედების ორნამენტი ასრულებდა არა მარტო დეკორის როლს, არამედ თანამედროვეთა თვალში იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ასახავდა მისი შემქმნელი ადამიანების წარმოდგენებს. ორნამენტის აყვავება წინ უსწრებდა დამწერლობის ჩამოყალიბებას. ზოგიერთი ორნამენტული მოტივი მსგავსებას იჩენს უძველეს დამწერლობის ნიშნებთან. შესაძლოა არსებობდა გენეტიკური კავშირი ორნამენტსა და დამწერლობით ნიშნებს შორის, ან ისინი ერთი წყაროდან მომდინარეობდნენ“ (Антонова, 1981: 8).

სამხრეთ კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ყველაზე დიდი რაოდენობით კერამიკაა მოპოვებული. ე. გოგაძის აზრით, „კერამიკაში უმთავრესად შეიმჩნევა ადგილობრივი უძველესი ტრადიციის გაგრძელება, რასაც გამოხატავს ყველაზე მასობრივი მასალა – შავპრიალაზედაპირიანი კერამიკა“ (გოგაძე, 1972: 40). შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა გამოირჩევა სხვადასხვა ორნამენტულ სახეთა

სიმრავლით. განსხვავდება ორნამენტის დატანის ტექნიკა: გავრცელებულია სხვადასხვა მეთოდით დატანილი ორნამენტული მოტივები (ნაკაწრი, რელიეფური, ჭდეული, ნაპრიალები, მოხატული).

თრიალეთის კულტურის კერამიკაზე დატანილ ზოგიერთ ორნამენტულ მოტივს ბ. კუფტინის აზრით, „აშკარად მაგიური-საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა“ (Куфтин, 1948: 20). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ორნამენტულ მოტივებს, რომლებიც დატანილია მიცვალებულისთვის საგზლად გამზადებულ კერამიკაზე და უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის ორნამენტული სახეები, რომლებიც აღმოჩენილია ე.წ. „ბელადების სამარხებში“.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არტეფაქტებზე გამოსახულ იმ ნიშნებსა და სიმბოლურ გამოსახულებებს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, გარკვეული საკრალური დატვირთვა უნდა ჰქონოდათ. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკის ორნამენტული სახეები ხშირად იმეორებენ ახლო აღმოსავლეთის ნეოლითური კულტურების ორნამენტულ მოტივებს. ეს სიმბოლიკა დამახასიათებელია განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს გამოსახულებები, ისევე როგორც ძველ სამყაროში გავრცელებული ნიშან-სიმბოლოების მსგავსად, ასახავენ სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის მითო-რელიგიურ შეხედულებებს სამყაროს აგებულებაზე და ადამიანის ადგილზე ამ სამყაროში. რთულ ორნამენტულ სახეებთან ერთად სხვადასხვა ნიშნებისა და სიმბოლოების გადმოცემა დამახასიათებელია შუა ბრინჯაოს ხანის განსხვავებულ არტეფაქტებზე: ტორევტიკა, თიხის და ხის ჭურჭელი, ეტლი, ავეჯი. არის შემთხვევები, როცა ისინი სხვადასხვა კატეგორიის მასალაზე სრულიად ერთგვარია (მაგ. კერამიკა, ხე, ტყავი, ოქროს ფირფიტა, გარსაკრავი).

§ 1. სოლარული ნიშან-სიმბოლოები.

მზის გამოსახულებები. სოლარული გამოსახულებები სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანიდანაა გავრცელებული. ბორჯღალის გამოსახულება (იმ შემთხვევაში, თუ ბორჯღალს მზის სიმბოლოდ ჩავთვლით) მოცემულია ცხოველის თავზე გუდაბერტყაში აღმოჩენილი კონუსური ფორმის (ტაბ XC-4) საბეჭდავიდან

(შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: ტაბ. IV-V). სამი ერთმანეთში ჩასმული რელიეფური წრეა გამოსახული ქვემო არანისში აღმოჩენილ შტამპურ საბეჭდავზე (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: ტაბ. III-1).

შუა ბრინჯაოს საწყისი პერიოდიდან სოლარული კულტის გამოვლინება უფრო ფართოდ გვხვდება. სოლარული გამოსახულებები დასტურდება როგორც კერამიკაზე და ლითონის ნივთებზე, ასევე არქიტექტურაში. ციხიაგორას B2 ფენის №1 შენობაში, კერასა და საბოძე ორმოს შორის იატაკზე ამოტვიფრულია გასხივოსნებული წრე (ტაბ. XXVII), რაც სავარაუდოდ მზის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს (მახარაძე, 1994: 16). აღსანიშნავია, რომ ამავე ნამოსახლარზე, B1 ფენის შენობის იატაკზე დაძერწილი იყო 1,1 დიამეტრის მქონე წმინდა ნაცრით ამოვსებული გამოუწვავი თიხის რგოლი. რგოლს დასავლეთის მხრიდან გამართული ჰქონდა ბრტყელი ქვებისგან შედგენილი პატარა ბაქანი, სავარაუდოდ საკურთხევლის ნაშთი (მახარაძე, 1994: 14). მსგავსი გამოუწვავი თიხის რგოლი დაძერწილი იყო აგრეთვე A1 ფენის შენობის იატაკზე (მახარაძე, 1994: 11). დიდი ზომის რელიეფური კონცენტრული წრეებით შემკული კერამიკა, რომელშიც ზოგჯერ კოპებია ჩასმული (ტაბ. LXXIX-10-13) აღმოჩენილია ბედენის კულტურის ძეგლებზე (Дедабришвили, 1978: ტაბ. XXVI, XXVIII). მსგავსი ორნამენტით შემკული კერამიკა სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც “Medallion jar” (Mellink, Angel, 1966: 253-254).

მსგავსი ორნამენტული მოტივი სამხრეთ კავკასიის მასალებშიც გვხვდება. კონცენტრული წრეებითაა შემკული ქვის საბეჭდავი ბერიკლდეების ბედენური ფენიდან (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013:). კონუსური ტიპის საბეჭდავი დამზადებულია მაგარი ჯიშის მოწითალო ქვისაგან. ზედაპირზე დიდი და პატარა კონცენტრული წრეებია გამოსახული. ფუძეზე ერთი წრე, მის ირგვლივ კი ექვსი კონცენტრული წრეა გამოყვანილი (ჯალაბაძე, 1998: ტაბ. X-20). ანალოგიური ორნამენტით არის შემკული ბედენის №10 გორასამარხში აღმოჩენილი ლითონის აბჯრის უმბონი (გობეჯიშვილი, 1981: 99, სურ. 39). სადუღას №2 ყორღანში აღმოჩენილ ცილინდრული ფორმის სამი ნივთის ფუძეებზეც გვხვდება მსგავსი გამოსახულება (ტაბ. LXIII). კონცენტრული წრეებით შემკული ფუძეზე გამოსახულია პატარა წერტილებით გამოყვანილი ორი წრე, რომელთა გარშემო

რვა კონცენტრული წრეა მოცემული (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 59, ტაბ. XXXI-1,2, 3). ამ ნივთებს შტანდარტის ნაწილებად მიიჩნევენ შ. დედაბრიშვილი და რ. რუსიშვილი (დედაბრიშვილი, რუსიშვილი, 1984: 59). ა. ფილიპოსიანი თვლის, რომ ეს ოქროს ნივთები საბეჭდავებს წარმოადგენენ (Пилипосян, 1998: 121, ტაბ. 53).

„მედალიონებით“ შემკული თიხის ჭურჭელი თრიალეთის კულტურის ძეგლებზეც გვხვდება. კერამიკა, რომელზეც რელიეფური წრეა მოცემული (ტაბ. LXXIX-9) აღმოჩნდა თრიალეთის VII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 65-568) და XLV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 103-926) ყორღანებში, ხოლო წერტილი (ტაბ. LXXIX-3, 4) რელიეფურ წრეში გამოსახულია თრიალეთის XLV ყორღანში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტზე (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 103-926). წრეები, რომლებშიც წერტილებია ჩახატული გამოსახულია მოხატულ ჭურჭელზე (ტაბ. LXXXIII-2, 3) თრიალეთის V ყორღანიდან (Куфтин, 1941: ტაბ. LXXVIII-1). რელიეფური მედალიონი და ტალღისებური მოტივია მოცემული ჭურჭელზე საბიდახჩას ყორღანიდან (ჯაფარიძე, 1969: 131, სურ. 64-1). მედალიონებით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია ლორი ბერდის სამაროვანზეც, №77 სამარხში (Devedjian, 2006: 170, 171, ტაბ. 92 -5, ტაბ. 93-1, 2). უკანასკნელ შემთხვევაში, წრეები შევრონების დაბოლოვებებს წარმოადგენენ. მსგავსი დეკორით არის შემკული ოქროს ფირფიტისაგან დამზადებული შტანდარტის ნაწილი თრიალეთის VI (Куфтин, 1941: ტაბ. XCIX) და ოქროს მრგვალი ფირფიტა (ტაბ. LXXX-4) XVII ყორღანებიდან (Куфтин, 1941: ტაბ. CIII), აგრეთვე შემთხვევით მოპოვებული ოქროს მედალიონი უზუნლარიდან (Куфтин, 1941: 99, სურ. 106). სოლარული ნიშნებით შემკული ოქროს ფირფიტა ყარაშამბის მდიდრულ (ტაბ. LXXX-1) და ზურტაკეტის № 4 ყორღანებშიც აღმოჩნდა (ტაბ. LXXX-3). კ. ლილიქვისთის აზრით, შვიდი, ან რვა წრით შემკული ოქროს მედალიონები, რომლებიც გავრცელებული იყო ძველბაბილონური ხანის (ძვ.წ. II ათასწლ.) სირია-მესოპოტამიაში (დილბათი, ებლა, ლარსა) მესოპოტამიურო მზის ღვთაების შამაშის სიმბოლო იყო, რადგან დიდ წრეში ჩახაზული პატარა წრეები ასტრალური ნიშანი, სავარაუდოდ მზის სიმბოლო იყო (Lilyquist, 1994: 19-28).

ძველბაბილონური ოქროს მედალიონების მსგავსი რელიეფური გამოსახულებით შემკულია წნორის I ყორღანში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი

(Дедабришвили, 1979: ტაბ. XX-1, XXVIII-1), რომელიც ბედენურ კულტურას ეკუთვნის. თრიალეთის V ყორღანში, რომელიც თრიალეთურ კულტურას ეკუთვნის, ეს ორნამენტი მოხატულობის დეტალია (Куфтин, 1941: ტაბ. LXXVIII-1). როგორც ჩანს, ამ სიმბოლოს - დიდ წრეში ჩახაზულ პატარა წრეებს, სამხრეთ კავკასიაში საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ენიჭებოდა საკრალური მნიშვნელობა. ასეთივე ორნამენტითაა შემკული ნერკინ ნავერის სამაროვანზე აღმოჩენილი მოხატული კერამიკა (ტაბ. LXXXIV-3, 4).

შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების კერამიკის ორნამენტაციაში და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე სოლარული სიმბოლიკა განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი. გასხივოსნებული წრეები, კონცენტრული წრეები, წრეებში ჩასმული წერტილები და სვასტიკები გამოსახულია როგორც შავპრიალა, ისე მოხატულ კერამიკაზე (ტაბ. LXXXV). სოლარული ნიშნებითაა (ტაბ. LXXIX-1-9; LXXX-2, 3) შემკული თიხის შავპრიალა ჭურჭელი თრიალეთის V (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 52-451), VIII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 69-583, ტაბ. 70-583), XVII (Куфтин, 1941: ტაბ. LXXIV; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 108-702], XVIII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 90-756), XXIX (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 92-779), XXXVI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 95-855, ტაბ. 96-860, 865, 867, 868, ტაბ. 98-845], XLIV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 102-910), XLV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 103-925, 936, ტაბ. 104-940, 942, ტაბ. 105-948, 949) ყორღანებიდან. აგრეთვე კერამიკა ზურტაკეტის №3 (ჯაფარიძე, 1969: 36, 39, 42 სურ. 15, 17, 19) და №4 (ჯაფარიძე, 1969: 56, 60, სურ. 33, 36) ყორღანებიდან და ლორი ბერდის №65 (Devedjian, 2006: 161, ტაბ. 82-1,4), № 77 (Devedjian, 2006: 169, ტაბ. 91-1), № 78 (Devedjian, 2006: 173, ტაბ. 95-1), № 89 (Devedjian, 2006: 181, ტაბ. 105-11), № 92 (Devedjian, 2006: 183, ტაბ. 108-7), № 94 (Devedjian, 2006: 185, 186, ტაბ. 110-1,2, ტაბ. 111-4) სამარხებიდან.

სოლარული სიმბოლიკა წარმოდგენილია თრიალეთის მოხატულ კერამიკაზეც. წითელი საღებავით შესრულებული დისკებია მოცემული დიდ ჭურჭელზე (ტაბ. LXXXIII-1) თრიალეთის VI (Куфтин, 1941: ტაბ. XXX) და XVII (Куфтин, 1941: ტაბ. XXVI) ყორღანებიდან. იგივე სიმბოლიკითაა შემკული ოქროსგან დამზადებული მრავალრიცხოვანი სამკაული თრიალეთის V (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 59-

492, 493), VI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 62-542), VIII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 72-605), IX (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 73-619), XVI (Куфтин, 1941: სურ. 105; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 108-683), XVII (Куфтин, 1941: ტაბ. XCIII, ტაბ. CIII; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 83-734), XXXVI (Куфтин, 1941: ტაბ. CIV; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 101-891, 892) და ზურტაკეტის № 4 (ჯაფარიძე, 1969: 55, ტაბ. XIX) ყორღანებიდან. აგრეთვე ლორი ბერდის № 65 (Devedjian, 2006: 163, ტაბ. 84-3,4) სამარხიდან (ტაბ. LXXXI).

სოლარული ნიშანი უნდა იყოს გამოსახული ნერკინ ნავერის № 5 ყორღანში აღმოჩენილ მენჰირზეც, რომლის ერთ მხარეს, წრეზე განლაგებული, ასევე წრიული ფორმის მცირე ზომის 12 ჩაღმავებით დაახლოებით 0.4 მ დიამეტრის წრეა გამოსახული, რომლის ცენტრშიც კიდევ ერთი წრეა გამოსახული (Симонян, 2011: 224, სურ. 6-2).

სვასტიკა გამოსახულია თრიალეთის VI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 68-509), XVII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 81-690), XXVIII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 91-775) და XXXVI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 97-868, 99-868) ყორღანებში აღმოჩენილ შავპრიალა და მოხატულ კერამიკაზე. აგრეთვე ლორი ბერდის №61 (Devedjian, 2006: 155, ტაბ. 76-1) სამარხში (ტაბ. LXIX-6-10, LXX-1). სვასტიკა ერთ-ერთი ყველაზე არქაულ სიმბოლოდ ითვლება, რომელიც პალეოლითის ეპოქიდან გვხვდება. ინდურ კულტურაში სვასტიკა სოლარულ, სინათლის სიმბოლოს წარმოადგენს. ფართოდ არის გავრცელებული ევრაზიის კონტინენტის უძველეს კულტურებში, აგრეთვე ტრადიციულ ხალხურ ხელოვნებაში (Голан, 1993: 119-122).

ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი ყველა არქეოლოგიური ფაქტი მიუთითებს, რომ სოლარული კულტი სამხრეთ კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბდა. ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსის კულტურაში ეს კულტი გამოკვეთილად არა ჩანს.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე გამოვლენილი ზემოთ აღწერილი ნიშან-სიმბოლოები, არტეფაქტები და დაკრძალვის რიტუალი (სამარხთა ორიენტაცია, სარიტუალო გზები) სოლარული კულტის არსებობას ადასტურებს. ეს კულტი ჩანს როგორც ელიტურ სამარხებში (წნორის №2, ნადარბაზევის №№2, 5, მარტყოფის № 5 და სხვა ყორღანები), ისე სამოსახლობზე (ციხიაგორა). ჩვენი

აზრით შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მზის კულტის არსებობა ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი.

მ. ელიადე მიიჩნევს, რომ „შეუძლებელია შეუმჩნეველი არ დარჩეს ის ფაქტი, რომ მზის კულტი დომინირებს იქ, სადაც მეფეების, გმირები და იმპერიების საშუალებით იწყება ისტორიის მოძრაობა" (Элиаде, 2000: 241). მისი აზრით, მზის კულტი დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოქმნასთან და ძალაუფლების მატარებლის „რჩეულობასთან". მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ძალაუფლების მატარებლები, მეფეები და ბელადები მზის პირდაპირ შთამომავლებად ითვლებოდნენ. ინკების იმპერატორები, ხეთების მეფეები (რომლებიც იწოდებოდნენ „ჩემი მზე"), აფრიკის მასაების ტომებში, პოლინეზიაში, ბაბილონის მეფეები, ინდოეთის მეფეები, რომლების ატარებდნენ სახელს და ტიტულს „მზე", „მზის შვილი", „მზის შვილიშვილი", ანდა საერთოდ მზეს განასახიერებდნენ თავის მისტიურ სხეულში (Элиаде, 2000: 264).

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე რელიგიათმცოდნეობაში ითვლებოდა, რომ მზის კულტი ყველა კონტინენტზე იყო ცნობილი. 1870 წ. ცნობილმა ეთნოლოგმა ა. ბასტიანმა კი დაამტკიცა, რომ სოლარული კულტი დედამიწის მხოლოდ რამდენიმე რეგიონში იყო გავრცელებული. ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი ჯ. ფრეზერი კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სოლარული კულტი ნაკლებად არის ცნობილი აფრიკაში, პოლინეზიაში, მიკრონეზიასა და მელანეზიაში, თითქმის უცნობია ავსტრალიაში. მხოლოდ ეგვიპტეში, აზიასა და არქაულ ევროპაშია კარგად გამოკვეთილი მზის კულტი (Элиаде, 2000: 240). ამერიკის კონტინენტზე მზის კულტი კარგად ჩანს განვითარებული ორ რეგიონში, მექსიკასა და პერუში, ე.ი. სადაც შეიქმნა ცივილიზაციები, იქ, სადაც ადამიანმა სახელმწიფო ორგანიზაცია შექმნა. მ. ელიადე მიიჩნევს, რომ ასახსნელია სოლარული კულტების და ცივილიზაციების წარმოქმნის ურთიერთკავშირი. ზეციური ღვთაებებისაგან განსხვავებით, რომელთა კვალი ყველგან და ყველა ეპოქაში შეინიშნება, სოლარული ღვთაებები საკმაოდ იშვიათად გვხვდება (Элиаде, 2000: 241).

მესოპოტამიის ზოგიერთი ღვთაების ხასიათში შერწყმულია სოლარული თვისებები და ნაყოფიერება. ამის ნათელ მაგალითს მარდუქი წარმოადგენს. მცენარეულობის ზოგიერთ ღვთაებასაც სოლარული ატრიბუტები ახასიათებს.

სოლარული და ვეგეტატიური ელემენტების შერწმა შეიძლება აიხსნას იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელსაც მეფე, ძალაუფალი ასრულებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ენერგიის დაგროვებით და გადანაწილებით (როგორც საერთო კოსმიურ, ისე სოციალურ ხასიათში) (Элиаде, 2000: 246).

წინააზიურ ღვთაებათა პანთეონში არ არსებობს ღვთაება, რომელიც მხოლოდ **ნაყოფიერების კულტთან** არის დაკავშირებული. „სხვადასხვა ღვთაების ფუნქციის შემადგენლობაში შედის ნაყოფიერების სხვადასხვა ასპექტი (მაგ. ჭექა-ქუხილის ღვთაება, მინდვრის მფარველი ღვთაება და ა.შ.). კონკრეტულად ნაყოფიერების ღვთაების შექმნა სპეკულატიური მითოლოგიების შედეგია. თავისთავად ყოველი კულტმსახურება შეიცავს ნაყოფიერების ელემენტს იმდენად, რამდენადაც შედის ამა თუ იმ ღვთაების შემადგენლობაში" (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 142-143).

მ. ელიადე ფიქრობს, რომ მზის კულტის მრავალრიცხოვანი არქაული გამოვლინებები შემორჩენილია ხალხურ ტრადიციებში და მეტ-ნაკლებად ინტეგრირებულია ახალ რელიგიურ სისტემებში. ცეცხლმოკიდებული ბორბლები (მზის ბუნიობის დღეს მთიდან რომ აგორებენ) და ბორბალთან დაკავშირებულ სხვა რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს სოლარული კულტი უდევს საფუძვლად. მისი აზრით პრეისტორიული საკულტო ეტლები მზის მოძრაობას ბაძავენ და ჩვეულებრივი, „პროფანური" საზიდრების პროტოტიპებს წარმოადგენენ (Элиаде, 2000: 280). მ. ელიადეს აზრით, „რჩეულობის" მოტივი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული დაკრძალვის რიტუალთან, მზის ნიშნით არის აღნიშნული. ყველგან მხოლოდ ბელადებს შეუძლიათ სიკვდილის შემდეგ მზესთან იყვნენ გაიგივებულნი (Элиаде, 2000: 264). ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს თრიალეთის ყორღანების სოლარული ორიენტაცია.

მზის ჩასვლა აღიქმებოდა არა როგორც სიკვდილი, არამედ როგორც მისი ჩასვლა ქვესკნელში, მიცვალებულთა საუფლოში. მზეს განსაკუთრებული პრივილეგია გააჩნია, ის გადაკვეთს საიქიოს, ისე რომ თავად არ შეეხება სიკვდილი. მიუხედავად ამისა, მზის განსაზღვრული გზა მიწისქვეშა სამფლობელოებზე გავლით მას აკავშირებს საიქიო სფეროსთან, ამიტომ მზეს ამბივალენტობა, ორბუნებოვნება ახასიათებს. ეს შემდეგნაირად აიხსნება: მზე, მიუხედავად იმისა რომ უკვდავია, ყოველ ღამე ჩადის მიცვალებულთა

საბრძანებელში, ე.ი. მას შეუძლია თან გაიყოლოს ადამიანები და დაისის შემდეგ სიკვდილს გადასცეს, მაგრამ მეორე მხრივ, მას შეუძლია გაატაროს სულები საიქიოზე და დღის დადგომასთან ერთად დააბრუნოს სამზეოს. მზის კავშირი საიქიო სამყაროსთან, ბნელეთთან და სიკვდილთან არქაულ სოლარულ კულტებში კარგადაა გამოკვეთილი. ამ ფენომენის დამახასიათებელი მაგალითი მესოპოტამიური მზის ღმერთი - შამაშია. მესოპოტამიურ პანთეონში შამაში მთვარის - სინის ვაჟიშვილია. მითოლოგიაში ის არ ასრულებს რაიმე მნიშვნელოვან როლს. თუმცა ბაბილონური ტექსტების მიხედვით, შეინიშნება შამაშის კავშირი საიქიო სმყაროსთან. ის მოიხსენიება როგორც "მკვდარი სულების მზე". ტექსტების მიხედვით, შამაში „აცოცხლებს მკვდრებს". ის სამართლიანობის ღმერთია და მის ტაძარს ეწოდება „ქვეყნის მოსამართლის სახლი". ამის გარდა შამაში მისნების მფარველია - ეს ფუნქცია კი ყოველთვის მიცვალებულთა საუფლოსთან და ქტონიურ-დასაკრძალავ სფეროსთან იყო დაკავშირებული (Элиаде, 2000: 261-271).

საბერძნეთსა და იტალიაში მზეს რელიგიურ პანთეონში მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. თუმცა ბერძნულ მითოლოგიაში შემორჩენილია არქაული "მიწისქვეშა" მზის სახე. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ჰელიოსი მიწისქვეშა საუფლოსთან და ჯადოსნობასთან არის კავშირში. ის ჯადოქარ კირკეს მამა და მედეას პაპაა, რომელიც ცნობილია თავისი ჯადოსნური წამლების დამზადებით. ევრიპიდესა და აპოლოდორეს მიხედვით, ჰელიოსისგან მედეამ მიიღო ფრთოსანი გველებით შებმული ეტლი. საბერძნეთში ჰელიოსს მსხვერპლად ცხენებს, ან ოთხ ცხენებშებმულ ეტლს სწირავდნენ, რომელსაც ზღვაში აგდებდნენ. "რიგვედაში" მზის ღმერთი - სურია ზეცის თვალად იწოდება. მზის ეტლში შვიდი ცხენია შებმული. თავად მზე კი კვიცის, ფრინველის, ან ხარის სახითაა წარმოდგენილი. მ. ელიადეს აზრით, სწორედ ცხენები და გველები ასრულებან უმნიშვნელოვანეს როლს ქტონიურ-დასაკრძალავ სიმბოლიკაში (Элиаде, 2000: 271-274). ცხენებისა და გველების გამოსახულებები თრიალეთის კულტურის ყორღანებში აღმოჩენილ კერამიკაზე გვხვდება.

ხეთურ-ხურიტულ სამყაროში მზის ღვთაების ფუნქციაში ცოცხალი ნაყოფის წარმოქმნის, მოსავლის ნაყოფიერების გაზრდა შედის. მ. ბერიაშვილი და ზ.

სხირტლაძე მიუთითებენ, რომ „როდესაც გარდაცვლილ მეფეს ურმით მიასვენებენ უკანასკნელ გზაზე, მაშინ ქურუმები სხვადასხვა ნაყოფის თესლს აქეთ-იქით ყრიან და ლოცულობენ, რომ ამ გზაზე აღმოცენდეს ის“ (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 142-143). ამდენად, ძვ.წ. II ათასწლ. ანატოლიის მოსახლეობისათვის ნაყოფიერება წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული. წინაპართა კულტი და მზის ღვთაება კი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში სოლარული კულტი წინაპრების კულტთანაა კავშირში და ეს რელიგიური კომპლექსები გამოხატულებას მეგალითური ძეგლების მშენებლობაში პოულობენ. პოლინეზიასა და მელანეზიაში მეგალითების განლაგება და საიდუმლო კავშირების გავრცელების ზონები ურთიერთკავშირშია. ამასთანავე, მეგალითები იქ ყოველთვის სოლარულ კულტთანაა დაკავშირებული. მ. ელიადე აღნიშნავს, რომ ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული წინაპრების კულტი, მზის კულტი და საიდუმლო კავშირები, შესაბამისად ინიციაციები (Элиаде, 2000: 262-263). ეგვიპტეში მზე პრივილეგირებული ჯგუფის (ფარაონის ოჯახის) უმთავრესი ღვთაება იყო. ინდონეზიასა და მელანეზიაში მზე მხოლოდ საიდუმლო ორგანიზაციებში გაერთიანებულ ადამიანებს მფარველობდა. ამ გაერთიანებებში მნიშვნელოვანი ფუნქციები „წინაპრებსაც“ გააჩნდათ, ე.ი. მათ, ვინც მზეს გაჰყვა დასავლეთისაკენ. მ. ელიადე აღნიშნავს, რომ სინათლე და სიბნელე, ქტონიური და სოლარული აღიქმებოდა როგორც ერთმანეთის მონაცვლე რეალობის ორი ფაზა. ინდურ რელიგიაშიც მზე ორბუნებოვანია, ერთის მხრივ ის ადამიანის დამბადებელია, მეორე მხრივ კი - სიკვდილთან არის ასოცირებული (Элиаде, 2000: 270, 273, 277).

მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია სოლარული ელემენტების სიმბიოზი დასაკრძალავ და ქტონიურ-აგრარული კულტის ელემენტებთან. სოლარული კომპლექსი ჩართულია აგრარულ მაგიაში. საკულტო კომპლექსი - მზე - ნაყოფიერება - გმირი (წინაპარი) მეტ-ნაკლებად სრულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებში. მ. ელიადე მიიჩნევს, რომ მზის კავშირი ძალაუფლების მატარებელთან, ინიციაცია, „რჩეულთა” თემა, კავშირი მიცვალებულთა სამფლობელოსთან და ნაყოფიერებასთან კარგადაა გამოხატული. ხაზგასასმელია აგრეთვე სოლარული თეოლოგიის სიახლოვე ელიტის

პრობლემატიკასთან. სოლარული გამოვლინებები დახურული საზოგადოების პრივილეგია, „რჩეულთა” ხვედრია (Элиаде, 2000: 281,284-285). ამდენად საქმე გვაქვს ”რჩეულობასთან”, რომელიც ხორციელდება საიდუმლო კავშირში ზიარების რიტუალის შედეგად, ანდა სამეფო ძალაუფლების ავტომატურ გადაცემასთან.

§ 2. მთვარის სიმბოლიკა

მთვარის რელიეფური გამოსახულებები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე ძალზე იშვიათად გვხვდება (ტაბ. LXXXII). ნახევარმთვარის ორი რელიეფური გამოსახულება ცნობილია თრიალეთის VII ყორღანიდან (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 65-567, 66-570), ერთი – ლორი ბერდის №60 სამარხიდან (Devedjian, 2006: 154, ტაბ. 75-11), რომელსაც ს. დევეჯიანი ძვ.წ. XXII ს-ის მეორე მეოთხედით და XIX საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებს (Devedjian, 2006: 411). ნახევარმთვარის რელიეფური გამოსახულება მოცემულია აგრეთვე ჭურჭელზე ყორღან „თეორი ქვებიდან I” (Pizchelauri, Orthmann, 1992**:** 117; სურ. 4-22). აღსანიშნავია, რომ ყარაშამბის ცნობილ ვერცხლის თასზე, ირმის მუცლის ქვეშ „კლებადი მთვარეა“ გამოსახული (Оганесян, 1988: 151).

მთვარის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს ზოგიერთი ყორღანის ყრილი. საინტერესოა, რომ ბედენის №1 ყორღანის კრომლეხი ბოლოშეუკვრელია. გ. გობეჯიშვილის აზრით, „წრე განზრახ უნდა დაეტოვებინათ შეუკვრელად, რკალის სახით, რათა ის მიმსგავსებოდა ნაკლულ მთვარეს... რკალის შუა ნაწილი ფართოა, მაშინ როცა ბოლოები შევიწროვებულია ნაკლული მთვარის ქიმებივით” (გობეჯიშვილი 1981: 13, სურ. 1). გ. გობეჯიშვილი ასკვნის „თუ ეს შთაბეჭდილება სწორად ასახავს სინამდვილეს, მაშინ გორასამარხის მშენებელთ ციურ მნათობთა, კერძოდ მთვარის კულტი უნდა მივაწეროთ” (გობეჯიშვილი 1981: 13). ნახევარმთვარის ფორმის ყრილი აქვს კავთისხევის (ტაბ. LXXXV-2) ენეოლითური ეპოქის (Makharadze, 2007: 125, ტაბ. I) და ძვ.წ. III ათასწლეულის ყორღანებს აზერბაიჯანიდან (Ахундов, 2001: 231) და ჩრდილოეთ კავკასიიდან (Ростунов, 2007: 90). კუდურლის №2 ყორღანზე რიყის ქვებით ნახევარმთვარისებრი (ტაბ. LXXXV-1) ყრილია დადასტურებული (Ахундов, 2001: 99, სურ. XXXII-2), რომელიც მიწაყრილზეა გამართული (Ахундов, 2001: სურ. XXXII-4). ხაჩბულადის №1

ყორღანზე მიწაყრილის ქვეშ დაფიქსირდა ნახევარმთვარისებრი გამოსახულება, რომელიც სხვა ფერის თიხით იყო შედგენილი (Ахундов, 2001: 100).

ნახევარმთვარის ფორმის სიმბოლო ახლო აღმოსავლეთში პრეიტორიული დროიდან ნეო-ბაბილონურ პერიოდამდე საკმაოდ პოპულარული იყო. ძველბაბილონურ პერიოდში ის მთვარის ღვთაება –სინის (ნანა-სუენის) სიმბოლოა. მას მაგიური დამცავ ძლიერებას მიაწერდნენ (Black, Green, 1992: 54). შუმერში ნანა-სინს თაყვანს სცემდნენ როგორც ცხოველების გამრავლების და ზრდის ღვთაებას. მთვარის ღვთაება ნანა-სუენის უდიდესი ტაძარი – ე-ქიშ-ნუ-გალი - მდებარეობდა ურში. შუმერულ მითოსში „ნანა-სუენის მოგზაურობა ნიპურში" მოთხრობილია ღვთაების გამგზავრება ნავით ურიდან ნიპურში, რათა მიეღო მამამისის, ღვთაება ენლილის წყალობა თავისი ქალაქისათვის (Black, Green, 1992: 111).

მთვარის ფაზები არქაული ადამიანისათვის კონკრეტული დროის ათვლასთან იყო დაკავშირებული. ყველა კოსმიურ სფეროს, რომელიც ციკლურობის კანონებს ექვემდებარება, არქაული ადამიანის წარმოდგენით, მთვარე განაგებდა. მასზე იყო დამოკიდებული წყლები, წვიმები, მცენარეულობა, ნაყოფიერება (Элиаде, 2000: 293). მთვარე დროის უნივერსალური საზომია. მთვარის ფაზებით მართვადი დრო ყოველთვის დაკავშირებულია რომელიღაც ბიოკოსმიურ რეალობასთან – წყლების მიმოქცევასთან, თესვასთან და სხვა (Элиаде, 2000: 294). სავარაუდოდ მიწათმოქმედების წარმოშობამდე იყო შემჩნეული კავშირი მთვარეს, წვიმას და მცენარეულობას შორის. ეთნოგრაფიული მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები თესვას ახალ მთვარეზე იწყებენ, ხოლო მოსავლის აღებას მთვარის კლების დროს (Элиаде, 2000: 305).

არქაული ადამიანის წარმოდგენებში ორგანული კავშირი მთვარესა და მცენარეულობას შორის იმდენად ძლიერია, რომ ნაყოფიერების ღმერთები (მესოპოტამიური იშთარი, ეგვიპტური ხათორი, ირანული ანაჰითი) იმავე დროს მთვარის ღმერთებიც არიან. არდვისურა ანაჰითა, წყლების ირანული ქალღმერთი, ზეციურ განსახიერებაში მთვარის ქალღმერთად გვევლინება. მთვარის ბაბილონური ღვთაება – სინი ასევე წყლების მბრძანებელი იყო. მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ ჰიმნში ნათქვამია: „როცა შენ, როგორც ნავი ტალღებზე მიცურავ, წმინდა მდინარე ევფრატი წყლებით ივსება". წყლები (წვიმები, მოქცევა) გარკვეულ რიტმებთან

არიან დაკავშირებულნი. ამის გარდა ისინი მცენარეების ზრდასთან არიან კავშირში, რის გამოც მთვარეს უკავშირდებიან. ინდუისტური შეხედულებით „მთვარისაგან წარმოიშობა წვიმა". ბაბილონური მთვარის ღვთაება სინი, გარდა იმისა რომ წყლების მბრძანებელია, ასევე ბალახების შემქმნელია. ბერძნული დიონისე – მთვარის და მცენარეულობის ღმერთია. ეგვიპტური ოსირისი ყველა ამ ატრიბუტს ითვისებს – მთვარის, წყლის, მცენარეულობის და აგრარულ, მოკვდავ და აღორძინებად, ღვთაებად გვევლინება. მთვარეზეა დამოკიდებული როგორც მცენარეთა, ისევე ცხოველების და ადამიანების ნაყოფიერება. მთვარის სიმბოლო, მ. ელიადეს სიტყვებით: „ნაყოფიერების უმაღლესი პრესტიჟი პერიოდული დაბადების და ულევი სიცოცხლის ნიშანია". უძველეს კულტურებში სადაც კი გვხვდება რქების გამოსახულება, ისინი ყოველთვის მიუთითებენ დიდი ქალღმერთის იქ ყოფნაზე. რქა, უძველესი კულტურების იკონოგრაფიაში ახალი მთვარის გამოსახულებას წარმოადგენს. აზიის და ევროპის პრეისტორიული ხანის კულტურების იკონოგრაფიაში ფართოდ არის გავრცელებული მთვარის სიმბოლოების შეთავსება ნაყოფიერების სიმბოლიკასთან, სადაც სტილიზებული რქები ქმნიან ერთიან კომპლექსს „ელვის" ნიშანთან, რაც აიხსნება, როგორც წვიმა და მთვარე, აგრეთვე რქები და რომბები (მთვარე და ქალი) (Элиаде, 2000: 301-309).

ზოგიერთი მთვარის ღვთაება ქტონიური ხასიათისაა, მაგ. პერსეფონე (Элиаде, 2000: 320). მთვარის პერიოდული „კვდომის" და „აღორძინების" მსგავსად გარდაცვლილებიც აღორძინდებიან ახალ ყოფიერებაში. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე მთვარის სიმბოლიკა დაკრძალვის რიტუალთანაა დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, ჩვენი აზრით, ნახევარმთვარის ფორმის გამოსახულება სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტ ციკლთანაა დაკავშირებული. მთვარის კლებას მისი გაქრობა მოსდევს ციდან, ხოლო შემდეგ იბადება და იზრდება ახალი მთვარე. მასთან ერთად იბადება და ძალას იკრებს მცენარეულობა, ცხოველები, ხოლო გარდაცვლილთა სულები ახალ სიცოცხლეს იძენენ.

არქაული ადამიანისათვის მთვარის სიმბოლო (თილისმა, გამოსახულება) არა მარტო აფიქსირებს და კონცენტრაციას უკეთებს მთვარის ძალებს, რომლებიც კოსმოსის ყველა სფეროში მოქმედებენ, არამედ შესაბამისი რიტუალის ეფექტურობის შედეგად ამ ძალების შემკრებად გარკვეულ ადამიანს ხდის და ამით

ზრდის მის ცოცხალ ენერგიას და სიკვდილის შემდგომაც უკეთეს ბედს უმზადებს (Элиаде, 2000: 297).

ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარეს გამორჩეული ადგილი უკავია, მეცნიერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მთვარე ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაება იყო (ჯავახიშვილი, 1979: 88-101; აფაქიძე, 1970: 661-662). თუმცა, შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში უპირატესი მაინც მზის ღვთაება ჩანს, რომელიც შეიძლება ქალური ბუნების იყო.

§ 3. გეომეტრიული ნიშან სიმბოლოები

ჭადრაკული მოტივი გამოსახულია შუა ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ ანატოლიის და სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილ კერამიკულ ნაწარმზე (ტაბ. LVIII-2, LXVIII-7, 8, LXXVII-15, LXXVIII-13, LXXXIII-4). თრიალეთში ის აღმოჩენილია V, VII, XV და XVII ყორღანებში (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 54-475, 65-569, 75-649). აგრეთვე ლორი ბერდის № 1, № 74 და № 77 სამარხებში (Devedjian, 2006: 169, ტაბ. 66-6, 89-5, 91-1) აღმოჩენილ კერამიკაზე. ჭადრაკული მოტივი საკმაოდ პოპულარული იყო ნეოლითური ეპოქის ახლო აღმოსავლეთის მოხატულ კერამიკაზე. მეცნიერთა აზრით, ეს მოტივი იყო დამუშავებული, კონტროლირებული და დანაწილებული მიწის სიმბოლო. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სიმბოლო ხშირად გამოისახებოდა კერამიკაზე, რომელიც სამარხშია აღმოჩენილი, ცხადყოფს მის მაღალ სემიოტიკურ სტატუსს, მისი ინტერპრეტირება აგრეთვე შეიძლება როგორც ადამიანის კონტროლი მთელ სამყაროსა და მის სიმდიდრეზე (Cool Root, 2005: 58). დანაწევრებული მართკუთხედი თითქმის ყველა არქაულ დამწერლობით სისტემაში ერთმნიშვნელოვნად დამუშავებულ მიწას აღნიშნავდა (შანშაშვილი, 1999: 13).

ორი წვერებით შეერთებული სამკუთხედის, ან ორმაგი ცულის გამოსახულება მოცემულია თრიალეთის XXXIV და XLV ყორღანებში მოპოვებულ კერამიკაზე (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 94-807, 95-853, 104-936). ორმაგი ცული გამოსახულია ზურტაკეტის №6 ყორღანის თიხის ჭურჭელზე (ჯაფარიძე, 1969: 69, სურ. 42) და რუსთავში შემთხვევით აღმოჩენილ კერამიკაზე (ლომთათიძე, 1955: ტაბ. XV)

ორმაგი ცულის, ან პეპლისებრი ორნამენტული მოტივი დამახასიათებელია კარმირ ბერდის კულტურისათვის (Кушнарёва, 1993: 134). ამ ორნამენტული მოტივით შემკული კერამიკა ნაპოვნია შემდეგ ძეგლებზე: კეტიში, თაზაკენდში, ლჭაშენში, კიროვაკანში (ვანაძორი), ეჩმიაძინში, მუხანათ-თაფაზე, მეწამორში, არიჭში (Хачатрян, 1975: 102-103). აღმოჩენილია აგრეთვე ლორი ბერდის №66, №71 და №91 (Devedjian, 2006: 69, 82, 164 ტაბ. 85-1, 86-1, 107-3) სამარხებში. პეპლისებური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთიდან. ერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა სულუჩემის VI ყორღანიდან (Özfirat, 2001: ტაბ. 36-4). რამდენიმე ცალი კი შემთხვევითაა მოპოვებული და ინახება ერზერუმის (Özfirat, 2001: ტაბ. 66-5), აჰლათის (Özfirat, 2001: ტაბ. 88-2) და ყარსის (Özfirat, 2001: ტაბ. 89-4) მუზეუმებში (ტაბ. LXXII-3, LXXVII-8-12, 14, 16-18). თიხის ჭურჭლის შემკობა ორმაგი ცულის//პეპლისებური ორნამენტული მოტივით გავრცელებული იყო ძვ.წ. VII-VI ათასწლეულების ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში, ირანსა და ანატოლიაში. განსაკუთრებით პოპულარული იყო ჰასუნას (Dabbagh, 1965: ტაბ. IX-166, 168, 169) და ჰალაფის (Dabbagh, 1966: ტაბ. XIV - 241, ტაბ. XV-250-252) კულტურებში.

პეპლისებური მოტივი, ან ორმაგი ცულის, ლაბრისის, გამოსახულებები საკმაოდ გავრცელებული იყო მინოსურ ხელოვნებაში. კრეტადან ცნობილია ქალღმერთების ქანდაკებები ორმაგი ცულით ხელში. კვიპროსზე აღმოჩენილ მოხატულ ჭურჭელზე გამოსახული ორმაგი ცული რქისებურ სადგარშია ჩადგმული. გვხვდება ხარების თავებიდან ამოსულ ღეროზეც. კრეტაზე აღმოჩენილია საბეჭდავი, რომელზეც გამოსახულია პეპლებისფრთიანი ქალღმერთი (Gimbutas, 1996: 186-187). ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, მარია გიმბუტასის აზრით, მინოსურ რელიგიაში პეპელა ქალღმერთის ეპიფანიაა. მისი აზრით, პეპლისებური ნიშანი არის დიდი ქალღმერთის, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის მბრძანებელის სიმბოლო, რეგენერაციის ნიშანი. პეპლისებური უძველესი გამოსახულებები წინ უსწრებს ლითონის ორმაგი ცულების გამოჩენას რამდენიმე ათასი წლით. მ. გიმბუტასის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის მინოსურ რელიგიაში ამ მოტივმა განიცადა ტრანსფორმაცია და ორმაგი ცულის, ლაბრისის სიმბოლოდ გადაიქცა (Gimbutas, 1996: 186-187).

ტრაპეციისებური ფიგურა ხშირად გამოისახება თრიალეთის კულტურის კერამიკაზე (ტაბ. LXVIII; LXX-3-5,7; LXXII-2,5,7; LXXIV-3-6, LXXII-3, LXXV-1,4,6). უმრავლეს შემთხვევაში ეს სიმბოლო მოცემულია შავპრიალა კერამიკაზე თრიალეთის XVII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 81-690, 83-714, 84-714, 86-714), XXXIV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 94-807), XXXVI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 97-868, 873, 99-861, 100-868, 871), XLV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 104-941, 106-941) ყორღანებიდან. თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩენილია დიდი ზომის მოხატული ჭურჭელი, რომელზეც სპირალებს შორის ჩახატულია ერთი ტრაპეციისებური ფიგურა (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 87-722). ამ უცნაური სიმბოლოს გამოსახულება მოცემულია აგრეთვე ზურტაკეტის №3 (ჯაფარიძე 1969: 34,40, 42, სურ. 13, 18, 20) და №6 (ჯაფარიძე, 1969: 69, სურ. 42) ყორღანებში აღმოჩენილ შავპრიალა კერამიკაზე. ხშირია ტრაპეციისებური ფიგურის გამოსახულება ლორი ბერდის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხების შავპრიალა კერამიკაზეც. გვხვდება ლორი ბერდის № 61 (Devedjian, 2006: 155, ტაბ. 76-1), № 65 (Devedjian, 2006: 160,161, ტაბ. 81-1, 82-5), № 66 (Devedjian, 2006: 164, ტაბ. 85-1), № 78 (Devedjian, 2006: 173, ტაბ. 95-1), № 79 (Devedjian, 2006: 176, ტაბ. 98-4), № 87 (Devedjian, 2006: 180, ტაბ. 104-6), № 91 (Devedjian, 2006: 182, ტაბ. 107-2) სამარხებში. ტრაპეციისებური ფიგურის გამოსახულება მოცემულია ჭურჭელზე მრავალწყლის კანიონის №12 სამარხიდან (Pizchelauri, K. 2002: 246, სურ. 3-26). ზოგჯერ ეს ფიგურა სხვა სიმბოლოებთან (სვასტიკა, ჯვარი, კლაკნილი ხაზი, კონცენტრული წრეები) ერთადაა მოცემული. ტრაპეციისებური ფიგურის შიგნით ხშირად სხვადასხვა სიმბოლოებია ჩახაზული: ჯვარი, თავთავისებური ნიშანი, მართკუთხედი, სამკუთხედი და სხვა.

თრიალეთის კერამიკაზე გამოსახულ ტრაპეციისებურ ფიგურას ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება. მისი აზრით გამოსახულება მაგიურ-საკულტო მნიშვნელობის ორნამენტული მოტივია, რომელიც კერამიკის ორნამენტშია ჩართული მსხვილი იზოლირებული ნიშნების სახით, სვასტიკასთან და ჯვართან ერთად. ბ. კუფტინი მიიჩნევდა, რომ ტრაპეციისებრ ფიგურაში შეიძლება ამოვიცნოთ ქალური ნაყოფიერების სიმბოლოს ტრანსფორმაცია, რომელსაც ეგეოსურ სამყაროში ე.წ. „ორმაგი ცულის" ფორმა აქვს, თრიალეთის კერამიკაზე კი სახნისის

სახითაა მოცემული, რომელსაც ორი წაწვეტებული შვერილი აქვს (Куфтин, 1948: 20, სურ. 9).

ე. გოგაძის აზრით, ტრაპეციისებური ნიშანი „ენათესავება ხარის კულტთან დაკავშირებულ ამიერკავკასიურ ადრეულ სიმბოლიკას-რქისებურშვერილებიან თიხის სადგრებს მტკვარ-არაქსის კულტურაში. ამ უკანასკნელს კავშირი უნდა ჰქონდეს უძველეს მცირეაზიულ სამსხვერპლოს ფორმასთან (ბეიჩესულთანი, ძვ.წ. 3 ათასწლეულის შუა ხანები) და შემდეგი ხანის მრავალგვარ ეგეოსურ რქისებურშვერილებიან საკურთხეველ-სამსხვერპლოების, სადგრების და სხვა ობიექტების და ნივთების სიმბოლურ ფორმებთან" (გოგაძე, 1972: 87). ე. გოგაძე თვლის, რომ ეს ნიშანი წარმოადგენს ხარის სიმბოლურ ნიშანს - ხარის თავს ანფასში, რომლის სქემასაც ის მოგვაგონებს. პარალელად მოაქვს მითანიური კედლის მხატვრობის ერთ-ერთი გამოსახულება ნუზიდან და ხალაფურ კერამიკაზე ფრიზში მოცემული ხარის თავის გამოსახულება. მსგავსი ფიგურები მოცემულია ტრიპოლიეს კერამიკის ორნამენტაციაშიც (გოგაძე, 1972: 87-88). ე. გოგაძე მიიჩნევს, რომ ხარის სიმბოლო ნაყოფიერების და ბუნების განახლების კულტს უნდა უკავშირდებოდეს, რადგანაც ფრიზის კომპოზიციაში ის სოლარულ სიმბოლოებთან ერთადაა გამოსახული (გოგაძე, 1972: 88).

ტრაპეციისებური ფიგურის მსგავსი გამოსახულება მოცემულია ახჩიის №4 ყორღანში ნაპოვნ ჭურჭელზე (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 38-39, 47, ნახ. 14). აქ აღმოჩენილ კერამიკაზე დატანილი წრიული სარტყელი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეულ სექტორში გამოსახულია ორ-ორი ფრინველი, მგელი, თუ ძაღლი და ფურ-ირემი, მათ ერთამანეთისგან გამოყოფს ტრაპეციისებური ფიგურა, რომელშიც ოვალური ფორმის სიმბოლოა ჩახაზული. ახჩიის ჭურჭელზე მოცემული სცენის ახსნას შეეცადა გ. არეშიანი. მან გამოსახული სიუჟეტი დაუკავშირა თრიალეთის კულტურის სხვა ჭურჭლებზე (გეთაშენი, არუჩი, ხანლარი, თრიალეთის ვერცხლის თასი №5 ყორღანიდან) მოცემულ რიტუალურ სცენებთან და მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა მათგანზე მოცემული საკულტო სიუჟეტი ინდოევროპული მითოლოგიებით იხსნება (Арешян, 1988: 84-102). ტრაპეციისებური სიმბოლო გ. არეშიანის აზრით, დედამიწას და ნაყოფიერებას განასახიერებს, რადგან თრიალეთის კულტურის ზოგიერთ ჭურჭელზე ამ ნიშანს თან ახლავს ქტონიური

არსების - გველის გამოსახულება (Арешян, 1988: 86). ს. დევეჯიანის აზრით, ტრაპეციისებური ნიშანი საკურთხევლის სიმბოლოა, რაც თვალნათლივ ჩანს ჭურჭელზე ახჩიის №4 ყორღანიდან (Devedjian, 2006: 319).

ჩვენი აზრით, ტრაპეციისებური ნიშანი მსგავსებას იჩენს არქაულ შუმერულ (Schmandt-Besserat, 1992: 144), კრეტის ხაზოვან B (Чэдуик, 1976: 155), და ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფურ (Дунаевская, 1969: 103) დამწერლობებთან, სადაც ეს ნიშანი ყველგან ჭურჭელს აღნიშნავს. თრიალეთის XXXVI ყორღანში აღმოჩენილი შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტზე მოცემული გამოსახულება (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 99-861) ჩვენი აზრით სწორედ ამ მოსაზრებას უნდა ამყარებდეს.

ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში ჭურჭელი ქალღმერთის განსახიერებას წარმოადგენდა. სამხრეთ ინდოეთში, დრავიდებით დასახლებულ სოფლებში ჭურჭელი დიდ ქალღმერთს - ადგილობრივ ქალღმერთებს, თუ „სოფლის ღვთაებებს" განასახიერებდა. ქალღმერთის ყოველწლიურ დღესასწაულზე სოფლის ირგვლივ პროცესიას დააქვს ლამაზად შემკული ჭურჭელი. ის ქალღმერთის უმთავრესი ასპექტის სიმბოლიზირებას წარმოადგენს. ჭურჭელი გამოაქვთ სოფლის ცენტრში, სადაც ის სამი დღე რჩება. შემდეგ ისევ გააქვთ სოფლიდან და ამტვრევენ (Элиаде, 2004: 427). ჭურჭლის კულტურული ფუნქცია და სიმბოლიკა ინდუიზმის მიერაც იყო ასიმილირებული. ინდუისტურ ცერემონიებში შედიოდა „ცეკვა დოქებით", რომელსაც ახალგაზრდა გოგონები ასრულებდნენ. მ. ელიადეს აზრით, აშკარაა მისი ნაყოფიერების მაგიური მნიშვნელობა (Элиаде, 2004: 428-429).

ევრაზიის უძველეს კულტურებში ფართოდ იყო გავრცელებული ანთროპომორფული კერამიკა, სადაც კარგად ჩანს ჭურჭლის მდედრული ბუნება. სავარაუდოდ, ყველა ეს ანთროპომორფული ჭურჭლები დედა-ქალღმერთის ინკარნაციას წარმოადგენდა და კულტმსახურებაში გამოიყენებოდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში, უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა უძველესი ცივილიზაციის კიდევ ერთი შესანიშნავი ძეგლი - ჯიროფტი. ამ კულტურის კუთვნილ ერთ-ერთ ქვის ჭურჭელზე გამოსახულია ჭურჭელი, რომლიდანაც ქალის თავი მოჩანს. მის ორივე მხარეს ორი დიდი გველია ჩახვეული (Muscarella, 2005: 185, სურ. 4). ჭურჭელზე გამოსახული ჭურჭელი დიდ მსგავსებას იჩენს თრიალეთის კულტურის კერამიკაზე გამოვლენის ე.წ. ტრაპეციისებურ ნიშანთან, ხოლო

ჯიროფტის გველი, რომლის სხეული ამოღარული ორნამენტით არის დაფარული, ძალზე მოგვაგონებს თრიალეთის XVII (Куфтин, 1941: ტაბ. XXVI) და „თეთრი ქვების“ (Pitskhelauri, Orthmann, 1992: სურ. 4-21), ყორღანებში აღმოჩენილ კერამიკაზე გამოსახულ გველებს.

ჩვენი აზრით, ტრაპეციისებური ნიშანი თრიალეთის კერამიკაზე სწორედ დედა-ქალღმერთს განასახიერებდა, ხოლო მასში ჩახაზული ნიშანი იმ სფეროს მაჩვენებელი იყო, რასაც განაგებდა ქალღმერთის ეს თუ ის მანიფესტაცია. მაგ. თავთავისებური ნიშანი მარცვლეულის აღმნიშვნელი შეიძლება ყოფილიყო, ჯვარი - სოფლის, თუ თემის დამცავი. ზოგჯერ ამ ნიშანს ანთროპომორფული იერიც კი ჰქონდა (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 97-868).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტრაპეციისებური ფიგურა, რომელიც თრიალეთის XXIV ყორღანში აღმოჩნდა. ის სხვებისაგან განსხვავებით კრემისფრად მოხატულ ჭურჭელზეა გამოსახული, თანაც იზოლირებულადაა წარმოდგენილი. მოხატულობა ჭურჭელზე სამ ფრიზადაა დატანილი. მესამე, ყველაზე ფართო ფრიზზე გამოსახულია დიდი სპირალები, მათ შორისაა გამოსახული ჩვენთვის საინტერესო ერთი სიმბოლო. ზედა და ქვედა ფრიზებზე ჩახატულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ტეხილი ხაზები, რაც სავარაუდოდ მიწისქვეშა და ზეციურ წყლებს აღნიშნავდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ჭადრაკისებური ნიშანი დამუშავებულ მიწას აღნიშნავს. სპირალები ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით ჩახვეული რქების აღმნიშვნელი უნდა იყოს, რაც სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებში ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლება. მთლიანად კომპოზიციას მაგიურ-რიტუალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ტრაპეციისებური ნიშანი კი მოსავლიანობის და ნაყოფიერი წყლების მომცემი ქალღმერთის სიმბოლო უნდა ყოფილიოყო.

ჯვრის გამოსახულება დატანილია თრიალეთის V, XVII და XXXVI ყორღანებში (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 52-451, 81-690, 99-868) და ლორი ბერდის №61 სამარხში (Devedjian, 2006: 155, ტაბ. 76-1) აღმოჩენილ შავპრიალა თიხის ჭურჭლებზე (ტაბ. LXIX-1-5; LXX-3; LXXIV-5). მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მითოპოეტურ და რელიგიურ ტრადიციებში ჯვარი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა. ხშირად მას ენიჭებოდა უმაღლესი საკრალური

ფასეულობების მნიშვნელობა. წრისა და კვადრატისაგან განსხვავებით, რომლების მითოლოგიურ წარმოდგენებში შიდა სივრცის დაყოფის მნიშვნელობა გააჩნდათ, ჯვარი ხაზს უსვამს ცენტრის და მისგან გამოსულ სამყაროს ოთხი მხარის მიმართულების იდეას. სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებში ჯვარი წარმოადგენს სიცოცხლის, ნაყოფიერების, უკვდავების სიმბოლოს. სხვადასხვა მითოპოეტურ და რელიგიურ ტრადიციებში ჯვარი სიკვდილ-სიცოცხლის თითქმის უნივერსალურ სიმბოლოს, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში ჩაისახა (Топоров, 1982: 12). პრეისტორიულ ეპოქაში ჯვარი იყო გამორჩეული ადგილის – რიტუალური ადგილის სიმბოლური გამოსახულება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ჯვრის გამოსახულება ძვ.წ. V-III ათასწლეულების ახლო აღმოსავლეთის გლიპტიკასა და კერამიკაზე კონტექსტშია ადრეულ მონუმენტურ რელიგიურ არქიტექტურასთან, რაც კარგად აისახა სუზის ცენტრალური პლეტფორმის გეგმარებაში (Cool Root, 2005: 51). ჯვრის გამოსახულება საკმაოდ ხშირია ქართულ ხალხურ დეკორატიულ ხელოვნებაში. ი. სურგულაზე მიიჩნევს, რომ „ჯვარი არის სწორედ ის ძირეული ფიგურა, რომლის კონსტრუქცია დაედო საფუძვლად სიმბოლოთა დიდი უმრავლესობის აგებულებას და ასევე კომპოზიციურ სქემას, ე.ი. დეკორში ჯვრის მნიშვნელობა არ ისაზღვრება ადგილითა და მოცულობით, რომელიც კონკრეტულად უჭირავს ამ გამოსახულებას. ჯვარი მთელი დეკორის საერთო კომპოზიციურსა და ცალკეულ ელემენტთა კონსტრუქციულ საფუძველს წარმოადგენს. ეს მომენტი იგრძნობა როგორც თვით დედაბოძის დეკორის მაგალითზე, ისე საერთოდ არქაული კომპოზიციების ანალიზისას, რაც გვარწმუნებს, რომ კომპოზიციის ჯვრის პრინციპზე აგების უძველესი ტრადიცია უნდა მომდინარეობდეს ძველი ხალხების შეხედულებებიდან ქვეყნიერების აგებულების შესახებ და მათი რელიგიურ და მითოლოგიურ-კოსმოგონიური წარმოდგენების ანარეკლი უნდა იყოს” (სურგულაძე, 1986: 35).

§ 4. წყლის სიმბოლიკა

თრიალეთის კულტურის ლითონის და თიხის ჭურჭლების შემკულობაში წყლის მოტივს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (ტაბ. LXX-1-5, 7; LXXIII-7, 8; LXXIV-4-6; LXXV; LXXVI; LXXVII-1-6; LXXVIII-1-5; LXXXIV-1-4; XC-9-14). წყლის

სიმბოლური გამოსახულებებით შემკულია თიხის ჭურჭელი თრიალეთის I (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 49-379, 387, 51-411), V (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 54-475, 68-448, 473); VI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 60-516, 61-516, 68-509), VII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 63-551, 67-509, 554, 559, 569, 575), XV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 108-642), XVI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 80-682), XVII (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 80-689, 81-690, 83-714, 87-722), XXXVI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 99-866, 868,8 69, 100-883), XLI (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 102-903], XLV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 104-942) ყორღანებიდან. აგრეთვე ზურტაკეტის №3 (ჯაფარიძე, 1969: 34, 40, 42, სურ. 13,18,20) და №6 (ჯაფარიძე, 1969: 69, სურ. 42) ყორღანებიდან. წყლის სიმბოლოებით არის შემკული ჭურჭელი ფრინევის ყორღანიდან (ჯაფარიძე, 1969: ტაბ. XXV-5). წყლის მოტივით შემკულია თიხის ჭურჭელი ლორი ბერდის № 6 (Devedjian, 2006: 149, ტაბ.70-3,4,8), № 61 (Devedjian, 2006: 157, ტაბ. 76-1,78-3), № 65 (Devedjian, 2006: 160, 161, ტაბ. 81-1, 82-5), № 66 (Devedjian, 2006: 164, ტაბ. 85-1), № 77 (Devedjian, 2006: 169,173 ტაბ. 91-1,3, 95-1), № 79 (Devedjian, 2006: 176, ტაბ. 98-1,4), № 87 (Devedjian, 2006: 180, ტაბ. 104-6), № 91 (Devedjian 2006: 182, ტაბ. 107-2), № 94 (Devedjian, 2006: 185, ტაბ. 110-2) სამარხებიდან.

კერამიკულ ჭურჭლებზე გამოსახული ლათინური W-ს მსგავსი ნიშანი, ისევე როგორც ზიგზაგები, წყლის აღმნიშვნელი იყო მსოფლიოს ხალხთა უძველეს იეროგლიფურ დამწერლობებში (Элиаде, 2000: 348). შუმერულ არქაულ დამწერლობაში ჰორიზონტალური ზიგზაგი წყლის, მდინარის, არხის (Массон, Сарианиди, 1969: 91), ვერტიკალური ზიგზაგები პროტოელამურში – მდინარის აღმნიშვნელია. ზიგზაგების გამოსახულება ხშირია ნეოლით-ენეოლითური ხანის (ალტინ დეფე, ტრიპოლიე) ქალის ქანდაკებებზე (Массон, Сарианиди, 1969: 91; შანშაშვილი, 1999: 12). ლათინური W-ს მსგავსი ნიშანი, ისევე როგორც ზიგზაგების გამოსახულებები დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ორნამენტაციისათვისაც (შანშაშვილი, 1999: 12).

ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ეს ნიშნები წყლის სიმბოლიკასთან იყო კავშირში. არქაულ კოსმოგონიებში ხშირია მითოსი თავდაპირველი (საწყისი) წყლების შესახებ, საიდანაც წარმოიშვა ცა და დედამიწა. წყალი თავის თავში

მოიცავს ყოველგვარი არსებობის წარმოქმნის შესაძლებლობას და ამიტომ სიცოცხლის სიმბოლო ხდება. შეიცავს რა სხვადასხვა ჩანასახს ის ანაყოფიერებს მიწას, ცხოველებს, ქალებს. ვინაიდან მთვარისა და წყლის რითმები ერთნაირად მოქმედებენ ყველა ფორმის პერიოდულად წარმოქმნასა და გაქრობაზე, წყალი გაიგივებული იყო მთვარესთან. პრეისტორიული დროიდან კომპლექსი წყალი-მთვარე-ქალი აღიქმებოდა როგორც ნაყოფიერების ანთროპოკოსმიური მიმოქცევა (Элиаде, 2000: 348-352). ირანული წყლის ქალღმერთი არდვისურა-ანაჰიტა მოიხსენიება როგორც „წმინდა, რომელიც ამრავლებს საქონლის ჯოგებს, სიმდიდრეს, სიკეთეს, განწმენდს მამაკაცებს და ქალებს" (Элиаде, 2000: 357).

კოსმოგონიაში, მითოსში, რიტუალში, იკონოგრაფიაში წყალი ასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას, როგორიც არ უნდა იყოს იმ კულტურული კომპლექსების საერთო სტრუქტურა, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის. წყალი ყველა შესაქმის საფუძველია, ყველა ფორმის საწინდარია. წყალში ჩასვლა წარმოადგენს საწყის ფორმაში დაბრუნებას, სრული განახლების სიმბოლოს, განწმენდას, მეორედ დაბადებას. წყალში ჩასვლა ფორმის დაშლის ტოლფასია და გაიგივებულია არადიფერინცილობაში დაბრუნებასთან. წყლიდან ამოსვლა კი ასახავს შექმნის კოსმოგონიურ აქტს და ფორმის გარეგნულ გამოჩენას. წყალთან კონტაქტი ყოველთვის განწმენდას და აღდგენას ნიშნავს. ინიციაციის რიტუალის დროს წყალი "მეორედ დაბადებას" იძლევა, მაგიური რიტუალის დროს – განკურნებადია. დაკრძალვის რიტუალის დროს კი – უზრუნველყოფს აღორძინებას post mortem (Элиаде, 2000: 347-348). ამ მხრივ აღსანიშნავია თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის სარწყული/სიტულა, რომელსაც პარალელები მოეპოვება ახლო აღმოსავლეთის უძველეს ტორევტიკაში. მესოპოტამიური წერილობითი წყაროების მიხედვით, ამგვარ ჭურჭელს ეწოდებოდა ბანდუდდუ და ის განწმენდის (განბანის) რიტუალში გამოიყენებოდა. განბანა ყოველთვის წინ უძღვება უმნიშვნელოვანეს რელიგიურ აქტებს, ამზადებენ რა ამით ადამიანს საკრალურ სამყაროსთან საზიარებლად. განბანა ხდება ტაძარში შესვლის წინ, მსხვერპლშეწირვის წინ. აღორძინების რიტუალური მექანიზმი საფუძვლად უდევს ღმერთების ქანდაკებების წყალში განბანას. ის ჩვეულებისამებრ პრაქტიკაში იყო ნაყოფიერების და მიწათმოქმედების დიდი ქალღმერთების კულტში. ქანდაკებების

განბანით აღადგენდნენ ღვთაების ძალას და უზრუნველყოფდნენ კარგ მოსავალს (Элиаде, 2000: 357-358).

თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ ხის ტანიდან წყლის ორი ნაკადი გადმოდის. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდეა შემორჩენილი რწმენა სასწაულებრივი წყაროების შესახებ, რომლებსაც გამანაყოფიერებელი, თუ სამკურნალო თვისებები აქვს. ბუნებრივია, ყველა წყარო არ იქნებოდა „სიცოცხლის“ წყალი. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის წარმოდგენებით, ის ძნელად მისაღწევ ადგილებში, ღვთაებების სამფლობელოში მიედინება და მას საშინელი ურჩხულები იცავენ (Элиаде, 2000: 354-355). „სიცოცხლის“ წყლის მოსაპოვებლად მისმა მაძიებელმა სხვადასხვა გამოცდა უნდა გაიაროს. სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებში სასწაულებრივი წყაროები “სიცოცხლის ხის“ ძირში მოედინებიან. სკანდინავიური მითოლოგიის მიხედვით გიგანტური ხის – იგდრასილის ფესვებს წყაროები რწყავენ, ერთ-ერთი მათგანი თაფლისაა (Мелетинский, 1980: 478). ინდუისტური მითოლოგიის მიხედვით „უასაკო მდინარე“ სასწაულ ხესთან მოედინება. ორივე სიმბოლო –ხე და წყალი აპოკალიფსშიც ფიგურირებს ერთად „ ... და მიჩვენა სიცოცხლის წყლის წმინდა მდინარე, რომელიც გამოდის ღმერთის და კრავის საბრძანისიდან. ... მდინარის ორივე მხარეს სიცოცხლის ხეა“ (Элиаде, 2000: 355).

§ 5. მცენარეული მოტივი

თავთავისებრი (წიწვოვანი) გამოსახულებები მოცემულია თრიალეთის I, V, VI, VII, XV, XVII, XXXVI, XLV (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 49-389, 53-462, 464, 61-525, 62-527, 530, 68-400, 68-545, 75-649, 84-716, 96-861, 98-860, 103-930, 933, 105-948) ყორღანებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებზე. წიწვოვანი მოტივით შემკულია ჭურჭელი ზურტაკეტის №3 და №4 (ჯაფარიძე, 1969: 36, 59, სურ. 15,35) ყორღანებიდან. აგრეთვე ლორი ბერდის №6, 74, 77, 79 და №94 სამარხებში (Devedjian, 2006: 149, 167-171, 175, 185, ტაბ. 70-1, 89-3, 90-8, 91-1, 92-5, 7, 93-2, 97-6, 110-1) ნაპოვნ კერამიკულ ნაწარმზე (ტაბ. LXVIII-2, 8. 9; LXX-8; LXXIII-21, 25; LXXVIII-12, 14, 15). წიწვოვანი, ანუ მცენარეული მოტივის უძველესი გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში შულავერ-შომუთეფეს ნეოლითური ხანის კულტურის ძეგლებზე

გვხვდება. წიწვოვანი გამოსახულება მოცემულია როგორც თიხის ჭურჭელზე (ჯავახიშვილი, კიღურაძე, 1975: 55, სურ. 17), ასევე ქალის ქანდაკებაზე შულავერის გორადან, სადაც ის წარმოდგენილია ქანდაკების მუცელზე, ლაჯებიდან ამოზრდილი მოტივის სახით (ჯაფარიძე, 2003: 79, სურ. 59). ეს ორნამენტული მოტივი საკმაოდ პოპულარული იყო ახლო აღმოსავლეთის ნეოლითურ კულტურებში, განსაკუთრებით ჰასუნას (Dabbagh, 1965: ტაბ. XIII, 137-142, 156, 158), ჰალაფის (Dabbagh, 1966: ტაბ. XIV-235, 236) და სუზას (Carter et all., 1993: 32, სურ. 1) კერამიკაზე. შუმერულ არქაულ დამწერლობაში ეს სიმბოლო აღნიშნავდა მარცვალს (Гельб, 1982: 75, სურ. 31; Schmandt-Besserat, 1992: 147).

მარცვლეულის ქალღმერთი შუმერში იყო ნისაბა/ნიდაბა, რომელიც თავის თავში სხვა ფუნქციებსაც აერთიანებდა. ის იყო აგრეთვე დამწერლობის და სიბრძნის ღვთაება. „ნისაბას დამკვიდრება ნიშნავს ცივილიზაციის დაფუძნებას ქვეყნად, მეორეული კოსმოსის ანუ მოწესრიგებული ყოფის შექმნას" (კიკნაძე, 1979: 141). მისი სახელი იწერებოდა თავთავის, ან მარცვლეულის გამოსახულებით (Black, Green, 1992: 78). შუმერულ მითოლოგიაში ნისაბა ათავთავებული ყანების განსახიერებას წარმოადგენდა. შუმერ ნათელმხილველს ის ევლინებოდა ხოდაბუნებში მოარულ, ხშირთმიან ქალღმერთად (კიკნაძე, 1979: 204). მითო-რელიგიური წარმოდგენები ქალის და უხვმოსავლიანობის კავშირზე იმ უნივერსალურ შეხედულებებს ეკუთვნის, რომელიც საერთოა უძველესი სამიწათმოქმედო კულტურებისათვის (Антонова, 1984: 140-141). სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია რიტუალები მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად. ძალზე გავრცელებული იყო პირველი ძნის აღების წესი. ტრადიციული ადამიანისათვის მასში მთელი მცენარეულობის ძალაა შეთავსებული. აღსანისნავია, რომ ზოგჯერ ეს „საკრალური ძალა" პერსონიფიცირებულია და სხვადასხვა ხალხები მას სხვადასხვა ნაირად უწოდებენ: „პურის დედა", „თავთავის დედა", „მოსავლის დედა" (Элиаде, 2000: 199). როგორც ჩანს, უხვი მოსავლის კავშირი ყანების ქალღმერთთან დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში.

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კერამიკაზე გამოსახულ მცენარეულ ორნამენტს ჩვენი აზრით, იგივე დატვირთვა უნდა ჰქონოდა, რადგან რწმენა თავთავებით შემკული მოსავლიანობის ქალღმერთის შესახებ მომდინარეობს

უზველესი სამიწათმოქმედო კულტურებიდან და დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში.

შუა ბრინჯაოს ხანის სამარხეულ კერამიკაზე მცენარეული, თავთავისებური ორნამენტის გამოსახვას მაგიური დანიშნულება ჰქონდა. მას უნდა უზრუნველეყო მოსავლიანობა, რადგან მაგიური ძალაუფლება და ზეგავლენა ბუნების ძალებზე ინახებოდა სხვა სამყაროში, წინაპრების სამფლობელოში, სადაც სხვა საკრალურობასთან ერთად, როგორიცაა უკვდავება, გაახალგაზრდავება და მარადიული დოვლათი ინახება „იმ ქვეყნად, იქ, საიდანაც იწყება ყველაფერი" (Пропп, 1998: 238, 375).

§ 6. ზოომორფული გამოსახულებების სიმბოლიკა

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანა ზოომორფულ გამოსახულებათა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გამოსახულებები დატანილია ქვაზე, ლითონზე, კერამიკაზე, ხეზე და ძვალზე. სხვადასხვა დანიშნულების არტეფაქტებზე გვხვდება გარეული ცხოველები: ირემი, ჯიხვი, ძაღლი/მგელი, ტახი, ცხენი/კანჯარი, გველი და წყლის ფრინველები.

ირემი. ირმის გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანიდან მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე (ქვაცხელები, ხიზანაანთ გორა, შენგავითი, ოზნი, გუდაბერტყა) გვხვდება. აღსანიშნავია ირმის გამოსახულება სპილენძის დიადემაზე ქვაცხელების №2 ქვაყრილიანი სამარხიდან (ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: 24), რომელშიც ლ. ღლონტის აზრით, ნაყოფიერების ღვთაების ქურუმი ქალი იყო დაკრძალული (ღლონტი, 1982: 68) „რქაბორჯღალიანი" ირმის გამოსახულებაა მოცემული კონუსური ფორმის საბეჭდავზე (ტაბ XC-4) გუდაბერტყადან (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: ტაბ. IV-V).

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში ირმის გამოსახულება საკმაოდ იშვიათია. ის გვხვდება მხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან სარიტუალო ნივთებზე, როგორიცაა თრიალეთის ვერცხლის თასი V ყორღანიდან (ტაბ. LVIII), ვერცხლის სარწყულზე თრიალეთის XVII ყორღანიდან (ტაბ. LXII-12), ყარაშამბის ვერცხლის თასზე (ტაბ. LIX), თიხის ჭურჭელზე ახჩიის №4 (ტაბ. LVIII-1), არუჩის №3 (ტაბ. LVIII-4), გეთაშენის (ტაბ. LVIII-5) ყორღანიდან და ქვაზე ზურტაკეტის №6

ყორღანიდან (ტაბ. LVI-1,5). აღსანიშნავია ირმის, თუ ჯიხვის ოქროს ქანდაკება (ტაბ XC-2) თრიალეთის V ყორღანიდან.

თრიალეთის ვერცხლის თასის ქვედა ფრიზზე მოცემულია ცხრა ერთმანეთის მიმდევარი ირმის, მძიმერქიანი ხარ-ირმების და ურქო ფურ-ირმების გამოსახულება (Куфтин, 1941: 87). ასეთივე გამოსახულებითაა შემკული ვერცხლის სარწყულის ქვედა ნაწილი. ბ. კუფტინის აზრით, ორივე არტეფაქტზე საკულტო სცენაა გამოსახული, რომელიც ტყის ნადირობის ღვთაებასთანაა დაკავშირებული, რომელსაც თავდაპირველი ბუნება შუა ბრინჯაოს ხანაში უკვე ბუნების აღორძინების და ნაყოფიერების მომტანად გადაიქცა (Куфтин, 1941: 145).

მ. ბერიაშვილის და ზ. სხირტლაძის აზრით, თრიალეთის ვერცხლის თასის ქვედა ფრიზზე გამოსახული ფურ-ირმების რიგი ხეთურ-ხურიტულ სამყაროსათვის დამახასიათებელ სიცოცხლის აღორძინების რიტუალის ერთ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ირმების კავშირი მზის ღვთაებასთან პროტოხეთუს ანატოლიაში იღებს სათავეს (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 141).

ყარაშამბის ვერცხლის თასზე გამოსახული ირემი, ვ. ოჰანესიანის აზრით, შესაძლოა თაყვანისცემის ობიექტია და მსხვერპლშეწირვა მის წინ ტარდება. ასეთი ახსნის მართებულობაზე უნდა მიუთითებდეს ყარაშამბის ვერცხლის თასზე გამოსახული სცენის შედარება ხეთურ სარიტუალო პრაქტიკასთან, რომელიც ირმის კულტთანაა დაკავშირებული და ხათური ტრადიციიდან მომდინარეობს. აზრობრივად და მხატვრულ-სტილისტურად მსგავსი სცენაა მოცემული ხეთური ეპოქის ირმის ფორმის ვერცხლის რიტონზე, რომელიც შემთხვევითაა მოპოვებული ცენტრალურ ანატოლიაში (Оганесян, 1988: 154).

აღსანიშნავია ირმის გამოსახულება ქვაზე, რომელიც ზურტაკეტის №6 ყორღანში აღმოჩნდა. ცხოველი მოცემულია ქვის ზედა ნაწილში. ის დგას სამკუთხედების რიგზე, რომლებიც სავარაუდოდ მთაგრეხილს უნდა გამოხატავდეს. სამკუთხედების რიგის ქვეშ გამოსახულია დაშტრიხული მართკუთხედები, რაც არქაულ დამწერლობით სისტემებში დამუშავებულ მიწას აღნიშნავს. ამდენად, ირემი თითქოს ყველაფრის ზემოთ, ადამიანის მიერ ათვისებული მიწის, მთებს ზემოთ დგას და რქებით ცას ებჯინება. ზურტაკეტის ირმის გამოსახულება თითქოს გამოძახილია გუდაბერტყას მტკვარ-არაქსულ ფენაში აღმოჩენილ საბეჭდავის

თავზე მოცემულ ცხოველის (ირმის) სქემატური ფიგურისა, რომლის თავზე დიდი ბორჯღალია გამოსახული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ფოლკლორში ირმის ერთ-ერთი ეპითეტია "რქაბორჯღალიანი", რაც ამ ცხოველის ბუნებას გამოხატავს - ის თავისი რქებით ცას ებჯინება და შესაძლოა რქებით მზეს ატარებს. შესაძლოა ირემი ამ შემთხვევაში კოსმიური ღერძის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

ირემი, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ცხოველი მითოლოგიურ აზროვნებაში, დაკრძალვის რიტუალებშიც ფიგურირებს. წინორის I ყორღანში კავკასიური ირმის რქებია ჩალაგებული (Дедабришвили, 1979:). ყარაშამბის დიდ ყორღანში დადასტურდა ირმის ჩონჩხის ფრაგმენტები, რომლის განსაკუთრებული როლი გამოიხატება იმაში, რომ ყელს სამკაული უმშვენებს (Оганесян, 1988: 155).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ირმის რქებსაც ენიჭებოდა. ცხინვალის ნაცარგორაზე დადასტურებულია ირმის რქისაგან დამზადებული შტანდარტები. ასევე სასირეთის ჭოტია გორასთან არსებულ სამაროვანზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის ორ სამარხში ნაპოვნია ირმის რქის შტანდარტების ფრაგმენტები (ბერიაშვილი, 1988: 178) ქვაცხელების C1 დონის №1 სახლის ფასადის წინ წვრილი კენჭით მოკირწყლულ მოედანზე იდო ირმის ორტოტა რქა (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962: 12). ჯინისის ნამოსახლარზე, №1 სახლის სახურავზე, ან ინტერიერში ჩამოკიდებული იყო ირმის რქა. აქვე დადასტურდა ირმის რქის კვერთხისთავი (ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, 2010: 209, ტაბ. XV-10, 11)

ირმის გამოსახულება სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანიდან გვხვდება (ქვაცხელები, ხიზანაანთ გორა, შენგავითი, ოზნი, გუდაბერტყა) მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე. აღსანიშნავია ირმის გამოსახულება სპილენძის დიადემაზე ქვაცხელების №2 ქვაყრილიანი სამარხიდან (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962: 24), აგრეთვე კონუსური ფორმის საბეჭდავზე გუდაბერტყადან (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: 9-10, ტაბ. IV-V). ი. კიკვიძის აზრით, ირემი ნაყოფიერების აგრარულ კულტთან ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანაა დაკავშირებული (კიკვიძე, 1976: 190-191).

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ირემთან, როგორც ღვთაებრივ ცხოველთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ფართოდ არის გავრცელებული.

ქართულ ფოლკლორში ირემი წარმოდგენილია როგორც ზებუნებრივი ძალით დაჯილდოვებული არსება. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით ირემი მზის და მთვარის ქალიშვილის მხლებელია, რომელსაც ფრინველები და ცხოველები მსახურობენ. ზოგჯერ ირემი ჯადოქრად არის წარმოდგენილი. საყურადღებოა ერთი ზღაპარი, სადაც კაცი ღმერთთან მისვლას ახერხებს მთის წვერზე მდგარი ირმის უზარმაზარი, ცადაწვდენილი რქების საშუალებით (სურგულაძე, 2003: 22). ხალხური თქმულებების მიხედვით, ზებუნებრივი ძალით არიან დაჯილდოვებულნი ირმის ძუძუნაწოვი გმირები. თქმულების ერთი ვარიანტის მიხედვით, ამირანს ირემი აწოვებს ძუძუს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ამირანი ირმის ფაშვში გამოუშუშებიათ. ზოგჯერ ირმის ძუძუნაწოვებად ისტორიული პირებიც არიან წარმოდგენილნი, მაგ. ლაშა გიორგი, ერეკლე მეორე (სურგულაძე, 2003: 23). ზოგ თქმულებაში, ირმები სიმდიდრის და სიუხვის მომნიჭებლად გვევლინებიან. ირმის დევნაში აპოვნინა განძი მეფე ფარნავაზს მისმა მფარველმა ღვთაებამ (სურგულაძე, 2003: 22). ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირმის რქებს განსაკუთრებული, საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა.საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველა სალოცავს ჯიხვის, ან ირმის რქები ამკობს. ირმის რქებით დარბაზების დედაბოძებსაც ამკობდნენ. ფოლკლორული მასალის მიხედვით, ირმის რძე და ირმის წველა ღვთაებათა ხვედრია (სურგულაძე, 2003: 23).

ირემთან დაკავშირებული თითქმის ანალოგიური რწმენა-წარმოდგენები კავკასიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ხალხს ჰქონდა, განურჩევლად, თუ რომელ ენობრივ ჯგუფს ეკუთვნიან: ინდოევროპელ სომხებს და ოსებს, დასავლეთკავკასიელ აფხაზებს, თუ თურქულენოვან აზერბაიჯანელებს (სურგულაძე, 2003: 23; Ахундова, 2004: 25), ისევე როგორც ევრაზიის იმ ტერიტორიაზე, სადაც ირემია გავრცელებული, მცხოვრებ სხვა ხალხებს. სავარაუდოდ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ წარმოდგენები ირემზე, როგორც ზებუნებრივ არსებაზე მომდინარეობს იმ უძველესი ეპოქიდან, როდესაც ადამიანის ძირითადი საქმიანობა ნადირობა იყო. შესაძლოა, იმ გარემოში, სადაც ირემი იყო გავრცელებული, ეს ცხოველი ტოტემად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში ის იყო მთელი თემის და თემის თითოეული წევრის მფარველი, ღვთაებრივი წინაპარი, რომელიც ადამიანს ღმერთთან აკავშირებდა. ირმის გაზრდილი გმირები ნახევრად ღვთაებრივ ბუნებას იძენენ. მისი გამოცხადება ბედისწერის სასიკეთოდ

შემოტრიალების ტოლფასია. ირემი, შეიძლება ითქვას კეთილი განგებაა. მის გამოჩენას სიმდიდრე და ყოველგვარი სიკეთე მოაქვს.

ირმის, როგორც საკრალური ცხოველის რელიეფური გამოსახულება, ახლო აღმოსავლეთში პირველად ანატოლიაში, ჩათალ-ჰუიუქის, ძვ.წ. VII ათასწლეულით დათარიღებულ სამლოცველოშია დადასტურებული (Mellaart, 1963: ტაბ. V). ძვ.წ. III ათასწლეულიდან ირემს ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანატოლიურ, ხეთებამდელ კულტებში. ალაჯა ჰუიუქის სამეფო სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს შტანდარტები ირმების ფიგურებით. ზოგიერთი გამოსახულება სოლარული ნიშნებითაა შემკული. ანატოლიაში არსებობდა ღვთაების კულტი, რომელიც ხეთურ ტექსტებში მოიხსენიება ტიტულით „განგება, ბედისწერა“, „მფარველი სული“. ო. გერნის აზრით, ეს იყო სოფლის ღვთაება, რომლის წმინდა ცხოველი ირემია (Герни, 1987: 124). ერთ-ერთ ხეთურ რელიეფზე ეს ღვთაება გამოისახება ირემზე მდგარი, შევარდნით და კურდღლით ხელში. ო. გერნის აზრით, ამ ღვთაების კულტი ანატოლიაში ღრმა წარსულიდან მოდის (Герни, 1987: 124).

ირმის ბრინჯაოს გამოსახულებების სიმრავლე რელიეფებზე, ქანდაკებაში და გლიპტიკაში ანატოლიაში, ბრინჯაოს ხანიდან ადრექრისტიანულ ეპოქამდე, იმის მაჩვენებელია, რომ ირემი, როგორც კულტის ობიექტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო მცირე აზიის რელიგიურ ტრადიციებში (Przeworski, 1940: 66-71). ს. პრჟევორსკის აზრით, იკონოგრაფიული მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ ღვთაების ბუნება და ფუნქცია ერთი უნდა ყოფილიყო, ხოლო გამოსახულების მრავალფეროვნება ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დამოკიდებული. ირემზე მდგარი ღვთაების გამოსახულება ხეთების დროინდელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიაშია ფართოდ გავრცელებული, ხოლო სირიასა და პალესტინაში ის ძალზე იშვიათია. მესოპოტამიის მითოლოგიაში ირემი თითქმის საერთოდ არ ჩანს (Przeworski, 1940: 66-71). მაკკუინი აღნიშნავდა, რომ უძველეს ანატოლიაში თითოეულ დასახლებას თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, ჰქონდა თავისი საკულტო ცენტრი, თავისი მითოლოგია, დღესასწაულების კალენდარი, რომელიც სასოფლო სამუშაოების ციკლთან იყო დაკავშირებული. ეს სურათი რთულდება, როდესაც თემები იწყებენ გართიანებას მსხვილ პოლიტიკურ ერთეულში. თუმცა მიუხედავად ამისა ძველი ღვთაებების ხასიათი არ იცვლებოდა, ღვთაებათა ერთი ჯგუფი არ ცვლიდა

მეორეს, ხოლო საერთო პანთეონი უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა (Маккуин, 1983: 119-120). ანალოგიური სიტუაცია ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაშიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ტერიტორიულად, გეოგრაფიულად და კულტურულად მცირე აზიის ნაწილია. ისევე როგორც ანატოლიაში, წარმოდგენები ირემზე, როგორც საკრალურ ცხოველზე სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულია ათასწლეულების მანძილზე და დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში.

საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ი. კიკვიძე ფიქრობდა, რომ ირემი ნაყოფიერების აგრარულ კულტთან ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანაა დაკავშირებული (კიკვიძე, 1976: 190-191).

ჩვენი აზრით, წარმოდგენები ირემზე, როგორც ბუნების „მფარველ სულზე" და მზის საკრალურ ცხოველზე სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც ანატოლიაში, გავრცელებული იყო ათასწლეულების მანძილზე და დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიულ ყოფაში. სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში მზის ღვთაების, როგორც მცენარეული ნაყოფიერების გამოვლინება იყო ირემი.

ცხენი. ცხენის გამოსახულებები მოცემულია მოხატულ კერამიკაზე (ტაბ. LXXXVII-1) ნერკინ ნავერის №7 ყორღანიდან (Симонян, 2011: 219, სურ. 7). საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ცხენს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მიცვალებულის კულტის ამსახველ წეს-ჩვეულებებში. „მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის/დაკურთხების წესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული. „დაკურთხებულ" ცხენს „სულის ცხენი" ეწოდებოდა. მიცვალებულისათვის რაც შეიძლება კარგი ცხენი უნდა დაეკურთხებინათ. თუ იგი ოჯახს არ ჰყავდა, უნდა ეყიდა.. ხალხში ძლიერი იყო რწმენა იმის შესახებ, რომ მიცვალებულს საიქიოში მის სახელზე დაკურთხებული ცხენი ემსახურებოდა" (გიორგაძე, 1987: 11,13). ამ რიტუალის (დალაი) შესრულების დროს ცხენ-მხედრები წრიულ მოძრაობას ასრულებენ მიცვალებულის ტანსაცმლის გარშემო, რაც დ. გიორგაძის აზრით, ასტრალური ღვთაების ბუნებასთან ზიარებას აღნიშნავდა (დ. გიორგაძე 1987: 48).

ხევსურეთში დაკურთხებულ ცხენს დიდი გულმოდგინებით ამზადებდნენ: გაბანდნენ, გაწმენდავდნენ, თივა-ქერს კარგად აჭმევდნენ, შემდეგ კი ქალები ფაფარს დაუწნავდნენ და კისრის სიგრძედ ფარჩის „საფაფრეს" გაუკეთებდნენ. ზედ მრავალ მძივ-ღილს დააკერებდნენ. ქოჩორსაც დაუწნავდნენ და აქაც მძივით შემკულ „საშუბლურს" შემოაკრავდნენ. მკერდზე მძივისაგან მოქარგულ „ყელსადებს უკეთებდნენ. ძუასაც დაუწნავდნენ და ბოლოში ფერად ნაჭრებს შეაბამდნენ. შემდეგ ცხენს შეკაზმავდნენ, კარგ უნაგისრს დაადგამდნენ, რომლის ტახტაზე ანთებულ სანთელს დააკრავდნენ და მათრახს ჩამოჰკიდებდნენ. უნაგირზე ხურჯინს გადაჰკიდებდნენ, რომელშიც „მკვდრის საგზალი" - პურ-არაყი იყო ჩაწყობილი. მიცვალებულის ტანსაცმელს, იარაღსა და ნაბადსაც აჰკიდებდნენ ცხენს. ამგვარად მორთულ-მოკაზმულს დასაფლავების დღეს დააყენებდნენ მკვდრის თავთან და მიცვალებულს თოკით ხელზე გამოაბამდნენ. ცხენს ვინმე მოხუცი კაცი, ვისაც დალოცვა ეხერხებოდა, ხელში ყანწს დაიჭერდა და მიცვალებულის ცხენს შენდობას ეტყოდა. ცოტა ლუდს, ან არაყს დაასხამდა ცხენის ფაფარს, უნაგირს, აიღებდა მათრახს და სამჯერ მსუბუქად დაარტყამდა ცხენს, თან იტყოდა: „შენიმე სახმარი ას, შენამც გეხმარების". ცხენს სამჯერ წაღმა შემოუტარებდნენ მიცვალებულს გარშემო (გიორგაძე, 1987: 12). სვანეთში დასაფლავების დღეს ცხენს საუკეთესოდ მორთავდნენ და პატრონის კუბოს მახლობლად დააყენებდნენ. გასვენების დროს ამ ცხენზე ახალგაზრდა სვანი შეჯდებოდა და იწყებდა სამგლოვიარო პროცესიის წინ მის ჭენებას იმდენხანს, რომ პირუტყვი სირბილით მომკვდარიყო, ე.ი. თავის პატრონთან ერთად საიქიოს გამგზავრებულიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაკურთხებული ცხენი დიდ როლს ასრულებდა მიცვალებულისათვის გამართულ ხარჯზე, კერძოდ წლისთავზე. ამ დღეს ეწყობოდა დოღი, რომელშიც „სულის ცხენის" მონაწილეობა სავალდებულო იყო. ხევსურეთში ამ დროს მას ისევ რთავდნენ და კაზმავდნენ, მიცვალებულის ტანსაცმელს და იარაღს აჰკიდებდნენ, დააყენებდნენ ტალავართან და ზემოაღნიშნული წესის მიხედვით დააკურთხებდნენ. დოღის დღეს ამხედრებულ ცხენოსნებს წინ „სულის ცხენი" ჩაუდგებოდა. მისი წინამძღოლობით რიგში დაწყობილი მხედრები მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოუვლიდნენ ტალავარს. მესამედ რომ შემოუვლიდნენ, ყველანი გააჭენებდნენ იმ სოფლისკენ, სადაც ტაბლა იყო დადგმული (გიორგაძე, 1987: 56-57). „სარბოლელად წასულ მედოღეებს ერთხანს

წინ „სულის ცხენი” მიუძღოდათ. მას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ, არ აჭენებდნენ, არამედ ნელ-ნელა წამოიყვანდნენ (გიორგაძე, 1987: 13). ცხენის დაკურთხების წესი გავრცელებული იყო სამეგრელოსა და აფხაზეთშიც. მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის წესი კავკასიის სხვა ხალხებშიც იყო გავრცელებული - ჩერქეზებთან, ინგუშებთან, ადიღეველებთან, ყაბარდოელებთან, ოსებთან და სხვა (გიორგაძე, 1987: 14). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წლისთავზე გამართული ხარჯის დროს სრულდებოდა დატირების წესი, რომელსაც „დალაი” ეწოდებოდა. „დალაის” შესრულებაში ხუთი ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას. მიცვალებულის წლისთავზე მის ტანსაცმელს ეზოში გაშლიდნენ, აქვე ეწყო რამდენიმე წყვილი წინდა და ჩითა, „სათამაქოე” ქისა, გაპენტილი მატყლი, ქვამარილი, მოხალული ქერი. დაგებულ ფლასზე დაყრიდნენ ქერს და ჯამით დადგამდნენ რძეს, რომელშიც შეკონილი ბალახი იყო ჩადებული. დალაის შემსრულებელნი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი. ისინი მიცვალებულის ტანსაცმელთან იყვნენ გამწკრივებულნი. თვით მოდალავე ”სულის ცხენზე” იჯდა, რომელიც შავი საფენით იყო დათალხული და ზედ ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული; იგი შუაში იყო მოქცეული, ორ-ორი „ამყოლი” კი აქეთ-იქით ედგა. ”სულის ცხენზე” მჯდომი მხედარი იწყებდა დალაობას, ე.ი. სევდიანი კილოთი მიცვალებულის შექებას. დალაობის დროს სამჯერ უნდა შეესვენათ. ამ დროს მხედრებს ლუდს აწვდიდნენ,რომლითაც მიცვალებულის შესანდობარი უნდა ეთქვათ. მხედრები ცოტა ლუდს მიცვალებულის ცხენის ფაფარს დაასხამდნენ და დანარჩენს დალევდნენ. ამავე დროს, შესვენებისას, რძეში ჩადებული შეკონილი ბალახით (ქოჯოთი) ცხენ-მხედარს რძეს აპკურებდნენ და ქერს აყრიდნენ. დალაის დასრულების შემდეგ მხედრები სამჯერ შემოუვლიდნენ მიცვალებულის ტანსაცმელს (გიორგაძე, 1987: 43-45). დალაის შესრულების დროს ცხენ-მხედრები წრიულ მოძრაობას ასრულებენ მიცვალებულის ტანსაცმლის გარშემო, რაც დ. გიორგაძის აზრით, ასტრალური ღვთაების ბუნებასთან ზიარებას აღნიშნავდა (გიორგაძე, 1987: 48).

გველის გამოსახულება ადრე ბრინჯაოს კერამიკულ ნაწარმზე იშვიათად გვხვდება. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე დადასტურებულ კერებზე (გუდაბერტყა) ჩნდება გველის რელიეფური გამოსახულებები, ხოლო კერების სადგრებს ზოგჯერ გველისებური იერი აქვთ. აქ სავარაუდოდ საქმე გვაქვს იმ

უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რომლების მიხედვითაც გველი კერის, ფუძის, ოჯახის მფარველია.

გველის გამოსახულება იშვიათია შუა ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელზე. შუა ბრინჯაოს საწყის ეტაპზე გველის მხოლოდ ერთი რელიეფური გამოსახულებაა ცნობილი ჭურჭელზე (ტაბ. LXXXVIII-2) ქვემო არანისიდან (ღლონტი, 2006: 53, ტაბ. II). თრიალეთის XXIII ყორღანში ნაპოვნ თიხის ჭურჭელზე გველი (ტაბ. LXXXIX-3) ასევე რელიეფურადაა გამოსახული (Жоржикашвили, Гогадзе, ტაბ. 91-771). გველების რელიეფური გამოსახულება მოცემულია ჭურჭელზე მრავალწყლის (ტაბ. LXXXIX-1) კანიონის №12 ყორღანიდან (Pizchelauri, 2002: სურ. 27). თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩნდა დიდი ზომის ჭურჭელი, რომელზედაც შავი საღებავით კლაკნილი გველის (ტაბ. LXXXIII-6) დიდი გამოსახულებაა მოცემული (Куфтин, 1941: ტაბ. XXVI). თითქმის ანალოგიური გამოსახულებაა დატანილი შავპრიალა ჭურჭელზე (ტაბ XC-3) ნერკინ ნავერის №3 ყორღანიდან (Симонян, 2011: 224, სურ. 6-1) კახეთში გათხრილი „თეთრი ქვების" I ყორღანში (ტაბ XC-5) აღმოჩნდა შავპრიალა ჭურჭელი, რომელზეც დატანილია რვიანის მსგავსი დიდი ზომის სიმბოლოები (Pitskhelauri, Orthmann, 1992: 4-21], რომელსაც ჩვენ კლაკნილი გველის გამოსახულებას ვამსგავსებთ. მესხეთში, ახჩიის №14 ყორღანში გათხრილ ერთ-ერთ ქილაზე (ტაბ. LXXXIX-2) რელიეფურად გამოსახულია კლაკნილი გველი (ჯაფარიძე და სხვ., 1981: 69, სურ. 27-256). გველი, როგორც მიწისქვეშეთის უმთავრესი, უნივერსალური სიმბოლო განსაზღვრულ როლს თამაშობდა ქართულ ტრადიციაში, კერძოდ მითში, კულტში, რიტუალში, ხელოვნებაში, ხალხურ შემოქმედებაში და სხვა. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა, რომ ყველა სახლს ჰყავდა თავისი ფუძის ანგელოზი, რომელიც იცავდა სახლს. ზოგჯერ ის გველის სახით იყო წარმოდგენილი და ოჯახის კეთილდღეობას, სიმდიდრეს მფარველობდა. ზოგიერთი შეხედულების მიხედვით, გველი – ადგილის დედაა, რომელიც სახლის საძირკველში ცხოვრობს. ის საკრალურ არსებად ითვლებოდა და მას თაყვანს სცემდნენ „საკმაოდ ორგანიზებული კულტით" (აბაკელია, 1997: 5-8).

არქეოლოგიური მონაცემები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ შუა ბრინჯაოს საწყის ეტაპზე ნამოსახლარებზე დასტურდება გველის, როგორც ოჯახის მფარველის კულტი. ეს რწმენა-წარმოდგენები მტკვარ-არაქსის კულტურის

მატარებელი საზოგადოებაში ჩანს გავრცელებული და როგორც უძველესი ტრადიცია ფეხს იკიდებს ბედენის კულტურაშიც. მინოსური ეპოქის კრეტაზეც, ა.ევანსის აზრით, გველებს თაყვანს სცემდნენ, როგორც სახლის მფარველებს (Evans, 1935: 74-75, 141, 152). თითქმის ყველა მითოლოგიებში გველის სახე, ერთის მხრივ დაკავშირებულია კერასთან, ოჯახთან და ცეცხლთან (განსაკუთრებით ზეციურ), ხოლო მეორე მხრივ ის კავშირშია მიწასთან, ნაყოფიერებასთან და წყალთან (Иванов, 1980: 468).

გველის სიმბოლიკა საკმაოდ რთული და მრავალმხრივია, მაგრამ ყველა სიმბოლო ერთ იდეას გამოხატავს: გველი განახლდება, ხელახლა იბადება და ამიტომ უკვდავია. თავისი თვისებებით ის ნაყოფიერების, სიბრძნის, წინასწარმეტყველების და უკვდავების მომცემია. სხვადასხვა ხალხების მითოლოგიაში მოხსენიებულია გველის მიერ უკვდავების მოტაცების ამბავი, მაგრამ მ. ელიადეს აზრით, ეს არის არქაული მითოსის გვიანდელი ვარიანტები. იმ არქაული მითოსის, რომელშიც გველი, თუ ზღვის ურჩხული წმინდა წყაროს, თუ უკვდავების წყაროს მცველად გვევლინება (Элиаде, 2000: 310).

ქართულ ტრადიციაში გველის და გველეშაპის სახეები დაკავშირებულია წყალთან. გველეშაპი წყლის მფლობელი, მისი ბინადარი და დარაჯია. ქართული ფოლკლორული მასალის მიხედვით, გველეშაპი წყლის სანაცვლოდ ითხოვს მსხვერპლს. გველეშაპთან ბრძოლის მითოლოგიური სიუჟეტის მთავარი მომენტებია: ა). გველეშაპის მიერ წყლის მოტაცება, რასაც შედეგად გვალვა მოჰყვება; ბ). ქალის მსხვერპლად შეწირვა; გ). გმირის მიერ გველეშაპის დამარცხება. ქალის და წყლის განთავისუფლება (აბაკელია, 1997: 14-15).

აღსანიშნავია, რომ თრიალეთის XVII ყორღანში აღმოჩენილი გველის გამოსახულება წყლის სიმბოლური ნიშნებით, ხოლო „თეთრი ქვების" I ყორღანში დადასტურებული გამოსახულება წერტილებით არის შემკული, რაც გვავარაუდებინებს, რომ აქ გამოსახული გველი, თუ ურჩხული სწორედ წყლის ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. თრიალეთის მოხატულ ჭურჭელზე გველის დაკლაკნილ სხეულს შორის დიდი ზომის წითელი წრეებია მოცემული, რაც ჩვენი ვარაუდით, სოლარულ სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ ეს უნიკალური ჭურჭელი სამარხშია აღმოჩენილი, ის

დაკავშირებული უნდა იყოს რწმენა-წარმოდგენასთან ქტონიურ ღვთაება – მიწისქვეშა წყლების მფლობელ ურჩხულის შესახებ, რომელიც პერიოდულად ატყვევებს მზეს. მთლიანობაში ეს რწმენა-წარმოდგენები დაკავშირებულია ესქატოლოგიურ წარმოდგენებთან სამყაროს დასასრულისა და მისი შემდგომი აღორძინების შესახებ, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვასთან.

მ. ელიადეს აზრით, გარკვეულ პერიოდში გველი მიწასთან იყო გაიგივებული. დიდი ქალღმერთები ერთნაირად არიან დაკავშირებული მიწის და მთვარის საკრალურობასთან. კარგადაა ცნობილი სხვადასხვა ხმელთაშუაზღვისპირული ქალღვთაებები გველებით ხელში (ქალღმერთების ქანდაკებები კრეტადან, არკადიელი არტემიდე, ჰეკატე, პერსეფონე და სხვა), ანდა გველებით (გორგონა, ერინიები) თმების მაგიერ. გველი წინაპრების კულტთანაც არის დაკავშირებული (გარდაცვლილები მიწისქვეშ მიდიან, რათა ხელახლა აღორძინდნენ). მ. ელიადეს აზრით, გველი გარდაცვლილთა სულებს განასახიერებს, წარმოადგენს რა წინაპრების ცხოველს (Элиаде, 2000: 314-316).

სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებში გველი წარმოდგენილია როგორც სიმდიდრის, განძის, და მიწის წიაღისეული სიმდიდრის მცველი, რაც მის ქტონიურ ბუნებაზე მიუთითებს (Иванов, 1980: 470). ეთნოგრაფიული პარალელებით, ჯადოსნობა გველისაგან მომდინარეობს. ის მიწის ქვეშ ბინადრობს, წინაპართა სულებს განასახიერებს და ამიტომ ყველა საიდუმლო იცის. მას შეუძლის მომავლის წინასწარმეტყველება და საერთოდაც სიბრძნის წყაროა. სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებით, ყველა, ვინც გველის ხორცს გასინჯავს, ცხოველთა და ფრინველთა ენას იგებს (ქართული თქმულებების მიხედვით, ასეთია ხოგაის მინდია). მ. ელიადეს აზრით, ამ სიმბოლოს მეტაფიზიკური არსიც აქვს: გველის ხორცის მჭამელი ეზიარება უმაღლეს, სხვა სამყაროს რეალობას. მ. ელიადეს აზრით, ერთი სიმბოლოს ყველა მნიშვნელობა ერთდროულად არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ გვეჩვენება, თითქოს რეალურად მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ფუნქციონირებს. კარგად ჩანს მითო-რელიგიური კომპლექსი: მთვარე-წვიმა-ნაყოფიერება-ქალი-გველი-სიკვდილი-პერიოდული აღორძინება. ზოგ შემთხვევებში, ზოგიერთ მითოსში არასრულ ფრაგმენტებთან გვაქვს საქმე, როგორიცაა: გველი-ქალი-ნაყოფიერება, ან გველი-წყალი-ნაყოფიერება, ქალი-გველი-მაგია. მ. ელიადეს

აზრით, ამ მეორადი ცენტრების ირგვლივ თანდათან მთელი მითოლოგია ჩნდება, რომელიც უკანა პლანზე გადასწევს პირველად ერთიანობას. ეს უკანასკნელი ზოგჯერ მხოლოდ მცირე ფრაგმენტის სახით მაინც არის შემორჩენილი (Элиаде, 2000: 315, 317, 318).

ჩვენი აზრით, გველის გამოსახულება იმდენად საკრალური იყო, რომ ის მხოლოდ ძალზე იშვიათად, შესაძლოა მხოლოდ კულტმსახურების კუთვნილ არტეფაქტებზე ყოფილიყო გამოსახული. 1941 წელს, აზერბაიჯანში, ხანლართან გაითხარა რამდენიმე სამარხი, რომლებშიც გველები იყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩენილი კერამიკული მასალის და მითანიური ცილინდრული საბეჭდავის მიხედვით, სამარხი თარიღდება ძვ.წ. XV-XIV სს. (Пиотровский, 1992: 15). ი. ჰუმელის მიერ გათხრილ სამაროვანზე, №148 სამარხის ცენტრში დაკრძალული იყო ირემი, სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან – ცხვარი, ჩრდილოეთ კუთხეში – გველი, იქვე დადასტურდა ქალის ჩონჩხი მრავრიცხოვანი ანომალიებით. ამავე სამაროვნის №149 სამარხის ცენტრში ასევე ირემი იყო დაკრძალული. მისი თავი და რქები მძივებით იყო შემკული. ირმის თავთან დიდი გველის ჩონჩხი იდო. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნი იყო ქალის ჩონჩხი. სამარხში აღმოჩენილ ერთ-ერთ თიხის ჭურჭელზე რელიეფურად გამოსახულია ორთავიანი გველი. ამავე სამარხში დადასტურებული იყო სხვადასხვა ჭურჭლების ფრაგმენტები გველის რელიეფური დანაძერწებით. გველების ჩონჩხები ნაპოვნი იყო აგრეთვე №150 სამარხში. სამარხის ცენტრში ხის მარხილი იდგა. მარხილის უკანა ნაწილთან ნაცრის დიდი გროვა დაფიქსირდა, რომელშიც ადამიანის ძვლები ერია. ნაცრის გროვაზე ორი ერთნაირი შავად გამომწვარი ჯამი იდო. ერთ-ერთ მათგანში გველის ჩონჩხი აღმოჩნდა. მეორე გველის ჩონჩხი მეორე ჯამზე იყო შემოხვეული. მარხილის წინა ნაწილში ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდა, შესაძლოა მეეტლე, რომელიც სავარაუდოდ მჯდომარე პოზაში დაასვენეს. ხელნის ორივე მხარეს ორი ირმის ჩონჩხი გაიწმინდა, რომელტა თავები და რქები მძივებით და სპილენძი ნახევარმთვარისებრი ფორმის სამკაულით იყო შემკული. სამარხის სამხრეთ კუთხეში ცხენის ჩონჩხი იდო. მარხილის ირგვლივ, კი ხარის, ცხვრის, ღორის, ძაღლის, კატის და გველების ჩონჩხები აღმოჩნდა. სამარხში მრავლად იყო თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები გველების რელიეფური გამოსახულებებით. ნაცრის

გროვასთან აღმოჩნდა გამოუწვავი თიხისგან დამზადებული ცხოველის ქანდაკება, რომელსაც გველის ჩონჩხი ეხვია გარშემო (Гуммель, 1992: 5-11). მიუხედავად იმისა, რომ ეს სამაროვანი ქრონოლოგიურად ოდნავ გვიანდელია, ვიდრე ჩვენს მიერ შესასწავლი ეპოქა, კარგადაა წარმოდგენილი რწმენა გველის და ქალის ურთიერთკავშირის თაობაზე. გველის კავშირი ქტონიურ სამყაროსთან და მნიშვნელობა გარკვეულ კულტმსახურებაში.

ფრინველი. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის შავად მოხატული წითელზედაპირიანი დერგებისათვის დამახასიათებელია ფრინველების გამოსახულებები (ტაბ. LVIII-1,2,4,5,7-10; LXX-2). ფრინველის გამოსახულება მოცემულია თრიალეთის VII ყორდანში (ტაბ. LXX-2; LXXXIV-1) ნაპოვნ მოხატულ ჭურჭელზე (Куфтин, 1941: ტაბ. LXXXI; Жоржикашвили, Гогадзе, 1974: ტაბ. 63-551). ფრინველებია გამოსახული ჭურჭლებზე გეთაშენიდან, სისიანიდან, ეჩმიაძინიდან, კამოდან, ზურნაბადიდან, ლიჩკიდან, გარნიდან, ავანიდან, ვოსკევაზიდან (Кушнарёва, 1993: სურ. 42-1, 7, 8, 12, 15-17; სურ. 43-13, 29) და ნერკინ ნავერის (ტაბ. LXXXVII-2-5,7-11) № 7 სამარხიდან (Симонян, 2011: 226, სურ. 8). აგრეთვე ნახჭევანის, აღმოსავლეთ ანატოლიის, ვანის და ურმიისტბისპირეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების ძეგლებზე (Кушнарёва, 1993: სურ. 49; Özfirat, 2001: ტაბ. 22, 25, 27, 30, 32, 37, 38, 66, 70, 78, 80, 85, 94, 95).

ფრინველების მსგავსი გამოსახულებები ძალზე ფართოდაა გავრცელებული ნეოლით-ბრინჯაოს ხანის ირანის და მესოპოტამიის მოხატულ კერამიკაზე (Dabbagh, 1965: ტაბ. VII, 119-122; Dabbagh, 1966: ტაბ. XVII, 312-315, ტაბ. XVIII, 316,317; Edwards, 1981: სურ. 10,19,21; Carter E. et all., 1993: 32,38). ფრინველების გამოსახულება ძალზე ხშირია მტკვარ-არაქსის კერამიკაზე (შანშაშვილი, 1990: 46-52). ფრინველს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ხეთურ-ხურიტულ რელიგიურ აზროვნებაში, განსაკუთრებულად ქტონიური ხასიათის კულტებსა და მაგიაში. სიკვდილთან დაკავშირებული ფრინველების უძველესი გამოსახულებები ჯერ კიდევ ნეოლითური ხანის ჩათალ-ჰუიუქის სამლოცველოშია დადასტურებული (Mellaart, 1964: ტაბ. VII-b, VIII-b, სურ. 20). უძველესი ცივილიზაციების ხელოვნებაში კარგადაა ცნობილი ფრინველებით ფლანკირებული ქალღმერთის გამოსახულებები (Maxwell-Hyslop, 1992: ტაბ. VII-a, VIII-a; Marinatos, 2000: სურ. 3.1 6.11, 6.13; შანშაშვილი, 2000: 87-88).

ფრთოსანი ქალღმერთის გამოსახულება, რომელსაც ფეხების მაგიერ ფრინველის კლანჭები აქვს, მეცნიერების აზრით სიკვდილთან და ქტონიურ სამყაროსთან დაკავშირებული იშთარის გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც უვნებლად ჩავიდა ერეშქიგალის ქტონიურ სამფლობელოში (Barrelet, 1952: 291-293). ხეთურ დაკრძალვის რიტუალში ფრინველი არსებით როლს ასრულებს. ის წარმოადგენს „წინაპარი" მიწისქვეშა ღვთაებებისადმი შეწირულ სპეციალურ მაგიურ მსხვერპლს. ამ ასპექტში ფრინველი იშთარ-შავუშქას კულტს ეკუთვნის. დიდი მესოპოტამიური ქალღმერთის ანატოლიური ეკვივალენტის დამხმარეთა რიცხვს სხვადასხვა ჯიშის ფრინველები ასრულებენ: შევარდენი ქალღმერთ შავუშქასთან ერთად მოიხსენიება განწმენდის რიტუალში. ნინევიელი შავუშქას საკულტო ინვენტარს შორის მოიხსენიება მტრედის ფორმის ოქროს ჭურჭელი, რომელსაც bibru ეწოდებოდა. რიტუალის მიხედვით ამ ჭურჭელში ღვინო უნდა ჩაესხათ. შავუშქასადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაზე „მტრედის სიმღერას" მღეროდნენ (Wegner, 1981: 90-91). ერთ-ერთ ხურიტულ ტექსტში მოხსენიებულია ამანუსის მთების იშთარ-შავუშქასადმი მიძღვნილი „მტრედების ზეიმი". ქალღმერთის კულტთან მერცხალიც არის დაკავშირებული: ნინევიელი იშთარის საკულტო ინვენტარში მოხსენიებულია ოქროს მერცხალი ლურჯი ქვის ნისკარტით. რელიგიური ხასიათის ხურიტულ ტექსტებში კიდევ სხვა ფრინველებიც არის ნახსენები, რომლებიც იშთარ-შავუშქას კულტთან დაკავშირებით გარკვეულ ასპექტში მოიაზრებიან. ერთ-ერთ მითოსში იშთარი გადაიქცევა ფრინველ hapupi –დ, რომლის იდენტიფიცირებაც არ ხერხდება (Wegner, 1981: 93), თუმცა ქართულ სიტყვა ოფოფთან აქვს მსგავსება. ოფოფის ბრინჯაოს ქანდაკება ამშვენებს შტანდარტს ძვ.წ. XVI-XIV სს. დათარიღებული სამარხიდან (Мартиросян, 1964: ტაბ. X-4).

იშთარ-შავუშქას წმინდა ფრინველების გამოსახულებიანი არქეოლოგიური მასალა ანატოლიიდან საკმაოდ მწირია. ერთ-ერთ რელიეფზე მალათიიდან იშთარ-შავუშქა ორი ფრინველის, შესაძლოა მტრედების თანხლებით არის გამოსახული. ქალღმერთის და ფრინველების გამოსახულებაა რელიეფზე იმამკულიდან. ცილინდრულ საბეჭდავზე ქიულ-თეფედან ქალღმერთი ფრინველების თანხლებითაა გამოსახული (Wegner, 1981: 92-93). ხურიტულ რელიგიურ ტექსტებში მოიხსენიება მისნობა გარკვეული ჯიშის ფრინველის MUSEN HURRI-ს მეშვეობით, რაც

აქადურად სოროს ფრინველს ნიშნავს და როგორც ჩანს, მწყერს წარმოადგენს. მცირე აზიაში ხურიტულ ფრინველად იწოდებოდა მისი აქადური სახელის ხურიტების თვითდასახელებასთან მსგავსების გამო (Вильхельм, 1992: 115).

როგორც ჩანს, ბატი, წერო, თუ ყარყატი ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებით სიყვარულის და ომის, სიკვდილ-სიცოცხლის ქალღმერთთან ასოცირდებოდა. ჩვენი აზრით, მსგავსი მითოლოგიური წარმოდგენები ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობასაც. მიგვაჩნია, რომ ფრინველის გამოსახულება სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე იშთარ-შავუშქას, ან მისი კავკასიური ექვივალენტის კულტთან იყო დაკავშირებული.

ლომი. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არტეფაქტებზე ლომის გამოსახულება ძალზე იშვიათია და მხოლოდ ოქროსგან დამზადებულ ნივთებზეა მოცემული, რაც მის უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს. ლომის ოქროს ქანდაკება აღმოჩნდა ბედენური ხანის წნორის №2 ყორღანში (ტაბ XC-1). ქანდაკების სიმაღლე 2,8 სმ-ია, სიგრძე 5,2 სმ (Дедабришвили, 1979: 42). ლომის ფიგურა, სხვა, იქვე აღმოჩენილ არტეფაქტებთან ერთად, შეიძლება რიტუალური შტანდარტის ატრიბუტს წარმოადგენდა (Дедабришвили, 1979: 67). შ. დედაბრიშვილის აზრით, ლომის ოქროს ფიგურა ყორღანში დაკრძალულის გამორჩეული სტატუსის მაჩვენებელია და მისი მიწიერი ძალაუფლების სიმბოლოს სწორედ ლომის ქანდაკება წარმოადგენდა (Дедабришвили, 1979: 70).

ლომების გამოსახულებიანი ოქროს თასი (ტაბ. LXII-10, XC-6) აღმოჩნდა კიროვაკანის დიდ ყორღანში (Мартиросян, 1964: 66, სურ. 32; Devedjian, 2006: 400-410, სურ. 141), რომელსაც ს. დევეჯიანი „სამეფოს“ უწოდებს (Devedjian, 2006: 400). თრიალეთის XV ყორღანში ნაპოვნია ოქროს შტანდარტი (ტაბ. LXIV-1,2), რომლის ზედაპირზე ლომები და მეანდრებია გამოსახული (Куфтин, 1941: 98, ტაბ. C). შტანდარტის სიმაღლე – 6,8 სმ.-ია. მისი დეტალებია 6 ოქროს ცილინდრული მილაკი, 15,5 სმ.-ის სიგრძის და სამი წაკვეთილი კონუსის ფორმის საკიდი. მათი სიგრძე 2,7-2,8 სმ.-ია (Жоржикашвили, Гогадзе, 1974: 89, ტაბ. 79). ლომები გამოსახულია აგრეთვე ყარაშამბის ვერცხლის (ტაბ. XLIX) თასზე (Оганесян, 1988: 157, სურ. 3). ლომის ქანდაკებით შემკული ბრინჯაოს შტანდარტი ნაპოვნია კარმირ

ბერდის კულტურას კუთვნილ ოშაკანის №30 სამარხში (Калантарян, Пилипосян, Мелконян, 2004: 69).

ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან ლომი ქალღმერთის თანმხლები, საკრალური ცხოველი იყო. ჩათალ ჰუიუქშია ნაპოვნი მჯდომარე ქალღმერთის ფიგურა, რომლის ორივე მხარეს ლომები სხედან. შემდგომ ეპოქაში ლომი იშთარის ცხოველებად წარმოგვიდგებიან. ებლას, მარის, ტელ ხალაფის ტაძრების შესასვლელში ლომის ქანდაკება უცილობელი ატრიბუტი იყო. ხათურ და შემდგომ ხეთურ რიტუალურ ტექსტებში ლომი მეფის ზოომორფულ სიმბოლოს წარმოადგენდა (Иванов, 1982: 590).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ლომის ოქროს ქანდაკება (წნორის ყორღანი), ოქროს თასი (კიროვაკანი) და ოქროს შტანდარტი ლომების გამოსახულებით თრიალეთის XV ყორღანიდან, აგრეთვე ვერცხლის თასი ყარაშამბის ყორღანიდან და ბრინჯაოს შტანდარტი ოშაკანიდან აღმოჩენილია თავისი სიმდიდრით გამორჩეულ, შეიძლება ითქვას „მეფურ“ ყორღანებში. ჩვენ ვიზიარებთ შ. დედაბრიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და მივიჩნევთ, რომ ლომის გამოსახულება შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში სამეფო ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა.

ტახი. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არტეფაქტებზე მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამოსახული ტახი: ყარაშამბის ვერცხლის თასის ზედა ფრიზზე წარმოდგენილია გმირის ნადირობა ტახზე (ტაბ. XLIX) ძაღლის დახმარებით. აქვე გამოსახული ლომები და ლეოპარდები ვ. ოჰანესიანის აზრით, ზებუნებრივ ძალებს, შესაძლოა წინაპრების სულებს განასახიერებენ, რომლებიც გმირს ეხმარებიან (Оганесян, 1988: 157, სურ. 3). ვ. ოჰანესიანი მიიჩნევს, რომ ტახზე ნადირობა წარმოადგენს საკვანძო მომენტს, საიდანაც იწყება თასზე გამოსახული სხვადასხვა მოვლენა, რომლებიც მთელ რიგ ინდოევროპულ უძველეს ეპიკურ ტრადიციას უკავშირდება (Оганесян, 1988: 157-158). ტახის ცალკეული გამოსახულებები, ან ტახზე ნადირობის სცენები არ არის დამახასიათებელი ძველი აღმოსავლური ხელოვნებისათვის. ის თითქმის არ ჩანს ძვ.წ. III-II ათასწლეულების მესოპოტამიაში. მაგრამ საკმაოდ კარგადაა ასახული ანატოლიაში, საბერძნეთსა და ირანში. სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებში ტახი საბრძოლო ძლიერების და

ნაყოფიერების სიმბოლოა. ხეთური ტექსტების მიხედვით ტახი, ან ღორი „ღმერთების ცხოველად“ მოიხსენიება (Иванов, 1980: 232-233).

არჩვი/ჯიხვი. არჩვი/ჯიხვის გამოსახულებები (ტაბ. LVIII; LVI-4-6) შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე სამხრეთ კავკასიიდან საკმაოდ ხშირია. ქვემო არანისში (ახალი ჟინვალი) აღმოჩენილ დიდ დერგზე მაღალ რელიეფში წარმოდგენილია არჩვების/ჯიხვების გამოსახულება (ღლონტი, 2006: 51, ტაბ. II). არჩვების/ჯიხვების ზემოთ გველის გამოსახულება, ხოლო ორ არჩვს/ჯიხვს შორის ჩასმულია მართკუთხედი, რომლის კუთხეებთან სპირალებია დატანილი (ტაბ. LXXXVIII). ნერკინ ნავერის №7 სამარხში აღმოჩნდა მოხატული ჭურჭლების დიდი რაოდენობა, რამდენიმე მათგანზე (ტაბ. LXXXVII-4,6,8) გამოსახულია არჩვი/ჯიხვი (Симонян, 2011: 226, სურ. 8). არჩვების/ჯიხვების გამოსახულებები გვხვდება მოხატულ დერგზე გეთაშენიდან (სომხეთი) ნახჭევანიდან და აღმოსავლეთ ანატოლიიდან (Кушнарёва, 1993: სურ. 42-1, სურ.48-4; Özfirat, 2001: ტაბ. 22, 85, 88, 99). შაპრიალა ჭურჭლებზე გვხდება რელიეფური გამოსახულებებიც (ტაბ. LXXXIX-4-6). არჩვების/ჯიხვების გამოსახულებები ძალზე პოპულარული იყო ნეოლითური ხანის ირანის მოხატულ კერამიკაზე (Carter et all., 1993: 32,36; Langsdorff , MacCown, 1942: ტაბ. 30, 69, 70-73).

სხვადასხვა ხალხების მითოლოგიაში არჩვი/ჯიხვი ნადირთ პატრონის ერთ-ერთი უძველესი გამოხატულება იყო (Антонова, 1984: 98-100). ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებითაც არჩვი/ჯიხვი ნადირთ მფარველი ქალღმერთის, დალის ერთ-ერთი წმინდა ცხოველია. დალი ასტრალურ ღვთაებად მიაჩნდათ ივ. ჯავახიშვილს, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძეს, ე. ვირსალაძეს (სურგულაძე, 1986: 83). ე. ვირსალაძე დალს აღდგენად და მომაკვდავ ღვთაებათა ციკლ უკავშირებს (Вирсаладзе, 1976:117). ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ, ქალღმერთის წმინდა ცხოველის გამოსახულებიანი კერამიკა სამარხებშია ძირითადად აღმოჩენილი. ამაზე უნდა მეტყველებდეს რელიეფური გამოსახულება დერგზე ქვემო არანისიდან, სადაც არჩვები/ჯიხვები გველების ქვემოთ არიან გამოსახულნი, ე.ი. ქტონიურ სამყაროს ეკუთვნიან. აღსანიშნავია, რომ სვანეთში დადასტურებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მიცვალებულის კუბოსთან ხშირად მიჰქონდათ ჯიხვის ფიტულები, ასევე აცხობდნენ რიტუალურ ნამცხვრებს ჯიხვის

და არჩვის გამოსახულებებით (სურგულაძე, 1986: 89). იგივე მნიშვნელობისაა ხევსურული დატირების დროს არჩვის და ჯიხვის ფიტულების დადგმის რიტუალი. ჯიხვის, ან არჩვის რიტუალური ფიტული იგივე ნადირთ მფარველის განსახიერება იყო, რაც წარმოადგენდა მის კავშირს დატირებასთან (ვირსალაძე, 1964: 154). სვანეთში საიქიოს ზოგჯერ არჩვების ქვეყანას უწოდებენ „წავიდა არჩვების ქვეყანაში“ ნათქვამია ერთ-ერთ თქმულებაში (ვირსალაძე, 1964: 34).

ჩვენი აზრით, არჩვის/ჯიხვის გამოსახულებები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე ქტონიური სამყაროს და მისი მეუფის - ნადირთ ბატონის, სიკვდილ-სიცოცხლის გამგებელ ქალღმერთის სიმბოლურ სახეს წარმოადგენს.

ძაღლი. თრიალეთის ვერცხლის თასზე ორი ძაღლი ცენტრალური, ტახტზე მჯდომი ფიგურის ფეხებთან წევს (ტაბ. XLVIII). მონადრე ძაღლები გამოსახულია ყარაშამბის თასზე (ტაბ. XLIX). ასევე თიხის ჭურჭელზე გეთაშენიდან და ხანლარიდან (ტაბ. LVIII-3, 5). ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად, ზოგიერთ ღვთაებას თანმხლები მგელი, ან მგლები ჰყავდა, რომლებსაც სვანეთში „ჯგრაგის ძაღლებს“ უწოდებდნენ (Бардавелидзе, 1957: 48). ხევსურეთში დამოწმებული რწმენა-წარმოდგენებით სათემო ღვთაებების ლაშქარს ძაღლები, ე.წ. „მწევარნი“ წარმოადგენდნენ. „მწევარნი“ უცებ ეცხადებოდნენ გაჭირვებაში მყოფ ადამიანს და დახმარებას უწევდნენ მას (Бардавелидзе, 1957: 49). ვ. ბარდაველიძის აზრით, თრიალეთის თასზე მითოლოგიური ძაღლების „მწევარნის“ გამოსახულებებია წარმოადგენილი (Бардавелидзе, 1957: 104).

თავი VI

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური ასპექტები

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის სრული რეკონსტრუქცია კვლევის დღევანდელ ეტაპზე რთულია. საკვლევი თემის სირთულე და შესაბამისი არქეოლოგიური მონაცემების სიმცირე, სამწუხაროდ, არ იძლევა საშუალებას ყველა საკითხი სრულყოფილად იყოს განხილული.

რელიგიური იდეები და მითოლოგია Homo Sapiens-ის გაჩენასთან ერთად ჩნდება. მ. ელიადეს აზრით, მითების ნაწილი პალეოლითის ეპოქის ადამიანებისთვისაც იყო ცნობილი. არსებობს უნივერსალური მითები, რომლებიც ყველა კონტინენტზე არის დადასტურებული. მათ რიცხვს ეკუთვნის კოსმოგონიური მითები და მითები მზის, მთვარის, ადამიანის და სხვ. წარმოშობაზე.

უნივერსალურ რელიგიურ რწმენებს მიეკუთვნება წარმოდგენები სიკვდილზე, საიქიო ცხოვრებაზე და აღორძინებაზე. გარდაცვლილი ადამიანის დაკრძალვის ფაქტი პალეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. თითქმის ყველა კონტინენტზე გავრცელებული იყო მიცვალებულის დაკრძალვა მოკრუნჩხულ, ანუ ემბრიონის პოზაში (Элиаде, 2001: 15).

ძველი ქვის ხანის მონადირეებისათვის დამახასიათებელი იყო რწმენა, რომ არსებობდა განსაკუთრებული, ზებუნებრივი ურთიერთობა ადამიანებსა და ცხოველებს შორის. პირველყოფილ მონადირეებს სწამდათ, რომ მათ შეეძლოთ გარკვეული მაგიური ქმედებებით მოეხდინათ ზემოქმედება ცხოველებზე, რათა ნადირობა წარმატებული ყოფილიყო. მათთვის ასევე დამახასიათებელი იყო რელიგიური ქცევა: ცხოველის მკვლელობა ითვლებოდა რიტუალად, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მონადირეს უნდა მოეკლა მხოლოდ იმდენი ნადირი, რამდენიც სჭირდებოდა გამოსაკვებად. ძვლები და თავის ქალა, გამომდინარე იქიდან, რომ მათში განთავსებულია განსაკუთრებული ფასეულობა, უნდა შეინახოს, რათა ნადირთ პატრონმა გააცოცხლოს მოკლული ცხოველები.

პალეოლითის ეპოქიდან ევრაზიის მთელ კონტინენტზე ქალის ქანდაკებები იყო გავრცელებული. ამ ქანდაკებებში განსახიერებული იყო ქალის საკრალურობა, მისი მაგიურ-რელიგიური ძალა (Элиаде, 2001: 25).

ძვ.წ. IX–VIII ათასწლეულებში დაიწყო მცენარეთა კულტივაცია და ცხოველების მოშინაურება, რასაც მოჰყვა მწარმოებლური მეურნეობის და აგრარული ეკონომიკის წინა პლანზე წამოწევა. მიწათმოქმედების წარმოშობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარებისათვის. მცენარეთა კულტივირებას შედეგად მოჰყვა რელიგიური ფასეულობების გადახედვა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ადამიანის მითო-რელიგიური მსოფლმხედველობა. ამ ეტაპს, კაცობრიობის ისტორიაში მ. ელიადე „რელიგიურ რევოლუციას" უწოდებს (Элиаде, 2001: 40).

მიწათმოქმედების წარმოქმნას მოჰყვა პალეოლითური ხანის მონადირეთა ფასეულობების კრიზისი: ცხოველთა სამყაროსთან რელიგიური ურთიერთობა შეცვალა „მისტიურმა სოლიდარობამ ადამიანსა და მცენარეულობას" შორის. ამის გარდა იერარქიის მწვერვალზე ავიდა ქალი და ქალური საკრალურობა. ვინაიდან ქალს გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა მცენარეთა კულტივაციაში, მიწის ნაყოფიერება გაიგივებული იყო ქალის ნაყოფიერებასთან. ქალებს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსავლიანობაზე, რადგან სწორედ ისინი ფლობდნენ შესაქმის „საიდუმლოებას". მ. ელიადეს განმარტებით, აქ ლაპარაკია რელიგიურ საიდუმლოებაზე, რადგან ის ეხება სიცოცხლის, კვების და სიკვდილის წარმოშობას. ნიადაგიც ქალთან იყო გაიგივებული. ათასწლეულების განმავლობაში, ადამიანის რწმენით, დედამიწა თვითონ წარმოშობს თავის შთამომავლობას, ხოლო მიწიდან წარმოქმნილი ადამიანი სიკვდილისას დედას უბრუნდება (Элиаде, 2001: 15).

დედა ქალღმერთის სახე განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ნეოლითური ხანის ანატოლიაში. ანატოლიის უძველესი მოსახლეობის დედა ქალღმერთი ჯ. მელაარტის აზრით „ნაყოფიერების ქალღმერთის – ჰეფათის, კიბელეს, ქუბაბას უძველესი ანატოლიური პროტოტიპია (Mellaart, 1961: 61). განსაკუთრებით მრავალფეროვან ასპექტშია წარმოდგენილი დედა ქალღმერთის სახე ნეოლითური ხანის სამლოცველოებიდან ჩათალ ჰუიუქში. როგორც ჩანს, იქ

დედა ქალღმერთი როგორც სიკვდილის, ისე სიცოცხლის გამგებელია. ჯ. მელაარტი მიიჩნევს, რომ ჩათალ ჰუიუქის ნეოლითური ხანის რელიგია მრავალმხრივი ასპექტითაა წარმოდგენილი და ეფუძნება მიწის ნაყოფიერების იდეას (Mellaart, 1963: 79).

ნეოლითური ხანის მითოლოგიები და მათთან დაკავშირებული სიმბოლიკა და რიტუალები ათასწლეულების განმავლობაში დომინირებენ ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებში. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო მოკვდავი და აღორძინებადი ღვთაების თემა. სამიწათმოქმედო კულტურებმა შეიმუშავეს ის, რასაც მ. ელიადეს აზრით, შეიძლება ეწოდოს კოსმიური რელიგია, რადგან რელიგიური აქტივობა თავმოყრილია ცენტრალური საიდუმლოს – სამყაროს პერიოდული განახლების ირგვლივ (Элиаде, 2001: 43). კოსმიური საკრალურობის სიმბოლო სამყაროს ხეა – სამყაროს ღერძის axis mundi –ს ერთ-ერთი გამოხატულებაა. სამყარო აღიქმება როგორც ორგანიზმი, რომლიც მოითხოვს პერიოდულ განახლებას.

ნეოლითური ეპოქიდან, ან ზოგიერთი შეხედულებით, უფრო ადრეული პერიოდიდან, მითო-რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით, სამყაროს ხე დგას სამყაროს ცენტში და აერთიანებს სამ კოსმიურ სივრცეს, რადგან მისი ფესვები ქვესკნელში ჩადის, ხოლო წვერო ზეცაშია (Элиаде, 2001: 43). შესაძლოა, თრიალეთის V ყორღანში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე სწორედ ეს რიტუალური სცენაა გამოსახული: სამყაროს ხე, რომლის ფესვებთან წყარო მოედინება. ტახტზე მჯდომი ღვთაება რჩეულებს წყაროს უკვდავების წყალს ურიგებს.

სამიწათმოქმედო სამუშაოების წარმოების აუცილებლობამ წარმოშვა კოსმიური ციკლის იდეა (Элиаде, 2001: 44). სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე წრიულად გამოსახული სიმბოლოები შესაძლოა სწორედ კოსმიური ციკლის ასახვა იყოს. თიხის ჭურჭელზე სხვადასხვა ტექნიკით გადმოცემული ზოგიერთი მოტივი თითქმის ყველა არქაულ პიქტოგრაფიაში ერთი და იგივე ცნებას გამოსახავენ. მაგალითად, კლაკნილი ხაზი – წყლის, ვერტიკალური წყლის ნაკადები კი სავარაუდოდ წვიმის აღმნიშვნელია, ბადისებური მოტივით შევსებული მართკუთხედი, ან ჭადრაკული მოტივი – დამუშავებულ მიწას გამოხატავს.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო საცხოვრებლებისათვის და დასახლებებისათვის რელიგიური ფასეულობების მინიჭება. დამჯდარ მოსახლეს სულ სხვანაირად

წარმოუდგენია „თავისი სამყარო”, ვიდრე მომთაბარეს. მიწათმოქმედისათვის „რეალური სამყარო” ეს არის მისი საარსებო სივრცე: სახლი, სოფელი, დამუშავებული მინდვრები. სამყაროს ცენტრი არის რიტუალებით მადლმოსხმული ადგილი, სადაც ადამიანები ზებუნებრივ არსებებთან ურთიერთობას ახორციელებენ (Элиаде, 2001: 44).

საცხოვრებლების კოსმოლოგიური სიმბოლიზმი სხვადასხვა პრიმიტიულ საზოგადოებებშია დადასტურებული. ცნობილია, რომ ჩრდილოაზიური ხალხების წარმოდგენებით, ზეცა აღიქმება როგორც უზარმაზარი კარავი, რომელსაც ცენტრალური სვეტი იჭერს. კარვის სვეტი და საკვამლე ნახვრეტი სამყაროს ღერძს და „ზეციურ ფანჯარას” განასახიერებს (Элиаде, 2001: 45). ანალოგიური შეხედულება ჰქონდათ ძველ ეგვიპტელებს პირამიდასა და პირამიდაში არსებულ სამარხ კამერაზე: სამარხი კამერის ჭერი ვარსკვლავებით იყო მოხატული და ზეცას განასახიერებდა, ხოლო კედლები მოხატული იყო ლანდშაფტის, ცხოველების, ფრინველების გამოსახულებებით და ყოფითი სცენებით, რაც გარდაცვლილისათვის ნაცნობ საარსებო სივრცეს წარმოადგენდა. კოსმოლოგიურმა სიმბოლიზმმა არქიტექტურაში ყველაზე მდიდარი განვითარება ძველ აღმოსავლეთში მიიღო (Элиаде, 2001: 45). ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები ამ იდეის მატარებელია.

არაერთხელ აღინიშნა, რომ მითო-რელიგიურ წარმოდგენებსა და რიტუალებში, რომლებიც ეთნოგრაფიულადაა დადასტურებული, შენარჩუნებულია იმ მითების და რიტუალების ფრაგმენტები, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე არსებობდნენ. მ. ელიადეს აზრით, ზოგიერთი წეს-ჩვეულება მყარად იყო შენარჩუნებული ოთხი-ხუთი ათასი წლის განმავლობაში და ორი უდიდესი მონოთეისტური რელიგიის, ქრისტიანობის და ისლამის ზედამხედველობის ქვეშაც შემოინახეს თავი (Элиаде, 2001: 53).

ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით გარეული ცხოველებით მდიდარ ადგილებში, სამონადირეო ტრადიციები და რწმენა-წარმოდგენები შენარჩუნებული იყო მწარმოებლური მეურნეობის პირობებშიც (Антонова, 1984: 87). ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული სამონადირო ეპოსი, რომელიც ე. ვირსალაძის აზრით, ქართული ფოლკლორის უძველეს ფენას წარმოადგენს (ვირსალაძე 1964: 16).

გარეულ ნადირს, ქართული ფოლკლორის მიხედვით, თავისი მცველი, პატრონი ჰყავდა, რომელიც ზოგჯერ ჯიხვის, არჩვის, ან ირმის სახით ევლინება ადამიანს. ნადირთ პატრონს სადღაც სხვაგან ჰყავს ნადირთა ჯოგები, საიდანაც მისი ნებით მონადირეს ეძლევა მათი გარკვეული რაოდენობა. მონადირის მიერ მოკლული ნადირი შემდეგ კვლავ ნადირთ პატრონებს უბრუნდება და მისი მკვდრეთით აღსადგენად ყველა მისი ძვალია საჭირო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს რწმენა უნივერსალურ რელიგიურ იდეათა შორისაა და მიეკუთვნება უძველეს პლასტს. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანაში დაკრძალვის რიტუალის დროს მსხვერპლად შეიწირება შინაური ცხოველები, ძალზე იშვიათად – გარეული, ხოლო დასაკრძალავ კერამიკაზე გამოისახებოდა მხოლოდ გარეული ცხოველები. ჩვენი აზრით, ირმების, ჯიხვების, თუ არჩვების გამოსახულებები კერამიკაზე სწორედ ამ ირეალური, ზებუნებრივი სამყაროს გამომხატველია, სადაც ბინადრობენ სხვადასხვა სულები, თუ ღვთაებები და საიდანაც ადამიანებს არაჩვეულებრივ საჩუქრებს აძლევენ, იქნება ეს უხვი ნანადირევი, თუ უკვდავების წყალი. სვანეთში, მაგალითად, საიქიოს, ზოგჯერ არჩვების ქვეყანას უწოდებენ: „წავიდა არჩვების ქვეყანაში" - ნათქვამია ერთ-ერთ თქმულებაში მოკლული მონადირის შესახებ (ვირსალაძე, 1964: 30-34).

ამ ზებუნებრივ სამყაროში ხვდებიან რჩეული წინაპრები, შესაძლოა გაღმერთებული „მეფეები", რომელთა ნებაზეცაა დამოკიდებული შთამომავლობის ავ-კარგი. რჩეული წინაპრების მომადლიერების მიზნით საიქიოსკენ მიმავალ გზაზე მათ ატანდნენ სანოვაგით სავსე ჭურჭლებს, რომლებზეც სიმბოლურად გამოსახული იყო დამუშავებული მინდვრები, წყალუხვი მდინარეები, მოსავლიანობისათვის აუცილებელი მზე და წვიმები, და რაც მთავარია მდიდარი მცენარეულობა, თავთავები, ხეები. ეს სიმბოლოები გამოსახულია წრიულად, გარკვეული თანამიმდევრობის დაცვით, წყვეტილის გარეში, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმას, რომ კოსმიური ციკლი ურღვევი და მარადიული უნდა იყოს.

პირველი რთული რელიგიური სისტემები ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურებში ჩამოყალიბდა. წერილობითმა წყაროებმა ჩვენამდე შემოინახა ცნობები ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის მითო-რელიგიური სისტემების შესახებ. რელიგიურ ტექსტებში ასახულია შუმერული პანთეონი, რომელიც ცივილიზაციის ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურზე არსებობდა.

შუმერის თითოეული ქალაქ-სახელმწიფო წარმოადგენდა ერთეულს, რომელსაც ადგილობრივი მითოლოგია, პანთეონი და საკუთარი თვითმმართველობა ჰქონდა. ქალაქ ურის მთავარი ღმერთი იყო სინი – მთვარის ღმერთი, სიპარსა და ლარსაში – მთავარი იყო უთუ, მზის ღმერთი. ზოგ ქალაქში მთავარი დედა-ქალღმერთი იყო ნისაბა, ყანების ღვთაება, ზოგან – იშთარი, სიყვარულის ქალღმერთი (ზ. კიკნაძე 1979: 20). ეს ღვთაებები და ქალღმერთები ერთმანეთთან რთულ ურთიერთკავშირში იყვნენ, რომლის არსი დროის მანძილზე იცვლებოდა და რომელიც დამოკიდებული იყო დინასტიების და ეთნოსების მონაცვლეობაზე. შუმერული პოლითეისტური პანთეონი ანთროპომორფული ხასიათის იყო. მხოლოდ ზოგიერთ ღვთაებას (ენქი/ეა) შემორჩენილი ჰქონდა ზოომორფული ხასიათი (Black, Green 1992: 75).

ხეთების დროინდელი ანატოლია წარმოადგენს დამოუკიდებელ რეგიონს თავისი თვითმყოფადი კულტურით, სადაც რელიგიური შეხედულებების საოცარი მდგრადობა შეინიშნებოდა ათასწლეულების განმავლობაში. თითოეულ სოფელს თავისი მფარველი ღვთაება, საკულტო ცენტრი, მითოლოგია და დღესასწაულების კალენდარი ჰქონდა (Маккуин, 1983: 119-120). ხეთურ პანთეონში შუმერულ-აქადური ღვთაებები თანაარსებობდნენ ხურიტული და ხათური წარმოშობის ღვთაებებთან. ხეთურ ტექსტებში ფართოდაა გამოყენებული ცნება „ყველა ღვთაება". მას შეესაბამება ხეთური გამოთქმები, რომლებიც წარმოგვიდგენენ პანთეონს ღვთაებათა ერთობლიობის, ან პოლარული დაჯგუფების სახით: „ათასი ღვთაება ხათის ქვეყნისა", „დიდი ღმერთები და პატარა ღმერთები", „ღმერთები ცისა და ღმერთები მიწისა" (ტატიშვილი, 2001: 140-141). ხეთური პანთეონი განიხილებოდა როგორც დიდი ოჯახი, რომლის სათავეში უმთავრესი წყვილი ღვთაება იდგა: ჭექა-ქუხილის ღმერთი თეშუბი და მისი მეუღლე - დიდი ქალღმერთი – ჰებათი. თეშუბის წმინდა ცხოველი ხარი იყო, ხოლო ჰებათის – ლომი. ეს ღვთაებრივი წყვილი ხურიტული წარმომავლობისაა. ამავე დროს „ხათური წარმოშობის უზენაესი ღვთაებები და მათთან ერთად შეთვისებული რელიგიური კონცეფცია დაედო საფუძვლად იმ რთულ, არაერთგვაროვან, ერთი შეხედვით ქაოტურ სისტემას, რომელსაც ჩვენ „ხეთურ რელიგიას ვუწოდებთ" (ტატიშვილი, 2001: 140).

ისევე როგორც მესოპოტამიასა და ანატოლიაში ძველ ეგვიპტეში, თითოეულ თემს თავისი პანთეონი და ღვთაებების კულტი ჰქონდა. ღვთაებებს

განასახიერებდნენ სხვადასხვა ცხოველები, ფრინველები, ასტრალური სხეულები და მცენარეები. ეგვიპტური მითოლოგიის დამახასიათებელ თვისებად ითვლება ცხოველების თაყვანისცემა. განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ხარს (აპისი, მნევისი, ბუხისი), ძროხას (ჰათორი, ისიდა), ცხვარს (ამონი, ჰნუმი), ნიანგს (სებეკი), კატას (ბასტეთი) და სხვა. მოგვიანებით მოხდა პანთეონის ანთროპომორფიზაცია, თუმცა ღვთაებებმა შეინარჩუნეს თავიანთი ზოომორფული თვისებები. მაგალითად, ბასტეთი გამოისახებოდა კატისთავიანი ქალის სახით (Рубинштейн, 1980: 420-427) განსხვავებით შუმერული ქალაქებისგან ეგვიპტურ დასახლებებს (შუმერული ქალაქების მსგავსი დიდი ქალაქები ეგვიპტეში არ არსებობდა) არ ჰქონდათ დამოუკიდებლად არსებობის ტრადიცია. ქვეყნის მოსახლეობას ძირითადად შეადგენდა სოფლის მოსახლეობა, რომლებსაც მართავდა ღმერთის განსახიერება – ფარაონი. ეგვიპტური ცივილიზაციის თავისებური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა რელიგიამ, განსაკუთრებით კი დოგმამ ფარაონების ღვთაებრივ არსზე. სახელმწიფოს გაერთიანება კოსმოგონიის აქტს უტოლდებოდა: ფარაონი, როგორც ღმერთის განსახიერება, ახალ სამყაროს ქმნიდა. ფარაონის ღვთაებრივი არსი წესრიგის საუკეთესო გარანტია იყო, ვინაიდან ფარაონი უკვდავად ითვლებოდა, მისი სიკვდილი მხოლოდ მის ცაზე გადაადგილებას აღნიშნავდა. ამით უზრუნველყოფილი იყო ღვთაებრივი გარდასახვის მემკვიდრეობითობა და ამასთანავე კოსმიური წესრიგის ურყეობა (Элиаде, 2001: 82-83).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ ღვთაებათა პანთეონის დიფერენციაციის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული და მითო-რელიგიური სისტემაც ჩამოყალიბებული ჩანს. არქეოლოგურ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში გამოიკვეთა გაღმერთებული „მეფე“-წინაპრის კულტი. „მეფე-წინაპარი“ წარმოიდგინებოდა როგორც შუამავალი საკუთარ ხალხსა და ღმერთებს შორის. ეს რწმენა სავარაუდოდ მომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ადრეულ პოლიტიკურ სტრუქტურებში – პროტოსახელმწიფოებში ბელადი-მმართველი ერთდროულად უმაღლესი ქურუმიც იყო. ქურუმის ფუნქციის შეთავსება „სამეფო“ ხელისუფლებასთან საყოველთაოდაა ცნობილი (Фрэзер, 1998: 17).

მესოპოტამიის უძველესი ქალაქ-სახელმწიფოების ტიპის ადმინისტრაციულ ერთეულების ცენტრს და სიმბოლოს წარმოადგენდა ტაძარი, რომელშიც ინახებოდა მარცვლეულის, თუ სხვა სანოვაგის მარაგი და იმავდროულად მმართველ/ბელად-ქურუმის საცხოვრებელსაც წარმოადგენდა. დროის განმავლობაში მმართველი-ქურუმი იმ ღვთაების სიმბოლურ სახედ იქცა, რომელიც მფარველობდა მოცემულ პოლიტიკურ სტრუქტურას. თითოეული დასახლების ტაძარი ერთ კონკრეტულ ღვთაებას ეძღვნებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, თუ რას განაგებდა ეს ღვთაება, ყველა შემთხვევაში ის მოცემული თემის მფარველი იყო. დროის განმავლობაში ეს ფუნქცია მმართველ/ბელად-ქურუმზეც გადავიდა. ჯ. ფრეზერი მიიჩნევს, რომ „ხშირ შემთხვევებში მეფეებს თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ როგორც კულტმსახურებს, შუამავლებს ადამიანებსა და ღმერთებს შორის, არამედ როგორც ღვთაებას. მეფე ღვათაებას შეუძლია მიანიჭოს თავის ქვეშევრდომებს სხვადასხვა სიკეთე, რომელიც მოკვდავთა კომპეტენციაში არ შედის და ლოცვის და მსხვერპლშეწირვის სახით შეიძლება მიიღონ ზებუნებრივი არსებებისაგან“ (Фрэзер, 1998:18). არქაული ადამიანის რწმენით, მეფეზეა დამოკიდებული ქვეშევრდომთა კეთილდღეობა, მოსავლიანობა, ამინდი, საბრძოლო მოქმედებები და სხვა. ჩვენი აზრით, შუა ბრინჯაოს მდიდრულ ყორღანებში დადასტურებული უხვი მსხვერპლშეწირვა, მდიდრულად შემკული კერამიკა მრავალფეროვანი ორნამენტული მოტივებით, რომლებიც ხშირად ასტრალურ სხეულებს, სამყაროს ღერძს, დამუშავებულ მინდვრებს, ნაყოფიერების მომტან წყლებს, მარცვლეულს და სხვა სიმბოლოებს გამოხატავენ. ყორღანებში მიცვალებულისათვის ეტლის/ურმის ჩანატება მისი უმაღლესი ხელისუფლის სტატუსის მანიშნებელი იყო. ერთ-ერთი ხეთური რიტუალური ტექსტის მიხედვით, ტახტის ქალღმერთმა მეფეს უბოძა ეტლი როგორც ხელისუფლების უცილობელი ატრიბუტი (ტატიშვილი, 2001: 77). მითოლოგიური აზროვნების ადამიანებისთვის დამახასიათებელია წარმოდგენები მეფეზე, როგორც წესრიგის გარანტზე. მეფეს შეუძლია სძლიოს ქაოსს და აღადგინოს მოწესრიგებული სამყარო. სწორედ ამის გამომხატველია ჩვენი აზრით ესქატოლოგიური მითის გამოსახვა დიდ ჭურჭლებზე თრიალეთის XVII (Куфтин, 1941: ტაბ. XXVI), ნერკინ ნავერის №3 (Симонян, 2011: 224, სურ. 6-1) და „თეთრი ქვების” I (Pitskhelauri, Orthmann, 1992: 4-21] ყორღანებიდან, რომლებზეც ქტონიური

გველი მზეს ებრძვის (ტაბ. LXXXIII-6). შესაძლოა იგივე იდეის მატარებელია სადუღას № 2 ყორღანში და ადგილ ამირანის ველზე, დანგრეულ ყორღანში ნაპოვნი შავპრიალა ჭურჭლები, რომლებზეც სავარაუდოდ მზის დაბნელებაა (ტაბ. LXXXIV – 6 - 8) გამოსახული (Пицхелаури, Киладзе, 2010: 246-248).

გაღმერთებულ მეფე-წინაპარს უკავშირდება კოსმოგონიური მითოლოგიაც, ზურტაკეტის №6 ყორღანის ქვაზე, ჩვენი აზრით წარმოდგენილია სამყაროს სივრცობრივი სტრუქტურა. ხოლო თრიალეთის XVII და ლორი ბერდის №61 ყორღანების კერამიკაზე სიმბოლურად გამოსახულია ბუნების ძალები (წყალი, მზე, ხე, მიწა), რომელთა გავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანებისათვის. ზოგჯერ (აკაკიანთ ხევი) გვხვდება ბუნებრივი მოვლენების ციკლიურობის გამომხატველი მოტივები (Pizkhelauri, 1984: 221).

ტრადიციული საზოგადოების ადამიანისათვის „წინაპრის სამარხი იყო წმინდა ადგილი, საიდანაც მისი მფარველი წინაპარი ღვთაება ავრცელებდა თავის ძალას და ამ აზრით ეს წინაპარი-ღვთაება იყო მიკროსამყაროსეული კულტურის წესრიგის დამამყარებელი“ (ბერიაშვილი, 1988: 190)

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაღმერთებული წინაპრის რწმენის გარდა გამოიკვეთა ღვთაებათა პანთეონი, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნაყოფიერების თუ მოსავლიანობის ქალღმერთი. მის სიმბოლოს კერამიკაზე გამოსახული ტრაპეციისებური ფიგურა წარმოადგენს. გამორჩეული ადგილი ანთროპომორფული იერის ღვთაებებს უკავია. მნიშვნელოვანი იყო წინაპართა კულტის არსებობაც.

კვლევის დასასრულს შეიძლება შეჯამდეს ანთროპომორფულ ღვთაებებთან, ღვთაებათა იერარქიასთან, სამყაროს აგებულებაზე არსებულ წარმოდგენებთან, რიტუალთან და კულტმსახურებასთან დაკავშირებული საკითხები:

1. ანთროპომორფულ ღვთაებათა შესახებ. სამხრეთ კავკასიის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების უძველეს გამოხატულებას „დედა ქალღმერთის“ ანთროპომორფული ქანდაკებები წარმოადგენს. ანთროპომორფული იერი აქვს ადრებრინჯაოს ხანის კერებსა და კერის სადგრებსაც. ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება ანთროპომორფული კერამიკა ბადაანში, ახალ ჟინვალში, პულურში. სამხრეთ კავკასიაში ანთროპომორფული სახის ღვთაებები ისეთ ძეგლებზეც არის

დაფიქსირებული, სადაც მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურის მასალები ერთად გვხვდება. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის საკულტო-სარიტუალო რწმენა-წარმოდგენები ბედენის კულტურასთან არის დაკავშირებული. ნიშანდობლოვია, რომ ამ ეპოქაშიც კვლავ ძლიერია კერასთან დაკავშირებული რიტუალები.

ჟინვალის სამლოცველოს ღვთაება და ხაშურის ნაცარგორაზე აღმოჩენილი ანთროპომორფული ჰორელიეფი ამის ნათელი დადასტურებაა. ასეთი იერი აქვთ შუა ბრინჯაოს ხანის ბედენის კულტურის ბერიკლდეების ნამოსახლარებზე და სამლოცველოებში დაფიქსირებულ კერებს, ანანაურის ყორღანში აღმოჩენილ ჭურჭელს. ადამიანის ფიგურა აღმოჩნდა ციხიაგორას ნამოსახლარზე (მახარაძე, 1994: 20, ტაბ. LXXI - 2, XXXIV).

ანთროპოლოგიური იერის კერა-საკურთხევლები აღმოჩნდა ბერიკლდეების მრავალფენიან ნამოსახლარზე (ჯალაბაძე, 1998: 11). ბედენური კულტურის ფენაში არაერთი საკულტო დანიშნულების შენობა თუ ბაქანი გამოვლინდა (ღლონტი და სხვ., 1986: 42-43). გამთხრელები მიიჩნევენ, რომ ძეგლი თავისი ხასიათით სამლოცველო უნდა იყოს (ჯალაბაძე, 1998: 11). № 7, 8 და 12 შენობის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა წრიული კერა, რომელსაც წყვილი მომრგვალებულთავიანი ანთროპომორფული გამოსახულება ამშვენებს (ჯალაბაძე, 1998: 62; Глонти, Джавахишвили, 1987: 81). ობსიდიანის თვალებით შემკული თიხის კერის სადგარი აღმოჩნდა მესხეთში, სოფ. ზველის მიდამოებში, ადგილ „რაბათში" (Чубинишвили, 1976: 20; ორჯონიკიძე, 1983: ტაბ. 17_8). ანთროპომორფული იერი აქვს ხაშურის ნაცარგორაზე აღმოჩენილ თიხის ჰორელიეფს, რომელსაც ობსიდიანის „თვალები" აქვს. ჰორელიეფი და თანმხლები კერამიკული მასალა ბედენურ კულტურას ეკუთვნის და ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედით ან შუა ხანებით თარიღდება (შანშაშვილი, რამიშვილი, 2010: 119).

ნაცარგორაზე აღმოჩენილი ჰორელიეფი ტიპოლოგიურად უახლოვდება ძვ.წ. III - ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევრამდე მესოპოტამიაში გავრცელებულ ტერაკოტულ და ქვის ვოტივურ ფირფიტებს (ე.წ. პლაკეტები), ან ნიღბებს (Woolley, Mallowan, 1976: ტაბ. 85, 86). ეს ფირფიტები განთავსებული იყო სახლების ან საკურთხევლების კედლებზე და სახლს ავი სულებისაგან იცავდნენ (Дьяконов, 1990:

335). მსგავსი ფირფიტა სამხრეთ ანატოლიაში, ჰირბემერდონ თეფეზეც აღმოჩნდა, შუა ბრინჯაოს ეპოქის ფენაში (Laneri et all., 2006: სურ. 6). შესაძლოა, ნაცარგორას ჰორელიეფი ასევე კედელზე იყო ჩამოკიდებული, ანდა პოდიუმზე იდგა (შანშაშვილი, რამიშვილი, 2010: 119).

ხაშურის ნაცარგორას ჰორელიეფის შორეული ანალოგის სახით შეიძლება მოვიყვანოთ თიხის კერპი ჟინვალიდან, რომელსაც სპირალური თვალები და ცხოველის დინგისებური ცხვირი აქვს (Рамишвили и др., 1981: ტაბ. XXII). გარკვეული მსგავსება ჩანს ბერიკლდეების ბედენური კულტურის დროინდელ ფენებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელთანაც (ჯალაბაძე, 2003: 45, ტაბ. I). ჟინვალის ქანდაკება აღმოჩნდა კლდოვან დედაქანში გამოკვეთილ მოედანზე აგებულ სამლოცველოში. როგორც ჩანს, ქანდაკება ნაგებობის უკანა კედელზე იყო მიძერწილი და საკურთხევლის ფუნქცია ჰქონდა (Рамишвили и др., 1981: 132, 133). სამლოცველო სავარაუდოდ ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით, ან მეორე ნახევრით თარიღდება (Рамишвили и др., 1981: 133) და ბედენის კულტურას მიეკუთვნება (Gogochuri, 2008: 41, სურ. 2-6, 11-12). გ. გოგოჭურის აზრით ჟინვალის ქანდაკება მზის სიმბოლოა და უზენაესი ღვთაების გამოსახულებას წარმოადგენ (გოგოჭური, 1999: 26).

შუა ბრინჯაოს ხანის შემდგომი ეტაპის, თრიალეთის კულტურაში ანთროპომორფული ღვთებების გამოსახულებები თრიალეთის და ყარაშამბის თასებზეა მოცემული.

თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულია უზურგო სკამზე მჯდომი ღვთაება (Куфтин, 1941: 87-88). პ. უშაკოვის აზრით, სავარძელზე მჯდომარე ღვთაება გაზაფხულის და ბუნების აღორძინების მცირეაზიულ ღვთაება ტელეფინუსს წარმოადგენს და „საქართველოს პროტოხეთური ტომების" უძველესი ღვთაება უნდა ყოფილიყო (Ушаков, 1941: 101-111). ბ. კუფტინმა ივარაუდა, რომ თასზე მოცემული სიუჟეტი წარმოადგენს ნადირობის ღვთაებასთან დაკავშირებულ საკულტო სცენას (Куфтин, 1941: 87-91). შ. ამირანაშვილს აზრით, თასზე გამოსახულია საზეიმო მისტერია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ქურუმები ტოტემური ცხოველების ატრიბუტებით და მათ ხელში უპყრიათ „სიცოცხლისა" და „უკვდავების" წყლით სავსე თასები (ამირანაშვილი,

1971: 35). ვ. ბარდაველიძე მიიჩნევდა, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული კომპოზიცია წარმოადგენს სათემო ღვთაებების შეკრებას ტომის პატრონის კარზე და მისი თაოსნობით ასრულებენ „სადიდებელ" წესს ტომის უმთავრეს დღესასწაულზე (Бардавелидзе, 1957: 94-101). ი. კიკვიძის აზრით, თასზე გამოსახული პროცესია, შესაძლებელია საქართველოს ეთნოგრაფიაში დაცულ ლაზარობის მაგვარ რიტუალს გამოსახავს (კიკვიძე, 1976: 185,196). ნ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახული სცენა საკულტო რიტუალს გადმოსცემს და არა საყოფაცხოვრებო სიუჟეტს. ცენტრალური ფიგურის აქცენტირება ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის დიფერენციაციის პროცესზე უნდა მიუთითებდეს (ჯაფარიძე, 1981: 20-21). მ. ბერიაშვილი და ზ. სხირტლაძე მიიჩნევენ, რომ თასის რიტუალური სცენის პერსონაჟთა ტიპი ახლოს დგას შუმერულ და ხეთურ გამოსახულებებთან. მათი აზრით, თასზე გამოსახულია რიტუალის ნაწილი, რომელიც ხეთურ-ხურიტული სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. მჯდომარე ადამიანის გამოსახულება უნდა იყოს რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა - მეფე, დედოფალი, ან ქურუმი, რომლის წინაშე უნდა გაევლო რიტუალის მონაწილეებს. ამ შემთხვევაში კი, მ. ბერიაშვილის და ზ. სხირტლაძის აზრით, ეს ფიგურა დედოფალი (ყოველ შემთხვევაში ქალი) უნდა იყოს, რადგან ის უზურგო სკამზე ზის, უზურგო სკამზე კი ხეთურ საზოგადოებაში ქალი ჯდებოდა (ბერიაშვილი, სხირტლაძე, 1984: 136-141). თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ სცენას შეეხო გ. არეშიანიც, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ მოცემულია უძველესი ინდოევროპული მითოლოგიური სიუჟეტი (Арешян, 1988: 93-94).

თრიალეთის ვერცხლის თასის თითქმის ანალოგიური ვერცხლის თასი XX საუკუნის 80-იან წლებში, სომხეთში, ყარაშამბის ყორღანში აღმოჩნდა. თასზე გამოსახულია ექვსი ფრიზი (Bohemer, Kossack, 2000: 17-21). პირველ ფრიზზე ნადირობის სცენაა გამოსახული. მეორე ფრიზზე სარიტუალო პროცესია არის წარმოდგენილი, გამოსახული არიან შეიარაღებული პირები, არფაზე დამკვრელი და მჯდომარე ფიგურისაკენ ძღვენით მიმავალი ადამიანები. მესამე ფრიზზე გამოსახულია ბრძოლის სცენა და მითოლოგიური პერსონაჟები (Оганесян, 1988: 157-160). მრავალი ნიშნით (მორფოლოგიური, ორნამენტული და სხვა) ყარაშამბის თასი მცირეაზიურ-კავკასიურ კულტურულ წრეს ეკუთვნის, მნიშვნელოვანი სამხრეთ

მესოპოტამიური გავლენით. ეს პირველ რიგში ეხება შუმერულ-აქადური მითოლოგიური პერსონაჟის ლომისთავიანი არწივის - ანზუ/იმდუგუდის გამოსახულებას თასზე. ანზუ/იმდუგუდი ომის ღვთაებასთან და საიქიო სამყაროსთანაა დაკავშირებული. არ არის გამორიცხული, რომ ყარაშამბის თასზე გამოსახული უზურგო ტახტზე მჯდომი ფიგურა მიწისქვეშა ღვთაებას (მიწისქვეშა მზეს) განასახიერებს.

2. ღვთაებათა იერარქია. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე დადასტურებული წეს-ჩვეულებებზე და დაკრძალვის რიტუალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აშკარად შეინიშნება კულტთან დაკავშირებული ღვთაებების იერარქია. აშკარად იკვეთება: ა). საოჯახო; ბ). სათემო და გ). უმაღლესი ღვთაებები.

ა). საოჯახო ღვთაებების პლასტი. ამ პლასტის გამოვლინებას უპირველს ყოვლისა კერა წარმოადგებს, რომელიც სამხრეთ კავკასიის ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ნოსახლარებზე თითქმის ყველა სახლის ცენტრში დგას. მითო-რელიგიურ აზროვნებაში კერა წარმოადგენს თითოეული ოჯახის წმინდა ადგილს, რომლის გარშემოც ის იკრიბება, „აფუძნებს თავის ოჯახურ რელიგიას, წინაპართა კულტს და შემდგომ, საერთო კულტის არსებობის ხანაშიც კი კერა ინარჩუნებს თავის ცენტრალურ ადგილს, როგორც სამყაროს ჭიპისას" (ბერიაშვილი, 1988: 180).

კერის საკულტო მნიშვნელობის თაობაზე არაერთხელ იქნა აღნიშნული. ზოგიერთ კერაზე გველის რელიეფური გამოსახულებებია დატანილი (გუდაბერტყა, ციხიაგორა). კერის და გველის კავშირი საოჯახო კულტებში დადასტურებულია შუა ბრინჯაოს საწყის ეტაპზე, ბედენის კულტურაში, რაც ძველი ტრადიციების გაგრძელებას უნდა მოწმობდეს. სავარაუდოდ საქმე გვაქვს იმ უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რომლების მიხედვითაც გველი კერის, ფუძის, ოჯახის მფარველია.

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა, რომ ყველა სახლს ჰყავდა თავისი ფუძის ანგელოზი, რომელიც იცავდა სახლს და ზოგჯერ გველის სახით ევლინება ადამიანს. იგი წარმოადგენდა ოჯახის კეთილდღეობის, სიმდიდრის მფარველს (აბაკელია, 1997: 6-7). ზოგიერთი შეხედულების მიხედვით, გველი – ადგილის დედაა, რომელიც სახლის საძირკველში ცხოვრობს. ის საკრალურ არსებად ითვლებოდა და მას თაყვანს სცემდნენ" საკმაოდ ორგანიზებული

კულტით” (აბაკელია, 1997: 8). გველი, როგორც მიწისქვეშეთის უმთავრესი, უნივერსალური სიმბოლო განსაზღვრულ როლს თამაშობდა ქართულ ტრადიციაში, კერძოდ მითში, კულტში, რიტუალში, ხელოვნებაში, ხალხურ შემოქმედებაში და სხვა (აბაკელია, 1997: 5).

არქეოლოგიური მონაცემები საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ შუა ბრინჯაოს საწყის ეტაპზე ნამოსახლარებზე დასტურდება გველის, როგორც ოჯახის მფარველის კულტი (ქვემო არანისის დიდი ზომის თიხის ჭურჭელი, კერების შემკულობა). ეს რწმენა-წარმოდგენები მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი საზოგადოებაში ჩანს გავრცელებული და როგორც უძველესი ტრადიცია ფეხს იკიდებს ბედენის კულტურაშიც. მ. ელიადეს აზრით, გარკვეულ პერიოდში გველი მიწასთან იყო გაიგივებული. გველი წინაპრების კულტთანაც არის დაკავშირებული (Элиаде, 2000: 314-316). სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებში გველი წარმოდგენილია როგორც სიმდიდრის, განძის, და მიწის წიაღისეული სიმდიდრის მცველი, რაც მის ქტონიურ ბუნებაზე მიუთითებს (Иванов, 1980: 470).

ეთნოგრაფიული პარალელებით, ჯადოსნობა გველისაგან მომდინარეობს. ის მიწის ქვეშ ბინადრობს, წინაპართა სულებს განასახიერებს და ამიტომ ყველა საიდუმლო იცის. მას შეუძლის მომავლის წინასწარმეტყველება და საერთოდაც სიბრძნის წყაროა. სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებით, ყველა, ვინც გველის ხორცს გასინჯავს, ცხოველთა და ფრინველთა ენას იგებს (ქართული თქმულებების მიხედვით, ასეთია ხოგაის მინდია). ჩვენი აზრით, გველის გამოსახულება იმდენად საკრალური იყო, რომ ის მხოლოდ ძალზე იშვიათად, შესაძლოა მხოლოდ კულტმსახურების კუთვნილ არტეფაქტებზე ყოფილიყო გამოსახული.

ბ. სათემო ღვთაებების ატრიბუტი მენჰირი იყო. მენჰირი წარმოადგენს ოდნავ დამუშავებულ, ვერტიკალურად მდგომ, გრძელი ქვას (სიმაღლე ზოგჯერ 4 მეტრს აღწევდა). ისინი ძირითადად მცირე კავკასიონის და ანატოლიის მთიანეთშია გავრცელებული. ადგილობრივ მოსახლეობას ბოლო დრომდე სჯეროდა, რომ მენჰირები წმინდა ქვებია, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ადამიანების ჯანმრთელობასა და გამრავლებაზე. საქართველოში მენჰირებს, როგორც საკრალურ ქვებს ძირითადად შვილიერებას და ბავშვების ჯანმრთელობას

სთხოვდნენ (მელიქსეთ-ბეგი, 1938: 89-117). მენჰირებს გამორჩეულ, განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალას და სასწაულთმოქმედ ბუნებას მიაწერდნენ როგორც დიოფიზიტები და მონოფიზიტები, ასევე ისლამის მიმდევრები. მენჰირები დღესაც რჩებიან კულტის ობიექტებად. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი თავდაპირველი ბუნების შესახებ არაფერია ცნობილი. ანალოგიური რწმენა-წარმოდგენებია დამოწმებული ევროპის და აზიის სხვადასხვა ხალხების (ინგლისელების, ფრანგების, ინდოელების) ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში. ყველგან ვერტიკალურად მდგარი ქვა – მენჰირი ითვლებოდა წინაპრის სულის სათავსოდ (Элиаде, 2000: 10).

მენჰირები ზოგჯერ ზოომორფული, ან აბსტრაქტული გამოსახულებებით იყო დამშვენებული. მენჰირები აღმართულია არა მხოლოდ კონკრეტულ დასაკრძალავზე, არამედ გვხვდება როგორც ზოგადად დასაკრძალავ სივრცეში (სამაროვანი), ასევე მის ფარგლებს გარეთ. იმის გამო, რომ თრიალეთში მენჰირები ყორღანებზე, მათ სიახლოვეს ან დასაკრძალავი კომპლექსების მახლობლად იდგა, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ისინი წინაპართა კულტთან უნდა იყვნენ დაკავშირებული (Шаншашвили, Нариманишвили, 2007).

სამხრეთ კავკასიის მენჰირებზე გამოსახული ხარის თავი, ფეხები და ტყავი ამ ცხოველის სარიტუალო მნიშვნელობაზე მიუთითებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხარის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მაშინ ჩანს ჩამოყალიბებული, როდესაც ის ჯერ არ იყო მოშინაურებული. საკულტო ცერემონიებში, სადაც ხარის მსხვერპლად შეწირვა ხდება, არასოდეს ფიგურირებს კასტრატი, ხარი-მიწათმოქმედი. ყველა რიტუალში მონაწილეობს მხოლოდ ხარი-მწარმოებელი (სურგულაძე, 1993: 35-44). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ხარი დღემდე საკულტო ცხოველს წარმოადგენს. საქართველოს მთიან რეგიონებში შემორჩენილია საკულტო პრაქტიკა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც გარეული, ისე შინაური ცხოველები. სამლოცველოებისათვის შეწირული გარეული ცხოველებიდან დომინირებს ჯიხვი და ირემი, ხოლო შინაური ცხოველებიდან ცხვარი და ხარი. მსხველპლშეწირვის ძირითად ობიექტს მაინც ხარი წარმოადგენს, რადგან სამლოცველოების მთავარ ღვთაებას მხოლოდ ხარს წირავენ (ბარდაველიძე, 1982:

156). შეწირული ცხოველების თავს, ტყავს და ფეხებს სამლოცველოებში ან მათ ეზოში ტოვებდნენ. ხშირად კი ხეებზე კიდებდნენ (ბარდაველიძე, 1974: 222, ტაბ. 89).

როგორც ჩანს, მენჰირის აღმართვა ყორღანზე, ან მის სიახლოვეს დაკავშირებული იყო წინაპრის კულტთან. ბელადი/მეფე სიცოცხლეში თავისი ხალხის კეთილდღეობის გარანტი იყო, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ღვთაების რანგში გადადიოდა და აგრძელებდა თავის ხალხზე ზრუნვას.

გ). უმაღლესი ღვთაებები. არქეოლოგიური მასალები აშკარად მიუთითებენ, რომ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის პანთეონში უმაღლესი იერარქიული საფეხური ასტრალურ ღვთაებებს უკავია. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართველთა უძველესი კულტები ასტრალური იყო (ჯავახიშვილი, 1979: 138-151) ამ აზრს იზიარებენ ვ. ბარდაველიძე და ი. სურგულაძე (Бардавелидзе, 1957: 31; სურგულაძე, 1986: 115-118). ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ ასტრალური კულტის არსეობას - „და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 11). ვახუშტიც აღნიშნავს, რომ მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ”განძლიერდა მათ შორის ესევითარი შური და ჴდომა, ვიდრე ღმერთიცა დამბადებელი თჳსი დაუტევეს და მსახურებდენ მზესა, მთოვარესა და ვარსკულავთა და უმეტეს იყო მათდა საფიცველად საფლავი ქართლოსისა” (ქართლის ცხოვრება, 1973: 50).

არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული იყო როგორც სოლარული ისე ლუნარული ღვთაებების სიმბოლოკა. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე უპირატესი ადგილი **სოლარულ ღვთაებას** უკავია.

სოლარული ნიშნები გამოსახულია სამლოცველოში (ციხიაგორა – მზე), დასაკრძალავ ნაგებობებში (სხივებიანი ყორღანები, სარიტუალო გზები), ორნამენტში – წრეების გამოსახულებები ურმებზე (ანანაური, ბედენი, ლორი ბერდი – წითელი წრე), კერამიკაზე, ოქრომჭედლობის ნიმუშებზე და საბეჭდავებზე (ბერიკლდეები, შენგავითი).

შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების კერამიკის ორნამენტაციაში და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე სოლარული სიმბოლიკა განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი. გასხივოსნებული წრეები, კონცენტრული წრეები, წრეებში ჩასმული წერტილები და სვასტიკები გამოსახულია როგორც შავპრიალა, ისე მოხატულ კერამიკაზე.

აღსანიშნავია სადღას № 2 ყორღანში და ადგილ ამირანის ველზე, დანგრეულ ყორღანში ნაპოვნი შავპრიალა ჭურჭლები (LXXXIV - 6, 7, 8), რომლებზეც აბსოლუტურად ერთნაირი, წითელი სიმეტრიული დისკოებია მოცემული. კ. ფიცხელაურის და კ. კილაძის აზრით, ამ ჭურჭლებზე მზის დაბნელებაა გამოსახული (Пицхелаури, Киладзе, 2010: 246-248).

სოლარული ნიშნებითაა შემკული თრიალეთის კულტურის შავპრიალა და მოხატული კერამიკაც. სოლარული სიმბოლო - სვასტიკა გამოსახულია თრიალეთის ყორღანებსა და ლორი ბერდის ერთ-ერთ სამარხში (Devedjian, 2006: 155, ტაბ. 76-1). სვასტიკა ერთ-ერთი ყველაზე არქაულ სიმბოლოდ ითვლება, რომელიც პალეოლითის ეპოქიდან გვხვდება და ფართოდ არის გავრცელებული ევრაზიის კონტინენტის უძველეს კულტურებში, აგრეთვე ტრადიციულ ხალხურ ხელოვნებაში (Голан, 1993: 119-122).

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე გამოვლენილი და დისერტაციის შესაბამის თავებში აღწერილია ნიშან-სიმბოლოები, არტეფაქტები და დაკრძალვის რიტუალი (სამარხთა ორიენტაცია, სარიტუალო გზები), რომლებიც სოლარული კულტის არსებობას ადასტურებს. ეს კულტი ჩანს როგორც ელიტურ სამარხებში (წნორის №2, ნადარბაზევის №№2, 5, მარტყოფის № 5 და სხვა ყორღანები), ისე სამოსახლობზე (ციხიაგორა). ჩვენი აზრით შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მზის კულტის არსებობა ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი. შუა ბრინჯაოს საწყისი პერიოდიდან სოლარული კულტის გამოვლინება საკმაოდ ფართოდ გვხვდება. ბედენურ ყორღანებში ზოგჯერ გვხვდება სპილენძისგან დამზადებული დისკოსებურთავიანი სარკე-შტანდარტები, რომლებიც ზოგიერთი მეცნიერის აზრით „მზის სიმბოლოდ უნდა იყოს მიჩნეული" (ღამბაშიძე და სხვ., 2010: 183).

სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში მზის ღვთაების, ისევე როგორც მცენარეული ნაყოფიერების გამოვლინება იყო ირემი. საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ი. კიკვიძე ფიქრობდა, რომ ირემი ნაყოფიერების აგრარულ კულტთან ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანაა დაკავშირებული (კიკვიძე, 1976: 190-191). ირმის გამოსახულება მოცემულია სპილენძის დიადემაზე ქვაცხელების №2 ქვაყრილიანი სამარხიდან (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962: 24), რომელშიც ლ. ღლონტის აზრით, ნაყოფიერების ღვთაების ქურუმი ქალი იყო დაკრძალული (ღლონტი, 1982: 69). „რქაბორჯღალიანი" ირმის გამოსახულებაა მოცემული კონუსური ფორმის საბეჭდავზე გუდაბერტყადან (შანშაშვილი, შერაზადიშვილი, 2013: ტაბ. IV-V).

ირმის, როგორც საკრალური ცხოველის გამოსახულება, ახლო აღმოსავლეთში პირველად ანატოლიაში, ჩათალ-ჰუიუქის, ძვ.წ. VII ათასწლეულით დათარიღებულ სამლოცველოშია დადასტურებული (Mellaart, 1963: ტაბ. V). ანატოლიაში არსებობდა ღვთაების კულტი, რომელიც ხეთურ ტექსტებში მოიხსენიება ტიტულით „განგება, ბედისწერა", „მფარველი სული". ო. გერნის აზრით, ეს იყო სოფლის ღვთაება, რომლის წმინდა ცხოველი ირემია (Герни, 1987: 124). ანატოლიაში, ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ადრექრისტიანულ ეპოქამდე, ირმის ბრინჯაოს მრავალი ქანდაკება, რელიეფებზე და გლიპტიკურ ძეგლებზე მოცემული გამოსახულებები, იმის მაჩვენებელია, რომ ირემი, როგორც კულტის ობიექტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო მცირე აზიის რელიგიურ ტრადიციებში (Przeworski, 1940: 66-71).

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ირემთან, როგორც ღვთაებრივ ცხოველთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ფართოდ არის გავრცელებული. ქართულ ფოლკლორში ირემი წარმოდგენილია როგორც ზებუნებრივი ძალით დაჯილდოვებული არსება. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით ირემი მზის და მთვარის ქალიშვილის მხლებელია, რომელსაც ფრინველები და ცხოველები ემსახურებიან. ზოგჯერ ირემი ჯადოქრად არის წარმოდგენილი. საყურადღებოა ერთი ზღაპარი, სადაც კაცი ღმერთთან მისვლას ახერხებს მთის წვერზე მდგარი ირმის უზარმაზარი, ცადაწვდენილი რქების საშუალებით (სურგულაძე, 2003: 22). ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირმის რქებს

განსაკუთრებული, საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველა სალოცავს ჯიხვის, ან ირმის რქები ამკობს. ირმის რქებით დარბაზების დედაბოძებსაც ამკობდნენ (სურგულაძე, 2003: 23). თრიალეთში, ჯინისის შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გათხრილი სახლის ინტერიერში (დედაბოძზე) ირმის რქები იყო მიმაგრებული (ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, 2010: 209). ირემთან დაკავშირებული თითქმის ანალოგიური რწმენა-წარმოდგენები კავკასიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ხალხს ჰქონდა, განურჩევლად იმისა თუ რომელ ენობრივ ჯგუფს ეკუთვნიან: ინდოევროპელ სომხებს და ოსებს, დასავლეთკავკასიელ აფხაზებს, თუ თურქულენოვან აზერბაიჯანელებს (სურგულაძე, 2003: 23; Ахундова, 2004: 25). არ არის გამორიცხული, რომ ირემი ტოტემადაც ითვლებოდა. ამ შემთხვევაში ის იყო მთელი თემის და თემის თითოეული წევრის მფარველი, ღვთაებრივი წინაპარი, რომელიც ადამიანს ღმერთთან აკავშირებდა. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში ირმის გამოსახულება გვხვდება ისეთ მნიშვნელოვან სარიტუალო ნივთებზე, როგორიცაა თრიალეთის და ყარაშამბის ვერცხლის თასები, თიხის ჭურჭელზე ახჩიის №4, არუჩის №3, გეთაშენის ყორღანებიდან და ქვაზე ზურტაკეტის №6 ყორღანიდან. აღსანიშნავია ირმის, თუ ჯიხვის ოქროს ქანდაკება თრიალეთის V ყორღანიდან.

ასტრალურ კულტებთან დაკავშირებით ალაზნის ველზე გათხრილ მდიდრულ ყორღანების განხილვისას შ. დედაბრიშვილი აღნიშნავდა, რომ დაკძალულის მაღალ სტატუსზე უკვე მიუთითებს სამარხებში დადასტურებული ურმები, ხოლო ლომის ოქროს ფიგურა გამორჩეული სტატუსის მაჩვენებელია.

ლომის ფიგურა, სხვა, იქვე აღმოჩენილ არტეფაქტებთან ერთად, შეიძლება რიტუალური შტანდარტის ატრიბუტს წარმოადგენდა (Дедабришвили, 1979: 67). ლომი ძველ სამყაროში გარკვეულ ღვაებებთან იყო დაკავშირებული. შესაძლოა ზეციურ მნათობებთან. შ. დედაბრიშვილის აზრით, ყორღანში დაკრძალულის მიწიერი ძალაუფლების სიმბოლოს სწორედ ლომის ქანდაკება წარმოადგენდა. ამას ემატება ქვის წრე ყორღანის ირგვლივ და სხვადასხვა სახის წრეები ლომის ქანდაკებაზე, რაც საზოგადოდ მიღებულია როგორც ასტრალური სიმბოლები. ყოველივე ეს სავარაუდოს ხდის, რომ თავისი სიდიადით მართლაც სამეფო ყორღანში დაკრძალული იყო თემების გაერთიანების ბელადი, რომელიც

ამავდროულად მთავარი ზეციური ღვთაების, ან ღვთაებების ქურუმიც იყო (Дедабришвили, 1979: 69-70).

ვფიქრობთ, რომ თრიალეთსა და კახეთში აღმოჩენილი წრეებით შემკული შტანდარტები და ამავე სიმბოლიკით შემკული ოქროს, ვერცხლის, ხის, ტყავის და თიხის ნივთები სარიტუალო დანიშნულების იყო და სოლარული კულტის აღმატებულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

მთვარის სიმბოლიკა. მთვარის რელიეფური გამოსახულებები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე ძალზე იშვიათად გვხვდება. ნახევარმთვარის ორი რელიეფური გამოსახულება ცნობილია თრიალეთის VII ყორღანიდან. კიდევ ერთი კი ლორი ბერდის №60 სამარხიდან (Devedjian, 2006: 154, ტაბ. 75-11). ყარაშამბის ცნობილ ვერცხლის თასზე, ირმის მუცლის ქვეშ „კლებადი მთვარეა“ გამოსახული (Оганесян, 1988: 151).

მთვარის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს ზოგიერთი ყორღანის ყრილი. ბედენის №1 ყორღანის კრომლეხი ბოლოშეუკვრელია, რაც გ. გობეჯიშვილის აზრით, „გორასამარხის მშენებელთ ციურ მნათობთა, კერძოდ მთვარის კულტი უნდა მივაწეროთ” (გობეჯიშვილი 1981: 13). ნახევარმთვარის ფორმის ყრილი აქვს კავთისხევის (Makharadze, 2007: 125, ტაბ. I) ენეოლითური ხანის და ძვ.წ. III ათასწლეულის ყორღანებს აზერბაიჯანიდან (Ахундов, 2001: 231, სურ. XXXII-2). ხაჩბულაღის №1 ყორღანის მიწაყრილის ქვეშ არსებული ნახევარმთვარისებრი გამოსახულება, რომელიც სხვა ფერის თიხით იყო შედგენილი (Ахундов, 2001: 100).

ნახევარმთვარის ფორმის სიმბოლო ახლო აღმოსავლეთში პრეიტორიული დროიდან მთვარის ღვთაებას უკავშირდება (Элиаде, 2000 **:** 301-309). ჩვენი აზრით, ნახევარმთვარის ფორმის გამოსახულება სიკვდილ-სიცოცხლის უწყვეტ ციკლთანაა დაკავშირებული. მთვარის კლებას მისი გაქრობა მოსდევს ციდან, ხოლო შემდეგ იბადება და იზრდება ახალი მთვარე. მასთან ერთად იბადება და ძალას იკრებს მცენარეულობა, ცხოველები, ხოლო გარდაცვლილთა სულები ახალ სიცოცხლეს იძენენ.

ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარეს გამორჩეული ადგილი უკავია, მეცნიერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მთვარე ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაება იყო (ჯავახიშვილი, 1979: 88-101; აფაქიძე, 1970: 661-662). თუმცა,

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში უპირატესი მაინც მზის ღვთაება ჩანს, რომელიც შეიძლება ქალური ბუნების იყო. ქალის, დედა ქალღმერთის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს ტრაპეციისებური ფიგურა, რომელიც ხშირად არის გამოსახული თრიალეთის კულტურის კერამიკაზე. უმრავლეს შემთხვევაში ეს სიმბოლო მოცემულია შავპრიალა კერამიკაზე თრიალეთის ყორღანებიდან. ამ სიმბოლოს გამოსახულება მოცემულია აგრეთვე ზურტაკეტის და ახჩიის ყორღანებში, ლორი ბერდის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხების შავპრიალა კერამიკაზეც. გვხვდება ლორი ბერდის სამარხებში.

თრიალეთის კერამიკაზე გამოსახულ ტრაპეციისებურ ფიგურას ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია ყურადღება. ის მიიჩნევდა, რომ ტრაპეცისებრ ფიგურაში შეიძლება ამოვიცნოთ ქალური ნაყოფიერების სიმბოლოს ტრანსფორმაცია (Куфтин, 1948: 20, სურ. 9). ე. გოგაძის აზრით, ეს ნიშანი წარმოადგენს ხარის სიმბოლურ ნიშანს - მოგვაგონებს. ხარის სიმბოლო ნაყოფიერების და ბუნების განახლების კულტს უნდა უკავშირდებოდეს (გოგაძე, 1972: 87-88).

ტრაპეციისებური ნიშანი მსგავსებას იჩენს არქაულ შუმერულ, კრეტის ხაზოვან B და ხეთურ-ლუვიურ იეროგლიფურ დამწერლობებთან, სადაც ეს ნიშანი ყველგან ჭურჭელს აღნიშნავს (Schmandt-Besserat, 1992: 144; Чэдуик, 1976: 155 Дунаевская, 1969: 103). ზოგიერთ ტრადიციულ საზოგადოებაში (მაგ. სამხრეთ ინდოეთში), ჭურჭელი ქალღმერთის განსახიერებას წარმოადგენდა (Элиаде, 2004: 427). ჯიროფტის კულტურის ერთ-ერთ ქვის ჭურჭელზე გამოსახულია ჭურჭელი, რომლიდანაც ქალის თავი მოჩანს. მის ორივე მხარეს ორი დიდი გველია ჩახვეული (Muscarella, 2005: 185, სურ. 4). ჭურჭელზე გამოსახული ჭურჭელი დიდ მსგავსებას იჩენს თრიალეთის კულტურის კერამიკაზე გამოვლენის ე.წ. ტრაპეციისებურ ნიშანთან.

ჩვენი აზრით, ტრაპეციისებური ნიშანი თრიალეთის კერამიკაზე სწორედ დედა-ქალღმერთს განასახიერებდა, ხოლო მასში ჩახაზული ნიშანი იმ სფეროს მაჩვენებელი იყო, რასაც განაგებდა ქალღმერთის ეს თუ ის მანიფესტაცია.

3. სამყაროს აგებულება. სხვადასხვა ხალხების მითოლოგიური ტრადიციებში კოსმოგონიური მითები მოგვითხრობენ კოსმოსის და მისი ცალკეული ნაწილების წარმოქმნის შესახებ. მათში ასახულია კოსმოლოგიური წარმოდგენა კოსმოსის

სტრუქტურის შესახებ, რომელიც სამყაროს მოდელირების უნივერსალურ კონცეპციას წარმოადგენს. კოსმოსი როგორც წესი სამ ნაწილად არის გაყოფილი ვერტიკალურ, და ოთხ ნაწილად ჰორიზონტალურ ჭრილში. მითებში აღწერილია სამყაროს სტრუქტურის ვეგეტატიური, ზოოლოგიური, თუ ანთროპომორფული მოდელები. ზოგჯერ კოსმოგონიაში, როგორც წესი, შედის ძირითადი სტიქიების (წყალი, ცეცხლი, ჰაერი, მიწა) გამოყოფა. მაგალითად, ცისა და მიწის გაყოფა, სამყაროს ხის, ან მთის წარმოქმნა, მნათობების გაჩენა, ცხოველების, მცენარეების და ადამიანის შექმნა და სხვა (Мелетинский, 1992)

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მონაცემები საშუალებას იძლევა სამყაროს აგებულების შესახებ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა. ჩანს, რომ სამყაროს აგებულების შესახებ არსებული უნივერსალური შეხედულება სამყაროს სამ სივრცედ/სამ სკნელად გაყოფის შესახებ სამხრეთ კავკასიასიც იყო გავრცელებული.

ჩვენი აზრით, სამი სკნელის, გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს შუა ბრინჯაოს ხანის ზურტაკეტის № 6 ყორღანის კედელში ჩაშენებულ ქვაზე ამოკაწრული კომპოზიცია, სადაც კოსმიური ღერძი ირმის სახით არის წარმოდგენილი. ირმის სხეული მართკუთხედითაა შემოხაზული, რომლის ქვევით სამად გაყოფილი დეკორატიული არეა გამოსახული. პირველ ფრიზზე, უშუალოდ ირმის გამოსახულების ქვევით დაშტრიხული სამკუთხედების რიგია, რომელიც ბადისებური მოტივით შემკულ ზოლზეა განლაგებული. სამკუთხედების ქვემოთ მცირე ცარიელი არეა, რომლის ქვემოთ მართკუთხედში ჩასმული დაშტრიხული რომბები, წიწვოვანი მოტივი და ბადისებური ორნამენტით შემკული გეომეტრიული ფიგურებია მოცემული. სულ ქვედა, ყველაზე ფართო ნაწილში კი ფართო ბადისებური ორნამენტია გამოსახული (ჯაფარიძე, 1969: 186-187, სურ. 73). ირმის ეს გამოსახულება შინაარსობრივად მსგავსია გუდაბერტყას მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე აღმოჩენილ საბეჭდავისა, რომლის ზედა ნაწილში ასევე ირემია გამოსახული, ხოლო ქვედა ფრიზებზე, ოდნავ განსხვავებული თანამიმდევრობით, მოცემულია ბადისებური ორნამენტი და სამკუთხედების რიგი.

ზურტაკეტის და გუდაბერტყას ირმის გამოსახულებაზე აქცენტი ბორჯღალისებურად გაშლილ ან მაღალ, მორკალური რქებზეა გაკეთებული. ორივე

ამ კომპოზიციაში ცას აწვდენილი რქები ზეცისა და მიწის მაკავშირებელ წმინდა ცხოველის უნივერსალურ სიმბოლოდ წარმოგვიდგება.

შესაძლოა, ისევე როგორც თანადროულ ეგვიპტეში, თრიალეთის მმართველებისთვის, რომლებიც ზურტაკეტის ყორღანებში იყვნენ დაკრძალულნი სამარხების კედლებზე გამოსახავდნენ მათი სიმდიდრის სიმბოლოებს: ვრცელ დამუშავებულ მინდვრებს, მდინარეებს, მთებს, ცხოველების ჯოგებს და რაც მთავარი იყო – მოწესრიგებულ სამყაროს, კოსმიურ ღერძს, რომელიც ირმის სახით იყო წარმოდგენილი.

ჩვენი აზრით, შუა სამხრეთ კავკასიის ყორღანების ფორმაც და კონსტრუქციაც, სწორედ სამყაროს აგებულების ამ არქეტიპულ მოდელს ეფუძნება რომელიც ასახავს უძველეს დროში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს სამყაროს შექმნასა და მოწესრიგებაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც გამოითქვა მოსაზრება, რომ ყორღანები, ანუ ხელოვნური მთები – გორა-სამარხები წარმოადგენენ კოსმიურ მთას, ღერძს (ბერიაშვილი, 2001: 32; Ростунов, 2007: 14). შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური ყორღანების გარეგნული სახე, ემსგავსება მთას. მითო-რელიგიური წარმოდგენების მიხედვით კი მთა კოსმიურ წესრიგთან არის დაკავშირებული. ძველი მითოლოგიების მიხედვით სამყაროს შექმნა მოიაზრება ცისა და მიწის განყოფით. მითოსური კულტურის დამკვიდრებას წინ უძღვის ქაოსის არსებობა. წესრიგის გაჩენასთან ერთად წამოიმართება მთა, როგორც მისი საყრდენი. მთა ამავე დროს არის მაკავშირებელი ცისა და მიწისა. წესრიგი რეალურად მოიაზრება როგორც ადამიანთა (დედამიწა) და ღმერთთა სამყოფელის (ზეცა) კავშირი. მთა არის კოსმიური ღერძის, ქვეყნის წესრიგის მცველის განსახიერებაა, მისი ფესვები ღრმად მიწაშია გადგმული, ხოლო წვერი ღრუბლებშია. კოსმიური ღერძის განსახიერებად მთის გარდა ითვლებოდა ხე, ქვა – ყველაფერი ის, რისი მატერიალური გამოცხადებაც იყო ტაძარი. კოსმიურ მთას განასახიერებდნენ მესოპოტამიური ზიკურატებიც (Элиаде, 1998: 88).

არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ სამხრეთ კავკასიაში დიდი ყორღანის აგება მასში დაკრძალულის სიცოცხლეშივე იწყებოდა და შეიძლება გარკვეული კულტმსახურების ობიექტიც იყო. როგორც ჩანს, ის საკულტო ნაგებობად მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც რჩებოდა. საკულტო

ცერემონიების გამართვის პერიოდულობაზე სარიტუალო გზები, გზებზე და მათი კრომლეხთან, თუ დრომოსთან მიერთების ადგილზე აღმოჩენილი ნივთებიც მიუთითებენ (ნარიმანიშვილი, 2009: 89-90). როგორც ჩანს, ყორღანი გაღმერთებული მეფე-წინაპრის დასაკრძალვი იყო (ბერიაშვილი 1988: 189; Нариманишвили, Шаншашвили, 2007:165).

ჩვენი აზრით, სარიტუალი გზას სკნელებს შორის დაკავშირების საკრალური ფუნქცია ეკისრებოდა. მიგვაჩნია, რომ ის ყორღანები, რომლებსაც სარიტუალო გზა აქვს, მზის კულტის არსებობის გამოხატულება უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ სარიტუალო გზები აღმოსავლეთზეა ორიენტირებული, ასეთივე ორიენტაცია აქვს დრომოსსა და დასაკრძალავ დარბაზს. სამარხ კამერებში ჩადგმული ურმებიც აღმოსავლეთისკენაა მიმართული, ყორღანებში ჩატანებული ხარის თავ-ფეხიც აღმოსავლეთ კედელთან აწყვია, ხარის მთლიანი ჩონჩხებიც აღმოსავლეთზეა ორიენტირებული. როგორც ჩანს, მიცვალებულს სარიტუალო გზაზე ურმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიასვენებდნენ. უშუალოდ ყორღანთან სრულდებოდა გარკვეული რიტუალი, რის შემდეგაც მიცვალებულისა და ინვენტარის განლაგება სამარხ კამერაში ისე ხდებოდა, რომ ყველაფერი მზეზე იყო ორიენტირებული. არ არის გამორიცხული, რომ სარიტუალო გზა მიცვალებულის ცაში, მზისაკენ ვირტუალური მსვლელობისათვისაც იყო გათვალისწინებული.

შუა ბრინჯაოს ხანაში გადმონაშთის სახით წრიული არქიტექტურის ნიმუშებიცაა დაფიქსირებული. წრიული ნაგებობები კი წარმოადგენს საკრალური ნაგებობის არქეტიპს, რომელიც სიმბოლურად ასახავს დოვლათით სავსე „ჩვენს სამყაროს", „კოსმოსს", „მოწესრიგებულ სივრცეს" (Мунчаев, 1997: 14, სურ. 7). როგორც ჩანს, ქვის წრიული ნაგებობები (შაორის ციკლოპური კომპლექსი, წნორის და ლორი ბერდის ყორღანები) განასახიერებდა არქეტიპულ შენობას - წინაპრების სახლს.

4. რიტუალი და კულტმსახურება. არქეოლოგიური მონაცემები რიტუალისა და კულტმსახურების შესახებ აზრის გამოთქმის საშუალებასაც იძლევა. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში არსებული რიტუალების შესასწავლად მცირე მონაცემები გვაქვს. ამ ეპოქის რიტუალების შესახებ ძირითადი ინფორმაცია მიცვალებულთა დაკრძალვის წესის და სამარხთა აღნაგობის მიხედვით შეიძლება

მივიღოთ. თუმცა, რიტუალების სრული აღდგენა დღეს შეუძლებელია, რადგან არქეოლოგიური მონაცემები დაკრძალავის წესის ყველა ნიუანსის შესახებ სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას არ იძლევა.

სამხრეთ კავკასიის არქეოლოგიურ ძეგლებზე ხშირად გვხვდება არქიტექტურული კომპლექსები, სამარხები და ცალკეული არტეფატები, რომლებსაც უმეტესად საკულტო დანიშნულების ობიექტებად თუ რიტუალთან დაკავშირებულ ნივთებად მიიჩნევენ. უძველესი კულტისა და რიტუალის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ადგილი გამორჩეულ სამარხ ნაგებობას – ყორღანს უკავია. ასეთი სამარხი ნაგებობის სარიტუალო დანიშნულებაზე მათი გარეგნული ფორმა, არქიტექტურა, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალი და ინვენტარი მიუთითებს. ამ ტიპის სამარხებში დაკრძალვის გამორჩეული და რთული რიტუალი სრულდებოდა. ხშირად გვხვდება მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვის ფაქტები. უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა აჩვენა, რომ გამორჩეული სოციალური სტატუსის მქონე მიცვალებულს ხარებშებმული ეტლით ქვებით ნაგებ სარიტუალო-საპროცესიო გზებზე მიასვენებდნენ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულებს სხვადასხვა ტიპის სამარხში კრძალავდნენ. წესად იყო ყორღანში, ქვაყუთებში და ორმოსამარხებში დაკრძალვა. თუმცა, მიცვალებულებს ძირათადად მაინც სხვადასხვა ზომის ყორღანული ყრილების ქვეშ კრძალავდნენ.

დაკრძალვის რიტუალის აღდგენის საშუალებას ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები იძლევა. ფაქტობრივი მასალები მიუთითებენ, რომ ამ ეპოქაში ხდებოდა როგორც მიცვალებულთა ინჰუმაცია, ისე მათი კრემაცია. პროცენტული შეფარდება გვიჩვენებს, რომ შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურებში ძირითადად ინჰუმაცია დასტურდება, გვხვდება კრემაციის ერთეული ფაქტები.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანის არაერთი ყორღანი თუ სამარხი გაითხარა, ეპოქის წერილობითი წყაროების არქონის გამო, მაინც ძნელია სრულად აღვადგინოთ რიტუალის ყველა ის დეტალი, რაც მიცვალებულის დაკრძალვასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, არქეოლოგიური

მონაცემები დაკრძალვის წესსა და რიტუალზე გარკვეულწილად მაინც გვიქმნიან წარმოდგენას.

რიტუალის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს, როგორც ჩანს, დასაკრძალავის მოწყობა წარმოადგენდა. შუა ბრინჯაოს ხანაში დასაკრძალავის მომზადება ხანგრძლივ და შრომატევად სამუშაოებს მოითხოვდა, რადგან სწორედ ამ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი გრანდიოზული ყორღანები.

როგორც ჩანს, სოციალური მდგომარეობის და შესაძლებელია, რელიგიური წარმოდგენების მიხედვით ხდებოდა სამარხის ტიპის შერჩევა. ასევე განისაზღვრებოდა დაკრძალვის ადგილი. როგორ და რა ნიშნით ხდებოდა ადგილის შერჩევა ახლა ძნელი დასადგენია, თუმცა შეინიშნება სამარხებისა და ყორღანების კონცენტრაციის ადგილები, სადაც ამა თუ იმ წესის მიხედვით ხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვა. როგორც ჩანს, ეს ადგილები სარიტუალო სივცეს წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიის დიდი ყორღანები აშკარად მიუთებენ, რომ ხდებოდა დაკრძალვის ცერემონიის ორგანიზება. ჩანს, რომ რაც უფრო მაღალი სტატუსის მატარებელი იყო მიცვალებული, მით უფრო დიდი საორგანიზაციო საქმიანობა მიმდინარეობდა და ბევრი ადამიანიც მონაწილეოდდა მასში.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა რიტუალი სრულდებოდა გარდაცვალებიდან დაკრძალვამდე. არც კრემაციის შესახებ გვაქვს რეალური მონაცემები. ასევე უცნობია სად იყო დასვენებული მიცვალებული დაკრძალვამდე და რა რიტუალი სრულდებოდა ამ დროს. მიცვალებულის კრემაციის შემთხვევაში უფრო ძნელია იმის წარმოდგენა თუ სად და რა ვითარებაში ხდებოდა კრემაცია ან ვინ და როგორ ატარებდა ამ რიტუალს, რადგან დღეისათვის არც ამ რიტუალის შესახებ გაგვაჩნია მონაცემები.

კულტმსახურებაში უცილობლად გამოიყენებოდა სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული არტეფაქტების ნაწილი. მაგ. ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საბრძოლო იარაღები, სათლი (თრიალეთის XV ყორღანი), ვერცხლის და ოქროს თასები (თრიალეთის და ყარაშამბის), ე.წ. ჟეტონები, ცხვრის კოჭები, შტანდარტები, თიხის ჭურჭლების ერთი ნაწილი და სხვა (ბედენის № 2 და მარტყოფის № 1, 3, 4 ყორღანები).

სავარაუდოა, რომ ამ ეპოქაში ჩნდება კულტის მსახურთა სოციალური ფენა. შეიძლება ისინი ჯერ კიდევ არ არიან სხვა ვალდებულებებისაგან განთავისუფლებული, მაგრამ აშკარად იკვეთება ის ელემენტები, რომლებიც მათი კულტთან და კულტმსახურებასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი ყორღანი აშკარად შეიცავს ისეთ გამორჩეულ ნივთებს რომლებიც კულტმსახურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს ბედენის № 2 ყორღანი, რომელშიც ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ქურუმი იყოს დაკრძალული. ეს მთელი რიგი ნიშნებით სხვა სამარხებისაგან გამორჩეულია.

რიტუალის მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდებოდა მიცვალებულის სულისადმი გამართული აღაპის დროს. ამაზე მიუთითებს შეწირული ცხოველებისა და ტრაპეზის ნაშთები, რომლებიც დასაკრძალავ ნაგებობასთან და სამარხ კამერაშია დაფიქსირებული. ცხოველების მთლიანი სხეულის, ხორცის დიდი ნაჭრების (საგზლის) ჩატანება და დიდი ჭურჭლებით (თიხის და ლითონის ჭურჭლები) უკვე მომზადებული საკვების ჩატანება ყველა ტიპის სამარხში გვხდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ საზოგადოების ქონებრივი თუ სოციალური დიფერენცირების მიუხედვად ყველა საზოგადოების ყველა წევრისათვის კულტმსახურება ერთნაირად სრულდებოდა, განსხვავება მხოლოდ სამარხის გამორჩეულ ფორმაში და დასაკრძალავი კამერის მდიდრულად მოწყობაში გამოიხატება.

ჩანს, რომ დაკრძალვის რიტუალის დროს, უშუალოდ დასაკრძალავი ნაგებობის სიახლოვეს ხდებოდა ცხოველების მსხვერპლად შეწირვა და საკვების მომზადება. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს სამარხის ყრილებში და სამარხ კამერებში დაფიქსირებული ცხოველთა დამწვარი ძვლები, თიხის სადგრები, რომლებზეც ლითონის დიდი ჭურჭლები იდგა მომზადებული საგზლით, ნახშირი და უშუალოდ სამარხის პირზე, ან სამარხ კამერაში დაკლული ცხოველები (წიწამურის ყორღანში შეწირული ცხვარი).

თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის თითქმის ყველა ყორღანში (I, V, VI, VII, VIII) აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული შინაური ცხოველების ძვლები. V ყორღანში ცხოველის ძვლები იდო შავპრიალა დიდ ორყურა ჭურჭელში, აგრეთვე სპილენძის ქვაბში, რომლის მახლობლადაც დამწვარი ხის ნაშთები დადასტურდა. VII ყორღანში, სამარხი ორმოს სხვადასხვა ადგილებში აღმოჩნდა წვრილფეხა და

მსხვილფეხა საქონლის ხორციანი ნაწილების გროვები, აგრეთვე ღორის ყბა. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შინაური ცხოველების ნაწილები დაფარული იყო მსხვილფეხა საქონლის ტყავით. VIII ყორღანშიც დაფიქსირებულია ხარის, ცხვრის და ღორის ძვლები, რომლებიც ელაგა გროვებად. XV ყორღანში დაფიქსირდა ორი ხარის ჩონჩხის ფრაგმენტები, რომელთა თავის ქალები და ჩლიქებიანი კიდურები პარალელურად იდო, თუმცა დანარჩენი ძვლები არ ჰქონდათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სამარხი ორმოს იატაკზე დაფენილი იყო ორი ხარის ტყავი, რომელიც ისე იყო დამუშავებული, რომ თავი და კიდურები ტყავში იყო დატოვებული. მსგავსი შემთხვევა დადასტურდა VII ყორღანშიც (Куфтин 1941: 83). ბ. კუფტინის აზრით, ხარის ტყავი იყო მიცვალებულის საიქიოსკენ შორეული მოგზაურობის გამცილებლის იმიტაცია, მას შემდეგ, რაც ხარები დაკლულ იყვნენ და მათი ხორცი დაკრძალვის ტრაპეზს მოხმარდა. ხორცის ნაწილი მიცვალებულსაც გაატანეს, რასაც მოწმობს სპილენძის ქვაბსა და დიდ თიხის ჭურჭელში აღმოჩენილი ნეკნების ძვლები (Куфтин 1941: 83). XV, XVII, XXXIV ყორღანებში გარდა ხარის თავ-ფეხისა, რომლებიც სამარხი კამერის აღმოსავლეთ ნაწილში ეწყო, დადასტურდა ხარის მთლიანი ჩონჩხები. ხარების დაუნაწილებელი ჩონჩხები დრომოსის იატაკზე იდო. ისინი თავით აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული (Куфтин 1941: 83). ზურტაკეტის ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზების“ სხვადასხვა ადგილას ხშირად ჩნდებოდა საქონლის ძვლები, უპირატესად მსხვილფეხა საქონლისა. მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უფრო კი კიდურები გვხვდება აგრეთვე დრომოსებში, დარბაზში შესასვლელი კარის მახლობლად (ჯაფარიძე 1969: 68-69). დიდ ყორღანებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება წვრილფეხა საქონელის ძვლებიც (ჯაფარიძე 1969: 69).

მესხეთის ყველა დიდ-პატარა ყორღანშიც დადასტურებულია შინაური ცხოველების ძვლები. განსაკუთრებით ბევრია ცხოველის ნაშთები დიდ ყორღანებში. ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ყორღანში სჭარბობს მსხვილფეხა საქონლის ძვლები, უპირატესად კიდურებისა. „საფიქრებელია, რომ ეს ძვლები დაკრძალვის რიტუალისთვის გამოყენებული ცხოველების ნაშთები იყო” (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 160).

ცხოველთა მთელი და დანაწილებული ძვლები მიუთითებს, რომ რიტუალი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგაც გრძელდება. როგორც ჩანს, საფლავთან მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი რიტუალი იმართებოდა, რომელიც სააღაპე ცერემონიალს და სამგლოვიარო სუფრის მოწყობას ითვალისწინებდა.

ცხვრის შეწირვის საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა მცხეთაში, წიწამურთან გათხრილ № 13 ყორღანში სადაც ხელ-ფეხ მოკეცილი მიცვალებული დასვენებული იყო ცხვარზე. შეწირული ცხვარი ბრინჯაოს სატევრით იყო დაკლული, რაზეც მიუთითებს ცხვრის კისრის მალებში ჩატოვებული სატევარი. ჯერ ცხვარი დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე, ყელთან და ცხვირთან ობსიდიანის ანატკეცები დაუწყვიათ, შემდეგ ზედ დაუკრძალავთ მდიდრულად მორთული მიცვალებული (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 56). წიწამურის ყორღანის გვერდით გაითხარა კატაკომბური სამარხი № 16, რომელშიც ცხვარი იყო დაკრძალული. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ სამარხს არც კი წარმოადგენდა და დაკავშირებული იყო ყორღანში დაკრძალული მიცვალებულისათვის ჩატარებულ რიტუალთან.

სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ცხვარი/ვერძი ჯადოსნური გადაადგილების საშუალებადაა წარმოდგენილი: ოქროს ვერძზე შემჯდარი ფრიქსე და ჰელე ჩაფრინდნენ კოლხეთში; ირანული მითოლოგიის მიხედვით, ცხვარს გადაჰყავს მიცვალებულის სული იმ ხიდზე, რომელიც აკავშირებს საიქიოს და სააქაოს. ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვითაც, ცხვარს გადაჰყავს ზღაპრის გმირი ერთი სკნელიდან მეორეში (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 57-60). ცხვრების დაკრძალვა სამარხებში დადასტურებულია ბრინჯაოს ხანის შუა აზიასა და ავღანეთში. ისინი დაკრძალული იყვნენ იმ წესით, როგორითაც იკრძალებოდნენ მამაკაცები – მარჯვენა მხარეს თავით ჩრდილოეთით. ყველა შემთხვევაში სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მდიდარი იყო. მეცნიერთა აზრით, ამგვარად დაკრძალული ცხვრები წარმოადგენდნენ ე.წ. გამოსასყიდ სამსხვერპლოს. გამოსყიდვის რიტუალი მდგომარეობდა შემდეგში: ავადმყოფი ადამიანის მაგიერ ღვთაებას სწირავდნენ ცხვარს, ადამიანს კი კისერზე დანას გაუსვამდნენ. რიტუალის შესრულების შემდეგ ცხვარი იკრძალებოდა ისე, როგორც ადამიანი. ამგვარი რიტუალური პრაქტიკა დადასტურებულია ქართულ ეთნოგრაფიაშიც – ხევსურეთში და სამეგრელოში. შესაძლოა, ამგვარ გამოსასყიდ

სამსხვერპლოს წარმოადგენდა № 16 სამარხში დაკრძალული ცხვარი (შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1989: 57-60), ხოლო ცხვარზე დაკრძალვის რიტუალი დაკავშირებული იყო წარმოდგენებთან მიცვალებულის სულის მოგზაურობაზე საიქიოში, სადაც ცხვარი იყო გამცილებელი, მეგზური, საიქიოს და სააქაოს დამაკავშირებელი.

როგორც მოტანილი მასალები გვიჩვენებს შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში სამსხვეპლო ცხოველს ძირითადად მსხვილფეხა საქონელი წარმოადგენდა. ცხვრის პროცენტულად მეორე ადგილი უკავია, თუმცა მკვეთრად ჩამოუვარდება მსხვილფეხა საქონელს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ სამარხებში სადაც წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ძვლები დაფიქსირდა, გვხვდება მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც.

შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში სხვა ცხოველების შეწირვა იშვიათად გვხვდება. მაგ. ძაღლის და ღორის სამარხში ჩატანების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია ცნობილი. მსხვერპლშეწირვის საინტერესო რიტუალი დადასტურდა კარმირ ბერდის კულტურის ძეგლებზე. ნერკინ ნავერის №1 და ოშაკანის №30 მდიდრულ სამარხებში დადასტურდა ხარების, ცხვრების, ცხენების, ძაღლების, ღორების, ირმების, მგლების, კურდღლების, კუს, თევზების და ფრინველების მთელი ჩონჩხები და ჩონჩხების ფრაგმენტები (Симонян, 1984: 126; Калантарян и др., 2004: 69). ა. სიმონიანის აზრით, ნერკინ ნავერის ყორდანში ჩატარებული რიტუალი ნაწილობრივ იდენტურია გათებში – ზოროასტრიული რელიგიის უძველეს ჰიმნებში მოხსენიებული დაკრძალვის რიტუალების (Симонян, 1984: 126). ჩვენი აზრით, შინაური და გარეული ცხოველების ასეთი მრავალრიცხოვანი შეწირვა უნდა შესრულებულიყო განსაკუთრებული მიზნით, შესაძლოა, მთელი ფაუნის ასაღორძინებლად.

საინტერესო რიტუალი დადასტურდა მესხეთში, ახჩიის ზოგიერთ ყორდანში (№№ 7, 14), სადაც მიცვალებულების თავები თიხის ჭურჭლში, ხოლო ერთი თავის ქალა (ახჩიის № 14 ყორდანი), სამარხი კამერის კედელთან, ქვაზე იდო (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1981: 50, 68).

იშვიათად, მაგრამ მაინც დადასტურდა მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. ცხოველის (ძირითადად ხარი და ცხვარი) შეწირვის

პარალელურად გვხვდება მიცვალებულისათვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ფაქტები. მაგ. ბედენის № 5 ყორღანში ძირითადი მიცვალებულისათვის ორი ადამიანი - ახაგაზრდა ქალი და 15-16 წლის ბიჭი შეუწირავთ (გობეჯიშვილი, 1981: 38-39). ბედენის № 10 ყორღანში ახალგაზრდა კაცი მეეტლედ ან მეხრედ გაუყოლებიათ მთავარი მიცვალებულისათვის (გობეჯიშვილი, 1981: 99,120). შ. დედაბრიშვილის აზრით წნორის № 1 ყორღანში ძირითადი მიცვალებულთან ერთად მსხვერპლად შეწირული ადამიანების ჩონჩხებიც აღმოჩნდა. დედაბრიშვილი მიიჩნევს, რომ დაკრძალვის შემდეგ, დასაკრძალავი ორმოს თავზეც რაღაც რიტუალი შესრულდა, სადაც ადამიანის მსხერპლშეწივას ჰქონდა ადგილი. (Дедабришвили, 1979: 23). ეს რიტუალი დაფიქსირებულია თრელის სამაროვანზეც, შუა ბრინჯაოს ხანის № 43 სამარხში. რ. აბრამიშვილი აღნიშნავს - გადახურვის ძელების ზემოთ მსხილფეხა საქონლის ნეკნები, ლულოვანი ძვალი და ადამიანის დამწვარი ჩონჩხია დადასტურებული. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის მეტ-ნაკლებად უძრავად შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ის წინასწარ იყო შეკოჭილი. თვით დასაკრძალავ ორმოში მიცვალებულის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ ნეშტის კრემაციის შემდეგ ფერფლი მოათავსეს დიდი ზომის დერგში, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა სამი სადგარი. მიცვალებულს თან ჩაატანეს ორი წვრილფეხა საქონელი და ორი მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი. საფიქრებელია, რომ წვრილფეხა საქონელი დაკლული იყო ერთ-ერთი მათგანის კისრის მალებში აღმოჩენილი ობსიდიანის ანატკეცით. მიცვალებულისათვის იმ ქვეყნად გატანებულ ნივთებსა და საგზალს განზრახ აყრიან მიწას იმისათვის, რომ ისინი დაიცვან დაკრძალვის რიტუალში გათვალისწინებული ხანძრისაგან. დასაკრძალავი ორმოს ხის ძელებით გადახურვის შემდეგ სამარხის თავზე იმართება ქელეხი, რომლის დროსაც სრულდება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი (აბრამიშვილი, 1978: 50,61). კ. ფიცხელაურის აზრით „მდიდრულინვენტარიანი მიცვალებულის გვერდზე სრულიად უინვენტარო ჩონჩხებია აღმოჩენა, რომლებიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ მისთვის შეწირულ ადამიანებს (მცველებს, მსახურებს) უნდა ეკუთვნოდეს. ადამიანის

მსხვერპლშეწირვა კი უფრო კლასობრივი საზოგადოების არსებობას უნდა გულისხმობდეს“ (ფიცხელაური, 1980: 7-8)

დასასრულს უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებში ყველა ის ეტაპი აისახა რაც კაცობრიობამ გაიარა უძველესი მონადირეების რწმენა-წარმოდგენებიდან მოკიდებული იერარქიული, დიფერენცირებული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტმსახურების შესაწვლისათვის მონაცემები მეტად მცირეა. თუმცა, ისიც არის აღსანიშნავი, რომ ეს საკითხი სპეციალურად არავის უკვლევია, არც დღემდე გათხრილი ყველა ძეგლი და მასალაა გამოქვეყნებული, ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოვლენილი ყველა ის არქეოლოგიური ობიექტი თუ არტეფაქტი, რომლებიც შესაძლებელია კულტმსახურებასთან იყოს დაკავშირებული ან კულტის ობიექტს წარმოადგენდეს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ახლა ძნელია ზუსტად იქნეს აღდგენილი შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის კულტმსახურების ძირითადი ასპექტები, მაგრამ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა მაინც არის შესაძლებელი.

ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია სრულად ვერ ასახავენ რეალურ სიტუაციას. არ არის გამორიცხული, რომ შემდგომმა აღმოჩენებმა და სამეცნიერო კვლევებმა სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინოს საკვლვევი საკითხი.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური შეხედულებების სრული რეკონსტრუქცია ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა ეს განპირობებულია იმით, რომ ამ ეპოქის სამხრეთ კავკაშიაში ჯერ კიდევ არ არსებობს დამწერლობა და შესაბამისად არ მოგვეპოვება წერილობითი წყაროები. ამავე დროს, არქეოლოგიური მონაცემებიც საკმაოდ ნაკლულია.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ, რომ მითო-რელიგიური სისტემა ჩამოყალიბებული ჩანს და ღვთაებათა პანთეონის დიფერენციაციის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული.

სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მითო-რელიგიური მსოფლმხედველობის კვლევამ გვიჩვენა, რომ მთელი რიგი მითო-რელიგიური წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები უფრო მაღალ საფეხურზეა ასული ვიდრე ადრე ბრინჯაოს ხანაში ან ახლად ყალიბდება:

1. **კოსმოგონიური მითოლოგია**. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს მთელ რიგ ძეგლებზე და არტეფაქტებზე, ჩვენი აზრით, ასახულია უძველესი მოსახლეობის კოსმოლოგიური წარმოდგენა კოსმოსის სტრუქტურის შესახებ, რომელიც სამყაროს მოდელირების უნივერსალურ კონცეპციას წარმოადგენს. უძველესი წარმოდგენების მიხედვით კოსმოსი, როგორც წესი, სამ ვერტიკალურ და ოთხ ჰორიზონტალურ ნაწილად არის გაყოფილი. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში სამყაროს მოდელის უნივერსალურ გამოხატულებას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ყორღანული სამარხი. შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები აგებულია იმ უძველესი არქიტექტურული ტრადიციების საფუძველზე, რომელსაც ზოგი მეცნიერი ე.წ მანდალს ამსგავსებს. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთკავკასიური ყორღანების გარეგნული სახე, მთას ემსგავსება. მთა მითო-რელიგიური წარმოდგენების მიხედვით არის კოსმიური ღერძის, სამყაროს წესრიგის განსახიერება. მისი ფესვები ღრმად მიწაშია გადგმული, ხოლო წვერი – ღრუბლებშია, სადაც იყო „უკვდავი ღმერთების საცხოვრებელი". კოსმიური ღერძის განსახიერებას წარმოადგენდა ხე (თრიალეთის ვერცხლის თასი და სარწყული), ცხოველი (ირემი), მენჰირი.

ჩვენი აზრით კოსმიური მოდელის ამსახველი უნდა იყოს ზურტაკეტის №6 ყორღანის ქვაზე დატანილი კომპოზიციაც, რომელზეც სამყაროს სივრცობრივი სტრუქტურა უნდა იყოს წარმოდგენილი. ქვეყნიერების აგებულების სიმბოლოს კი

ჯვარი წარმოადგენდა, რომლის გამოსახულება ხშირად გვხვდება სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე.

2. ესქატოლოგიური მითოლოგია. არქეოლოგიური მონაცემები იმის საშუალებას იძლევა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში ესქატოლოგიური მითოლოგიის საწყისებიც დავინახოთ. ამ მითოლოგიის მიხედვით სამყარო მოკვდავი და აღორძინებადია. ეს სიუჟეტი უნდა იყოს გამოსახული თრიალეთის XVII, ნერკინ ნავერის №3 და „თეთრი ქვების" I ყორღანების დიდ ჭურჭლებზე, რომლებზეც ქტონიური გველი მზეს ებრძვის. შესაძლოა იგივე იდეის მატარებელია სადუღას № 2 ყორღანში და ადგილ ამირანის ველზე, დანგრეულ ყორღანში ნაპოვნი შავპრიალა ჭურჭლები, რომლებზეც სავარაუდოდ მზის დაბნელებაა გამოსახული.

3. **ღვთაებათა პანთეონი.** შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში უკვე იკვეთება ღვთაებათა პანთეონი. ანთროპომორფულ ღვთაებებს, ზოომორფული ინკარნაციაც შეიძლება ჰქონდეს. ამ ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებული წეს-ჩვეულებებისა და დაკრძალვის რიტუალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აშკარად შეინიშნება ღვთაებების იერარქია. იკვეთება: ა). საოჯახო; ბ). სათემო და გ). უმაღლესი ღვთაებები.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის პანთეონში უმაღლესი იერარქიული საფეხური ასტრალურ ღვთაებებს უკავია. სოლარული და ლუნარული სიმბოლიკა გვხვება წრეებისა და ნახევარწრეების სახით კერამიკაზე, ძვირფასი ლითონის არტეფაქტებზე, ტყავის და ხის ნაწარმზე. სოლარულ კულტის გამომხატველი უნდა იყოს ყორღანთა და მათთან დაკავშირებული გზების სოლარული ორიენტაცია.

კერამიკის ორნამენტაციის კვლევისას გამოიკვეთა დედა ქალღმერთის სახეც, რომლის სიმბოლოსაც ჩვენი აზრით, თიხის დიდ ჭურჭლებზე გამოსახული ტრაპეციისებური ფიგურა წარმოადგენს. ხოლო მასში ჩახაზული ნიშანი (წყალი, მარცვალი, ჯვარი) იმ სფეროს მაჩვენებელი იყო, რასაც განაგებდა ქალღმერთის ეს თუ ის მანიფესტაცია. ზოგჯერ ამ ნიშანს ანთროპომორფული იერიც კი ჰქონდა.

გამოიკვეთა გაღმერთებული „მეფე"-წინაპრის კულტი. შუა ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც, უძველეს ცივილიზაციებში, „მეფე-წინაპარი" წარმოიდგინებოდა როგორც შუამავალი საკუთარ ხალხსა და ღმერთებს შორის.

არქაული ადამიანის რწმენით, მეფეზეა დამოკიდებული ქვეშევრდომთა კეთილდღეობა, მოსავლიანობა, ამინდი, საბრძოლო მოქმედებები და სხვა. მითოლოგიური აზროვნების ადამიანებისთვის დამახასიათებელია წარმოდგენები მეფეზე, როგორც წესრიგის გარანტზე

ჩვენი აზრით, შუა ბრინჯაოს დიდ ყორღანებში დადასტურებული უხვი მსხვერპლშეწირვა, მრავალფეროვანი ორნამენტული მოტივებით შემკული კერამიკა, ამ პიროვნების ღვთაებრიობისა და მის საკრალურობასთან დაკავშირებული რთული კულტმსახურების მაჩვენებილია. ორნამენტული მოტივები ხშირად ასტრალურ სხეულებს, სამყაროს ღერძს, დამუშავებულ მინდვრებს, ნაყოფიერების მომტან წყლებს, მარცვლეულს და სხვა სიმბოლოებს გამოხატავენ.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებში ყველა ის ეტაპი აისახა რაც კაცობრიობამ გაიარა უძველესი მონადირეების რწმენა-წარმოდგენებიდან მოკიდებული იერარქიული, დიფერენცირებული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე.

ბიბლიოგრაფია

აბაკელია ნ. 1997: სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი

აბრამიშვილი რ. 1978: თრელის შუა და გვიანბრინჯაოს სამაროვანი. - თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები. I. გვ. 48-85. თბილისი.

ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი.

აფაქიძე ა. 1970: ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი I (ტომის რედაქტორი გ. მელიქიშვილი), 661-783, თბილისი.

ბერიაშვილი მ. 1982: დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, 39-50, თბილისი.

ბერიაშვილი მ. 1988: მთა როგორც მითოსური წესრიგის დამყარების ფენომენი და აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის გორის ტიპის შესაბამისი ძეგლები. – გარეჯი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII. გვ. 164-193. თბილისი.

ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ. 1984: თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტურ გამოსახულებათა გაგებისათვის. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. IV, თბილისი, 133-153.

ბერიაშვილი მ., თორთლაძე ზ. 2001. საღვთო და სამეფო ძალაუფლების სიმბოლოები მითოლოგიაში. – ენა და კულტურა, № 2. თბილისი, 29-35.

ბარდაველიძე ვ. 1974: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. თბილისი.

ბარდაველიძე ვ. 1982: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. II. თბილისი.

ვირსალაძე ე. 1964: ქართული სამონადირო ეპოსი. თბილისი.

გიორგაძე დ. 1987: დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1981: ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გეგეშიძე მ. 1956. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგოჭური გ. 1999: ჟინვალის სამლოცველოს ღვთაების გამოსახულება და მისი კავკასიურ-წინააზიური პარალელები. ხელნაწერი. თბილისი. – 38

დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1984: სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის № 2 გორასამარხი. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI. თბილისი, გვ. 56-63.

.ვაჩეიშვილი ნ. 2003: ურჩხული სოფ რეხადან – საქართველოს სიძველენი № 4-5. გვ. 30-35. თბილისი

კალანდაძე ა. 1980: სამთავრო-წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა, ტ. IV თბილისი.

კიკვიძე ი. 1972: ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.

კიკვიძე ი. 1976. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

ლომთათიძე გ. 1955: რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. I. თბილისი.

მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

მელიქიშვილი გ. 1999: მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ეთნოგენეზისისა და ეთნოსოციალური კონსოლიდაციის საკითხები. – ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში. თბილისი, 93-322.

მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938: მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.

მელითაური კ. 1970. ოთხთვლიანი საომარი ეტლი ძველ საქართველოში. – ძეგლის მეგობარი, 21. თბილისი, გვ.

მინდიაშვილი გ. 1980: გორა ნამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის. მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია № 4. 175-186.

მინდიაშვილი გ. 1981: მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური შესწავლისათვის. – მოხსენებათა თეზისები. თბილისის ახალგაზრდა მეცნიერთა სიუბელეო კონფერენცია. თბილისი. 27-28;

მინდიაშვილი გ. 1983: მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის. მაცნე – ისტორიის, არქეოლოგისაა და ხელოვნების ისტორიის სერია № 1, 185-198. თბილისი.

მინდიაშვილი 2002: მტკვარ-არაქსული მესაქონლეობის ხასიათისა და მეურნეობის ამ დარგის კლასთწარმომქმნელი ბუნების გამო. - ძიებანი № 9, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, 15-21. 15-21. თბილისი.

მინდიაშვილი 2003: კვლევის მეთოდის გამო. – ძიებანი № 11, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, 5-8. თბილისი.

მინდიაშვილი 2010: სიახლეები გუდაბერტყის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდან. – კავკასიოლიგთა II საერთაშორისო კონგრესის მასალები, 102-104. თბილისი.

მირცხულავა გ. და სხვ. 1992: მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. ადრებრინჯაოს ხანა. - საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, 70-215, თბილისი.

მირცხულავა გ. 2000. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები საქართველოში. – ძიებანი, № 5. თბილისი, გვ. 37-46.

მირცხულავა გ. 2005: ნაყოფიერების კულტის ისტორიიდან. - ძიებანი. №15-16. 100-118. თბილისი.

მოვსეს ხორენაცი 1984: სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი

ნარიმანიშვილი გ. 2006: საფარ-ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში № 17-18. თბილისი, გვ. 92-126.

ნადიმაშვილი ს. 1963: გუდაბერტყა-ციხიაგორა. ლიახვი. გორი 48-52.

ნარიმანიშვილი გ. 2009: სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2012: თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. თბილისი, 128 – 193.

ნარიმანიშვილი გ., ამირანაშვილი ჯ. 2010: ჯინისის ნამოსახლარი. – ბაქო-თბილისი-ჯეიხანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში (მთავარი რედ. გ. გამყრელიძე), თბილისი, 203-249.

ნარიმანიშვილი და სხვ. 2013: ნარიმანიშვილი გ., ყვავაძე ე., ბითაძე ლ., მურვანიძე ბ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ., ბენდუქიძე ო. არქეოლოგიური გათხრები წინწყაროში. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში № 21, 14-32. თბილისი.

ნარიმანიშვილი დ. 2009: სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობის ტანსაცმელი არქეოლოგიური მასალის მიხედვით (ძვ.წ. II ათასწლეული). - სტუდენტთა 67-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. გვ. 119-128. თბილისი.

ნარიმანიშვილი დ. 2013: ნადარბაზევის №3 ყორღანი. – გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე, №1 (მთ. რედ. ზ. ბრაგვაძე), 26-51, თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1995: წიწამური III. – მცხეთა, ტ. X. თბილისი.

ნიორაძე გ. 1947: დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, გვ. 1-66. თბილისი.

ორბელიანი სულხან-საბა. 1993: ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 1983: სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 1996: მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ კავკასიაში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 2004: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 2011: ბედენის კულტურა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, 222-235.

ოქროპირიძე ნ. 1963: ნარეკვავის სამაროვანი. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII.

ტატიშვილი ი. 2001: ხეთური რელიგია. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1980: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, IV, თბილისი, გვ. 5-17. თბილისი.

ფიცხელაური კ. 2005: ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV-XIII სს. თბილისი.

ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში. თბილისი.

ფუთურიძე მ. 1984: ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მონოქრომული მოხატული კერამიკის პრობლემისათვის. - კახეთის არაქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, 64-76. თბილისი.

ფუთურიძე მ. 2001: თრიალეთური კულტურის ოქრომჭედლობის ნაწარმის ერთი ტიპის კვლევისათვის. – კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი. დამატებანი. VI, თბილისი, 117-122.

ფუთურიძე მ. 2002: სამხრეთ კავკასია – ეგეოსური სამყაროს კულტურული კონტაქტების საკითხისათვის ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში. – ენა და კულტურა, № 3, თბილისი, 100-113.

ფუთურიძე მ. 2006: ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთური კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. № 17-18. გვ. 66-76. თბილისი.

სადრაძე ვ. 2002: მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

სადრაძე ვ. და სხვ. 2009: სადრაძე ვ., ხოხობაშვილი თ., კახიანი კ., ღლიღვაშვილი ე., სადრაძე თ. 2009: წინაპართა გზავნილი. თბილისი.

სიხარულიძე ა. 1969: თრიალეთის ვეშაპები და ვეშაპოიდები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მაცნე № 6, გვ. 37-48.

სიხარულიძე ა. 1970: საქართველოს ვეშაპები და ვეშაპოიდები. დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

სურგულაძე ი. 1986: ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი

სურგულაძე ი. 1993: ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბილისი

სურგულაძე ი. 2003: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1955: ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები 1965: დასტურლამალი. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. გვ. 237-328. თბილისი.

ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ტ. I. თბილისი.

შანშაშვილი, ნ. 1990: ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურაში. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი სამეცნიერო ნაშრომი. თბილისი.

შანშაშვილი ნ. 1998: კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში. – ძიებანი, №1, 23-26, თბილისი.

შანშაშვილი ნ. 1999: ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე. თბილისი

შანშაშვილი, ნ. 2000: დიდი დედის არქეტიპი და მისი სიმბოლური სახეები მტკვარ-არაქსის კულტურაში (ძვ.წ. IV-III ათასწლ.). – ენა და კულტურა, №1, 79-95.

შანშაშვილი ნ. 2011: ადრებრინჯაოს ხანის სახლის მაკეტები სამხრეთ კავკასიიდან. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №20, 209-221.

შანშაშვილი ნ. 2012: ხაშურის ნაცარგორა ადრებრინჯაოს ხანის მიწურულს. – ხაშურის მუზეუმის მოამბე, IV. ხაშური, 2012, 24-50.

შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ. 1989: მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ერთი რიტუალის სემანტიკა. – ძეგლის მეგობარი, №1. გვ. 56-62. თბილისი.

შანშაშვილი ნ., რამიშვილი ა. 2010: თიხის ჰორელიეფი შიდა ქართლიდან. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში № 19, 115-125. თბილისი.

შანშაშვილი ნ., შერაზადიშვილი ზ. 2013: სამხრეთ კავკასიის უძველესი საბეჭდავები. –გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე № 1. გვ. 7-25. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1958: რუსთავი. თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1964: უფლისციხე. ტ. I, თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა. თბილისი.

ჩხაიძე მ. 1997: საქართველოს მეგალითური კულტურა და ქვა-კაცი ზეიანის მიწებიდან. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ყიფიანი გ. 2002. უფლისციხე. თბილისი.

ხიდაშელი მ. 1982. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები). თბილისი.

ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში. თბილისი.

ღლონტი ლ. 1982: წარჩინებული ქალის სამარხი ქვაცხელების სამაროვანზე. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B. თბილისი, 61-69.

ღლონტი ლ., ნემსაძე გ., ჯავახიშვილი ალ. 1986: ქარელის რაიონში, ბერიკლდეებზე 1979-1981 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, VIII. თბილისი

ღლონტი მ. 2006: რელიეფურორნამენტიანი ჭურჭელი არაგვის ხეობიდან. – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №17-18, თბილისი, 51-61.

ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. 1962: ურბნისი I. თბილისი.

ჯალაბაძე მ. 1998: ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი). – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.

ჯალაბაძე მ. 2003: ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები, ძიებანი დამატებანი X, თბილისი, 45-47.

ჯავახიშვილი ივ. 1962: მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1979: ქართველი ერის ისტორია. ტ. I. თბილისი

ჯავახიშვილი ივ. 1965: მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. II. თბილისი.

ჯაფარიძე ნ. 1981: ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1959: დოლმენური კულტურა საქართველოში. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 77-126. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1969. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1975: ბრინჯაოს ხანის ყორღანები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (რედაქტორები ალ. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე), 137-165, თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2009: შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში. თბილისი.

ჯავახიშვილი ალ., კიღურაძე თ. 1975: შულავერის გორა. – ქვემოქართლის არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგები. თბილისი, 11-59

ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. 1981: მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბილისი.

Абегян М. 1975: История древнеармянской литературы. Ереван.

Антонова Е. 1984: Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии. Москва.

Арешян Г. 1988: Индоевропейский сюжет в мифологии населения междуречья Куры и Аракса II тысячелетия до н.э. – Вестник древней истории, №4, 84-102.

Арутунян С. 1980: Армянская мифология. - Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев), 104- 106, Москва.

Архипов И.С. 2002: Топоним «Субир/Субарту в Месопотамии III - первой половины II тыс. до н.э. – Вестник Древней Истории, № 4. Москва, 75-97.

Ахундов Т. 1999: Древнейшие курганы Южного Кавказа (Культура подкурганных склепов). Баку.

Ахундов Т. 2001: Северо-западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.

Ахундова Г. 2004 : Предметы украшения Кавказской Албании с мотивами оленя. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тбилиси, 25.

Ашуров С., Бахшалиев В., Гусейнова С., Алиева Ф. 2012: Исследование «Археологической экспедиции Махта». – Археологические исследования в Азербайджане. Баку, 100-107

Бадалян Р. 2002: Обсидиан Кавказа: Источники и распрстранение сырья в эпоху неолита-раннего железа (по результатам анализов нейтронной активации). - Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук. Ереван.

Бадж Э. А. У. 2001: Амулеты и суеверия. Москва.

Бадж Э. А. У. 2003: Египетская религия. Египетская магия. Москва.

Бардавелидзе В. 1957: Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён. Тбилиси.

Бонгард-Левин Г.М., Д.В. Деопик, А.П. Деревяненко и др., 1986: Археология зарубежной Азии. Москва.

Бонгард-Левин Г. (Ред.) 1988: История Древнего Востока. Часть вторая. Москва.

Брей У., Трамп Д. 1990: Археологический словарь. Москва.

Вильхельм Г. 1992. Древний народ хурриты. Москва.

Вирсаладзе Е. 1976: Грузинский охотничий миф и поэзия. Москва.

Вулли Л. 1982: Забытое царство. Москва.

Вулли Л. 1961. Ур халдеев. Москва.

Гельб И. 1982: Опыт изучения письма. Москва.

Герни О. 1987: Хетты. Москва.

Голан А. 1993: Миф и символ. Москва.

Глонти Л., **Джавахишвили А. 1987:** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА 192, 80-87.

Гуммель Я.1992: Раскопки к юго-западу от Ханлара в 1941 году. - Вестник Древней истории, 5-12.

Деведжян С. 1981: Лори Берд I, Ереван.

Дедабришвили Ш. 1969: Памятники эпохи ранней и средней бронзы. – Труды Кахетской археологической экспедиции I, 35-75, Тбилиси.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской долины. Тбилиси.

Дунаевская И.1969: Язык хеттских иероглифов. Москва.

.**Джавахишвили А. 1973:** Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси.

Джафарзаде И.М. 1976: Хачбулагская археологическая экспедиция 1969 года. - Материальная культура Азербайджана. Баку.

Дьяконов И. (Ред.) 1983: История Древнего Востока. Часть первая. Москва.

Дьяконов И. 1990: Люди города Ура. Москва

Жоржикашвили Л. Гогадзе Е. 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.

Еганян Л. 2012: Памятник раннебронзового периода Мец Сепасар в контексте индоевропейских верований и ритуалов. – Труды Маргианской археологической экспедиции. Т. 4. (Гл. ред. В. И. Сарианиди). Москва. 2012, стр. 272-290

Замаровский В.Г. 1986: Их величества пирамиды. Москва.

Иванов В. 1982: Хеттская мифология. - Мифы народов мира. Том второй (Гл. ред. С. Токарев), 590-591. Москва..

Иванов В. 1980: Вепрь. – Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев). Москва, 232-233.

Иванов В. 1980: Змей. – Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев). Москва, 468-470.

Иессен А. 1965: Раскопки большого кургана в урочище Уч-тепе. Материалы института археологии, 125. М.-Л

Кавтарадзе 1983. Кавтарадзе Г.Л. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тбилиси.

Кавтарадзе 1987. Кавтарадзе Г.Л., Некоторые вопросы хронологии Грузии эпохи энеолота-ранней бронзы. - Кавказ в системе палеометалургических культур Евразии. Тбилиси.

Калантарян А., Пилипосян А., Мелконян У. 2004: Среднебронзовое погребение № 30 Ошакана.- Международная научная конференция «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа». с. 69-71. Тбилиси.

Кленгель-Брандт 1991. Кленгель-Брандт Э. Вавилонская башня. Москва.

Куфтин Б. 1936: Дневник работ археологического отряда Цалкинской комплексной экспедиции. 1936 год. (Хранится в архиве Национального Музея Грузии). Тбилиси.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Куфтин 1944: К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, № 12-В.

Куфтин 1948: Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе. Тбилиси.

Куфтин Б.А. 1974: Археологическая маршрутная экспедиция в бассейне рек Лиахви, Проне, Квирилы и Среднего Риони в 1951 г. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, № 30-В.

Кушнарева К., **Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.

Кушнарёва К. 1977: Древнейшие памятники Двина. Ереван.

Кушнарева К.Х. 1993: Южный Кавказ в IX-II тыс. до н.э.. Санкт-Петербург.

Кушнарева К.Х. 1997: Ранние комплексные общества Южного Кавказа. - Древние общества Кавказа в эпоху палеометалла (ранние комплексные общества и вопросы культурной трансформации). стр. 11-43. Санкт-Петербург.

Кушнарева К.Х. Рысин М.Б. 2001: Новые данные к проблеме датировки памятников "цветущей поры" Триалетской культуры. – Дзиебани, дополнения, VI. Тбилиси.

Луркер М. 1998: Египетский символизм. Москва**.**

Маккуин Дж. Г. **1983:** Хетты и их современники в Малой Азии. Москва.

Марр Н., Смирнов Я. 1931: Вишапы. – Труды Гос. Академии Истории Материальной Культуры, т. 1, Ленинград.

Мартиросян А.А. 1964: Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.

Махарадзе З., Орджоникидзе А. 2007: Проблемы изучения т.н. Культуры Ранних Курганов. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. Махачкала, 83-84.

Массон В., Сарианиди В. 1969: О знаках на среднеазиатских статуэтках эпохи бронзы. – Вестник Древней истории, №1, 86-99.

Мелетинский Е. 1980: Иггдрасиль. – Мифы народов мира. т. 1. Москва, 478-479

Мелетинский Е. (Ред.) 1992: Мифологический словарь. Москва.

Меликишвили Г. 1954: Наири-Урарту. Тбилиси

Меликишвили Г. 1959: К истории древней Грузии. Тбилиси.

Меликишвили Г. 1965: Возникновение Хеттского царства и проблема древнейшего населения Закавказья и Малой Азии. – Вестник Древней истории, №1.

Мещанинов И. 1926: Каменные статуи рыб. Вышапы на Кавказе и в Северной Монголии. – Записки колегии востоковедов. Ленинград.

Мещанинов И. 1932: Циклопические сооружения Закавказья. – Известия Гос. Академии Истории Материальной Культуры, 1932, т. XIII, вып. 4-7.

Мунчаев Р. 1997: Ярымтепе II: К изучению архитектуры Северной Месопотамии Vтысячелетия до нашей эры. – Российская археология № 3,. Москва.

Мурадян Ф. 1993: Новонайденные пиктограммы из Апаранского района (на арм. яз.).- Археологические работы на новостройках Армении (Результаты раскопок 1986-1987 гг.), I, Ереван, 103-105.

Нариманишвили Г. 2004: Цилиндрические печати из Триалети. - Международная научная конференция «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа». с. 105-106. Тбилиси.

Нариманишвили Д. 2007: Предметы быта, изображённые на серебрянном кубке из Триалети. - Вопросы армянской этнологии и археологии # 3. С. 41-48. Ереван.

Нариманишвили Д. 2010: Изображение мебели на триалетском кубке. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. 225-227, Тбилиси.

Нариманишвили Д. 2010а: Египетские амулеты III-II тыс. до н.э. на Южном Кавказе. - Археология, этнология, фольклористика Кавказа. 221-224, Тбилиси.

Нариманишвили Г., Шаншашвили Н. 2007: Мегалиты и культ предков на Южном Кавказе. - Археология, этнология, фольклористика Кавказа. Сборник кратких содержаний докладов. с.164-165. Тбилиси.

Оганесян В. 1988: Серебряный кубок из Карашамба. – Историко-Филологический Журнал, №4, 145-161.

Оганесян В. 1990: Культура первой половины II тысячелетия до н.э. в среднем течении реки Раздан (Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук). Ереван.

Оганесян В. 1993: Раскопки Карашамбского могильника в 1987 г. – Археологические работы на новостройках Армении (Результаты раскопок 1986-1987 гг), I, Ереван, 26-36.

Орджоникидзе А. 2014: Некоторые моменты взаимоотношений Куро-Араксской и Беденской культур на Южном Кавказе. – Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference. Tbilisi, 205-215.

Очиаури Т., Сургуладзе И. 1980: Кавказско-иберийских народов мифология. - Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев), 603-607, Москва.

Пилипосян А. 1998: Печати Армянского нагорья в системе древневосточной глиптики (на арм. яз.). Ереван.

Пиотровский Б. 1939: Вишапы. Каменные статуи в горах Армении. Ленинград.

Пиотровский Б. 1992: Дополнение к статье Я. Гуммеля «Раскопки к юго-западу от Ханлара в 1941 году». - Вестник Древней истории,12-15.

Пицхелаури К.Н. 1987: Центральное Закавказье в конце Ш и начале II тыс. до н.э. - Кавказ в системе палеометалургических культур Евразии. Тбилиси.

Пицхелаури К.Н. и др. 1995: Пицхелаури К., Варазашвили В., Квавадзе Д., Кинцурашвили М., Кобаидзе Л. Полевые исследования Кахетской экспедиции. – ПАИ в 1987 году, 76-78, Тбилиси,

Пропп В. 1998: Морфология волшебной сказки. исторические корни волшебной сказки. Москва.

Путуридзе М. 1991: Традиции и иновации в триалетской культуре эпохи средней бронзы. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, 208-220, Тбилиси

Путуридзе М. 2010: О появлении одного типа торевтического материала из погребальных комплексов Триалетской культуры. – Археология, этнология, фольклористика Кавказа. с. 253-254. Тбилиси.

Раевский Д. 1985: Модель мира скифской культуры. Москва.

Рамишвили Ал. 1991: Раскопки в Хашурском районе в 1984-1986 гг. – ПАИ 1986 года. Тбилиси, с. 22-25

Рамишвили Р. и др. 1981: Рамишвили Р., Джорбенадзе В., Гогелия Д., Глонти М., Чихладзе В., Робакидзе Ц., Маргвелашвили М., Мухигулашвили Н., Рчеулишвили Г., Циклаури Д., Ломидзе Ц., Каландадзе З., Циклаури И., Церетели К. 1981: Археологические исследования в Арагвском ущельи. – Полевые Археологические Исследования в 1981 году, Тбилиси, 129-143.

Резепкин А. 1987: К интерпретации росписи из гробницы Майкопской культуры близ станицы Новосвободная – КСИА, №192, 26-33.

Ростунов В. 2007: Эпоха энеолита – средней бронзы Центрального Кавказа. Том III.Опыт реконструкции сакрального пространства ранних курганов Европы и Северного Кавказа. Владикавказ.

Рубинштейн Р. 1980: Египетская мифология. – Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С.

Токарев), 420-427, Москва.

Садрадзе В. 1993: Археологические памятники "Мцхета Великой" эпохи средней бронзы. Тбилиси.

Симонян А. 1983: Могильник эпохи бронзы Верин Навер. – Краткие сообщения института археологии, 176, Москва, 90-96.

Симонян А. 1984**:** Два погребения эпохи средней бронзы могильника Верин Навер. – Советская археология № 3. с.122-135.

Симонян А. 1988: Обсидиан и кремень как атрибуты погребального обряда. – Вопросы изучения армянской народной культуры (Культура и язык. конференция молодых ученых (19-21 апреля 1988 г.). Тезисы докладов. стр. 79-81. Ереван.

Симонян А. 2011: Царские курганы эпохи средней бронзы в Армении (XXV-XX до н.э.). – Археология, этнология, фольклористика Кавказа. Тбилиси, 218-226.

Симонян А. 2013: Шенгавит: Рядовое поселение или ранний город? – Ушардзан (Памятник) № 8, стр. 5-53. Ереван.

Сихарулидзе А. 1970: Вешапы и вешапоиды Грузии. Автореферат. Тбилиси.

Стингл М. 1982: Тайны индейских пирамид. Москва.

Топоров В. 1980: Животные.- Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев). Москва, 440-449.

Топоров В. 1982: Пещера. – Мифы народов мира. Том второй (Гл. ред. С. Токарев), 311-312. Москва.

Топоров В. 1982: Крест. – Мифы народов мира. Том первый (Гл. ред. С. Токарев). Москва, 12-14.

Тепцов В. 1890: Агбулахские легенды. - Сборник материалов для описания местности и племён Кавказа. IX, 131-136.

Уоллис Бадж Е. А. 2002: Египетская Книга мёртвых. Путешествие Души в Царстве Мёртвых. Москва,

Ушаков П. 1941: Хеттская проблема. К вопросу о генезисе и взаимоотношениях индоевропейских и картвельских языков. – Труды ТГУ, XVII, Тбилиси

Фоссе Ш. 2001: Ассирийская магия. СПб.

Франкфорт Г., Франкфорт Г.А., Уилсон Дж., Якобсен Т. 2001: В преддверии философии. Санкт-Петербург.

Фрэзер Дж. 1998: Золотая ветвь: Исследование магии и религии. Москва.

Фрейденберг О. 1996: Игра в кости. – Arbor Mundi, вып. 4, Москва, 163-172

Хачатрян Т. 1963: Материальная культука древнего Артика. Ереван.

Юнг К.Г. 2003: Mysterium Coniunctionis (Таинство воссоединения). Минск.

Юнг К.Г. 2004: Душа и миф. Шесть архетипов. Минск.

Хачатрян Т. 1975: Древняя культура Ширака. Ереван.

Чубинишвили Т. и др. 1976: Итоги полевой работы Квемо Картлийской археологической экспедиции. - ПАИ 1974 года, 19-21. Тбилиси.

Чэдуик Дж. 1976: Дешифровка линейного письма Б. – Тайны древних письмён. Проблемы дешифровки. Москва, 105-254.

Шаншашвили Н., Рамишвили А. 2010: Антропоморфный горельеф из Нацаргора. – Археология Кавказа № 2, 87-98.

Ширакаци Анания 1962: Космография. Ереван.

Элиаде М. 1994: Священное и мирское. Москва.

Элиаде М. 1998: Азиатская алхимия.Москва.

Элиаде М. 2000 : Трактат по истории религий. Том I. Санкт-Петербург

Элиаде М. 2000a: Трактат по истории религий. Том II. Санкт-Петербург.

Элиаде М. 2000b: Аспекты мифа. Москва.

Элиаде М. 2000c: Миф о вечном возвращении. Москва.

Элиаде М. 2004: Йога. Бессмертие и свобода. Санкт-Петербург.

Чэдуик Дж. 1976: Дешифровка линейного письма Б. – Тайны древних письмён. Проблемы дешифровки. Москва, 105-254.

Abramishvili M. 2010: In Search of the Origin of Metallurgy: An Overview of South Caucasian Evidence. – In “Von Maikop bis Trialeti”. Ed. S. Hansen, A. hauptmann, I. Motzenbäcker and E. Pernicka. Bonn, 167-178.

Amiran, R. 1965: Yenik Tepe, Shengavit and Khirbet Kerak Ware. - AS, 15, 165-167.

Areshian G. 2005: Early Bronze Age settlements in the Ararat Plain and its vicinity-Mountains and Valleys (Ed. B. Helwing and A. Ozfirat). Berlin. 2005. pp. 71-88.

Areshian G. 2008: Die Beziehungen der Kulturen des Armenischen Hochlands und der

Zentralgebiete Südkaukasiens zu Vorderasien und der Ägäis der Trialeti-Epoche.- Aramazd. Armenian Journal of Near\Eastern Studies. Vol. III, Issue 2.Yerevan, 51-90.

Arik R.O. 1937: Les Fouilles d'Alaca Höyük entreprises par la Société d'Histoire Turque. Rapporte préliminaire sur les travaux en 1935. Ankara.

Arnaud D., Calvet I., Huot J.-L. **1979:** Ilsu-Ibnisu, orfevre de l E.BABBAR de Larsa. La jarre L.76.77 et son contenu. – Syria, T. 56, Fasc.1/2, pp.1-64.

Aruz, J. 2003: Art and Interconnections in the Third Millennium B.C. – Art of the First Cities. New York, 239-250.

Aynard J.M. 1966: Coquillages mesopotamiens. – Syria, T. 43, Fasc. ½, pp.21-37.

Badalyan R., Avetisyan P. 2007: Bronze and Early Iron Age Archaeological Sities in Armenia, I. Mt. Aragats and its Surrounding Region. BAR international Series 1697. Oxford.

Badalyan R., Smith A., Avetisyan P. 2003: The Emergence of Sociopolitical Complexity in Southern Caucasia: An Interim Report on the Esearch of Project ArAGATS.- Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyord, 47. edit. A. Smith & K. Rubinson. Los Angeles.

Badalyan R., Avetisyan P., Smith A. 2009: Periodization and Chronology of Southern caucasia: From the early Bronze Age through the Iron III period. – In "The Archaeology and Geography of Ancient Transcaucasian Societies", vol. I. University of Chicago Oriental Institute Publications, Chicago, 33-93.

Bahnassi A. **1987:** Das alte Syrien und seine Kunst. Leipzig

Bahrani Z. 2004: The kings head. – Iraq, vol. 66, pp. 115-119.

Barrelet M.-T. 1952: A propos d'une plaquette trouvée a Mari. Syria, 29, Fasc. ¾, 285-293

Belli O., Bashaliev V. 2001: Middle and Late Bronze Age Painted Pottery Culture in the Nakhichevan Region. Istanbul.

Bertram J.-K. 2003: Grab-und Bestattungssitten des späten 3. und des 2. Jahrtausends v. Chr. im Kaukasusgebiet. Langenweissbach.

Black J., **Green A. 1992:** Gods, demons and symbols of Ancient Mesopotamia. University of Texas press, Austin. British Museum press.

Boehmer R.M., Kossack G. 2000: Der figürlich verzierte Becher von KaraSamb. - Alter Orient und Altes Testament. Band 272. S. 9-71. Münster.

Breniquet C. 1992: A propos du vase halafien de la Tombe G 2 de Tell Arpachiyah. - Iraq, Vol. 54, 69-78.

Burney C.A. 1958: Eastern Anatolia in the Chalcolitic and Early Bronze AAge, Anatolian Studies, Vol.VIII. London. gv. 157-209;

Burton Brown T. 1951: Excavation in Azerbaijan, 1948. London.

Cardi B. 1967: The Bampur Sequence in the 3-rd Millennium B.C., Antiquity, vol. XLI.

Cardi B. 1968: Excavation at Bampur, S.E. Iran: A Brief Report. - Iran. vol. VI, 135-155.

Carter E., Hole F., Bahrani Z., Spycket A., Aruz J. 1993: Prehistoric Susa. – The Royal City of Susa. Ancient Near Eastern Treasures in Louvre (Ed. by Harper P. O., Aruz J., Tallon F.). The Metropolitan Museum of Art, New York, 25-46.

Carter T., Dunstov L., Humphreys A. 2004: Syria and Lebanon. Lonely planet.

Cechini S.M. 1965: La ceramica di Nuzi. Roma.

Çilingiroğlu A. 1984: The second millennium painted pottery tradition of the Van Lake Basin. – Anatolian Studies, vol.34, pp. 129-140.

Collon D. 1982: Some Bucket Handles. - Iraq, vol. 44, #1, pp. 95-101.

Cool Root M. 2005: Systems of symbolic expression. –This Fertile Land. Signs+Symbols in the Early Arts of Iran and Iraq (Ed. by M. Cool Root). Michigan.

Dabbagh T. 1965: Hassuna pottery. – Sumer, vol. XXI, #1, 2, 93-111.

Dabbagh T. 1966: Halaf pottery. – Sumer, vol. XXII, #1, 2, 23-43.

Devedjian S. 2006: Lori Berd (Bronze moyen). II. Erevan.

Derahshani J. 1998: Die Arier in den nahostlichen Quellen des 3. und 2. Jahrtausend von Chr., Tehran.

Dolce R. 2004: The "Head of the Enemy" in the sculptures from the palaces of Nineveh. - Iraq, vol. 66, pp. 121-132.

Dshaparidse O. 1995: Die Kura-Araxes Kultur.-In: Unterwegs zum Goldenen Vlies (Herausg. von A. Miron, W. Orthmann), 57-62. Saarbrücken.

Dshaparidse O. 2001: Zur frühen Metallurgie Georgiens vom 3. bis zum 1. Jahrtausend v. Chr. – In: Georgien. Schätze aus dem Land des goldenen Vlies (Herausg. von I. Gambaschidze, A. Hauptmann, R. Slotta und U. Yalcin), 92-119, Bonn.

Dussaud R. 1935: Motifs et symboles du IV e millénaire dans la céramique oriental.- Syria, T. 16. Fasc. 4, 375-392.

Hauptmann H. 1993: Ein Kultgebaude in Nevali Cori. – Between the Rivers and over the Mountains, 37-69. Roma.

Edwards M. R. 1981: The Pottery of Haftavan VI B (Urmia Ware). – Iran, vol, 19, 101-140.

Erdogu B. 2009: Ritual symbolism in the early chalcolithic period of Central Anatolia.- Journal for Interdisciplinary Research on Religion and Science, No.5, 129-151.

Evans A. 1935: The palace of Minos: a comparative account of the successive stages of the early Cretan civilization as illustrated by the discoveries at Knossos. Volume IV, Part I. London.

Feldman, M. 2002: Luxorius Forms: Redefining a Mediterrannean "International Style. 1400-1200 B.C.E. – The Art Bulletin, vol. 84, #1, 6-29.

Fortin M. 1999: Syrie, terre de civilisations. Québec.

Frangipane M., Palumbi G. 2005: Red-Black Ware, Pastoralism, Trade and Anatolian-Transcaucasian Interactions in the 4-th – 3-rd Millennium B.C. - Les Cultures du Caucase (VI-III millenaires avant n.e), pp. 233-255.

Frankfort H. 1977: The art and Architecture of the ancient Orient.Penguin Books. London.

Gilbert A., Bobokhyan A. 2012: Vishapakars – Archaeological Investigation of Relief-Decorated Megaliths in Armenia. – International Symposium on East Anatolia – South Caucasus Culture. Abstracts, 61. Erzurum.

Gimbutas M. 1996: The Goddesses and Gods of Old Europe. 6500-3500 B.C. Myths and Cult Images. Berkley, Los Angeles.

Gensheimer T.R. 1984: The Role of shell in Mesopotamia: evidence for trade exchange with Oman and the Indus Valley. – Paleorient, vol. 10, # 1, pp.65-73.

Godard A. 1964: Die Kunst des Iran. Berlin.

Gogochuri G., Orjonikidze A. 2010: The Kura-Araxes culture settlement and cemetery at Tiseli Seri.- In:Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasian Pipelines. 119-132. Tbilisi.

Gogochuri G. 2008: Archaeological Sites of the Early Barrow Period in the Aragvi gorge. – Ancient Near Eastern Studies # 19, Archaeology in Southern Caucasus: Perspectives from Georgia (Edit. A. sagona and M. Abramishvili). pp. 37-62.

Grigorian A. Le musée d'Histoire d'Armenie.- Les Dossiers d'Archeologie. Dijon, mai-juin 2007 - #321, 20-23.

Jalabadze M. 2014: Bedeni Culture and Berikldeebi Settlement. - In: Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference (Editor-in-chief G. Narimanishvili), 216-225, Tbilisi.

Kant I. 2009: Kritik der Urteilskraft. Meiner Felix Verlag GmbH; Neuauflage. edition.

Kiguradze T., Sagona A. 2003: On the Origins of Kura-Araxses Cultural Complex. – Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyond (ed. by A. Smith and K. Rubinson). Los Angeles, 38-94.

Kipfer B.A., 2000: Encyclopedic Dictionnary of Archaeology. New York.

Koşay H.Z. 1971: Pulur (Sakyol) excavations, 1969. Keban Project 1969 Activities. Ankara.

Koşay H.Z. 1976: Keban Project. Pulur excavations 1968-1970. Ankara.

Kvavadze E., Narimanishvili G. 2006: The Remains of Gossipium, Linum and Sheep Hairs as Textile fibers of Cotton, Flax, Wool in Palinological Material from Bronze Age Bureals. - Palino-Bulletin, vol. 22. Insbruck, pp. 34-37.

Langsdorff A., MacCown D.E. 1942: Tall-I Bakun A. Season of 1932.The University of Chicago, Oriental Institute Publications, vol. LIX. The Unioversity of Chicago press. Chicago. Illinois.

Laneri N., D'Agostino A., Schwartz M., Valentini S., Pappalardo G. 2006: A preliminary report of the archaeological excavations at Hirbemerdon Tepe, southeastern Turkey, 2005.- Anatolica XXXII, Leiden,156-188

Lilyquist C. 1994: The Dilbat Hoard. – Metropolitan Museum Journal, vol. 29, pp. 5-36

Lloyd S., **Mellaart J. 1958:** Beycesultan excavations: Fourth preliminary report, 1957. – Anatolian Studies, vol.VIII, pp. 93-125.

Makharadze Z. 2007: Nouvelles données sur le Chalcolithique en Géorgie orientale. – Les culture du Caucase (VI-III millénaires avant notre ère). Leurs relations avec le Proche-Orient.(Sous la direction de Bertille Lyonnet). Paris, 123-131.

Makharadze Z. 2008: The Settlement at Tsikhiagora and the Early barrows at Kavtiskhevi. – Ancient Near Eastern Studies, Supplement 19. Archaeology in Southern Caucasus: Perspectives from Georgia (Ed. by A. Sagona and M. Abramishvili), 63-103, Peeters. Leuven-Paris-Dudley, MA.

Makharadze Z. 2014: The End of the Early Bronze Age in Georgia. - In: Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference (Editor-in-chief G. Narimanishvili), 226-232, Tbilisi.

Mallory-Greenough L.M. 2002: The Geographical, Spatial, and Temporal Distribution of Predynastic and First Dynasty Basalt Vessels. The Journal of Egyptian Archaeology. Vol. 88. pp. 67-93.

Mallowan M.E.L., Cruikshank Rose J. 1935: Excavation at Tall Arpachiyah, 1933, Iraq, Vol.2, No.1, 1-178.

Mansfeld G. 2001: Die "Konigsgraber" von Alaca Hoyuk und Ihre Beziehungen nach Kaukasien. – Archaologische Mitteilungen aus Iran und Turan. Band 33, Berlin,S.19-61.

Margueron J. 1983: Notes d'archéologie et d'archtecture orientale. – Syria, t. LX, 1-24.

Marinatos N. 2000: The Goddess and the Warrior. London and New York.

Maxwell-Hyslop K.R. 1992: The Goddess Nanše an Attempt to Identify Her Representation. - Iraq, Vol. 54, pp.79-82.

Mazar, A. 2001: On the significance of the Early Bronze III Granary Building at Beit Yerah. – Studies in the Archaeology of Israel and Neighboring Lands in Memory of Douglas Esse (ed. S. R. Wolff), Chicago, 447-463.

Mellaart J. 1958: The End of the Early Bronze Age in Anatolia and the Aegean. – AJA, 62, #1.

Mellaart J. 1962: Excavation at Çatal Hüyük. First Preliminary Report, 1961. – Anatolian Studies, vol. 12, pp. 41-65.

Mellaart J. 1963: Excavation at Çatal Hüyük, 1962: Second Preliminary Report. Anatolian Studies, Vol.13, 43-103.

Mellaart J. 1964: Excavation at Çatal Hüyük, 1963: Third Preliminary Report. Anatolian Studies, Vol.14, 39-119.

Mellaart J. 1966: Excavation at Catal Hüyük, 1965: Fourth Preliminary Report. Anatolian Studies, Vol.16, 165-191.

Mellink M.J., Angel J. L. 1966: Excavations at Karataş-Semayük in Licia, 1965. – American Journal of Archaeology, vol. 70, #3 pp. 245-257.

Mellink M.J., Angel J. L. 1968: Excavations at Karataş-Semayük in Licia, 1967. – American Journal of Archaeology, vol. 72, #3 pp. 243-263.

Mellink M.J. 1969: Excavations at Karataş-Semayük in Licia, 1968. – American Journal of Archaeology, vol. 73, #3, pp. 319-331.

Michalowski P. 1999: Sumer Dreams of Subir. Politics and the Geographical Imagination.- In: At the Grossroads of Civilizations in Syro-Mesopotamian Realm (Ed. by K. van Lerberghe and G. Voet), 305-316, Leuven..

Moon J. 1982: The Distribution of Upright-Handled Jars and Stemmed Dishes in the Early Dynastic Period. - Iraq, vol. XLIV, pp. 39-69.

Müller-Karpe M. 1995: Zu den Erdgräbern 18,20 und 21 von Assur. Ein Beitrag zur Kenntnis mesopotamischer Metallgefäβe und waffen von der Wende des 3. zum 2. Jahrtausend v. Chr. Sonderdruck aus Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 42: 257-352.

Müller-Karpe M. 2012: Waffenweinungen im Vorderen Orient. – Waffen für die Götter. Krieger Trophäen Heiligtümer, 23-28, Innsbruck.

Muscarella O. W. 2005: Jiroft and "Jiroft-Aratta". A review article of Yousef Madjidzadeh, Jiroft: The earliest Oriental Civilization. – Bulletin of the Asia Institute, 15, 173-198.

Narimanishvili G., Shanshashvili N., Narimanishvili D. 2012: Menhirs from South Caucasus. – International Symposium on East Anatolia – South Caucasus Culture. Abstracts, 131. Erzurum.

Narimanishvili D. 2014: Middle Bronze Age Metal Vessels from South Caucasus. – Problems of Early Metal age archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference (Editor-in-chief G. Narimanishvili),. Tbilisi, 286-299.

Neve P. 1993: Hattusa – Stadt der Gotter und Tempel. Mainz am Rhein.

O' Neill J. P. (Ed. in Chief) 1999: Egyptian Art in the Age og the Pyramids. Metropolitan Museum of Art, New York.

Oats J. 1993: An Akkadian administrative device from Tell Brak. – In: Between the rivers and over the mountains. Archaeologica Anatolica et Mesopotamica Alba Palmieri dedicata. Ed. by M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae, M. Mellink. Roma, pp. 289-305.

Özdoğan M., Başgelen N. 1999: Neolithic in Turkey. The Cradle of Civilization. Istanbul

Özfirat A. 2001: Dogu Anadolu Yayla Kulturleri. Istanbul.

Özgüc T. et all (Eds) 2002: Özgüc T., Temizsoy I., Kleine S. 2002: Die Hethiter und ihr Reich. Bonn.

Peters J., Schmidt K. 2004: Animals in the symbolic world of Pre-Pottery Neolithic Göbekli Tepe, south-eastern Turkey: a preliminary assesment. – Anthropozoologica 39 (1), 179-218.

Pitschelauri K. 1984: Au pays de la Toison d'or. – Les Dossiers histoire et archeology, #88. -– In: ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, 214-222. თბილისი.

Pitschelauri K., Kiladze R. 2012: A new indication for the specific dating of Trialeti culture. – Archaeology in Armenia in Regional Context (Ed. by P. Avetisyan and A. Bobokhyan),106-109, Yerevan.

Pizchelauri K. 2002: South Caucasian ancient civilization in Gareji desert (Udabno). – Festschrift fur Manfred Korfmann; Mauer Schau; Band 2; Remschalden-Grunbad. – In: ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, 243-253. თბილისი.

Pizchelauri K., Orthmann W. 1992: Der Kurgan "Tetri Kwebi I". – Georgica; Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. Jahrgang, Heft 15. - In: ფიცხელაური კ. 2013: სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, 113-118. თბილისი.

Poidebard A. 1930: Statue trouvee a Tell Brak. - Syria, #11, pp.360-364.

Porada E. 1966: Les Cylindres de la Jarre Montet.- Syria. T.XLIII. Paris. p.243-258.

Postgate J.N., Moorey P.R.S. 1976: Excavation at Abu Salabikh, 1975. - Iraq, vol. 38, #2, pp. 133-169.

Prasad P.Ch., 2003: Foreign Trade and Commerce in Ancient India. New Delhi,

Przeworski St. 1940: Le cult du cerf en Anatolie. – Syria, t. XXI, 62-76.

Puturidze M. 2003: Social and Economic Shifts in South Caucasian Middle Bronze Age. – Archaeology in the Borderlands. Investigations in Caucasia and Beyonds (Edited by A. T. Smith and K.S. Rubinson), Los Angeles, 111-127.

Puturidze M. 2005: About the problem of South Caucasian- Near Eastern cultural relations according to the items of artistic craft during the first half of the 2nd millennium BC. – Metalla, # 12, ½ pp. 8-22. Bochum.

Puturidze M. 2014: For the Assign of Middle Bronze Age Phases and Upper Chronological Limit of the Trialeti Culture. – In: Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference (Editor-in-chief G. Narimanishvili), 278-285, Tbilisi.

Puturidze M., Rova E. 2012: The Join Shida Kartli Archaeological Project: Aims and Results of the First Field Season (Autumn 2009). – Proceedings on the 7th International Congress on the Ancient Near East. 12 April – 16 April 2010, the British Museum and UCL, London, vol. 3 (Ed. by R. Matthews and J. Curtis), 51-70, Wiesbaden.

Reden, von S. 1989: Die Megalith-Kulturen. Zeignisse einer verschollenen Urreligion. Köln.

Reisner G. A. 1929: The household furniture of queen Hetep-heres I. – Bulletin of the Museum of fine arts, vol. XXVII, # 164, Boston, pp. 83-90.

Rova E., Puturidze M., Makharadze Z. 2011: TheGeorgian-Italian Shida Kartli Archaeological Project: A Report on the First two Field Seasons 2009 and 2010. – Rivista di Archeologia, Anno XXXIV, 5-53.

Rubinson K.S. 1977: The Chronology of the Middle Bronze Age Kurgans at Trialeti. – Bibliotheca Mesopotamica VII, Mountains and Lowlands: Essay in the Archaeology of Greater Mesopotamia, ed. by L.D. Levine and T.C. Young. Malibu.

Rubinson K.S. 2001: Metal Vessels with Basket Handles at Trialeti. - კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი. დამატებანი. VI. გვ. 117-122. Tbilisi.

Rubinson K.S. 2003: Sylver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of Economic Exchange in the Early Second Millennium BC. - Archaeology in the Border-lands.Investigations in Caucasia and Beyond. Monograph 47. p.128- 143. Los Angeles.

Rubinson K.S. 2009: Revisiting the Sylver Vessels from Trialeti. - Georgian Art in the Context of European and Asian Cultures. Vakhtang Beridze 1st International Symposium of Georgian Culture. pp. 18-20. Tbilisi.

Rubinson K.S. 2013: Actual Imports or Just Ideas? Investigations in Anatolia and the Caucasus. – Cultures in Contact. From Mesopotamia to the Mediterranean in the Second Millennium B.C. The metropolitan Museum of Art, 12-25, New York.

Sagona A., Zimansky P. 2010: Ancient Turkey. London and New York.

Schmandt-Besserat D. 1977: The earliest precursor of writing. – Scientific American, vol. 238, # 6, pp. 50-58.

Schmandt-Besserat D. 1979: An archaic recording system in the Uruk-Jemdet nasr period. – American Journal of Archaeology, vol. 83, # 1, pp. 19-48./

Schmandt-Besserat D. 1992: Before writing. Vol. I. From counting to cuneiform. University of Texas press. Austin.

Schmandt-Besserat D. 2007: From tokens to writing: the pursuit of abstraction. – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 175, # 3, 162-167.

Schmidt K. 2000: Göbekli Tepe, Southeastern Turkey. A preliminary Report on 1995-1999 Excavations.- Paléorient, Vol. 26, No 1, 45-54.

Schmidt K. 2010: Göbekli tepe – the Stone Age Sanctuaries. New results of ongoing excavations with a special focus on sculptures and high reliefs. – Documenmta Praehistorica, XXXVII, 239-256.

Schmidt K. 2011: Göbekli tepe. In: Özdoğan M., Başgelen N., Kuniholm P. 2011: The Neolithic in Turkey. New Excavations and new Research. The Euphrates Basin. 42-84. Istanbul.

Seeher J. 1987: Die Keramik 1.- Korfmann M. (Hrsg). Demircihuyuk. Band III,1. Mainz am Rhein.

Seipel W. (Herausg.) 2001: 7000 Jahre persische Kunst. **2001.** Bonn.

Shahnazarian A., Mkrtchian I. 2003: The State Museum of Armenia.St.Petersburg.

Shanshashvili N., Narimanishvili G. 2014: Environment and Dwelling in the Early and Middle Bronze Agees South Caucasus. – In: Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasus and Anatolia. Proceedings of International Conference (Editor-in-chief G. Narimanishvili), 245-264, Tbilisi.

Smith A., Badalyan R., Avetisian P., Zardaryan M. 2004: Early Complex Societies in Southern Caucasia: A Preliminary Report on the 2002 Investigations by bProject ArGATS on the Tsakahovit Plain Republic of Armenia. – American Journal of Archaeogy 108. 1-41.

Smith A., Badalyan R., Avetisian P. 2009: The Archaeology and Geography of Ancient Transcaucasian Societies, vol. 1. The foundations of research and regional survey in the Tsaghkahovit Plain, Armenia. OIP, vol. 134. Chicago

Stadelmann 1991. Stadelmann R. Die Ägiptische Piramiden. - Kulturgeschichte der Antike Welt, Band 30. Mainz am Rhein.

Stein D. 1984. Khabur ware and Nuzi ware: their origin, relationship, and significance. - Assur # 4/1.

Temizsoy I. 1997: The Museum of Anatolian Civilization. Ankara.

Wegner I. 1981: Gestalt und Kult der Istar-Sawuska in Kleinasien. Neukirchen-Vluyn.

Wiggermann F.A.M. 1992: Mesopotamian Protective Spirits. The ritual texts. Croningen.

Woolley L. 1934: Ur excavations. The Royal cemetery, vol. II. London.

Woolley L., **Mallowan M. 1976:** Ur excavations, vol.VII. The old Babylonian period. British Museum publications.

Yakar J. 1992: Beyond the Eastern Borders of the Hittite Empire: An Archaeological Assesment. – Festscrift fur Sedat Alp. Hittite and other Anatolian and Near Eastern Studies in Honour of Sedat Alp. Ankara.

Zettler R.L.**, Horne L. 1998:** Tresure from the Royal Tombs of Ur. Pennsylvania

http://www.metmuseum.org.

http://www.digitalegypt.ucl.ac.uk.

http://www.petrie.ucl.ac.uk.

http://www.archaeology.org/0811/abstracts/turkey.html.

http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/65145.html

http://www.glossary.ru/cgi-bin/gl_sch2.cgi?RQlrojount:l!qzr;y:

ტაბულების აღწერილობა

I. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების გავრცელების რუკა.

II. ყორღანის გარეგნული ფორმა. 1. სამგორის ყორღანების ხედი (ფოტო ავტორისა).

III. წნორის № 1 ყორღანი (Дедабришвили 1979: ტაბ. IV).

IV. ბაკურციხის ყორღანი (Picxelauri 2013: 106, ტაბ. II-IV).

V. ანანაურის № 3 ყორღანი. 1. სამარხი კამერის გადახურვა; 2. სამარხი კამერა (Makharadze 2014: 229, ტაბ. I).

VI. მარტყოფის №1 ყორღანი. 1. გეგმა და ჭრილი; ქვის აკლდამა და მოედანი (ჯაფარიძე 1998: სურ. 2, ტაბ. II, XXIII).

VII. მარტყოფის № 4 ყორღანი. 1. ტოპოგრაფიული ანაზომი და ჭრილი; 2. გეგმა ჯაფარიძე 1998: სურ. 10; საქართველოს არქეოლოგია 1992: ტაბ. CXLIII).

VIII. წნორის № 1 ყორღანი. 1. გეგმა; 2. ქვის წრიული ნაგებობის ჭრილები; 3. ქვის წრიული ნაგებობა; 4. წრიული ნაგებობის გამოვლენის პროცესი (Дедабришвили 1979: ტაბ. X, XI).

IX. წნორის № 1 ყორღანი. 1. სამარხი კამერის გეგმა და ჭრილები; 2. სამარხი კამერის საერთო ხედი (Дедабришвили 1979: ტაბ. IV, LXIV).

X. საბიდახჩას ქვაყრილიანი ყორღანები (ფოტო ავტორისა).

XI. თრიალეთის XXXVI (თოფ კარი I). გეგმა და ჭრილები (Куфтин 1941: სურ. 90).

XII. მაღაროს ყორღანი (Пицхелаури и др. 1995: 76-77, ტაბ. 125-127).

XIII. კავთისხევის (კატრიანი) ყორღანი (Makharadze 2008: სურ. 33).

XIV. თრიალეთის ყორღანები. 1. III ყორღანი; 2. XVIII ყორღანი (Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 8, 9).

XV. ზურტაკეტის № 6 ყორღანი. გეგმა; 2. სამარხი კამერა, გეგმა (ჯაფარიძე 1969: სურ. 38, 41).

XVI. მესხეთის ყორღანები. 1. ჭაჭკარის № 2 ყორღანი (ჯაფარიძე და ხვ. 1981: სურ. 45); ოქროყანის № 1 ყორღანი (Гамбашидзе и др. 1991: 32, ტაბ. 70).

XVII. 1. მარი (Fortin 1999: სურ. 282); 2. ხიზანაანთგორა (კიკვიძე 1972: 16, ტაბ. XXIV-1); 3-4. წრიული ნაგებობა აბულის „ციკლოპურ“ კომპლექსთან;

XVIII. შაორის „ციკლოპური“ კომპლექსი. 1. გენგეგმა; 2. სერპანტინისებური გზა (გ. ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. XLI-2; XLIV-1).

XIX. თრიალეთის XLVII, XLIX, LI ყორღანები, გეგმა (ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. VII).

XX. თრიალეთის ყორღანები. 1. III ყორღანი; 2. VI ყორღანი; 3. VIII ყორღანი; 4. XV ყორღანი; 5. XVII ყორღანი (ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. IX, X).

XXI. ზურტაკეტის ყორღანები. 1. ყორღანი № 3; 2. ყორღანი № 4; 3-4. ყორღანი № 6 (ნარიმანიშვილი 2006: ტაბ. IX).

XXII. 1. ყარაშამბის ყორღანი (ფოტოს მოწოდებისათვის და მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვახსენებთ პროფ. პ. ავეტისიანს); 2. თრიალეთის XLVII ყორღანის სარიტუალო გზა (ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. VIII-1).

XXIII. 1. მენკაურას პირამიდა; 2. ურის დიდი ზიკურატი; 3. ჩიჩენ იცა (Google Earst).

XXIV. ზურტაკეტის № 6 ყორღანის რეკონსტრუქციები (ნარიმანიშვილი 2009: ტაბ. LXIII).

XXV. სახლის მოდელები. 1. ხიზანაანთგორა (შანშაშვილი 2011: ტაბ. I-1); 2. ქვაცხელა (შანშაშვილი 2011: ტაბ. I-6); 3. ოზნი (შანშაშვილი 2011: ტაბ. I-3); 4. ამირანის გორა (შანშაშვილი 2011: ტაბ. I-4); 5. დიგაშენი (შანშაშვილი 2011: ტაბ. I-2); 6. თეღუთძორი (ჩანახატის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ისტ. მეცნ დოქტორს, პროფ. რ. ბადალიანს).

XXVI. ციხიაგორას № 1 სახლი. გეგმა (მახარაძე 1994: ტაბ. XVII).

XXVII. ციხიაგორას B2 დონის გეგმა (მახარაძე 1994: ტაბ. VII).

XXVIII. 1. ანთროპომორფული ფიგურა. ციხიაგორა (Makharadze 2008: სურ. 29-1); 2. ხარის ქანდაკება. ციხიაგორა (Makharadze 2008: სურ. 16-1); 3. თიხის კერპი. ჟინვალი (Gogochuri 2008: სურ. 12); 4. თიხის ჰორელიეფი. ხაშურის ნაცარგორა (შანშაშვილი, რამიშვილი 2010: ტაბ. III); 5. გამოსახულება. მესოპოტამია (Дьяконов И. 1990: 62, 335); 6. კერის შვერილი. ზველი (ფოტო და ნახატი მოგვაწოდა ისტ. მეცნ დოქტორმა ა. ორჯონიკიძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ).

XXIX. ჟინვალის სამლოცველო (Gogochuri 2008: სურ. 4, 6). 1. გეგმა; 2. საერთო ხედი

XXX. ბერიკლდეები. გეგმა (ჯაფარიძე 2003: სურ. 115).

XXXI. ბერიკლდეები. 1. ბაქანი; 2. კერა ანთროპომორფული გამოსახულებებით (Jalabadze 2014: სურ. 3, 4).

XXXII. შენგავითის ნამოსახლარი. 1. გენგეგმა; 2. ნამოსახლარის ხედი (ფოტო მოგვაწოდა ისტ. მეცნ. დოქტორმა ა. სიმონიანმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).

XXXIII. 1. შაორის „ციკლოპური“ კომპლექსი. მენჰირი გზასთან; 2. შაორის „ციკლოპური“ კომპლექსი. მენჰირი საკულტო მოედანზე; 3. სოფ. გველეთი, მთავარანგელოზის სამლოცველო.

XXXIV. გობეკლი თეფე (Schmidt K. 2010: სურ. 4, 5, 22).

XXXV. მენჰირები. 1. განძა; 2. მურჯახეთი; 3. თეთრიწყარო; 4. თიქმა-დაში; 5. რეხა; 6. თეჯისი; 7. სანთა; 8. შიპიაკ-სანომერი (ნარიმანიშვილი და სხვ. 2013: ტაბ. II-IV).

XXXVI. 1. თრიალეთის XIV ყორღანი; 2. თრიალეთის XVIII ყორღანი (ნარიმანიშვილი და სხვ. 2013: ტაბ. XII-1,3).

XXXVII. ნადარბაზევის № 2 ყორღანი. 1. ობსიდიანის ისრისპირები; 2. კაჟის ისრისპირები; 3. ძვლის ისრისპირები; 4. ძვლის ცილინდრული ნივთები; 5. ქვის იარაღები (გობეჯიშვილი 1981: ტაბ. VI-IX).

XXXVIII. ჟეტონები/ტოკენები. 1. ნადარბაზევის № 2 ყორღანი (ნარიმანიშვილი დ. 2013: ტაბ. IX-XII); 2. მარტყოფის № 4 ყორღანი (ნარიმანიშვილი დ. 2013: ტაბ. VIII, 1-5); 3. ბულები ტელ ბრაკიდან (Oats J. 1993: სურ. 6-8); 4-6. ჟეტონები/ტოკენები ახლო აღმოსავლეთიდან (Schmandt-Besserat D. 1992: 217-225); 7, 10,11. თიხის და ქვის ჟეტონები/ტოკენები ახლო აღმოსავლეთიდან (Schmandt-Besserat D. 1992: 37, 52, 64, 105, სურ. 25.1, 31.533, 101). 8. ქვის სფერული ჯეტონები/ტოკენები ნადარბაზევის № 2 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: ტაბ. VIII); 9. ტოკენები. სუზა, ირანი (Schmandt-Besserat D. 1992: 163, სურ. 101).

XXXIX. 1-11. ლითონის ნივთები ნადარბაზევის № 2 ყორღანიდან (გობეჯიშვილი 1981: ტაბ. X); 12. ოქროს სამართებელი დედოფალ ჰეთეფ-ჰერესის სამარხიდან, ეგვიპტე (Reisner G. A. 1929: სურ. 10, 11); 13-16. ბრინჯაოს სამართებლები, კარატას-სემაჰუიუქის სამაროვნიოდან, ანატოლია (Mellink 1967: სურ. 19-20; Mellink 1969: 326, სურ. 15, 17); 17. მარტყოფის № 3 ყორღანი (ჯაფარიძე 1998: ტაბ. XXIII).

XL. თიხის ჭურჭელი. ნადარბაზევის № 2 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: სურ. 4,5).

XLI. წიწამურის № 13 სამარხი. 1. გეგმა; 2. საერთო ხედი (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: სურ. 530).

XLII. წინწყაროს № 1 ყორღანი (ნარიმანიშვილი და სხვ. 2013: ტაბ. IV).

XLIII. ინვენტარის და სამსხვერპლო ცხოველების განლაგება ყორღანებში. 1. თრელია № 43 (აბრამიშვილი 1978: ტაბ. XII-2); 2. ლორი ბერდის № 77 სამახი (Deveddjian 2006: ტაბ. 32); 3. ლჭაშენის № 6 სამარხი (Хазадян 1962: სურ. 23).

XLIV. დასკრძალავი ურმები. საბიდახჩას № ?? ყორღანი (ჯაფარიძე 1969: სურ. 47-48); 2. ბედენის № 5 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: სურ. 9,34); 3. ხის საზიდრები ლჭაშენის №№9 და 11 ყორღანებიდან, ძვ.წ. XV-XIV სს. (Shahnazarian A., Mkrtchian I. 2003: 23, სურ. 27 მიხედვით); 4. ადრებრინჯაოს ხანის ურემი. ბადაანი (მირცხულავა 2000: 37-38, ტაბ. II-1); 5. შტანდარტის დეტალი ურიდან (Woolley 1934: ტაბ. 92 მიხედვით); 6. ურის დასაკრძალავი კამერის RT 789 რეკონსტრუქცია (Woolley 1934: ტაბ. 30 მიხედვით).

XLV. დაკრძალვის რიტუალის რეკონსტრუქცია.

XLVI. მსხვერპლშეწირვის რიტუალი. წიწამურის № 13 ყორღანში დაკრძალული ცხვარი (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: სურ. 536).

XLVII. სამარხებში დაკრძალული ცხვრები. 1. წიწამურის № 16 სამარხი (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: სურ. 611); სიონის № 4 სამარხი (მენაბდე, კიღურაძე 1981, 34, სურ. 5).

XLVIII. თრიალეთის ვერცხლის თასი.

XLIX. ყარაშამბის ვერცხლის თასი.

L. 1-13. თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასებზე გამოსახული ავეჯი (Нариманишвили Д. 2010**:** 227); 14. ხის სკამი ანანაურის № 3 ყორღანიდან (Makharadze 2014: ტაბ. II-1).

LI. სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ლითონისა და თიხის ჭურჭლები: 1. ბრინჯაოს ჭურჭელი წითელგორების ყორღანიდან (ფიცხელაური კ. 2005: ტაბ. XLV-1); 2. ასური (Müller-Karpe M. 1995: სურ. 7-1); 3. ლარსა (Müller-Karpe M. 1995: სურ. 7-8); 4. ური (Müller-Karpe M. 1995: სურ. 6-13); 5. ნუზი (Stein 1984: ტაბ. V-VII); 6. ჯიროფტი (Muscarella 2005: 193, სურ.

15); 7, 8. ნუზი (Cecchini 1965: სურ. 128, 245); 9. ჯიროფტი (Muscarella 2005: 190-191, სურ. 10-12); 10. ლურისტანი (Müller-Karpe M. 1995: სურ. 7-19); 11. კალე ნისარი (Müller-Karpe M. 1995: სურ. 7-13); 12. თეფე გურანი (Müller-Karpe M. 1995: სურ. 7-14); 13-15. ასური (Müller-Karpe M. 1995: 301, სურ. 39). 17. ყარაშამბის ვერცხლის თასი, დეტალი (Narimanishvili D. 2014: ტაბ. IV-9); 18. თრიალეთის ვერცხლის თასი, დეტალი (Narimanishvili D. 2014: ტაბ. IV-10); 18. არსლანთეფე (Frangipane M., Palumbi G. 2005: 237, სურ. 4,5); 19. ლორი ბერდი (Деведжян С. 1981: ტაბ. X-4).

LII. თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასებზე გამოსახული სასმისები და მათი ძველაღმოსავლური პარალელები: 1,2. თრიალეთის ვერცხლის თასი. დეტალი (თავისუფალი რეკონსტრუქცია დ. ნარიმანიშვილის); 3. იშთარის ქანდაკება მარიდან (Frankfort H. 1977: სურ. 131, 132); 4,5. ყარაშამბის ვერცხლის თასი. დეტალი (თავისუფალი რეკონსტრუქცია დ. ნარიმანიშვილის); 6. გუდეას ქანდაკება; 7. შტანდარტის დეტალი ურიდან (Woolley 1934: ტაბ. 92 მიხედვით); 8, 9. ოქროს ჭურჭელი ურის სამეფო სამარხებიდან ((Woolley 1934: ტაბ. 162, 163); 10. ურ-ნანშეს სტელა. დეტაილ (Frankfort H. 1977: სურ. 73); 11-17. ყარაშამბის ვერცხლის თასზე გამოსახული ჭურჭელი (Boehmer R.M., Kossack G. 2000: 18).

LIII. თრიალეთისა და ყარაშამბის ვერცხლის თასებზე გამოსახული ტანსაცმელი: 1,2. თრიალეთის ვერცხლის თასი, დეტალები (Б. Куфтин 1941: 89-91); 3-26. ყარაშამბის ვერცხლის თასი, დეტალები (R. Boehmer, G. Kossack 2000: 17-21).

LIV. სამხრეთ კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ბრინჯაოს ხანის ტანსაცმელი: 1. დვინი (К. Кушнарёва 1977: 12, ნახ. 13); 2. ართიკი (Т. Хачатрян 1963: 134); 3. ხეთური რელიეფ (Die Hethiter und ihr Reich 2002: 164, 275); 4. ლურისტანი (A. Godard 1964: სურ. 24, 64; ტაბ. 21); 5,6. მარი (И. Дьяконов 1990: 40); 7. საფარ-ხარაბა (Г. Нариманишвили 2004: 106).

LV. ზურტაკეტის ყორღანების ქვებზე გამოსახული ნიშნები (ჯაფარიძე 1969: სურ. 68, 70, 72,73).

LVI. ზურტაკეტის ყორღანის ქვებზე გამოსახული ნიშნები. დეტალები (ჯაფარიძე 1969: სურ. 72,73).

LVII. გამოსახულებები ლორი ბერდის №79 სამარხის და ხის საზიდრის კედლებზე (Devedjian S. 2006: ტაბ. XIV, XVI-1).

LVIII. სიუჟეტური გამოსახულებები სამხრეთ კავკასიის სუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე. 1. ახჩიის №4 ყორღანი (ჯაფარიძე და სხვ. 1981: 47, სურ. 14); 2, 11. გაზიანთეფეს მუზეუმის ექსპონატი (Özfirat A. 2001: ტაბ. 99-3, 6); 3. ხანლარი (Г. Арешян 1988: 91-92 ტაბ. I-2); 4. არუჩი (Г. Арешян 1988: 84-86, ტაბ. I-3); 5. გეთაშენის ყორღანი (Г. Арешян 1988: 84-86, ტაბ. I-1); 6, 8. სარველის სამაროვანი (Özfirat A. 2001: ტაბ. 37, 38); 7, 9. ერზერუმის მუზეუმის ექსპონატები (Özfirat A. 2001: ტაბ. 85); 10. შახტახტი (Özfirat A. 2001:ტაბ. 22); 12. ელარი (Özfirat A. 2001: ტაბ. 11-3); 13. ყიზილ ვანქის სამაროვანი (Özfirat A. 2001: ტაბ. 27-11).

LIX. ამულეტები. 1. მარტყოფის №4 ყორღანში აღმოჩენილი ცხოველის კბილები (ჯაფარიძე 1998: სურ. 16); 2. მარტყოფის №1 ყორღანში არმოჩენილი ცხვრის კოჭები (ჯაფარიძე 1998: სურ. 3); 3-4. მარტყოფის № 1 და მაღაროს ყორღანებში აღმოჩენილი ცხოველის კბილები (ჯაფარიძე 1998: სურ. 3); 5-7. წნორის №1 ყორღანში აღმოჩენილი კოჭები (Дедабришвили Ш. 1979: ტაბ. XL-2, XLI-2, XLII-2).

LX. სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი ამულეტები (Нариманишвили Д. 2010a: 224).

LXI. ქვის ჭურჭელი სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან: 1. ლორი ბერდი, სამარხი №75 (Devedjian S. 2006: სურ. 75); 2. ლორი ბერდი, სამარხი №92 (Devedjian S. 2006: სურ. 109); 3. ლორი ბერდი, სამარხი №83 (Devedjian S. 2006: სურ. 83); 4. ლორი ბერდი, სამარხი №61 (Devedjian S. 2006: სურ. 79); 5, 8. ახჩია, ყორღანი №1 (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: სურ. 16); 6, 7. ახჩია, ყორღანი №2 (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: სურ. 16); 9. ახჩია, ყორღანი №12 (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: სურ. 23); 10. ახჩია, ყორღანი №9 (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: სურ. 18); 11. დუმეილა, ყორღანი №2 (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: სურ. 56); 12. ზურტაკეტი, ყორღანი №3 (ჯაფარიძე 1969: სურ. 12); 13. თრიალეთი (Жоржикашвили Л. Гогадзе Е. 1974: ტაბ. 62); 14. ჭაჭკარი (ჯაფარიძე ო. და სხვა 1981: ტაბ. LXI).

LXII. სამხრეთ კავკასიის და ანატოლიის ტორევტიკა (Narimanishvili D. 2014: ტაბ. I, II, V).

LXIII. შტანდარტი. სადუღას №2 ყორღანი: 1-7. შტანდარტის ნაწილები (დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. 1984: ტაბ. XXXI); 8. შტანდარტის რეკონსტრუქცია. ეროვნული მუზეუმის გამოფენა.

LXIV. შტანდარტები თრიალეთის ყორღანებიდან. 1,2. შტანდარტი XV ყორღანიდან (Куфтин Б. 1941: ტაბ. C); 3. შტანდარტი VI ყორღანიდან (Куфтин Б. 1941: ტაბ. XCIX); 4. შტანდარტი XVI ყორღანიდან (Куфтин Б. 1941: სურ. 105).

LXV. დისკოსებური შტანდარტები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან: 1. ნადარბაზევის №5 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: სურ. 10); 2. ნადარბაზევის №5 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: სურ. 11); 3. მარტყოფის №3 ყორღანი (ჯაფარიძე 1998: სურ. 24); 4. კუდურლი, №14 ყორღანი (Ахундов Т. 2001: სურ. XXXV-4); 5-9. ბრინჯაოს შტანდარტები (ჯაფარიძე

1998: XXVI); 10. თრიალეთი, L ყორღანი; 11. ყარაშამბი (Оганесян В. 1993: ტაბ. XXVII, 1-8).

LXVI. ღუზისებური ფორმის ცულები სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან: 1. კუდურლი, №14 ყორღანი (Ахундов Т. 2001: სურ. XXXV-3); 2. იჯევანი (Мартиросян А.А. 1964:72, სურ.36); 3. ყარაშამბი (Оганесян В. 1993: ტაბ. XXVI); 4. ბედენის №12 ყორღანი (Dshaparidse O. 2001:106); 5. ური, ცული მეფე შულგის (ძვ.წ. 2094-2047 წწ.) წარწერით. ინახება ერაყში, ბაღდადის მუზეუმში (Müller-Karpe M. 2012: სურ. 2).

LXVII. კვერთხისთავები შუა ბრინჯაოს სამარხებიდან : 1. ანაგის №1 ყორღანი (ჯაფარიძე 1998: სურ. 42); 2. კუდურლი, ყორღანი №13 (Ахундов Т. 2001: სურ. XXXIV-5); 3. თრიალეთი, ყორღანი XL (გოგაძე 1972: ტაბ. 12-2); 4. ქვასათალი, №6 სამარხი (ჯაფარიძე 2009: სურ. 21); 5. კორინთო (ჯაფარიძე 2009: სურ. 34); 6. ზილიჩას №2 ყორღანი (ჯაფარიძე 1998: სურ. 30-6); 7. 8. ქვემო ქედი (Дедабришвили Ш. 1969: ტაბ. III-2); 9. თრიალეთი (ჯაფარიძე 1998: ტაბ. XXXIII).

LXVIII. ტრაპეციისებური ფიგურის გამოსახულება თრიალეთის ყორღანების კერამიკაზე: 1,2. ყორღანი XLV (გოგაძე 1972: ტაბ. XXXII-2,4); 3,4,6,7,10,11. ყორღანი XXXVI (გოგაძე 1972: ტაბ. 28-26,27,37; ტაბ. 29-1,15,17,18); 5,9. ყორღანი V (გოგაძე 1972: ტაბ. 17-29, 33); 8. ყორღანი XVII (გოგაძე 1972: ტაბ. 24-31).

LXIX. ჯვრისა და სვასტიკის გამოსახულებები თრიალეთის ყორღანების კერამიკაზე: 1,4,5. ყორღანი XXXVI (გოგაძე 1972: ტაბ. 28-28,29,31); 2,7. ყორღანი V (გოგაძე 1972: ტაბ. 17-40,4). 3. ყორღანი XXXIV (გოგაძე 1972: ტაბ. 27-21); 6, 10,13-15. ყორღანი XXIX (გოგაძე 1972: ტაბ. 29-16,19,22,27,31); 8,11,12. ყორღანი XLV (გოგაძე 1972: ტაბ. 31-18, 32-6); 8. ყორღანი XXXVIII (გოგაძე 1972: ტაბ. 26-8);

LXX. თიხის ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებიდან: 1,2. ყორღანი VII (გოგაძე 1972: ტაბ. 19-8, 20)); 3,4,6. ყორღანი XVII (გოგაძე 1972: ტაბ. 24-12,13,15); 5. ყორღანი XVIII (გოგაძე 1972: ტაბ. 24-14); 7,8. ყორღანი XV (გოგაძე 1972: ტაბ. 23-12,13).

LXXI. შავპრიალა კერამიკა მესხეთის ყორღანებიდან: 1-6. ახჩიის №2 ყორღანი (ჯაფარიძე და სხვ. 1981: სურ. 5-22,38,44,46,47,71).

LXXII. შავპრიალა კერამიკა ზურტაკეტის ყორღანებიდან: 1,2,4-6. ყორღანი №3 (ჯაფარიძე 1969: სურ.13,15,18,19,20); 3. ზურტაკეტის №6 ყორღანი (ჯაფარიძე 1969: სურ. 42).

LXXIII. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები თრიალეთის კულტურის ყორღანებიდან: 1,24 ყორღანი VI (გოგაძე 1972: ტაბ.18-14,33); 2,17. ყორღანი XV (გოგაძე 1972: ტაბ. 22-10, 23-6); 3-10, 15, 22. ყორღანი XXXVI (გოგაძე 1972: ტაბ. 28-3, ტაბ. 29-2,3,4,5,6,10,12); 11,14,16,19,23. ყორღანი XLV (გოგაძე 1972: ტაბ. 31-3,9,10,13,29); 12,13. ყორღანი V (გოგაძე 1972: ტაბ. 17-37,42); 18, 25. ყორღანი VIII (გოგაძე 1972: ტაბ. 20-21, 26); 20. ყორღანი VII (გოგაძე 1972: ტაბ. 19-19); 21. ზურტაკეტი, ყორღანი №4 (ჯაფარიძე 1969: სურ. 35).

LXXIV. შავპრიალა კერამიკა ლორი ბერდის სამაროვნიდან: 1-3,6. სამარხი №65 (Devedjian 2006: ტაბ. 81-1, ტაბ. 82-3,4,5); 4.სამარხი №66 (Devedjian 2006: ტაბ. 85-1); 5. სამარხი №61 (Devedjian 2006: ტაბ. 76-1).

LXXV. შავპრიალა კერამიკა ლორი ბერდის სამაროვნიდან: 1,2. სამარხი №91 (Devedjian 2006: ტაბ.107-2,3); 3. სამარხი №77 (Devedjian 2006: ტაბ. 91-3); 4. სამარხი №87 (Devedjian 2006: ტაბ.104-6); 5. სამარხი №71 (Devedjian 2006: ტაბ. 86-1); 6. სამარხი №78 (Devedjian 2006: ტაბ. 95-1).

LXXVI. შავპრიალა კერამიკა ლორი ბერდის და კიროვაკანის (ვანაძორის) სამარხებიდან: 1. ლორი ბერდის №6 სამარხი (Devedjian 2006: ტაბ. 72-1); 2. ლორი ბერდის №77 სამარხი (Devedjian 2006: ტაბ. 93-2); 3-5. კიროვაკანის (ვანაძორი) ყორღანი (Devedjian 2006: ტაბ. 138-2,5,6); 6,7. ლორი ბერდის №94 სამარხი (Devedjian 2006: ტაბ.110-1,2); 8. ლორი ბერდის №77 (Devedjian 2006: ტაბ. 92-6).

LXXVII. კერამიკის ორნამენტის ნიმუშები ა. ოზფირატის მიხედვით (Özfirat 2001: ტაბ. 114).

LXXVIII. კერამიკის ორნამენტის ნიმუშები ა. ოზფირატის მიხედვით (Özfirat 2001: ტაბ. 114).

LXXIX. ასტრალური ნიშნები შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკაზე: 1. თრიალეთის XLV ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 31-19); 2. თრიალეთის XVII ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 25-10); 3,4. თრიალეთის XXXIX ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 30-27,28); 5. თრიალეთის XXIX ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 26-18); 6. თრიალეთის XXXVI ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 28-19); 7. თრიალეთის XXXVI ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 28-12); 8. თრიალეთის VIII ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 20-22); 9. თრიალეთის VII ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 19-5); 10-12. წნორის I ყორღანი (Дедабришвили Ш. 1979: ტაბ. XXVI); 13. წნორის I ყორღანი (Дедабришвили Ш. 1979: ტაბ. XXVIII-19); 14. თრიალეთის ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 30-10); 15. თრიალეთის ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 26-19).

LXXX. სოლარული ნიშნებით შემკული ოქროს ფირფიტები : 1. ყარაშამბის დიდი ყორღანი (Оганесян 1993: ტაბ. XXVII-9); 2. ბედენის №10 ყორღანი (გობეჯიშვილი 1981: სურ. 39); 3. ზურტაკეტი, №4 ყორღანი (ჯაფარიძე 1969: ტაბ. XIX); 4. თრიალეთის XVII ყორღანი (Куфтин 1941: ტაბ. CIII).

LXXXI. სიმბოლური ნიშნებით შემკული შავპრიალა კერამიკა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან: 1. ყარაშამბი (Оганесян В. 1993: ტაბ. XXV); 2. აკაკიანთ ხევი (Pitschelauri K. 1984: 221); 3. ზურტაკეტის №3 ყორღანი (ჯაფარიძე 1969: სურ. 17); 4. ზურტაკეტის №3 ყორღანი (ჯაფარიძე 1969: სურ. 15).

LXXXII. ნახევარმთვარისებური სიმბოლოთი შემკული კერამიკა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან: 1. თრიალეთის XLV ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 31-4); 2. მესხეთი, ბერთა ყანას №1 ყორღანი (ჯაფარიძე დას ხვ. 1981: სურ. 33-481); 3. თრიალეთის VII ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 19-10); 4. ლორი ბერდის №17 სამარხი (ტაბ. 20-5); 5. ლორი ბერდის №83 სამარხი (ტაბ. 103-6); 6. ლორი ბერდის №60 სამარხი (ტაბ. 75-11); 7. არტაშავანი (Bertram 2003 :85, სურ. 32.8); 8. თეთრი ქვები I (Pizchelauri K., Orthmann W. 1992: სურ. 4-22).

LXXXIII. მოხატული კერამიკა თრიალეთის ყორღანებიდან: 1. ყორღანი VI (Куфтин 1941: ტაბ. LXXX); 2,3. ყორღანი V (Куфтин 1941: ტაბ. LXXVIII); 4. ყორღანი XVII (Куфтин 1941: ტაბ. LXXVII); 5. ყორღანი VII (Куфтин 1941: ტაბ. LXXXII); 6. ყორღანი XVII (Куфтин 1941: ტაბ. LXXVI).

LXXXIV. თიხის ჭურჭელი შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან: 1. თრიალეთის VII ყორღანი; 2. თრიალეთის VII ყორღანი; 3-5. ნერკინ ნავერის №7 სამარხი (ფოტოები მოგვაწოდა ა. სიმონიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ); 6, 7. სადუღას № 2 ყორღანი (Pitskhelauri, Kiladze 2010: სურ. 3); 8. ამირანის ველი (Pitskhelauri, Kiladze 2010: სურ. 4).

LXXXV. 1,2. ნახევარმთვარისებრი ფორმის ქვაყრილები: ა). კუდურლი, აზერბაიჯანი (Ахундов 2001: XXXII-1,2,4); ბ). კავთისხევი, კატრიანი (Makharadze 2008: სურ. 33); 3,4. სხივებიანი ქვაყრილები კუდურლის და სულუჩემის ყორღანები აზერბაიჯანი (Ахундов 2001: XXX).

LXXXVI. 1. ბერიკლდეები. „დომინოს” ფორმის მძივები, თუ „კოჭები” (Jalabadze 2014: სურ. 28); 2. სათამაშო „კოჭები” ურის სამეფო სამარხებიდან (Woolley 1934: 95-98).

LXXXVII. მოხატული თიხის ჭურჭელი ნერკინ ნავერის №7 სამარხიდან (ფოტოები მოგვაწოდა ა. სიმონიანმა, რისთვისაც დიდ მადლობასაც მოვახსენებთ).

LXXXVIII. რელიეფურორნამენტიანი ჭურჭელი ახალი ჟინვალიდან (ღლონტი 2006: ტაბ. II, III).

LXXXIX. რელიეფურორნამენტიანი კერამიკა შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებიდან: 1. უდაბნო, მრავალწყალი (Pizchelauri K. 2002: სურ. 3-27; 2. ახჩია, ყორღანი № 14 (ჯაფარიძე და სხვ. სურ. 27-256); 3. თრიალეთის XXIII ყორღანი (გოგაძე 1972: 26-1); 4. მესხეთი, ახჩიის №14 ყორღანი (ჯაფარიძე დას ხვ. 1981: სურ. 25-255); 5,6. თრიალეთი XXXVI ყორღანი (გოგაძე 1972: ტაბ. 28-16).

XC. 1. ლომის ოქროს ქანდაკება. წნორის № 2 ყორღანი (Дедабришвили Ш. 1979: 41); 2. ირემი? თრიალეთის V ყორღანი XVII (Куфтин 1941: ტაბ. XCVII); 3. თიხის ჭურჭელი გველის გამოსახულებით. ნერკინ ნავერი № 3 ყორღანი (Симонян 2011: სურ. 6-1); 4. საბეჭდავი. გუდაბერტყა (შანშაშვილი, შერაზადიშვილი 2013: ტაბ. V); 5. თიხის ჭურჭელი გველის გამოსახულებით. თეთრი ქვები, № 1 ყორღანი (Pitskhelauri, Orthmann 1992: სურ. 4-21); 6. ოქროს თასი. ვანაძორის (კიროვაკანი) ყორღანი (Devedjian 2006: 261, ტაბ. 141).

ტ ა ბ უ ლ ე ბ ი

I

Caspian Sea
Tbilisi
Yerevan
Baghdad
Black Sea
Ankara
Damascus
Amman
Beirut
Jerusalem
Cairo
Mediterranean Sea
Aegean Sea
Kura
Araks
Lake Sevan
Lake Van
Lake Urmia
Tigris
Euphrates
Halys
Sakarya
Sea of Marmara
Lake Tarhar
Lake Tuz
Nile

II



III



1-1 M.1:500

IV







V

1

2





1

2.1

2.2

VII



1

A - A



2



ჭრილი I-1 W-O m1:25
Cut

ჭრილი 2-2 N-S m1:25
Cut

დასავლეთის ხედი m1:25
View from west

აღმოსავლეთის ხედი m1:25
View from east





IX


M 1:50
50 0 50 100 150 200 250
1
3
2
2
1
3
გეგმა
Plan
ჭრილი 1-1
Cut
ჭრილი 2-2
Cut
ჭრილი 3-3
Cut
აღმოსავლეთის ხედი
View from east
ჩრდილოეთის ხედი
View from north
სამხრეთის ხედი
View from south

X



გეგმა
Plan



ჭრილი სამხრეთის ხედით
Cut with a view to south



ჭრილი ჩრდილოეთის ხედით
Cut with a view to north



სამარხი კამერის ჭრილი
Cut of the chamber

XII



XIII



XIV



1



2

XV





XVI



1









2

XVII

1

2


0
3m

3




ხახგლი № 3
ხახგლი № 4
ხახგლი №2
ᲗᲝᲜᲓᲘ ᲒᲚᲮ
ხახგლი №1
0
3m

4


ხახგლი № 2
ხახგლი № 1
0
3m

XVIII



1

2

XIX



XX



XXI



1

2

1

2

3

XXIV



1



2



3

XXV



XXVI



XXVII



XXVIII









XXIX





XXX



XXXI

1

2

XXXII



1



2

3

XXXIII

1

2

3

XXXIV



1



2



3

XXXV



1

2

XXXVII



XXXVIII



XXXIX







0 6 12

XLI



XLII





1

2



3


1
2
3
4
5
6

XLV





XLVI



1



2

XLVIII



LXIX



L



LI

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17

LIII



1

2

3

4

5

6

7

0 2

LV



LVI



LVII



LVIII

LIX



LX




5
6
1
2
7
8
0 2 4
9
10
3
4
11
0 2 4
12
13
14

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12


1
2
3
4
5
6
7
8

2

1

3



4

LXV




1
2
3
0 1 2
4
0 1 2
5
0 2

LXVII




1

2


3

4

5


6


7


8


9


10


11


1


2


3

4

5


6

7


8


9


10


11


12


13


14


15

1



2



3



4



5



6

7



8



1

2

3



4



5



6



1

2



3

4



5





7



LXXIII



1



2





3



4





5



6

LXXV




1


2


3


4


5


6


7


8


1

2

3


4

5


6


7


8

9

10

11

12


13

14

15

16


17

18

LXXVIII




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15



1

2

3

4


1
0 5
2
3
4

LXXXII



LXXXIII



LXXXIV

LXXXV





1

2



3

LXXXVII

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11



1



2



3



4

LXXXIX



1



2



3



4

5



6

1

2

3



4



5



6